

K154.110
N 3



საქართველოს ენციკლოპედია

გაერთიანი პეიზ
სინტიპეზი

...გაერთიანებული

K 154.110

სკეპ-2000
შეფუთვა

© გამომცემლობა „განათლება“, 1973.

საქართველოს
პარლამენტის
მდივნის
განყოფილება

7-1-3

206-73

M-602



შენახვალი

იმ აქტუალურ პრობლემათა შორის, რომლებიც ამჟამად ენათმეცნიერების წინაშე დგას, მნიშვნელოვანი ადგილი სინტაქსის საკითხთა კვლევას, წინადადების, მისი ასპექტებისა და კომპონენტთა ურთიერთმიმართების ანალიზს უკავია.

საქართველო მდიდარი ენათმეცნიერული ტრადიციების ქვეყანაა. ჩვენი წინაპრები არა მარტო წერდნენ და თარგმნიდნენ ლიტერატურული, ფილოსოფიური თუ სხვა ხასიათის ძეგლებს, არამედ ყურადღებას ამახვილებდნენ ენაზე, მის აგებულებასა და ლინგვისტურ თავისებურებებზე. ამას მოწმობს ის დახვეწილი სტილი, რომლითაც შესრულებულია ქართული წერილობითი ძეგლები. ამასვე მოწმობს ის მდიდარი გრამატიკული ლიტერატურა, რომელმაც ფრაგმენტებისა თუ სრული სახით საშუალო საუკუნეებიდან ჩვენამდე მოაღწია.

სინტაქსი, როგორც გრამატიკის დარგი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნაირგვარად განიხილებოდა. მისი საგანი სრულად ამჟამადაც არ არის დაზუსტებული. ეს თვით მისი საკვლევი ობიექტის — წინადადების — ბუნებიდან გამომდინარეობს. წინადადება ენის ყველაზე მაღალი დონის ერთეულია, რომელშიც ერთერთთან გადაჯაჭვულია არა მარტო ლინგვისტური, არამედ — ლოგიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა ასპექტები.

სინტაქსის საკითხებს სპეციალურ, როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ, ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ყოველ მათგანს დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევისათვის. საკმაოდ მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა ჩვენშიც, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით, მორფოლოგიასთან შედარებით, ისინი საკმაოდ მცირეა. სინტაქსის საკითხთა გამოკვლევას საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს ჩვენმა ენათმეცნიერებმა: ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, ვ. თოფურიამ, გ. როგავამ, შ. ძიძიგურმა, ალ. ლლონტმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კვაჭაძემ, ა. კიზირიამ, ნ. ბასილაიამ, ფ. ერთელიშვილმა და სხვებმა. საყურადღებო ლინგვისტური დასკვნებია მოცემული მ. თალაკვაძის ცნობილ მეთოდოლოგიურ ნაშრომში.

მხოლოდ აქედანაც ჩანს, თუ რაოდენ ძნელია ამეამად სინტაქსის საკითხთა კვლევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეცნიერება ვითარდება, იცვლება საკითხებისადმი მიდგომა, მათი ანალიზის მეთოდები და ხერხები.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია სინტაქსის რიგი საკითხების გამოკვლევის ცდა. მასში სათანადო სპეციალური ლიტერატურის ანალიზისა და ავტორის პირადი დაკვირვების საფუძველზე შეძლებისდაგვარად განხილულია ძირითადი სინტაქსური ერთეულები და მათი ურთიერთობით გამოწვეული მოვლენები, რომელთაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული წინადადების მეტად რთული მექანიზმის დასახასიათებლად.

მიუხედავად ნაშრომის საკმაოდ დიდი მოცულობისა, შეუძლებელი შეიქნა წინადადების სტრუქტურასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა. ამჯერად მკითხველთა განსასჯელად გამოტანილია ორი ძირითადი პრობლემა: სინტაქსი, ზოგადი საკითხები და მარტივი წინადადების სტრუქტურა. შერწყმულ და რთულ წინადადებათა განხილვა მომდევნო წიგნშია განზრახული.

წიგნი სპეციფიკური მიზანდასახულობისაა (იგი გამიზნულია სახელმძღვანელოდ ქართული ენის სპეცურსში და თანასახელმძღვანელოდ — ქართული ენის სინტაქსში), ამდენად ზოგად ენათმეცნიერებასა და თანამედროვე ქართულ ენაში რამდენადმე გათვითცნობიერებული მკითხველისათვის არის გამიზნული. ამით არის გამოწვეული, რომ მასში არ არის ახსნილი ყველა ტერმინი (ცნება); ამანვე გამოიწვია რიგ საკითხთა არათანაბარი მოცულობით განხილვა, თუმცა ზოგ შემთხვევაში საჭირო შეიქნა რამდენადმე ტრივიალური ცნებების ახსნაც (მაგ.: მორფი და მორფემა, გრამატიკული ფორმა, გრამატიკული მნიშვნელობა, გრამატიკული კატეგორია და მისთ.), რაც უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ პედაგოგიური ინსტიტუტების თანამედროვე ქართული ენის პროგრამა-სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე.

ძირითადი ნაკლი, რომელიც სინტაქსურ ანალიზს გააჩნდა, ეს არის ენობრივ მოვლენათა ატომისტური ანალიზი, რომელიც გრამატიკის საკითხთა კვლევაში მხოლოდ ემპირიულ დაკვირვებებს ემყარება. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ენობრივ კვლევას, განსაკუთრებით სინტაქსის დარგში, ჩამოსცილდა აბსტრაქცია: წინადადების სტრუქტურის შესახებ განზოგადებული კანონების ნაცვლად სინტაქსი გადაიქცა ცალკე აღებული ამა თუ იმ ლექსიკურ-მორფოლოგიური ფორმის კონკრეტულ ფუნქციაზე დაკვირვებად, რის შედეგადაც სინტაქსური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ განზო-

გადებულ მსჯელობას ხშირად ენაცვლებოდა შემთხვევითი (არაძირითადი), ზოგჯერ კი სხვა დარგის ფაქტებისა და მოვლენების დეტალური ანალიზი. ატომისტურ-ფუნქციური გრამატიკა იმდენად ღრმად ჩაეფლო დეტალებში, რომ საუკუნეთა განმავლობაში ვერ მიუახლოვდა განზოგადებულ ერთიანობას. ცალკეულ მოვლენებზე მსჯელობამ დაფარა მთლიანი, ერთიანი; „ხეებს უკან ტყეს ვეღარ ვხედავდით“.

ჩვენ ვემსრობით სტრუქტურული გრამატიკის საგნის იმგვარ განსაზღვრას, როდესაც კვლევის ობიექტად მიჩნეულია ენობრივი სისტემა და ურთიერთობის დადგენა სისტემის ერთეულთა შორის, ხოლო აღწერა (აღწერითი გრამატიკა) მის მასალას წარმოადგენს და მეტყველების ფაქტების რეგისტრაციას ახდენს.

ამრიგად, ენობრივი ფაქტების განხილვა, ძირითადად, შემდეგი გზით მიმდინარეობს: 1) აღწერა (ფაქტების კონსტატაცია), 2) ანალიზი (სისტემის ერთეულებისა და მათ შორის არსებული სტრუქტურული მიმართების დადგენა) და 3) განზოგადებულ კანონზომიერებათა დადგენა, რომლებიც მუდმივია ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე და რომელთაც წარმომქმნელი (ან, როგორც ამჟამად ამბობენ, წარმომშობი) მნიშვნელობა აქვთ. ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო სინთეზისაკენ არის მიმართული. ბიოლოგიური მეცნიერება მარტო იმისათვის კი არ შლის ცილებს, რომ მისი აგებულება შეისწავლოს. ეს მხოლოდ პირველი ეტაპია კვლევისა. მთავარია სინთეზი, იმ კანონზომიერებათა დადგენა, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა ქიმიური ელემენტებისაგან იქმნება ცოცხალი უჯრედი. ასევეა ენაშიც. ენობრივ მოვლენათა ანალიზის (რა დონეზედაც უნდა ჩატარდეს იგი) საწყისი ზღვრული წერტილი ფაქტის კონსტატაციაა, მაგრამ ეს არ არის მეცნიერული კვლევის ზღვარი. ფაქტების აღნიშვნა და მათი დახასიათება მხოლოდ ატომისტური კვლევის ზღვრად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარია სინთეზი, როგორც გენერალური მოვლენა, რომლის მიხედვითაც ენის ყოველგვარი ერთეული (პერიფერიულით, უმარტივესით დაწყებული) ქმნის თანამიმდევრულად გართულებულ უფრო მაღალი დონის ერთეულებს და საბოლოოდ — წინადადებას, როგორც აზრის ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის მიწოდებისა და მიღების საშუალებას. გრამატიკას მეცნიერების თეორიულ დარგად სწორედ ეს სინთეზური კანონები აქცევს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სწავლების მეთოდის გაუტოლდებოდა, რომელსაც არა აქვს არც ერთი საკუთარი, სპეციფიკური კანონი, გარდა სასწავლო მასალის ეტაპებად დალაგებისა. გრამატიკის კანონებს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული (მათ შორის სასკოლო-მეთოდის) მნიშვნელობაც აქვთ. ერთ-ერთი მიზე-

ზი იმისა, რომ ჩვენი მოსწავლეები ხშირად კარგად ანალიზებენ წინადადებას, მაგრამ უჭირთ მეტყველება, ვერ ახერხებენ სიტყვათა მართებულად დაკავშირებას; მხოლოდ ანალიზურ სწავლებაში, სასწავლო მასალის მხოლოდ ანალიზური მეთოდით მიწოდებაში უნდა ვეძიოთ. ცნობილია კ. უშინსკის გამოთქმა, რომელმაც მხოლოდ ანალიზური გზით სწავლება შეადარა ისეთი მკერავის მოქმედებას, რომელიც თავის შეგირდებს მხოლოდ და მხოლოდ შეეკრილის დარღვევას ასწავლიდა, კერვას კი — არასოდეს.

რასაკვირველია, არ შეიძლება საერთოდ ანალიზის უარყოფა. იგი კვლევის აუცილებელი, მაგრამ არასაბოლოო ეტაპია. ანალიზი სინთეზის წინა საფეხურია, ამიტომ არის ნაშრომში წინ წამოწეული წინადადების სტრუქტურისა და მისი ელემენტების სინთეზური, შემქმნელი თუ წარმომშობი კანონზომიერებანი.

წიგნის I თავი ეძღვნება გრამატიკულ ცნებებს. იგი რამდენადმე შესავალ ნაწილს წარმოადგენს სხვა თავებისათვის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი, მიუხედავად მის შესამოკლებლად დიდი ცდისა, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. ეს გამოიწვია იმან, რომ ქართულად ჯერჯერობით არ მოგვეპოვება თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე, მაგრამ იმავე დროს სტუდენტთათვის მისაწვდომად დაწერილი ნაშრომი, რომელშიც ახსნილი იქნებოდა გრამატიკული ერთეულები, მოვლენები და მათი შესაბამისი ტერმინები. რასაკვირველია, ენობრივ ერთეულთა და მოვლენათა ახსნას არავითარ შემთხვევაში არა აქვს სისრულის პრეტენზია, რადგან ახსნილია ძირითადად ის ტერმინები, რომლებიც უპირატესად სტრუქტურულ სინტაქსს განეკუთვნება.

წიგნში მკითხველი ბევრ ახალ ცნებასა თუ საკითხისადმი ახლებურად მიდგომას ნახავს. შესაძლებელია ზოგიერთმა ეს „მკრეხელობად“ ჩათვალოს, რადგან რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ ანდაგოგიურ ინსტიტუტში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ის საკითხები და იმ მოცულობით, როგორც ისინი საშუალო სკოლაში ისწავლება. უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერებისადმი ასეთი წმინდა უტილიტარისტული მიდგომა ზღუდავს სტუდენტის გონებრივ შესაძლებლობას. ნორმატული გრამატიკის სწავლებას თავისი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ ნორმატული (სასწავლო, ტექნიკური) გრამატიკა ითვალისწინებს ენის მხოლოდ ძირითად კანონებს, ენა კი მდიდარია დინამიკური ფორმებით, „უცნაურობებით“. მეტყველებაში ხშირად ისეთი ნიუანსები გვხვდება, რომელთა გათვალისწინება ნორმატულ გრამატიკას არ შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ამ „უცნაურ“ ნიუანსებს ხშირად კანონზომიერი ხასიათი აქვს. უტილიტარისტულმა შეხედულებამ დააახლოვა საშუალო და უმაღლეს სას-

წავლებელთა სასწავლო კურსები (ამის შემოწმება სრულიად ადვილია აღნიშნულ კურსთა პროგრამების შედარებით). ეს დაახლოება არა მარტო ტერმინოლოგიას ეხება, არამედ, სამწუხაროდ, ცნებათა განმარტებებსაც, ასე რომ საშუალო და უმაღლეს სკოლათა გრამატიკის კურსები ერთურთისაგან სახელმძღვანელოს მოცულობით თუ განსხვავდებიან, თორემ სხვა განსხვავება მათ შორის არც თუ ისე დიდია.

წინადადების ანალიზის პროცესში ძალიან ბევრი საკითხია გადასაწყვეტი, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს ძირითადი, პრობლემური:

1. არის თუ არა წინადადება თავისი ყველა ასპექტით სინტაქსის კვლევის ობიექტი და, თუ არის, რა მიმართებით უნდა შეისწავლოს იგი სინტაქსმა?

2. რა მიმართებაა წინადადების ფორმობრივ-გრამატიკულსა და ლოგიკურ ან მის ემოციურ-ექსპრესიულ (აქტუალიზებულ) მხარეებს შორის?

3. რა მიმართებაა სინტაქსური და ე. წ. ქვედა დონეების ერთეულებსა და მოვლენებს შორის?

4. რა გავლენას ახდენს წინადადების აქტუალიზება მის სტრუქტურაზე? და სხვ.

წინადადება ენის ყველაზე მაღალი ერთეულია, რომელშიც ურთიერთშეხამებულია სხვადასხვა ასპექტის თავისებურებანი. წინადადება, როგორც აზრის სიტყვიერი ფორმა, საშუალებას გვაძლევს. არა მარტო გავაგებინოთ აზრი მსმენელს, არამედ მასში ჩავაქსოვოთ ყველა ის ელფერი თუ ნიუანსი, რომელიც ამა თუ იმ აზრის შეტყობინებას უკავშირდება.

წინადადება სავსებით სამართლიანად არის მიჩნეული მაღალი დონის ენობრივ ერთეულად, რომელშიც უშუალოდ თუ სხვა დონეთა მეშვეობით თავს იყრის ენობრივი ანალიზის თითქმის ყველა დონე. ამიტომაც, რომ სინტაქსის საკითხთა კვლევა მჭიდროდაა დაკავშირებული ე. წ. ქვედა დონეებთან, უწინარეს ყოვლისა, მორფოლოგიურთან და სხვ.

წინადადება, როგორც ენის ერთეული, შეიძლება განვიხილოთ ენისა და მეტყველების ასპექტებში. ენობრივი ანალიზის დონეზე წინადადება განიხილება, როგორც სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა, რომლებიც ერთურთს შორის გარკვეულ მიმართებას ამყარებენ. ნაშრომში, ერთი მხრივ, მოცემულია ამ მიმართებათა ზოგადკანონზომიერებათა დადგენის ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ მაგალითებზე ნაჩვენებია მიმართების კერძო სახეები.

წინადადება თავისი მრავალასპექტიანი გამოხატულებით საკო-

მუნიკაციო ფუნქციას ასრულებს და ეკვივალენტურია სამეტყველო ფრაზისა. წიგნის მიზანს არ წარმოადგენს წინადადების ანალიზის ყველა ასპექტის განხილვა. წინადადების, როგორც მეტყველების მრავალასპექტიანი ერთეულის, ყოველი ცალკეული ასპექტი შეიძლება ცალკე კვლევის ობიექტი იყოს. წიგნში მოცემულია წინადადების სტრუქტურის გამოკვლევის ცდა. ბუნებრივია, სტრუქტურის კვლევა სხვა ასპექტებისაგან იზოლირებულად არ შეიძლება; ამიტომ, რომ სინტაქსურ-სტრუქტურულ ერთეულთა და მათ მიმართებათა ანალიზის პარალელურად რიგ შემთხვევაში მსჯელობა იხეთ ასპექტებზე, რომლებიც არ არის სტრუქტურული დონისა. მაგრამ სტრუქტურულ ერთეულთა შორის მიმართების დასადგენად არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

ნაშრომი ძირითადად ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურას ეყრდნობა, შეძლებისდაგვარად გამოყენებულია უცხოური წყაროებიც. ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა უამრავ ნაშრომს მოიცავს, რომელთა გათვალისწინება და მათზე მითითება უცილობლად ღირსებას შეჰქმნატებს ყოველგვარ საენათმეცნიერო ნაშრომს: გამოკვლევათა თუ სახელმძღვანელოს, მაგრამ ამ წიგნში ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ყველა ნაშრომის მითითება (თუმცა მითითებულიც საკმაოდ დაგროვდა). დამოწმებულია, უპირველეს ყოვლისა, ის ნაშრომები, რომლებიც პოლემიკურ საკითხებს ეხება, ხოლო საყოველთაოდ ცნობილ და აღიარებულ დებულებათა დადასტურება შესაბამის წყაროზე მითითებით, კვლავ ტექნიკური მიზეზების გამო, აუცილებლად აღარ იქნა მიჩნეული. დაინტერესებული მკითხველი სპეციალური ლიტერატურის უფრო სრულ სიას იპოვის ავტორის სადისერტაციო ნაშრომში „მარტივი წინადადების სტრუქტურა ახალ ქართულში (სინტაქსურ ერთეულთა და მიმართებათა პრობლემა)“, რომელიც მისი ბიბლიოთეკაში ინახება.

წიგნში, ძირითადად ლაკონიურობის მიზნით, გამოყენებულია ზოგიერთი მათემატიკური ტერმინი ან აღნიშვნა (სიმბოლო), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაშრომი მათემატიკური ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება. წიგნში წარმოდგენილი სინტაქსური ანალიზისათვის ამოსავალია წინადადების სტრუქტურა, როგორც აბსტრაქტირებული სინტაქსური ერთეული.

წიგნში ძალიან შეკუმშულია მსჯელობა საკითხის ისტორიაზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, მისი მოცულობის შემცირებით არის გამოწვეული: როდესაც წარმოიშვა წიგნის შემოკლების აუცილებლობა, იგი საკითხის ისტორიის ხარჯზე მოხდა; მით უფრო, რომ სინტაქსის შესწავლის ისტორია საკმაოდ ფართოდ არის განხილული

როგორც ქართულ, ისე რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში თითქმის ყოველ განხილულ საკითხთან მითითებულია სპეციალური ლიტერატურა, რომელშიც მიმოხილულია ეს საკითხი (რასაკვირველია, იმ მასალებისა და წყაროებს მიხედვით, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო).

წიგნში საკითხები განხილულია ახალი ქართული ენის მასალის მიხედვით. მართალია, ყოველგვარი ენობრივი ფაქტისა თუ მოვლენის აღწერა შეიძლება სინქრონიულ დონეზე, მაგრამ მათი გენეზისის გარკვევის საშუალებას მხოლოდ დიაქრონიული ანალიზი იძლევა; სწორედ ამიტომ რიგ შემთხვევაში (უპირატესად მაშინ, როდესაც გასათვალისწინებელია წინა ვითარება) მოხმობილია ნიმუშები როგორც ძველი და საშუალო ქართულიდან, ისე ქართველური ენებიდან. საანალიზო ნიმუშებთან არ არის მითითებული ძეგლის სახელწოდება და გვერდი, მხოლოდ შემოკლებით არის აღნიშნული ავტორი. ძეგლის სახელწოდებისა და გვერდის მითითება არ იყო აუცილებელი, რადგან ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ტექსტის გრამატიკული ანალიზი ან მწერლის ენის თავისებურებათა გარკვევა. გარდა ამისა, საანალიზო მასალა უპირატესად ისეა შერჩეული, რომ ქართულ ლიტერატურაში ისე გაწაფულ მკითხველს, როგორადაც თუნდაც ფილოლოგიის ფაკულტეტის IV-V კურსის სტუდენტობა გვევლინება, ადვილად შეუძლია წყაროს მიგნება; მაგ., ყველა ქართველისათვის ნათელია, რომ წინადადება „მკრთალი ნათელი საესე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“ აღებულია ი. ჭავჭავაძის ლექსიდან, რომელსაც „ელეგია“ ჰქვია.

საკითხთა კვლევა დაწყებულია 1960 წლიდან, თუმცა მას წინ უძღოდა დაკვირვება როგორც უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში სინტაქსის კურსის ლექციების კითხვის დროს, ისე ტექსტების გრამატიკული ანალიზის პროცესში. რიგი წლების განმავლობაში საქმიანი კრიტიკული შენიშვნებით ავტორს დახმარებას უწევდნენ პროფ. ალ. ღლონტი, პროფ. ლ. კვაჭაძე, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ალ. ონიანი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ზ. სარჯველაძე და დოც. ი. მაისურაძე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფილოლოგიის მეცნ. დოქტორ მ. ქალდანის, პროფ. ა. კიზირიას, პროფ. ტ. გუდავასა და პროფ. გ. შალამბერიძის დახმარება, რომელთაც წინამდებარე წიგნის საფუძვლის (ზემოთ აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის) რეცენზირებისას თავიანთი ფრიად საგულისხმო შენიშვნებით ხელი შეუწყვეს ნაშრომის გაუმჯობესებას.

წიგნი, რასაკვირველია, არ არის დაზღვეული ნაკლისაგან. მასში მკითხველი ბევრს ნახავს სადავო საკითხებს, ახლებურად დასმულ პრობლემებს, რიგ შემთხვევაში — ძველ დებულებათა ახლებურად

დადასტურებასა და სხვ. ბუნებრივია, ყოველგვარი საქმიანი შენიშვნა, რომელიც წიგნის გასაუმჯობესებლად თუ რიგი საკითხების დასაზუსტებლად იქნება გამიზნული, დიდი მადლობის გრძნობით იქნება მიღებული.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა სტილის შესახებ. წიგნში მოცემულია ე. წ. „მტკიცებითი“ სტილით მსჯელობის ცდა. რიგ შემთხვევაში ეს მოხერხდა, მაგრამ ნაშრომი მაინც ვერ იქნება დაზღვეული სტილურ უზუსტობათაგან. მიუხედავად რეცენზენტებისა და რედაქტორის დიდი ცდისა, ისინი მაინც დარჩა. რასაკვირველია, ამგვარი სტილური უზუსტობანი მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ჯიუტობას მიეწერება.

ტერმინთათვის

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მომხდარმა ცვლილებებმა არა მარტო დიდი გარდატეხა მოახდინა რიგი კატეგორიებისა და ფორმების გაგებაში, არამედ მრავალი ახალი ცნებისა და მათი შესაბამისი ტერმინების წარმოშობაც გამოიწვია. ამ მხრივ ბადალი არა ჰყავთ დესკრიფციული ლინგვისტიკის წარმომადგენლებს, რომელთაც გაბედულად „შეუტიეს“ ტრადიციულ ენათმეცნიერებას და ლინგვისტურ ცნებათა თავისებურად გაგებასთან ერთად მრავალი თავისებური ტერმინი შემოიტანეს. ტერმინთა მრავალფეროვნება ყველაზე მეტად შეიძინევა ახლა, როდესაც ზდება არა მარტო ერთი მეცნიერების სხვადასხვა დარგების, არამედ სხვადასხვა მეცნიერებათა ინტეგრება.

ახალი ცნების დადგენისას ენათმეცნიერებაში (ისევე როგორც ყოველ მეცნიერებაში) საჭიროა შესაბამისი ტერმინის შემუშავება, რომელიც შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა ასახავდეს ცნების მნიშვნელობას. ამ მხრივ ქართულ ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი შენაძენია ტერმინები: ქცევა, მწკრივი, სერია, კოორდინატი და სხვ., რომელთაც ქართველურ ენათა შესახებ გამოკვლევებში მყარად დაიმკვიდრეს ადგილი, თუმცა ზოგიერთ მათგანს პარალელებიც მოეძებნება, როგორცაა, მაგალითად, ნაკვთი, დრო-კილოთა ჯგუფი და მისთ.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით დიდი ტერმინოლოგიური სიჭრელე ენათმეცნიერებაში არის ახლა, როდესაც ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ხშირად ორი ან მეტი ტერმინი იხმარება. ახალი ტერმინები იმდენად მოზღვავდა, რომ საჭირო ზდება იმის წინასწარ გათვალისწინება, თუ რას ვგულისხმობთ ამა თუ იმ ტერმინში, რადგან სხვადასხვა ენათმეცნიერი ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად ხშირად ნაირგვარ ტერმინს ხმარობს; კიდევ მეტი, ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაშრომში საჭირო ზდება სხვადასხვა ტერმინის გამოყენება. ზოგჯერ ისეც ზდება, რომ ამა თუ იმ ავტორს უკვე მყარად დადგენილი ტერმინის ნაცვლად შემოაქვს ახალი, თუმცა მისი შესაბამისი ცნება შეიძლება ოდნავადაც არ განსხვავდებოდეს ადრე დადგენილისაგან (ზოგჯერ სასკოლო გრამატიკაში გამოყენებულისაგანაც კი).



მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მეკლევარს იდეალურად ესაზღვრება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ყველა ტერმინი მშობლიურ ენაზე იქნება შემუშავებული, მაგრამ ამას რიგი გარემოებანი უშლიან ხელს. მათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ტერმინთა უნიფიკაციის საკითხი, რომელიც უშუალოდ ლინგვისტური ტერმინოლოგიური ლექსიკონის საკითხს უკავშირდება. მართალია, არსებობს რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელთაგან სსრ კავშირში ყველაზე მეტად გამოყენებულია ფრანგულიდან თარგმნილი ე. შარუზოს (იხ. Ж. Марузо. Словарь лингвистических терминов. М., 1960) და ორიგინალური რუსული ო. ახმანოვას (იხ. О. С. Ахманова. Словарь лингвистических терминов. М., 1966). ლექსიკონები, მაგრამ ჭერჭერობით არა გვაქვს ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, რაც ხელს უშლის ამა თუ იმ ცნებათა გამომხატველი ტერმინების ერთმნიშვნელობიანობას (უნიფიკაციას); სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ ხშირად ტერმინის ხმარებისას იქვე საჭიროა მისი ახსნა (ამავე მიზეზის გამო ჩვენც რიგ შემთხვევაში გვიხდება ქვემოთ მოცემულ ტერმინთა ახსნა).

შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვეცადეთ, შეძლებისდაგვარად უფრო მეტად დაგვეახლოვებინა ტერმინები ქართულისათვის, მაგრამ რიგ შემთხვევაში ეს შეუძლებელი შეიქნა; ერთი მხრივ, ძნელი იყო ტრადიციულად დადგენილ ტერმინთა უგულვებელყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, ცნების ყოველგვარი ნიუანსისათვის გაძნელდა სათანადო ქართული ტერმინის გამოძებნა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ბევრმა სიტყვამ, რომელთაც ენათმეცნიერებაში ტერმინებად ვიყენებთ, საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო; ასეთია, მაგალითად კოორდინაცია, კოორდინატი, სუბორდინაცია, სუბორდინატი, დომინაცია, დომინანტი, დეპენდენტი და სხვ.

გამოყენებული შემოკლებანი და აღნიშვნები

(ზოგიერთი არარეგულარული სიმბოლო ახსნილია ტექსტში, ადვილად მისახვედრი აბრევიატურები, მაგ. თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისთ. არ არის განშიფრული)

- გლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
- კე — კრებული „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“.
- წგნ. — წიგნი (წიგნში).
- ВЯ — журн. «Вопросы языкознания».
- ОЛЯ — Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка.
- РЯвШ — журн. «Русский язык в школе».
- ИЯ — Институт языкознания.

МСС — сб. «Морфологическая структура слова в языках различных типов». М., 1963.

ФН — Научные доклады высшей школы, серия «Филологические науки».

ПЯ — Проблемы языкознания. Тезисы докладов советской делегации на X Всемирном конгрессе лингвистов в Бухаресте. М., 1967.

∅ — ნელი (ნულოვანი).

S — სუბსტანტიური ერთეული, რომელიც წინადადებაში ქვემდებარედ რეალიზდება.

O — სუბსტანტიური ერთეული, რომელიც წინადადებაში დამატებად რეალიზდება.

P — ზმნა-შემასმენელი.

N — სახელობითი ბრუნვა.

E — მოთხრობითი ბრუნვა.

D — მიცემითი ბრუნვა.

D — გაბატონებული წევრი (სიტყვათშეხამებაში).

d — დაქვემდებარებული წევრი (სიტყვათშეხამებაში).

= — უდრის.

≈ — ეკვივალენტურია (მიახლოებით უდრის).

≠ — არ უდრის.

// — პაუზა.

→ — გადადის (გარდაიქცევა).

[*] — აღდგენა (რეკონსტრუქცია).

[**] — ხელოვნური „ფორმა“, რომელიც არ არის დადასტურებული მეტყველებაში.

ტექსტები

დაბად. | წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკვეთი I: დაბადე-
გამოსლ. | ბისაჲ, გამოსლვათაჲ. გამოსცა ა. შანიძემ. თბ., 1947.

შუშ. — იაკობ ცურტაველი. მარტვლობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. ტფილისი, 1938.

კათ. ეპ.—კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები (X-XVI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით). გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით. თბ., 1956.

გარდა ამ ტექსტებისა, ნაშრომში გამოყენებულია მასალა ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან, რომელთა ავტორები მითითებულია შემოკლებით, ვფიქრობთ, მკითხველთათვის გასაგებად.

ნ ა წ ი ლ ი I

ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს ზ ო გ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

თ ა ვ ი I

ენა, მისი მხარეები, ენათმეცნიერების დარგები, სინტაქსის ადგილი ენათმეცნიერების დარგთა შორის

1. 1. ენის რაობა, მისი სინტაქსური სტრუქტურის ცნება

ენა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა. მხოლოდ ცნებითი აზროვნების საშუალებით გახდა შესაძლებელი ცხოველთა სამყაროდან გონიერთა კლასის გამოყოფა და კაცობრიობის შემდგომი განვითარება. იარაღის მკეთებლობამ გარკვეული ჯგუფის ინდივიდებში გამოიწვია ინფორმაციის გადაცემისა და მიღების აუცილებლობა, აზროვნების განვითარება, ხოლო აზროვნების აუცილებელი პირობაა ენა, როგორც აზრის სიტყვიერი გარსი. ადამიანი თავისი აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბებას მხოლოდ ენის საშუალებით ახერხებს, მხოლოდ ენის საშუალებით გვეძლევა აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ინფორმაციის გაცვლის საშუალება.

ინფორმაციის გადაცემა და მიღება ნაირგვარი საშუალებებით შეიძლება. ამ საშუალებებს სემიოტიკაში (ასე ეწოდება ინფორმაციის გადაცემის და მიღების შემსწავლელ მექანიზმებს) სიგნალებს უწოდებენ. სიგნალი მრავალნაირია: იგი შეიძლება წარმოადგენდეს გაუაზრებელ სიგნალ-ინდექსს, როგორცაა, მაგალითად, კურდღლის ნაკვალევი ფიფქ თოვლში; სიგნალ-საგანს, როგორცაა, მაგალითად, მესაათის ჭიხურში გამოკიდებული საათები; სიგნალ-ნიშანს, როგორცაა, მაგალითად, წითელი შუქი, რომელიც ქუჩაზე გადასვლას კრძალავს და სხვ. ჩვეულებრივი სიგნალებისაგან ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება. სიგნალებთან ენას აახლოებს მისი ნიშნადობა, ე. ი. ენის ერთეულები რაიმეს აღნიშნავენ; რამდენადმე — პირობითობა, მაგრამ არსებითად განასხვავებს დანაწევრებულობა და, განსაკუთრებით, სისტემურობა.

რამდენადაც ენის ფუნქცია ინფორმაციის გაცვლაა, მან უნდა გამოხატოს მიმართება ბუნების საგნებსა და მოვლენებთან, აღნიშნოს ისინი. ამ მხრივ ენა ნიშანთა (აღმნიშვნელთა) ერთობლიობაა; ყოველი სიტყვა ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა წყების აღმნიშვნელია, მაგრამ არა კონკრეტული საგნის კონკრეტული, არამედ განზოგადებული აღმნიშვნელი, რომელშიც გამოხატულია ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა წყების ძირითადი ნიშნები. „ყოველი სიტყვა უკვე აზოგადებს“. — წერდა ვ. ი. ლენინი; მაშასადამე, ყოველი აღმნიშვნელი აღსანიშნის უკვე განზოგადებულ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრამ ენა მხოლოდ სიტყვებისაგან არ შედგება, იგი უფრო რთულ კავშირურთიერთობას ითვალისწინებს არა მარტო სიტყვათა, არამედ, ერთი მხრივ, მის შემადგენელ ელემენტთა: ბგერათა (ფონემათა) და ბგერათკომპლექსთა, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვათა რთულ შენაერთებსა და წინადადებათა შორის. ეს კავშირურთიერთობანი გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილებიან და ქმნიან ენის სისტემას.

ამრიგად, სისტემა ზოგადად საგანთა ან მოვლენათა წყებებს შორის არსებული განზოგადებული კავშირურთიერთობაა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინს (ცნებას) — ს ი ს ტ ე მ ა — ორგვარი მნიშვნელობით ხმარობენ: 1) თვით მეცნიერების ობიექტის (ამ შემთხვევაში ენის) სპეციფიკისა და მნიშვნელობათა დასახასიათებლად და 2) იმ მეთოდთა განსასაზღვრავად, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერების ობიექტის შესწავლისათვის. თანამედროვე ენათმეცნიერთა უმრავლესობა სისტემის ცნებაში გულისხმობს იმ განზოგადებულ ერთეულთა წყებას (სიმრავლეს), რომლებიც ერთურთს შორის მიმართებას ამყარებენ (ნაშრომშიც ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული იგი).

სისტემურობა დანაწევრებულობას გულისხმობს, მაგრამ არა სისტემის ერთეულთა ნებისმიერ დაყოფას, არამედ მათ დანაწევრებას ცალკეულ ელემენტებად (ელემენტთა წყებებად, სიმრავლეებად), რომელთა შორის გარკვეული მიმართებაა. ნიმუშისათვის შეიძლება

დავასახელოთ წილადი; მაგ. $\frac{1}{4}$. მთლიანობაში იგი ერთ ცნებას გამოხატავს, აღნიშნავს რაოდენობას, სახელდობრ — რაიმე საგნის ან საგანთა სიმრავლის მეოთხედ ნაწილს, მაგრამ ეს რაოდენობა გამოხატულია ორი ელემენტის (1-ისა და 4-ის) მიმართებით; შდრ. ცალკე რაოდენობის აღმნიშვნელები 1 და 4. შეფარდებისას ორსავე ელემენტს თანაბარი განმასხვავებელი (ანუ, როგორც მათ უწოდებენ, მადიფერენცირებელი) მნიშვნელობა აქვს. მრიცხველით (1) ეს წი-

ლადი უპირისპირდება ნებისმიერ სხვა წილადებს, რომლებიც მეოთხედთა რაოდენობას აღნიშნავენ (შდრ. $\frac{2}{4}, \frac{3}{4}, \frac{4}{4}, \frac{5}{4}, \frac{6}{4}$

$\frac{7}{4}, \infty$); იმავე დროს მნიშვნელით (4) უპირისპირდება სხვა წილადებს, რომელნიც ერთ ნაწილს აღნიშნავენ (შდრ. $\frac{1}{1}, \frac{1}{2}, \frac{1}{3}, \frac{1}{5}, \frac{1}{6}, \frac{1}{7}, \frac{1}{8}, \frac{1}{9}, \frac{1}{10}, \frac{1}{15}, \frac{1}{20}, \infty$),

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ენაშიც; მაგალითად, სიტყვათა შეხამება ხის სახლი ერთ ცნებას გამოხატავს, აღნიშნავს საგანს, მაგრამ ეს ცნება რთულია. იგი ერთზე მეტი (ამ შემთხვევაში ორი) ელემენტისაგან შედგება, რომელთაგან ერთი აღნიშნავს თვით საგანს, ხოლო მეორე — მასალას. თითოეული ელემენტი უპირისპირდება ამ ერთიან (მაგრამ დანაწევრებულ) ცნებას (ხე — ხის სახლი, სახლი — ხის სახლი). გარდა ამისა, მთლიანად ეს დანაწევრებული ცნება უპირისპირდება სხვა დანაწევრებულ ცნებებს (ხის სახლი — აგურის მარანი — ქვის ბეღელი).

ამრიგად, დანაწევრებულ ერთეულთა დაპირისპირებას შეიძლება პქონდეს რამდენიმე სახე:

1) ერთერთს უპირისპირდება მთლიანად დანაწევრებული ერთეულები: $\frac{1}{4} - \frac{2}{5} - \frac{5}{6} - \frac{6}{7}$; ხის სახლი — ამხანაგის წიგნი — ძმის ქული ..

2) ერთერთს უპირისპირდება დანაწევრებული ერთეულების ცალკეული ელემენტები:

- ა) ხის სახლი — კაბე, მოაჯირი, ქოში, სათამაშო. .
- ბ) ხის სახლი — ქვის, აგურის, ბეტონის... სახლი.

რაც უფრო მეტი ელემენტია ამა თუ იმ ერთეულში, მით უფრო მეტია მისი დაპირისპირებულობა სხვა ერთეულებთან, მით უფრო მეტი ნიშნით ხდება ამა თუ იმ საგნებისა თუ მოვლენათა განსხვავება სხვა საგნებისა და მოვლენებისაგან ან გამონაწევრება მსგავს საგანთა თუ მოვლენათა წყებიდან.

ელემენტთა დაკავშირება ამა თუ იმ ერთეულში ნებისმიერი არაა. მათ შორის რაიმე ურთიერთკავშირი უნდა იყოს. თვით საანალიზო ობიექტის (საგნისა თუ მოვლენის) თავისებურებანი, ზოგჯერ მისი არსიც (მაგ., წილადი $\frac{1}{4}$), სწორად მის ელემენტთა ურთიერთმიმართებაში ვლინდება. რაიმე საანალიზო ობიექტის ელემენტთა შორის არსებულ ურთიერთკავშირს, ურთიერთდამოკიდებულებას, საზოგადოდ, ურთიერთმიმართებას სტრუქტურას უწოდებენ.

სტრუქტურის ცნება მკიდროდა დაკავშირებული სისტემის ცნებასთან, მაგრამ მათი მნიშვნელობანი ერთურთს არ ფარავენ. სისტემა არის რთული ობიექტი, რაიმე ერთეულთა წყება, რომლის ელემენტები ერთმანეთთან გარკვეულ მიმართულებას ქმნიან: სტრუქტურა კი სისტემის ერთეულთა შორის არსებულს მიმართება, რომელსაც აუცილებლად სისტემური ხასიათი აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტრუქტურა მიმართებათა ჯაჭვია, ხოლო სისტემა — მიმართებაში მყოფ ელემენტთა ერთობლიობა (წყება, სიმრავლე). პრიმიტიულ არითმეტიკულ მაგალითში $3+7 \times 9 - 2$ სტრუქტურაა $[] + [] \times [] - []$, ხოლო სისტემას ქმნიან რიცხვები (ამ შემთხვევაში, 3, 7, 9, 2), რომლებიც მიმართებაში იმყოფებიან ერთურთთან. ნიმუშისათვის ავიღოთ რიცხვითი სახელი 94, რომელიც თავისებური სისტემაა: $4 \times 20 + 10 + 4 - 0$ თხ-მ [*ე] = 0ე = და = [*ა] თ-0თხ-მეტი. აქაც სტრუქტურა იქნება გაოთხეცება და თოთხმეტის მიმატება, ხოლო სისტემას კვლავ რიცხვები შექმნიან.

ამრიგად, ერთურთისაგან იმიჯნება ორი ცნება: სისტემა და სტრუქტურა, ერთურთისაგან განსხვავებულია მათი ელემენტებიც. ენის სისტემის ელემენტებს შეადგენენ ენობრივი ერთეულები, რომელთაც ფიზიკური გამოხატულება აქვთ, ე. ი. ენის სუბსტანციებს (ფაქტებს) წარმოადგენენ, ხოლო სტრუქტურის ელემენტები მათ შორის არსებული მიმართების კონკრეტული სახეებია, რომლებიც თავიანთ მხრივ ქმნიან ენობრივ მოვლენას.

ზოგადად სუბსტანციური გამოხატულება აქვს სისტემის ყველა ერთეულს, რადგან სუბსტანციად ჩათვლილია ყოველგვარი საგანი, რომელსაც ფიზიკური გამოხატულება აქვს; მაგალითად, სუბსტანციებია მანქანის ნაწილები, ასოები გრაფიკულ სისტემაში, ბგერები ფონეტიკურ სისტემაში, ედამიანები კოლექტივში, პლანეტები მზის სისტემაში, მზის სისტემა ჩვენს გალაქტიკაში და ა. შ. როგორც ეხედავთ, სუბსტანცია, ანუ ერთეული, სისტემის ელემენტი, მისი მარტივი რგოლია, ხოლო ელემენტები ქმნიან უფრო რთულ ერთეულებს, რომლებიც ამ ელემენტებისაგან შედგება და სტრუქტურულ მიმართებას ავლენს. სუბსტანცია ყოველგვარი ენობრივი ნიშანია, რადგან „ენობრივი ნიშანი რომ მასალობრივად ფიზიკური არ ყოფილიყო, იგი ვერ გახდებოდა ურთიერთობის საშუალება“ (არნ. ნიქობაძე, თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზები. კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, 1, 1966, გვ. 185; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, 11, თბ., 1945, გვ. 144 და შმდ.).


ამა თუ იმ სისტემის ერთეულის სრულყოფილად დასახასიათებლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს როგორც მისი შემადგენელი

საქართველოს
პარლამენტის
მრეწველი
ბიბლიოთეკა

ელემენტის, სუბსტანციის, ისე ელემენტთა შორის კავშირთ-
ვრობათა თავისებურებანი. რაც უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება
სისტემის ერთეულის შესახებ, ე. ი. რაც უფრო დანაწევრებული იქ-
ნება ერთეული, მით უფრო ზუსტად შეგვეძლება მისი დახასიათება,
მის ელემენტთა შორის მიმართებათა დადგენა; მაგრამ ზოგჯერ უფ-
რო მიზანშეწონილია მხოლოდ მიმართებათა დახასიათება, სტრუქ-
ტურის ანალიზი სუბსტანციურ ელემენტთა გარეშე. ასე იქცევიან,
მაგალითად, მათემატიკაში: მარტივი ალგებრული ფორმულა
 $a^2 - b^2 = (a - b)(a + b)$, რომელშიც a და b ნებისმიერი რიცხ-
ვებია, მხოლოდ და მხოლოდ სტრუქტურულ მიმართებას გამო-
ხატავს და ეს მიმართება ქვეშარითა ყველა რიცხვისათვის. ამ
ტიპის სტრუქტურას ჩვენ ქვემოთაც შევეხებით, მაგრამ აქ აღვნიშ-
ნავთ მხოლოდ, რომ ეს (და მისი მსგავსი) ფორმულა წმინდა სტრუქ-
ტურულია.

ზოგჯერ სისტემის ელემენტები (სუბსტანციები) ერთი და იგი-
ვეა, მაგრამ მათ შორის მიმართება განსხვავებულია, რის შედეგადაც
სხვადასხვა რიგის ცნებებს ვაღებთ; შდრ.: ამხანაგი \rightarrow ძმის ამ-
ხანაგი — ამხანაგის ძმა, მეგობარი, მასწავლებელი \rightarrow მეგობრის
მასწავლებელი — მასწავლებლის მეგობარი (იხ. არნ. ჩიქობავა.
ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესა-
ხებ. კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეც-
ნიერების საკითხები“, II, 1967, გვ. 12).

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ქიმიურ ფორმულებში, რომელთა
ელემენტები (სუბსტანციები) ერთი და იგივეა, მაგრამ მათი ნაირგვა-
რი სტრუქტურული მიმართება სხვადასხვა ნივთიერებას ქმნის; მაგა-
ლითად, ეთილის სპირტი და დიმეთილეთერი ერთნაირი შედგენი-
ლობისაა: თითოეული მათგანი შეიცავს 2 ატომ ნახშირბადს, 1 ატომ
ჟანგბადსა და 6 ატომ წყალბადს; მაშასადამე, მათი სისტემის ერ-
თეულები თანაბარია, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან ერ-
თერთისაგან სტრუქტურის მხრივ და ეს სტრუქტურული სხვაობა
თვისობრივში გადადის, სხვადასხვა ნაერთს ქმნის; შდრ.:





სისტემისა თუ სტრუქტურის ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელია ენისა და ენობრივ მოვლენათა დონეები. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყოველი სტრუქტურის ძირეული ელემენტი მარტივი ობიექტია, მარტივ ობიექტთა შეერთება ქმნის რთულ ობიექტს და ა. შ. მაგალითად, წინადადება სტრუქტურულად რთული ობიექტია, რომელიც შედგება შედარებით მარტივი ობიექტებისაგან — შესიტყვებებისაგან, სიტყვათა ფუნქციური კვანძებისაგან (ბლოკებისაგან), შესიტყვებანი შედგებიან მარტივი ობიექტებისაგან, რომელთაც სიტყვათშეხამებებს ვუწოდებთ, ხოლო სიტყვათშეხამებანი — უმარტივესი ობიექტებისაგან, სიტყვებისაგან.

ამრიგად, სინტაქსური სისტემის (ან სტრუქტურის) უმარტივესი სუბსტანციური ერთეული, მისი უმცირესი ელემენტი არის სიტყვა (ჯერჯერობით ამგვარი განმარტებით დავკმაყოფილდეთ); მაგრამ ეს ზღვება ენის ანალიზის სინტაქსურ დონეზე. მორფოლოგიურ დონეზე ყოველი სიტყვა სულ მცირე ორი სტრუქტურული ერთეულისაგან — ლექსემისა და მორფემისაგან — შედგება. თავიანთი მხრივ ლექსემაცა და მორფემაც რთული ობიექტებია, რომლებიც ფონემებად იშლება.

ენა თავისებური დიდი სისტემაა, მაკროსისტემაა. იგი ნაწევრდება რიგ ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ მიკროსისტემებად (ქვესისტემებად, სტრუქტურებად), რომელთა ერთობლიობა ქმნის ენობრივ ნორმას, რომელიც სავალდებულოა ამა თუ იმ ენაზე მეტყველი ყველა ადამიანისათვის. ენობრივ ნორმაში შედის როგორც ენობრივი ფაქტები (ენის სათპერაციო ერთეულები), ისე ენობრივი მოვლენები, რომლებიც ამ ფაქტთა ურთიერთობითაა მიღებული. ბგერების, ბგერათშეხამებათა, სიტყვების, სიტყვათშეხამებათა, შესიტყვებათა და, დასასრულ, წინადადებათა სტრუქტურული სქემების დაცვა ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის.

ენის სისტემის ცნება საზოგადოა, მაგრამ თვით ენის სისტემა არ არის რაიმე განყენებული რამ, რომელიც თანაბრად მოერგებოდა ყველა ენას. ყოველი ენა ექვემდებარება სისტემურობის პრინციპს, მაგრამ სხვადასხვა ენის სისტემა ნაირფეროვანია, რასაც თვით ენის ზუნება (მისი ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული და სხვა თვისებები) განაპირობებს.

ენის სისტემური (სტრუქტურული) ხასიათი ვლინდება მის სხვადასხვა მხარეში: ლოგიკაში, ფონეტიკაში, ლექსიკოლოგიასა და ა. შ., მაგრამ სისტემურობა ყველაზე მეტად ნათელია გრამატიკაში: მორფოლოგიასა და სინტაქსში. გრამატიკის ეს დარგები თავიანთი მხრივ ენის სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებენ. „ენის

სისტემურობა ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული სიტყვათა ცვა-
ლებადობისა და სიტყვათა შეკავშირების ფორმულებში“ (არნ. ჩი-
ქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1952, გვ. 54).

როგორც აღვნიშნეთ, სისტემისა და სტრუქტურის ცნებები ერთმანეთს არ ფარავენ. სისტემის ცნება უფრო ზოგადია; სამაგიეროდ, ამა თუ იმ ენის რომელსავე სტრუქტურაში უფრო მეტად ვლინდება ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის, ერთეულის ნაირგვარობა. ენის სტრუქტურათა ერთობლიობა (სისტემის ერთეულთა ურთიერთმიმართება) ქმნის ენის საერთო, საზოგადო სისტემას; მაშასადამე, სტრუქტურა სისტემის ერთ-ერთი მხარე, მისი რგოლია.

ზოგადად თვით სტრუქტურაც სისტემური ხასიათისაა, მასშიც ჩანს შინაგანი და გარეგანი დამოკიდებულებანი. ყოველგვარ ენობრივ ელემენტს (როგორც ფაქტს, ერთეულს, ისე მოვლენას) ახასიათებს ნიშან-თვისებათა სიმრავლე, რომელიც განაპირობებს მის გაერთიანებას ერთი წყების ელემენტებთან და იმავე დროს მის (და მასთან გაერთიანებულ ელემენტთა სიმრავლის) დაპირისპირებას სხვა წყების ელემენტთა სიმრავლესთან, ამდენად ცალკეულ ნიშან-თვისებათა სიმრავლეს ერთდროულად მაინტეგრებელი (გამაერთიანებელი) და იმავე დროს მადიფერენცირებელი (განმასხვავებელი, გამთიშავი) მნიშვნელობა აქვს; მაგალითად, ფონოლოგიური სტრუქტურის სისტემური ხასიათი ჩანს, ერთა მხრივ, ფონემათა შორის ურთიერთმიმართებაში, რაც ქმნის ფონემათა გარკვეულ ჯგუფებს, რომელთაც შინაგნად ერთურთს შორის გარკვეული ურთიერთმოქმედება ახასიათებთ, მაგრამ იგივე ჯგუფები (მათ ნიშან-თვისებათა სიმრავლე) გარეგნად სხვა (მაგალითისათვის თუნდაც ლექსიკურ ან გრამატიკულ) სტრუქტურაზე ახდენენ გავლენას, არღვევენ საკუთარი სტრუქტურის საზღვრებს.

ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ერთნაირი მნიშვნელობისა არაა. ზოგს ენის სისტემაში უმარტივესი (ელემენტარული დონის), ზოგს უფრო მეტი, ხოლო ზოგს არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის ძირითადი მხარისათვის, მისი სამეტყველო ფუნქციის შესრულებისათვის, მაგრამ მნიშვნელობათა ნაირგვარი დონე არ ნიშნავს, რომ ენაში გვექონდეს უფუნქციო სტრუქტურული ერთეული ან თუნდაც უფუნქციო უმარტივესი მოვლენა. ენაში არ არსებობს მოვლენა, რომელსაც რაიმე დანიშნულება არ ჰქონდეს, გარკვეულ ფუნქციას არ ასრულებდეს ან სინქრონიულად, ან დიაქრონიულად.

შენიშვნა: რასაკვირველია, ენის სინქრონიულად შესწავლისას შეიძლება შეგვხვდეს უფუნქციო აფიქსები (როგორც დამოკიდებულებისა, ისე სადერივაციო), რომლებიც ან რომელსავე კონკრეტულ შემთხვევაში (ერთი კონკრეტული ფორმისათ-



ვის ან მის მსგავსთა სიმრავლისათვის), ან საზოგადოდ უფუნქციოა, არ ქმნის შესაბამის მოვლენას; მაგალითად, ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში აფიქსი ი- სასუბიექტო ქცევის და- მოკიდებულებას გამოხატავს (ი-ხატავს, ი-წერს, ი-კვლევს და სხვ.). ეგვეე აფიქსი კარგავს თავის ფუნქციას ე. წ. III ტიპის უღლებაში (ი-ცხოვრობს, ი-ცელქებს, ი-ხტუნებს და სხვ.). ამდენად შესაბამის (სასუბიექტო ქცევის) მოვლენას ეს უკანასკნელნი აღარ განარჩევენ.

ენის სტრუქტურას (მისი სხვადასხვა მხარის სტრუქტურას) თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ ყოველი სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული და იმავე დროს რთულ დამოკიდებულებას ქმნის სხვა სტრუქტურებთან; მაგალითად, მორფოლოგიური სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული სინტაქსურთან, რიგი მორფოლოგიური მოვლენები განაპირობებენ სინტაქსურ-სტრუქტურულ მოვლენებს, ფონემური სტრუქტურა მჭიდრო კავშირშია სხვა სტრუქტურებთან, უწინარეს ყოვლისა, ენის მორფოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკურ შედგენილობასთან.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, სტრუქტურა სისტემის ელემენტთა შორის არსებული მიმართებაა. კერძო სისტემათა (ფონემურისა, გრამატიკულისა, ლექსიკურისა და ა. შ.) ერთიანობა ქმნის სისტემათა სისტემას, ენის „სისტემის სისტემას“, რომელიც შესაბამის მაკრო და მიკროსისტემებად ნაწევრდება.

ამრიგად, ენა, როგორც სისტემა, ცალკეულ სისტემებად ნაწევრდება, რომლებიც თავიანთ მხრივ კიდევ უფრო ნაწევრდება შედარებით უფრო ნაკლები მოცულობის სისტემებად. ამაში გამოიხატება მთლიანად ენის, როგორც სისტემის, დინამიკურობა: მაგალითად, ენაში გამოიყოფა მისი გრამატიკული სისტემა, გრამატიკულში — მორფოლოგიური სისტემა, მორფოლოგიურში — ბრუნვათა სისტემა და სხვ. (არ ნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები. იკვ. XVI, გვ. 6 და შმდ.).

სისტემის სხვადასხვა (მაკრო თუ მიკრო) დონეზე ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის ან მოვლენის ადგილს განაპირობებს მისი ფუნქციური და ფორმობრივი თავისებურებანი.

ამრიგად, კერძო სისტემას (მეტ-ნაკლები მოცულობისას) ორმხრივი ურთიერთობა (მიმართება) აქვს: ცალკეული სისტემა თავისზე უფრო დიდი მოცულობის სისტემასთან მიმართებით მიკროსისტემას, მაგრამ იმავე დროს თავისზე უფრო მცირე მოცულობის სისტემასთან მიმართებით მაკროსისტემას წარმოადგენს; მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სისტემის სხვადასხვა დონეზე მოთავსებული ერთეულები საუკუნოდ არიან მიჯაჭვულნი თავიანთ ადგილებზე. სის-

ტემა, ჩვეულებრივ, დინამიკურია, ცვალებადი. მის ერთეულებს შეუძლიათ, შეიცვალონ ადგილი, გადავიდნენ იმავე დონის სხვა მიკროსისტემაში ან თავისზე უფრო მაღალ (მაკრო) სისტემაში გადაინაცვლონ. ეს ცვლილება, როგორც წესი, ფუნქციის შეცვლით (მეტყველებაში) იწყება, რასაც ხშირად ფორმოზღვრვით თავისებურებათა შეცვლა მოსდევს ხოლმე, ამის საუკეთესო ნიმუშია სიტყვათა კლასის შენაცვლება წარმოქმნის გზით და, განსაკუთრებით, სიტყვათა წარმოების საშუალებათა გამოყენების გარეშე (სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია, ადვერბიალიზაცია და ა. შ.).

სისტემისა და სტრუქტურის ანალიზი ერთერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სისტემის ერთეულებს შორის სტრუქტურული კავშირის დადგენა მათი სისტემურობის საფუძველია.

როდესაც ვმსჯელობთ სტრუქტურის ანალიზის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ თვით ანალიზის ორი დონე: ზოგადი და კერძო. ზოგადი ანალიზი გულისხმობს სისტემის ყოველმხრივ დახასიათებას. მის ერთეულებს შორის ყველა სტრუქტურული მიმართების დადგენას, კერძო ანალიზის პროცესში კი ხდება სისტემის განხილვა ერთი (იშვიათად ორი) ნიშნის მიხედვით; მაგალითად, როდესაც სიტყვაში ვადგენთ ყველა ფონემის ურთიერთმიმართებას, განვიხილავთ ცალკეული ფონემის ლექსემურ თუ მორფემურ ღირებულებას, ეს სიტყვის ზოგადი ფონოლოგიური ანალიზი იქნება; მაგრამ, თუ რომელიმე ცალკე ფონემის მიმართებას დავადგენთ სხვა ფონემებთან და აღვნიშნავთ მის ან ლექსემურ, ან მორფემურ ღირებულებას, ეს უკვე კერძო სტრუქტურული ანალიზია. ასევე, თუ წინადადებაში დავადგენთ ყველა ერთეულის ურთიერთმიმართებას, ეს ზოგადი სინტაქსურ-სტრუქტურული ანალიზია, მაგრამ, თუ მხოლოდ ერთ სტრუქტურულ მიმართებას, მაგალითად რიცხვში შეთანხმებას, შევისწავლით, ეს კერძო ანალიზი იქნება.

სისტემის სტრუქტურული ანალიზისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკლასიფიკაციო, ანუ მადიფერენცირებელ, ნიშანს, რომელსაც ინდიკატორს უწოდებენ. ზოგადად, თუ მეცნიერების ყველა დარგს შევხებით, ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ნიშანთვისებათა, თვით მათი არსებობისა თუ არარსებობის გამოვლენას. ინდიკატორია ხელსაწყო; მაგალითად, ფიზიკაში ინდიკატორია ნათურა, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს, არის თუ არა დენი ელექტროსადენში. ქიმიკაში ცდების ჩატარებისას ინდიკატორად ფართოდ იყენებენ ლაკმუსის ქაღალდს, რომლის საშუალებით დგინდება ხსნარი მყავა თუ ტუტე რეაქციისაა (ცნობილი ფაქტი: თუ ხსნარში არის მყავა, ლაკმუსის ქაღალდი წითლდება, თუ ტუტეა — ლურჯდება).

ამრიგად, ინდიკატორი ხელს უწყობს სისტემის დანაწევრებას.
გ. ი. დისკრეტული სისტემის დადგენას. როგორც წესი, დისკრეტული სისტემა ორობითია, იგი აღნიშნავს ამა თუ იმ ნიშან-თვისების ქონას (+) ან არქონას (-).

შენიშვნა; ერთმა და იმავე ინდიკატორმა შეიძლება სამობითი სისტემა შექმნას. მაგალითად, იმავე ლაკმუსის ქაღალდის საშუალებით შეიძლება დადგინდეს სამობითი დისკრეტული სისტემა:

მჟავა (+) — ლაკმუსის ქაღალდი წითლდება,

მჟავა (-) — ლაკმუსის ქაღალდი ფერს არ იცვლის.

ტუტე (+) — ლაკმუსის ქაღალდი ლურჯდება.

ტუტე (-) — ლაკმუსის ქაღალდი ფერს არ იცვლის. ამის შესაბამისად შეიძლება დადგინდეს სამობითი დისკრეტული სისტემა: მჟავა (+წით.) — ნეიტრ. (-) — ტუტე (+ლურჯ.), მაგრამ მათი დაპირისპირება თავისუფლად შეიძლება ორობითს დისკრეტულ სტრუქტურებში: ა) მჟავა — ტუტე, ბ) მჟავა — ნეიტრალური, გ) ტუტე — ნეიტრალური. ანალოგიური მდგომარეობაა გრამატიკულ კატეგორიებში, რომელთა სამეღმეგნტიანი სისტემა თავისუფლად გადადის ორეღმეგნტიან სტრუქტურულ დაპირისპირებაში (იხ. დროის კატეგორიის სტრუქტურული მიმართება: წარსული — ახლანდელი — მომავალი; შდრ. ორობითი დაპირისპირება: წარსული — ახლანდელი და ახლანდელი — მომავალი).

ზოგჯერ გრამატიკულ კატეგორიათა ინდიკატორად თვლიან მორფემას, რომლის ქონა ან არქონა კატეგორიის არსებობაზე ან არარსებობაზე მიუთითებს, მაგალითად, სახელზე -ებ -ან -ნ/თ მორფების დართვა მათ მრავლობითის გაგებას ანიჭებს. მაგრამ ზოგადად ინდიკატორისაგან განსხვავებით მორფემა არ არის დამატებითი ხელსაწყო. იგი ენის შინაგანი საშუალებაა, ამიტომ არ შეიძლება მისი გაიგივება ინდიკატორთან. სწორედ ამიტომაც, რომ გრამატიკულ კატეგორიათა განხილვისას ვმსჯელობთ არა ინდიკატორზე, არამედ საკლასიფიკაციო, ანუ მადიფერენცირებელ, ნიშანზე.

სტრუქტურული ანალიზის პროცესში უწინარეს ყოვლისა დასადგენია სწორედ ზემოაღნიშნული მადიფერენცირებელი ნიშანი, რომელიც ენობრივ ერთეულთა წყებას დაყოფს დისკრეტულ სისტემებად.

ზოგადად სტრუქტურული ანალიზი რამდენსამე ეტაპს შეიცავს. ამჟამად მიღებულია შემდეგი ეტაპები:

1. სტრუქტურის გამოვლენა და აღწერა (ორიგინალის ან ორიგინალთა წყების ანალიზი).

2. სტრუქტურის ანალიზი, სტრუქტურულ მიმართებათა დადგენა.

3. მოდელირება, განზოგადებულ სტრუქტურულ კანონზომიერებათა დადგენა.

4. მოდელის ინტერპრეტაცია, განზოგადებულ სტრუქტურულ კანონზომიერებათა შემოწმება ცდით — მოდელის ინტერპრეტაციის შეჯერება ორიგინალთან.

1. 2. ენის ძირითადი ერთეულები

ენობრივ მოვლენათა ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია გაიმიჯნოს ერთურობისაგან ორი რიგის ცნებები: ერთეული და მოვლენა. როგორც აღვნიშნეთ, ენობრივ ერთეულად ითვლება ყოველგვარი ფაქტი, რომელსაც ფაზიკური გამოხატულება აქვს, ხოლო მოვლენად — ერთეულთა შორის მიმართება.

ენობრივი ერთეულები არსებობენ თვით ენაში, მათ მატერიალური გამოხატულება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ენას არა მატერიალურ, არამედ იდეალურ მოვლენად მიიჩნევენ. რამდენადაც ენა ობიექტური რეალობაა, რომელიც არსებობდა ენის მეცნიერულად შესწავლის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, ჩვენ მხოლოდ მისი აღწერა შეგვიძლია. მართლაცდა ენები უხსოვარი დროიდან არსებობენ. ამჟამადაც არის ენები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი, მაგრამ ამ ენაზე მოლაპარაკეთ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს, ერთურობის შეატყობინონ აზრი. ენის მეცნიერულად შესწავლისას გამოიყოფა გარკვეული ერთეულები, რომლებიც თვით ენაში არსებობენ და ნაირგვარ ფუნქციას ასრულებენ. ეს ერთეულები უნდა განვიხილოთ, როგორც ენათმეცნიერული ანალიზის, ე. წ. ენის შესწავლის, საოპერაციო ერთეულები. ენასა და მეტყველებას შორის განსხვავება მის ერთეულებშიც ვლინდება. ენათმეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი მხარს უჭერს იმ აზრს, რომლის მიხედვითაც უნდა ერთურობისაგან განვასხვაოთ მეტყველების ერთეულები და ლინგვისტური ანალიზის ერთეულები (იხ. Г. А. Климов. Фонема и морфема. М., 1968, გვ. 50, 51, და შმდ.), რომელთაც ენობრივს ვუწოდებთ.

მაგალითად, ყოველი სამეტყველო ენა ბგერითია. თანამედროვე ქართული ენის ფონემური სისტემა 33 ერთეულს მოიცავს, მაგრამ თითქმის ყოველ მათგანს აქვს რამდენიმე ენობრივი მნიშვნელობა. ენის ერთეული — ბგერა ს, სულ ცოტა, ორ დანიშნულებას ასრულებს: ესენია: ა) მიცემითი ბრუნვის აღნიშვნა და ბ) III სუბიექტური პირის გამოხატვა: შდრ.: მწერს (იგი მე მას) და მწერს (არსებითი სახელი მწერი მიცემით ბრუნვაში).

ამრიგად, ერთურთს „უპირისპირდება“ ენის სამეტყველო ერთეულები და ენობრივი (ენათმეცნიერული ანალიზის საოპერაციო) ერთეულები. ენობრივი ერთეულები განიხილება, როგორც ენობრივი მოდელის ელემენტები, მისი კომპონენტები.

შენიშვნა: ენისა და მეტყველების ზემოაღნიშნული „დაპირისპირება“ პირობითია. ენაში არ არსებობს ფაქტი ან მოვლენა, რომელიც იმავე დროს მეტყველებაში არ იქნება დადასტურებული.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ესა თუ ის ფაქტი ან მოვლენა ორი მიმართებით განიხილება: ერთი მხრივ, როგორც ენის, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მეტყველების ერთეული. ლინგვისტურ ანალიზში ენობრივ მოვლენათა ამგვარი ორობითი (დიქოტომიური, ბინარული) განიხილის დამკვიდრება ფ. დე სოსიურის სახელს უკავშირდება. ენას, როგორც აზრის ფორმას (აზრის ენობრივ გარსს), გახასხვევებენ მეტყველებისაგან, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობას (კომუნიკაციას) ენის საშუალებით. პირველი მხოლოდ საკუთრივ ენობრივ (ინტრალინგვისტურ) საშუალებებს იყენებს, ხოლო მეორისათვის ინტრალინგვისტურთან ერთად არაენობრივ (ექსტრალინგვისტურ) საშუალებათა ფართოდ გამოყენებაა დამახასიათებელი.


ყოველი სამეტყველო ენის სამი ძირითადი ერთეულია: ბგერა, სიტყვა და წინადადება. ამ სამი ერთეულის საშუალებით ახერხებს ადამიანი მრავალფეროვანი აზრის გადმოცემას (გამოხატვასა და შეტყობინებას). ენის ამ სამი ერთეულის ერთობლიობის საფუძველზე ზდება ყოველი მეცნიერების (როგორც მეცნიერების) თეორიულ და პრაქტიკულ დარგთა განვითარება. ენის სამეტყველო ერთეულებს შეესაბამება ენის სტრუქტურული ერთეულები: ფონემა, ლექსემა (სემანტემა), მორფემა, სინტაქსემა, რომლებიც კვლევის ბაზას წარმოადგენენ ენათმეცნიერების ცალკეული დარგებისათვის: ფონეტიკა-ფონოლოგიისათვის — ფონემა, მორფოლოგიისათვის — მორფემა, ლექსიკოლოგიისათვის — ლექსემა, სემასიოლოგია-ეტიმოლოგიისათვის — სემანტემა, სინტაქსისათვის — სინტაქსემა (სიტყვათა შეხამება, შესიტყვება, წინადადება) და ა. შ.

შენიშვნა: სინტაქსემა ეწოდება განზოგადებულ სინტაქსურ ერთეულს, რომელიც მოიცავს ყველა სინტაქსურ ერთეულს (მდრ. მორფემის ცნება). სინტაქსემა შეიძლება იყოს ვალენტური სიტყვა, სიტყვათშეხამება, შესიტყვება, კონსტრუქცია, მაგრამ იგი არაა წინადადება. წინადადებისა და სინტაქსემის ცნებები (ისევე როგორც, მაგალითად, ბგერისა და ფონემისა) ერთურთს არ ფარავენ, სინტაქსემა წინადადების სტრუქტურული ფორმობრივი ერთეულია.

გარდა დიფერენცირებული ერთეულებისა, შესაძლებელია მათი ერთობლიობაც იყოს კვლევის ბაზა; მაგალითად, ყოველი სიტყვა არსებითად ლექსემისა და მორფემის ერთობლიობაა (იხ. A. Мартине. Основы общей лингвистики. წგნ. «Новое в лингвистике», III. 1963, გვ. 369). ყოველი სიტყვათშეხამება — სიტყვათა, ყოველი შესიტყვება — სიტყვათშეხამებათა, ხოლო ყოველი წინადადება (ნორმალური) — შესიტყვებათა ერთობლიობა; მაგ., ლოგიკისათვის საკვლევი ბაზაა, წინადადება, როგორც აზრი (მსჯელობა), რომელიც გარკვეულ ლოგემურ ერთეულებად: ლოგიკურ შესიტყვებებად, სინტაგმებად, როგორც მსჯელობის სტრუქტურულ ერთეულებად, იშლება. სინტაგმა შედგება სიტყვებისაგან, რომლებიც მსჯელობის პერიფერიულ (ცნებითს) ელემენტებს წარმოადგენენ.

სისტემის სხვადასხვა (მაკრო და მიკრო) დონეზე ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის (ფაქტის ან მოვლენის) ადგილს განაპირობებს მისი ფუნქციები და ფორმობრივი თავისებურებანი. ერთი და იმავე რიგის ერთეულთა წყება (სიმრავლე) ქმნის ერთ სტრუქტურულ დონეს; ერთი და იმავე სტრუქტურული დონის ერთეულებს შორის მიმართება — ერთი რიგის მოვლენებს, რომელთაც შინაგან მიმართებას ვუწოდებთ; ერთი დონის ერთეულთა გადასვლა სხვა დონეში და ამ დონის ერთეულებთან გარკვეული მიმართების დამყარება გარეგანი მიმართებაა.

ძირითად სამეტყველო ერთეულებს (ბგერას, სიტყვისა და წინადადებას) შეესაბამება სტრუქტურული ანალიზის სამი დონე: ბგერით-ფონემური, სიტყვისა და წინადადების დონეები. ცალკეულ დონეზე შეიძლება ენობრივ ერთეულთა სხვადასხვა სისტემა შეიქმნას იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი ფუნქცია მეტყველების აქტში ან რა მიმართების შექმნა შეუძლია მას.



შენიშვნა: 1. ბგერას ვიხილავთ, როგორც მეტყველების უმცირეს, სემანტიკის უქონელ ელემენტს.

2. სიტყვას ვიხილავთ, როგორც მეტყველების უმცირეს, მაგრამ, ბგერისაგან განსხვავებით, სემანტიკის მქონე ელემენტს.

3. წინადადებას ვიხილავთ, როგორც უმცირეს, აზრის გამომხატველ ელემენტს.

4. სისტემათა ჩამოთვლა სრული არაა, მაგრამ ამჯერად სისტემათა რაოდენობის დაზუსტება კი არა, არამედ ენობრივი ერთეულებისა და მათი სისტემების ურთიერთმიმართება (ისიც ზოგადად) გვაინტერესებს.

აღნიშნული სამი დონიდან პირველი (ბგერით-ფონემური) პერიფერიულ დონედ უნდა ჩაითვალოს, რადგან მის ელემენტებს უშუალო კავშირი არა აქვთ ობიექტურ რეალობასთან, ასახვენ მას უფრო მაღალი დონის ერთეულთა მეშვეობით, წარმოადგენენ ამ ერთეულთა საშენ მასალას. ლექსემები, განსაკუთრებით ლექსემა-მორფემა (სიტყვა), ცნებათა სახით ასახვენ ობიექტურ რეალობას, მორფემები — ნაწილობრივ (მაგ., მრავლობითი რიცხვის კატეგორიის მორფემები). სინტაქსური დონის ერთეულები უფრო კონკრეტულად, დაზუსტებულად, წარმოგვიდგენენ ობიექტურ რეალობას.

დონეთა შორის ამ სემანტიკური სხვაობის გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც უფრო მაღალი დონისაა ერთეული, მით უფრო მეტ სიმრავლეს ქმნის იგი: ენაში უფრო მეტია მორფემა, ვიდრე ფონემა; სინტაქსურ ელემენტთა წყება გაცილებით უფრო მეტ სიმრავლეს მოიცავს, ვიდრე მორფემათა წყება და სხვ.

შენიშვნა: ა. მარტინეს მოხდენილი შედარებით, მონემათა (ლექსემათა, მორფემათა) რაოდენობა ღია სიბრტყის მოცულობის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ფონემა ამა თუ იმ ენაში უკვე მკაცრად განსაზღვრულია, იგი დახურული (ზღვრული) სიბრტყისაა (იხ. А. Мартине. Основы общей лингвистики, გვ. 383). ნ. ზომსკის აზრით, „ენა სასრული სიგრძის წინადადებათა ერთობლიობაა, რომლებიც შედგენილია სიმბოლოთა სასრული ანბანით ან, თუ სინტაქსით შემოვიფარგლებით, სასრული სიტყვებით“ (იხ. Н. Хомский. О некоторых формальных свойствах грамматик. Кибернетический сборник, 5. М., 1952, გვ. 279).

ამრიგად, სამი დონის სამეტყველო ერთეულებიდან პირველი (ბგერა) პერიფერიული ხასიათისაა და მეტყველების აქტში (სამეტყველო ერთეულთა სიმრავლეში) მას მხოლოდ ელემენტარული სამშენებლო მასალის როლი ენიჭება. სიტყვას, როგორც ენობრივ ერთეულს, რამდენადმე საშუალო მდგომარეობა უკავია, ხოლო წინა-

დადება ენის უმაღლესი დონის ერთეულს წარმოადგენს. შესაბამისად სინტაქსური ანალიზიც ყველაზე ფართო, მაღალი დონის აბსტრაქციაა.

შენიშვნა: მართალია, ბგერას, ცალკე აღებულს, მნიშვნელობა არა აქვს (გამოვრიცხავთ სპეციალურ გრამატიკულ ტექსტებს, რომლებშიც ბგერა სიტყვის ტოლფასად გვევლინება), მაგრამ იმავე ბგერას (ფონემას) სიტყვის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი (დისტინქციური ფუნქცია) ეკისრება როგორც ლექსემისათვის, ისე მორფემისათვის (პრიმიტიული ნიშნები: ა) ბგერა სიტყვას მნიშვნელობას უცვლის: ალი — ვალი — კვალი და სხვ., ბ) ბგერა სიტყვას ფორმას უცვლის: უყურებ — ვუყურებ). ორსავე შემთხვევაში ბგერის (ფონემის) დანიშნულება სცილდება ფონემურ საზღვრებს (შინაგან მიმართებას) და გადადის სხვა დონეში (გარეგან მიმართებაში).

ყოველი ენობრივი ერთეულის შესაბამის სისტემაში შეიმჩნევა სამი რიგი: დაბალი, შუალედური და მაღალი; მაგ., ფონემათა შეხამება გვაძლევს მათს კომპლექსებს, ხოლო კომპლექსთა შეხამება — სათანადო რთულ კომპლექსებს (ფონემა — კომპლექსი — კომპლექსთა კომპლექსი). სიტყვა ორმაგი ბუნებისაა, მასში განსხვავდება ლექსიკურ-სემანტიკური და ფორმობრივი მხარეები. ლექსიკურ-მორფოლოგიური სისტემის დაბალი რიგია ბგერათკომპლექსები ან მათი კომპლექსები, რომლებიც შესაბამისად ლექსემებს ან მორფემებს წარმოადგენენ, მაგრამ, რასაკვირველია, არა ყველა კომპლექსი, არამედ შერჩეული, „მორფემიზებული“ (იხ. ფ. ერთელიშვილი. „მორფემიზებული“ კომპლექსები ქართულში. იყე, XIV, გვ 147 და შმდ.) ან „ლექსემიზებული“, ე. ი. მორფემა-ლექსემად ქცეული კომპლექსები. ამ კომპლექსთა კავშირი ქმნის სიტყვას, როგორც სემანტიკურ-ფუნქციურსა და ფორმობრივ ერთეულს; სიტყვათა შეერთება — სიტყვათშეხამებას, რომელშიც ვლინდება სიტყვის ფორმობრივი (წმინდა მორფოლოგიური) და ფუნქციური თავისებურებანი, სიტყვათშეხამებათა (სიტყვათკომპლექსთა) შეერთება შესიტყვეებას ქმნის, ხოლო შესიტყვეებათა ერთიანობა — წინადადებას.

მიუხედავად მეტყველების აქტში ფონეტიკურ, ლექსიკურ-მორფოლოგიურ და ლოგიკურ-სინტაქსურ დონეთა სხვადასხვა ხვედრითი წონისა, ისინი ერთურობის არსებობას განაპირობებენ, უშუალოდ ან სხვა ერთეულის შუალობით გავლენას ახდენენ ერთურობზე (მართლაც რომ ეთქვას, არ არსებობს წინადადება სიტყვების გარეშე, ხოლო სიტყვა ბგერათა გარეშე). გრამატიკულ დონეთა (განსაკუთრებით ცალკეულ დონეთა სხვადასხვა რიგის) შესახებ მსჯელობისას საპირობა თითოეული მათგანის საზღვრის დადგენა. ამ მხრივ ენობ-

რივ ერთეულებსა და მის რიგებს შორის გამოიყოფა ორგვარი ელემენტები: ა) სპეციფიკური და ბ) სხვადასხვა დონისათვის საზიარო. ე. ი. თავს იყრის, ერთი მხრივ, ადეკვატური ფაქტები, რომელთა დაჯგუფება ჰომოგენურობის პრინციპის საფუძველზე ხდება. ხოლო, მეორე მხრივ, — არაადეკვატური.

შენიშვნა: ჰომოგენურობის პრინციპის შესახებ მოხდენილად აქვს შენიშნული ფ. დე სოსიურს: „მთელი ლინგვისტური აპარატი ბრუნავს მხოლოდ და მხოლოდ იგივეობათა და განსხვავებათა ირგვლივ, ამასთან ეს უკანასკნელი პირველთა მხოლოდ შებრუნებული მხარეა“ (იხ. Ф. де Сосюр. Курс общей лингвистики. М., 1933, გვ. 109).

ჰომოგენურობის პრინციპის მიხედვით დაჯგუფებული ერთეულები ქმნიან სტრუქტურის შინაგან მიმართებას, ხოლო განსხვავებულობა საფუძველია გარეგანი მიმართებისა, რაც ერთეულების ერთი დონიდან მეორეში გადასვლაში გამოიხატება. აქ გარკვეული წესი შეინიშნება: ერთი დონის მაღალი რიგის ერთეულები იმავე დროს მეორე (შემდგომი) დონის დაბალი რიგის ერთეულებს წარმოადგენენ; მაგალითად, ფონეტიკური დონის მაღალი რიგის ერთეულები (ბგერათკომპლექსები ან ბგერათკომპლექსთა კომპლექსები) იმავე დროს ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის დაბალი რიგის ერთეულებს (ლექსემებს ან მორფემებს) წარმოადგენენ, ხოლო ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის მაღალი რიგის ერთეულები (სიტყვათშეხამებანი) იმავე დროს სინტაქსური დონის დაბალი რიგის ერთეულებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ ერთეულთა გადასვლა ერთი დონიდან მეორეში უშუალოდ არ ხდება. წინადადება უშუალოდ სიტყვებისაგან კი არ შედგება, არამედ — გარკვეული სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომელთაგან ზოგი ზღვრულია, ხოლო ზოგი — შუალედური. ლინგვისტურ ანალიზში შუალედური დონისად ჩათვლილია ერთეული, რომელიც იმავე დონის უფრო მაღალი რიგის კომპონენტია, მაგრამ თვით შედგება უფრო დაბალი რიგის ერთეულებისაგან. შუალედური ერთეულები მოკლებულია თავისთავადობას, მაგრამ მათ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ ზღვრულ ერთეულებს შორის გავშირის დასადგენად.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი დონიდან მეორეში გადადის მაღალი რიგის ზღვრული ენობრივი ერთეული.

ენობრივ ერთეულთა ერთმანეთში გადასვლა შეიძლება გამოვხატოთ სქემით:

ფონემა → ფონემათა კომპლექსი → (ლექსემა || მორფემა₁) ⇒ მორფემა₂ (ლექსემა, მორფემა) → მორფემათა კომპლექსი → სიტყვა₁ ⇒ სიტყვა₂ (სიტყვათშეხამება) → შესიტყვება → წინადადება.

ბრამატიკული მოვლენის ზოგადი დახასიათება



სისტემის შესწავლა არ იზღუდება ამა თუ იმ ენაში არსებული იმ ბგერების, სიტყვების, შესიტყვებათა და წინადადებათა ემპირიული აღწერით, რომლებიც გამოყენებულია სამეტყველო კომუნიკაციის დროს. თავისთავად სისტემა ელემენტთა შორის მიმართებას გულისხმობს; მაშასადამე, სისტემის შესწავლას მის სხვადასხვა ელემენტს შორის არსებული მიმართების ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად.

ცნობილია, რომ ენობრივი ერთეულები იზოლირებულად არ არსებობენ, ისინი გარკვეულ მიმართებას ქმნიან როგორც ერთგვაროვან (ინტეგრებულ) ერთეულთა სიმრავლეში (სისტემაში), ისე მის გარეთ. ენის ერთეულთა ურთიერთზემოქმედება (მიმართება) ქმნის ენობრივ მოვლენას: ფონემათა ურთიერთობა (ურთიერთმოქმედება) — ფონეტიკურ მოვლენას; ლექსემათა და მორფემათა (ან მხოლოდ მორფემათა) ურთიერთმოქმედება — ლექსიკურ-მორფოლოგიურ (ან მხოლოდ მორფოლოგიურ) მოვლენას, ხოლო სიტყვათა (ლექსემისა და მორფემის სიმრავლეთა ერთობლიობისა) და სიტყვათშეხამებათა ურთიერთობა — სინტაქსურ მოვლენას.

მოვლენას იწვევს ერთი ელემენტის მოქმედება მეორეზე ან დონის შიგნით, ან მის გარეთ. ამდენად ყოველი მოვლენა გარკვეული ოპერაციაა, რომელშიც მოქმედებს ორი ელემენტი: ა) ზემოქმედების მომხდენი ერთეული, რომელსაც ოპერატორს უწოდებენ, და ბ) ზემოქმედების ობიექტი, რომელსაც ოპერანდი ჰქვია. ოპერაციის შედეგად ვიღებთ ან ახალ ერთეულს, ან ახალ მოვლენას (მიმართებას), რომელიც შესაძლებელია კვლავ რაიმე ერთეულის ან ოპერანდი, ან ოპერატორი გახდეს.

ოპერაციის საუკეთესო ნიმუშია რთული, კერძოდ რთული თანწყობილი წინადადების შექმნა. როგორც ცნობილია, რთული თანწყობილი წინადადება შედგება ორი ან მეტი მარტივისაგან (ან შერწყმულისაგან), როდესაც მათი შეერთება გვაძლევს ახალ დამატებითს ელფერს: მაგალითად, თუ შევაერთებთ წინადადებას: ბ ი ძ ა ჩ ე მ ი ი ნ ყ ი ნ ე რ ი ა, კ ო მ ბ ო ს ტ ო კ ი ქ ა რ თ ლ შ ი მ ო ჰ ყ ა ვ თ, რასაკვირველია, ვერ მივიღებთ რთულ წინადადებას, რადგან აქ არ არის ოპერაცია, შეერთების (ოპერაციის) შედეგად ვერ მივიღებთ ახალი მოვლენა ან თვისება: მაგრამ სხვა შემთხვევაში შეიძლება ოპერაციაც მივიღოთ; მაგალითად: ბ ი ძ ა ჩ ე მ ი ი ნ ყ ი ნ ე რ ი ა, დ ე ი დ ა კ ი — ე ქ ი მ ი. კ ო მ ბ ო ს ტ ო ქ ა რ თ ლ შ ი მ ო ჰ ყ ა ვ თ, ხ ო ლ ო, ც ი ტ რ უ ს ი — შ ა ვ ი ზ დ ვ ი ს ს ა

ნ ა პ ი რ ო ზ ე. აქ უკვე ოპერაციასთან გვაქვს საქმე, რადგანაც მის შედეგად მივიღეთ დამატებითი ელფერი (ამ შემთხვევაში — აზრობრივი დაპარსპირება).

ოპერაციის ნიმუშად ჩაითვლება აგრეთვე სინტაქსური დაქვემდებარების მოვლენა, როდესაც ერთი წევრის ფორმობრივი ან ფუნქციურ-ფორმობრივი ცვალებადობა აისახება მეორე წევრის ფორმობრივ ან შესაბამისად ფუნქციურ-ფორმობრივ თავისებურებებში (შდრ. ხნავს კოლმეურნე → მოხნა კოლმეურნემ; ხეს კრის → ხის მოჭრა).

მოვლენის (ოპერატორის ზემოქმედების) შედეგად ახალ სახეს ვიღებთ, მაგრამ ახალი სახის თვისების გამოსავლენად (ზოგჯერ, საერთოდ, თვით ოპერაციისათვისაც) მნიშვნელობა აქვს სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან ოპერაციას. ასეთია, მაგალითად, თვით ოპერატორის ან ოპერანდის ბუნება (ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურება), მათი პოზიცია, გარემოცვა (დისტრიბუცია); მაგალითად, ზმნა-შემასმენლის სუბიექტი ითანხმებს მას მრავლობით რიცხვში, I და II პირის ფორმებში ეს უღაგოა, მაგრამ III პირის ფორმებში არსებითად, დამოკიდებულია სუბიექტური პირის გამოხატვია (რელიზების) თავისებურებაზე (უსულოთა სახელების ებ-იანი მრავლობითის ფორმები, საზოგადოდ, ვერ ითანხმებენ შემასმენელს მრავლობითში).

ამრიგად, მოვლენად ჩაითვლება გარკვეული ურთიერთმიმართება ენის ერთეულებს (ან მის ელემენტებს) შორის. იმისდა მიხედვით, თუ რა დონეზე ან რომელ სისტემაში ხდება ეს ურთიერთობა, შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა წყების მოვლენები, როგორცაა, მაგალითად: ფონეტიკური, ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური) და სხვ.

მოვლენა გარდაქცევის (ოპერაციის) პროცესია, მაგრამ არა ერთეული, იზოლირებული პროცესი, არამედ პროცესთა წყება. მეცნიერებას აინტერესებს არა ერთეული გარდაქცევა, არამედ ისეთი გარდაქცევა, როდესაც ერთი და იგივე ოპერატორი ზემოქმედებას ახდენს ერთდროულად რამდენიმე ოპერანდზე და ამის შედეგად გვაძლევს სახეთა გარკვეულ სიმრავლეს“ (იხ. У. Р. Эшбн. Введение в кибернетику. М., 1959, გვ. 25; С. К. Шаумян. Проблемы теоретической фонологии. М., 1962, გვ. 42).

ნიმუშისათვის განვიხილოთ კონვერსიის მოვლენა ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებში (კონვერსიის ფაქტორი — მწკრივთა შენაცვლება). როგორც ცნობილია, საშუალი გვარის (მედიალურ) ზმნებს, ჩვეულებრივ, საკუთარი წარმოებისა აქვთ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები. სხვა მწკრივის ფორმებს ისინი „ივსებენ“ შესაბამისად მოქმე-

დებითი ან ვნებითი გვარის ზმნათა შესატყვისი ფუძეებიდან (მედიო-აქტივი — მოქმედებითი გვარის, ხოლო მედიო-პასივი — ვნებითი გვარის ფორმებიდან). საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნათა შენაცვლების (ოპერაციის) შედეგად შენაცვლებული მოქმედებითი გვარის ზმნა კარგავს პირდაპირ ობიექტს და ორპირიანი ზმნა ერთპირიანად, ხოლო შესაბამისად სამპირიანი ორპირიან ზმნად იქცევა. ეგვივე შენაცვლება იწვევს გარდამავალ ზმნათა გადასვლას გარდაუვალ ზმნებში, იმავე დროს — მოქმედებითი გვარის ზმნათა გადასვლას საშუალი გვარის ზმნათა კლასში.

ნიმუშები:

- ჩქარობს იგი — იჩქარებს იგი (*მას),
 იჩქარა მან (*იგი),
 უჩქარია მას (*იგი).
- იცოცხლობს იგი — იცოცხლებს იგი (*მას); შდრ. თავს
 აღარ იცოცხლებს.
 იცოცხლა მან (*იგი),
 უცოცხლია მას (*იგი).
- იღარაჯობს იგი — იღარაჯებს იგი (*მას)
 იღარაჯა მან (*იგი),
 უღარაჯ(ნ)ია მას (*იგი).
- სღარაჯობს იგი მას — უღარაჯებს იგი მას (*მას),
 უღარაჯა მან მას (*მას),
 უღარაჯ(ნ)ია მას (*იგი).

ამრიგად, კონვერსიის დროს (ამ ტიპისა) ოპერატორი (საშუალი გვარის ზმნა) გავლენას ახდენს ოპერანდზე (მოქმედებითი გვარის ზმნაზე) და შედეგად ვიღებთ სახეთა წყებას (სიმრავლეს), რომლებსაც სპეციფიკური თვისებები აქვთ. პირის დაკარგვა ზოგადად ეფარდება სინტაქსური კონსტრუქციის (კოორდინატთა რაოდენობის) კანონს, ე. ი. შენაცვლებული ფორმა „შეეგუა“ შემნაცვლებელს და გვიჩვენებს გარდაუვალ ზმნის თვისებას, გვაძლევს წინადადების ძირითად ერთეულთა (ქვემდებარის, შემასმენლისა და დამატების) შემდეგ შეხამებას: ქვემდ.—შემ. ან ქვემდ.—შემ.—დამ., მაგრამ იმავე დროს საერთოდ გარდაუვალი საშ. ან ვნ. ზმნებისაგან ასეთ სახეთა წყება იმით განსხვავდება, რომ შენახული აქვს თავისი ადრინდელი, წინა ვითარების კონსტრუქციული ფორმები (სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისა), რომლებიც გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) ზმნის არსებითი თვისებაა და ამ თვისებას ავლენს არა ერთი ან რამდენიმე ზმნა, არამედ ზმნათა წყება.



შენიშვნა: აღრიხდელ (წანა ვითარების) თვისებათა შენახვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარების სახეთა დადგენისათვის.

შენაცვლების შედეგად კონვერსია პირუტყუც ხდება. შენაცვლებული გავლენას ახდენს შემნაცვლებელზე, ე. ი. ის, რასაც ოპერატორის როლი უნდა შეესრულებინა, გამოდის ოპერანდის როლში, ხოლო ოპერანდი ოპერატორად იქცევა; მაგალითად:

- მღერის იგი (+ მას) — იმღერებს იგი მას, იმღერა მან იგი;
- სწავლობს იგი (+ მას) — ისწავლის იგი მას, ისწავლა მან იგი;

შდრ. „გიგლა სწავლობს გაკვეთილს“ (რ. ერისთ.).

მაგრამ ამ რიგის ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გამოჩაყლისი, ისიც გარკვეული კანონის მიხედვით ხდება, არ ჩაითვლება მოვლენად, რადგან იგი არ ახასიათებს ოპერატორთა ან ოპერანდთა წყებას (სიმრავლეს); ისინი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

ამრიგად, ოპერაციის შესახებ მსჯელობისას ვასხვავებთ მის ორ სახეობას: 1) მოვლენას, რომელიც ახასიათებს ერთნაირ ელემენტთა წყებას (სიმრავლეს) და კანონზომიერი (ტიპური) ხასიათი აქვს და 2) მოვლენას, რომელიც ერთეული ელემენტებისათვის არის დამახასიათებელი. ერთურთისაგან უკეთ გამოიჯნის მიზნით, პირველს მოვლენას უწოდებენ, ხოლო მეორეს — კერძო შემთხვევას. მოვლენები და კერძო შემთხვევები შესაბამისად ქმნიან ენის პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ ერთეულებს. მოვლენათა, როგორც კანონზომიერ ოპერაციათა, ერთობლიობა ქმნის ტიპობრივ (პროდუქტიულ) მოდელს.

რამდენადაც მოვლენები შეესაბამებიან სათანადო ერთეულებს, თ შორისაც ზოგადად ისეთივე მიმართებაა, როგორიც — შესაბამის ერთეულებში, ე. ი. მოვლენებს შორისაც აღინიშნება მაკრო და მიკროსისტემური მიმართება.



სინტაქსური მოვლენა აწესრიგებს ურთიერთობას, სულ მცირე, ორ სინტაქსურ ერთეულს შორის, განურჩევლად იმისა, თუ რა იერარქიულ დონეზეა ეს ერთეულები, წარმოადგენენ ისინი ვალენტურ სიტყვას, შესიტყვებასა თუ კონსტრუქციას.


სინტაქსურ მოვლენასაც იწვევს ერთი ერთეულის შემოქმედება მეორეზე, ე. ი. სინტაქსური მოვლენაც შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული სახის ოპერაციად, რომლის შედეგადაც დაბალი რიგის ერ-

თეულებისაგან ვიღებთ უფრო მაღალი რიგის ერთეულებს; მაგ., სინტაქსურ დონეზე ორგანიზებული (ვალენტური) სიტყვებისაგან ვიღებთ სიტყვათშეხამებებს, სიტყვათშეხამებათაგან — შესიტყვებებს, შესიტყვებათაგან — წინადადებას (გამოვრიცხავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაბალი რიგის ერთეულები „გადადიან“ მაღალ რიგში და მათ ეკვივალენტებად გვევლინებიან).


სინტაქსურ მოვლენათა ძირითად სახედ სიტყვათა შორის ურთიერთობაა მიჩნეული. ეს ბუნებრივია, რადგან წინადადებაში მის ელემენტებს შორის ჯაჭვური კავშირი სწორედ სიტყვების საშუალებით მყარდება. მართალია, წინადადება, როგორც მაღალორგანიზებული სინტაქსური ერთეული, შესიტყვებათა ერთობლიობაა, მაგრამ შესიტყვებათა შორის ურთიერთობა მათი პოზიციური ცენტრების საშუალებით ხდება, ხოლო პოზიციური ცენტრები (შესიტყვების ცენტრალური მაორგანიზებელი ერთეულები) სიტყვებს (წინადადების წევრებს) წარმოადგენენ.

სინტაქსური მოვლენა გარკვეულ მიმართებას ამყარებს სინტაქსურ ერთეულებს შორის. ამ ერთეულებს ოპერაციაში თანაბარი სვედრითი წონა არა აქვთ, ერთი მათგანი ზემოქმედების მომხდენი (ოპერატორი — დომინანტი), ხოლო მეორე ზემოქმედების ობიექტია (ოპერანდი — დეპენდენტი), რომელიც თავის მხრივ შეიძლება სხვა ერთეულისათვის დომინანტი გახდეს, ე. ი. სინტაქსური მოვლენისათვის ჯაჭვური კავშირია დამახასიათებელი.

გრამატიკული მოვლენებიც ერთეულთა შესაბამისად გარკვეულ იერარქიულ დონეებს ქმნიან. მათ დონეებშიც გამოიყოფა დაბალი, შუალედური და მაღალი რიგები, რომელთა მიმართებაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:




ამ მოვლენათა რიგებს შორისაც გარკვეული მიკრო და მაკროსტრუქტურული მიმართებაა:



სინტაქსურ მოვლენათა იერარქიული რიგი კარგად ჩანს სქემაზე (აღნიშნულია ერთეულთა მიმართება):

მოვლენები

ერთეულები



შენიშვნა: სინტაქსურ მოვლენათა დეტალური დახასიაზება იხ. ქვემოთ, თავი III. სინტაქსური მოვლენები.

1. 4. მორფოლოგია და სინტაქსი, როგორც ბრამბინიკის ღარგები, მათი ურთიერთკავშირი

გრამატიკა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, შედგება ორი დარგისაგან: მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან. მორფოლოგია

შეისწავლის მორფემებს, მათ კლასებსა და თავისებურებებს, სინტაქსი კი — წინადადების სტრუქტურასა და მისი აგებულების წესებს. მორფოლოგიაც და სინტაქსიც თავისთავადი დარგებია გრამატიკისა, მაგრამ არა იზოლირებული, არამედ ერთურთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული დარგები.

გრამატიკის საგანი არ შეიძლება იყოს არც კონკრეტული სიტყვის ან წინადადების შინაარსი, არც კონკრეტული ენობრივი ფაქტი. მისი ერთი ფორმა იგი „გამოყოფს ან ფაქტებში იმას, რასაც ენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: გრამატიკულ წყობას“ (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. გვ. 309); გრამატიკა კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ორი დარგისაგან — მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან — შედგება: ერთი სწავლობს მნიშვნელობის მქონე ერთეულების კლასებსა და ფორმებს, მორფემებს; ხოლო მეორე — მნიშვნელობის მქონე ერთეულთა ჯგუფებს — შესიტყვებებს და ამ ერთეულთა ურთიერთმიმართებას. გრამატიკის ამ ორივე დარგს კვლევის თავ-თავისი სფერო აქვს: ერთს-სიტყვა, ხოლო მეორეს — შესიტყვება; მაგრამ, მიუხედავად თავისთავადობისა, მათ შემხები ხაზებიც ძალიან ბევრი აქვთ. სიტყვის ამა თუ იმ ფორმის გამომწვევი მიზეზი შესიტყვებაა, ხოლო შესიტყვების საფუძველი — აზრობრივად დაკავშირებულ ერთეულთა მორფოლოგიური გაფორმება.

საერთოდ, გრამატიკულ მოვლენათა შესახებ მსჯელობისას წამოიჭრება კითხვა: შესაძლებელია თუ არა იმანენტურად (საკუთარი, შინაგანი საშუალებებით) სრულად გამოვლინდეს სიტყვის ამა თუ იმ კლასის ან სიტყვათშეხამების თავისებურებანი? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ამა თუ იმ მოვლენას ახლავს რაიმე განმსაზღვრელი პირობა ან იმავე დარგიდან (იმანენტური) ან მოსაზღვრე დარგიდან (ტრანსცენდენტული), რომლებიც აპირობებენ მის თავისებურებათა გამოვლენას (გამოხატვას). თუ მორფოლოგიას მხოლოდ სიტყვათა ცვლილების წესებად ჩავთვლით, მაშინ მის საგნად მხოლოდ ბრუნება და უღლება დაგვრჩებოდა, ხოლო ამჟამად მორფოლოგიაში განხილული რიგი კატეგორიები (მაგალითად, ფორმათწარმოქმნისა — ზმნის გვარი, ქცევა, ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხი და სხვ.) ენათმეცნიერების სხვა დარგში გადაინაცვლებდა.

სხვადასხვა დროს გრამატიკულ ანალიზში სხვადასხვა დარგი იყო წინ წამოწეული: ხან მორფოლოგიას ექცეოდა მეტი ყურადღება, ხან სინტაქსს. ამჟამად თითქოს მოგვარებულია მათი საზღვრების საკითხი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცე საზღვრის დადგენა ძალიან ძნელია, რადგან ენის დინამიკურობის გამო ენობ-

ოიგი ერთეული მრავალასპექტიანია, მისი შესწავლა სხვადასხვაგვარი მიდგომით შეიძლება. გასათვალისწინებელია ე. წ. შუალედური დონეებიც, რომლებიც ხშირად ნაირგვარ თვისებას ავლენენ; მაგ., იმდენად დიდია კავშირი მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის, რომ ზოგჯერ „სად თავდება მორფოლოგია და სად იწყება სინტაქსი — ეს ზუსტად არავენ იცის“ (Р. А. Будагов. Семантика слова и структура предложения. УЗ ЛГУ, серия ФН, вып. 10. 1946, გვ. 155).

მეტყველების ნაწილთა კატეგორია არსებითად სემანტიკური ოდენობაა, წმინდა სემანტიკურია ცალკეულ მეტყველების ნაწილთა შინაარსობრივი ჯგუფები (სემანტიკური ქვეკლასები), მაგრამ ისინი გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიებს აპირობებენ. ასევე მნიშვნელობა აქვთ სემანტიკურ ჯგუფებს სინტაქსის ცალკეული საკითხებისათვისაც; მაგალითად, თუ ქვემდებარე გამოხატულია უსულოთა არსებითი სახელით, იგი I მრავლობითში, ჩვეულებრივ, ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. ნაცვალსახელთა ჯგუფები ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობაა, მაგრამ პირის ნაცვალსახელით გამოხატულ წევრს რომ არ შეიძლება ახლდეს დაქვემდებარებული წევრი (განსაზღვრება), ეს უკვე ამ ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობის სინტაქსურა თვისებაა.

ამრიგად, სინტაქსური ფაქტებისა თუ მოვლენების თავისებურებათა გარკვევის დროს არ უნდა მოვერიდოთ ენათმეცნიერების სხვა დარგების გამოყენებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც ხდება მეცნიერების სხვადასხვა დარგთა კონსოლიდაცია. მეცნიერების ერთი დარგის კვლევის მეთოდები ფართოდ გადადის სხვა დარგებში (ამ მხრივ მათემატიკას ბადალი არა ჰყავს). დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ და განვითარებულ მეცნიერებათა „ურთიერთდაფარულ ველებზე“ წარმოიშვება არა მარტო მეცნიერების ახალი დარგები, არამედ ახალი მეცნიერებანიც კი.

საკითხი სხვაგვარად ისმის, როდესაც საქმე ეხება თვით გრამატიკულ ერთეულთა არსს. გრამატიკული ერთეული თუ მოვლენა იმანენტურად უნდა განისაზღვროს, მათი ინტეგრება ჰომოგენურობის საფუძველზე უნდა მოხდეს. ყოველ გრამატიკულ კატეგორიაში უნდა გამოიყოს, ერთი მხრივ, მისი ბირთვი, ერთგვარ განზოგადებულ ნიშან-თვისებათა წყება, რომელსაც ნორმის მნიშვნელობა აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, პერიფერიული (არაკომპლექტური) ერთეულები და მოვლენები, რომელთაც საერთოდ შემხები ბაზი აქვთ ნორმასთან, მაგრამ გარკვეულ სპეციფიკურ თავისებურებებს იჩენენ. ამის შესაბამისად გრამატიკული მოვლენები შეიძლება განხილულ იქნეს ორგვარად: ა) როგორც აუცილებელი რეგულარული პროცესი, რო-

მელსაც კანონზომიერი ხასიათი აქვს და ბ) როგორც შესაძლებელია, ფაკულტატიური პროცესი. რომელიც გამონაკლისებს ქმნის (იხ. ზემოთ განხილული ნიმუშები ფორმათა შენაცვლებისა საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნებში, სადაც შენაცვლებულ ფორმებში ბრუნვაცვალებადი ობიექტის დაკარგვას რეგულარული ხასიათი აქვს, ხოლო შესანაცვლებელ საშუალო გვარის ზმნებში დამატებითი პირის „გაჩენა“ ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია, მაშასადამე, ფაკულტატიურია და ქმნის გამონაკლისებს).

მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირი მათს ურთიერთშეპირობებულობაში გამოიხატება. ამ მხრივ შეიძლება დავახასიათოთ კონვერსიის მორფოლოგიური მოვლენა, რომლის არსებითი ნიშანია პირის დაკლება. არა „დაკარგვა“, რომელიც ხშირად ხდება მეტყველებაში (მაგ. მძინავს მე (*ძილი), არამედ კანონზომიერი ოპოზიციური ფორმების წარმოშობა, რომელიც არა ერთეული ფორმებისათვის, არამედ ფორმათა წყებისათვის რეგულარულად არის დამახასიათებელი; შდრ. აშენა — აშენდა. ამ ფორმათა დაპირისპირებას არა მარტო მორფოლოგიური, არამედ (თუ შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, რადგან პირის დაკლება უკვე რამდენადმე სინტაქსურ მოვლენათა წყებას განეკუთვნება) სინტაქსური მნიშვნელობაც აქვს, რადგან კონვერსიული ფორმის ბაზაზე იქმნება სრულიად ახალი ტიპის სტრუქტურა, სახელდობრ რეგულარულად ბრუნვაცვალებად ქვემდებარეს უპირისპირდება რეგულარულად ბრუნვაუცვლელი; შდრ. მუშა აშენებს, მუშამ ააშენა, მუშას აუშენებია — სახლი შენდება, აშენდა, აშენებულა და მისთ. (კონვერსიის სინტაქსური მნიშვნელობის შესახებ უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ 4. 3. ა. § 1.).

ამრიგად, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირია, ისინი ერთმანეთს აპირობებენ; მორფოლოგიური მოვლენა მიღებულია ერთგვარ ერთეულთა წყების შინაგანი კავშირის საფუძველზე და მათი მოდიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს, ხოლო სინტაქსური მოვლენა გარეგანი კავშირია, რომლის არსებითი ნიშანია მიმართება ენობრივ ერთეულთა შორის.

გრამატიკულ ერთეულთა თუ მოვლენათა ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელია ენობრივი ერთეულისა თუ მოვლენის დონე. რაც უფრო მაღალი დონისაა ერთეული (მოვლენა), მით უფრო მრავალფეროვანია იგი, რადგან მასში თავს იყრის ენის თითქმის ყველა დონის ერთეულები (მოვლენები). სწორედ ამიტომაც, რომ რიგ შემთხვევაში წინადადების შემადგენელ ერთეულთა შორის მიმართების განხილვისას გასათვალისწინებელია არა მარტო ენობრივი (ინტრალინგვისტური), არამედ მისი თანმხლები არაენობრივი (პარალი-

ნგვისტური) და საერთოდ არაენობრივი (ექსტრალინგვისტური) ფაქტორები. წინადადების შესწავლა მოითხოვს მის ანალიზს ერთდროულად სამი (ლინგვისტურ-სტრუქტურული, ლოგიკური და საკომუნიკაციო-სემანტიკური) ასპექტის მიხედვით მაინც.

1. 5. კატეგორია და ფორმა, გრამატიკული მნიშვნელობა

ყოველი მოვლენა გამოხატულია სათანადო კატეგორიაში. კატეგორიაში იგულისხმება მოვლენათა განზოგადებული ერთობლიობა, რომელიც ენობრივ ერთეულთა წყებისათვის არის დამახასიათებელი.

შენიშვნა: ტერმინს — კატეგორია — გრამატიკულ ლიტერატურაში ძალიან ფართოდ იყენებენ და მისი საშუალებით გამოხატავენ სხვადასხვა ცნებებს, როგორცაა, მაგალითად, ენობრივი ერთეული (სიტყვა, როგორც კატეგორია...), გრამატიკული ფორმა (მოთხრობითი ბრუნვის კატეგორია) და ა. შ.

გრამატიკული კატეგორია ენის სხვადასხვა მხარის (დონის) ყველაზე მეტად აბსტრაპირებული კატეგორიაა, რომელიც არა მარტო ერთეულთა წყების განზოგადებულ თვისებათა ერთიანობაა, არამედ — მკაცრად კანონზომიერი მიმართება მათ შორის. იმისდა მიხედვით, თუ რომელი დონის ერთეულთა თავისებურებაა გაანალიზებული, გვექნება შესაბამისი კატეგორიები.

კატეგორიები წარმოადგენენ გრამატიკულ მოვლენათა განზოგადებულ სახეებს, ხოლო მოვლენების არსებობა განპირობებულია საპირისპირო გრამატიკული ფორმების არსებობით. ენის მორფოლოგიურ დონეზე აღინიშნება კატეგორიათა შესაბამისი ფორმები; მაგალითად:

კატეგორია

ფორმები

- | | |
|--------------|-----------------------------|
| 1) ბრუნება | ბრუნვა (სახ. მოთხრ. მიც...) |
| 2) ასპექტი | სრული, უსრული |
| 3) პირი | სუბიექტური, ობიექტური |
| 4) სუბ. პირი | I, II, III და ა. შ. |

ამრიგად, ფორმათა ერთობლიობა ქმნის კატეგორიას, ხოლო კატეგორიის არსებობა (ქონა ან არქონა) განაპირობებს მოვლენას.

გრამატიკული კატეგორია ქმნის ენობრივი ერთეულის გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც გამოხატულია გრამატიკული ფორმებით.

შენიშვნა: ე. ბენვენისტი ენობრივი ერთეულის ფორმას განსაზღვრავს, როგორც მის უნარს, დაიშალოს უფრო დაბალი დონის ერთეულებად (მაგ., სიტყვა — მორფემებად), ხო-

ლო მნიშვნელობას — ენობრივი ერთეულის უნარს, შევადგეს უფრო მაღალი რიგის ერთეულში (იხ. Э. Бенвенист, Уровни лингвистического анализа, წგნ. «Новое в лингвистике», 4. 1965, გვ. 444).

საერთოდ, გრამატიკული კატეგორიის შესახებ მსჯელობისას შეიძლება დავემყაროთ წესს, რომელიც გამოისახება ფორმულით: ბა = ბმ + ბზ; ე. ი. გრამატიკული კატეგორია გვაქვს მაშინ, როდესაც გრამატიკული მნიშვნელობა გამოხატულია შესაბამისი გრამატიკული ფორმით, ხოლო გრამატიკული ფორმის არსებით ნიშნად ოპოზიციურობა არის საყოველთაოდ აღიარებული.

გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვა სხვა საშუალებებითაც შეიძლება. ასეთია სუბლექტივები, დამატებითი ლექსიკური ერთეულები და ფუძისეული ფონეტიკური ცვლილებები. გრამატიკული მნიშვნელობა ქცევისა შეიძლება ყველა ენაში გადმოიციოს, მაგრამ ყველა მათგანს არა აქვს გრამატიკული ფორმა, მაშასადამე, არც ქცევის გრამატიკული კატეგორიაა მათთვის ნიშანდობლივი. შევადაროთ ქართული და რუსული

ი-შენებს	строит —	для себя
უ-შენებს		для другого
ა-შენებს		вообще

მეორე მხრივ, შესაძლებელია გვქონდეს გრამატიკული ფორმა (უფრო ზუსტად, რაიმე მორფიანი სიტყვა), მაგრამ იგი აღარ გამოხატავდეს გრამატიკულ მნიშვნელობას: გა-უ-კეთებინებია აღარ გამოხატავს ქცევის გრამატიკულ კატეგორიას, რადგან ოპოზიციას ვერ ქმნის.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ესა თუ ის ფორმანტი აღარ გამოხატავდეს ძველ დამოკიდებულებას, ამ შემთხვევაში იგი ან სადერივაციო მნიშვნელობას იძენს, ან სხვა კატეგორიაში გადაინაცვლებს. შდრ. ა-ხურებს ← ხურს („კონტაქტი“) — ი-ხურებს — უ-ხურებს (ქცევა).

ერთი შეხედვით, ამას მნიშვნელობა არა აქვს სინტაქსური სტრუქტურისათვის, მაგრამ ეს ასე არაა: ხურს — ახურებს კონსტრუქციის ტრანსფორმაციასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, თუ მივიღებთ ზემოაღნიშნულს, მაშინ ასეთივე მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ შემდეგ სიტყვებშიც:

სახვ-ით-ი (ხელოვნება),

ცვლ-ად-ი (დენი),

წიგნ-მა მეგობრ-ის-ა-მ და მისთ.

გრამატიკული მნიშვნელობა არის ის აღსანიშნი (დესიგნატი),

რომელიც გადმოიცემა შესაბამისი გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლით — აღმნიშვნელით (დესიგნატორით), რომელიც თავის მხრივ გარკვეული გრამატიკული ფორმაა.

კატეგორიის მაჩვენებელი გრამატიკული ფორმაა, მაგრამ გრამატიკული მნიშვნელობის (ე. ი. იმ მნიშვნელობის, რომელიც გრამატიკული ფორმით გადმოიცემა) გამოხატვა სხვა საშუალებითაც შეიძლება; მაგალითად, მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ჩვეულებრივ -ებ ან -ს/თ მორფებით ხდება, მაგრამ ერთზე მეტი საჯნის ცნების გამოხატვა მათ გარეშეც შეიძლება; შდრ. სკამ-ებ-ი, სკამ-ი — ბ ე ვ რ ი სკამი და მისთ. ასევე გამოხატვის თვალსაზრისით უფროობითი ან ოდნაობითი ხარისხის მორფთა როლს ასრულებენ ნაწილაკები: უფრო და ოდნავ; შდრ. მო-თეთრ-ო — ო დ ნ ა ვ თ ე თ რ ი, უ-კეთ-ესი — უ ფ რ ო კ ა რ გ ი და მისთ. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ გრამატიკული მნიშვნელობის გადმომცემ შემდეგ ძირითადსა და მათი როლის შემსრულებელ საშუალებებს:

1) მორფემა (მორფთა განზოგადებული წყება),

2) ე. წ. „დამხმარე“ სიტყვები,

3) ფონეტიკური ცვლილებები ფუძეში (მაგ. აბლაუტი: გრეხ-გრიხ, რომელიც თემის ნიშნის ფუნქციურ ეკვივალენტად გვევლინება, მის როლს ასრულებს),

4) სუბლექტიურობა და სხვ. (იხ. А. В. Исаченко. О грамматическом значении. ВЯ, 1961, № 1, გვ. 28).

როგორც ვხედავთ, გრამატიკული მნიშვნელობა არ იზღუდება მხოლოდ მორფემით. იგი შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე ფორმის ეკვივალენტური ფუნქციის მქონე სხვა საშუალებებით, რომელთა მიხედვითაც ენობრივი ერთეულები გრამატიკული ფორმის გარეშეც გამოხატავენ იმ მნიშვნელობას, რომლის გამოხატვაც გრამატიკული ფორმით ხდება ხოლმე.

ზემოაღნიშნულთაგან გრამატიკული მნიშვნელობის გადმომცემ ძირითად საშუალებად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს გრამატიკული ფორმა, რომელიც შესაბამისი მორფემით (მორფთა წყებით) არის გამოხატული.

მორფემის შესახებ ზოგადად მსჯელობისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს მიმართება ნიშანსა და აღსანიშნს შორის. როგორც წესი, ნიშნის არსებობა აღსანიშნის არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ნიშანი არის, მაგრამ აღსანიშნი აღარაა ან, პირიქით, აღსანიშნი არის, მაგრამ ნიშანი არაა.

პირველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისტორიული ვითარება. ენის დინამიკურობა მისი არა მარტო ლექსიკური შედგენილობის, არამედ გრამატიკულ ფორმათა ცვალებადობაშიც

გამოიხატება. ენაში შეიძლება განვითარდეს ახალი კატეგორია, გაჩნდეს ახალი ფორმები ან, პირიქით, დაიკარგოს (გაქრეს) კატეგორია, მაგრამ შენახულ იქნეს ფორმა; მაგალითად, თანამედროვე ქართულში გაქრობის გზაზე დამდგარი ხოლმეობითობის მორფოლოგიური კატეგორია, რასაც შესაბამისი ფორმების დაკარგვა მოჰყვა (II ხოლმეობითისა: აღიღის, მოვიღის და სხვ.), I ხოლმეობითის ბაზაზე ჩნდება პირობითი კილოს ფორმა. დაიკარგა აგრეთვე ბრუნვის ფორმა, რომელიც ივ მორფით გადმოიცემოდა (შემონახული გვაქვს ზმნიზედებში: ოთხკუთხ-ივ, მხარილ-ივ; მარჯვენ-ივ, მარცხნ-ივ და სხვ.).

შესაძლებელია მორფმა „ადგილი იცვალოს“ და სხვა გრამატიკულ კატეგორიაში გადაინაცვლოს; ასეთია, მაგალითად, ზემოთ აღნიშნული ა, რომელიც ადრე სტატიკურ ზმნათა კაუზატივის (მოქმედებითი გვარის) ფორმებს აწარმოებდა, მაგრამ ამჟამად, დაუპირისპირდა რა სათავისო და სასხვისო ქცევის მორფებს, საარვისო ქცევის მორფად არის განხილული; შდრ.: წუხს—ა-წუხებს და ი-წუხებს, უ-წუხებს — ა-წუხებს (არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გლ, I, 1960, გვ. 059; ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 335).

ზემოაღნიშნული შემთხვევებისაგან (როდესაც მორფი აღარ გამოხატავს შესაბამის გრამატიკულ მნიშვნელობას და ეს მოვლენა მუდმივია) უნდა განვასხვაოთ მსგავსი მოვლენა, რომელსაც ფაკულტატიური ხასიათი აქვს; მაგალითად, ქართულში მოქმედებითი ბრუნვისათვის პროდუქტიული მორფია ით, ვითარებისათვის — აღ, მაგრამ სიტყვაში გულ-ით-აღ-ი, აღნიშნული მორფები აღარ გამოხატავენ შესაბამის ბრუნვებს, ისინი უკვე „ფუძის“ კუთვნილებად იქცენ და სადერივაციო მნიშვნელობა შეიძინეს. ანალოგიური მდგომარეობაა ნათესაობითი ბრუნვის „მორფიან“ სიტყვებში: მ-ის-ი, თავ-ის-ი, თბილ-ის-ი და სხვ.

მეორე რიგის შემთხვევათა (როდესაც აღსანიშნვი არის, ხოლო ნიშანი — არა) ანალიზის დროს გასათვალისწინებელია თვით კატეგორიის ხასიათი; სახელდობრ, იმანენტურია იგი თუ ტრანსცენდენტული. ამის ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ დროის კატეგორია ქართულში, რომლის არცერთ ფორმას არ გააჩნია შესაბამისი ნიშანი (მორფი).

შესაძლებელია ფორმას არ გააჩნდეს სათანადო მორფი, მაგრამ გრამატიკულ მნიშვნელობას იგი გამოხატაუდეს საპირისპირო (ოპოზიციურ) ფორმასთან მიმართებით, ე. ი. გვექონდეს „ნულოვანი“ ფორმა.

გრამატიკულ ფორმებს უპირისპირდებიან და იმავე დროს ფორ-

მის მნიშვნელობას ასრულებენ სხვა საშუალებები: სარელაციო სიტყვები, განსაკუთრებით კავშირები და თანდებულები, რამდენადმე ნაწილაკი; ფუძის ცვლილებებიც არსებითად მორფემათა როლს ასრულებენ, ასევე მორფემული მნიშვნელობა აქვს სუბლექტიურობასაც; მაგ.: მე — ჩვენი, შენი — თქვენი, ეს — მან, ადამიანი — ხალხი, ცხვარი — ფარა და სხვ.

სუბლექტიურობის არსებითი ნიშანია გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვა ლექსიკური საშუალებით, როდესაც ოპოზიციური „ფორმები“ ძირითა მიხედვით განსხვავდებიან ერთურთისაგან. ამიტომ სუბლექტივებად ვერ ჩაითვლება ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ფორმათა შენაცვლება (მაგ.: ცხოვრობს — იცხოვრებს, იწვის — იწვება და მისთ.).

ამრიგად, გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახატავად ენა, ძირითადად, იყენებს გრამატიკულ ფორმებს, მაგრამ სინტაქსური ანალიზის პროცესში მათ ეკვივალენტებსაც უნდა მიექცეს ყურადღება. გასათვალისწინებელია ეკვივალენტთა მნიშვნელობა სინტაქსური კავშირის შექმნაში. ყურადღება უნდა მიექცეს, ერთი მხრივ, გრამატიკული ფორმის სემანტიკურ ეკვივალენტებს: მაგ.: აშენებს კმისათვის (≈ უშენებს კმას, სემანტიკურად გამოხატულია სასხვისო ქცევის მნიშვნელობა), ოდნავ თერთო (≈ მოთერთო, სემანტიკურად გამოხატულია ოდნობითი ხარისხი) და მისთ., ხოლო, მეორე მხრივ, ფუნქციური ეკვივალენტობა („სუბლექტივები“: მე — ჩვენი, მე — შენი და მისთ.). სინტაქსური ანალიზის პროცესში გრამატიკული ფორმის ეკვივალენტად შეიძლება მოგვევლინოს კავშირი (მაგ., რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც დაქვემდებარება სპეციალური ლექსიკური ერთეულებით, მიმართებითი სიტყვებით: მაქვემდებარებელი კავშირებით, მიმართებითი ნაცვალსახელებით ან მიმართებითი ზმნიზედებით გამოიხატება) და ნაწილაკები, თუმცა ეს უკანასკნელი უპირატესად თავისთავად სიტყვასთან ერთად ქმნიან ერთ წევრს, ამდენად მათ უფრო სემანტიკურ-სტილური მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე სინტაქსურ-სტრუქტურული.

1. 6. მოვლენის ორობითობა

მოვლენათა (კატეგორიათა) ძირითადი თვისებაა მათი ფორმების ორობითობა (დიქოტომია, ბინარულობა), რომელიც თავისთავად ჯაქვეური ხასიათისაა. ყოველი ფორმა ავლენს ან არ ავლენს კატეგორიისათვის დამახასიათებელ თვისებურებებს, ქმნის ან არ ქმნის საპირისპირო ფორმებს. დაპირისპირებაში (ოპოზიციაში) აუცილებლად ორი წევრია (ბინარი); მათგან ერთი ძლიერია, ხოლო მეორე

სუსტი. ბინარი ძლიერი წევრი გამოხატავს კატეგორიისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, იგი „ნიშანდებულია“ (მარკირებულია) შესაბამისი მორფით; ხოლო სუსტი არ გამოხატავს კატეგორიის თავისებურებებს და, ჩვეულებრივ, არც სათანადო მორფი გააჩნია. ამის თვალსაჩინო ნიმუშად გამოდგება ყველა მორფოლოგიური (როგორც ფორმაცვლილების, ისე ფორმათწარმოქმნის) კატეგორიის ფორმები.

მართლაცდა, თუ გადავხედავთ მორფოლოგიურ კატეგორიებს, მისწინვე თვალში გვეცემა მათი ორობითობა. ერთ მხარეს თავსდება ფორმები, რომელთაც აქვთ კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო მეორე მხარეს — საპირისპირო ფორმები, რომელთაც ეს ნიშნები არა აქვთ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის ის გზა (დაპირისპირება), რომელიც აკად. ა. შანიძემ გამოიყენა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“. ავტორის აზრით, „სადაც დაპირისპირება არ არის, იქ არც არის მორფოლოგიური ნიშანი. დაპირისპირება, მაშასადამე, სულ ცოტა ორ სხვადასხვა ფორმას გულისხმობს, ურთიერთშორის განსხვავებულს ბგერათა შედგენილობითაც და გრამატიკული მნიშვნელობითაც“ (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 292-393).

ორობითი სისტემა დამყარებულია ე. წ. შენაცვლების (სუბსტიტუციურობის) პრინციპზე.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: სუბსტიტუციურობა სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში განხილულია ენობრივ ერთეულთა მსგავსება-განსხვავების დადგენის, კლასებად მათი გაერთიანების, ერთეულების დადგენისა და ა. შ. ძირითად საშუალებად (იხ. *О. С. АХМАНОВА. Словарь лингвистических терминов*. გვ. 461).

მორფოლოგიური ანალიზის დონეზე განიხილება ორი ძირითადი შემთხვევა:

1) მორფს ენაცვლება (უპირისპირდება) მორფის არარსებობა; შდრ. წიგნ-ებ-ი, წიგნ-ნ-ი — წიგნი, ვწერ--თ — ვწერ და სხვ.

2) მორფს ენაცვლება სხვა მორფი; შდრ. ი-შენებს — უ-შენებს; მ-აქებს — გვ-აქებს და სხვ.

ეს შემთხვევები სტრუქტურულ ლინგვისტიკაში განხილულია, როგორც პრივატული ოპოზიცია (ერთი ფორმა ნიშანდებული, მარკირებულია, ე. ი. კატეგორია გამოხატულია რაიმე ნიშნით; ოპოზიციური ფორმა კი არაა ნიშანდებული, არამარკირებულია, ე. ი. კატეგორია არაა გამოხატული ნიშნით, ნულოვანი ფორმისაა) და როგორც ეკვიპოლენტური ოპოზიცია (ორივე ფორმა გამოხატავს რაი-

მე ნიშან-თვისებას, რომელიც სათანადო ნიშნით არის გაფორმებული).

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

მაგალითად, პრივატული ორობითი ოპოზიცია გვაქვს შემდეგ ფორმებში:


№-№	კატეგორია	დაპირისპირებული ფორმები	
		ნიშანდებული	არანიშანდებული
1	რიცხვი	მრავლობითი	მხოლოდობითი
2	ასპექტი	სრული	უსრული
3	კონტაქტი	შუალობითი	უშუალო და სხვ.

ეკვიპოლენტური ორობითი ოპოზიცია გვექნება შემდეგ ფორმებში:

№-№	კატეგორია	დაპირისპირებული ფორმები	
		ნიშანდებული,	ნიშანდებული,
1	ქცევა	საბაჟისო	სახსებისო
2	პირი	სუბიექტური	ობიექტური
3	ობიექტ. პირი	I (მ-)	II (გ-) და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ორობითი მიმართების დადგენა სავსებით შესაძლებელია ისეთ კატეგორიებშიც, სადაც მოსალოდნელი ორის ნაცვლად სამი ან მეტი ფორმა მოგვეპოვება; ასეთია, მაგ.: დრო, ქცევა, გვარი, პირი, ბრუნვა და სხვა. ორობითობის დადგენა არ ნიშნავს მრავალრიცხოვან კატეგორიათა მოსპობას, იგი სისტემის სახეს აძლევს მათ; მაგალითად, დრო სამწევრა კატეგორიაა (არ ვეხებით სადავო საკითხს — არის თუ არა დრო ამჟამად მორფოლოგიური კატეგორია, რადგან მას სათანადო ნიშანი არ გააჩნია. დრო ზმნის ისეთივე აუცილებელია კატეგორიაა, როგორც მატერიის მოძრაობისათვის — დროის ფაქტორი). იგი შეიძლება დაიშალოს ორგვარ ბინარულ ოპოზიციად: ა) ახლანდელი—

— წარსული და ბ) ახლანდელი — მომავალი. დროის ფორმებთან ძირითადია ახლანდელი, ხოლო წარსული და მომავალი მასთან მიმართებით (შდრ. სასკოლო გრამატიკისეული განმარტება — უბნობის მომენტთან შეფარდება) განიხილება, როგორც რეტროსპექტული (უკუხედვითი) და პროსპექტული (წინხედვითი) მიმართულება. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს ორი ვექტორით:



ორობით სისტემასთან დაკავშირებით უნდა განხილულ იქნეს ე. წ. „ცალფორმიანობის“ საკითხი. მეტყველებაში ხშირად გვხვდება ფორმები, რომელთაც საპირისპირო ფორმა არა აქვთ, მაგრამ ამა თუ იმ კატეგორიისათვის დამახასიათებელ თვისებას მაინც ავლენენ; მაგალითად, ზმნა უყვარს საობიექტო ქცევის მნიშვნელობას გამოხატავს:

მ-ი-ყვარს	შდრ.	მ-ი-შენებს
გ-ი-ყვარს		გ-ი-შენებს
უ-ყვარს		უ-შენებს

მიუხედავად ამისა, ამ ზმნას არა აქვს ქცევის კატეგორია, რადგან არ მოეპოვება ოპოზიციური ცალი (ი-ყვარს ან ა-ყვარს ფორმები არ არსებობს ენაში). ასეთივეა ი ც ი ს (ცალფორმიანი სასუბიექტო ქცევა), ა რ ი ს (საშუალი გვარის ფორმა), გ ო რ ა ვ ს (უსრ. ასპექტის ფორმა) და ა. შ., რომლებიც ე. წ. გამონაკლისთა (არაპროდუქტიულ ფორმათა) წყებას ქმნიან. ორობითი ოპოზიციის კანონის საფუძველზე ამ ფორმებს აღარა აქვს სათანადო კატეგორიის არსებობისათვის აუცილებელი პირობა (საპირისპირო ცალი არ მოეპოვებათ) და შესაბამისად განიხილება, როგორც „უგვარო“, „უქცეო“, „უასპექტო“ და სხვ. ფორმები (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 207, 273, 318, 354). რიგ შემთხვევაში ამგვარი ფორმები სუბლექტურად ქმნიან საპირისპირო ფორმებს, სხვა ფუძეს ინაცვლებენ; მაგალითად: ზის — (ზიან) — (სხედს) — სხედან; ვშვრები — (დავშვრები) — ვიზამ — (დავშვერ) — ვქენ და სხვ. (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 512 და შმდ.; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059, შნშ. 1; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში. თბ., 1954; საკითხის შე-

სახებ აზრთა მიმოხილვა იხ. ივ. ქავთარაძის დასახ. ნაშრ. გვ. 1-11).

სუპლექტიური ფორმა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ოპოზიციური; მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე ფორმა ვერ ქმნის ბინარულ ოპოზიციას (თუნდაც სუპლექტიურად), კატეგორია მასში აღარ აღინიშნება. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე ენაში არ არის საგანთა რაცხვის გარჩევა (გრამატიკული). საგანთა რაოდენობას ეს ენა შესაბამისი ლექსიკური ერთეულით (ანალიზურად) აღნიშნავს (სახლი — ბევრი სახლი, ქვა — მრავალი ქვა). ბუნებრივია, ამ ენაში არ იქნება რიცხვის მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა შესაბამის მნიშვნელობას ენა გამოხატავს.

შენიშვნა: შეიძლება რიცხვი გამოხატული იყოს განმეორებითაც (რედუპლიკაციით); მაგ.: ქვა — ქვა-ქვა; შდრ. მალაიური ორანგ — ადამიანი, ორანგ-ორანგ (ორანგ²) — ადამიანები, ხალხი; შუმერული კურ — ქვეყანა; კურ-კურ — ქვეყნები (იხ. A. A. Реформатский. Введение в языковедение. М., 1967, გვ. 287).

ქართულში განსაკუთრებით ხშირია მსაზღვრელის გაორკეცება, რომელიც აუცილებელია მაშინ, როდესაც საზღვრული მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებს: ჩ ქ ა რ - ჩ ქ ა რ ი ე ლ ვ ა, მ კ ვ ა - ხ ე - მ კ ვ ა ხ ე ქ ა რ თ უ ლ ი და სხვ. (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 95). მართალია, განმეორება სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკულ საშუალებად არის მიჩნეული (იხ. ა. რეფორმატსკის დასახ. ნაშრ., გვ. 287), მაგრამ იგი მაინც ვერ ქმნის მორფოლოგიურ კატეგორიას, რადგანაც სათანადო მორფით არ იქმნება, თუმცა მორფოლოგიური ფორმის საკომპენსაციო საშუალებას წარმოადგენს.

ასეთია აგრეთვე ქცევის კატეგორია ინდოევროპულ ენებში. ქცევა ქართულში მორფოლოგიური კატეგორიაა, ინდოევროპულ ენებში კი მისი მნიშვნელობა არამორფოლოგიური საშუალებებით გადმოიკემა. მართალია, ეს ენები ახერხებენ ქცევის მნიშვნელობის გამოხატავს, მაგრამ ეს ხდება არა მორფემით, არამედ ლექსიკური საშუალებებით; შდრ.: *делает для тебя, er macht zur dich, he makes for you.*

რა საშუალებითაც უნდა გადმოიკეს მორფოლოგიური მნიშვნელობა, მაინც ვერ მივიღებთ კატეგორიას, თუ ურთიერთსაპირისპირო ფორმები (ორი მაინც) არ გვექნება. როგორც ვხედავთ, ორობითი სისტემა ეფუძნება ფორმულას $2 = = \emptyset$ რომლის საფუძველზეც ცალი ფორმა, რაგინდ მკაფიოდაც უნდა იყოს მასში გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობა, ვერ ქმნის კატეგორიას.

ორობითი სისტემა მოვლენებს შორის არა იზოლირებულ, არამედ ჩაქვეური ხასიათის კავშირს გულისხმობს.

შენიშვნა: მოვლენათა შორის ჩაქვეური კავშირის მოხდენილი (პოპულარული) დახასიათება აქვს მოცემული ა. შანიძეს: „საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რატომ განეკუთვნება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიას, შეიძლება მარტივად წარმოვიდგინოთ ნათესაური კავშირის ანალოგიით. კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე პირი ერთთან მიმართებით შეიძლება იყოს მამა, მეორესთან პაპა, მესამესთან შვილი, მეოთხესთან ძმა, მეხუთესთან მამი, მეექვსესთან სიმამრი, მეშვიდესთან მამამთილი და სხვა... მსგავსად ამისა, ერთისა და იმავე ფუძის სიტყვას ნაირ-ნაირი მიმართება აქვს იმავე ფუძის სხვადასხვა სიტყვასთან“ (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 393).


ჩაქვეური ხასიათის კავშირის საილუსტრაციოდ გამოვადგებოდა ქცევის კატეგორია. გრამატიკაში (ჩვეულებრივ, სასკოლოში) აღნიშნულია, რომ ზმნას სამი ქცევა აქვს: საარვისო, სათავისო და სასხვისო. ჩვენ არ შევუდგებით იმ წინააღმდეგობის დეტალურ ახსნას, რომელიც ქცევის კატეგორიის განმარტებასა და მათს სახეებს შორის არსებობს (თუკი ქცევა სუბიექტურსა და ობიექტურ პირებს შორის კუთვნილებით-დანაშნულებითს დამოკიდებულებას გამოხატავს, საარვისო ქცევა კი მას არ აღნიშნავს, როგორღა იგი ქცევის ფორმა?), მაგრამ საარვისო ქცევა სწორედ ორობითი სისტემის საფუძველზე ექცევა ქცევის კატეგორიაში. ამ სიტემის საფუძველზე ზმნები ქცევის კატეგორიის მიხედვით ორ ბინარულ ჯგუფად დაიყოფა:

1. ზმნები, რომლებიც არ გამოხატავენ ქცევის (კუთვნილება-დანაშნულების, მნიშვნელობას).
2. ზმნები, რომლებიც გამოხატავენ ქცევის გრამატიკულ მნიშვნელობას (კუთვნილება-დანაშნულებას).

თავიანთი მხრივ ქცევის მნიშვნელობის გამოხატველი ზმნები კვლავ ბინარულად იყოფა სუბიექტისათვის მიმართული, სასუბიექტო (სათავისო), და ობიექტისათვის მიმართული, საობიექტო (სასხვისო), ქცევის ფორმებად.

ორობითი სისტემის ჩაქვეური ხასიათის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ზმნის გვარის კატეგორიის ფორმათა სქემა:

ზმნა გვარის მიხედვით



ბინარული სისტემის „ჯაკვში“ მიკრო და მაკროსისტემური ურთიერთობა აშკარაა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში სისტემის ქაჯვს ქმნის დაპირისპირებულთა ერთ-ერთი წევ-

რბ, მეორე შემდგომ დიფერენციაციას ეთიშება („ჯაქვს გარეშე“ რჩება), რადგან ახალი ბინარული ურთიერთობის შექმნა მას აღარ შეუძლია.

1. 7. „ძირითადი“ და „შეძენილი“ კატეგორიები

საყოველთაოდ ცნობილია მორფოლოგიურ კატეგორიათა (და მათ შესაბამის მოვლენათა) ორი რიგი: ფორმაცვლილება და ფორმათწარმოქმნა. დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებს ზოგადად ფორმაცვლილების შემდეგი მოვლენები (კატეგორიები) ახასიათებთ:

- | | |
|----------------------|----------------------------------|
| 1) არსებითი სახელი | — ბრუნება, რიცხვი. |
| 2) ზედსართავი სახელი | — ბრუნება, რიცხვი. |
| 3) რიცხვითი სახელი | — ბრუნება, რიცხვი. |
| 4) ნაცვალსახელი | — ბრუნება, რიცხვი. |
| 5) ზმნა | — პირი, რიცხვი, მწკრივი. |
| 6) ზმნიზედა | — (ფორმაცვლილება არ ახასიათებს). |

აღნიშნულ კატეგორიათაგან წმინდა მორფოლოგიური (ფორმაცვლილების) კატეგორიაა ბრუნება (სახელებში) და პირი (ზმნებში).

რიცხვი ორმაგი ბუნების კატეგორიაა. იგი, ერთი მხრივ, წარმოქმნის (დერივაციის) მნიშვნელობისაა; მაგ., მრავლობითი რიცხვი არსებით სახელებს რამდენადმე უცვლის მნიშვნელობას (ს ა ხ ლ ი — ს ა ხ ლ ე ბ ი), გამოხატავს რა არა ერთი, არამედ რამდენიმე საგნის (საგანთა ჯგუფის) მნიშვნელობას, მაგრამ იმავე დროს იგი ფორმაცვლილების მოვლენაცაა, რადგანაც წარმოგვიდგენს ერთგვარ საგანთა მრავალფეროვნებას (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 168; ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 271-272).

მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენათა ურთიერთმიმართება ზემოთ დავახსიათეთ (იხ. 1. 4.). ამჟერად შევეხებით ფორმაცვლილების მოვლენათა (რომლებიც, ვიმეორებთ, იმავე დროს სინტაქსურ-წარმოქმნილი მოვლენებიცაა) თავისებურებებს სიტყვათა კლასებისა და ქვეკლასების მიხედვით.

როგორც აღინიშნა, ენობრივი ერთეულები გარკვეული სახის ნიშნებია. ისინი, ერთი მხრივ, მიემართებიან ობიექტური რეალობის საგნებსა და მოვლენებს (მაგ. არს. სახელები — ბუნების საგნებს, ზედსართავი — საგანთა ნიშან-თვისებებს, ზმნები — მოქმედებას ან მდგომარეობას, როგორც პროცესს და ა. შ.), ხოლო, მეორე მხრივ, ნიშნები თვით ნიშნებს მიემართებიან. ამის მიხედვით დგინდება ენობრივ ერთეულთა (აღმნიშვნელთა) ორი რიგი: აღმნიშვნელი და აღ-

მნიშვნელი. ნიმუშისათვის განვიხილოთ რიცხვის კატეგორია, ერთი მხრივ, არსებით სახელებსა და, მეორე მხრივ, ზედსართავ (II რიცხვითს) სახელებსა და ზმნებში. რიცხვს აღნიშნავენ არსებითი სახელები, როგორც ისეთ საგანთა აღმნიშვნელები, რომელთა დათვლაც შეიძლება (მდრ.: წიგნი — წიგნ-ე-ბ-ი, წიგნ-ნ-ი; ცხენი — ცხენ-ე-ბ-ი, ცხენ-ნ-ი და მისთ.); მაგრამ რიცხვის კატეგორია ზედსართავ სახელებსაც აქვთ, მათი ფუნქცია კი ნიშანთვისებათა გამოხატვაა, ხოლო ნიშანთვისებათა აღნიშვნა რაოდენობრივად არ შეიძლება. ამისათვის ზედსართავ სახელებს სხვა საშუალება გააჩნიათ — ხარისხის ფორმები, რომლებითაც ისინი გამოხატავენ ნიშანთვისებას მეტ-ნაკლები ოდენობით. ზედსართავ სახელებს შეუძლიათ რიცხვის გამოხატვა, მაგრამ არა უშუალოდ საგნებთან, არამედ საგნის აღმნიშვნელებთან (არსებით სახელებთან) მიმართებით. ბრუნება სახელთა ძირითადი კატეგორიაა. ქართულ ენაში არ არსებობს უბრუნველი სახელი (შეიძლება ითქვას, რომ ქართულში ნებისმიერი სიტყვის ბრუნება შეიძლება). ამ კანონს ყველა სახელი ემორჩილება, მათ შორის ისეთიც, რომელიც ნასესხებია სხვა ენიდან და იქ უბრუნველია (მაგ.: პალტო, დეპო, ყელე და სხვ.). მართალია, პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ არ განასხვავებენ ბრუნვის ფორმებს (მე-ს ორი „ფორმა“ გააჩნია: მე — ჩემ), მაგრამ ფორმო-ბრივი გაუდიფერენცირებლობა არ ახდენს გავლენას მათს ფუნქციურ დიფერენციაციასზე.

პირის კატეგორია ასევე არსებითი ნიშანია ზმნისათვის. თუ სიტყვა პირის მიხედვით არ იცვლება, იგი ზმნა არაა (ყოველ შემთხვევაში, სინტაქსური თვალსაზრისით), მაგრამ პირს განარჩევენ ნაცვალსახელებიც (პირისა და მისგან ნაწარმოები კუთვნილებითი), რომლებშიც პირი გამოხატულია არა მორფოლოგიური, არამედ ლექსიკური საშუალებებით (იხ. ა. მარტიროსოვი. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბ., 1964, გვ. 59).

აქვე ისმის კითხვა: რომლისთვის არის ძირითადი პირის გაგება: ნაცვალსახელისა თუ ზმნისათვის? პირის შინაარსი ნაცვალსახელებში გამოხატავს ვინც უბნობს (I პირი), ვისაც ეუბნებიან (II პირი) ან ვისზედაც უბნობენ (III პირი). პირთა ამ დიფერენციაციას უშუალოდ (რეალიასთან, აღსანიშნთან მიმართებით) გამოხატავს ნაცვალსახელი. ზმნაში იგი ასახულია არა როგორც უშუალოდ აღსანიშნთან მიმართება, არამედ — როგორც ამ მიმართების მიმართება, ე. ი. ზმნის პირი მეორეული აღმნიშვნელია. მართლაც, ინტუიციითაც კი შეიძლება რომელიმე ზმნის ფორმაში (მაგ., ჩქარობთ) დავადგინოთ მისი მიმართება თქვენ ნაცვალსახელთან, რომელიც იმ პირთა

(საგანთა) ჯგუფს აღნიშნავს, ვისაც ესაუბრებიან. „ზმნაში ცვლილება შეუძლებელია ისე, რომ მასში სახელის ნიშნები (წარმომადგენლები) არ იყოს, სახელის ცვლისას კი ზმნისეული ელემენტები არხად ჩანს“ (არნ. ჩიქობავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, V, გვ. 709. ხაზგასმა ავტორისაა — ა. დ.).

ასეთივე მდგომარეობაა რიცხვის კატეგორიაშიც. რიცხვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა მხოლოდ არსებით სახელებს აქვთ, როგორც ისეთ საგანთა წყების აღმნიშვნელებს, რომლებიც დაითვლება. მრავლობითი რიცხვი არსებით სახელებში გამოხატავს მიმართებას აღსანიშნთან (რეალიასთან), ხოლო სხვა სიტყვათა კლასებში მეორეული მიმართების (მიმართების მიმართების) აღმნიშვნელია; მაგალითად, ზმნას არ შეიძლება ჰქონდეს რიცხვი (ობოზიცია — მხოლოდობითი რიცხვისა და მრავლობითი რიცხვის ზმნები — არასწორია). რიცხვი აქვს ზმნის ამა თუ იმ პირს, რომელიც არის ასახული (მოქმედი ან სამოქმედო საგნის სახით განზოგადებული) ზმნაში, ხოლო საგნის ცნებითი (ტიპობრივი) შესატყვისი მხოლოდ და მხოლოდ არსებითი სახელია. როგორც აღვნიშნეთ, ასეთივე მდგომარეობა გვაქვს არსებითისადმი დაქვემდებარებულ ზედსართავ, რიცხვითსა და მათს ეკვივალენტ ნაცვალსახელებში, რომელთა რიცხვი შესაბამისი არსებითი სახელებისადმი დაქვემდებარებით არის გამოწვეული და, თუ ამ უკანასკნელთ დამოუკიდებლად ექნებათ რიცხვის გამოხატვის უნარი, მაშინ ისინი უკვე თავიანთი სიტყვათა კლასის ვითარებას კი არ გვიჩვენებენ, არამედ — არსებითთა კლასისა, რაც სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლებით არის გამოწვეული.

შენიშვნა: პირველად და „შეძენილ“ კატეგორიათა შესახებ მიახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა განსვ. პროფ. ვ. თოფურიაშვილმა საქართველოს სსრ ქართული ენის კათედრათა სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე 1965 წ. დეკემბერში.

ასევე შეიძლება განვიხილოთ ბრუნვაც, რომელიც არსებით სახელთა ძირითადი ნიშანია. ზმნა-სახელის ურთიერთობაში რომ ბრუნვა მეორეულ ვითარებას გადმოგვცემს, ეს არ უნდა იყოს სადავო, მაგრამ ასეთივე მიმართება უნდა ფიგურლისწმით სიტყვათშეხამებაში არსებითსა და სხვა სახელებს შორისაც.

ამრიგად, მორფოლოგიურ კატეგორიათა შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ: ძირითადია იგი თუ მიმართების შედეგად შეძენილი. ეს გარემოება ზუსტდება სიტყვათა კლასების ლექსიკურ-სემანტიკური ვალენტობის გათვალისწინებით და ერთსა და იმავე დროს აზუსტებს არა მარტო მორფოლოგიური კატეგორიის ბუნებას, არამედ სინტაქსურ დამოკიდებულებასაც სიტყვათშეხამებაში.

განვიხილოთ ეს მიმართებანი სქემაზე:



აღსანიშნი	აღმნიშვნელი	აღმნიშვნელი
1) პირი (საუბრის სუბიექტი ან მიმართვის საგანი)	პირის ნაცვალსახელი	ზმნა (ზმნის პირი)
2) საგანთა რაოდენობა (ჯგუფი)	არს. სახელის მრ. რიცხვი	ზმნის (პირის) მრ. რიცხვი; ზედს. რიცხვითი და მათი ეკვივალენტ ნაცვალსახელთა მრ. რიცხვი
3) მოქმედი ან სა-მოქმედო საგანი (ზმნური მოქმედების პროცესთან დაკავშირებული საგანი)	არს. სახელის ბრუნვა	ზედს. რიცხვითი და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელების ბრუნვა

ამ სქემის მიხედვით დგინდება გაბატონებულ თუ დაქვემდებარებულ წევრთა ურთიერთდამოკიდებულება (დაქვემდებარებულ წევრის სინტაქსური დამოკიდებულება გაბატონებულ წევრთან) სიტყვათშეხამებებში.

აღსანიშნი	მიმართება (ფორმა)	გაბატონებული წევრი	დაქვემდებარებული წევრი
1) მოუბარი, მიმართვის ან საუბრის ობიექტი	პირი	ნაცვალსახელი II არსებითი სახელი, რომელიც გათანაბრებულია III პირის ნაცვალსახელებთან	ზმნა
2) მოქმედებასთან დაკავშირებული საგანი	ბრუნვა	ზმნა	არს. სახელი (II ნაცვალსახელი)
3) მოქმედებასთან დაკავშირებული საგნის ნიშან-თვისება, რაოდ. და ა. შ.	ბრუნვა	არს. სახელი	ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი

4) საგანთა განზოგ. რიცხვი არს. სახელი
რაოდენობა

ა) ზმნა
ბ) ზედსართავი, (|| ნაცვალსახელი)

მიმართებათა „გაფორმებისას“ გასათვალისწინებელია სიტყვათა კლასების ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორფოლოგიური კატეგორიის დონეზე შეიძლება სუბლექტიურ ლექსიკურ ფორმათა ერთობლიობაც დადგეს). ამის მიხედვით გვექნება გაბატონებულ და დაქვემდებარებულ წევრთა „საზიარო“, „განსხვავებული“ ან „ნულოვანი“ კატეგორიები; მაგ., „საზიარო“ კატეგორიები სიტყვათშეხამებაში სახელებსა (ნაცვალსახელებსა და III პირის ნაცვალსახელებთან გათანაბრებულ არსებით სახელებსა) და ზმნას შორის იქნება პირი და რიცხვი, სახელსა და სახელს შორის — ბრუნვა და რიცხვი (მეორე — უპირატესად გარკვეულ პოზიციურ მდგომარეობაში); მაშასადამე, აღნიშნულ სემანტიკურ-მორფოლოგიურ კლასებს შორის სინტაქსურ დონეზე დასაშვებია ერთნაირი „ფორმები“, რის საფუძველზეც იქმნება სპეციფიკური დამოკიდებულება — შეთანხმება; „განსხვავებული“ კატეგორია სიტყვათშეხამებაში აქვთ ზმნასა და სახელს; მაშასადამე, მათ შორის სინტაქსურ დამოკიდებულებას ექნება მართვის სახე. რაც შეეხება მართვას, იგი დამოკიდებულების ნულოვანი ფორმით ხასიათდება და ზმნიზედათა კლასისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, სინტაქსური დამოკიდებულება (დაქვემდებარების ფორმები) შემდეგი სახისაა:

№ №	დამოკიდებულების სახე	კატეგორია	გაბატონებული წევრი (მეტყვ. ნაწილი)	დაქვემდებ. წევრი (მეტყველების ნაწილი)
1	შეთანხმება	რიცხვი	არს. სახელი (ნაცვალსახელი)	ა) ზმნა, ბ) ზედსართავი (ნაცვალსახელი)
2	შეთანხმება	პირი	ნაცვალსახელი (არს. სახელი)	ზმნა
3	შეთანხმება	ბრუნვა	არს. სახელი	ზედს. რიცხვითი (ნაცვალსახელი)
4	მართვა	ბრუნვა	ზმნა (სახელზმნა)	არს. სახელი (ნაცვალსახელი)
5	მართვა	∅	ზმნა (სახელზმნა)	ზმნიზედა („სახელი“)

1. 8. გრამატიკული მოდელი და ინტერპრეტაცია

ენობრივ ერთეულთა განხილვა სავსებით შესაძლებელია მტკიცებულების დონეზე, ამა თუ იმ ერთეულზე უშუალო დაკვირვების გზით, მაგრამ იგივე ერთეულები შეიძლება გაანალიზდეს, როგორც ერთგვაროვან ერთეულთა წყება, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო ნიშან-თვისებები. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ხშირად მიმართავენ ენობრივ ერთეულთა და მოვლენათა ფორმალიზებას, მათ განხილვას აბსტრაქტიზებულ დონეზე. გრამატიკა მაღალი დონის აბსტრაქციაა, მაშასადამე, სავსებით დასაშვებია გრამატიკულ მიმართებათა გამოხატვა აბსტრაქტიზებული, ფორმალიზებული მოდელებით. ენობრივი მოვლენა მრავალმხრივ ასპექტში განიხილება, მაგრამ შესაბამის დონეზე განხილვისას უნდა შეირჩეს ძირითადი, რომელიც დამახასიათებელია ამ დონისათვის და არსებითი მნიშვნელობა აქვს.

* * *

ენობრივ ერთეულთა და მოვლენათა განზოგადებული ანალიზი თეორიულ დებულებათა შემუშავებისას კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა, მაგრამ არა ყველა ფაქტს, არამედ გარკვეული ნიშნის მიხედვით მკაცრად შერჩეულ ფაქტებს. ამ შერჩევის საფუძველზე მოცემული ფაქტების ასახსნელად იქმნება გარკვეული მოდელი, რომელშიც ასახულია მათი ძირითადი ნიშან-თვისებები და რომელიც იმავე დროს ხსნის იმ ფაქტებსაც, რომლებიც შერჩეული ფაქტების (ფაქტთა წყების) გარეთ დარჩნენ. რასაკვირველია, განზოგადებული მოდელისმიერი კვლევის ბოლო ეტაპია ფაქტების შემოწმება და ამ შემოწმების საფუძველზე მოდელისმიერი დებულების სისწორის დადგენა. რამდენადაც სწორად, ექვემდებარება უნდა მოგვეჩვენოს თეორიულ დონეზე შემუშავებული დებულება, ის განყენებულ, უსიცოცხლო მსჯელობად დარჩება, თუ სათანადო კონკრეტული ფაქტებით არ იქნა დადასტურებული.

ამრიგად, ლინგვისტური ანალიზის პროცესში ემპირიული დაკვირვების გზით გამოვლენილ ფაქტთა წყების ძირითად კატეგორიათა ანალიზი ავლენს მის განზოგადებულ თვისებებს (მოდელისმიერთვისებულებებს), ხოლო მოდელისმიერი კანონზომიერებანი მოწმდება შესაბამისი კონკრეტული ფაქტებით.

1. 8. ა. ორიბინალი, მოდელი, ინტერპრეტაცია

საზოგადოდ, მოდელში იგულისხმება რეალური საგნისა თუ საგანთა წყების პირობითი ნიშნებით ან რაიმე სხვა საშუალებებით გამოსახვა. ასეთია, მაგალითად, გემის მოდელი, წისქვილის მაკეტი

და მისთ. მოდელი მაქსიმალურად უნდა ასახავდეს „დედანს“¹ ორიგინალს, რომლის შემცირებულ ან გადიდებულ სახესაც თვით წარმოადგენს. სუბსტანციით, მასალით, როგორც წესი, ორიგინალი და მოდელი განსხვავდებიან ერთურთისაგან, მაგრამ შეიძლება სუბსტანციაც ერთნაირი ჰქონდეთ; მაგალითად, როდესაც კონსტრუქტორი აგებს თვითმფრინავის მოდელს, მას შეუძლია იგი იმავე მასალისგან გააკეთოს, რა მასალისაგანაც კეთდება თვითმფრინავი, მაგრამ იმავე თვითმფრინავის გეგმა, რომელიც ქალაღმშენებელი იყო, უკვე სხვა სუბსტანციისაგან — გრაფიკული ხაზებისაგან — შედგება. პირველ შემთხვევაში გვექნება უშუალო მოდელი, რომელიც მხოლოდ ზომით იქნება ორიგინალისაგან განსხვავებული, ხოლო მეორე შემთხვევაში — განზოგადებული აბსტრაქტირებული მოდელი, რომელიც ორიგინალისაგან განსხვავდება აღნიშვნის წესით. სახლის მაკეტსა და მის ნაწილებს ბავშვიც კი გამოარჩევს სხვა საგნებისაგან, მაგრამ სახლის გეგმის განხილვა, მასში შესაბამისი ნაწილების ერთურთისაგან განსხვავება გაუწაფავ მოზრდილსაც კი გაუჭირდება.

მოდელის (აბსტრაქტირებული ნაგებობის) არსებითი ნიშანია პირობითობა და, რაც უფრო მეტია მოდელში პირობითობა, მით უფრო განსხვავდება იგი ორიგინალისაგან. რასაკვირველია, როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს მოდელი ორიგინალისაგან აღნიშვნის, გამოსახვისა თუ გამოხატულების მხრივ, მოდელირების ძირითად მოთხოვნად რჩება სტრუქტურული ანალოგია მოდელსა და ორიგინალს შორის.

ამრიგად, მოდელი ორიგინალის, შესასწავლი ობიექტის, განზოგადებული სახეა. იგი იქმნება ორიგინალის მიხედვით და მის შესაბამისად (მიმართება: ორიგინალი — მოდელი), მაგრამ მეცნიერულ პრაქტიკაში პირობითაც ხდება: ჯერ შემუშავდება მოდელი, ჩატარდება მის მიხედვით გარკვეული ოპერაციები და ბოლოს ხდება მისი „ნორცშესხმა“ — ინტერპრეტაცია (მიმართება: მოდელი — ინტერპრეტაცია — ორიგინალი); მაგალითად, ენგურპესის კაშხალის მოდელი უფრო ადრე შეიქმნა, მასზე ჩატარდა რიგი ოპერაციები და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ კაშხალის მშენებლობას. როდესაც ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავს ქმნიან, ჯერ აკეთებენ მის მოდელს, გამოსცდიან სპეციალურ ტურბომილში და მხოლოდ ამის შემდეგ აგებენ საცდელ თვითმფრინავს და მისთ.

ენის მოდელები არსებითად განსხვავდებიან ორიგინალისაგან აღნიშვნის საშუალებით, მაგრამ ისინი ადეკვატურნი არიან სტრუქტურის მხრივ; მაგალითად, ქვემდ. — შემასმ. — დამატება — დამატება მოდელით შეგვიძლია გამოვხატოთ ნებისმიერი წი-

ნადადება და ეს მოდელი დადასტურდება ყველა ნორმალურ წინადადებაში (ტერმინ ნორმალურს ეუპირისპირებთ ელიფსურსა და დეფექტურს, რომელთათვისაც დამახასიათებელია წინადადების მთავარ წევრთა ფაქულტატიური ან რეგულარული არქონა). ნიმუშები:

დანიშნულებისამებრ წერილის წაღება ლევანმა თავის ბიძაშვილს გიოს დაავალა (ლ. ქიაჩ.).

მოთმინებიდან გამოსულმა თინამ წერილი მისწერა ლევანს (ლ. ქიაჩ.) და სხვ.

რასაკვირველია, კონკრეტულ მოვლენათა ან კონკრეტული ფაქტების აღწერას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ კონკრეტულ მოვლენათა წყების განზოგადებული ანალიზით შეიძლება შემუშავდეს აბსტრაქტიზებული კანონზომიერებანი, რომელთა მიხედვით მუშავდება გარკვეული თეორია. თეორიული ცოდნა უშუალოდ ემპირიული დაკვირვებით არ მიიღება, მით უმეტეს, შეუძლებელია თეორიული ცოდნის დაყვანა ვიწრო ემპირიზმამდე ან ემპირიულ მონაცემთა ჯამამდე. მართლია, მეცნიერულ-თეორიული ცოდნის გამომუშავება ემპირიულ ობიექტებზე დაკვირვების შედეგად ხდება (ანალიზის, შეპირისპირებათა და ექსპერიმენტის ჩატარების გზით), მაგრამ დაკვირვების ობიექტი ამ შემთხვევაში არა ცალკე ფაქტი ან მოვლენაა, არამედ მოვლენათა წყება (სიმრავლე), რომელიც თავის არსში აბსტრაქტიზებულ კატეგორიებს მოიცავს და რომელიც არა კონკრეტულ ემპირიულ ინფორმაციათა დონეზეა, არამედ ტიპობრივ ინფორმაციას გვაწვდის.

როგორც აღინიშნა, მოდელისმიერი ანალიზის შედეგად დადგენილ ამა თუ იმ თეორიულ სისტემას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ემპირიული ინტერპრეტაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ა) თეორიის ტექნიკურ ტერმინთა გაგება, ბ) თეორიული დასკვნების საფუძველზე მიღებულ შედეგებზე დაკვირვების შესაძლებლობა და გ) თეორიულად მიღებულ დებულებათა (დასკვნების) დადასტურება ცდით (იხ. Ю. Д. Апресян. Понятие лингвистической модели. РЯВШ, 1966, № 2, გვ. 14).

ამრიგად, ამა თუ იმ მოვლენის თეორიულ დონეზე აღწერის საფუძველზე იქმნება მოდელი, მაგრამ მოდელში გამოხატულ ელემენტთა დამოკიდებულება ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოდელს ცნებითი ფორმა მიეცემა და უშუალო დაკვირვების საგანი გახდება. ამ მხრივ ყოველი ენობრივი ერთეული (ფაქტი, მოვლენა) ქმნის გარკვეულ მოდელს (ერთეულთა დონის შესაბამისად, ფონოლოგიურს, მორფოლოგიურ-პარადიგმულსა და სინტაქსურ-კონსტრუქციულს), რომლის ინტერპრეტაცია (რეალიზება, კონკრეტული

ლექსიკური ერთეულებით გამოხატვა) გვაძლევს ამა თუ იმ კონკრეტულ ენობრივ ფაქტს; მაგალითად, გვაქვს სიტყვათშეხამების გარკვეული მოდელი მსაზღვრელ-საზღვრული, რომელშიც საზღვრული გამოხატულია სუბსტანტიური სემანტიკის მქონე სინტაქსური ერთეულით, ხოლო მსაზღვრელი — ატრიბუტული სემანტიკის ერთეულით. ეს მოდელი ეფუძნება გარკვეულ წესს: საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს ბრუნვაში (ზოგ პოზიციაში — რიცხვშიც). ამ მოდელის ინტერპრეტაციის შედეგად ვიღებთ კონკრეტულ დაქვემდებარებულ ფორმებს, რომლებიც თავიანთი თვისებებით ადასტურებენ დაქვემდებარების ზემოაღნიშნულ წესს; მაგ.: გა შ ლ ი ლ ი ვ ე ლ ი, მ წ ვ ა ნ ე ბ ა ლ ა ხ ი, ქ ა ლ მ ა ლ ა მ ა ზ მ ა, მ თ ა ნ ი მ ა ლ ა ლ ნ ი და მისთ.

მოდელის ინტერპრეტაცია (მისი ელემენტების გამოხატვა შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით) ნებისმიერად არ ხდება. მოდელი მხოლოდ ფორმობრივ ურთიერთობას გადმოგვცემს, რომელშიც დასაშვებია ნებისმიერ ერთეულთა ურთიერთმიმართება, ოღონდ ისინი არ უნდა არღვევდნენ ფორმობრივი მიმართების კანონებს, მაგრამ ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, მათი კანონზომიერებულობა, ხოლო, მეორე მხრივ, რეალიზებულ ფორმების გავრცელებულობა; მაგალითად, ქართული ენისათვის დასაშვებია თანხმოვანთა (თ) თავმოყრა სიტყვაში (თთ₁ თ₂); შდრ.: თთ₁ (რბის, რბილი...) თ₁ თ (ბრალი, ბრუნავს...), მაგრამ ამ თვისებას არა აქვს რეგულარული ხასიათი, რადგან ყველა ფონემით თთ₁—თ₁თ ბგერათკომპლექსების რეალიზება არ ხდება; შდრ. კანონზომიერი შეხამება ზღ (ზღავის, ზღერი...) და არაკანონიერი ღბ, ასევე — ტპ, პყ და ყპ და მისთ.; მაშასადამე, მოდელისმიერ მიმართებას თთ₁ თ₁თ არა მუდმივი, არამედ მხოლოდ გარკვეული ერთეულებისათვის დამახასიათებელი გამოხატვა აქვს.

მოდელსა და მის ინტერპრეტაციას შორის წინააღმდეგობა უფრო მკვეთრად ჩანს სინტაქსში, სადაც ფორმობრივ შეხამებას უკირისპირდება ლექსიკური (სემანტიკური) შეხამებულობა.

მოდელისმიერი ოპერაციის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთი ნიმუში. როგორც ცნობილია, სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართების მიხედვით ნათესაობითბრუნვისფუძიანი მსაზღვრელი (ხ ი ს ს ა ხ ლ ი ტიპისა) საზღვრულთან კუთვნილებითს დამოკიდებულებას ქმნის. კუთვნილებითს დამოკიდებულებას გამოხატავს ზმნის ქცევის კატეგორია. გარდა ამისა, კუთვნილების სემანტიკური ელფერი აქვს ბრუნვაუცვლელ ობიექტს საარვისო ქცევის ფორმებშიც, მას „მკუთვნებლის“ მნიშვნელობა აქვს. მოდელისმიერი ვითარებით სასხვისო ქცევა (საობიექტო ვერსია) თავისი ოპოზი-

ციური სათავისო და საარვისო (სასუბიექტო და ნეიტრალური) ფორმებისაგან ერთი პირის, სახელდობრ ბრუნვაუცვლელი ობიექტის, დამატებით გაირჩევა. საკითხი მეტად მარტივია, როდესაც ნეიტრალური ქცევის ფორმა ერთპირიანი ახ ორპირიანია. მართალია, ერთპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმა რეგულარული არაა, რასაც თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ამჯერად განვიხილოთ ისეთი ფორმები, რომელთაც საპირისპირო ცალი მოეპოვებათ. სასუბიექტო ქცევა, როგორც წესი, რეგულარულად ორპირიანია.

ამრიგად, ქცევის ფორმები ქმნიან შემდეგ დაპირისპირებებს:

ა) ნეიტრალური ქცევა

საობიექტო ქცევა

1) ერთპირიანი

ორპირიანი

იგი [ხურს
ქვდება

იგი მას [უხურს
უქვდება და მისთ.

2) ორპირიანი

სამპირიანი

იგი მას [აშენებს
ხატავს

იგი მას მას [უშენებს
უხატავს და მისთ.

ბ) სასუბიექტო ქცევა

საობიექტო ქცევა

ორპირიანი

სამპირიანი

იგი მას [იშენებს
იხატავს

იგი მას მას [უშენებს
უხატავს და მისთ.

ახლა განვიხილოთ სამპირიანი ნეიტრალური ქცევის ზმნა. თუ ერთპირიანსა და ორპირიანში ბრუნვაუცვლელი ობიექტის „უჯრა“ ღია იყო, სამპირიანში იგი დაკავებულია: ზმნასთან უკვე შეხამებულია ბრუნვაუცვლელი ობიექტი. საობიექტო ქცევის ფორმად სამპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმის გარდაქცევისას მას უნდა დაემატოს ბრუნვაუცვლელი ობიექტი. ორი ბრუნვაუცვლელი ობიექტი ერთ „უჯრაში“ ვეღარ ეტევა; ამიტომ ხდება სტრუქტურული მოდელის გარდაქცევა: ზმნა-შემასმენელი სამპირიანივე რჩება, ახალი, დამატებითი ბრუნვაუცვლელი ობიექტი იკავებს შესაბამის „უჯრას“, ხოლო ადრინდელი ტოვებს ამ „უჯრას“ და მიმართებით-ატრიბუტულ ერთეულად (განსაზღვრებად) იქცევა. რასაკვირველია, მას ბრუნვის ფორმაც შესაბამისად ეცვლება, მიცემითის ნაცვლად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იღებს. ეს ცვლილება ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო: „განდევნილ“ ბრუნვაუცვლელ ობიექტს საკმაო ხანს უნდა შეენახა მიცემითი ბრუნვის ფორმა (შუალედურ ეტაპზე),

ხოლო მოგვიანებით უნდა მომხდარიყო მისი ნორმალიზება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

აღნიშნული მოდელისმიერი გარდაქცევის შუალედური ეტაპი შენახულია ფორმებში: მიუშენა, მიუბა, მიუკერა, მიკმია და მისთ., რომლებიც რატომღაც ოთხპირიან ზმნებად არის ხოლმე ჩათვლილი მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ბრუნვაუცვლელ ობიექტს მიცემით ბრუნვის ფორმა აქვს; მაგ.:

მიაშენა ხურომ ძარანი სახლს → მიუშენა ხურომ ნეზობელს მარანი სახლს.

მიაკერა დედამ დილი ხალათს → მიუკერა დედამ შვილს დილი ხალათს და მისთ. აღნიშნულ კონსტრუქციებს ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევეხებით (იხ. 4. 3. ა. § 1), მაგრამ აქ აღვნიშნავთ, რომ სახელთა შეწყობა არ არის ზმნის პირიანობის კრიტერიუმი. ესა თუ ის სახელი ზმნის პირად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება; თუ ერთი საპირისპირო ფორმა მაინც მოეძებნება, ხოლო ამ ზმნათა ე. წ. „მეოთხე“ პირებს არ გააჩნიათ იგი, რეგულარულად III „პირის“ ფორმით არიან წარმოდგენილნი.

ამრიგად, მოდელი აბსტრაპირებული კონსტრუქციაა, რომლის თავისებურებანი ინტერპრეტაციაში ვლინდება, მაგრამ ინტერპრეტაციაში ვლინდება არა კონკრეტული ერთეულის კონკრეტული თავისებურება, არამედ ტიპობრივ ელემენტთა (მაგალითად, x სიმრავლის x_1, x_2, x_3, x_n ელემენტთა წყების) „ტიპობრივი თავისებურებანი, ე. ი. მოდელის ინტერპრეტაცია ხსნის არა კონკრეტული ელემენტის კონკრეტულ ბუნებას, არამედ ტიპობრივი ელემენტის ტიპობრივ ბუნებას.

წინადადების აბსტრაპირებული განხილვისათვის ამჟამად რამდენიმე საშუალებაა გამოყენებული, რომელთა დაჯგუფება, ძირითადად, ორად შეიძლება; ესენია: ა) წინადადების მოდელი და ბ) წინადადების სტრუქტურა (სქემა).

პირველი (ა) გულისხმობს წინადადების განხილვას კონსტრუქტთა დონეზე, წინადადების სტრუქტურის ფორმალიზებას შინაარსის (მნიშვნელობის) გარეშე, ფორმალურ-მათემატიკური აპარატის გამოყენებით (შდრ; „შავი ყუთი“). კონსტრუქციულ აღწერაში მიაითვებულია ელემენტები, რომელთაგან შედგება აღსაწერი ობიექტი, და მათი შედგენის (სინთეზის) ან ანალიზის წესები. ოპერაციათა ჩატარება ხდება მათი ინტერპრეტაციის გაუთვალისწინებლად. ინტერპრეტაციას, როგორც წესი, საბოლოო შედეგის დასადასტურებლად ახდენენ.

მეორე (ბ) წესით დგება წინადადების სტრუქტურული სქემა. იგი შესაძლებელია გამოიხატოს სიმბოლოებითაც და შესაბამისი

ენობრივი ერთეულებითაც, რაც საშუალებას გვაძლევს, ოპერაციის პროცესში გავითვალისწინოთ არა მარტო ფორმოზრივ-ოპერაციული, არამედ გრამატიკულ-სემანტიკური გარდაქმნებიც (სიმბოლოებს ამ შემთხვევაში Const. მნიშვნელობა აქვთ), ე. ი. დაკვირვება წინადადების ტიპებზე ხდება.

სტრუქტურულ-სინტაქსური ანალიზის პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეორეს—წინადადების სტრუქტურულ სქემებს, რომლებადაც მიჩნეულია წინადადების სტრუქტურულ ერთეულთა და მათ შორის არსებულ მიმართებათა განზოგადებული ერთობლიობა.

კონსტრუქტთა დონეზე აღწერის დროს მზირად ვერ ხერხდება ტექსტის შემოწმება და ოპერაციითა შედეგად ნებისმიერ ფრაზებს ვიღებთ, ხოლო მათემატიკურ-ლინგვისტური ოპერაცია, რომელიც არ უკავშირდება გარკვეულ შინაარსს, აზრს, არ არის მეცნიერული (იხ. А. Ф. Лосев. О методах изложения математической лингвистики для лингвистов. ВЯ, 1965, № 5, გვ. 28).

უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკურ მეთოდთა გამოყენება არ აქცევს ენათმეცნიერებას წმინდა დედუქციურ მეცნიერებად, საპირისპიროა ემპირიულ დაკვირვებათა შეხამებაც (იხ. М. Мачавариანი. О взаимоотношении математики и лингвистики. ВЯ, 1963, № 3, გვ. 91).

როგორც დავინახეთ, თეორიულად დასაშვებია ენის თითქმის ყველა ერთეულის: ბგერათა სისტემის, მორფოლოგიური და, განსაკუთრებით, სინტაქსური ერთეულების მოდელირება.

„წინადადებაში სიტყვათა შეკავშირება გარკვეულ ფორმულა-მდე დაიყვანება, ამასთანავე თითოეული ფორმულა შემთხვევათა (სიმრავლეთა — ა დ.) გარკვეულ ჯგუფს მოიცავს“ (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 54.).

ენობრივი ელემენტების გამოხატვა თავისუფლად შეიძლება გარკვეული ალგორითმების სისტემით (კოდით, სიმბოლოებით; ასე იქცევიან, მაგალითად, ინფორმაციათა თეორიაში, გამოყენებით სინტაქსურში და სსც.), მაგრამ ენის სისტემა არსებითად განსხვავდება კოდების სისტემებისაგან თავისი ფორმისა და ფუნქციის მხრივაც. ენა ორმაგი ბუნებისაა. იგი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს აზრის ფორმასაც (ყალიბსაც) და ურთიერთობის საშუალებასაც. ყოველი წინადადება აზრს გამოხატავს. ეს მისი ლოგიკური მხარეა (ლოგიკური გრამატიკულით გადმოიცემა), იმავე დროს წინადადება წარმოადგენს გამონათქვამს (ინფორმაციის მიწოდების ან მიღების საშუალებას).

ენის მოქცევა მხოლოდ რაიმე (თუნდაც იდეალურ, ყველაზე მეტად ჩამოყალიბებულ) კოდთა პარამეტრებში შეუძლებელია. მართალია,

შეიძლება კოდთა სისტემით გამოიხატოს ენის რომელიმე მხარე (თეორიულ, კონსტრუქტთა დონეზე), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოდთა სისტემას შეუძლია, ენის მაგივრობა გასწიოს. ენის მოდელი არ არის ენა. წინადადების სტრუქტურული ფორმულა (მოდელი) ვერასოდეს შეცვლის წინადადებას. იგი ყოველთვის უფრო ღარიბია, ვიდრე აზრი, რომელსაც წინადადებით გამოვხატავთ. მოდელს, მართალია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განზოგადებულ კანონზომიერებათა დასადგენად, მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ჩვენ აბსტრაქტიზებული მოდელებით კი არ ვმეტყველებთ, არამედ ხორცშესხმული, ხატოვანი, ცოცხალი ენით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველი მოდელი ითვალისწინებს საწყისი ელემენტების გარკვეულ წყებას, რომელიც ენის რაიმე ნაწილია; მაშასადამე, მოდელის ღირებულება დგინდება ინტერპრეტაციის საფუძველზე, როდესაც განზოგადებულ ცნებებს გარკვეული გამოხატულება ეძლევათ.

მიუხედავად სტრუქტურული ანალიზის დიდი მნიშვნელობისა, იგი ამა თუ იმ სტრუქტურით გამოხატული შინაარსის გაუთვალისწინებლად ვერ უზრუნველყოფს ენის სრულ ანალიზს, რადგან სწორი მოდელი არ შეიძლება არსებობდეს მეტყველების გარეშე; ამდენად, სანამ რომელიმე ენობრივი მოდელის ლინგვისტური ღირებულება ინტერპრეტაციის საფუძველზე არ იქნება დადასტურებული, თვით მოდელი ფიქციად დარჩება (იხ. И. И. Ревзин. Модели языка. М., 1962, გვ. 9—10).

მოდელში ელემენტთა შენაცვლება, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეული სიის სიტყვებით შეიძლება (იხ. А. А. Холодович. Опыт теории подклассов слов. ВЯ, 1960, № 1, გვ. 39).

წინადადების დონეზე სტრუქტურა მოითხოვს წევრთა ურთიერთშეხამებას არა მარტო ტიპობრივ წყებათა (სიტყვათა კლასების) თვალსაზრისით, არამედ უფრო დანაწევრებულად, ქვეკლასების მიხედვით. მხოლოდ გრამატიკულ ფორმათა შეხამება არ განაპირობებს წინადადების მიზანდასახულობას. წინადადების ტიპებისათვის მნიშვნელობა აქვს სემანტიკურ შეხამებასაც. შესიტყვეებისა და კონსტრუქციის სტრუქტურისაგან განსხვავებით, წინადადების აგებულება სამეტყველო დონის მოთხოვნებით არის განპირობებული. სწორედ ამიტომ წინადადების ანალიზის შინაარსს (სტრუქტურული-საგან განსხვავებით) შეადგენს არა ფორმების ან თუნდაც სიტყვების შეხამება, არამედ ცნებათა, აზრის კომპონენტების, შეხამება (რომლებიც სიტყვებით არის გადმოცემული), ე. ი. იმ აზრობრივი ელემენტების სიტყვიერი გამოხატვის საშუალებათა დადგენა, რომელთა შეხამებით ვიღებთ წინადადებას, როგორც აზრის ჩამოყალიბე-

ბის, გამობატვისა და შეტყობინების ფორმას (იხ. Г. А. Золотова. О структуре простого предложения в русском языке. ВЯ, 1967, № 6, გვ. 91).

ზემოაღნიშნულ დონეთა მიხედვით შეიძლება დადგინდეს, ერთი მხრივ, გრამატიკულად (სტრუქტურულად) სწორი ან არასწორი და, მეორე მხრივ, სწორი ან არასწორი სამეტყველო წინადადებანი.

გრამატიკულად სწორ წინადადებას სტრუქტურული მართებულობა გვაძლევს, ხოლო სწორ სამეტყველო წინადადებას — ლექსიკის მართებულად შეხამება, სტრუქტურის ელემენტთა მართებულ რეალიზება სათანადო ლექსიკური ერთეულებით.

მოდელი, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც აბსტრაქტული სქემა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ახლოსაა ენის კონკრეტულ მონაცემებთან. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივ მოვლენათა ანალიზისათვის. განსაკუთრებით დიდია მოდელის როლი წინადადების ანალიზის პროცესში. ცნობილია წინადადების მრავალგვარი მოდელი, რომელთაც ორად აჯგუფებენ (მეცნიერული მსჯელობის გზის შესაბამისად), ესენია: 1) ანალიზური და 2) სინთეზური მოდელები. მათგან ანალიზური მოდელები გამოყენებულია წინადადებათა სტრუქტურის შესწავლისა, ხოლო სინთეზური (წარმომშობი) — მეტყველების პროცესში წინადადების შედგენის კანონზომიერებათა დასადგენად.

შენიშვნა: სინტაქსურ მოდელთა რამდენიმე მარტივი დახასიათება იხ. Л. С. Бархударов. Структура простого предложения современного английского языка. М., 1966, გვ. 15—29. მოდელები უფრო დეტალურად დახასიათებულია შემდეგ ნაშრომებში: Ю. Д. Апресян. Идеи и методы современной структурной лингвистики. М., 1966; Н. А. Слюсарева. Лингвистический анализ по непосредственно составляющим. ВЯ, 1960, № 6; Ю. Д. Апресян. Метод непосредственно составляющих и трансформационный метод в структурной лингвистике. Журн. «Русский язык в национальной школе», 1962, № 4; И. И. Ревзин. Метод моделирования и типология славянских языков. М., 1967 და სხვ.

წინადადებები ერთურთისაგან შეიძლება სტრუქტურულად განსხვავდებოდნენ და ეს განსხვავება აისახება მის შინაარსში. სტრუქტურული სხვაობა შეიძლება შეეხოს როგორც კოორდინაციული (მთავარ წევრთა ერთობლიობის), ისე სუბორდინაციული (არამთავარ წევრთა) წყების ერთეულთა მიმართებას. როგორც ზემოთაღნიშნული ანალიზის, წინადადების, როგორც გამონათქვამის, შინაარსზე გავლენას ახდენს სტრუქტურულ ერთეულთა სარეალიზაციო (ლექსიკური) საშუალებები; მაგალითად, წინადადებები: ზ ა ზ ა ამოდის და მ ზ ე ა მო დ ის სტრუქტურულად ერთურთისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ კონკრეტული შინაარსი მათ სხვადასხვაგვარი აქვთ.

მოდელისმიერი ვითარება უფრო მრავალფეროვან ვარიანტებს ითვალისწინებს (მოდელის ვარიანტებად ჩათვლილია ამა თუ იმ მოდელის ფორმები, რომლებიც არ არღვევენ მის ფარგლებს). მოდელი ქვემდ. — შემ. — დამ. შეიძლება გვაძლევდეს მრავალ ვარიანტს, როგორცაა, მაგ.: 1) მ ზ ე მ ო ე ფ ა რ ა მთას, 2) შ ვ ი ლ ი გ ა ე - ზ ა რ დ ა დ ე დ ა ს, 3) თ მ ა გ ა ს ც ვ ი ვ დ ა მოხუცს და მრ. სხვა, მაგრამ აღნიშნული ვარიანტები არ ქმნიან სინონიმურ წინადადებებს. სხვაგვარი მდგომარეობაა, როცა ერთი წინადადების ვარიანტები კვანტიტატიურად (რაოდენობრივად) განსხვავდებიან ერთერთისაგან და ეს კვანტიტატიური სხვაობა კვალიტატიურში (თვისობრივში, შინაარსობრივში) გადადის.

ამგვარი სხვაობა, უპირატესად მეტყველების დონის (სტილის) სფეროს განეკუთვნება და არსებითად განსხვავდება წინადადების სხვა ვარიანტებისაგან.

ამრიგად, ღვინდება წინადადების სხვადასხვა დონის ვარიანტები. რომელთა დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:

მოდელი —→ მოდელისმიერი ვარიანტები —→
 სტრუქტურა —→ სტრუქტურული ვარიანტები —→
 წინადადება —→ წინადადების ვარიანტები.

განვიხილოთ ერთ-ერთი ნიმუშის მიხედვით:

მოდელი — $\text{S}_n\text{P}_1\text{O}_d$ $\text{R}_1\text{R}_1\text{R}_2$

მოდელისმიერი ვარიანტები: ბავშვი ჭამს ვაშლს.

გოგონა ხატავს სურათს.

ტალღა არწევს ნავს და სხვ.

სტრუქტურა — გოგონა ხატავს სურათს.

სტრუქტურული ვარიანტები: ჩემი გოგონა ხატავს სურათს. გოგონა ხატავს ცხენის სურათს. ჩემი გოგონა ხატავს მეზობლის ცხენის სურათს.

მეზობლის ცხენის სურათს ხატავს.

გოგონა ხატავს და მრ. სხვ.

წინადადება — ჩემი გოგონა ხატავს სურათს.

წინადადების ვარიანტები: ჩემი გოგონა ხატავს სურათს.

ჩემი გოგონა ხატავს სურათს?

ვისი გოგონა ხატავს სურათს?

ჩემი გოგონა ხატავს სურათს!

განა ჩემი გოგონა ხატავს

სურათს?! და სხვ.

ამრიგად, წინადადების მოდელი გულისხმობს სინტაქსურ ერთეულთა განხილვას კონსტრუქტთა დონეზე, კონკრეტული მასალი-

სადმი მიუძღვრება, ამიტომ მაღალაბსტრაქციული მსჯელობის საშუალებას იძლევა. სტრუქტურა რეალიზებული მოდელია, რომელიც უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს და მნიშვნელოვნად შეზღუდულია იმ ერთეულთა ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით, რომლებითაც რეალიზებულია მოდელი, ხოლო წინადადება უკვე სამეტყველო სტრუქტურაა, რომლისათვისაც დამახასიათებელია არა მარტო ფორმალიზებული, არამედ აზრობრივი, ლოგიკურ-სემანტიკური (სტილური) და სხვა თავისებურებანი, რომელთა გაფორმებისათვის, გარდა სტრუქტურულისა, მნიშვნელობა აქვს ე. წ. „გამაწინადადებებელ“ მოვლენებს, როგორცაა: ინტონაცია, სიტყვათა რიგი, პრაგმატიკული სფერო, ემოციურ-ნებელობითი და სხვა მხარეები, რომელთაც თანამედროვე ლინგვისტიკაში აქტუალიზების ტერმინით აღნიშნავენ.

1. 9. სინტაქსური ანალიზის მეთოდები

(მოკლე დახასიათება)

სინტაქსური ანალიზისათვის ამჟამად ნაირგვარი მეთოდები არის გამოყენებული, რომელთაგან ყველაზე ხშირია, ერთი მხრივ, წინადადების „ტრადიციული“ ანალიზი წვერთა მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ე. წ. „უახლესი“, სტრუქტურალისტური ანალიზი: კერძოდ, სინტაგმატური ანალიზი, წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენელთა მიხედვით, ამ უკანასკნელისაგან განვითარებული ტრანსფორმაციული მეთოდი, დისტრიბუციული ანალიზი და რელაციური მეთოდი. ქვემოთ ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ ამ მეთოდებს, რასაკვირველია, მათი სრულყოფილი დახასიათების პრეტენზიის გარეშე, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ მათ არსს, ღირსებებსა და ნაკლოვან მხარეებს.


შენიშვნა: არ ვეხებით წინადადების ფსიქოლოგისტურ, მორფოლოგისტურ, ლოგიკისტურ თუ სხვაგვარ ანალიზს, რადგან ისინი საკმაო ფართოდ არის მიმოხილული სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ა. რ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში თბ., 1928, II გამოც. 1968 და ამავე ავტორის სხვა ნაშრომები. თანამედროვე თეორიათა მიმოხილვა იხ. *О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян. Современные синтаксические теории.* М., 1961).

1. 9. ა. წინადადების ანალიზი წვერთა მიხედვით

ეს მეთოდი, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ძველი, „ტრადიციულია“. იგი ქართულ სპეციალურ (განსაკუთრებით სასკოლო) ლიტერატურაში ჯერ კიდევ მტკიცედაა გაბატონებული. აღნიშნული მე-

5. ავ. დავითიანი

თოდის მიხედვით წინადადება იყოფა წევრებად და ღვინდება სინტაქსური დამოკიდებულება მათ შორის. გამოიყოფა მთავარი წევრები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება) და არამთავარი წევრები (უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოებანი). ანალიზის სქემა ასეთ სახეს იღებს:



წევრთა ურთიერთობა განიხილება სინტაქსურ წყვილში განუჩევლად იმისა, მთავარ წევრთა შეხამებაა ისინი (მაგ., ქვემდებარე-შემასმენლის წყვილი), თუ მთავრისა არამთავართან (მაგ., გარემოება-შემასმენლის წყვილი) ან არამთავრისა არამთავართან (მაგ., განსაზღვრება-გარემოების წყვილი).

წინადადების წევრთა ანალიზის პროცესში უპირატესად აღნიშნება წევრები და მათი გამოხატვის საშუალებანი; მაგ.:

ამ ტყის ანგელოზს გოგონას ტკბილს ძილს არ არა ურღვევსო (ვაჟა).

ურღვევსო — შემასმენელი, მარტივი; სამპირიანი ზმნა, აწმყოს მწკრივი და ა. შ.

არ არა — ქვემდებარე, უარყოფითი ნაცვალსახელი, სახელობითი ბრუნვა და ა. შ.

გოგონას — ირიბი დამატება, არსებითი სახელი, სულიერთა და ა. შ.

ძილს — პირდაპირი დამატება, არსებითი სახელი, უსულოთა და ა. შ.

ანგელოზს — განსაზღვრება, არსებითი სახელი ზედსართავის მნიშვნელობით, უსულოთა და ა. შ.

ტყის — განსაზღვრება, სუბსტანტიური, მართული; არსებითი სახელი, უსულოთა და ა. შ.

ამ — განსაზღვრება, ჩვენებითი ნაცვალსახელი და ა. შ.

ტკბილს — განსაზღვრება, ატრიბუტული, შეთანხმებული; ზედსართავი სახელი, ვითარებითი და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია წინადადების წევრთა

მიხედვით ანალიზის ნაკლიცა და ღირსებაც. მოკლედ აღვნიშნავთ ნაკლს:

1) არ არის ნათლად გამოკვეთილი თვით წინადადების წევრის ცნება; მაგალითად, ქვემდებარე განხილულია როგორც მოქმედი საგანი, მაგრამ ქვემდებარე ძალიან ხშირად სამოქმედო საგნადაც გვევლინება (ავადმყოფობამ დაასუსტა ბავშვი—ავადმყოფობისაგან დასუსტდა ბავშვი).

2) წევრთა მიხედვით ანალიზში არ არის გათვალისწინებული სტრუქტურულ ერთეულთა დონეები. საქმე ისაა, რომ წინადადება უშუალოდ წევრებისაგან კი არ შედგება (ისევე როგორც, მაგალითად, სიტყვა არ შედგება უშუალოდ ბგერებისაგან), არამედ — შესიტყვეებისაგან, შესიტყვებანი — სიტყვათშეხამებებისაგან, სიტყვათა შეხამებაში, ანუ სინტაქსურ წყვილში, აღნიშნავენ ხოლმე სინტაქსურ დამოკიდებულებას, მაგრამ არ არის გამიჯნული კოორდინაციული და სუბორდინაციული დონეები. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მიმართება წინადადების მთავარ წევრთა შორის სულ სხვაგვარია, ვიდრე მთავარსა და არამთავარს ან არამთავარსა და არამთავარ წევრებს შორის.

3) არ არის გათვალისწინებული წინადადების წევრთა პოზიციური განლაგება ფუნქციურ კვანძებში. მართალია, აღინიშნება (უპირატესად მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში) წევრთა პოზიცია (პრე- და პოსტპოზიცია), მაგრამ ეს ხდება მხოლოდ სინტაქსური წყვილის მიხედვით, ხოლო საერთოდ შესიტყვეების ფონზე სიტყვათგანლაგების თავისებურებანი, ჩვეულებრივ, უგულებელყოფილია. მას კი ხშირად არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ამა თუ იმ წევრის ფუნქციის, ისე სინტაქსური მიმართების ფორმობრივ თავისებურებათა დასადგენად.

4) წევრთა მიხედვით ანალიზი ვერ ხსნის რიგ სინტაქსურ ოპერაციას, რომელსაც ადამიანი მეტყველების პროცესში ატარებს ხოლმე, როგორიცაა, მაგალითად, წინადადებათა გარდაქცევა — მოდელის ტრანსფორმაცია, შესიტყვებათა შეკუმშვა, დეფექტაცია და მისთ. უკეთეს შემთხვევაში ხდება მხოლოდ ამ მოვლენათა კონსტატაცია.

უკანასკნელ ბანებში სპეციალურ ლიტერატურაში შეინიშნება წინადადების წევრის ცნების უგულებელყოფა სინტაქსური ანალიზის პროცესში. არაფერი რომ არა ვთქვათ რა სტრუქტურალიზმის სხვადასხვა მიმართულებაზე, რომელთა მიმდევრებმა საერთოდ უარყვეს წინადადების წევრის ცნება, ტრადიციულ სინტაქსშიც იშვიათად ახსენებენ წინადადების წევრებს (გამოვრიცხავთ სასკოლო სახელმძღვანელოებს); მაგალითად, წინადადების არამთავარი წევრები

უარყო ა. შაპირომ (იხ. А. В. Шапиро. О второстепенных членах предложения. ВЯ, 1957, № 2). შემდგომ მან საერთოდ უარყო წინადადების ანალიზი წევრთა მიხედვით (იხ. А. В. Шапиро. О предмете синтаксиса. Тезисы докладов на совещании языковедов вузовских и академических учреждений по теоретическим вопросам синтаксиса. М., 1961, გვ. 4). ამჟამად თათბირზე გამოვლინდა ნაირგვარი შეხედულება სინტაქსის საგანზე, წინადადების რაობასა და, განსაკუთრებით, წინადადების წევრთა შესახებ (იხ. ზემოაღნიშნული თეზისები). კამათი იმდენად ფართოდ გაიშალა, რომ წინადადების არამთავარ წევრთა ცნების დაცვაც კი საჭირო გახდა (იხ. И. А. Фигуровский. В защиту второстепенных членов предложения. РЯВШ, 1959, № 2). დაცვის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ტრადიცია (ჩვევა).

საყურადღებოა, რომ რუსული ენის ახალ აკადემიურ გრამატიკაში არ არის განხილული წინადადების წევრები (იხ. Грамматика современного русского литературного языка. Изд. «Наука», М., 1970). აკადემიური გრამატიკის ადრინდელ გამოცემებში სინტაქსის საკითხები ორგვარადაა განხილული: ერთი მხრივ, შესიტყვებისა, ხოლო, მეორე მხრივ, წინადადებისა და მის წევრთა ანალიზის გზით (იხ. Грамматика русского языка. Изд. АН СССР, т. I; т. II: ч. I, ч. II; პირველი გამოცემა 1953 წ., მეორე გამოცემა 1960 წ.).

წინადადების წევრთა ურთიერთმიმართებას შეეხო ლ. შჩერბა, რომელმაც სინტაქსური ანალიზი წინადადების წევრთა მიხედვით (იგულისხმება წინადადების არამთავარი წევრები) მიიჩნია გარდამავალ, შუალედურ საფეხურად, რომელიც „გვაიიძულებს რაღაც შემდგომის ძიებას“ (იხ. Л. В. Щерба. О второстепенных членах предложения. Избранные работы по языкознанию и фонетике, т. I. Л., 1958, გვ. 94). ამ შემდგომი ძიების ობიექტად მას სიტყვათშეხამებაში სინტაქსური სემანტიკა მიაჩნდა.

შენიშვნა: რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში წინადადების წევრთა შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა იხ. А. А. Холодович. О второстепенных членах предложения (Из истории и теории вопроса). ФН, 1959, № 4, გვ. 18—31.

1. 9. ბ. დისტრიბუციული ანალიზი

დისტრიბუციული ანალიზის პროცესში ყურადღება ექცევა სინტაქსურ ერთეულთა გარემოცვას მოდელში. დისტრიბუციული მოდელი რამდენიმე სახისაა. ჩვეულებრივ, მიუთითებენ ჩ. ფრიზის დისტრიბუციულ მოდელზე, რომელშიც გათვალისწინებულია წინადა-

დების ანალიზი სიტყვათა განლაგების (განფენილობის) მიხედვით. სიტყვათა კლასებისათვის გამოყენებულია სპეციალური ნიშნები (სიმბოლოები): მაგალითად, ჩ. ფრიზი იყენებს შემდეგ სიმბოლოებს:

- 1 — არსებითი სახელი,
- 2 — ზმნა,
- 3 — ზედსართავი სახელი,
- 4 — ზმნიზედა და ა. შ.

სიტყვათა ქვეკლასებისა და გრამატიკული ფორმებისათვის შემოღებულია დამატებითი აღნიშვნები; მაგ.:

$\frac{1}{he}$ მამრობითი სქესის არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვში,

$\frac{1}{he(she)it}$ მამრობითი, მდედრობითი ან საშუალო სქესის არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვში.

$2d$ ზმნის წარსული დროის ფორმა მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში.

a, b (მაჩვენებლები) მიუთითებენ, რომ არსებითი სახელი შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა საგანს ან პირს და ა. შ. (იხ. Ch. Fries. The Structure of English. New-York. 1952).

ამ ნიშნებით წინადადება პატარა ვანო კარგად ხწავლობდა შემდეგნაირად გამოიხატება: $31^a 42d$.

აღნიშნულ (და საერთოდ დისტრიბუციულ) მოდელში გამოხატულია სიტყვათა კლასების ურთიერთმიმართება მთლიანად წინადადების ფონზე. ამასთან ცალკეულ სინტაქსურ ერთეულთა ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ წინადადების მოდელში მათი ადგილით განისაზღვრება. დისტრიბუციული ანალიზის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ძალიან გადაჭარბებით არის შეფასებული სიტყვათგანლაგების როლი. შესაძლებელია, მას რამდენადმე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ინგლისური ენისათვის, რომელსაც არა აქვს მკაფიო მორფოლოგიური წყობა (ბრუნებისა და უღლების კატეგორიები), რის გამოც მეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა პოზიციურ განლაგებას. ინგლისური ენის ნორმატულ გრამატიკაში დაწესებულია ფუნქციურ ერთეულთა რიგი: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, გარემოებანი. განსაზღვრება უპირატესად პრეპოზიციულია, მაგრამ ეს რეგულარული არ არის. მეტყველებაში ზშირად გვხვდება წინადადებანი, რომლებშიც ზემოაღნიშნული რიგი დარღვეულია (იხ. ქვემოთ,

3. 5. გ. სიტყვათა პოზიციური განლაგების თავისებურებანი და მათი გავლენა დაქვემდებარების გაფორმებაზე). გარდა ამისა, ერთმანეთში აღრეულია მორფოლოგიური და სინტაქსური ცნებები. დისტრიბუციულ მოდელში ხშირად ერთ წყებაში ექცევა სხვადასხვა მიმართების გამომხატველი ერთეულები; მაგ.:

English verbs and adverbs — ინგლისური ზმნები და ზმნიზებები.

Old man and children — მოხუცი კაცი და ბავშვები.

(ვსარგებლობთ ლ. ბარხუდაროვის ნიმუშით; იხ. Л. С. Бархударов. Структура простого предложения современного английского языка, გვ. 20).

ამ შესიტყვებათა მოდელი ერთნაირია $3 \frac{1}{\text{he}(she)it}$ and

$\frac{1}{\text{he}(she)it}$, მაგრამ წევრებს შორის მიმართება — სხვადასხვაგვარია. პირველ შესიტყვებაში განსაზღვრება ინგლისური მიემართება ორსავე წევრს: ინგლისური ზმნები, ინგლისური ზმნიზებები, ხოლო მეორეში — მხოლოდ პირველს: მოხუცი კაცი და არა: მოხუცი ბავშვები.

რაც მთავარია, დისტრიბუციული ანალიზის პროცესში არ არის გათვალისწინებული ფუნქციურ ერთეულთა დონეები. წინადადება განხილულია, როგორც სიტყვათა წრფივი განლაგება, ეს კი სტრუქტურული ანალიზისათვის გამოუსადეგარია. დისტრიბუციული ანალიზი ვერ გამოგვადგება ქართული წინადადების განხილვის დროს, რადგან ამ მეთოდის საფუძველს — სინტაქსურ ერთეულთა განლაგებას — ქართულში თითქმის არა აქვს სტრუქტურულად მადიფერენცირებელი მნიშვნელობა. ქართულში სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიმართებას, რომლის საფუძველზე სინტაქსური დამოკიდებულება შესაბამისი კატეგორიის მორფებით არის გამოხატული. დისტრიბუციას მხოლოდ ე. წ. პოლიფუნქციური ერთეულების, ომონიმებისა და ომოფორმების კონკრეტულ მნიშვნელობათა გასარკვევად მივმართავთ ჩოლმე (იხ. 3. 3. დ. სინტაქსური ომონიმია და 3. 4. ბ. ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია).

1. 9. ბ. უშუალო უმადგენელთა მითოდნი

უშუალო უმადგენელთა მიხედვით ანალიზის მეთოდის დამკვიდრებას ლ. ბლუმფილდის სახელს უკავშირებენ. იგი აღნიშნავდა, რომ ენობრივ ფორმებს ახასიათებთ ნაწილობრივი ფონეტიკურ-სე-

მანტიკური მსგავსება სხვა ფორმებთან და ეს მსგავსი ნაწილი მის შემადგენელს წარმოადგენს. თუ ფორმა შეიცავს რაიმე ნაშთს, რომელიც არ გვხვდება სხვა კომპლექსურ ფორმაში, ეს ნაშთიც ენობრივი ფორმაა, საბედლობრ ენობრივი ფორმის უნიკალური შემადგენელია. ამის შესაბამისად კომპლექსური ფორმები იშლება სასრულ შემადგენლებად, რომელთაც უშუალო შემადგენლები ეწოდებათ; მაგალითად, წინადადება ყოჩაღი ბიჭი ადრე დგება იშლება ორ შემადგენლად: ყოჩაღი ბიჭი და ადრე დგება. ესენიც თავიანთი მხრივ იშლებიან ორობით შემადგენლებად ყოჩაღი — ბიჭი, ადრე — დგება. ეს შემადგენლებიც იშლება მორფემურ შემადგენლებად და ა. შ.

ამრიგად, უშუალო შემადგენლები ეწოდება ორ ისეთ ფორმას, რომელთაგანაც შედგება უფრო მაღალი დონის შემადგენელი (იხ. *Л. Блумфилд. Язык. М., 1968, გვ. 169 და შმდ.*)

უშუალო შემადგენელთა მეთოდი შემდგომ განავითარეს რ. უელსმა, კ. პაიკმა, ე. ნაილამ და სხვ. სინტაქსური ანალიზის პროცესში ამ მეთოდს უფრო ხშირად ზ. ჰარისისა და ნ. ხომსკის სახელებს უკავშირებენ ხოლმე.

უშუალო შემადგენლებად ანალიზის ძირითადი პრინციპებია შემდეგი. (ე. ნაილას მიხედვით):

1. უშუალო შემადგენლებად დაშლა უნდა ემყარებოდეს რთულ მიმდევრობათა ჩანაცვლებას მარტივი მოდულებით.

2. უნდა გათვალისწინებულ იქნეს გამოყოფილი ნაწილების მიმართება მთელთან და ერთერთთან.

3. დაშლა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ენის საზოგადო სტრუქტურას.

4. დაშლა ორობითი უნდა იყოს.

5. უწყვეტ შემადგენლებად დაყოფას უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს წყვეტილთან შედარებით.

შენიშვნა: უწყვეტ შემადგენლებად ითვლება უშუალო შემადგენლები, რომლებიც ერთერთთან პოზიციურად ახლო არიან. მაგალითად, წინადადებაში ხეზე ჩიტი ზის უწყვეტი შემადგენელია ჩიტი — ზის, ხოლო წყვეტილია ხეზე — ზის.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პროცესში წინადადება ჩათვლილია ერთიან (გლობალურ) ერთეულად, რომელიც იშლება ორ უშუალო შემადგენლად: სახელის ჯგუფი და ზმნის ჯგუფი. ეს შემადგენლები კვლავ ორობითად იშლება შემადგენლებად და ა. შ., ვიდრე სასრულ უშუალო შემადგენლებს არ მივიღებთ.

უშუალო შემადგენლებად დაშლის პროცესში გასათვალისწინებელია გადაწერის (უშუალო შემადგენლებად დაშლის) წესები:

1. გადაწერის დროს შეიძლება ჩანაცვლდეს მხოლოდ ერთი ელემენტი.

2. არ შეიძლება ელემენტთა თანამიმდევრობის შეცვლა.
3. არ შეიძლება ერთდროულად ერთზე მეტი წესის გამოყენება. მარტივი ნიშნის სახით გამოვიყენოთ შემდეგი წესები:

1. **Sentence** → NP + VP
2. **NP** → T + N
3. **VP** → Verb + NP
4. **T** → the (არტიკლი)
5. **N** → child, song (ბავშვი, სიმღერას)
6. **Nerb** → sings (მღერის)

ამ წესების გამოყენების შედეგად მივიღებთ წინადადების დერივაციას:

S #
 NP + VP
 T + N + VP
 T + N + Verb + NP
 T + N + Verb + T + N
 the + N + Verb + T + N
 the + child + Verb + T + N
 the + child + sings + T + N
 the + child + sings + the + N
 the + child + sings + the + song

ბავშვი მღერის სიმღერას

უშუალო შემადგენლებად ქართული წინადადების დაშლა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

ა ი ვ ნ ის ე რ თ კ უ თ ხ ე შ ი რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა ზ ნ ა უ რ ი
 მ ი მ დ გ ა რ ი ყ ო მ ო რ ი დ ე ბ ი თ (ლ. ქიაჩ.).

შენიშვნა: ოპერაციათა რიგი აღნიშნულია რომაული ციფრებით.

რამდენიმე აზნაური (I) აივნის ერთ კუთხეში მიმდგარიყო მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის ერთ კუთხეში მიმდგარიყო მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის ერთ კუთხეში მიმდგარიყო (III) მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის ერთ კუთხეში (IV) მიმდგარიყო (III) მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის (V) ერთ კუთხეში (IV) მიმდგარიყო (III) მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის (V) ერთ (VI) კუთხეში (IV) მიმდგარიყო (III) მორიდებით.

რამდენიმე (II) აზნაური (I) აივნის (V) ერთ (VI) კუთხე (VII) ში (IV) მიმდგარიყო (III) მორიდებით.

წინადადების დაშლა შეიძლება გამოიხატოს გრაფის, „ხის“, სტემისა და წრფივი განლაგების სახით. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია სინტაქსური „დერივაციული ხე“, რომელსაც იყენებენ როგორც უშუალო შემადგენელთა, ისე ტრანსფორმაციული მეტოდით ანალიზის დროს.

„დერივაციულ ხეს“ შემდეგი თვისებები გააჩნია:

1. მასში იმდენია კვანძი (ე. ი. მინიმალური ნეგმენტი), რამდენიცაა სეგმენტი.
2. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მწვერვალი (დამოუკიდებელი სეგმენტი).
3. ყოველ კვანძს, რომელიც მწვერვალს არ წარმოადგენს, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი კავშირი, რომლითაც იგი უერთდება თავის წინა კვანძს.
4. ყოველ კვანძს, რომელიც სასრული არაა, შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი კავშირი, რომლებითაც მას უერთდება შემდგომი (უფრო დაბალი დონის) კვანძები.

მაგალითად, ამ სახელში ლამაზი ქალი ცხოვრობდა აღნიშვნები: A—გარდაუვალი ზმნის სუბიექტი,

B—ზმნა (გარდაუვალი, ერთპირიანი).

თუ დაუშვებთ, რომ


$$A = a_2 + a_1 \quad (\text{ზედსართავი} + \text{არსებითი}),$$

$$B = b_2 + b_1 \quad (\text{„ნასახელარი ზმნიზედა“} + \text{ზმნა});$$


ამასთან

$$b_2 = b_3 + b_4 \quad (\text{„ნასახელარი ზმნიზედა“} + \text{ჩვენებითი ნაცვალ-სახელი}),$$

მივიღებთ შემდეგ გრაფიკულ „დერივაციულ“ ხეს:



უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს საკმაო ღირსებე-
ბიცა და ნაკლიც გააჩნია. ამ მეთოდს გარკვეული უპირატესობა აქვს
წინადადების წევრთა მიხედვით და დისტრიბუციულ ანალიზთან შე-
დარებით, რადგან ნათლად ავლენს სინტაქსურ მიმართებას, თანამი-
მდევრულად განიხილება წინადადების ფუნქციურ კვანძთა თავი-
სებურებანი და აგებულება, მაგრამ მისი პრინციპების შინაგან წი-
ნააღმდეგობებზე რომ არა ვთქვათ რა, ყველა პრინციპის თავისუფ-
ლად გამოყენება ძნელდება, რის შედეგადაც საჭირო ხდება დაშვე-
ბათა (პრინციპებისაგან გადახვევათა) გამოყენება; მაგალითად, სწი-
რად ირღვევა ორობითობის პრინციპი, რადგან ზოგ მრავალწევრა
კვანძში შეუძლებელი ხდება მისი რომელიმე „შემადგენელი“ კვან-
ძის ჩანაცვლება; მაგალითად, შესიტყვებაში ტყავის ახალი
ლამაზი ჩანთა შეუძლებელი ხდება ორობითი ჯგუფების გა-
მოყოფა, რადგან არ არის არავითარი საფუძველი შემდეგი ორობი-
თი დაპირისპირებისათვის: ტყავის ახალი — ლამაზი ან
ტყავის — ახალი ლამაზი; ამიტომ იძულებული ვხდებით,
სამივე შემადგენელი ერთ დონეზე გამოვყოთ, ე. ი. დავუშვათ სა-
მობითი დაყოფაც.



არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც აძნელებს
უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის გამოყენებას ქართუ-
ლში. როგორც ცნობილია, უშუალო შემადგენელთა მეთოდი დამუ-
შავდა ინგლისური ენის მასალის მიხედვით, სადაც ზმნა რეგულარუ-
ლად აბსოლუტური აგებულებისაა (ერთპირიანია). ჩვენც ზემოთ მო-
ტანილ მაგალითში სპეციალურად შევარჩიეთ ერთპირიანი ზმნით
გამოხატული შემასმენლიანი წინადადება. საკითხი რთულდება, რო-
ცა ორი ან სამპირიანი ზმნით გამოხატული შემასმენელი გვაქვს. ამ
შემთხვევაში დამატება-ობიექტები ან შემასმენლის ჯგუფს უნდა
ნივაკუთვნოთ, ან — ქვემდებარისას. რადგანაც დამატებები ინდოევ-
როპულ ენებში წინადადების არამთავარ წევრებად არის ჩათვლილი,
მათ შემასმენლის ჯგუფში ათავსებენ. ქართული წინადადების „მორ-
გება“ ინდოევროპულ ენათა წინადადებისათვის არ უნდა იყოს სწო-
რი. წინადადების სტრუქტურულ ერთეულთა ნაირგვარი დონე (კონ-
სტრუქციული, კოორდინაციული, ანუ მთავარ წევრთა, დონისა და
სუბორდინაციული, ანუ არამთავარ წევრთა, დონისა) საკმაოდ ნათ-
ლად და მტკიცედ დადგინდა ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასასრულს
არნ. ჩიქობავას ნაშრომის — „მარტივი წინადადების პრობლემა

ქართულში“ — საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც დამატებ-
ობიექტებს არანაკლები (ზოგჯერ უფრო მეტი) კოორდინაციული
კავშირი აქვთ ზმნა-შემასმენელთან, ვიდრე სუბიექტს, მაშასადამე,
მათი ნებისმიერად „მიწერა“ შემასმენლისა და, მით უმეტეს, ქვემ-
დებარის ჯგუფისადმი შეუძლებელია.

ასეთი ცდა მოცემულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში
(იხ. ლ. ე ნ უ ქ ი ძ ე. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისა
და ტრანსფორმაციული მეთოდები. კრებული „ქართული ენა და
ლიტერატურა სკოლაში“, 1969, № 4, გვ. 74-78); მაგ.:

ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს
ჩემი	მეგობარი	ძალიან	საინტერესო	წიგნს	გატაცებით	კითხულობს

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ სქემაში, ჩვენი აზრით, დაშვებულია შეცდო-
მა: დაშლის მე-5 ეტაპზე დაპირისპირება ძ ა ლ ი ა ნ — ს ა ი ნ-
ტ ე რ ე ს ო წ ი გ ნ ს არასწორია, უ. ი. ძ ა ლ ი ა ნ ს ა ი ნ ტ ე რ ე-
ს ო — წ ი გ ნ ს, ხოლო შემდეგ ძ ა ლ ი ა ნ — ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო.

ქართული წინადადების ზემოაღნიშნულ (სახელურ და ზმნურ
ჯგუფებად) დაყოფაში გადმოტანილია ინდივიდუალური წინადადების
სქემა, რაც არ შეესაბამება ქართული წინადადების სტრუქტურას.

ქართული წინადადების კონსტრუქციის (ე. წ. მთავარ წევრთა
ერთობლიობის) ელემენტთა რაოდენობა დამოკიდებულია ზმნა-შე-
მასმენლის პირიანობაზე, რომლის შესაბამისადაც გვაქვს ორწევრა,
სამწევრა და ოთხწევრა კონსტრუქციები; შდრ.: ს ა ხ ლ ი შ ე ნ დ ე-
ბ ა — თ ო ვ ლ ი ე ფ ი ნ ე ბ ა მ ი წ ა ს — მ ზ ე მ ფ ა ნ ჯ ა რ ა ს
ს ხ ი ვ ი ს ტ ყ ო რ ც ნ ა. ისინი მიმდევრობათა რაოდენობითაც
განსხვავდებიან ერთურთისაგან: ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან
გვექნება 2 მიმდევრობა, ორპირიანთან — 6, ხოლო სამპირიანთან—
24 (მიმდევრობათა რაოდენობის შესახებ უფრო დეტალურად იხ.
3. 5. გ). ამათგან ავირჩიოთ რთული შემთხვევა, როცა ზმნა-შემას-
მენელი სამპირიანი ზმნით არის გამოხატული; მაგ., მ ზ ე მ ფ ა ნ-
ჯ ა რ ა ს ს ხ ი ვ ი ს ტ ყ ო რ ც ნ ა. უშუალო შემადგენლებად მის

დასაშლელად უნდა გამოვიყენოთ ორობითი დაყოფა, რის შედეგადაც შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი ორობითი წყვილები:

1. მზემ — სტყორცნა სხივი ფანჯარას.
2. მზემ სხივი — სტყორცნა ფანჯარას.
3. მზემ ფანჯარას — სხივი სტყორცნა.

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს რაიმე მარტივი ფორმა. მართალია, ფორმალურად შეიძლება ჩავანაცვლოთ ნებისმიერი სიტყვები; მაგ.: მზემ — ფანჯარას სხივი სტყორცნა → მზემ დაიძინა ან მზემ ხტის, მაგრამ ეს ჩანაცვლება არასწორია, რადგან არღვევს უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პრინციპებს; სახელდობრ:

1. ჩანაცვლება სემანტიკურად გაუმართლებელია.
2. გამოყოფილი ნაწილები არ ქმნიან არც სემანტიკურ, არც სინტაქსურ დამოკიდებულებას ერთერთთან (მზემ—სხივი, მზემ — ფანჯარას და მისთ.).
3. დაშლა აშკარად ეწინააღმდეგება ქართული ენის სტრუქტურას.

1. 9. დ. ტრანსფორმაციული მეთოდი

ტრანსფორმაციული მეთოდი უშუალო შემადგენელთა მეთოდის შემდგომს განვითარებას წარმოადგენს. ტრანსფორმაციული ანალიზი პირველად გამოიყენა ზ. ჰარისმა, რომელსაც სცადა უშუალო შემადგენელთა მეთოდით შექმნილ წინააღმდეგობათა გადალახვა, მაგრამ ამ მეთოდმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო ნ. ხომსკის ნაშრომებში (დავასახელებთ ძირითადს: З. С. Хэррис. Совместная встречаемость и трансформация в языковой структуре. წგნ. «Новое в лингвистике», II; Н. Хомский. Заметки о грамматиках непосредственно составляющих. «Кибернетический сборник», 5; Н. Хомский. О некоторых формальных свойствах грамматик. «Кибернетический сборник», 5; Н. Хомский. Логические основы лингвистической теории. წგნ. «Новое в лингвистике», IV; Н. Хомский. Несколько методических замечаний о порождающей грамматике. ВЯ, 1962, № 4 და სხვ. მეთოდის ანალიზი მოცემულია მრავალრიცხოვან სტატიებსა და რეცენზიებში, რომლებიც რეგულარულად იბეჭდება ჟურნალებში ВЯ და ФН. იხ. ВЯ 1956, № 5; № 6; 1959, № 1; და სხვ. ФН 1965, № 3, 1967, № 1 და სხვ. აგრეთვე ო. ახმანოვასა და გ. მიქაელიანის ზემოდასახ. წიგნსა და აგრეთვე კრებულში «Трансформационный метод в структурной лингвистике» М., 1964; ქართულ ენაზე უშუალო შემადგენელთა და ტრანსფორმაციუ-

ლი მეთოდები განხილულია ლ. ენუქიძის ნაშრომებში: ბირთვული წინადადება ქართულში. წგნ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II, თბ., 1967 და უშუალო შემადგენელთა ანალიზისა და ტრანსფორმაციული მეთოდები).

შენიშვნა: ტრანსფორმაციული მეთოდი სინთეზური (წარმომშობი) მეთოდია, მაგრამ გარდაქვეყნათა პროცესში ხშირად ვლინდება სინტაქსურ-სტრუქტურული თავისებურებანი, რომელთაც ანალიზისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ქვემოთ მოტანილი ტერმინი — ტრანსფორმაციული ანალიზი — პირობითია.

ტრანსფორმაციული ანალიზის დროს ყურადღება ექცევა წინადადების სტრუქტურის შედარებას სხვა სტრუქტურებთან, რითაც ზუსტდება სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქცია. ტრანსფორმაციული მოდელი წინადადების სტრუქტურის გამოხატვასთან ერთად ითვალისწინებს მის „ისტორიასაც“ („ისტორია“ გაგებულია არა როგორც სტრუქტურის ისტორიული წარმომშობის გზა, არამედ — როგორც მიმართება ენის სხვა თანამედროვე სტრუქტურებთან). ყოველი წინადადება განხილულია, როგორც გარკვეული გარდაქმნილი (ტრანსფორმირებული) ფორმა ძირითადი სტრუქტურიდან (ბირთვული წინადადებიდან) ან ბირთვული წინადადების სხვა ტრანსფორმირებული ვარიანტიდან.

ტრანსფორმაციული ანალიზი საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად გაირკვეს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქცია; მაგალითად, წინადადებაში (მ ი ყ ვ ა რ ს, მ ი ყ ვ ა რ ს მ ე ტ ი ტ ი ნ ი ჩ ე ი ლ ი ყ რ მ ი ს (ნ. ბარ.) სიტყვათშეხამება ტ ი ტ ი ნ ი ყ რ მ ი ს ო რ გ ვ ა რ ჯ ა გ ე ბ ა ს ქ მ ნ ი ს: ა) ყ მ ა ტ ი ტ ი ნ ე ბ ს და ბ) ყ მ ა ს ე ტ ი ტ ი ნ ე ბ ა ვ ი ნ მ ე. მათი გამოიყვანა შესაძლებელია ტრანსფორმაციის გათვალისწინებით. სიტყვათშეხამება მიღებულია წინადადებისაგან:

მიყვარს მე.	}	→	ტიტინი ყრმის
როცა ყრმას			
ვეტიტინები			

მიყვარს მე,	}	→	ტიტინი ყრმის
როცა ყრმა			
ტიტინებს			

პირველ შემთხვევაში სიტყვათშეხამებაში დგინდება ობიექტური სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო მეორეში — სუბიექტური. უშუალო შემადგენელთა მეთოდისაგან განსხვავებით, ტრანს-

ფორმაციული მეთოდის წესები უფრო „ლმობიერია“; სახელდობრ ნებადართულია.

1. ერთდროულად ჩატარდეს ერთზე მეტი ოპერაცია; მაგალითად, დასაშვებია ორი ერთეულის ერთდროულად ჩანაცვლება.

2. წინადადების სტრუქტურაში ახალი ელემენტების ჩამატება ან, პირუკუ, რომელიმე ელემენტის გამოკლება (ნულამდე დაყვანა).

3. სტრუქტურული ელემენტების გადაჩანაცვლება.

ტრანსფორმაციული ანალიზი, როგორც აღვნიშნეთ, უშუალო შემადგენელთა მეთოდის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, ამიტომ ტრანსფორმაციული ანალიზის დროს აღინიშნება ორი დონე: უშუალო შემადგენელთა და ტრანსფორმაციის დონეები. უშუალო შემადგენლები ჩვენ ზემოთ ზოგადად დავახასიათეთ. ამჯერად მოკლედ შევეხებით ტრანსფორმაციის თავისებურებებს. ტრანსფორმაციის ძირითადი არსი მდგომარეობს წინადადების სტრუქტურათა გარდაქცევაში. გარდაქცევა შეიძლება შეეხებოდეს როგორც წინადადების სტრუქტურულ ერთეულს, ისე მთლიანად წინადადებას; მაგ.:

სტრუქტურული ფორმულა

N_1VN_2

$N_1V(N_2 \rightarrow \text{რას?})$

$N_1VN_2 \rightarrow N_1V$

ტრანსფორმები

ძროხა ქამს ბალახს.

რას ქამს ძროხა?

ბალახი იჭმევა და მისთ.

ან $N_1V + N_1V \rightarrow (N_1 + N_1)V$

ზაზა მიდის + მაკა მიდის \rightarrow ზაზა და მაკა მიდიან.

ან კიდევ $N_1V + N_1V \rightarrow N_1V$ და N_1V

ქარი ქრის + წვიმა მოდის \rightarrow ქარი ქრის და წვიმა მოდის და მისთ.

(ქართული წინადადების ტრანსფორმაციის შესახებ უფრო დეტალურად იხ. 3.3.ე და 4.4.ა. § 4).

უშუალო შემადგენელთა და ტრანსფორმაციული მეთოდების შემდგომი განვითარება სცადა ზ. ჰარისმა თავის წიგნში „String Analysis of Sentence Structure. The Hague (II გამოც. 1964). ავტორი აღნიშნავს, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი ცდილობდა, დაენერგა ანალიზის უნივერსალური წესები. მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ მოხერხდა. ტრანსფორმაციული ანალიზის წესების შემუშავება იყო უშუალო შემადგენელთა ხარვეზების კომპენსაციის ცდა, მაგრამ ვერც ამ მეთოდმა შეძლო ანალიზის სრულყოფა. ზ. ჰარისს შემოაქვს ახალი მეთოდი — string analysis, რომელსაც თარგმნიან, როგორც „ჯაქვერ ანალიზს“ (იხ. ა. რ. ნოცე-

ზ. ჰარისი ჯაჭვურ ანალიზს ათავსებს უშუალო შემადგენელთა და ტრანსფორმაციულ დონეთა შორის. ჯაჭვური ანალიზის შესაბამისად ყოველი წინადადება იშლება ელემენტარულ წინადადებად და აღიუნქტებად. ეს უკანასკნელი წარმოადგენენ სიტყვათა მიმდევრობებს, რომლებიც მარჯვნიდან ან მარცხნიდან ემატება ელემენტარულ წინადადებას უშუალოდ ან სხვა აღიუნქტების მეშვეობით; მაგალითად, წინადადება Today automatic trucks carry cool from the factory, which we just visited up the sharp incline. შეიძლება შემდეგ ნაწილებს შეიცავდეს (ისრით აღნიშნულია აღიუნქტების მიმართულება):

ელემენტარული წინადადება — trucks carry cool.

აღიუნქტები: today → (მთლიანად ელემენტარულ წინადადებას),

automatic → trucks,
from the factory → carry.
which we visited ← factory.
just → visited,
up the incline ← carry,
sharp → incline.

დღეს ავტომატური ვაგონეტები აწვდიან ქვანახშირს ქარხნიდან, რომელიც სულ ახლახან ვნახეთ, მაღლა ციცაბო ფერდობზე.

ელემენტარული წინადადება — ვაგონეტები აწვდიან ქვანახშირს.

აღიუნქტები: დღეს → (მთლიანად ელემენტარულ წინადადებას),

ავტომატური → ვაგონეტები,
ქარხნიდან → აწვდიან,
რომელიც ჩვენ ვნახეთ ← ქარხნიდან,
სულ ახლახან → ვნახეთ,
მაღლა ფერდობზე ← აწვდიან.
ციცაბო → ფერდობზე.

ჯაჭვური ანალიზის დროს, როგორც წესი, გამოიყოფა ერთი ელემენტარული წინადადება. ჩამოცილებული რანგები შეიძლება იყოს როგორც სიტყვები, რომელთაგანაც წინადადების შექმნა შეიძლება. ისე უკვე ჩამოყალიბებული წინადადებებიც; მაგალითად, დამოკიდებული და თვით თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი კომპონენტიც კი.

სინტაგმატური ანალიზის მიხედვით წინადადება განიხილება, როგორც მის შემადგენელ ელემენტთა წრფივი განფენილობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სინტაგმებად დაიყოს. სინტაგმად ითვლება წინადადების შემადგენელი ერთეული, რომელიც ერთურთთან გარკვეული ლოგიკური, სემანტიკური, გრამატიკული და სხვ. (მაგალითად, პრაგმატული) კავშირით შეხამებული ელემენტებისაგან შედგება. ამ სინტაგმათა ერთიანობა ქმნის წინადადებას, როგორც გამონათქვამს, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ აზრის შეტყობინებას. სინტაგმატურ ანალიზს ნაირგვარი სახე აქვს. ამათგან თავისებურია ფ. მიკუშის თეორია და „პრალის ლინგვისტური წრის“ შეხედულებანი.

ფ. მიკუშის აზრით, სინტაგმატიკა ერთადერთი სტრუქტურული თეორიაა, რომელსაც შეუძლია, აანსნას მეტყველების წრფივი განფენილობა. მეტყველების ანალიზის უმცირესი ერთეულია სინტაგმა, რომლის ელემენტები ურთიერთშეპირობებულა. ფ. მიკუში უარყოფს იერარქიულ მიმართებას, სინტაქსურ დამოკიდებულებას, და ცდილობს, დაამტკიცოს სინტაგმის ელემენტთა თანაბარი ხვედრითი წონა, მათი ურთიერთშეპირობებულობა. წინადადების წრფივი განფენილობიდან იგი გამოყოფს ძირითად სინტაგმას, რომელსაც დიქტალურს უწოდებს, რადგან მეტყველების აუცილებელ პირობად მას დიქტუმისა და მოდუსის ურთიერთმიმართება მიაჩნია.

ცნება სინტაგმა ფ. მიკუშისათვის ძალიან დიდი მოცულობისაა. მისდევს რა ფ. დე სოსიურს, მას სინტაგმად მიაჩნია არა მარტო სიტყვათა შეხამება (თეთრი დათვი, ნელა მიდის და მისთ.), არამედ მორფემათა მიმდევრობა სიტყვაში (მი-იპარება, აკეთებინებ-ს და მისთ.). სინტაგმა ფ. მიკუშისათვის არის ენის ძირითადი სტრუქტურული ტიპი, რომელშიც ერთდროულად ხდება მაიგივებელ და განმასხვავებელ ფუნქციათა გამოვლენა (იხ. Ф. Микущ. Обсуждение вопросов структурализма и синтагматическая теория. ВЯ, 1957, № 1; Р. Ф. Микущ. Структуральный синтаксис Л. Теньера и синтагматический структурализм. ВЯ, 1960, № 5 და სხვ.).

სინტაგმატური ანალიზის თავისებური სახეა ფუნქციური ანალიზი, რომელსაც იყენებენ ენათმეცნიერთა ე. წ. „პრალის სკოლის“ მიმდინარეობის წარმომადგენლები. მათ აინტერესებთ წინადადების, როგორც წრფივი განფენილობის, ანალიზი, აქტუალიზების კანონზომიერებანი, მისი საშუალებები და სხვ. (აქტუალიზების შესახებ იხ. 2. 5. ა). წინადადება, მათი აზრით, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სიტყვააა შენაერთი. წინადადების შემადგენელ ნაწილებად დაყო-

ფის შედეგად ვერ ვიღებთ მორფოლოგიური რიგის ელემენტებს და, პირუტყუ, მორფოლოგიური რიგის ელემენტთა შეერთება არ გვაძლევს წინადადებას. სიტყვები და სიტყვათა ფორმები მხოლოდ მასალაა, რომელსაც ეყენებს წინადადება, როგორც მნიშვნელობის მქონე მაღალი რიგის ერთეული (იხ. Б. Трнка и др. К дискуссии по вопросам структурализма. ВЯ, 1957, № 3).

1. 9. 3. წინადადების ანალიზი მიმართებითა მიხედვით (რელაციური მეთოდი)

სინტაქსურ მიმართებათა მიხედვით ანალიზი გულისხმობს ამა თუ იმ ერთეულის ფუნქციის დადგენას იმისდა მიხედვით, თუ რომელ ერთეულთან არის იგი მიმართებაში; მაგალითად, ნებისმიერი ერთეული, რომელიც დაქვემდებარებულია არსებითი სახელით გამოხატულ წევრზე, არის განსაზღვრება, ამყარებს გაბატონებულ წევრთან ატრიბუტულ სემანტიკურ მიმართებას, ხოლო გრამატიკულად შეთანხმებულია მასთან ბრუნვაში; მაგ.,

სახლი — ორი, დიდი, ჩემი, ხის და მისთ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ტრადიციულად სიტყვათშეხამებაში ხ ი ს ს ა ხ ლ ი აღნიშნულია მართვა, ხოლო ს ა ხ ლ ი ხ ი ს ა პოზიციაში — ერთდროულად მართვა და შეთანხმება. ჩვენ ამ მიმართებაშიც შეთანხმებას ვგულისხმობთ (უფრო დეტალურად იხ. 3. 6. ბ. გ 7).

სინტაქსურ მიმართებათა მიხედვით იქმნება ე. წ. „ფუნქციური კვანძები (ბლოკები)“, რომელთა ღია „უჯრების“ შევსება ხდება გარკვეული სიის სიტყვებით, ლექსიკურ-მორფოლოგიური ერთეულებით: მაგალითად, არსებითი სახელი, რომელსაც სახელობითი ბრუნვის ფორმა აქვს, ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან რეგულარულად ავსებს ქვემდებარის „ღია უჯრას“, ხოლო, თუ ასეთი ფორმა ორი გვაქვს, მაშინ ერთ-ერთი მათგანი სხვა ფუნქციას იძენს, მაგალითად, შეუძლია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად იქცეს, რასაკვირველია, თუ ზმნა-შემასმენელს ამის ტენდენცია აქვს; მაგ.:

კლასში ოცდაათი მოსწავლეა (მოსწავლე არის).

თინა კარგი მოსწავლეა.

პირველ წინადადებაში მოსწავლეა არ არის შედგენილი შემასმენელი, რადგან ზმნა-შემასმენლის პირის „ღია უჯრა“ ერთადერთმა სახელმა შეავსო (ამ შეხამებაში ქვემდებარე-შემასმენლის წყვილი გვაქვს); ხოლო მეორე წინადადებაში გარეგნულად იგივე მოსწავლეა უკვე შედგენილი შემასმენელია, რადგან ზმნა-შემასმენლის პირის „უჯრა“ უკვე შევსებულია და მეორე სახელს მოსწავლე აღარ შეუძლია მასთან პირიელი მიმართების დამყარება.



მიმართებათა მიხედვით ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, წინადადების წევრ სიტყვათა სემანტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი, ხოლო მეორე მხრივ, წევრთა შორის დამყარებული სემანტიკური და სინტაქსური მიმართებანი. ამ მიმართებათა შესაქმნელად გარკვეული მნიშვნელობა აქვს მოქმედლის მიზანდასახულობასაც.

მიმართებებზე ზოგჯერ ტრადიციული (წევრთა მიხედვით) ანალიზის დროსაც ამახვილებენ ყურადღებას; მაგალითად, მიმართებათა მიხედვით ანალიზს გულისხმობს ნათესაობითი ბრუნვის ფუძიან განსაზღვრებათა და უბრალო დამატებათა ერთურობისაგან გამიჯვნის საყოველთაოდ ცნობილი ხერხი, რომლის მიხედვითაც, თუ „ნათესაობითი“ ბრუნვის ფორმა სახელთან არის შეწყობილი (ე. ი. სახელთან არის მიმართებაში; მაგ.: ხ ი ს კ ი ბ ე, ა გ უ რ ი ს კ ე დ ე ლ ი, ო ქ რ ო ს ბ ე ქ ე დ ი და მისთ.), განსაზღვრებაა; ხოლო, თუ იგი სახელზმნასთან არის შეწყობილი (ე. ი. მიმართებაშია სახელზმნასთან; მაგ.: ხ ი ს მ ო ქ რ ა, ა გ უ რ ი ს და წ ყ ო ბ ა, ო ქ რ ო ს ძ ი ე ბ ა და მისთ.), უბრალო დამატებაა.

მიმართებათა მიხედვით ანალიზის საფუძველზე დგება მოდელები, რომელთა ინტერპრეტაცია სიტყვათა შეხამების კანონზომიერებათა მიხედვით ხდება; მაგ.:

I მოდელი S(N) R P (V).

წესი.— ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნა-შემასმენლის სუბიექტურ პირთან, არის ქვემდებარე.

II მოდელი O_D (N) R P (V).

წესი — ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნა-შემასმენლის ირიბობიექტურ პირთან, არის ბრუნვაუცვლელი დამატება.

III მოდელი O_{D-N} (N) R P (V).

წესი — ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნა-შემასმენლის პირდაპირობიექტურ პირთან, არის ბრუნვაუცვლელადი დამატება.

IV მოდელი At R N.

წესი — ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია არსებითი სახელით გამოხატულ წევრთან, არის განსაზღვრება.

V მოდელი Ad R V || (V→N).

წესი — ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნით ან სახელზმნით გამოხატულ წევრთან და ქმნის მასთან არაპირიელ (ადვერბიალურ) კავშირს, არის გარემოება.

VI მოდელი N R V || (V→N).

წესი — ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნით

ან სახელზმნით გამოხატულ წევრთან და ქმნის მასთან არაპირიელ სუბსტანტიურ კავშირს, არის უბრალო დამატება.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: წესებში სიმარტივისათვის ტრადიციული ტერმინები არის გამოყენებული.

ეს კანონზომიერებანი საკმაოდ მნიშვნელოვანია სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციის გასარკვევად, მაგრამ რიგ შემთხვევაში ზოგადია; მაგალითად, ადვერბიალური ფუნქციური ერთეული შეიძლება მიმართებაში იყოს ზმნით ან სახელზმნით გამოხატულ სხვა წევრთან და კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც გარემოება; მაგრამ სახელდობრ რომელი გარემოებაა (ადგილისა, დროისა და ა. შ.), ამის დასადგენად სხვა დამატებითი საშუალებები არის საჭირო (მაგ., დაქვემდებარებული წევრის ლექსიკურ-მორფოლოგიური კლასები თუ ქვეკლასები და მისთ.). მიუხედავად ამისა, მიმართებათა მიხედვით ანალიზი ყველაზე სანდოდ უნდა იქნეს მიჩნეული, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მწყობრ კანონებს ეფუძნება, კლასიფიკაციისას უპირატესად ერთ მადიფერენცირებელ ნიშანს იყენებს. გარდა ამისა, ერთდროულად ჩდება როგორც სინტაქსურ, ისე სემანტიკურ მიმართებათა გათვალისწინება და სხვ. (უფრო დაწვრილებით იხ. 3. 4).

1. 9. ზ. ლ. ტენიერის სტემები

მიმართებათა მიხედვით სინტაქსურ ანალიზს მნიშვნელოვნად უახლოვდება ლ. ტენიერის სტემური ანალიზი, რომელთაც ავტორმა ჩამოყალიბებული სახე მისცა თავის ნაშრომში *Elements de syntax structurale*. Paris, 1959. სტემური მეთოდი საკმაოდ არის გავრცელებული ფრანგულ ენათმეცნიერებაში (იხ. მაგ. P. Guiraud. *La Syntax du français*. Paris, 1962 და სხვ.).


ლ. ტენიერის აზრით, წინადადება მოგვაგონებს სპექტაკლს, რომელშიც პროცესს გამოხატავს ზმნა, ხოლო მასთან დაკავშირებული სახელები მოქმედ პირებს (აქტანებს) წარმოადგენენ. წინადადება (ლ. ტენიერი ხმარობს ტერმინს — ფრაზა) აქტანთა ორგანიზებული ერთობლიობაა, მის ელემენტებს სიტყვები წარმოადგენენ. გარდა სიტყვებისა, ფრაზის ელემენტი აგრეთვე კავშირი; მაგალითად, წინადადება *Alfred parle* (აღფრედი ლაპარაკობს) შედგება სამი ელემენტისაგან: *Alfred, parle* და მათი გამაერთიანებელი კავშირისაგან. ამათგან მთავარი მნიშვნელობა აქვს კავშირს.

ფრაზის მწვერვალი არის ზმნა, რომელიც კავშირს ამყარებს აქტანებთან. კავშირს ქმნიან მმართველი (მაღალი რიგისა) და მართული (დაბალი რიგის) ელემენტები. დაბალი რიგის ელემენტს

კავშირი აქვს მხოლოდ ერთ მაღალი რიგის ელემენტთან. სინტაქსური მიმართების შედეგად იქმნება კვანძები, იერარქიული ხასიათისაა. ყველაზე მაღალი რიგის ფრაზა. კვანძთა ერთობლიობა გამოიხატება სტემაში, ნათლად ჩანს მათი იერარქიული რიგი; მაგალითად, წინადადება

Mon vieil ami chante cette jolie chanson.

(ჩემი ძველი მეგობარი ამ მშვენიერ სიმღერას მღეროდა).
შეიძლება შემდეგი სტემით იქნეს გამოხატული:



კვანძებს შეიძლება ჰქონდეს სუბსტანტიური, ადიექტური და ადვერბიალური ფუნქცია, რაც მათი ელემენტების გამოხატვის საშუალებებზე არის დამოკიდებული.

* * *

ჩვენ მეტად მოკლედ დავახასიათეთ სინტაქსური ანალიზის მეთოდები და აღვნიშნეთ მათი არსი. რასაკვირველია, ლინგვისტური ანალიზში მხოლოდ ეს მეთოდები არ არის გამოყენებული, მით უმეტეს, რომ ამა თუ იმ მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელი ერთნაირად არ იყენებს ამა თუ იმ მეთოდს. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არა მარტო ნაირფეროვანი მეთოდების გამოყენება შეინიშნება, არამედ მათი ქვესახეობანი და, თუ შეიძლება ითქვას, ამ ქვესახეობათა ქვესახეობანიც კი გაგვაჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზშირად ამა თუ იმ მიმდინარეობის წარმომადგენლებს თავ-თავისი შეხედულებანი აქვთ, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა მიმდინარეობისა ან იმავე მიმდინარეობის სხვა წარმომადგენლებისაგან. რასაკვირველია, ძნელია ყველა (და ყველას) შეხედულების ერთ ნაშრომში წარმოდგენა. ეს არც შეადგენდა ჩვენს მიზანს, ხოლო სინტაქსური ანალიზის მეთოდების შესახებ ზოგადი წარმოდგენის მისაღებად, ეფიქრობთ, ზემოაღნიშნულიც საკმარისია.

თ ა ვ ი II

ქ ი რ ი თ ა ღ ი ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ც ნ ა ბ ა ბ ი

2. 1. სინტაქსის საგანი, წინადადება და სტრუქტურა

ძნელად მოიძებნება ისეთი მრავალფეროვანი გაგების შემცველი საკითხი, როგორცაა სინტაქსის საგანი. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა მიმართულების მიმდევარი სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ და ამჟამადაც განმარტავენ სინტაქსის კვლევის ობიექტს, თვით ერთი მიმართულების წარმომადგენლებიც კი არსებითად განსხვავებულ პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაჯგუფდება ორი საპირისპირო — ე. წ. „ტრადიციული“ და „უახლესი“, ე. წ. „სტრუქტურალისტური“ — მიმართულება, რომელთაც კარდინალურად განსხვავებული შეხედულებანი აქვთ აღნიშნულ საკითხზე; მაგრამ აზრთა სხვაობა სინტაქსის საგნის შესახებ უფრო აღრინდელია, ვიდრე ამ ორი მიმართულების დაპირისპირება. სხვადასხვა ენათმეცნიერი სხვადასხვა დროს სინტაქსის საგნად წინადადების ხან ლოგიკურ, ხან ფორმობრივ, ხან ექსპრესიულ და სხვა მხარეებს თვლიდა; სინტაქსის კვლევის ობიექტად ხან წინადადება, ხან შესიტყვება, ხან კიდევ სიტყვათა შეხამების წესები იყო აღიარებული; ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ლოგიციზმი, რის შედეგადაც სინტაქსურ კატეგორიათა განმარტება ლოგიკისტური გამოდიოდა, ხოლო თვით სინტაქსი ლოგიკას ემთხვეოდა ან მას ექვემდებარებოდა. შეიმჩნეოდა მეორე უკიდურესობაც — სინტაქსი მიაჩნდათ სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების ფუნქციათა ან მხოლოდ ფორმობრივ თავისებურებათა დარგად გრამატიკისა. ცნობილია აგრეთვე სინტაქსურ ცნებათა ფსიქოლოგისტური, ფონეტიკური და სხვა გაგება.

ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნულ შეხედულებათა კრიტიკას, ისინი საკმაოდ ფართოდაა მიმოხილული სპეციალურ ლიტერატურაში. შეიძლება დავასახელოთ ძირითადი წყაროები სპეციალური ლიტერატურიდან (მაგ.: არ ნ. ჩ ი ჯ ო ბ ა ვ ა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. თბ., 1928 (II გამოც. — 1968); მ ი ს ი ვ ე, ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1952,

მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბ., 1945; В. В. Виноградов. История изучения русского синтаксиса. Изд. МГУ, 1958; Т. П. Ломтев. О спорных вопросах теории синтаксиса. ФН, 1958, № 4; О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян. Современные синтаксические теории. М., 1961 და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი აზრი არც ახლა არსებობს. აზრთა სხვადასხვაობა ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა უმაღლესი სკოლებისა და აკადემიური დაწესებულებების ენათმეცნიერთა თათბირზე 1969 წელს (იხ. Тезисы докладов на совещании языковедов вузовских и академических учреждений по теоретическим вопросам синтаксиса, М., 1960; რამდენიმე მოხსენება გამოქვეყნდა 1961 წელს; იხ. ФН, 1961, № 3).

სინტაქსის საგნის დახასიათება უშალოდ უკავშირდება წინადადების არსის, მისი რაობის დადგენის საკითხს. სინტაქსის საგანი რომ წინადადებაა, ეს დებულება წინააღმდეგობას არ იწვევს, მაგრამ სახელდობრ წინადადების რომელი მხარე, მისი რომელი ასპექტი უნდა შეისწავლოს სინტაქსმა — ეს უკვე დიდი ხანია სადავოა.

აზრთა ნაირგვარობამ ნაირგვარი განსაზღვრა გამოიწვია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ განსაზღვრათა რაოდენობა სწრაფად იზრდება: მაგ., თუ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ი. რისი წინადადების 140-მდე განსაზღვრას ასახელებდა (იხ. J. Ries. Was ist Syntax. Prag, გვ. 208-234). ე. ლერხმა 30-იანი წლების დასასრულს 200-ზე მეტი განსაზღვრა აღნიშნა (იხ. E. Lerch. Vom Wesen des Satzes und von Bedeutung der Stimmführung für die Satzdefinition. Archive für die gesamte Psychologie. 1938, გვ. 133-137). ამჟამად ცნობილია წინადადების 300-ზე მეტი განსაზღვრა (იხ. E. В. Кротевич. предложение и его признаки. Львов, 1954, გვ. 3; ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში. თბ. 1963, გვ. 59-60; И. А. Сизова. Что такое синтаксис. М., 1966, გვ. 8 და სხვ.).

წინადადების ნაირგვარ განსაზღვრათა ანალიზი საკმაოდ ვრცელადაა მოცემული სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. არ ნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები; E. М. Галкина-Федорук. Безличные предложения в современном русском языке. М., 1958 და სხვ.).

წინადადება, როგორც სინტაქსის საგანი, შეიძლება დახასიათდეს, ერთი მხრივ, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი სახე, როგორც

აზრის შეტყობინებისა და მიღების (ინფორმაციის გადაცემისა და მიღების) საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც გარკვეული სტრუქტურა, რომელსაც გარკვეული სტრუქტურულ-ფორმობრივი კანონზომიერებანი გააჩნია როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით. წინადადების ეს (სტრუქტურული) მხარე შეიძლება გამოვლინდეს ნაირგვარ ასპექტებში. მათგან ძირითადია ორი: ლოგიკური და ფორმობრივი ასპექტები.

ენისა და მეტყველების დაპირისპირების თვალსაზრისით (იხ. 1. 1.), წინადადებასა და მის სტრუქტურას შორის არსებითი სხვაობაა. წინადადება მეტყველების ყველაზე მაღალორგანიზებული ერთეულია, რომელსაც ახასიათებს როგორც ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურულობა, ისე რიგი სხვა ფაქტორები, როგორიცაა თუნდაც მთქმელის სუბიექტური მიზანდასახულობა, რომლის მიხედვითაც იცვლება წინადადების ინტონაციური შეფერილობა და რომელმაც შესაძლებელია წინადადების სტრუქტურაზეც მოახდინოს გავლენა.

წინადადება წრფივი ხასიათისა, მეტყველების აქტში მისი სეგმენტაცია არ ემორჩილება სტრუქტურულ კანონზომიერებებს, ეს მეტ-ნაკლებად ყველა ენაში შეინიშნება. მათ შორის ისეთშიც, რომელშიც სინტაქსურ ერთეულთა განლაგებას სტრუქტურული მნიშვნელობა ეძლევა; მაგ., ინგლისურ ენაში ნორმატული გრამატიკის მიხედვით ცნობილია სინტაქსურ-ფუნქციურ ერთეულთა შემდეგი რიგი: ქვემდ. — შემასმ. — დამატ. — გარემოებანი, მაგრამ სტრუქტურულ ერთეულთა ამგვარ წრფივ განლაგებას ამჟამად უფრო ხშირად სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ნორმატულ გრამატიკებში ვხვდებით. რეალურად წინადადებაში საკმაოდ ხშირად გვაქვს ისეთი განლაგება, რომელშიც ზემოაღნიშნული სტრუქტურულ-ფუნქციური რიგი დარღვეულია, მაგრამ თვით წინადადების წრფივი განლაგება, მეტყველების ნაკადის სეგმენტაცია დაცულია (უფრო დეტალურად სიტყვათაგანლაგების შესახებ იხ. 3. 5. გ.). წინადადება აქტუალიზებულია (იხ. 2. 5. ა), ხოლო სტრუქტურა მისი ჩონჩხია. ამით არის გამოწვეული ის, რომ წინადადების სეგმენტების წრფივ განლაგებას უპირისპირდება წინადადების სტრუქტურის იერარქიული ვერტიკალური წყობა; მაგრამ სტრუქტურა არსებობს მხოლოდ წინადადებაში. მისი რეალურად გადმოცემა მხოლოდ წინადადების მეშვეობით შეიძლება.

ამრიგად, წინადადება, როგორც აზრის შეტყობინების საშუალება, მეტყველების ერთეულია, ხოლო წინადადების სტრუქტურა ენათმეცნიერული ანალიზის სფეროს განეკუთვნება. ჩვენ ვემხრობით სინტაქსის საგნის იმგვარ განსაზღვრას, რომლის დროსაც ერთურთისაგან გამიჯნულია სტრუქტურულ-სინტაქსური და


საკომუნიკაციო სინტაქსური ასპექტები (იხ. И. П. Распопов, О предмете синтаксиса. УЗ Башкирского ГУ, вып. 15. Уфа, 1964, გვ. 23 და შმდ.).

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი დაყოფა პირველად არნ. ჩიქობავას ნაშრომში არის მოცემული. ავტორი სინტაქსის საგნად მიიჩნევს წინადადების აგებულებას, ხოლო შესიტყვების მნიშვნელობა (ანალიზი შესიტყვებისა გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით) მეტყველების სტილის საგნად მიიჩნია (იხ. არნ. ჩიქობავა. გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები. გვ. 261). ანალოგიური აზრი გამოთქმული აქვს ვ. პანფილოვს (იხ. В. З. Панфилов. Предложение как языковая единица. X კონგრ. თეზ., გვ. 193).

საყურადღებოა ა. მუხინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სინტაქსს უპირისპირდება სინტაქსემიკა (შდრ. დაპირისპირებანი: ფონეტიკა — ფონემიკა, მორფოლოგია — მორფემიკა). ავტორის აზრით, სინტაქსემიკამ უნდა შეისწავლოს სინტაქსურ ერთეულთა (სინტაქსემათა) სტრუქტურულ-ფუნქციური მიმართება (იხ. А. М. Мухин. Синтаксема как функциональная синтаксическая единица. ФН, 1961, № 3, გვ. 59 და შმდ.).

სინტაქსის საგნის შესახებ მოხდენილად წერდა ა. დობიაში: „სინტაქსისტიის ამოცანა მდგომარეობს იმ სქემათა გააზრებაში, რომელთა მიხედვით ცალკეული სიტყვებისაგან შედგება ხოლმე წინადადება“ (იხ. Антон Добняш. Синтаксис Апполония Диска. Киев. 1882, გვ. III). სინტაქსის თანამედროვე მკვლევართაგან მიახლოებით ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ლ. ტენიერს, რომლის აზრით, „წინადადების შედგენა ნიშნავს ხორცშესხმას ამორფული მასისათვის მასში კავშირურთიერთობათა დადგენის გზით“ (იხ. L. Tesnière. Elements de syntax structurale. Paris, 1959, გვ. 12 და შმდ.) და ნ. ზომსკის, რომლის აზრითაც „სინტაქსი არის მოძღვრება წინადადების აგების პრინციპებისა და საშუალებათა შესახებ“ (იხ. Н. Хомский. Синтаксические структуры. წიგნ. «Новое в лингвистике», 2, 1962, გვ. 415).

ამრიგად, წინადადება, როგორც სინტაქსის კვლევის ობიექტი, ორგვარ თავისებურებას ავლენს. ენისა და მეტყველების დონეზე სინტაქსური კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს წინადადება, როგორც გარკვეული სტრუქტურა, და წინადადება, როგორც გამონათქვამი. ამის შესაბამისად თანამედროვე ლინგვისტიკაში მიღებულია წინადადების ანალიზის შემდეგი სქემა:



ამრიგად, სინტაქსის, როგორც გრამატიკის დარგის, შესწავლის საგანი არის წინადადება, სახელდობრ, მისი ფორმოზომები (სტრუქტურული) თავისებურებანი. ხოლო სემანტიკურ-ფუნქციურ თავისებურებათა შესწავლა არსებითად მეტყველების სტილის სფეროს განეკუთვნება.

წინადადების ამგვარი ორობითი განხილვა სრულებითაც არ ქმნის წინააღმდეგობას ენასა და მეტყველებას შორის. ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, როგორც რეალური ობიექტი, თავისი არსით ერთიანია და მისი ელემენტები (როგორც ინტრა, ისე ექსტრალინგვისტური) ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეპირობებულია, ხოლო მეცნიერული აბსტრაქციის თვალსაზრისით იგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ამ რეალური ობიექტის მოდელთა ნაგებობა. შესაბამისად წინადადებაც, როგორც გამონათქვამი, რეალური ობიექტი, ერთიანია, მიუხედავად თავისი ნაირფეროვნებისა და მრავალსპექტიანობისა, მაგრამ ენათმეცნიერული ანალიზის დონეზე უნდა გამოიყოს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა განხილვა მეცნიერული აბსტრაქციის თვალსაზრისით სავსებით შესაძლებელია.

2. 2. წინადადება, როგორც მრავალსპექტიანი ენობრივი ერთეული

ენის საკომუნიკაციო ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, წინადადებასთან არის დაკავშირებული. ადამიანთა ურთიერთობის საშუალების (იარაღის) როლს ენა მხოლოდ და მხოლოდ წინადადების, ე. ი. ორგანიზებული სტრუქტურის, მეოხებით ასრულებს.

წინადადება ენის ძირითადი დასრულებულშინაარსიანი ერთეულია, რომლის საშუალებითაც ხდება აზრის ჩამოყალიბება, გამოხატვა და სხვისათვის შეტყობინება. იგი იმავე დროს რამდენადმე დასრულებული გამონათქვამია, რომელიც შეიძლება გამოხატავდეს არა მარტო აზრს, არამედ გრძნობას, მოწოდებასა და ა. შ. წინადადების მრავალფეროვან ფუნქციათა თავისებურებანი განაპირობებენ მის ნაირგვარ ხასიათს.

შენიშვნა: წინადადება, როგორც მეტყველების უმაღლესი დონის (უმაღლესი რიგის) ერთეული შეიძლება შევადაროთ „თეთრ სხივს“, რომელიც სხვადასხვა ფერის სპექტრისაგან შედგება ისევე, როგორც სხივის სპექტრალურ კომპონენტებს საკუთარი თავისებურებანი გააჩნიათ, მაგრამ მათი ერთობლიობა გვაძლევს სინათლის სხივს, წინადადების „კომპონენტებსაც“ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი კერძო თვისებები, მაგრამ ამ კომპონენტთა ერთიანობა ქმნის წინადადებას, როგორც აზრის გამოხატვისა და შეტყობინების ძირითად (არსებითს) ფორმას.

რამდენადაც ჩვენ მისაღებად მივიჩნიეთ წინადადების განხილვა ორ — ენისა და მეტყველების — ასპექტში, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, პლანში, წინადადებაში უნდა დავეუშვათ სტრუქტურულ და ფუნქციურ მხარეთა ურთიერთგადაკვეთა. მართლაც წინადადებაში, როგორც ენის მაღალორგანიზებულ ერთეულში, ერთურობთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი სტრუქტურულ-სინტაქსური და ექსპრესიულ-სტილური თუ სხვა მხარეები. ამდენად ყოველი წინადადება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი სტრუქტურული ელემენტების გამოხატვის, მათი ურთიერთობის, განლაგებისა და ინტონაციის ერთიანობა (იხ. В. В. Виноградов. Некоторые задачи изучения синтаксиса простого предложения. ВЯ, 1954, № 1, გვ. 3).

წინადადება, საერთოდ, არ არსებობს მეტყველების გარეშე, ამდენად ყოველი წინადადება აუცილებლად წარმოადგენს რამდენაღმე გამონათქვამს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა მას შენარჩუნებული თავისი სტრუქტურული მთლიანობა, რეალურად გააჩნია თუ არა ყველა თავისი სტრუქტურული ელემენტი. ამ მხრივ წინადადება, როგორც გამონათქვამი, ადვილად ივსებს „დანაკლისს“ ან არა-ენობრივი საშუალებებით (მიმიკით, ქესტიით), ან კონტექსტში (როგორც დიალოგურ, ისე მონოლოგურ კონტექსტში); მაგალითად, ცალკე აღებული სიტყვა გუშინ არც შესიტყვებაა და არც აზრის შეტყობინების საშუალება; მაგრამ დიალოგურ კონტექსტში ის იქნეს მთლიანი წინადადების შინაარსს:

— როდის ჩამოხვედი სოფლიდან?

— გუშინ.

აქ გუშინ უკვე არა იზოლირებული, დაუსრულებელშინაარსიანი ერთეულია (სიტყვაა), არამედ აზრის შეტყობინების სრულშინაარსიანი საშუალებაა, რადგანაც მთლიანი დიალოგური კონტექსტის ფონზე ის ასრულებს წინადადება-გამონათქვამის ფუნქციას — მე სოფლიდან გუშინ ჩამოვედი.

წინადადება, სტრუქტურისაგან განსხვავებით, აქტუალიზებულია (იხ. ქვემოთ, 2. 5). აქტუალიზება არის ის ფაქტორი, რომლის მეოხებითაც არა მარტო სიტყვათა გრამატიკულად სწორი შენაერთი, არამედ მისი ნაწილი, სიტყვა ან ბგერათა უაზრო კომპლექსიც კი შეიძლება მეტყველებაში წინადადების ტოლფასად მოგვევლინოს. ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, თანაბარი მნიშვნელობა აქვთ წინადადებებსა და მათ ტოლფასად წარმოდგენილ სხვა ერთეულებს, თუნდაც მათში სტრუქტურული მთლიანობა დარღვეული იყოს. კითხვაზე: — ს ა დ შ ე გ ხ ვ დ ა გ ი ვ ი? — პასუხი — ტ რ ო ლ ე ი ბ უ ს შ ი ისეთსავე ინფორმაციას გვაწვდის, როგორც მისი სრული სტრუქტურული საბე გ ი ვ ი ტ რ ო ლ ე ი ბ უ ს შ ი შ ე მ ხ ვ დ ა.


2. 2. ა. წინადადების ძირითადი მხარეები

წინადადება, როგორც მეტყველების ერთეული, რიგი ფაქტორებით არის შეპირობებული, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

1. პრედიკატულობა (ლოგიკური ნიშანი);
2. კონსტრუქციულობა (გრამატიკული ნიშანი);
3. მოდლობა (საკომუნიკაციო ნიშანი).

ამის შესაბამისად წინადადების ანალიზისას შეიძლება ერთერთისაგან გავმიჯნოთ მისი სამი მხარე, ე. ი. წინადადება განვიხილოთ სამ ასპექტში: 1) როგორც მსჯელობა (მსჯელობის სიტყვიერი გამოხატულება), 2) როგორც სტრუქტურა (სიტყვათა გრამატიკულად კანონზომიერი მიმართება) და 3) როგორც გამონათქვამი.

წინადადების სტრუქტურულ და სამეტყველო მხარეთა ერთიერთმიმართება შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი სქემით:



ამრიგად, წინადადება ძირითადად ორგვარი ბუნებისაა: იგი აზრის ჩამოყალიბების ფორმა, მაგრამ იმავე დროს მისი შეტყობინების საშუალებაა; ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სტრუქტურული, ისე მეტყველების დონის ერთეულად. წინადადების ამ ორ ძირითად მხარეს შორის მჭიდრო კავშირია, ისინი მეტ-ნაკლებად განაპირობებენ ერთერთის თავისებურებებს: აზრის გამოთქმის მიზანდასახულობა გავლენას ახდენს წინადადების სტრუ-

ქტურაზე (მაგალითად, კითხვითი წინადადების სპეციფიკური სტრუქტურა) და, პირიქით, წინადადების სტრუქტურა (მისი სრული თუ გავრცობილი კონსტრუქციები და სხვ.) ხელს უწყობს აზრის გამოხატვისა და მისი შეტყობინების სიზუსტეს. მიუხედავად აღნიშნულ ფუნქციათა შორის მჭიდრო კავშირისა, წინადადების ანალიზის დროს გამოიყოფა მისი სტრუქტურული სახეები (ვარიანტები), რომლებიც გრამატიკულ ლიტერატურაში, ერთი მხრივ, გავრცობილ და გაუვრცობელ, ხოლო, მეორე მხრივ, სრულ და უსრულ წინადადებათა სახელწოდებით არის ცნობილი; აგრეთვე აღინიშნება წინადადების სახეები მტკიცების მიხედვით (ლოგიკური ვარიანტები) და, დასასრულ, — მისი ემოციურ-ინტონაციური სახეები (აქტუალური-ზებული ვარიანტები).

2. 8. წინადადება, როგორც მსჯელობა

რამდენადაც წინადადება აზრის ფორმა, მისი სიტყვიერი გამოხატულებაა, მისთვის დამახასიათებელია პრედიკატულობა, როგორც აზრის (ლოგიკური მსჯელობის) აუცილებელი პირობა, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მაინც არის გამოხატული ყოველ წინადადებაში. პრედიკატულობა, ჩვეულებრივ, მსჯელობის S—P მიმართებით გამოიხატება (მზე ამოვიდა, დაფა შავია, დღეს ცივა და სხვ.), მაგრამ ლოგიკური მსჯელობა ყოველთვის არ არის შიშველი S—P მიმართება, უმრავლეს შემთხვევაში მსჯელობისას ამ მიმართების დაზუსტება-დანაწევრება გვიხდება: აზრის გამოსახატავად ჩვენ უფრო ხშირად მაკრო და მიკრო S—P მიმართებას მივმართავთ. ეს მიმართება წინადადების სტრუქტურით გამოიხატება, ხოლო ცალკეული მიკრო S—P მიმართება შეიძლება მთლიანად წინადადების (მაკრო S—P მიმართების) ფონზე იქნეს განხილული.

მართალია, ზოგჯერ წინადადებაში შეიძლება არ იყოს S ერთეული, მაგრამ S—P მიმართება (ზოგადად) არ იხსნება, რადგანაც წინააღმდეგობა საგანსა (S-სა) და ნიშან-თვისებას (P-ს) შორის მაინც არის (იხ. П. С. Попов. Диалектика суждения. კრებ. «Академику В. В. Виноградову к его шестидесятилетию». М., 1956, გვ. 201).

ყოველ ფრაზაში გამოიყოფა ლოგიკური კომპონენტები, რომლებიც თავიანთი ურთიერთშეფარდებით განსაზღვრავენ წინადადების საშუალებით გადმოსაცემ აზრს, ე. ი. წარმოგვიდგენენ იმას, თუ რის შესახებ არის მსჯელობა (S) და რა ითქმის მის შესახებ (P).

წინადადების, როგორც რამდენადმე დასრულებული აზრის ფორმის, შედგენილობაში ცალკეული შინაარსობრივი კომპლექსის შე-

საბამისი ნაწილები თვით წარმოადგენენ გარკვეულ სტრუქტურულ მთლიანობას — სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელშიც სიტყვები ერთმანეთთან გრამატიკულადაა დაკავშირებული; მაგრამ, გარდა გრამატიკული კავშირისა, მათ აერთიანებს რამდენადმე დასრულებული ინტონაციური ნახაზი, საერთო აქვთ შინაარსობრივი მახვილიც. წინადადებაში ეს ნაწილები (სინტაგმები) მეტ-ნაკლები სიდიდის პაუზით გამოიყოფა; მაგ.:

ქართველადიანთ ბალში//ვარდის კოკრები//საამურად გადაშლილიყო (ი. გოგ.).

მდინარე ფრონის ნაპირზე//ყაყიტას სიმინდი//ჰქონდა დათესილი (ს. მგალ.).

ყოველი ინტონაციური მონაკვეთი, რომელიც ერთი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფისაგან შემდგარი ინტონაციურ-შინაარსობრივი ერთიანობაა (რაც სავსებით შეესაბამება წინადადების შინაარსში სათანადო აზრობრივ კომპლექსს), წარმოადგენს სეგმენტს, რომელიც ფრაზის ნაწილია, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება დაემთხვეს მთლიანად წინადადებას, თუ შეუძლებელია ამ უკანასკნელის დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად; მაგ., გუშინ წვიმდა; შდრ. გუშინ საღამოს კოკისპირული წვიმა//წამოვიდა და მისთ.

როგორც დავინახეთ, წინადადება, ჩვეულებრივ, შედგება გარკვეული აზრობრივ-ინტონაციური სეგმენტებისაგან, რომლებშიც ორი ან მეტი სიტყვაა გაერთიანებული. ეს ნაწილები, როგორც წესი, ემთხვევიან წინადადების ლოგიკურ მონაკვეთებს და მათში გაერთიანებული კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულებით რამდენადმე კომპაქტურ აზრს (ან მის მონაკვეთს) გამოხატავენ. ამ ნაწილებს ლოგიკაში შესიტყვებას, ანუ სინტაგმას, უწოდებენ. სინტაგმას წინადადებაში ეკისრება საგნისა და მოვლენის შინაარსისა და სინამდვილისადმი მათი მიმართების გადმოცემა. სეგმენტები წინადადებაში გამოიყოფა სამეტყველო ნაკადის რიტმულ-მელოდიკური დანაწევრების საფუძველზე, როგორც სიტყვათა ჯგუფი (ჩვეულებრივ, ორი სიტყვა), რომელიც ხშირად ლოგიკურ-ინტონაციურ ერთიანობას გამოხატავს და იმავე დროს სინტაგმასაც წარმოადგენს. ამრიგად, წინადადების სინტაგმებად დანაწევრება ყოველთვის გამოხატულია ინტონაციაში (მის აქცენტუაციურ-მელოდიკურ სტრუქტურაში).

ლოგიკური სინტაგმა შეიძლება სრული (წინადადება) ან მისი ნაწილი იყოს; მაგ., საინტერესო წიგნი წავიკითხე. ამ წინადადებაში საინტერესო წიგნი ლოგიკური სინტაგმაა და იმავე დროს წარმოადგენს სრული სინტაგმის ნაწილს. თავის მხრივ სინტაგმა საინტერესო წიგნი იყოფა ორ ნაწილად: წიგნი (განსასაზღვრავი) და საინტერესო (განმსაზღვრელი).

ნაწილობრივ სინტაგმაშიც შეიძლება იგივე მიმართება დავადგინოთ. შ. ბალის აზრით, სინტაგმის (როგორც სრულის, ისე ნაწილობრივისა) ლოგიკური კავშირი შეიძლება დაყვანილ იქნეს პრედიკაციამდე: მამაჩემის სახლი ნიშნავს სახლს, რომელიც მამაჩემს ეკუთვნის და მოგვაგონებს მსგავს წინადადებას (სახლი მამაჩემს ეკუთვნის); ატრიბუტულ სიტყვათაშეხამებაში კუთვნილებითი სემანტიკური მიმართება ისეთივეა, როგორსაც ქმნის ზმნა ეკუთვნის, იგი ფარულადაა შენახული სათანადო შეხამებაში (იხ. Ш. Балли. *Общая лингвистика и вопросы французского языка*. М., 1955, გვ. 119—120).

ასევე შეიძლება ყოველ ატრიბუტულ სინტაგმაში ვიგულისხმოთ პრედიკატულის ნაშთი:

წითელი ვარდი — ვარდი (არის) წითელი.

შავი დაფა — დაფა (არის) შავი.

მწიფე ვაშლი — ვაშლი (არის) მწიფე.

ამხანაგის წიგნი — წიგნი (არის) ამხანაგისა და სხვ.

შენიშვნა: ატრიბუტული სემანტიკა ლოგიკური მიმართების (მსჯელობის) ძირითადი სახეა. ასეთსავე თვისებას ავლენს სუბსტანტიური განსაზღვრებაც; რომელიც ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრებისაგან არსებითად მხოლოდ გამოხატვის საშუალებებით განსხვავდება. როგორც ცნობილია, ატრიბუტულ სემანტიკურ მიმართებას ქმნიან ზედსართავი, რიცხვითი და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები. განსაზღვრებათაგან ცალკე გამოყოფენ სუბსტანტიურს, არსებითი სახელებით გამოხატულს, რომელსაც საზღვრულთან განსხვავებულ სინტაქსურ კავშირს მიაწერენ (იხ. ლ. კვ ა ქ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1966, გვ. 157 და შმდ.). ატრიბუტულსა და სუბსტანტიურ განსაზღვრებებს შორის, გარდა ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებათა მსგავსებისა (ორივე ძირითადად ნიშნთვისებას გამოხატავს), გრამატიკული მიმართების გაფორმების მხრივაც არ არის არსებითი სხვაობა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სუბსტანტიურ განსაზღვრებებს ფუძედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აქვთ გამოყენებული (ხის სახლი და მისთ.), რაც ზოგჯერ გარკვეული საგნის ასოციაციას იწვევს ხოლმე.

როგორც ვხედავთ, სუბიექტურ-პრედიკატული მიმართება შეინიშნება ყოველგვარ, როგორც მაკრო (სრულ), ისე მიკრო (ნაწილობრივ) სინტაგმაში. ზოგადად ეს მაკრო და მიკრომიმართება შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს; მაგ.

კოლმეურნეობის გამგეობის ორსართულიან ახალ სახლში სა-
მკითხველოც იყო მოთავსებული (ლ. ქიაჩ.).

მაკრო სუბიექტურ-პრედიკატული მიმართება

სამკითხველოც — იყო მოთავსებული კოლმეურნეობის გამგეო-
ბის ორსართულიან ახალ სახლში

მიკრო სუბიექტურ-პრედიკატული მიმართულება

სახლი — ორსართულიანი (იყო)
 ახალი (იყო)
 გამგეობისა (იყო)

გამგეობა — კოლმეურნეობისა (იყო)

ლოგიკურისა და გრამატიკულის ურთიერთმიმართების შესახებ
ნაირგვარი აზრი არსებობს, რომელთა განხილვა ჩვენ შორს წაგ-
ვიყვანდა. შესაბამის ადგილებზე შევეცდებით, საჭიროებისდა
მიხედვით გავარკვიოთ გრამატიკულ-სტრუქტურულ ერთეულთა
მიმართება ლოგიკურთან, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად დე-
ბულებებს:

1) ყოველგვარი მსჯელობის ყალიბს, ფორმას, წინადადება წარ-
მოადგენს. ადამიანს რა აზრიც უნდა გაუჩნდეს, მის გამოხატვასა
და სხვისათვის შეტყობინებას ის მხოლოდ წინადადების საშუალე-
ბით შეძლებს;

2) წინადადება და მსჯელობა არ უდრის ერთმანეთს, მაგრამ
მათ საერთო ბევრი აქვთ.

3) წინადადების სტრუქტურული გეგმა სავსებით შეესაბამება
ლოგიკური ფრაზის გეგმას; მსჯელობის სტრუქტურა მატერიალი-
ზებულია წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში.

4) შესიტყვება-სინტაგმა (ლოგიკური) აბსოლუტურად უმრავ-
ლეს შემთხვევაში ეხამება შესიტყვება-წინადადების სტრუქტურულ
ერთეულს (გრამატიკულს). წინააღმდეგობა მათ შორის უპირატე-
სად შეხამების საკომუნიკაციო ვარიანტებში გვხვდება, ხოლო ძი-
რითად ვარიანტში ლოგიკური სინტაქსურის ფარდია; შდრ. მ უ შ ა
ჭ რ ი ს ხ ე ს, რომელშიც გრამატიკული სუბიექტი უდრის ლოგი-
კურ სუბიექტს და ხ ე მ უ შ ი ს მ ი ე რ ი ჭ რ ე ბ ა, რომელ-
შიც ხ ე გრამატიკული სუბიექტია, მაგრამ არ უდრის ლოგიკურ სუ-
ბიექტს (ლოგიკური სუბიექტი ამ ფრაზაში არის მ უ შ ი ს მ ი ე რ).
მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ლოგიკური სტრუქტურა აქაც
დამოკიდებულია სინტაქსურზე. წინადადების სტრუქტურაზე, წინა-
დადების სტრუქტურაში პოულობს თავის გამოხატულებას და, რაც

მთავარია, წინადადების სტრუქტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება მისი ახსნა და სხვ.

შენიშვნა: ლოგიკურისა და გრამატიკულის ურთიერთშიმართების შესახებ იხ. (მითითებულია შედარებით ახალი ნაშრომები): М. Н. Алексеев. Суждение и предложение. М., 1950, საკაიდ. დისერტ.; П. В. Таванец. Вопросы теории суждения. М., 1954, სადოქტ. დისერტ.; Е. М. Галкина-Федорук. Суждение и предложение. М., 1956; А. С. Мельничук. Порядок слов и синтагматическое членение...; Логико-грамматические очерки. М., 1961; П. В. Чесноков. Логическая фраза и предложение. Ростов на/Д, 1961; В. З. Панфилов. Грамматика и логика. М.-Л., 1963; А. Ф. Демьяненко. Предложение и суждение. Львов, 1965; Г. В. Колшанский. Логика и структура языка. М., 1965 და სხვ.

2. 3. ა. წინადადების ლოგიკური სახეები (სახეები მტკიცების მიხედვით)

წინადადების საკომუნიკაციო ფუნქციას, სახელდობრ მის ლოგიკურ მხარეს, მჭიდროდ უკავშირდება მისი დაყოფა გარკვეულ ჯგუფებად მტკიცების მიხედვით. როგორც ზემოთაცა აღნიშნული, ობიექტური სინამდვილე მტკმელის მიზანდასახულობის მიხედვით შეიძლება ნაირგვარად იყოს გადმოცემული. მტკმელს შეუძლია, ესა თუ ის ფაქტი მიიღოს ან არ მიიღოს. ხშირ შემთხვევაში იგი აღგენს რაიმე მოვლენის (მოქმედების, ნიშან-თვისებისა და სხვ.) არსებობას (ქონას) ან არარსებობას (არქონას), ე. ი. წინადადებაში გამოხატულ აზრს შეიძლება დადებითი (პოზიტიური) ან უარყოფითი (ნეგატიური) ფორმა ჰქონდეს; შესაძლებელია მტკმელმა თავისი აზრის დადასტურება ან საერთოდ შეტყობინება სხვა (მოსაუბრე) პირისაგან მოითხოვოს, ე. ი. გამოიყენოს მსჯელობის ინტეროგაციული ფორმა. მტკმელის ამგვარი დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, მსჯელობის ფორმებს ემთხვევა და გვაძლევს სამი ტიპის წინადადებას მტკიცების მიხედვით; ესენია:

- ა) წარტკმითი წინადადება (მსჯელობის პოზიტიური ფორმა);
- ბ) უკუტკმითი წინადადება (მსჯელობის ნეგატიური ფორმა);
- გ) კითხვითი წინადადება (მსჯელობის ინტეროგაციული ფორმა).

2. 3. ა. გ 1. წართქმითი და უკუთქმითი წინადადებანი

წართქმით წინადადებაში აზრი დადებითადაა გამოხატული. ე. ი. მთქმელი გადმოგვცემს ამბავს, როგორც ფაქტს, რომელიც მოხდა, მოხდება, ხდება, მომხდარა და ა. შ. გადმოგვცემს ამბავს, აღწერს ობიექტურ სინამდვილეს, ობიექტური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, განურჩევლად იმისა, უშუალოდ აღიქვამს მას, სხვისი ცნობებით სარგებლობს თუ მისი ფანტაზიის ნაყოფია და ა. შ. მთავარია, რომ მთქმელს მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტად მიაჩნია ის აზრი, რომელსაც იგი გადმოგვცემს.

ნიმუშები:

იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში (შუშ.).

ამისა შემდგომად იწყო მან ხანძისა შენებაჲ (ხანძ.).

უკანანიცა ლაშქარნი მოუსწრნეს მათ გაქცეულთა (ვტ).

ხალხი პირშებრუნებულად ისმენდა გიგოლას სიტყვებს (ვაყა).

ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო (ა. წ.) და სხვ.

უკუთქმით წინადადებაში აზრი უარყოფითადაა გადმოცემული. მთქმელი გვიჩვენებს, რომ მის მიერ შეტყობინებული ამბავი არ უნდა იქნეს მიღებული ჭეშმარიტებად. იგი თვით უარყოფს იმ აზრს, რომელიც ჩვენთვის უნდა შეეტყობინებინა, ან კრძალავს გარკვეულ მოქმედებას. უკუთქმით წინადადებას რაიმე სტრუქტურული თავისებურება სტრუქტურულ-სინტაქსური თვალსაზრისით არ ახასიათებს; მხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ უკუთქმითობის გამოხატვა ყოველთვის ნეგატიური (უარყოფითი) სიტყვებით ხდება. ასეთი სიტყვებია:

ა) უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: არავინ, ვერავინ, ნურავინ; არარა (არრა, არა), ნურა (ნურრა), ვერარა (ვერრა), არაფერი (ალარაფერი), ვერაფერი (ველარაფერი) ნურაფერი (ნულარაფერი) და სხვ.; მაგ.:

ნ უ ვ ი ნ ი ტყვის ობლობისა ვაებას (ნ. ბარათ.).

შენმან მზემან, უგანგებოდ ა რ ვ ი ს მოხედეს მთვარე შენი (ვტ).

შენს მტერს ნ უ რ ა გაუგია, მან ვერა გაიგოს რა (ა. წ.).

მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოქადრაკე იყო, ვ ე რ ა ვ ი ნ უ გ ე ბ ლ ა (ა. წ.) და სხვ.

ბ) უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი: არსად, ნურსად, ვერსად, არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს; არა(ს)დროს, ნურა(ს)დროს, ვერა(ს)დროს; არაფრით, ვერაფრით, ნურაფრით და სხვ., მაგ.:

არაოდეს აღმოსრულ არს წყევამ პირსა ჩემსა (ხანტ.).

არსაიდან ხმა, არსით ძახილი (ი. ჯ.).

ვერსად ვნახე მისი სარგო ფეხსაცმელი.

არასოდეს მოხდება ეს ამბავი და სხვ.



გ) უარყოფითი ნაწილაკები: არ, ვერ. ნუ; აღარ, ვე-
ლარ, ნულარ; მაგ.:

არ აფრინდა ალალიო, რაც არ არი, არ არიო (ხალხ.).

კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო (ხალხ.).

დაესხენ, ნუ აწვალე! — მიაძახა ბაქრაძემ.) (ა. წ.).

აღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის (ნ. ბარათ.).

ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა (ვაჟა).

გიო ოთახში ვერ გაჩერებულყო (ლ. ქიაჩ.) და სხვ.

უკუთქმითობა შეიძლება გაძლიერდეს. ქართული ენა უკუთ-
ქმითი წინადადებისათვის ხშირად ორმაგ უარყოფას იყენებს, ე. ი.
უკუთქმითობა გამოხატულია ერთბაშად ორი საშუალებით: ნეგა-
ტიური პრედიკატითა და მსჯელობის სხვა ნეგატიური წევრით: მაგ.:

არსად არ მივდივარ, ნურსად ნუ წახვალ, ვერსად
ვერ ვიშოვნე; არაფერი არ ჩანს, ვერაფერს ვერ
დაინახავ და სხვ.

შენიშვნა: ორმაგი უარყოფის შესახებ იხ. ვ. თოფურიძე.
ორმაგი უარყოფა ქართულში. „ქართული საენათმეცნიერო სა-
ზოგადოების წელიწდეული“, I-II. თბ., 1923-1924, გვ. 72-116.

უკუთქმით წინადადებაში ნეგატიური აზრის გამოხატველი სი-
ტყვებიდან სინტაქსურ-სტილური თვალსაზრისით საინტერესოა მხო-
ლოდ ნაწილაკები. უარყოფითი ნაცვალსახელებიცა და უარყოფითი
ზმნიშედებიც სათანადო კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიშედებ-
ზე იმავე ნაწილაკების დართვით არის მიღებული; ამდენად სტილის
თვალსაზრისითაც კი ისინი იმავე ნიუანსებს გამოხატავენ, რასაც
— უარყოფითი ნაწილაკები. სტილის მხრივ ნაწილაკებში მნიშვ-
ნელოვანი სხვაობა შეინიშნება:

ვერსვერა ნაწილაკებს უარყოფითობის მნიშვნელობასთან
ერთად შესაძლებლობის ელფერიც აქვთ, ამიტომ ვერ ნაწილაკთან
სტილურად გაუმართლებელია შესაძლებლობის მნიშვნელობის
მქონე ზმნის ხმარება; მაგალითად:

სწორი ფორმაა ვერ გამოვა,

არასწორი ფორმაა ვერ შეუძლია გამოსვლა;

მაგრამ, თუ უარყოფა გამოხატულია არ ნაწილაკით, რომელ-
საც თავისთავად არა აქვს შესაძლებლობის ელფერი, და ამასთანა-
ვე საჭიროა წინადადებისათვის შესაძლებლობის შინაარსის მიცე-

მა. მაშინ უნდა ვიხმაროთ ზემოაღნიშნული ზმნა: არ შეუძლია მოსვლა (ვერ მოვა).

ნუ ნაწილაკი აკრძალვითი ხასიათისაა. ზმნასთან იგი არ ნაწილაკის პარალელურად იხმარება. ოღონდ განსხვავება მათ შორის ასეთია: არ იხმარება უპირატესად კავშირებითის ფორმებთან (აკრძალვითი შინაარსის გადმოსაცემად):

არ მოხვიდე და არა: ნუ მოხვიდე, არ აიღო და არა: ნუ აიღო. ნუ კი თხრობითის ფორმებს აძლევს აკრძალვის შინაარსს: ნუ წახვალ, ნუ მდერი, ნუ ყვირი, ნუ მიწყენ და ა. შ.

როგორც დავინახეთ, უკუთქმითი წინადადების არსებითი ნიშანია უარყოფითი ფორმის რაიმე სტრუქტურული ერთეული. ამასთან უკუთქმითობა აუცილებლად პრედიკატული უნდა იყოს.

უკუთქმითი წინადადებისაგან უნდა გაიმიჯნოს მათი სინონიმური პარალელი, როდესაც რაიმე ნიშან-თვისების უქონლობა ლოგიკურად პოზიტიურად არის წარმოდგენილი; მაგ.: კედელი აუ შენებელი დარჩა, ღობე ულა მათ იყო, საკინძე შეუკვრელი ჰქონდა და სხვ. ამ ტიპის წინადადებანი, ჩვეულებრივ, უქონლობას გამოხატავენ, მაგრამ ეს უქონლობა (უარყოფითობა) ლექსიკურადაა გამოხატული და მთქმელი ადასტურებს მას მსჯელობის პოზიტიური ფორმით. მართალია, შინაარსობრივად ასეთი წინადადებანი იმასვე გამოხატავენ, რასაც — შესაბამისი „სინონიმური“ უკუთქმითი წინადადებანი, მაგრამ ისინი მაინც ვერ ჩაითვლებიან უკუთქმითად, რადგანაც მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურის მხრივ ემთხვევიან ჩვეულებრივს წართქმით წინადადებას (სქემა — LS არის LP); შდრ.

წართქმითი წინადადება

უკუთქმითი წინადადება

(ადასტურებს რაიმე ნიშან-თვისებას)

(უარყოფს რაიმე ნიშან-თვისების ქონას)

ვარდი დაგხვდე დაუმკ(*კ)ნარი (ვტ).

ვარდი არ დაგხვდე დამკ(*კ)ნარი.

შიგ ეზო... უწმინდური იყო (ი. ჰ.)
ჯერ მე გამოუცდელი ვარ (ვაჟა).

ეზო არ იყო წმინდა (სუფთა).
ჯერ მე არა ვარ გამოცდილი.

აღნიშნულ ტიპთა შორის სხვაობას ისიც ამყარებს, რომ ე. წ. „მოჩვენებითი“ უკუთქმითი, მაგრამ სინამდვილეში წართქმითი წინადადების პარალელურად მოგვეპოვება მათი საპირისპირო ნამდვილი უკუთქმითი წინადადებანი:

ვარდი არ დაგხვდეს დაუმკნარი.

შიგ ეზო უწმინდური არ იყო.

მე გამოუცდელი არა ვარ და სხვ.

უკუთქმითი წინადადება უშუალოდ უარყოფით პრედიკატთან არის დაკავშირებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უარყოფითი პრედიკატიც არ არის გამოხატული უარყოფა, თუმცა სტრუქტურა უკუთქმითი წინადადებისაა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია გაძლიერებული ემოციურ-სტილური დატვირთულობის მქონე (აქტუალიზებულ) წინადადებებში, როგორცაა, მაგალითად:

ვინ არ მოზიბლულა ქართველთა სტუმართმოყვარეობით?
ამის გაძლება არ გინდა?

როგორ არ ვიჩივლო?! და სხვ.

ამ წინადადებებში მსჯელობის ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის გამოყენებული.

2. 3. ა. § 2. კითხვითი წინადადება

კითხვითი წინადადება, ჩვეულებრივ, გამოხატავს აზრს, მაგრამ მისი გამოთქმა იმგვარადაა მიმართული, რომ მთქმელი მოსაუბრი. საგან მოითხოვს ამ აზრის გადმოცემას ან მსმენელს სთხოვს თავის მიერ გამოთქმული აზრის დადასტურებას ან უარყოფას.

კითხვითი წინადადებით გამოხატულ აზრს უცილობლად კავშირი აქვს სინამდვილესთან, მაგრამ სინამდვილე ამ ტიპის წინადადებაში უშუალოდ კი არაა ასახული, არამედ მთქმელი მოსაუბრისაგან მოითხოვს ამ სინამდვილის შესახებ ცნობების გაფართოებას, დადასტურებას, უარყოფას ან სხვა დამატებით ცნობებს.

კითხვითი წინადადების დამახასიათებელი თავისებურებებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კითხვითი ინტონაცია, მაგრამ ამ ტიპის წინადადებაში ხშირია სხვა დამხმარე საშუალებები, როგორცაა კითხვითი სიტყვები (კითხვითი ნაცვალსახელები, კითხვითი ზმნიზებები და კითხვითი ნაწილაკები), ე. ი. გვაქვს კითხვით-სიტყვიანი და არაკითხვით-სიტყვიანი წინადადებები. ორივე ტიპის წინადადებაში შეიძლება თავისებური სიტყვათგანლაგება გვექონდეს.

ქართულ ენაში წინადადების წევრთა რიგი შეიძლება შეიცვალოს ან არ შეიცვალოს. რიგის შეცვლა უფრო მეტად აქტუალიზების გავლენას უნდა მიეწეროს, ვიდრე თვით კითხვითი წინადადების სტრუქტურას; მაგ.:

ღედა გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან?

ღედა სოფლიდან გუშინ ჩამოვიდა?

გუშინ ღედა სოფლიდან ჩამოვიდა? და სხვ.

სამივე ეს წინადადება თანაბრად გამოხატავს კითხვას, შესაბამისად ერთნაირია მათი ინტონაციაც. სიტყვათა რიგის შეცვლა აქტუალიზებას უნდა გამოეწვიოს. ერთი რამ კი აღსანიშნავია: კით-

ზეთოსიტყვიან წინადადებაში არის ტენდენცია, რომ წინადადებას კითხვითი სიტყვა იწყებდეს; მაგ.:

როსღა გველირსოს ჩვენ ვალვიძება? (ი. ჰ.)

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? (ი. ჰ.)

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა? (ა. წ.) და მისთ.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერია განა და ნუთუ ნაწილაკებიან კითხვით წინადადებებში; მაგ.:

ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა? (ვტ)

ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიკოცხლე? (ვაჟა) და მისთ.

მაგრამ პარალელურად საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი წინადადებებიც, სადაც კითხვითი სიტყვები, განსაკუთრებით განა და ხომ ნაწილაკები, წინადადების შიგნით და ბოლოსაც კი არის მოთავსებული; მაგ.:

მაშინ თავადები სად იქნებოდნენ? (ი. ჰ.)

სახარების სიტყვას ვინ წაუვა? (ი. ჰ.)

ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი? (ი. ჰ.)

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გახარებს ვისმე განა? (ა. წ.)

მერედა ორი ათასი კაცით სამოცი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია? (ა. წ.) და მისთ.

წინადადების შუაში კითხვითი სიტყვის მოქცევა ზოგჯერ დაქვემდებარების ნათელყოფის აუცილებლობითაა გამოწვეული; მაგ.:

რომელი ილიას ნაწარმოები გაქვთ წაკითხული?

ილიას რომელი ნაწარმოები გაქვთ წაკითხული? და მისთ.

ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებიდან კითხვით წინადადებაში გამოყენებულია, როგორც ზემოთაცაა აღნიშნული, ე. წ. კითხვითი სიტყვები, რომლებიც კითხვითი ინტონაციის დამხმარე საშუალებათა ფუნქციას ასრულებენ. ეს კითხვითი სიტყვები შეიძლება ასრულებდეს ან არ ასრულებდეს წინადადების წევრის როლს (ეს თვით მათს ლექსიკურ-გრამატიკულ კლასზეა დამოკიდებული). წინადადების წევრის როლში გვევლინებიან ა) კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი? როგორი? სადაური? როდინდელი? რამდენი? და სხვ.) და ბ) კითხვითი ზმნიშვლები (სად? როდის? საიდან? როდემდე? რატომ? რისთვის? და სხვ.), ხოლო წინადადების სტრუქტურაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის გარეშე რჩებიან კითხვითი ნაწილაკები.

ნიმუშები:

ა) კითხვით სიტყვად გამოყენებულია კითხვითი ნაცვალსახელები:

ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა? (ვტ), ეგზობ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? (ვტ) და მისთ.

ბ) კითხვით სიტყვად გამოყენებულია კითხვითი ზმნიზედებისა წყლულებისა მისგან ვითარ არს? (შუშ.)

რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა? (ვტ) მიბრძანეს: „შვილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გვიხარიათ? (ვტ) და მისთ.

გ) კითხვით სიტყვად გამოყენებულია კითხვითი ნაწილაკები: ხომ ლამაზია ჩემი სამშობლო? (ლ. ასათ.)

განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია? (ვაჟა) მე ხომ არ გინახვარ? (ა. წ.) და მისთ.

კითხვითი წინადადება ასე თუ ისე კითხვასთან არის დაკავშირებული, რის საფუძველზეც ხდება მსმენელისათვის განწყობის შექმნა პასუხის გასაცემად, თუმცა ზოგჯერ კითხვითი წინადადება არ შეიცავს კითხვას ან, პირიქით, შეიძლება კითხვა თბრობითი წინადადებით გამოიხატოს; მაგ., თანამედროვე ქართულში კითხვითი სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს თბრობით წინადადებაშიც. ეს უფრო ხშირია პერიოდული პრესის სათაურებში: მაგ.: როგორ ემზადებიან თესვისათვის, რა გვიამბო ქარხნის დირექტორმა და სხვ. (ანალოგიური მდგომარეობაა თანამედროვე რუსულსა და ევროპულ ენებში). ამ შემთხვევაში კითხვითი სიტყვები მითითებას აძლიერებენ — ყოველ ასეთ წინადადებაში იგულისხმება (და ხშირად რეალურადაც არის წარმოდგენილი) მითითებითი ნაწილაკი აი; მაგ.: აი, როგორ ემზადებიან თესვისათვის; აი, რა გვიამბო და სხვა, ე. ი. კითხვა აქ პირდაპირი კი არაა, არამედ გარდაქცეულია ირიბ კითხვად. მიუხედავად ამგვარი გარდაქცევისა, აღნიშნული ტიპის წინადადებები მაინც შეიცავენ (ზოგადად, ისევე, როგორც ყოველგვარი ირიბი კითხვა) კითხვის გაგებას, ბოლო პასუხის გაცემა თვით ტექსტს ეკისრება.

შენიშვნა: რადგან რუსულ ენაში კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელები ერთურთისაგან მხოლოდ ინტონაციით განსხვავდება, შესაძლებელია ზემოაღნიშნული გარდაქცევა რთულ ქვეწყობილ წინადადებას დაუკავშირდეს; მაგ., Там, где родился поэт... შდრ.: Где родился поэт? (იხ. А. С. Попов. Синтаксическая структура современных газетных заголовков и ее развитие. წიგნ. „Развитие синтаксиса современного русского языка“. М., 1966, გვ. 108). ქართულში ეს ვარაუდი მოხსნილია მიმართებით ნაცვალსახელთა სპეციფიკური წარმოების გამო, თუმცა ანალოგიური სათაურები ქართულ-

შიც დასაშვებია ([იქ.] სადაც არაგვი უერთდება მტკვარს და მისთ.).

კითხვით წინადადებას შეიძლება ალტერნატიული სახე: (S არის P?) ჰქონდეს. ამ ტიპის (ალტერნატიულ) კითხვით წინადადებაში მეორდება ერთი და იგივე აზრი (ჩვეულებრივ, ალტერნატივა წინადადებაში წარტქმითი და უარყოფითი ფორმებით არის გამოხატული); მაგ:

სტუმარი ან მოვა, ან არ მოვა.

დღეს გამოიდარებს ან არ გამოიდარებს და სხვ.

ხშირია ალტერნატიული კითხვა, რომელშიც დაპირისპირებულია ანტონიმური ცნებები: მაგ.:

(მოლარე იხმო, უბრძანა:) „ძილია თუ ღვიძილობა? (ვტ)

(ნეტარ ღმერთო,) ცხადსა ვხედავ ანუ ბნელსა? (ვტ)

(მეფემან ბრძანა:) „იკითხეთ, მარტოა ანუ ყმიანად?“ (ვტ)

რომელი ქვეყანა სჯობია, მაძლარი თუ მრთელი? (ი. ჰ.)

სიხშირე ამბობ თუ ცხადივ? (ი. ჰ.) და სხვ.

ალტერნატიულ კითხვაში რიგ შემთხვევაში წარმოდგენილია მისი ერთ-ერთი (ან დადებითი, ან უარყოფითი) ნაწილი:

ა) წარმოდგენილია პოზიტიური ნაწილი

ეტყვის: „ჰხედაო (თუ არ ჰხედაო) ბანსა ზე-და-ქვე მდგომელსა?“ (ვტ)

(არ გამწირე) ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცდომარე? (ვტ).

არ (იცო) თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების? (ვტ)

სტვირის გუდას თუ ჰბერავს? (ა. წ.).

ბ) წარმოდგენილია ნეგატიური ნაწილი

შენცა გპირან ჰპირნი ჩემნი, არ მიმართლო, (მიკვირდეს თუ) არ მიკვირდეს? (ვტ).

(მიცნობ თუ) ვერ მიცნობ აეთანდილს, შენთვის გაქრილსა და ხელსა? (ვტ).

ძალიან ხშირად უარყოფით ფორმასთან (განმეორების თავიდან ასაცილებლად) პრედიკატი მოკვეცილია; მაგალითად:

შეიძლება თუ არა (შეიძლება) თქვენთან მოსვლა?

წამოხვალ თუ არა (წამოხვალ)? და სხვ.

შესაძლებელია ალტერნატიულ კითხვაში უარყოფითი ნაწილია-კიც შეიკვეცოს და ალტერნატივის გამოხატვა კავშირს დაეკისროს; მაგ.:

გააკეთე თუ? (გააკეთე თუ არ გააკეთე?)

მოვიდა თუ? (მოვიდა თუ არ მოვიდა?)

ალტერნატიული კითხვის ნაშთი უნდა გვქონდეს ისეთ კითხ-

ვით წინადადებებში, სადაც უარყოფითი ნაწილაკი ბოლოსაა მოქცეული; მაგ.:

დედოფალივით ქალია, არა? (კ. გამს.).

რაც არ უნდა იყოს, ერისთავის ქალია, უნეტარესო, ეგ დიაცი. არა? ვილაც სარკინიოზს თუ ირანელს არ მოთხოვდება, არა? (კ. გამს.).

ძველ ქართულში ფართოდ იყო გამოყენებული კითხვითი ნაწილაკი -ა. იგი, ჩვეულებრივ, შემასმენელს დაერთოდა და მთლიანად წინადადებას კითხვითს შინაარსს აძლევდა. ეს ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება, შემონახულია აგრეთვე მთის კილოებში; მაგ.: ნუუკუე შეუძლებელ არსა ღმრთისა თანა სიტყუაჲ? (დაბად.); არა და აცადოა ყოველი იგი ადგილი ერგასისთა მათვს მართალთა? (დაბად.); უწყია ხუცეს? (შუშ.); ხედავდა. რამეთუ სარწმუნოება შეეწევის საქმეთა მისთა? (კათ. ეპისტ.); მის ჟამისა მხსენებელი მე სულდგმული არ გიკვირა? (ვტ); წიგნივერ ისწავლეა, შვილო, რუსულადაც კი წაიკითხაეა (ვაჟა) და მისთ., თუმცა ძველსავე ქართულში არის შემთხვევები, როდესაც ეს კითხვითი ნაწილაკი გვხვდება არა შემასმენელთან, არამედ — სხვა წევრებთან; მაგ.: და-ნუ-ვმალო მეა აბრაჰამისგან, მონისა ჩემისა, რომელი მეგულების მე ყოფად? (დაბად.); კეშმარიტად ვშვე მეა, რამეთუ მე დაებერდი? (დაბად.) და მისთ. ნორმის მიხედვით უნდა იყოს: და-ნ-უ-ვმალოა მე აბრაჰამისგან... კეშმარიტად ვშვეა მე...

საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში ამავე ფუნქციით გამოყენებულია ნაწილაკი -მე, რომელიც, -ა ნაწილაკისაგან განსხვავებით. არა შემასმენელს, არამედ სხვა წევრს დაერთოდა; მაგ.: ვითარ-მე იტყვან მწიგნობარნი? რაჲ-მე არს იგი და მისთ. (იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში. იკე, I, გვ. 274-280; ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 85-186; თ. უთურგაიძე. კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში. იკე, XV, გვ. 214-227).

ნაწილაკთა ხმარების თვალსაზრისით მსგავსი მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებშიც.

კითხვითი წინადადების გაფორმების თავისებურ საშუალებას წარმოადგენს კითხვის გაძლიერება, რომელიც კითხვის გაორკეცვით ან ჩაკითხვით ხდება. კითხვის გაძლიერებისას მეორდება ან სინონიმური სიტყვა, ან შესიტყვება, ან კიდევ წინადადება; მაგ.:

ეს სამეფო ვისი არის ან ჰმორჩილობს ვისსა ხმასა? (ვტ)
ლომსა ვინ გაწყენს, რომელი (გაწყენს)? (ვტ)

ვთქვი, ჩემთა რად დაეპრიდო, და (ვპრიდო)? (ვტ)

ეგ რა სთქვი, რა (თქვი)? (ი. ჭ.).

როგორც ალტერნატიული კითხვა. ისე ჩაკითხვით გაძლიერებული

ბული ფორმა არ არის მარტივი წინადადება, მაგრამ მათი შემოკლებული ვარიანტები სტრუქტურულად მარტივ წინადადებად განიხილება. აღსანიშნავია, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების ლოგიკური ტიპის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, კითხვას შეიცავს მთავარი თუ დამოკიდებული. თუ კითხვა (ინტეროგაციული მსჯელობა) გამოხატულია მთავარში, მაშინ ვიღებთ კითხვითს წინადადებას; მე მ ც ა და შ ლ ა ვ ი თ ა ვ ჭ კ ა დ რ ე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა? (ვტ.). ხოლო, თუ იგივე დამოკიდებულშია, მაშინ ირიბი კითხვის სახით ფორმდება (თხრობითი ან სხვა ტიპის, მაგრამ არა კითხვით წინადადებად); მაგ., (თუ) ვ ი თ ა ვ ი შ ი შ ვ ი. მა ც ნობოს ღმერთმან, ნათელთა მსახემან! (ვტ).

შესაძლებელია ერთდროულად მთავარიც გამოხატავდეს კითხვას და დამოკიდებულებაც. ასეთი წინადადება კითხვითი იქნება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარშია გამოხატული კითხვა; დამოკიდებული აქაც ირიბი კითხვის სახით ფორმდება; მაგ.:

ზხედავ. ჩემო, (თუ) ვით გაგეყარა სოფელმან და ჟამმან კრულმან? (ვტ).

რთულ თანწყობილ წინადადებაში, ჩვეულებრივ, ერთიანდება კითხვითი და კითხვითი; მაგ.,

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები? (ა. წ.).

კითხვითისა და სხვა ტიპის წინადადების გაერთიანება რთულ თანწყობილ წინადადებაში, როგორც წესი, იშვიათად ხდება.

• • •

კითხვით წინადადებას სპეციფიკური ინტონაცია ახასიათებს, რაც გამოიხატება ტონის ამალღებით იმ სიტყვასთან, რომელსაც ყველაზე მეტად ეკისრება ლოგიკურ-ინტეროგაციული დატვირთვა. კითხვითი წინადადების მახვილი (ინტონაციის კულმინაციური წერტილი), თხრობითისაგან განსხვავებით, უფრო მკვეთრია; შდრ.:

შენ გუშინ თეატრში იყავი.

შენ გუშინ თეატრში იყავი?

დღეს კარგი დარია.

დღეს კარგი დარია?

კითხვითი ინტონაციის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება (ჩვეულებრივ, სასკოლო გრამატიკებში), რომ, თუ კითხვითი სიტყვა არა გვაქვს, მახვილი მოუღდის წინადადების ბოლო სიტყვას. ეს

რამდენადმე სადავოა. სადავოა აგრეთვე მოსაზრება, რომ მახვილი-კითხვით სიტყვას მოუღის ყოველთვის. საქმე იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში (მახვილი რომ წინადადების ბოლოს მოუღის) ეს პრედიატის თვისებაა. ქართულ წინადადებას, როგორც ცნობილია, აქვს პრედიატის ბოლოში მოქცევის ტენდენცია, მაგრამ ეს ურევი არ არის; საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პრედიატი წინადადების თავში ან შუაშია. აღსანიშნავია, რომ არაკითხვითსიტყვიან წინადადებაში ინტონაცია მალღდება პრედიატზე, მიუხედავად მისი ადგილისა; შდრ.

დაიგვიანა ბავშვმა?

ბავშვმა დაიგვიანა?

თბილისში კარგი ამინდებია?

კარგი ამინდებია თბილისში?

იმ შემთხვევაში, როდესაც პრედიატი საკმაოდ დაცილებულია წინადადების ბოლო ადგილიდან, ჩნდება მეორე მახვილი: **გაკეთა ჩვენმა ამხანაგმა დაზიანებული რადიომიმღები?**

თუ კითხვით წინადადებაში სხვა დამხმარე საშუალებებია (კითხვითი სიტყვებია) გამოყენებული, მაშინ ინტონაცია არ არის მკვეთრი, სუსტდება. მახვილი ამ სიტყვებს უსუსტდება ან სულ იკარგება; მაგ.:

ვინ გადაწყვეტს ამ საქმეს?

რას მღუმარებენ, არ ვიცი, მშობელი ქვეყნის გმირები,

სად არის მათი ანდერძი და სიტყვა დანაპირები? (ლ. ასათ.).

მახვილის (ამაღლებული ინტონაციის) ადგილს, ჩვეულებრივ, განაპირობებს ლოგიკური სიტუაცია. აკად. ლ. შჩერბა კითხვით წინადადებაში სავსებით სამართლიანად გამოყოფდა სიტყვას, რომელზედაც ყველაზე მეტად მოდიოდა აზრის სიმძიმე (იხ. *Л. В. Щерб а. Фонетика французского языка. М., 1953, გვ. 127*).

ამ შემთხვევაში მალღდება მახვილი იმ სიტყვაზე, რომელზედაც მეტად არის დაკისრებული კითხვის სიმძიმე, ხოლო დანარჩენი სიტყვები უფრო დაბალი ტონით წარმოითქმება; მაგალითად:

ქვეყნის რომელ ნაწილს ახასიათებს ეს?

ქვეყნის რომელ ნაწილს ახასიათებს ეს? და სხვ.

2. 4. წინადადება, როგორც ბრამატიკული სტრუქტურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველი წინადადება გადმოგვცემს რაიმე აზრს. აზრი წარმოიქმნება წინადადების ბაზაზე, რომელიც არა მარტო რაიმე აზრის ჩამოყალიბებისა და შეტყობინების

საშუალებათა, არამედ — გარკვეული სტრუქტურული მოდელი, რომლის თარგზეც განლაგდება ხოლმე აზრის შემადგენელი ლოგიკური კომპონენტები (ცნებები და მათი შეკავშირებანი — ლოგიკური სინტაგმები).

ამრიგად, წინადადება არის მეტყველების გრამატიკულად გაფორმებული ერთეული, რომელიც ობიექტური სინამდვილის რაიმე ნაწილს გამოხატავს. ობიექტური რეალობის გამოხატვა არა მარტო ცნებებით შეიძლება, არამედ — ამ ცნებათა შორის არსებული მიმართებითაც. მიმართება ლოგიკური ცნებაა, მაგრამ მისი გამოხატვა სათანადო გრამატიკული კატეგორიით ხდება. კატეგორიათა ერთიანობა წინადადების სტრუქტურულ კონფიგურაციას, მის მოდელსა და მოდელის ვარიანტებს, ქმნის. წინადადების მოდელი ენაში მზა ფორმით არსებობს და ადამიანს უბნობის მომენტში მხოლოდ მისი შევსება, სარეალიზაციო ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების გამოძებნა და აზრის ლოგიკური გეგმისათვის მათი შეხამება სჭირდება. ეს ოპერაცია შემოქმედებითი პროცესია მხოლოდ აღნიშნულ კომპონენტთა შეფარდების მხრივ, თორემ თვით მოდელი, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეობით განმტკიცებული გამოცდილების საფუძველზე ენაში მზა ფორმით არსებობს.

სინტაქსური სტრუქტურა წინადადების (აზრის გამოხატვის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი საშუალებით დგინდება სწორი ან არასწორი წინადადებები. ამა თუ იმ ენის სიტყვების (ფორმების, მორფემათა და ლექსემათა) ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ენის ცოდნას, ვინაიდან წინადადების სტრუქტურული მოდელების შესწავლის (და არა მარტო შესწავლის, არამედ მისი ავტომატურად გამოყენების ჩვევის) გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს მეტყველებას ამა თუ იმ ენაზე, თავისი აზრის შეტყობინებას სხვისათვის. ამრიგად, ყოველ წინადადებას, რა სახის გამონათქვამიც უნდა იყოს იგი, საფუძვლად გარკვეული სტრუქტურულ-კონფიგურაციული მოდელი უძევს.

წინადადების გრამატიკული სტრუქტურა ისევე რთული და დაწვევრებულია, როგორც ლოგიკური, მასში ისევე გამოიყოფა მაკრო და მაკრო დონის ერთეულები, როგორც ლოგიკურ სტრუქტურაში; მაგ., წინადადების გრამატიკული სტრუქტურის სათანადო დონეები შემდგენაირად გამოიხატება:

ციაგ-მკრთალს ლაევარდს დილის ცისას საუცხოვოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მკურავ პაწია სტუმრებისათვის (ი. ჭ.).

ამ წინადადებაში გამოიყოფა სხვადასხვა დონის სტრუქტურული ერთეულები:



1) წინადადების სტრუქტურული ყალიბი (კონსტრუქცია) — ლაევარდს გადაეშალა კალთები;

2) წინადადების შემადგენელი რთული შეხამებანი (შესიტყვებანი):

ა) ციაგ-მკრთალს ლაევარდს დილის ცისას;

ბ) საუცხოვოდ გადაეშალა ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის;

გ) თავისი კალთები;

3) წინადადების შემადგენელი მარტივი შეხამებანი (სიტყვათშეხამებანი):

ა) ციაგ-მკრთალს ლაევარდს;

ბ) ლაევარდს ცისას;

გ) დილის ცისას;

დ) საუცხოვოდ გადაეშალა;

ე) გადაეშალა სტუმრებისათვის და ა. შ.

ამათგან მაკროსინტაქსური დონისაა კონსტრუქცია, ხოლო მიკროსინტაქსურისა — მისი შემადგენელი ერთეულები: შესიტყვებანი, სიტყვათშეხამებანი და სიტყვები (წინადადების წევრები).

წინადადების კონსტრუქციის ელემენტები თავს იყრიან ზმნა-შემასმენლის ირგვლივ. მათ რაოდენობასა და ფორმას ზმნა-შემასმენელი განაპირობებს; შდრ.:

ზღვა ღელავს.

ღათვმა ლხინი გად(ა)იხადა (ა. წ.).

ბულბულმა ყვავილს ნისკარტი შეახო და მისთ.

სტრუქტურული მოდელი (კონსტრუქცია) სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია, რაც ცალკეული ენის ლექსიკურ-გრამატიკული თვისებიდან გამომდინარეობს. შეიძლება სხვადასხვა ენებს ერთნაირი (ფორმის მხრივ) ჰქონდეს წინადადების კონსტრუქციული მოდელი (მაგალითად, ნომინატიური კონსტრუქცია ინდოევროპულ ენათა ჯგუფისათვის), შეიძლება ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვა კონსტრუქცია გვქონდეს (ამას საუკეთესო ნიმუშია ქართული ენა თავისი სამი — ნომინატიური, ერგატიული და დატიური — კონსტრუქციით).

წინადადების სტრუქტურა გარკვეული ფუნქციური ბლოკებისაგან შედგება, რომელთაც შესიტყვებას ეუწოდებთ.

შენიშვნა: ზოგადად შესიტყვება სიტყვათა შეკავშირებას ეწოდება. ამ მხრივ ყოველი წინადადება შესიტყვებაა (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 283), მაგრამ შესიტყვებას სხვაგვარადაც განიხილავენ: მას წინადადების შემადგენელ ელემენტად მიჩნევენ (ასეა, მაგალითად, რუსულ საენათ-

მეცნიერო ლიტერატურაში). ჩვენ მეორე მნიშვნელობით ვიყენებთ ამ ტერმინს.

სინტაქსური დონის უმცირესი (დაბალი რიგის) ერთეულია სიტყვათშეხამება, რომელიც თავის მხრივ სიტყვებისაგან (წევრებისაგან) შედგება. ყოველი სიტყვათშეხამება შედგება ორი (წყვილი) ერთეულისაგან, რომელთაგან ერთი გაბატონებული წევრია, ხოლო მეორე—დაქვემდებარებული. დომინაციას თავისი კანონები აქვს, რომელთაც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ, მაგრამ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სიტყვათშეხამება სუბორდინაციული რიგის ერთეულია, რომელსაც შეიძლება შესიტყვებაში ორმხრივი კავშირი გააჩნდეს: ის, რაც გაბატონებულია ერთი წევრის მიმართ, შეიძლება თავის მხრივ დაქვემდებარებული იყოს სხვა წევრის მიმართ, ე. ი. სიტყვათშეხამებანი შესიტყვებაში მიკრო და მაკროდამოკიდებულებას ავლენენ; მაგ.,

მექიმ სუფრაზე მთელი ჩაფით შარშანდელი ალადასტური შემოიტანა (კ. ლორთქ.).

განვიხილოთ მესამე შესიტყვების ნაწილი (ერთი მხარე):

ალადასტური	}	— I სიტყვათშეხამება
ჩაფით		
მთელი	}	— II სიტყვათშეხამება

2. 4. ა. სიტყვა, როგორც პერიფერიული სინტაქსური ერთეული; სიტყვის ძირითადი ნიშნები

სიტყვის განმარტება ისევე რთული და მრავალფეროვანია, როგორც მისი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის მრავალგვარი განსაზღვრა არსებობს, ჯერჯერობით ზუსტად არაა დადგენილი მისი რაობა, მისი ისეთი განმარტება, რომელიც სხვადასხვა ტიპის ენებისათვის თუ არა, ერთი ჯგუფის ენებისათვის მაინც რამდენადმე მისაღები იქნებოდა.

შენიშვნა: ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ლ. შჩერბას აზრი, რომ ცნება „სიტყვა საერთოდ“ («слово вообще») არ არსებობს (იხ. Л. В. Щерб. Очередные проблемы языковедения. ОЛЯ, т. IV, вып. 5, 1945, გვ. 175).

ერთი შეხედვით, შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს, რომ მსჯელობისას ოდითგანვე ვიყენებთ ამ ცნებას და ამჟამადაც

ვერ განგვიმარტავს იგი: მაგრამ სიტყვის განმარტება მრავალი, თუმცა სხვადასხვა კონცეფციის მიმდევარნი მასში სხვადასხვა მხარეს ზედავდნენ (და ახლაც ზედავენ). ეს თვით სიტყვის ბუნებიდან გამომდინარეობს. იგი ისევე მრავალწახნაგოვანი, მრავალასპექტიანია, როგორც წინადადება: მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო ენობრივი, არამედ არაენობრივი ფაქტორებითაც. როგორცაა, მაგალითად: სიტყვის შესაბამისობა საგანთა (აღსანიშნთა) წყებასთან, საზოგადოებრივი ფუნქციონების სფერო, პრაგმატიკა და სხვ.

სიტყვის ყველაზე ზოგადი (და იმავე დროს მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღები) განმარტებაა: სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 184). იგი ყველა ენაში გარკვეული მნიშვნელობის გადმომცემი ბგერათა კომპლექსია (ალ. დლონტი. ქართული ლექსიკოლოგია. თბ. 1964, გვ. 15). ამდენად, ყოველ სიტყვაში აღინიშნება მისი შინაგანი მხარე (ბგერითი შედგენილობა) და გარეგანი მხარე (მნიშვნელობა-დანაშინულება).

შენიშვნა: სიტყვის შინაგან მხარედ მისი მნიშვნელობაც მიაჩნიათ (იხ. А. И. Смирницкий. Значение слова. ВЯ, 1955, № 2, გვ. 89).

სიტყვა, როგორც ენის ერთეული, შეადგენს გამოთქმისა (შინაგანი, ბგერითი მხარისა) და მნიშვნელობის (მითითებითი მხარის) ერთიანობას. მეტყველებაში არ არსებობს ცალკე სიტყვა, იგი სხვა სიტყვასთან ან სიტყვებთან ურთიერთობაში გვხვდება. ეს ურთიერთობა (მიმართება) არა მარტო შინაარსობრივია, არამედ გრამატიკულიც (ყოველ შემთხვევაში, ენათა საყმაოდ დიდ ჯგუფში, მათ შორის — ქართულშიც). ე. ი. სიტყვა სემანტიკურ-გრამატიკული ერთეულია, ამდენად მისთვის დამახასიათებელია როგორც შინაარსობრივ, ისე ფორმობრივ ნიშან-თვისებათა ერთიანობა. სწორედ ამ ერთიანობის საფუძველზე ინარჩუნებს სიტყვა თავის მთლიანობას.

სიტყვა ნიშნის ერთ-ერთი ფორმაა. იგი რაიმეს აღნიშნავს; ამიტომ ყოველი სიტყვა, როგორც ნიშანი, უნდა განვიხილოთ სამ მიმართებაში: 1) ნიშნის მიმართება აღსანიშნთან (სიტყვის მიმართება საგანთან ან მოვლენასთან); 2) ნიშნის მიმართება პიროვნებასთან (მოუბარსა და მსმენელ პირებთან), რომელიც მას მოიხმარს, და 3) ნიშნის მიმართება და სხვა ნიშანთან. (იხ. В. Дорошевский. Знак и означаемое (десигнат). ВЯ, 1963, № 5, გვ. 15; მნიშვნელობის პრობლემა. თბ., 1966, გვ. 10). ამათგან პირველი (სიტყვის მიმართება საგანთან ან მოვლენასთან) სემასიოლოგიის სფეროს განე-

კუთვნიება, მეორე (სიტყვის მიმართება პიროვნებასთან) ლოგიკა-სტი-ლისტიკის, ხოლო მესამე (სიტყვის მიმართება სხვა სიტყვასთან) გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის, სფეროს კუთვნილებაა (არნ. ჩიქობავა. გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, გვ. 261, მისივე, ქართული ენა, მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები. ივე, XIV, 1964, გვ. 44 და შმდ.).

ამრიგად, სიტყვა თავისი შინაგანი აგებულებით ენის ბგერით დონეზეა, ხოლო გარეგანი თავისებურებებით — სემანტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე. სიტყვისათვის დამახასიათებლად მის გარეგან დონეზე, ჩვეულებრივ, თვლიან ა) სემანტიკურ მთლიანობას, ბ) სინტაქსურ მთლიანობასა და გ) მორფოლოგიურ მთლიანობას. ყველა ეს მხარე (და მათი ნიუანსებიც კი) ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეპირობებულია. მათგან სემანტიკური მხარე საერთოა სხვადასხვა ენებისათვის, გრამატიკული — განსხვავებული.

სიტყვის, როგორც სამეტყველო ერთეულის, განმარტების პრობლემა უნდა გადაიჭრას, ერთი მხრივ, სხვა სამეტყველო ერთეულებისაგან მისი გამოიყენების, ხოლო, მეორე მხრივ, იმ სპეციფიკურ თავისებურებათა დადგენის გზით, რომელიც ახასიათებს სიტყვას, მის სტრუქტურას.

როგორც აღინიშნა, სიტყვას, როგორც ენის ლექსიკურ-გრამატიკულ ერთეულს, ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი ენისა და მეტყველების უმცირესი ერთეულია, რომელთანაც დაკავშირებულია რაიმე მნიშვნელობა. სიტყვის ძირითადი ლექსიკური ფუნქციაა საგნების, მოვლენებისა და თვისებათა დასახელება (ნომინაცია). ყოველი სიტყვა გადმოგვცემს რამდენადმე კონკრეტულ სემანტიკას, რომელიც ადამიანის აზროვნებაში ასახული ობიექტური სინამდვილის ერთი მცირე მონაკვეთი, ერთი მარცვალია. სიტყვისათვის, როგორც ლექსიკური ერთეულისათვის, დამახასიათებელია ერთმნიშვნელობიანობა (გამონაკლისს წარმოადგენს ომონიმები, მაგრამ მათაც ორი ან რამდენიმე კონკრეტული, ზუსტი მნიშვნელობა აქვთ), რითაც იგი განსხვავდება სიტყვათა ჯგუფის უფრო ზოგადი სახისაგან — მეტყველების ნაწილისაგან. გრამატიკული თვალსაზრისით სიტყვა მორფემათა ერთობლიობაა (ან თვით არის მორფემა). სიტყვა და მორფემა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ერთმანეთს აპირობადებს, ყოველთვის გულისხმობს ერთურთს. სიტყვისა და მორფემის ურთიერთობა ან სიტყვაში არსებულ მორფემათა ურთიერთობა ქმნის გრამატიკის ცალკე დარგს, მორფოლოგიას; მაგრამ იმავე დროს სიტყვა განუყრელადაა დაკავშირებული წინადადებასთან, წარმოადგენს წინადადების ან მისი ნაწილის, სიტყვათშენაშენების, ძირითად ელემენტს. სიტყვათა შორის

არსებული ურთიერთობა შესიტყვეებაში ან წინადადებაში გვაძლევს მოვლენათა ახალ (სინტაქსურ) სფეროს. სიტყვას ახალი გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) ფუნქციები უჩნდება, მაგრამ, გადადის რა გრამატიკის განკარგულებაში, სიტყვა თავის ძირითად (ნომინაციის) ფუნქციას არ კარგავს. ამ ლექსიკურ თვისებას იგი სიტყვათშეხამებაში და კონსტრუქციაშიც კი ინარჩუნებს (პირველში უფრო მეტად), ქმნის რა სინამდვილის ასახვის უფრო რთულ სისტემებს („სიტყვის სემანტიკურ ველებს“). ნომინაცია უფრო განზოგადებულ სახეს იძენს იმისდა მიხედვით, თუ როგორი (მაღალი თუ დაბალი) დონის სინტაქსურ ერთეულში მოხდება სიტყვა. გრამატიკაში სიტყვა აერთიანებს ამა თუ იმ ლექსიკურ მნიშვნელობას გარკვეული რაოდენობის გრამატიკულ მოვლენებთან. ლექსიკურ-გრამატიკულ მოვლენათა ერთიანობა ქმნის სიტყვათა კლასებს (მეტყველების ნაწილებს), რომლებიც ცალკეულ სიტყვათა ჯგუფების განზოგადებულ სახეობებს წარმოადგენენ. სწორედ ეს სიტყვათა კლასები გადადის სინტაქსის განკარგულებაში და ამ კლასების ფორმობრივ თავისებურებებზეა დამოკიდებული სინტაქსური ურთიერთობის ამა თუ იმ სახის გამოვლენა შესიტყვებასა თუ კონსტრუქციაში. მეტყველების ნაწილთა საშუალებით ხდება სიტყვებს შორის დამყარებული აზრობრივი კავშირის ფორმობრივი „შედუღაბება“.

ენაში არსებული ყველა სიტყვა ზოგადად ჯგუფდება გარკვეულ ტიპობრივ ერთეულებად, რომლებშიც სიტყვები სხვადასხვა ნიშნითაა გაერთიანებულნი. ეს ნიშანი ძირითადად სამია:

ა) სემანტიკური, რომლის მიხედვითაც ყველა სიტყვა დაიყოფა ორ ძირითად ჯგუფად: მნიშვნელობის მქონე და მნიშვნელობის უქონელ სიტყვებად.

ბ) მორფოლოგიური, რომლის მიხედვითაც სიტყვები შექმნიან კვლავ ორ ჯგუფს: ფორმაცვალებადსა და ფორმაუცვლელ სიტყვებს.

გ) ფუნქციური, რომლის მიხედვითაც შეიქმნება სიტყვათა ორი ჯგუფი: დამოუკიდებელი (ნომინაციური და მათი ეკვივალენტი სუბსტიტუციური) და დამხმარე (ნებელობით-ემოციური და გრამატიკული კავშირის შემქმნელი).

სიტყვის ამ სამ მხარეს შორის გარკვეული ურთიერთკავშირია. გამოიყოფა ერთი ჯგუფის სიტყვები, რომლებსაც ფორმაცვლილზეა ახასიათებთ, სემანტიკური მნიშვნელობაცა და დამოუკიდებელი ფუნქციაც აქვთ (სახელები, ზმნა), მეორე ჯგუფს არ ახასიათებს ფორმაცვლილება, მაგრამ თავისთავადი სემანტიკა აქვს და მეტყველებაში დამოუკიდებელი ფუნქციის შესრულება შეუძლია

(ზმნიზედები) და, დასასრულ, მესამე ჯგუფის სიტყვები, რომელთაც არც თავისთავადი სემანტიკის გამოხატვა შეუძლიათ და არც ფორმაცვლილება ახასიათებთ, მაგრამ მეტყველების აქტში გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ (კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული, თანდებული). როგორც უნდა იყოს სიტყვის სემანტიკური ან მორფოლოგიური თავისებურება, ყოველ სიტყვას (მნიშვნელობის მქონეს თუ უქონელს, ფორმაცვალებადსა თუ ფორმალუცვლელს) აქვს გარკვეული ფუნქცია მეტყველებაში (რაც, საერთოდ, ენაში მის არსებობას განაპირობებს).

შენიშვნა: მეტყველების ამ ნაწილებს ზოგჯერ სიტყვებად არ თვლიან (მოგვყავს ამ შეხედულების ყველაზე მეტად დამცველის აზრი): „ეგრეთწოდებული დამხმარე (სხვაგვარად — ცარიელი) სიტყვები ტერმინოლოგიური პირობითობაა. არც ცალკე წინადადებად, არც სხვა წინადადების წევრად დამხმარე სიტყვები, ისევე როგორც ნაწილაკები, აფიქსები, ძირები, ფუძეები და მისთ. ნორმალურ მეტყველებაში არ გვხვდება“ (იხ. О. П. Суник. Слово, его основа и корень как различные морфологические категории. კრებ. «Морфологическая структура слова в языках различных типов». М., გვ. 37).

აღნიშნავენ სიტყვათა ნაირგვარ ფუნქციას მეტყველებაში. როგორცაა:

1. ნომინაციური (დასახელებისა). ამ მხრივ სიტყვა რაიმე ცნების კონკრეტული გამოხატულებაა, აღნიშნავს საგანს, მოვლენას, ფაქტს., მათს ნიშან-თვისებას და სხვ; ემსახურება აზრის გამოხატვასა და შეტყობინებას. ამ ტიპის სიტყვებს ცენტრალური ადგილი უკავიათ მეტყველებაში. ნომინაციური ფუნქციის რამდენადნე განზოგადებული სახეა ტერმინოლოგიური, რომლის მიხედვითაც სიტყვათა გარკვეული ჯგუფი (ტერმინები) ასახავს საგანს ან მოვლენას, მაგრამ განზოგადებული სახით, რაც უფრო მეტად შეესაბამება ცნების ლოგიკურ განსაზღვრას (კუთხე, ატომი, რადიუსი, მკევა, პრიზმა, პორმონი და ა. შ.).

ნომინაციურთან ახლოა აგრეთვე დახასიათებითი (ხატოვანი) ფუნქცია, როდესაც სიტყვა უშუალოდ კი არ გამოხატავს საგანს, არამედ ახასიათებს ხატოვნად ან გადატანით (მეტონომიურად) გამოხატავს ამა თუ იმ საგანს სხვა საგნის სახელით, ან კიდევ ახასიათებს ამა თუ იმ სუბიექტს ისეთი მოქმედებით, რომელიც სხვა სუბიექტისათვისაა დამახასიათებელი.

ნიმუშები:

მაშ ჩემი გოშია არა ხარ? (ი. ჭ.)

შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად (შუშ.).

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლექვები მგლისანი (ხალხ.); შდრ. მგელი ყმუის და სხვ.

2. სუბსტიტუციური (შენაცვლებითი) ან დეიქტური (მითითებითი). ნომინაციურის საპირისპიროდ, ამ ჩვეულის სიტყვები კი არ ასახელებენ საგნებს, მოვლენებს, მათს ნიშან-თვისებებს, არამედ მხოლოდ ენაცვლებიან მათს სახელწოდებებს, მიუთითებენ მათზე. ამგვარი ფუნქცია მეტყველებაში აქვთ ნაცვალსახელებს, აგრეთვე პირველადსა და ე. წ. ნაცვალსახელურ ზმნიზედებს: ეს, ის, ვინ? რა? რომელი? ჩვენ; იქ, სადაც და ა. შ.

შენიშვნა: 1. სპეციალურ ლიტერატურაში საესებით სამართლიანად არის მითითებული, რომ ნაცვალსახელთა შესვლა წინადადების სტრუქტურაში ექვემდებარება პრონომინალობის წესებს, რომელთაც სინტაქსური ხასიათი აქვთ (იხ. А. В. Исаченко. О синтаксической природе местоимений. წიგნ. «Проблемы современной филологии». М., 1965, გვ. 160).

2. მითითებით ნაცვალსახელთა სიახლოვე მითითებითს ზმნიზედებთან ვლინდება აგრეთვე მათ მიერ ადგილის ლოკალიზებაში მოქმელთან (მსჯელობის სუბიექტთან) მიმართებით (შდრ.: ეს — ის, ამ — იმ, აქ — იქ, აქეთ — იქით და სხვ.):

3. სუბსტიტუციური ფუნქციას აღნიშნავენ რიცხვით სახელებშიც, რომლებიც კი არ ასახელებენ, არამედ მიუთითებენ სხვადასხვაგვარ რაოდენობითს დამოკიდებულებაზე, ე. ი. ზოგადად აღნიშნავენ ყველა საგანს, რომელიც დაითვლება ან განლაგებულია რიცხობრივი რიგის გარკვეულ თანამიმდევრობით (იხ. М. И. Привалова. Система качеств и признаков слова в русском языке. წიგნ. «Вопросы теории и истории языка». Изд. ЛГУ, 1963, გვ. 256).

მაგრამ რიცხვით სახელებს უფრო მეტად აქვთ გამოხატული ნომინაციური (რაოდენობის ან რიგის დასახელების) ფუნქცია და ისანი კი არ ენაცვლებიან სხვა სიტყვებს, არამედ თვით მათი შენაცვლება ხდება სუბსტიტუციური ფუნქციის მქონე სიტყვებით (ხუთი, ათი, ასი... ამდენი: მეშვიდე რიგზე — ამ რიგზე და სხვ.).

3. ემოციური-ექსპრესიული. რიგი სიტყვები არ ასახელებენ საგანს ან მოვლენას, არც ახასიათებენ მათ. მეტყველებაში ეს სიტყვები, ჩვეულებრივ, გამოხატავენ მოქმელის დამოკიდებულებას გამოთქმული აზრისადმი. ამ ფუნქციას მეტყველებაში ასრულებენ შორისდებულები (აი, ჯანდაბა, რა მიგაჩქარებს?), მოძალერი სიტყვები (უნდა გავაკეთოთ, მე მსურს სიტყვის თქმა) და

ნაწილაკები (ორიოდე დღე დამრჩენია ამ წუთისოფელში ნაწი-
ლიჩოდ!). შეიძლება ამავე ფუნქციით სრულმნიშვნელოვანი სიტ-
ყვებიც, გარდა ზემოაღნიშნული მოდალური სიტყვებისა, მოგვე-
ვლინოს (ზოგჯერ მთელი წინადადებაც --- ჩართული).

4. დასასრულ, სპეციალურად უნდა აღინიშნოს გრამატი-
კული (სიტყვათშეკავშირების) ფუნქცია, რომელიც ზემოაღნიშ-
ნულ ფუნქციათა მქონე სიტყვების დონეზე აყენებს რიგ სიტყვებს,
რომლებსაც ისინი არ გააჩნიათ. ასეთი ფუნქცია აქვთ კავშირებს,
რომლებიც არსებითად მხოლოდ სიტყვათა (ან შესიტყვებათა, ან
წინადადებათა) შეკავშირებას ემსახურებიან (ჩვენ ორნი ვართ ქვე-
ყანაზე: მე და დამე, მე და დამე; გ. ტაბ.).

ამრიგად, ენის ლექსიკა ზემოაღნიშნული სამი მხარის (სემან-
ტიკური, გრამატიკული და ფუნქციური მხარეების) მიხედვით შე-
იძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ა) სიტყვები, რომელნიც გამოხატავენ მნიშვნელობას, აქვთ
გარკვეული გრამატიკული კატეგორიები და, რასაკვირველია, ვარ-
კვეულ ფუნქციას ასრულებენ მეტყველებაში (ვიმეორებთ, რომ
ენაში უფუნქციო სიტყვა არ არსებობს); ასეთია სახელები და
ზმნა.

ბ) სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობას გამოხატავენ, აქვთ
ფუნქცია, მაგრამ გრამატიკული (კერძოდ მორფოლოგიური) ფორ-
მები (ყოველ შემთხვევაში ამჟამად, ენის განვითარების თანამედ-
როვე დონეზე) არა აქვთ; მაშასადამე, ვერ ქმნიან გრამატიკულ კატე-
გორიას. ასეთია ზმნიზე და.

გ) სიტყვები, რომელთაც მხოლოდ გარკვეული ემოციური თუ
გრამატიკული ფუნქციის შესრულება შეუძლიათ, მაგრამ არა აქვთ
არც დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არც გრამატიკული ფორმა;
ასეთია შორისდებული, ნაწილაკი, კავშირი, თან-
დებული.

• • •

კონკრეტული, ცალკე აღებული სიტყვა გამოხატავს კონკრე-
ტულ მნიშვნელობას და იმავე დროს კონკრეტული ფორმა აქვს (ან
უფორმოა აბასიათებს). კონკრეტული სიტყვის შინაარსობრივი და
ფორმობრივი თუ ფუნქციური თავისებურებანი კონკრეტულ სიტ-
ყვაფორმაში ვლინდება; მაგრამ სინტაქსს სიტყვა არ აინტერესებს,
როგორც კონკრეტული, ცალკე აღებული ერთეული. სიტყვა მნიშ-
ვნელობის მხრივ (სემანტიკა) ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულია.
ფორმის მხრივ (მორფემა) — მორფოლოგიური. თუნდაც ამ ორი
ნიშნის შეერთებაც (ლექსიკურ-მორფოლოგიურისა) არ გვაძლევს

სინტაქსურ ერთეულს. წინადადება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ენის მაღალორგანიზებულ ერთეულია და ამდენად სიტყვა მის განკარგულებაში გადასვლისას განიხილება არა როგორც კონკრეტული სემანტიკის შეხამება კონკრეტულ ფორმასთან, არამედ — როგორც ტიპობრივი წყების განზოგადებული თავისებურებანი (ტიპობრივი ფორმა). მეტყველების ნაწილებად სიტყვათა დაჯგუფების კრიტერიუმია სემანტიკურ-მორფოლოგიური ჰომოგენურობა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი სინტაქსური ფუნქციისათვის: სიტყვა სინტაქსის განკარგულებაში გადადის, როდესაც იგი წინადადების წევრად (იშვიათად, გარკვეულ შემთხვევაში, თვით წინადადებად) იქცევა.

სიტყვა მორფოლოგიის ძირითადი ერთეულია, იმავე დროს იგი წინადადების შემადგენელი ნაწილიც, ზღვრული სინტაქსური ერთეულიცაა. სინტაქსი აუცილებლად ითვალისწინებს სიტყვას, მაგრამ არა ცალკე აღებულს, არამედ, როგორც ორგანიზებულ ერთეულს, რეალურად ან პოტენციურად სხვა სიტყვასთან დაკავშირებულს, ე. ი. რეალურ ან პოტენციურ სიტყვათშეხამებას. ყოველი სიტყვა, რომელშიც გამოვლენილია ეს, სხვა სიტყვასთან შეხამების, თვისება, უკვე სინტაქსის კუთვნილებაა. წინადადების წევრი არ შეიძლება იყოს ცალკე სიტყვა, წინადადების წევრი არის სიტყვა ან სიტყვათშენაერთი, რომელიც სხვა სიტყვასთან ურთიერთობაში (სიტყვათშეხამებაში) ორგანიზდება და გარკვეულ მიმართებას ქმნის. წინადადების წევრი სინტაქსური ცნებაა; იგი მიუთითებს „იმ როლზე, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა ასრულებს სიტყვათა ურთიერთობაში. შესიტყვებაში“ (არნ. ჩიქობავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, III, ქურნ. „ახალ სკოლისაგენ“, 1929, № 11-12, გვ. 709).

ასრულებს რა დაბალი რიგის ზღვრული სინტაქსური ერთეულის როლს, სიტყვა მინიმალურ სინტაქსურ სეგმენტად გვევლინება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მორფემური სიტყვის (თანდებულის, კავშირის), თავისთავადი სიტყვის (დამოუკიდებელი მეტყველებას ნაწილის) ან სიტყვათშენაერთის (შავი ზღვა, საბჭოთა არმია, გამარჯვებული იყო...) სახე. ამათგან მორფემა ან ზემოაღნიშნული ე. წ. „მორფემური სიტყვები“ უშუალოდ არ მონაწილეობენ წინადადების სტრუქტურაში, მაშინ როდესაც „ნამდვილი“ სიტყვა მეტყველებაში მონაწილეობს, როგორც ლექსიკურ-გრამატიკული ერთიანობა.

ამრიგად, ზღვრული სინტაქსური ერთეულია ორგანიზებული სიტყვა (წინადადების წევრი), რომელიც წინადადებაში პოტენციურ სიტყვათშეხამებად გვევლინება.



სიტყვა, როგორც სიტყვაფორმა, ან მეტყველების ნაწილი, გორც ტიპოფორმა, მხოლოდ მორფოლოგიის განკარგულებაში დარჩება, თუ ის არ ქმნის გარკვეულ მიმართებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს, სულ ცოტა, ორ ტიპოფორმას (ან სიტყვაფორმას) შორის. ყოველი სიტყვაფორმა, რომელიც ტიპოფორმის ყალიბში თავსდება (და ამდენად არ ქმნის სპეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მიმართებას) შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სინტაქსური დონის ერთეულის ელემენტი: პირიქით, სიტყვა, რომელიც ვერ თავსდება ტიპოფორმის ყალიბში, ან ტიპოფორმის ყალიბში მოთავსებული სიტყვა, რომლისთვისაც მხოლოდ ერთი გარკვეული შეხამებაა დამახასიათებელი (წელში წყდება, ჭიპზე გასკდა, თავსლაფი დაესხა და სხვ.), როგორი (კოორდინაციული თუ სუბორდინაციული) რიგისაც უნდა იყოს იგი, არ არის სინტაქსური დონის ერთეული, რადგან სიტყვას ამგვარ შეხამებაში დარკვეული აქვს ტიპობრივი სემანტიკური თავისთავადობა (მაგ. არ შეიძლება, ვთქვათ წარბში წყდება; მხარზე გასკდა და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სახის შეხამებაში ფორმობრივი დამოკიდებულება მას შეიძლება მეტ-ნაკლებად გამოხატული ჰქონდეს, იგი მაინც სიტყვაფორმად ჩაითვლება და არა ტიპოფორმად.

წინადადების წევრი არის სიტყვა (ან გარკვეული სიტყვათა ერთობლიობა), რომელიც გამოდის ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის გარეთ, ცალკეული სიტყვისა და შესიტყვების სახით ქმნის გარკვეულ მიმართებას.

* * *

მეტყველების ნაწილებსა და წინადადების წევრებს შორის გარკვეული კავშირია. რიგ შემთხვევაში ეს ცნებები ერთმანეთს ფარავენ (გამოხატვის თვალსაზრისით), მაგრამ მათ შორის, საზოგადოდ, პარალელიზმი არ უნდა ვიგულისხმოთ: წინადადების წევრის ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვისა ან მეტყველების ნაწილისა. ისინი რაოდენობრივადაც შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. წინადადების წევრი (წწ) უდრის ან ნაკლებია სიტყვაზე (მეტყველების ნაწილზე). ზოგადი ფორმულა --

წწ \leq ს(მ6);
 მაგ., პეტრე ხშირად უნდა მოდიოდეს ხოლმე.
 ს(მ6) = 5; წწ = 3;
 წწ > ს(მ6).
 წიგნი გადაშლილი იყო.
 ს(მ6) = 3; წწ = 2; წწ < ს(მ6).
 დღეს მერცხალი შემოფრინდა.
 ს(მ6) = 3; წწ = 3; წწ = ს(მ6).

სპეციალურ ლიტერატურაში წინადადების წევრები: საკმაოდ ფართოდაა დახასიათებული (იხ. ГРАММ. РУСС. ЯЗ., т. II, ч. I; ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში; ალ. ლლონტი. ქართული წინადადება, თბ., 1966; ლ. კვინაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, მისი. ვე, წინადადების წევრები ქართულში, თბ., 1954; ც. კალაძე. განსაზღვრება ქართულში; წიგნში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, 1961, გვ. 73-119 და სხვ.), ამიტომ მათ ზოგადად შევეხებით და აღვნიშნავთ მათს საერთო (ზოგად) თავისებურებებს, ხოლო სპეციფიკურ ნიშნებს გავარკვევთ შესაბამისი სინტაქსური ერთეულების — კონსტრუქციის, შესიტყვებისა და სიტყვათშეხამების — განხილვისას.

წინადადების წევრი ორგანიზებული სიტყვაა. მის ფუნქციას წინადადებაში განაპირობებს გარკვეული სინტაქსური კავშირი სხვა წევრთან. ეს კავშირი, როგორც წესი, წინადადების მოდელითაა შეპირობებული, მაგრამ ამა თუ იმ სიტყვამ, რომელიც მოდელისმიერი ადგილის შესაბამისად წინადადების ამა თუ იმ წევრად გვევლინება, შეიძლება შეინახოს ან არ შეინახოს თავისი ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული თვისება.

წინადადების წევრი აუცილებლად თავისთავადი ან მის დონეზე (კვლავ მოდელისმიერი ადგილის შესაბამისად) აყვანილი დამხმარე ან არაწევრი მეტყველების ნაწილით (ტიპოფორმით, გარკვეული ფუნქციური კლასის ერთეულით) არის გამოხატული.

შენიშვნა: ფუნქციურ კლასში იგულისხმება გარკვეული სინტაქსური ფუნქციით დატვირთული მეტყველების ნაწილი, ე. ი. მეტყველების ნაწილთა წყება წინადადების ამა თუ იმ წევრის როლში; მაგალითად, ზმნიზედები და ზოგიერთი სახელები ქმნიან გარემოებათა ფუნქციურ კლასს, ზედსართავი, რიცხვითი და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები — განსაზღვრებათა ფუნქციურ კლასს და მისთ.

ზმირია აგრეთვე წინადადების წევრის გამოხატვა თავისთავად და დამხმარე მეტყველების ნაწილთა შეერთებით (მაგ., ქალაქ-ში-ც). გარკვეულ შემთხვევაში წინადადების წევრი შეიძლება გამოხატული იყოს ორი ან მეტი თავისთავადი მეტყველების ნაწილით. ასეთი რამ უპირატესად ხდება შემასმენლის გამოხატვისას (შედგენილი შემასმენელი: ჩქარია, ლამაზი იყო, აშენებული ეგონა, შესრულებული აქვს და მისთ.), მაგრამ არც თუ ისე იშვიათია წინადადების სხვა წევრების გამოხატვის დროსაც (მაგ.: წასვლის დროს, მდინარის პირას და მისთ.).

დამოუკიდებელი სიტყვებიდან, რომლებიც წინადადების ერთ წევრს ქმნიან, ერთ-ერთი კარგავს თავისთავადობას და მხოლოდ მე-შეელი ფუნქციის შესრულება ეკისრება; ამავე მიზეზის გამო იგი ადვილად იცვლის ბგერითს შედგენილობასაც და საბოლოოდ შეიძლება თავისთავადობა სამუდამოდ დაკარგოს კიდევ (ასეთია, მაგალითად, თანდებულთა გენეზისი). რიგ შემთხვევაში ორი თავისთავადი მეტყველების ნაწილი, რომლებიც წინადადების ერთ წევრს გამოხატავენ, ორგანულად შეერწყმის ერთმანეთს და ერთ რთულუქიან სიტყვას ქმნის, რომელიც თავისთავად წინადადების ერთი წევრია (მაგ.: დღე და ღამე → დღეღამე. ქვის მთელი → ქვის მთელი და მისი).

შეიძლება შერწყმა არ მოხდეს, მაგრამ სიტყვათა ჯგუფმა ერთი ცნება გამოხატოს, რომელშიც აღრინდელი სინტაქსური კავშირი აშკარად ჩანს, ე. ი. წინადადების წევრად შეიძლება მოგვევლინოს სიტყვათმეხამება (საბჭოთა არმია, წყნარი ოკეანის...), შესიტყვება (ივანე გიორგის ძე კრელაშვილი) ან წინადადებაც კი (გუშინ წავიკითხე კ. ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“). ყველა ამ შემთხვევისათვის მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ მხარეს (ცნების გამოხატვის საშუალებას) ან ლოგიკურ-გრამატიკულს (ცნების გამოხატვა+მოდელისმიერი ვითარება). იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილს იკავებენ ესა თუ ის სიტყვები საერთოდ წინადადების ან მისი სტრუქტურული ნაწილების (კონსტრუქციის, შესიტყვების, სიტყვათმეხამების) მოდელში, ვლინდება მათი ფუნქციაც, ე. ი. მოქმელს შეუძლია, მოდელს შეუხამოს გარკვეული სიტყვა და ამის მიხედვით იგი წინადადების გარკვეულ წევრად წარმოგვიდგინოს (ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, გვ. 212): მაგამ სიტყვათა კლასს, გარდაწებისმიერი ფუნქციისა, აქვს სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც ის უფრო ხშირად ასრულებს გარკვეულ ფუნქციას; ე. ი. ყოველ სიტყვას მოეპოვება ძირითადი, სპეციფიკური და მეორეული (სხვადასხვა მიზეზის გამო შემდგომ შექმნილი) ფუნქცია, უკანასკნელს, ჩვეულებრივ, სიტყვათა კლასის შეცვლა მოჰყვება ხოლმე.

ჩვეულებრივ, მეტყველების ნაწილთა სინტაქსური როლის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ მათს ძირითად ფუნქციებს:

1) ზმნა წინადადებაში შემასმენელია;

2) არსებითი სახელი წინადადებაში ქვემდებარე, პირდაპირი, ირიბი ან უბრალო დამატებაა, შეიძლება აგრეთვე განსაზღვრებად შეგვეხედეს.



3) ზედსართავი სახელი — განსაზღვრება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (შემასმენლისი).

4) რიცხვითი სახელი — განსაზღვრება, შემასმენლისი.

5) ნაცვალსახელი — ქვემდებარე, დამატებანი, განსაზღვრება ან შემასმენლისი.

6) ზმნიზედა — გარემოებანი.

ზემოაღნიშნული დახასიათება, რასაკვირველია, არასრულია, რადგანაც პრაქტიკულად წინადადებაში მეტყველების ნაწილთა ფუნქცია საკმაოდ აღრეულია, ცალკე აღებული მეტყველების ნაწილი კი არა, ზოგჯერ მისი გარკვეული ფორმაც არ განსაზღვრავს ზუსტად მის ფუნქციას. იმდენად დიდია მოდელის მნიშვნელობა, რომ ერთი და იგივე იზოლირებული სიტყვა ერთი და იმავე ფორმით შეიძლება სხვადასხვა წევრად მოგვევლინოს; მაგალითად:

უ რ ე მ ი კრიალით მიდიოდა (ქვემდებარე);

ივანემ დაინახა კრიალით მომავალი უ რ ე მ ი (პირდ. დამატება);

უ რ ე მ ი შეშა ეწყო მანქანაზე (განსაზღვრება);

ეს ივანეს უ რ ე მ ი ა (შემასმენლისი).

ასეთი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ყველა მეტყველების ნაწილის ფორმებთან გვაქვს.

მაგრამ არც მოდელისმიერი ვითარება წყვეტს ყოველთვის ზუსტად სიტყვის ფუნქციას წინადადებაში; მაგალითად, -ში თანდებულიანი სახელი, ჩვეულებრივ, ადგილის ლოკალიზაციის მნიშვნელობას გამოხატავს მოქმედების შინაარსის მქონე სიტყვებთან, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ ტიპობრივ სიტყვათა წყებიდან აღებული რომელი სიტყვით იქნება გამოხატული, გვექნება წინადადების სხვადასხვა წევრი; შდრ.:

ს ა ხ ლ შ ი — ადგილის გარემოება;

გ უ ლ წ რ ფ ე ლ ო ბ ა შ ი — უბრალო დამატება;

ზ ა მ თ ა რ შ ი — დროის გარემოება.

სინტაქსური ელემენტის როლი არ შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ მეტყველების ნაწილთან მიმართებით, რადგან სიტყვათა ლექსიკურ-მორფოლოგიური კლასები უშუალოდ არ განსაზღვრავენ წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას. მეტყველების ნაწილებს ჩვენ ვიზილავთ, როგორც განზოგადებულ სემანტიკურ ერთეულთა წყებას, რომელსაც გარკვეული გრამატიკული (მორფოლოგიური) თავისებურებანი აქვს, ე. ი. მეტყველების ნაწილი განზოგადოებული სიტყვაა (ლექსიკური ერთეულია). იგი არ უდრის წინადადების

წევრს, რომელსაც არა სემანტიკურ-მორფოლოგიური (პარადიგმა-
ტული) ერთიანობა ახასიათებს, არამედ გამოხატავს მიმართებას
მაგალითად, მოქმედსა და მოქმედებას შორის (ბულბული გა-
ლობს), მოქმედებასა და მის ნიშან-თვისებას შორის (კარგად თ-
მაშობს), საგანსა და მის ნიშან-თვისებას შორის (კოხტა ქალი), სა-
განსა და საგანს შორის (ქვის კედელი) და მისთ. წინადადების წევ-
რი აუცილებლად გარკვეული სინტაქსურ-სემანტიკური მიმართე-
ბის (სინტაგმატური კავშირის) შემცველი ერთეულია.

ცალკე აღებული სიტყვა თუ მეტყველების ნაწილი ამორფუ-
ლია, მაგრამ სიტყვათშეხამებაში სინტაქსური მიმართების შესაბა-
ნისად ზუსტდება მისი მნიშვნელობა (იზღუდება განზოგადება);
ნაგ., ცხენი სემანტიკურად აღნიშნავს შინაურ ცხოველთა გარკვეულ
სახეობას, მაგრამ შეხამებაში ლურჯა ცხენი („ქალას არის
ლურჯა ცხენი“ ხალხ.) ამ ერთგვარი წყების საგანთაგან გამოჩა-
წევრებულია ცალკე ერთეული (ან ჯგუფი), სახელდობრ, ლურჯა
ასეთივე მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოხატულია ნებისმიერ შე-
ხამებაში. სინტაქსურ მიმართებაში მყოფი წინადადების წევრები
სემანტიკურადაც აზუსტებენ ერთერთს. ეს შეინიშნება თვით ისეთ
მაღალი რიგის სინტაქსურ მიმართებაშიც, როგორცაა კოორდინა-
ცია: მაგალითად, კონსტრუქციაში ცხენი კიხვიცინებს მსჯე-
ლობაა არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად — მოქიხვიცინე
ცხენზე და მისთ.

წინადადების წევრის ცნება არაფრით განსხვავდება მეტყველე-
ბის ნაწილის ცნებისაგან, თუ არ გავითვალისწინებთ მისი მიმართება
სხვა წევრთან. როგორც წესი, ამა თუ იმ ერთეულის მიკუთვნება
რომელიმე ფუნქციური კლასისადმი ან ქვეკლასისადმი სხვა ერთეუ-
ლთან მისი მიმართების საშუალებით ხდება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სინტაქსურ ანალიზში წინადადების წევ-
რის ცნების დატოვებას, განსაკუთრებით საჭიროა იგი არამთავარი
წევრების ცნებათა გამოსახატავად, მაგრამ კვლავ უნდა შევნიშნოთ,
რომ წინადადების წევრის მნიშვნელობა ირკვევა სიტყვათშეხამება-
ში, გარკვეულ მოდელში, სადაც ერთდროულად მოქმედებს რო-
გორც შინაგანი ფაქტორი (გაბატონებულ და დაქვემდებარებულ წევ-
რთა გამოხატვა — ამ მხრივ წინადადების წევრის ცნება მაქსიმა-
ლურად უახლოვდება მეტყველების ნაწილის ცნებას), ისე გარეგა-
ნი (წევრთა შორის სინტაქსური მიმართება როგორც ფორმოზოგიი,
ისე სემანტიკური თვალსაზრისით — ამ მხრივ წინადადების წევრის
ცნება სინტაქსემის დონეზე აღის). სიტყვისა თუ მეტყველების ნა-
წილის, როგორც წინადადების ფუნქციური ერთეულის, სინტაქსუ-
რი როლის დასადგენად არსებითი მნიშვნელობა აქვს მის მიმართე-

ბას სხვა წევრთან. სინტაქსურ ერთეულთა, მათ შორის წინადადების წევრთა, ანალიზი უნდა წარმოებდეს მისი ფუნქციის აღნიშვნისა და იმავე დროს სხვა წევრთან მისი მიმართების დადგენის გზით. (იხ. Т. П. Ломтев. О второстепенных членах предложения. РЯВШ, 1960, № 4, გვ. 10-16).

ამრიგად, ამა თუ იმ სიტყვის (სიტყვაფორმისა თუ ტიპოფორმის დონეზე) სინტაქსური ფუნქცია აუცილებლად სიტყვათშეხამებაში ირკვევა. წინადადების წევრის ცნება ფიქციად დარჩება, თუ იგი არ გავითვალისწინებთ გარკვეულ შესამებაში სხვა სიტყვასთან (ან, რაც უფრო მართებულა, სიტყვებთან).

რამდენადაც წინადადების წევრი გარკვეული დამოკიდებულების მქონე სიტყვაა, იგი წინადადებაში გვევლინება არა იზოლირებულად, არამედ გარკვეულ სიტყვათშეხამებაში (ან რეალურად, ან პოტენციურად): მაშასადამე, ძირითადი სინტაქსური ერთეული სიტყვათშეხამებაა, თუნდაც იგი რეალურად ერთი სიტყვით იყოს წარმოდგენილი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: აღარაფერს ვამბობთ სიტყვათშეხამების მნიშვნელობაზე როგორც ომონიმების, ისე ომოფორმების გასამიჯნავად (მაგალითად, ო მ ო ნ ი მ ე ბ ი: მიწას ბ ა რ ი და პ კ რ ა და მთა და ბ ა რ ი შეაჯერა; ო მ ო ფ ო რ მ ე ბ ი: მიხატავს მე იგი||იგი მე მას; წ ყ ა რ ო ს — მიცემითი ბრუნვა||სათესაობითი ბრუნვა და სხვ.).

2. 4. ბ. სიტყვათშეხამება, როგორც წინადადების ძირითადი სტრუქტურული ერთეული

მინიმალური სინტაქსური ერთეული არის სიტყვათშეხამება, რომელიც წარმოადგენს სიტყვას სხვა სიტყვასთან მიმართებაში.

სიტყვათშეხამებაში გაერთიანებული წევრები ლექსიკურად და გრამატიკულად უკავშირდებიან ერთერთს და, ნომინაციის (ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელშიც იგულისხმება როგორც საგანთა, ისე ნიშან-თვისებათა, მოქმედებისა და სხვ. გამდგატვა) გარდა, დამატებით გარკვეულ სემანტიკურ დამოკიდებულებას ქმნიან. როგორც წესი, ეს დამოკიდებულება გრამატიკულადაა გამოხატული შესაბამისი მორფემით ან ნულოვანი ფორმით.

სხვადასხვა მეტყველების ნაწილს, როგორც სიტყვათა გარკვეული წყების (სიმრავლის) განზოგადებულ სახეობას, ნაირგვარი სინტაქსური ფუნქცია აქვს, ნაირგვარია მათი საკომუნიკაციო დატვირთვაც. სიტყვათშეხამების შესაქმნელად არსებითი მნიშვნელობა აქვს მეტყველების თავისთავად, სრულმნიშვნელოვან ნაწილებს (არსებითს, ზმნას, ზედსართავს, რიცხვითს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას),

რადგანაც მხოლოდ მათ შეუძლიათ სინტაქსური ერთეულის დონეზე ასეღა: მაგრამ სიტყვათშეხამების სემანტიკისა და აგრეთვე გრამატიკული კავშირისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მეტყველების დამხმარე ნაწილებსაც. მეტყველების ნაწილთაგან განცალკევებით დგას შორისდებული, რომელსაც აღარავითარი გრამატიკული ნიშანი აღარა აქვს შერჩენილი და არც შედის სიტყვათშეხამებაში, მაგრამ ემოციურ-ექსპრესიული ძალა საკმაოდ დიდი აქვს.

როგორც აღინიშნა, მეტყველებაში ცალკე სიტყვა არ გამოიყენება. ის აუცილებლად სხვა სიტყვებთან მეზობლობაში გვხვდება. აზრის გამოსახატავად სიტყვა სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში ახალ სემანტიკურ დატვირთვას იძენს, მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა ან ვიწროვდება, ან ფართოვდება, ან კიდევ წინ წამოიწევეს მისი ცნების რომელიმე კომპონენტი.

ცნობილია, რომ საგნები, მოვლენები, მათი ნიშან-თვისებანი და სხვ. თავიანთ გამოხატულებას სიტყვებში პოულობენ, მაგრამ ყველა სიტყვას არ შეუძლია გამოხატოს ის ცნება, რომელიც წარმოიქმნება სიტყვათა შეხამების სხვადასხვა ტიპი, ჩვეულებრივ, ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა წყების განზოგადებული აღმნიშვნელია, მაგრამ განზოგადების დონე სხვადასხვაგვარია. ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მოცულობით, არამედ შინაარსითაც. ლოგიკაში, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ზოგადსა და ცალკეულ, აბსოლუტურსა და კონკრეტულ, მარტივსა და რთულ ცნებებს. ცალკეული მათგანი უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვა. ცალკე სიტყვა ხშირად არ არის საკმარისი იმ ცნებათა და წარმოდგენათა გამოსახატავად, რომლებიც ადამიანს აზროვნების პროცესში უჩნდება, ამიტომ წარმოიქმნება სიტყვათა შეხამების სხვადასხვა ტიპი, ჩვეულებრივ, ერთერთთან დაკავშირებული ორი სიტყვა, რომელსაც სიტყვათშეხამებას ვუწოდებთ.

სიტყვათშეხამებას, როგორც წინადადების სტრუქტურის შენადგენელ ელემენტს, შემხები ზაზი აქვს სიტყვასთან. ეს არის მისი ნომინაციური ფუნქცია. შინაარსობრივად სიტყვათშეხამება, ისევე როგორც სიტყვა, გამოხატავს ცნებას ან წარმოდგენას (ნომინაციას) არა მარტო წინადადებაში, არამედ მის გარეშეც, მაგრამ, სიტყვისაგან განსხვავებით, სიტყვათშეხამება წარმოადგენს ცალკეული საგნების, მოვლენათა ან წარმოდგენათა აღმნიშვნელ უფრო ზუსტ, დაკონკრეტებულ ერთეულს.

სიტყვათშეხამება ორწევრია, ამით განსხვავდება იგი რთული სიტყვათშეხამებისაგან (რომელსაც შესიტყვებას ვუწოდებთ) და კონ-

სტრუქციისაგან, რომელიც წინადადების მთავარ წევრთა ერთობლიობაა.

სიტყვათშეხამების სემანტიკა დამოკიდებულია მის შემადგენელ ერთეულებზე, რომლებიც აქ უფრო მეტად ავლენენ თავიანთ ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებებს, ვიდრე კონსტრუქციაში, განსაზღვრულია მათი კავშირიც, მაგალითად, ატრიბუტული სემანტიკური კავშირი იქმნება ისეთ სიტყვათშეხამებაში, რომლის გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული — ზედსართავი, რიცხვითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელი; მაგ., წი გ ნ ი — ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო, ს ა მ ი, ა ს ე თ ი, რ ე მ ი და მისთ. ადვერბიალური კავშირი გვაქვს ისეთ სიტყვათშეხამებაში, რომლის გაბატონებული წევრი ზმნა ან ნაზმნარი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული — ზმნიზედა ან მისი ფუნქციური ეკვივალენტი სახელი; მაგ., მ უ შ ა ო ბ ს — კ ა რ გ ა დ, მ ო ნ დ ო მ ე ბ ი თ, ი ქ, ყ ა ნ ა შ ი და მისთ.

2. 4. ბ. შესიტყვება, როგორც წინადადების უშალედური სტრუქტურული ერთეული

წინადადებათა უმრავლესობა შედგება ინტონაციურ-აზრობრივი ნაწილებისაგან, რომლებშიც გაერთიანებულია ორი ან მეტი სიტყვა. ეს ნაწილები (წინადადების მონაკვეთები) რამდენადმე კომპაქტურ აზრს (უპირატესად მის კომპონენტს) გამოხატავენ. ლოგიკაში წინადადების ამ ნაწილებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესიტყვებას, ანუ სინტაგმას, უწოდებენ და მას აკისრებენ საგნის (მსჯელობის სუბიექტი) ან მოვლენის (პრედიკატი) შინაარსის გადმოცემას, მაგრამ ყოველი სინტაგმა იმავე დროს წარმოადგენს სიტყვათა არა მექანიკურ ან ქაოსურ ჯგუფს, არამედ ორგანიზებულ წყებას, რომელთა შორის არა მარტო აზრობრივი კავშირი და ინტონაციური მთლიანობაა, არამედ — გრამატიკულიც: აზრობრივი კავშირი გრამატიკულად (სინტაქსურ-მორფოლოგიური საშუალებებით) არის გაფორმებული.

ლოგიკური შესიტყვება (რთული სინტაგმა) უმრავლეს შემთხვევაში ემთხვევა გრამატიკულ შესიტყვებას, მაგრამ მათ შორის ზშირად არა მარტო განსხვავება, არამედ წინააღმდეგობაც იქმნება სოლმე.

სინტაქსი შესიტყვებას სწავლობს არა როგორც აზრობრივად დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფს, არამედ — როგორც წინადადების სტრუქტურის კომპონენტს და ამ კომპონენტში არსებულ სინტაქსურ ურთიერთობას.

შესიტყვება გრამატიკული (სინტაქსური) თვალსაზრისით წარ-

მოადგენს ფაქტს, ერთეულს, ხოლო მის კომპონენტებს შორის დამყარებული ურთიერთობა სინტაქსურ მოვლენათა რიგისაა. ეს უკანასკნელი უნდა განვასხვაოთ შესიტყვებათა შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობისაგან, რომელიც კონსტრუქციაში ვლინდება და არსებითად განსხვავდება შესიტყვებაში არსებული ურთიერთობისაგან. წინადადების კონსტრუქციაში ურთიერთობა კოორდინაციულია, ხოლო შესიტყვებაში — სუბორდინაციული, ე. ი., თუ წინადადების კონსტრუქციას კოორდინაციული აღგენენ, შესიტყვება სუბორდინაციულია შედგება. კოორდინაცია გვაქვს შესიტყვების პოზიციურ ცენტრებს შორის (უფრო ზუსტად, სხვა შესიტყვების პოზიციური ცენტრები უკავშირდებათ წინადადების მათგანიზებელ ცენტრს, შემასმენელს). წინადადების სტრუქტურაში ეს კავშირი ნათლად ვლინდება, მაგრამ შესიტყვების შინაგანი კავშირისაგან (სუბორდინაციული დაქვემდებარებისაგან) განსხვავებით, ურთიერთობა მეტ-ნაკლებად თანასწორია. აქ უკვე ორმხრივ ურთიერთობასთან (კოორდინაციასთან) გვაქვს საქმე. თუ სუბორდინაციის შემთხვევაში შესიტყვების პოზიციური ცენტრის მოთხოვნას უშუალოდ ან თანამიმდევრულად (სხვა წევრის შუალობით) აკმაყოფილებდა შედარებით ნაკლები სინტაქსური ხედრითი წონის ერთეული, ხოლო უკუგავლენა („უუემბრძანებლობა“) გამორიცხული იყო, კოორდინაცია ისეთი ურთიერთობაა, როდესაც საურთიერთო დაქვემდებარება-მიმართებასთან გვაქვს საქმე.

რამდენადაც კოორდინაცია მხოლოდ შესიტყვების ცენტრებს შორის ურთიერთობას გულისხმობს, ხოლო სუბორდინაცია — მხოლოდ შესიტყვების შიგნით ურთიერთობას, ყოველი წინადადების სტრუქტურაში შეიძლება გვქონდეს როგორც კოორდინირებული, ისე სუბორდინირებული ელემენტები.

შესიტყვება წინადადების სტრუქტურიდან გამოიყოფა, როგორც ერთმანეთთან გრამატიკულად (და, რასაკვირველია, სემანტიკურადაც) დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფი. ამდენად შესიტყვება წინადადების გარკვეულ რგოლს წინადადებასთან მიმართებით მიკრორგოლს) ქმნის; მაგალითად,

მგზავრების წინ ყვავილებით აქრელებული ალპური ველი გადაიშალა.

ეს წინადადება ორი შესიტყვებისაგან შედგება:

- 1) ყვავილებით აქრელებული ალპური ველი,
- 2) მგზავრების წინ გადაიშალა.

ყოველი შესიტყვება, თუკი იგი ნულოვანი, ე. ი. ერთსიტყვიანი

არაა, სიტყვათშეხამებებისაგან შედგება ან თვით წარმოდგენს სიტყვათშეხამებას.

ამა თუ იმ ენის წინადადების სტრუქტურაში შესიტყვებათა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია; მაგალითად, ნორმალურ რუსულ წინადადებაში ორი შესიტყვებაა, ქართულში კი მათი რაოდენობა ცვალებადია ზმნის პირიანობის შესაბამისად: ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან შეიძლება გვექონდეს ორი, ორპირიანთან — სამი, ხოლო სამპირიანთან — ოთხი შესიტყვება.

ცალკე შესიტყვების ნაწილებს: სიტყვათშეხამებებსა და სიტყვებს (წინადადების წევრებს) ერთნაირი ფუნქცია არა აქვთ. შესიტყვებაში სიტყვები გარკვეული წყობით (პოზიციურად) არის განლაგებული. ყოველ შესიტყვებაში გამოიყოფა ერთი წევრი (პოზიციის ღერძი, ცენტრი), რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული წინადადების მაორგანიზებელ ცენტრთან ან თვით წარმოდგენს მას, ხოლო სხვა ელემენტები ამ ცენტრზეა დაქვემდებარებული. შესიტყვების პოზიციაში მის ცენტრსა და სხვა წევრებს შორის ცალმხრივი სინტაქსური კავშირია (სუბორდინაცია), ცალმხრივია აგრეთვე სინტაქსური კავშირი შესიტყვების პოზიციაში განლაგებულ სხვა წევრებს შორის. გარკვეული კავშირია აგრეთვე შესიტყვების ცენტრებს შორის, რომლებიც იმავე დროს კოორდინატებს წარმოდგენენ.

2. 4. დ. კონსტრუქცია, როგორც წინადადების მაღალი რიგის სტრუქტურული ერთეული

კონსტრუქციას ეუწოდებთ წინადადების ჩარჩოს (ყალიბს), რომელიც შექმნილია ზმნა-შემასმენლისა და მის მიერ რეალიზებულ პირთა კოორდინაციით.

შენიშვნა: ტერმინს (კონსტრუქცია) სინტაქსურ ანალიზში შეხამების სინონიმურად იყენებენ; მაგ., საყოველთაოდაა გავრცელებული გამოთქმა წინდებულისანი კონსტრუქციები და მისთ. დესკრიპციულმა ლინგვისტიკამაც ასევე მიიღო ტრადიციულისაგან ეს ტერმინი; „Конструкция - это любая значащая группа слов (или морфем)“; см. Г. Глиссон. Введение в дескриптивную лингвистику. М., 1959, стр. 190.

რამდენადაც წინადადება აზრის გამოსატვის ფორმას წარმოდგენს, მის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი რიგის ერთეულები, რომელთაგან ზოგს მნიშვნელობა აქვს აზრის სისრულისათვის, ხოლო ზოგს — აზრის დაზუსტებისათვის. ამ ერთეულებს შორის, როგორც ზემოთაა აღნიშნული, სინტაქსური კავშირიც სხვადასხვაგვარია: ერთი მხრივ, — კოორდინაცია, ხოლო, მეორე მხრივ, — სუბორ-

დინაცია. კოორდინაციული სტრუქტურა წინადადების კონსტრუქციას ქმნის, ხოლო სუბორდინაციულ ელემენტთა ერთიანობა — შესიტყვებას. კონსტრუქციის შესახებ მსჯელობისას ვასხვავებთ მის ორ საფეხურს: 1. წინადადების კონსტრუქციულ მოდელსა და 2. მოდელის ინტერპრეტაციას (რეალიზებულ მოდელს). პირველი ზოგადფორმოზობრივი ხასიათისაა, ხოლო მეორე — უფრო კონკრეტული, რადგანაც ცალკეულ სიტყვებს, შედიან რა ზოგად მოდელში, მასში შეაქვთ თავიანთი თავისებურებანი.

როგორც ცნობილია, წინადადებაში სიტყვებს შორის არსებულ ჯაჭვურ კავშირს აუცილებლად მოტივირებული ხასიათი აქვს. მოტივაცია ორგვარია: 1. პრედიკატულობის მოთხოვნილება და 2. თვით სიტყვისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილება.

პირველი მოტივირებული რიგი ლოგიკური (პრედიკაციისა) და გრამატიკული (კოორდინაციული) ურთიერთობის საფუძველზე ქმნის წინადადების კონსტრუქციას.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, გარდა კონსტრუქციის ელემენტებისა, ე. ი. წინადადების აუცილებელი წევრებისა, წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს გარკვეული ერთეულები (სიტყვები, სიტყვათშეხამებანი), რომლებიც ემსახურებიან რომელიმე სტრუქტურულად აუცილებელი წევრის ან მთლიანად წინადადების დაზუსტებას, მაგრამ ეს ერთეულები არ განაპირობებენ წინადადების არც ძირითად ლოგიკურ შინაარსსა და არც კონსტრუქციულ სტრუქტურას. ისინი, ჩვეულებრივ, მიუთითებენ მოქმედი ან სამოქმედო საგნის ნიშან-თვისებაზე (ატრიბუტული კავშირი), მოვლენის ადგილზე, დროზე, ინტენსიობის ხარისხზე, მიზეზსა და მიზეზზე (ადვერბიალური კავშირი). ამ თვისებათა უმეტესობა თვით სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარეობს მაშინ, როდესაც სტრუქტურულად აუცილებელი წევრის ლოგიკურსა და გრამატიკულ (სინტაქსურ) თავისებურებებს განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელი, კონსტრუქციაში მონაწილე ერთეული (კოორდინატი) ყოველთვის თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა და გამოხატულია აუცილებლად ზმნით და მის პირთა შესაბამისი მეტყველების ნაწილით — არსებითი სახელით ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახელით. კონსტრუქციის სტრუქტურისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შენიშვნა: ტერმინი კოორდინატი, ჩვენი აზრით, ძალიან მოხდენილი, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრდა არნ. ჩიქობავას ნაშრომის — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ — საფუძველზე.

მართალია, კონსტრუქციაში შეიძლება მონაწილეობდეს სხვა

მეტყველების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ეხამება ზანა, შემასმენელს, მაგრამ ის აუცილებლად სუბსტანტიური ერთეულის კვივალენტად გვევლინება, აუცილებლად იცვლის თავის კლასს და გადადის არსებითთა კლასში. წინადადების შედგენა თავისთავად და ნებისმიერად არ ხდება. მასში გაერთიანებულ ერთეულებს გარკვეული საშუალება ადუღაბებს, აკავშირებს ერთმანეთთან.

ცალკეულ ერთეულთა სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა ლოგიკურ-გრამატიკულ თუ საკომუნიკაციო დატვირთვის იძენს იგი. არსებობს რიგი როგორც გრამატიკული, ისე არაგრამატიკული პირობები. რომლებიც გავლენას ახდენენ, საერთოდ, წინადადებისა და, კერძოდ, კონსტრუქციული რიგის ელემენტთა ფუნქციაზე. მათგან მთავარია შემდეგი:

1. შეხამებულ ერთეულთა გრამატიკული ფორმა,
2. მათი განლაგების რიგი,
3. მათი შემაერთებელი დამხმარე სიტყვები (თანდებული, კავშირი, მიმართებითი სიტყვები),
4. ინტონაცია, რიტმო-მელოდიკა.

ამათგან სხვადასხვა ენაში წამყვანი მნიშვნელობა სხვადასხვა საშუალებას ეძლევა იმისდა მიხედვით, თუ რომელ ტიპოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება იგი. ჩამოყალიბებული მორფოლოგიის მქონე ენებში მეტი მნიშვნელობა აქვს შეხამებულ ერთეულთა ფორმას (შედარებით ნაკლები — შემაერთებელ დამხმარე სიტყვებს), ბრუნვათა სუსტი სისტემის მქონე ენებში — ერთეულთა განლაგებას და ა. შ.

ქართულ ენაში კონსტრუქციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კორდინატთა გრამატიკულ ფორმას, სხვა საშუალებანი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ წინადადების რეალიზებულ ვარიანტებში და უფრო მეტად აზრის გამოხატვის გაძლიერებას ემსახურებიან; მაგალითად, პოზიციური თავისებურებანი განაპირობებენ აგრეთვე წინადადების ტიპს, ასე რომ ყოველგვარ პოზიციურ თავისებურებას გარკვეული წყების ენებში საკომუნიკაციო დატვირთვა აქვს. რაც შეეხება რიტმო-მელოდიკას, იგი თან ახლავს კონსტრუქციის შემადგენელ ნაწილებს. წინადადების რიტმომელოდიკური სევმენტაცია ხშირად ემთხვევა სტრუქტურულ ელემენტებად მის დაყოფას, მაგრამ რიტმო-მელოდიკა უმთავრესად ემსახურება წინადადების გამოყოფას ფრაზიდან და მის დაყოფას ინტონაციურ სევმენტებად.

ქართულ ენაში წინადადების კონსტრუქციისათვის მნიშვნელობა აქვს მიმართებას გარკვეულ გრამატიკულ-სემანტიკურ ერთეუ-

ლებს (სახელებსა და ზმნას) შორის. კონსტრუქციის ანალიზი გულისხმობს მასში შემავალ გრამატიკულ ფორმებს შორის დამოკიდებულების დადგენას იმ დონეზე, რომელიც ქმნის სინტაქსურ კავშირს და ყოველი ამ ფორმის შეხამებულობას, რის შედეგადაც ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა შეფარდება იქმნება. წინადადების კონსტრუქცია სწორედ ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ იმავე დროს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ელემენტებისაგან შედგება და განპირობებს მთლიანად წინადადების სტრუქტურას.

2. 4. ე. წინადადების სტრუქტურული სახეები

2. 4. ე. § 1. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადებანი

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ წინადადების ორი ძირითადი სტრუქტურული ერთეული: კონსტრუქცია და შესიტყვება, რომელთა ერთიანობა ქმნის წინადადებას. ამათგან თავისთავადი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციას, რომელიც დამოუკიდებლად, შესიტყვების სუბორდინაციულ ერთეულთა გარეშეც, ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას (კონსტრუქცია = წინადადებას); მაგ.:

მზე ამოვიდა; იხინი ეხვეოდნენ ერთმანეთს; მუშამ შეღება კედელი; დედამ ზაზას ხალათი შეუკერა.

შესიტყვებას ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია, რასაკვირველია, ნორმალურ ვითარებაში — ელიფსის შემთხვევათა გამორიცხვით, როდესაც შესიტყვება წინადადების ტოლფასია. ჩვეულებრივ, იგი მხოლოდ კონსტრუქციის მეშვეობით ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. ამრიგად, წინადადებას, როგორც აზრის ჩამოყალიბების ფორმას, შეიძლება ჰქონდეს ორი სტრუქტურული სახე: გაუვრცობელი (წინადადება = კონსტრუქცია) და გავრცობილი (წინადადება = კონსტრუქცია + შესიტყვება).

გაუვრცობელი წინადადება მხოლოდ კოორდინატებისაგან შედგება, მასში წარმოდგენილია მხოლოდ ზმნა-შემასმენელი (ძირითადი კოორდინატი) და მისი რეალიზებული პირები (დიდი კოორდინატი, საჭიროებისას — მცირე და უმცირესი კოორდინატებიც). კოორდინატთა რაოდენობა დამოკიდებულია ზმნა-შემასმენელზე; კერძოდ, მის პირიანობაზე, რომლის მიხედვითაც გაუვრცობელი წინადადება (კონსტრუქცია) შეიძლება ორი, სამი ან ოთხი კოორდინატისაგან შედგებოდეს; მაგ.:

- 1) ჰაერი სთვლემს (მ. ჯავ.).
- 2) ქვრივი კარებს ეცა (მ. ჯავ.).
- 3) გიორგიმ ფეხი არ გაანძრია (ი. ჭ.).

4) მზემ ფანჯარას სხივი სტუორცნა (ი. ევლ.).

გაუერცობელი შეიძლება დეფექტური (კოორდინატნაკლული) წინადადება იყოს; მაგ.: ნახირს გუმანმა არ უმუხთლა (სიმუხთლა) (მ. ჯავ.).

გავრცობილ წინადადებაში, გარდა კოორდინატებისა, სუბორდინაციული ერთეულიც (სუბორდინატიც) ურევია. ეს არის გაუერცობელ და გავრცობილ წინადადებათა განმასხვავებელი ნიშანი. ე. ი. საკმარისია წინადადებაში ერთი სუბორდინატი შეგვხედეს, რომ იგი გაივრცოს, გავრცობილი გახდეს. გავრცობილი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე, ან ყველა შესიტყვება. ამ მხრივ ყოველგვარი წინადადება პროდუქტიულია. აღნიშნავთ რამდენსამე შემთხვევას:

ა) გავრცობილია ერთ-ერთი შესიტყვება; მაგ.:

თარეშის შემდეგ რაზმი ისვენებს (მ. ჯავ.).

საჯინბოში სიჩუმე ჩამოვარდა (მ. ჯავ.).

ზედადგარზე წყალი იდგა (მ. ჯავ.).

შევიდა ბერი ფეხაკრეფილი (ა. წ.).

შენ ზვირთებს გაპყვენენ საუკუნენი (ი. ქ.).

ამ სიტყვებმა ბევრს გამოაცვლევინა აზრი (ა. წ.).

მახარაც ვადის მოწევას ელოდებოდა (მ. ჯავ.) და სხვ.

ბ) გავრცობილია ორი ან რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) შესიტყვება; მაგ.:

შემოდგომის მზემ სხივები ქვეყნად მიმოაფინა (ა. წ.).

ლულის ძირს სალი კლდეები არაგვს მუქაში სწურავენ (ვაჟა).

მახარამ გაშლილი ხელი კვინიხზე მიიღო (მ. ჯავ.) და სხვ.

გ) გავრცობილია ყველა შესიტყვება; მაგ.:

ვილაც მგზავრი სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს (ა. წ.).

ქალებიდან თხელი ბინდი ამოცოცდა და სხვ.

კოორდინატთა სემანტიკური დაზუსტების მიზნით შესიტყვების გავრცობა აღნიშნულით არ ამოიწურება. შეიძლება რომელიმე მათგანი, რამდენიმე მათგანი ან ყველა ერთად არა ერთი, არამედ რამდენიმე სუბორდინაციული რიგის ერთეულით გაივრცოს, როგორც თანადაქვემდებარებულით, ისე თანამიმდევრულად დაქვემდებარებულით ან ორივეთი ერთად; მაგ.:

გლეხები ვეება კაკლის ქვეშ მოუსხდნენ სუფრას (მ. ჯავ.).

დღეს ქართველები შენის სარდლობით ჰფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა (ა. წ.).

იქვე არსენას მკლავის სისხო წყალი გადმოღის (მ. ჯავ.) და სხვ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, გავრცობილი წინადადების არსებით ნიშანს წარმოადგენს სუბორდინაციული რიგის ერთეული; ე. ი., წინადადება რომ გავრცობილი იყოს, მასში ერთ-ერთი შესიტყვება მაინც ნულოვანი არ უნდა იყოს: სრულ და უსრულ წინადადებათა ერთურობისაგან გასამიჯნავად კი არსებითი მნიშვნელობა აქვს კოორდინატს. მისი ქონა თუ არქონა განაპირობებს წინადადებათა დაყოფას სრულ თუ უსრულ სახეებად.

უსრულია წინადადება, რომელსაც აკლია სტრუქტურულად აუცილებელი (მთავარი წევრი, კოორდინატი) ელემენტი, შესაბამისად, სრულია წინადადება, რომელშიც სტრუქტურულად აუცილებელი წევრი რეალურად არის წარმოდგენილი.

რიგ შემთხვევაში აზრის შესატყობინებლად ზოგიერთი კოორდინატის ხმარება არცაა საჭირო, რადგანაც მისი როლი ნათლად ჩანს კონსტრუქციის სხვა წევრებში; მაგალითად, ცნობილია, რომ პირის ნაცვალსახელთა რეალურად გამოყენება წინადადებაში არ არის სავალდებულო, რადგანაც ზმნა-შემასმენელი გამოხატავს მას. პირის ნაცვალსახელთა ხმარება მაშინაა აუცილებელი, თუ ლოგიკური მახვილი მათზე მოდის (მე დავწერ, შენ წახვალ და ა. შ.). სხვაგვარ ვითარებაში (დავწერ, წახვალ და სხვ.) ზმნა-შემასმენელი ისედაც გამოხატავს პირითს ურთიერთობას.

საზოგადოდ, გრამატიკულ ლიტერატურაში უსრული წინადადების არსებით ნიშნად მიიჩნევენ წევრთა დაკლებას. ამ წესში, ჩვეულებრივ, არაა დიფერენცირებული, თუ. სახელდობრ, რომელი წევრი (მთავარი თუ არამთავარი) აკლდება; მთავარია, იგი წინა ნათქვამიდან იგულისხმებოდეს (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. II, 1958, გვ. 54. ა. შ ა ნ ი ძ ე, ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე. ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, 1964, გვ. 49, ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 206, ა. ლ ლ ო ნ ტ ი. ქართული წინადადება. 1966, გვ. 104 და სხვ.); მაგრამ უსრულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, გავრთიანებულია წინადადებათა სხვადასხვა სახე, რომლებშიც უსრულობა (წინადადების რომელიმე ან რამდენიმე სტრუქტურულად აუცილებელი წევრის არქონა) სტილური ნორმია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა, მაგალითად, მარტივი წინადადების მოქცევა უფრო რთულ სინტაქსურ ერთეულში, ენის სინტაქსურ-სტილური თავისებურებანი და სხვ. ასეთ წინადადებებში ამგვარი „ნაკლული“ წევრის ჩასმა ხშირად იწვევს მოცემული წინადადების სტრუქტურის შეცვლას, უფრო ხშირად იცვლება მისი სტილური ელფერი. უსრულ და სრულ წინა-



დადებათა შეპირისპირება, ჩვეულებრივ, უფრო სტრუქტურული ანალიზის მიზნით ხდება, ვიდრე აზრობრივი სისრულის დადგენისა.

უსრული წინადადებანი იმავე მოდელს ექვემდებარებიან, რასაც სრული, მაგრამ. სრულისაგან განსხვავებით, მათში აშკარად ჩანს რომელიღაც ელემენტის გამოტოვება.

უსრულ წინადადებაში კოორდინატისა თუ სუბორდინატის აზრობრივი როლის გასარკვევად საინტერესოა ტექსტის შემდეგნაირი ანალიზი:

სრული ტექსტი	ტექსტი, რომელიც მხოლოდ კოორდინატისაგან შედგება	ტექსტი, რომელიც მხოლოდ სუბორდინატებისაგან შედგება
მთვარის შექმნე მთებისა ჩრდილი ალაზნის ველზე წამოიხარა (ი. კ.)	ჩრდილი წამოიხარა	მთვარის შექმნე მთებისა ალაზნის ველზე
ერთ ქართველ ვაჟარს საქონელს წაეღო დარუბანდში გასაყიდად (ხალხ.)	ვაჟარს საქონელს წაეღო	ერთ ქართველ დარუბანდში გასაყიდად

აქედან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კოორდინატებს აზრის სისრულისათვის. გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული სუბორდინატები შეიძლება გადმოგვეცემდნენ აზრს მხოლოდ მაკროტექსტის (მაგ. საუბრის) ფონზე.

რიგ შემთხვევაში საუბრის დროს სტრუქტურული მთლიანობა სამეტყველო სიჭარბეს ქმნის. მეტყველების (განსაკუთრებით დიალოგის) პროცესში ელიფსურ წინადადებათა ქარბად გამოყენება სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული.

მართლაცდა რიგ შემთხვევაში სტრუქტურულად მთლიანი სრული წინადადების გამოყენება, დროისა და ენერჯიის ეკონომიზზე რომ არა ეთქვათ რა, ბუნებრიობას უკარგავს საუბარს. აღნიშნულ ელიფსის საშუალებას სამეტყველო სიტუაცია გვაძლევს. დაეაკვირდეთ, რა არაბუნებრივად ისმის ამგვარი დიალოგი (ესარგებლობთ ვ. ზევეინცევის ნიმუშით, იხ. В. А. Звегинцев. Теоретическая и прикладная лингвистика. М., 1968, გვ. 257):

— საით გავიწვევიათ ამ წვიმიან დღეს ბებიასთან ერთად და ისიც უქოლგოდ?

— ამ წვიმიან დღეს და ისიც უქოლგოდ მე ბებიასთან ერთად მივდივარ თეატრში.

განსაკუთრებით ხშირია აღნიშნული ტიპის „ქარბი“ ინფორმაციის შემცველი წინადადებები სასკოლო პრაქტიკაში, სადაც ვერ კიდევ ვერ აღმოფხვრილა სქოლასტიკური „სრულპასუბობანა“.



ამის ნიმუშები განსაკუთრებით მრავლად მოიძეება პრაქტიკანტ სტუდენტთა გაკვეთილების გეგმა-კონსპექტებში; მაგ.:

მასწ.: წინადადებაში მთების ჩრდილი ჩემი ქვეყნის ძილს ეალერსება რომელია ქვემდებარე?

მოსწ.: წინადადებაში მთების ჩრდილი ჩემი ქვეყნის ძილს ეალერსება ქვემდებარე არის ჩრდილი ინფორმაციის მისაღებად საკმარისი იყო ერთი სიტყვა ჩრდილი, რომელიც ტოლფასია მთელი წინადადებისა.

ლაკონიურობა რიგ შემთხვევაში ისე შორს მიდის, რომ მთელი დიალოგი შეიძლება მხოლოდ წამოძახილებისაგან ან ცალკე სიტყვებისაგან შედგებოდეს: მაგ.:

- იყავი?
- ჰო.
- რაო?
- არ მინდაო.

რასაკვირველია, ეს საუბარი სრულ ინფორმაციას მიაწვდის მხოლოდ მოსაუბრე პირებს, რომელთაც იციან, ვისზე ან რაზე არის საუბარი ან სავარაუდოდ რა პასუხი უნდა მოეტანა ერთ-ერთ მათგანს.

სასაუბრო მეტყველებაში ხანდახან დიალოგს შაბლონის სახე აქვს, იგი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით თითქოს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის დაწყებისათვის.

— რა გნებაეთ?

— არაფერი. ეს არაფერი კი ძალიან ზნობად რამდენიმე საათის სასაუბრო თემას შეიცავს. ამგვარი ელიფსი, სხვა მსმენელს არაფერს ეუბნება, მაგრამ რიგ შემთხვევაში ელიფსური წინადადების (დიალოგის) ზოგადი აზრის გამოტანა შეიძლება მსმენელის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე; მაგ.:

- როგორაა?
- უკეთ.

გარეშე მსმენელთა უმრავლესობა ამ ფრაგმენტს დიალოგში აღიქვამს ისე, რომ საუბარია ავადმყოფის შესახებ, რომელსაც მდგომარეობა გაუუმჯობესდა (100 ცდისპირიდან ამგვარი პასუხი მოგვცა 88-მ, ხოლო 12-მა რაიმე საქმეს მიაწერა).

ყველაზე მისაღებია უსრული წინადადების ისეთი განსაზღვრა, როდესაც მას განიხილავენ სტრუქტურულად აუცილებელი წევრის (კოორდინატის) დაკლების მიხედვით (ა. კ. ი. რ. ი. ა. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 95). ამ ნიშნით წინადადების კლასიფიკაცია სრულ და უსრულ სახეებად უპი-

რისპირდება გავრცობილსა და გაუფრცობელ წინადადებებს. შესაბამისად შეიძლება გვქონდეს, ერთი მხრივ, სრული, მაგრამ იმავე დროს გაუფრცობელი ან გავრცობილი წინადადებანი; მაგ.: მეფეს ერი შეეცოდა (ი. ჯ.).

გამობრძანდა ქალაქს გარეთ მეფე დავით ბედნიერი (ა. წ.) და მისთ.; ხოლო, მეორე მხრივ, უსრული წინადადებანი, რომლებიც ასევე შეიძლება გავრცობილი ან გაუფრცობელი იყოს; მაგ.:

გამოცანა გერგება! (ი. ჯ.).

კლანჭებში ძვალი ეჭირა (ვაჟა) და მისთ.

ასხვავებენ უსრული წინადადების რამდენსამე ტიპს, როგორცაა:

1) უსრული წინადადებანი, რომლებიც დიალოგის ურთიერთ-დაკავშირებულ რეპლიკას წარმოადგენენ;

2) დამოუკიდებლად გამოყენებული უსრული წინადადებანი, რომელთა სტრუქტურულ თავისებურებას შემასმენლის არქონა წარმოადგენს;

3) უსრული წინადადებანი, რომლებიც მყარ ფრაზეოლოგიურ შეხამებებს წარმოადგენენ;

4) უსრული წინადადებანი, რომლებიც რთული წინადადების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, აღინიშნება უსრული წინადადებანი, რომლებშიც ნაკლები წევრი გარკვეული სიტუაციის მიხედვით ივლენს-მება.

შენიშვნა: 1. არსებობს სხვაგვარი კლასიფიკაციაც, რომლის მიხედვითაც უსრული წინადადებანი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) საკუთრივ უსრულ და 2) ელიფსურ წინადადებებად (იხ. Современный русский язык. Изд. МГУ, 1964, გვ. 442). პირველში გამოიყოფა კონტექსტუალურ-უსრული, რომელშიც არაა რომელიმე მთავარი წევრი, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია მაკროტექსტის (კონტექსტის ან სასაუბრო მეტყველების საერთო თემის) მიხედვით, და სიტუაციურ-უსრული წინადადებანი, რომლებშიც სიტუაციით ივსება ის, რაც მეტყველებაში არ არის აღნიშნული; მაგ., იმ დღე ვ ან დღე ი იყოს (ი. ჯ.) და მისთ.

2. საერთოდ უსრული წინადადებანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არა მარტო მათი კლასიფიკაციის, არამედ უსრული წინადადების რაობის სრულყოფილად განმარტების შესაძლებლობის შესახებ ეჭვიც კია გამოთქმული; მაგალითად, ი. პოპოვა, რომელმაც საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა უსრულ წინადადებას, აღნიშნავს: „ჩვენ

იძულებული ვართ, ვაღიაროთ იმის შეუძლებლობა, რომ დამაკმაყოფილებელი, გრამატიკულ საფუძველზე დაფუძნებული განსაზღვრა მივცეთ უსრულ წინადადებას და წამოვწიოთ წინადადებათა სრულ და უსრულ სახეებად დაყოფის ერთიანი, მკაფიო კრიტერიუმი, ყოველ შემთხვევაში, წინადადების შესახებ მოძღვრების დამუშავების ახლანდელ ეტაპზე“ (იხ. И. А. Попова. Неполные предложения в современном русском языке. Тр. ИЯ АН СССР, т. II, М., 1953, გვ. 131):

ელიფსი უშუალო კავშირშია მეტყველების სიკარბესთან ინფორმაციის გადაცემისა თუ მიღების პროცესში. როგორც ცნობილია, უსრული წინადადება ყველაზე მეტად დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისათვის, რომლის არსებითი თავისებურება — სიტუაციურობა (წერითი მეტყველების კონტექსტურობის საპირისპიროდ) — ელიფსის ძირითადი მიხეზია. ზეპირი მეტყველების დამხმარე საშუალებები (მიმიკა, ყესტიკულაცია) ან აუცილებლად თანმხლები პირობები (ინტონაცია) საშუალებას აძლევს მეტყველს, ბევრი რამ არ წარმოთქვას და აზრი ისე გააგებინოს თანამოსაუბრეს, საუბრის პროცესში აგრეთვე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წინა ნათქვამსაც, რომლის გასმეორება (ეკონომიის პრინციპის საფუძველზე), ჩვეულებრივ, არ ხდება ხოლმე, თუ რაიმე ლოგიკურ-სტილური დატვირთვა მასზე არ მოდის, სწორედ ამიტომაც, რომ უსრული წინადადებანი ყველაზე ხშირია დიალოგებში. იგი წარმოადგენს ისეთ გამონათქვამთა გაცვლა-გამოცვლას, რომელიც ბუნებრივად წარმოქმნის ერთურას საუბრის პროცესში“ (იხ. Н. Ю. Шведова. Очерки по синтаксису русской разговорной речи, М., 1960, გვ. 281).

დიალოგისათვის დამახასიათებელია აზრობრივი ერთიანობა (მაკროტექსტი), რომელიც საუბარს ზოგჯერ ერთი და იმავე აზრის კომპონენტებად წარმოგვიდგენს ხოლმე; მაგ.,

— ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის. (— დაატანა კესომ) (ი. ჯ.)

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მაკროტექსტში იგულისხმება სტრუქტურულად გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ უძღვის ცალკეულ სამეტყველო წინადადებას (მიკროტექსტს). მაკროტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური კავშირი იქმნება ერთი წინადადების ფონზე, მაკროტექსტისა — მთლიანად საუბრის ფონზე.

დიალოგის აზრობრივი ერთიანობა გავლენას ახდენს ენობრივ-ინტონაციურსა და რამდენადმე ფორმობრივ თავისებურებებზეც. სწორედ ეს აზრობრივი ერთიანობა განაპირობებს დიალოგურ მეტ-

ყველებაში უსრულ წინადადებებს წინა ნათქვამის მიხედვით (რაც სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად უსრულ წინადადებათა ერთადერთ კრიტერიუმადაა აღიარებული).

დიალოგში გამოყენებული უსრული წინადადებები შეიძლება წარმოადგენდნენ კითხვაში მოცემული აზრის განგრძობა-შეესებას, დასტურს ან უარყოფას. ასეთ წინადადებებში შეიძლება აკლდეს ერთ-ერთი ან რამდენიმე, ან კიდევ რეალურად არ იყოს წარმოდგენილი არცერთი სტრუქტურულად აუცილებელი წევრი: მაგ.

— ხომ სტიროლი სიზმარშია? — ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

— ვტიროდი (ი. ჰ.).

— ეხლა. ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით. ხომ არაფერი?

— არაფერი (ი. ჰ.).

— სხვამ არაფერმა?

— იქნება სხვამაც (ი. ჰ.).

უსრულ წინადადებას (დიალოგის ფორმას) ძალიან ბევრი ლოგიკურ-სტილური თავისებურება გააჩნია. ჩვენ ზემოთ შევეხეთ დიალოგში უსრული წინადადების მხოლოდ სტრუქტურულ თავისებურებებს.

ცალკე უნდა განვიხილოთ უსრული წინადადებანი, რომელთაც აკლიათ კოორდინატები, რომლებიც პირის ნაცვალსახელებითაა გამოხატული. ასეთ შემთხვევებში პირის ნაცვალსახელთა უხმარებლობა სტილური ნორმაა, რადგანაც შესაბამისი პირი ყოველთვის „რეალურად“ იგულისხმება სათანადო ზმნა-შემასმენლით. როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელთა ხმარება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როდესაც ლოგიკური მახვილი მათზე მოდის. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ტიპის უსრული წინადადება ზოგჯერ სრულად მიაჩნიათ (იხ. ლ. კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 203): მაგ.: (მე) უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა. ამან ამირია (მე) იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო (მე) და მკლავმა თრთოლა (ი. ჰ.) და მისთ.; შდრ.: მე შენთან საქმე არა მაქვს რა (ი. ჰ.).

არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის დროსაც ნაცვალსახელთა ხმარება აუცილებელია. ეს ხდება მაშინ, როდესაც შემასმენელი ზმნური ომოფორმით არის გამოხატული: მაგ.: გ ი გ ზ ა ვ ნ ი თ, გ ი ჩ ი ვ ი თ, გ წ ე რ თ, გ ა ქ ე ბ თ და მისთ. ამ ტიპის ომოფორმები, როგორც წესი, პირთა შეხამების მხრივ ნაირგვარ გავებას ვვაძლევენ; მაგ.:



გიგზავნით	{	მე თქვენ	მას	I შემთხვევა
		იგი თქვენ	მას	II „
		ჩვენ შენ	მას	III „
		ჩვენ თქვენ	მას	IV „

პირის ნაცვალსახელთა ხმარება აკონკრეტებს გრამატიკული ფორმის მნიშვნელობას, მაგრამ ყველა ნაცვალსახელის აღნიშვნა არ არის საჭირო. პირველ სამ შემთხვევაში საკმარისია გამოვიყენოთ ერთ-ერთი, რომ ომოფორმის გრამატიკული მნიშვნელობა დაზუსტდეს და გამოირიცხოს სხვა შეხამებები: მე (I შემთხვევა) კონსტრუქციის სუბიექტურ უჯრაში უკვე თავისთავად განაპირობებს სხვა უჯრებში თქვენ ნაცვალსახელის არსებობას; შდრ.: მე გიგზავნით — მე გიგზავნით თქვენ. ასევეა იგი (II შემთხვევა) და შენ; შდრ.:

იგი გიგზავნით — იგი გიგზავნით თქვენ მას.
 შენ გიგზავნით — ჩვენ გიგზავნით შენ მას.

მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ორი ნაცვალსახელის ხმარება, რადგან შეწყობილი ნაცვალსახელები საზიაროა; მაგ.: თქვენ (I, II, IV შემთხვევებ), ჩვენ (III და IV შემთხვევები). ამდენად ამ ნაცვალსახელებს დამოუკიდებლად არა აქვთ სინტაქსურად მადიდებურენციკრებელი მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრუნვაეკვალეზადი ობიექტი საზიაროა ყველა შემთხვევისათვის, რადგანაც აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, ორიოდ გამონაკლისის გარდა, III პირის ფორმით არის წარმოდგენილი. სწორედ ამის განა, რომ იგი წინადადებაში, როგორც წესი, არსებითი სახელებით არის გამოხატული.

უსრული წინადადების თავისებური სახეა ე. წ. სახელდებობითი წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია ცალკე (არაპრედიატი) წვერი ან შესიტყვება; მაგ.:

სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა და მარტოობა! მარტოობა (ჭ. ლომთ.).

ჩემი ზღაპარი! ჩემი ზღაპარი! ქართულად თქმული ზღაპარი (ჭ. ლომთ.).

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული! დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, შემომჯდარი აკვანზე, მგალობელი ფრინველი (გ. ლეონ.) და მისთ.

სახელდებითი წინადადება პირობით თუ შეიძლება მოექცეს წინადადების სახეთა შორის, რადგან იგი მხოლოდ ასახელებს რაიმე ფაქტს და არ წარმოადგენს მსჯელობას, თუმცა რიგ შემთხვევაში

შეიძლება გარკვეული ემოცია-მოდალობა ახასიათებდეს; მაგ.:
უკან კოპი, შუბლზე კოპი, კოტრიელა, კოტრიელა! (რ. აერისთ. წიგნი).
ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა! (ვაკა).
საბრალო წიფელი!.. (თ. რაზ.).

ქიქაში! ქიქაში! (ი. ევდ.).

ჯოხი მაგათ, თევდორე, ჯოხი! (ი. ევდ.) და მისთ.

ასეთ შემთხვევებში ხშირად მათთან იგულისხმება („აღდგება“) სათანადო ზმნა-შემასმენელი; მაგ.:

ქიქაში (ხალციხით)!

ჯოხი (დაჰკარ) მაგათ, თევდორე, ჯოხი (დაჰკარ)! და მისთ.

სახელდებითს წინადადებას ჰგავს ისეთი წინადადებები, რომლებიც მიღებულია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის მოკვების შედეგად; მაგ.: გაზაფხული! გაზაფხული! ხან წყნარი(ა) და ხან მედგარი(ა), ხან ხმატკბილი სალამური(ა), ხან ქუხილზე ფეხ-შემდგარი(ა) (ი. ევდ.) და მისთ.

სახელდებითს წინადადებას უახლოვდება ნაწარმოების, წიგნის, დაწესებულების, საწარმოს ან სხვა რაიმეს დასახელება-სათაურები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კონკრეტულ წინადადებაში მყარ ერთეულებად (ლექსიკალიზებულ შესიტყვებებად) გვევლინებიან, სიტყვათშეხამებაში ერთი წევრის როლს ასრულებენ და ამდენად სტრუქტურულ თავისებურებებს არ ქმნიან.

სახელდებითი წინადადება უსრულის პარალელური სტილური ვარიანტია, რადგან აქაც აზრის შეტყობინება ხდება ნაკლები გრამატიკული ცენტრის მქონე ერთეულის საშუალებით, როგორც წესი, ამ წინადადებებში არა გვაქვს P კოორდინატი, რეალურად წარმოდგენილია სუბსტანტიური ერთეულებით გამოხატული კოორდინატები, რომლებიც ერთერთს შეიძლება „პარადოქსულად“ შეეხამონ, ე. ი. შეინახონ ის ფორმები, რომლებიც შესაბამისი ნორმალური კონსტრუქციისათვის იქნება დამახასიათებელი; მაგ.:

ჯანდაბა (დაეცეს) შენს თავს!

მე შენგან არაფერს (არ მოვიტხოვ).

მე სტუმრად (წამოვიდე)? და მისთ.

შესაძლებელია სუბსტანტიური ერთეულებით გამოხატულ კოორდინატთა შეხამება მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულად გადაიქცეს.

სახელდებითი წინადადებისაგან არსებითად უნდა განვასხვაოთ უზმნო წინადადებანი, რომლებშიც შემასმენელი ნულოვანია. უზმნო წინადადება შეიძლება სახელდებითიც იყოს, მაგრამ არის ამ ტიპის წინადადებათა წყება, რომელიც უზმნოა, მაგრამ უშემასმენლო არ არის (სახელდებითი წინადადება უშემასმენლოა). ასეთი

წინადადებები შეიძლება ორ და მეტშემადგენლიანი იყოს. განსაზღვრულია შემდეგი შემთხვევები:

ა) წინადადებაში არ არის მეშველი ზმნა

თოფი — ხისა, ტყვია — წყლისა (ხალხ.).

მასპინძელსა მხიარულსა სახლი — ფართო, გული — ღია (ხალხ.) და სხვ.

ბ) წინადადებაში საერთოდ არ არის შემასმენელი.

ცოდნა—მასებს, წერილი—მეგობრებს, სალამი—ძმას და მისთ.

უზმნო წინადადება ხშირად გვხვდება რთულ წინადადებაში, სახელდობრ, მის მეორე და შემდგომ კომპონენტში. აქ, ჩვეულებრივ, საზიარო წევრის ცნებასთან გვაქვს საქმე, რომლის დროსაც ერთი და იგივე სიტყვა არ მეორდება; მაგ., სხვა ქე არ ესვა მეფესა, მარტოდენ მარტო ასული (ესვა) (ვტ) და მისთ.

ასევე ხდება შერწყმულშიც, სადაც უფრო ხშირია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის გამოტოვება: ტბა იყო წყნარი და (იყო) მოკამკამე, (იყო) შემოხატული ღერწმის ჩრდილებით (ი. ნონეშ.). შეიძლება შერწყმულში ზმნა-შემასმენელი აღარ განმეორდეს, მაგრამ ნაწილაკი დარჩეს: ითხოვდინ ხოლო სარწმუნეებით და ნუ — ორგულეებით (კათ. ეპ.); ეს მოვლენა შეიძლება მარტივ წინადადებაშიც შეგვხვდეს, რომელშიც გამოტოვებული შემასმენელი მაკროტექსტის ფონზე ჩანს: მაგ., აქედან ნუ, გირგოლაისი... (ა. ყაზბ.) და მისთ.

საკმაოდ ხშირია უსრული წინადადებანი ანდაზა-გამოცანებში, რომლებშიც ხშირად გამოტოვებულია შემასმენელი, მაგრამ აზრი სრულიად ნათელია. განსაკუთრებით ხშირია ანდაზებში შემასმენლის გამოტოვება; მაგ.:

ბედაური ბოლოსაო.

ბედნიერთა მონაგები, უბედურთა წანაგები.

ამრიგად, უსრულია წინადადება, რომელშიც ერთ-ერთი (ან რამდენიმე, ან ყველა) კოორდინატი არ არის, მაგრამ ფარულად დაკავშირებულია მნიშვნელობასთან. კოორდინატი, მართალია, რეალურად არ გვაქვს, ენობრივი საშუალებებით არ არის გამოხატული, მაგრამ განპირობებულია წინადადებაში დარჩენილი ერთეულებით ან კონტექსტით. ეს არის უსრულ და მყარად წევრნაკლ წინადადებათა არსებითი განმასხვავებელი ნიშანი.

2. 4. ე. § 3. წევრნაკლი წინადადებანი

უსრული წინადადებისაგან უნდა გაიმიჯნოს ე. წ. „დეფექტუ-

რი“ წინადადება; რომლისთვისაც აგრეთვე დამახასიათებელია სტრუქტურულად აუცილებელი წევრის დაკლება, მაგრამ, უსრულისგან განსხვავებით, ეს „დაკლება“ სტაბილურია და გამოწვეულია კონტექსტური, არამედ კონსტრუქციული ვითარებით. დეფექტური წინადადება უშუალოდ დეფექტურ კონსტრუქციას უკავშირდება, რომელსაც ქვევით განვიხილავთ (იხ. 3. 3. დ). ჩვენ აქ მხოლოდ რამდენსამე ნიმუშს დავასახელებთ და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დეფექტურ წინადადებაში არ „აღდება“ დაკარგული წევრი. თუნდაც გრამატიკულად იგულისხმებოდეს იგი: თო ვს, წვიმს, ელავს... (იგი); მოუსვა. მოცოცხა, ჩაიღიმა... მან (იგი); ჩაუთისკარტა... მან, მას (იგი) და სხვ.

წევრნაკლ წინადადებაში იკარგება შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

ა) დიდი კოორდინატი (სუბიექტის სარეალიზაციო ერთეული); მაგ.:

იქეჭა... გადაიქუხა (ვაეა).

ერთხელ ძლიერ დაცხა და მისთ.

ბ) უმცირესი კოორდინატი (ბრუნვაუცვალეზადი ობიექტის სარეალიზაციო ერთეული); მაგ.:

ცამ დაიგრილა (ვაეა).

წვიმამ მალე გადაიღო და მისთ.

რაც შეეხება მცირე კოორდინატს (ბრუნვაუცვლელი ობიექტის სარეალიზაციო ერთეულს), იგი ძალიან იშვიათად იკარგება. როგორც ჩანს, კოორდინაციაში მისი კავშირი უფრო მყარია, ვიდრე სხვა სუბსტანტიური ერთეულებისა. ეს, საფიქრებელია, ამ წევრის პიროვნების სემანტიკასთან კავშირით არის გამოწვეული. ბრუნვაუცვლელი ობიექტის სარეალიზაციო ერთეულის „დაკარგვა“ უფრო ხშირად ხდება დროებით წევრნაკლ, ანუ უსრულ, წინადადებაებში.

წევრნაკლ წინადადებაებში შეიძლება არ გვექონდეს კოორდინაციული ურთიერთობა და ეს მდგომარეობა სტაბილური იყოს. ასეთია, მაგალითად, უქვემდებარო წინადადება, რომელშიც ქვემდებარის რეალიზება არ ხდება, მაგრამ ყოველ უქვემდებარო წინადადებაში ჩანს გრამატიკული პირი, რომელიც თვით შემასმენელში არის გამოხატული, თუმცა სინტაქსური დამოკიდებულება მათ შორის რეალურად არ ჩანს.

წევრნაკლი წინადადებანი სასკოლო (და ზოგიერთ არასასკოლო) გრამატიკაში განიხილება, როგორც ერთშემადგენლიანი წინადადება, რადგან ყურადღება ექცევა მხოლოდ სუბიექტის (ქვემდებარის) მხრივ დეფექტაციას. ტერმინებიც შესაბამისად არის გამო-

ყენებული: უქვემდებარო წინადადება და უსუბიექტო წინადადება. უმჯობესია ტერმინებად წევრნაკლი წინადადების და დეფექტური კონსტრუქციის გამოყენება. თვით წევრნაკლი წინადადება კი შეიძლება დაიყოს უსუბიექტო და უობიექტო სახეებად.

შენიშვნა: ობიექტის მიხედვით წევრნაკლობას ყურადღება მიაქცია ლ. კვაკაძემ (იხ. ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1958, გვ. 153, შენიშვნა: აგრეთვე — თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 210).

2. 5. წინადადება, როგორც გამონათქვამი

წინადადება აზრის ფორმაა, მაგრამ აზრის გამოხატვა და, მით უმეტეს, მისი შეტყობინება ინდიფერენტულად არ ხდება. ყოველი წინადადება გამოხატავს არა მარტო რამდენადმე დასრულებულ აზრს, არამედ — მოქმელის დამოკიდებულებასაც გამოთქმული აზრისადმი. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ენის საკომუნიკაციო ფუნქციის დაცვა, რადგანაც ზვენი მეტყველება ყოველთვის ტენდენციურია, ყოველთვის განპირობებულია რაიმე სულიერი (ემოციურ-ნებელობით) მდგომარეობით ან სხვა სიტუაციით.

ლექსიკურ მასალას, რომელიც გრამატიკულადაა ორგანიზებული, საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების უნარს ანიჭებს პრედიკატულობა და მოდალობა. პრედიკატულობა გამოხატავს შესატყობინებელი მოვლენის შეფარდებას სინამდვილესთან, ამისათვის მოქმელი ფართოდ იყენებს აზრის გამოხატვის ლოგიკურ საშუალებებს, სხვადასხვა მელოდიკურ მოდელს, ლოგიკურ მახვილს (რომლითაც აძლიერებს ცალკეული წინადადების წევრის ან სინტაგმის აქცენტუაციურ ხვედრითს წონას) და სხვ. მოდალობის ფუნქცია ამ დამოკიდებულებების დანაწევრება-დაზუსტებაა. მოდალობა თავისთავად არ არის პრედიკატულობა, იგი არ დგას პრედიკატულობის დონეზე, მაგრამ პრედიკატულობის გამოხატვა მხოლოდ გარკვეული მოდალობით შეიძლება. არ იქნება სწორი, აზრი დავიყვანოთ მხოლოდ უბრალო წარმოდგენამდე, რომელშიც გამოირჩეულია მისი გამოთქმელის (სუბიექტის), რაიმე მონაწილეობა. შ. ბალის გამოთქმით, მოდალობა წინადადების სულია ისევე, როგორც აზრი. ვერავეითარი გამონათქვამი ვერ იქცევა წინადადებად. თუ მასში არ არის რაიმე (თუნდაც სულ მცირე) მოდალობა (იხ. Ш. Балли. Общая лингвистика и вопросы французского языка. М., 1955, გვ. 44).

ამრიგად, მოდალობა პრედიკატულობის გარკვეული ელფერის გამომხატველი საშუალებაა, რომლითაც მოქმელი გადმოგვცემს აზრის შეფარდებას ობიექტურ სინამდვილესთან. მისი კვშმარტივ-

ბის დონეს, ფაქტის ან მოვლენის შესაძლებლობას, სურვილს ან უსურველობას და სხვა. გარდა ამისა, მთქმელი ყოველთვის გამოხატავს ფაქტის ან მოვლენის სუბიექტურ შეფასებას უმთავრესად თავის (ზოგჯერ მსმენელის) გრძნობასთან, ემოციებსა და სურვილთან შეფარდებით, რაც გამონათქვამის სემანტიკური და არა სტრუქტურული ნიშანია.

2. 5. ა. წინადადების აპტულიზება და მისი მიმართება ლოგიკურსა და სინტაქსურ სტრუქტურასთან

წინადადება-სტრუქტურას, ლოგიკურსა თუ გრამატიკულს, რამდენადმე უპირისპირდება წინადადება, როგორც გამონათქვამი, როგორც სამეტყველო ერთეული, რომელშიც თავს იყრის როგორც ლოგიკურ-გრამატიკული (სტრუქტურული), ისე სხვა საშუალებები.

ლ. შჩერბას აზრით, წინადადების სემანტიკური მხარე (აზრთან მიმართება) გამოირჩევა თავისი აქტიური ხასიათით. მეტყველება ფსიქოლოგიურად განპირობებული, მოტივირებული პროცესია (იხ. Л. В. Щерба. О дальше неделимых единицах языка. а. ლეონტიევის პუბლიკაცია. ВЯ, 1962, № 2, გვ. 100); ამიტომ იგი ყოველთვის აქტუალიზებულია. აქტუალიზების გარეშე წინადადება მხოლოდ ფორმობრივ ერთეულთა ნაკრები, სტრუქტურული ფორმულა იქნება.

როგორც საერთოდ ცნობილია, ჩვენი მეტყველების უპირველესი მიზანია სხვისათვის აზრის შეტყობინება. შესატყობინებელი აზრი იშლება წინადადებებად, რომლებიც ენის ძირითადი ერთეულებია და წარმოადგენენ გამონათქვამს, განურჩევლად იმისა, შენარჩუნებული აქვთ თუ არა სტრუქტურული მთლიანობა, რეალურად გააჩნიათ თუ არა ყველა თავისი სტრუქტურული ელემენტი. სამეტყველო ურთიერთობის პროცესში წინადადება ადვილად ივსებს სტრუქტურულ ერთეულთა „დანაკლისს“ სხვადასხვა, როგორც საკუთრივ ენობრივი, ისე არაენობრივი საშუალებებით, როგორცაა სამეტყველო კონტექსტი (მაკროტექსტი), ინტონაცია, მიმიკა, ექსტიკულაცია და სხვ. ეს საშუალებები უპირატესად ზეპირი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, რომელიც მოსაუბრის მონაწილეობით სიტუაციურად განპირობებული, სპონტანური და, როგორც წესი, ემოციურად გაჯერებულია.

მეტყველების პროცესში წინადადებათა შედგენა გულისხმობს გარკვეული სინტაქსური კონსტრუქციის გარდაქმნას წინადადებად, მის ჩართვას ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში. ეს გარდაქმნა რამდენიმე ეტაპად ჰდება, როგორცაა:

1. გარკვეულ სიტყვათა შერჩევა, რომლებიც აუცილებელია

ობიექტური სინამდვილის საგნების, მოვლენების, ნიშან-თვისებათა და ა. შ. აღსანიშნავად. სიტყვათა შერჩევის საფუძველზე წინადადების შევსება ინდივიდუალური კონკრეტული შინაარსით.

2. ამ სიტყვათა სემანტიკურ-გრამატიკული შეხამება გარკვეული მოდელების თარგზე — ურთიერთმიმართების დადგენა შესაბამის საგნებს, მოვლენებს, ნიშან-თვისებათა შორის და სხვ. — სხვადასხვა დონეზე (სიტყვათა შეხამებათა შექმნა, შესიტყვების შედგენა, კონსტრუქციის შედგენა).

3. კონსტრუქციის გარდაქცევა წინადადებად, მისი გაფორმება სპეციფიკური „გამაწინადადებელი“ საშუალებებით, რომლებიც კონსტრუქციას შეტყობინების (კითხვის, თხრობის, მოწოდების) სახეს აძლევენ: აგრეთვე ავლენენ მთქმელის მიზანდასახულობას, წინ წაშოსწევენ წინადადების იმ ნაწილს, რომელზეც სურს მთქმელს მსმენელის ყურადღების გამახვილება და ა. შ.

ამრიგად, წინადადების წარმოქმნის (წარმოშობის) დროს ხდება სიტყვათა წყების, ანუ საწყისი „წინადადების“, სტრუქტურული გაფორმება და შემდეგ აქტუალიზების გზით წინადადებად გარდაქცევა.

წინადადების აქტუალიზების პროცესში სტრუქტურის გარდაქცევას, როგორც წესი, ზოგადად ზემოაღნიშნული გზა უძევს, მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მეტყველების პროცესში ადამიანი ვერ მოიფიქრებს სტრუქტურულ ტიპს და შემდეგ შეავსებს მას საჭირო სემანტიკური ერთეულებით (სიტყვებით). წინადადების მოდელი ენაში საუკუნეთა განმავლობაში არის შემუშავებული. მეტყველების პროცესში ადამიანი მხოლოდ აქტუალიზებაზე ზრუნავს. ბოლო გრამატიკული მოდელი თავისთავად ავტომატურად ფორმდება. ა. შანიძე აღნიშნავს: „სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება გამოთქმა: სახელი მართავს ზმნას პირში და ზმნა სახელს ბრუნვაშიო. შეუფერებელი გამოთქმაა. ზმნისა და სახელის ფორმები შექმნილია საუკუნეთა განმავლობაში. სახელი კი არ მართავს ზმნას პირში, არამედ ჩვენ, მოლაპარაკენი, ვხმარობთ ზმნასა და სახელს გარკვეული წესით, რომელიც შემუშავებულია საუკუნეობით, ჩვენ ევეუწყობთ ხოლმე ზმნის ფორმას სახელს ან სახელს ზმნის ფორმას, როგორც ეს საჭიროდ მიგვაჩნია. მაგ., თუ გვინდა, რომ „შეჭამა“ ზმნას „მგელი“ სუბიექტად შეუუწყოთ, გვექნება „მგელმა შეჭამა“; და, თუ გვინდა ობიექტად. უნდა ვთქვათ: „მგელი შეჭამა“ თუ გვინდა, რომ „მგელმა“ ფორმა იყოს წინადადებაში, მასთან „შეჭამა“ ზმნა უთუოდ II სერიის ფორმით უნდა ვიზამოთ: „მგელმა შეჭამა“ ან „მგელმა შეჭამოს“. ასე რომ გამოთქმა „სახელი მართავს ზმნას პირშიო“ და „ზმნა სახელს მართავს ბრუნვაშიო“ სრულიად



შეუფერებელია და ოდნავადაც არ გადმოგვეცემს საქმის ნამდვილ ვითარებას“, (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან. გვ. 212-213) მაგ., თუ მსჯელობაა სახლზე, რომელიც რაიმე მოქმედების ობიექტია, წინადადება ერთპირიანი ზმნა-შემასმენლით გაფორმდება: **ს ა ხ ლ ი ა შ ე ნ დ ა**, **დ ა ი ნ გ რ ა**, მაგრამ თუ იგი სხვა საგნის ზემოქმედების ობიექტად გვინდა წარმოვადგინოთ, მაშინ აუცილებლად ორპირიანი ზმნა-შემასმენლით უნდა ვაფორმდეს წინადადება: **ს ა ხ ლ ი ა ა შ ე ნ ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა მ**, **დ ა ა ნ გ რ ი ა ქ ა რ მ ა**. რაც შეეხება თვით წინადადების კონსტრუქციას, იგი უფრო მდგრაა. კონსტრუქციის ყველა ელემენტი ერთურთს განაპირობებს; მაგალითად, თუ ბრუნვაცვალებადი ობიექტის ფუნქციურ კვანძში რომელიმე სიტყვა სახელობითი ბრუნვის ფორმით მოვათავსეთ, მაშინ ზმნა-შემასმენელი ან II, ან III სერიის ფორმებით შეეწყობა, ხოლო სუბიექტური პირის სარეალიზაციო ერთეული შესაბამისად მიიღებს მოთხრობით ან მიცემით ბრუნვათა ფორმებს.

ზეპირ მეტყველებაში ორიენტაცია აღებულია კონკრეტულ სიტუაციაზე, ამიტომ საუბრის ობიექტთან მთქმელის დამოკიდებულება გავლენას ახდენს მეტყველებაზე, აპირობებს სტრუქტურულ ელემენტთა სიჭარბეს, რიგ შემთხვევაში ზედმეტს ხდის მას და იძლევა ენობრივი ეკონომიის (ლაკონიურობის) საშუალებას; მაგალითად, ზეპირ მეტყველებაში წინადადება არ არის აზრის შეტყობინების ერთადერთი საშუალება. სხვისათვის აზრის შესატყობინებლად საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული წინადადების ფუნქციური ეკვივალენტები, როდესაც აზრის შეტყობინება ხდება არა წინადადებებით, არამედ მისი ნაწილებით ან სულ უსიტყვოდ: მიმიკით, ექსტიკულაციით ან, საერთოდ, რაიმე სიგნალით. ამასთან აზრი სავსებით გასაგებია სიტუაციის მიხედვით. წარმოვიდგინოთ, რომ ვისმე ხელს უშლის ხმაური იმ ოთახში, სადაც მუშაობს, და მთქმელი უბრძანებს ხმაურის მიზეზს, გავიღეს გარეთ (შ. ბალის ნიმუში; Ш. Б а л л и. Общая лингвистика и вопросы французского языка, იხ. გვ. 49. და შმდ.). ამ შემთხვევაში აზრის შეტყობინება სხვადასხვაგვარად შეიძლება, როგორცაა:

- 1) თუ შეიძლება, გარეთ გადით (ან მე მოვითხოვ, რომ გარეთ გახვიდეთ).
- 2) გთხოვთ (გიბრძანებთ), გადით!
- 3) უნდა გახვიდეთ გარეთ!
- 4) გადი გარეთ!
- 5) გარეთ!
- 6) აბა! (რომელსაც ახლავს გარკვეული ექსტიკულაცია).



7) ეესტი, რომელიც კარებისაკენ მიუთითებს, და მიმიკა, რომელიც მოთხოვნასა და გაბრაზებას გამოხატავს.

8) ხმაურის მიზეზი უბრალოდ გაიძვეება ოთახიდან.

რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ყველა ის სტილური ვარიანტი, რომლითაც შეიძლება ზემოაღნიშნული აზრის შეტყობინება; მაგალითად, შეიძლება ნაირფეროვანი იყოს სტილური ელფერი, რომლითაც მიმართვის ობიექტისადმი (ამ შემთხვევაში ხმაურის მიზეზისადმი) დამოკიდებულებას გამოვხატავდით (მღრ.: გა დ ი! გა ბ რ ძ ა ნ დ ი! გა ე თ რ ი ე! მო უ ს ვ ი! მო ც ო ც ხ ე! და მ ტ ო ვ ე! და მ ა ც ა ლ ე! გა ი ს ე ი რ ნ ე! და ს ხ ე.), მაგრამ ფაქტი მაინც ნათელია: ერთი და იმავე აზრის შეტყობინება ხდება არა მარტო წინადადებებით, არამედ მისი ნაწილებით ან სულ უსიტყვოდ: მიმიკით, ეესტიკულაციით ან, საერთოდ, რაიმე სიგნალით. ამასთან აზრი სავსებით გასაგებია სიტუაციის მიხედვით. ყველაზე ხშირია ენობრივ და არაენობრივ საშუალებათა კომბინაცია, როცა მეტყველებას თან ახლავს გარკვეული მიმიკა, ეესტიკულაცია და სხვა.

ამ შემთხვევაში არაენობრივ საშუალებებს პარალინგვისტური მნიშვნელობა აქვთ, რაც არსებითად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, როდესაც არაენობრივი საშუალებები წინადადებათა „ეკვივალენტებად“ გვევლინებიან.

რამდენადაც უფრო სუსტდება წინადადების სტრუქტურული ელემენტების ხვედრითი წონა, იმდენად მეტ საკომუნიკაციო დატვირთულობას იძენენ არაენობრივი საშუალებები. რასაკვირველია, ეს საშუალებები მსმენელისათვის გასაგები უნდა იყოს, ე. ი. ინდივიდი, რომელსაც მიმართავენ, ისე გაიგებს მას, როგორი აზრიც „ჩააქსოვა“ მასში გამომოქმელმა. ეს არა მარტო „უსიტყვო“ (არარტიკულაციური) საშუალებებს ეხება, არამედ თვით სიტყვა-ცნებებსაც, რადგან „გაგონილი სიტყვები სტიმულად შეიძლება იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გასაგებია, ე. ი. თუ ვიცით, რას ნიშნავს ეს გაგონილი“ (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ენის რაობის ბიპვეიორისტული გაგება. იკე, IX-X, 1958, გვ. 9). აღნიშნული არაენობრივი საშუალებები ზოგჯერ განსხვავებულია ეთნიკური თუ სხვა მიზეზების გამო, ზოგჯერ კი მსგავსია: მაგალითად, ვისიმე დასაძახებლად ჩვეულებრივ მიღებულია ეესტი — ხელის თითების მოძრაობა გარედან შიგნით (თითების შემოხრა), ეგვე ეესტი ინდოეთში სრულიად საწინააღმდეგოს — გაცლას, განშორების ბრძანებას — აღნიშნავს. თავის დაქნევა ზევიდან ქვევით ჩვენში თანხმობის ნიშანია, იტალიაში კი — უარყოფისა, ხოლო ჩვენი უარყოფის ეესტი — თავის გადაქნევა — ბულგარეთში თანხმობას აღნიშნავს. ასეთი

სხვაობა მიმიკაში ნაკლებად შეინიშნება. როგორც ჩანს, მიმიკისათვის მნიშვნელობა აქვს ნერვულ-კუნთურ გაღიზიანებას.

გარდა არაენობრივ საშუალებათა გამოყენებისა, მთქმელი ყოველთვის გამოხატავს თავის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. იგი მსმენელს არა მარტო ატყობინებს აზრს, არამედ შიგ „აქსოვს“ ნებას, თუ როგორ უნდა მიიღოს მსმენელმა მისი აზრი: როგორც ფაქტი, როგორც შესაძლებელ-საყარაუდო ამბავი, როგორც ბრძანება თუ სხვ. წინადადების ამ მხარეს ემსახურებიან მისი ეპოციურ-ნებელობითი სახეები, რომელთა დიფერენციაცია სათანადო ენობრივი (როგორც ლექსიკურ-სტრუქტურული, ისე რიტმულ-მელოდიკური) საშუალებებით ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა საერთოდ წინადადებით შესატყობინებელი აზრისა, მთქმელი მსმენელის ყურადღებას ამახვილებს გამონათქვამის იმ ნაწილზე, რომელიც, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია. წინადადების ამ მხარეს ემსახურება სპეციალური ლოგიკურ-ექსპრესიული საშუალებები, რომელთა დანიშნულებაა წინადადების აქტუალიზება.

აქტუალიზების ცნება ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა ცნობილმა ჩეხმა ენათმეცნიერმა ვ. მათეზიუსმა (იხ. Vilem Mathesius. O tak zvaném aktuálním členění větěm. «Slovo a slovesnost», 1939. რუსული თარგმანი — O так называемом актуальном членении предложения. წიგნ. «Пражский лингвистический кружок», М., 1967, გვ. 267 და შმდ.), თუმცა წინადადების აქტუალიზების შესახებ ცნობებს უფრო ადრე სხვა ენათმეცნიერთა ნაშრომებშიც ვხვდებით. რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აქტუალური დაყოფის საკითხს სამართლიანად უკავშირებენ ლ. შჩერბას სახელს. ლ. შჩერბამ აღნიშნა რუსულსა და ფრანგულ ენებში ერთწევრა და ორწევრა ფრაზები. ორწევრა ფრაზაში, ავტორის აზრით, მეორე ნაწილი წარმოადგენს რამდენადმე გამონათქვამს პირველთან მიმართებით (იხ. Л. В. Щерб а. Фонетика французского языка, გვ. 123-124).

აქტუალური დაყოფა უპირისპირდება წინადადების სტრუქტურულ ანალიზს. წინადადება, როგორც სტრუქტურა, არ შეადგენს აქტუალური დაყოფის საგანს. იგი ფრაზის აგებულებას იკვლევს, ე. ი. მისთვის არსებითია წინადადების, როგორც შეტყობინების, აქტუალიზაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთქმელი შეტყობინების პროცესში ითვალისწინებს არა მარტო იმას, თუ რა ან როგორ უნდა შეატყობინოს, არამედ — იმასაც, თუ ვის ატყობინებს, ე. ი. ითვალისწინებს ნიშნის პრაგმატულ მხარეს. პრაგმატიკას კავშირი აქვს ენო-

ზრიე ნიშანთა ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მხარეებთან. იგი სწავლობს დამოკიდებულებას ნიშნებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ქმნიან, გადასცემენ ან იღებენ ენობრივ ნიშანს. ყოველი ნიშანი შეიძლება განხილულ იქნეს ოთხი ძირითადი ასპექტის მიხედვით, როგორცაა:

1) სინტაქსური ასპექტი (შეიძლება ნიშნის დაკავშირება სხვა ნიშანთან),

2) სემანტიკური ასპექტი (ნიშანი აღნიშნავს რაიმე გადმოსაცემს),

3) სოციალური ასპექტი (ნიშანს თავად აქვს მნიშვნელობა),

4) პრაგმატული ასპექტი (ნიშანს ქმნიან და იყენებენ ადამიანები); იხ. Г. Клаус, Сила слова. М., 1967, გვ. 21—22.

ამრიგად, ჩვენი მეტყველება ყოველთვის ერთნაირი არაა. იგი ნაირფეროვანია იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებში გვიხდება უბნობა: ვის ველაპარაკებთ, რას ვამბობთ ან თუნდაც რა დამოკიდებულებას ვავლენთ ობიექტური სინამდვილის იმ ფაქტთან, რომლის შესახებაც გამოვთქვამთ ან ვატყობინებთ ვისმე აზრს; რა მიზანი აქვს ამ შეტყობინებას, როგორ ლოგიკურ-ემოციურ ელფერს ნივანიტებთ შესატყობინებელ ამბავს და ა. შ.

ზემოთ, როდესაც ვახასიათებდით წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას, აღვნიშნეთ, რომ წინადადება-მსჯელობა ორწევრია. მათგან ერთი არის ფაქტი, ხოლო მეორე — მისი დახასიათება მოქმედების ან სხვა ნიშან-თვისებათა მიხედვით (S—P მიმართება). წინადადების ლოგიკური სქემა უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა მის სტრუქტურულ სქემას, მაგრამ ზოგჯერ მათ შორის წინააღმდეგობა იქმნება. წინადადების აქტუალური დაყოფა განსხვავდება როგორც სტრუქტურული, ისე ლოგიკური დანაწევრებულობისაგან, თუმცა უფრო ახლოსაა მეორესთან. აქტუალური დაყოფა დგინდება იმის მიხედვით, თუ როგორ ჩაერთვება წინადადება ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში. სტრუქტურისაგან განსხვავებით, რომელიც ერთეულთა სტატიკური ერთობლიობაა, აქტუალური დაყოფა დინამიკურია, დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე (იხ. О. Лешка, К вопросу о структурализме. Две концепции грамматики в Пражском лингвистическом кружке. ВЯ, 1953, № 5, გვ. 97).

აქტუალური დაყოფის თვალსაზრისით, წინადადება ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია საწყისი, საიდანაც ამოდის მთქმელი (გამონათქვამის ფუძე, ვ. მათეზიუსის მიხედვით — *vichodičtĕ vŕpovědi*), ხოლო მეორე — შეტყობინების ბირთვი, რაც უნდა შეატყობინოს მთქმელმა მსმენელს ფუძის შესახებ ან ფუძესთან მიმართებით (*jadro vŕpovědi*); მაგ., სწავლა სიკვდილმდე შენია

(დ. გურ.). ამ გამონათქვამში ფუძეა სწავლა, ხოლო ბირთვი — სიტყვილიმდე შენია.

შენიშვნა: კ. ბოსტის აზრით (იგი იყენებს სხვა ტერმინებს: თემა — რემა). მთქმელმა იცის, თუ რა უნდა თქვას, მსმენელმა — არა, იქმნება დაძაბულობა, რის საფუძველზეც წინადადება გაორებული ხდება — ორ ნაწილად იყოფა: 1) კითხვის შემცველ თემად და 2) პასუხის შემცველ რემად. თემა-რემის გაერთიანება პრედისკატის საშუალებით ხდება (იხ. K. Boost. Neue Untersuchungen zum Wesen und zur Struktur des deutschen Satzes. Berlin. 1955. გვ. 35 და შმდ.).

რ. მიკუშის აზრით, ყოველ წინადადებაში მოცემულია სტიმული, რომელიც გარკვეულ რეაქციას აპირობადებს, რის საფუძველზეც წინადადება ბინარულ სინტაგმად იყოფა (იხ. Р. Микущ. Структуральный синтаксис Л. Теньера и синтагматический структурализм. ВЯ, 1950, № 5, გვ. 128 და შმდ.).

აღნიშნული ცნებებისათვის სხვა ტერმინებსაც იყენებენ; აგ.: მთავარი და ახალი (главные и новое,—А. Чистякова. Взаимопорядок подлежащего и сказуемого в повествовательном предложении. РЯВШ, 1954, № 6, გვ. 5); მოცემული და პრედისკატრებული წევრი (данное и предприняемый член,—В. С. Юрченко. Функционально-структурные типы фразы. Саратов, 1963, საკანდ. დისერტ. ავტორეფ.); მოცემული და ახალი (данное и новое,—В. Г. Крушельницкая. К вопросу о смысловом членении предложения. ВЯ, 1956, № 5, გვ. 58); დიქტუმი და მოდუსი (Ш. Балли. Общая лингвистика и..., გვ. 44 და შმდ.).

წინადადების დაყოფა სეგმენტებად (ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს: I სეგმენტი და II სეგმენტი), როგორც წესი, გამოყენებულია არა ობიექტური სინამდვილის უშუალოდ ასახვისათვის, არა ენისათვის, არამედ მეტყველებისათვის და საკომუნიკაციო, ფუნქციას ემსახურება, როგორც სუბიექტური ემოციურ-ექსპრესიული მხარის გამოხატვის საშუალება.

რასაკვირველია, მეტყველების ნაკადის სეგმენტაცია მხოლოდ ამ ორი მონაკვეთით არ ამოიწურება, მასში ხდება უფრო დანაწევრებული ერთეულების გამოყოფა, მაგრამ ეს უკვე სცილდება ფრაზის სფეროს და სტრუქტურულ ერთეულთა დონეებში გადადის.

თუ რამდენად უფრო დანაწევრებული („განფენილი“) იქნება I სეგმენტი ან II სეგმენტი, ეს დამოკიდებულია ინფორმაციის მო-

ცულობაზე, რასაც მტკმელის მიზანდასახულობა განაპირობებს; მაგალითად:

1) განფენილია I სეგმენტი, II არაა განფენილი.

დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა//დაიწყო (ი. ჭ.). შურდულივით მოდის//კუკუატნელი (მ. ჯავ.) და სხვ.

2) განფენილია II სეგმენტი, I არაა განფენილი.

ვაფრინდა//ქეთოს მერცხალი (შ. მღვ.).

3) განფენილია ორივე I და II სეგმენტი

ალარსად ცეცხლი ანთია//მწყემსის ფარეხის პირშია (ვაჯა) და სხვ.

4) არც ერთი სეგმენტი (არც I და არც II) არაა განფენილი ჩავაქრე//სანთელი (ი. გრ.).

ზამთარი//მოახლოვდა (ვაჯა).

მოკვდა//ლუარსაბიცა (ი. ჭ.).

მიუხედავად წინადადების ლოგიკურ და რამდენადმე გრამატიკულ სტრუქტურასთან კავშირისა, წინადადების აქტუალური დაყოფა არ უწყევს მას ანგარიშს. შევადაროთ წინადადების ლოგიკური და აქტუალური დაყოფის სქემები:

დარჩა ქვრივად//საწყალი ლუარსაბი (ი. ჭ.).

საწყალი ლუარსაბი//ქვრივად დარჩა.

ამ ორ ვარიანტში ერთი და იგივე ლოგიკური სტრუქტურაა: **ს ა წ ყ ა ლ ი ლ უ ა რ ს ა ბ ი** ლოგიკური სუბიექტია, ხოლო **დ ა რ ჩ ა ქ ვ რ ი ვ ა დ** — ლოგიკური პრედიკატი; მაგრამ აქტუალური დაყოფის მიხედვით პირველ ვარიანტში გამონათქვამის I სეგმენტი **დ ა რ ჩ ა ქ ვ რ ი ვ ა დ**, ხოლო მეორე ვარიანტში იგი უკვე II სეგმენტი.

რამდენადაც წინადადების აქტუალური დაყოფა ფრაზას უკავშირდება, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა სტრუქტურულ ტიპს. აქტუალური დაყოფა შეიძლება რთულ წინადადებასაც მოიცავდეს. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მონოლოგურ მეტყველებაში, სადაც მთავარი როლი ეკისრება წინადადების აზრობრივ კავშირს იმ მაკროტექსტთან, რომლის შედგენილობაშიც იგი შედის; დიალოგურ მეტყველებაში კი მაკროტექსტად, ჩვეულებრივ, კითხვა-მიგება გვევლინება.

აქტუალური დაყოფისათვის ენა თავისებურ საშუალებებს იყენებს, როგორცაა: 1) სეგმენტთა რიგი. 2) ინტონაცია, განსაკუთრებით მისი ძირითადი ელემენტები: მახვილი და პაუზა, 3) სპეციალური ლექსიკური ერთეულები.

სეგმენტთა რიგი სიტყვათა რიგის საკითხთან არის დაკავშირებული. ქართულ ენაში სიტყვათა გაერთიანება წინადადებაში მტკი-

ცე გრამატიკული კავშირის საფუძველზე ხდება, ამიტომ სეგმენტთა რიგს მხოლოდ აქტუალური დაყოფის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ იმ ენებში, რომლებშიც სიტყვათგანლაგებას სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს, აქტუალური დაყოფა სხვა საშუალებით (უპირატესად ინტონაციით) გადმოიცემა.

აქტუალიზების საფუძველზე წინადადების წევრთა წრფივ განფენილობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ხშირად იცვლება სიტყვათა წრფივი რიგი როგორც საერთოდ წინადადებაში, ისე აქტუალიზებულ სეგმენტებშიც; მაგ.:

1 2 3 4 5 6
სალამოობით ტიტყო შეჯდებოდა თავის ოქროსფერ ბედაურზე

I სეგმენტი

II სეგმენტი

სალამოობით ტიტყო შეჯდებოდა//თავის ოქროსფერ ბედაურზე. (რიგი: 1, 2, 3, 4, 5, 6)

თავის ოქროსფერ ბედაურზე//შეჯდებოდა სალამოობით ტიტყო. (რიგი: 4, 5, 6, 3, 1, 2)

ტიტყო სალამოობით//თავის ოქროსფერ ბედაურზე შეჯდებოდა.

(რიგი: 2, 1, 4, 5, 6, 3)

შეჯდებოდა სალამოობით//თავის ოქროსფერ ბედაურზე ტიტყო (რიგი: 3, 1, 4, 5, 6, 2) და სხვ.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგი ეხამება წინადადების აქტუალიზებას. წინადადების აქტუალიზება ნაირგვარად შეიძლება. მაგრამ იგი ნებისმიერი არაა (შესაბამისად სიტყვათა რიგი არაა ნებისმიერი ქართულში); მაგალითად, არავითარი (ყოველ შემთხვევაში, გამოკვეთილი, ნათელი) აზრი არაა სიტყვათა ამგვარ განლაგებაში:

თავის შეჯდებოდა ტიტყო სალამოობით ბედაურზე ოქროსფერ.

აქტუალიზების პროცესში წინადადებაში, როგორც წესი, I სეგმენტში თავსდება ის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელსაც მეტი კავშირი აქვს კონტექსტთან (შდრ.: ექვსი კაცი ცხოვრობდა ამ ოთახში — ღერუფნის მარჯვენა მხარეს იყო დიდი ოთახი. ამ ოთახში ექვსი კაცი ცხოვრობდა); ბუნებრივია, II სეგმენტში მოხდება ის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელსაც მთქმელის მიზანდასახულობის მიხედვით მეტი კავშირი აქვს შეტყობინების ძირითად მიზანთან; შდრ.:

გუშინ შეიღნი გურჯანელნი//სანადიროდ წასულიყვნენ.

შვიდნი გურჯანელნი//სანადიროდ გუშინ წასულიყვენ.
გუშინ სანადიროდ//წასულიყვენ შვიდნი გურჯანელნი და სხვ.
სეგმენტთა რიგი, სიტყვათა თუ წინადადების წევრთა რიგისა-
გან განსხვავებით, ყოველთვის პირდაპირია. მისთვის არა აქვს მნიშ-
ვნელობა, წინადადების წევრთა პირდაპირი წყობა გვექნება თუ
შებრუნებული, რადგან საკომუნიკაციო ფუნქციას ყოველთვის II
სეგმენტი იქენს, განურჩევლად იმისა, წინადადების რომელი წევ-
რი (თუ წევრები) ან მსჯელობის რომელი ელემენტებია მასში გაერ-
თიანებული.

გამონათქვამის I სეგმენტი რამდენადმე ყოველთვის ნაცნობია.
შეტყობინება ხდება II სეგმენტისა.

აქტუალიზების პროცესში ხშირია წინადადების სტრუქტურუ-
ლი ელემენტების გადანაცვლება, რაც სხვადასხვაგვარ საკომუნიკა-
ციო დატვირთულობას აძლევს წინადადებას; მაგალითად, თუ გვაქვს
შემასმენელ-ქვემდებარის რიგი, მაშინ, ჩვეულებრივ, წინადადებაში
გადმოცემულია ფაქტის კონსტატაცია (იხ. И. П. Располов. К
вопросу о предикативности. ВЯ, 1958, № 5, გვ. 74); მაგ.:

მოვიდა//თოვლი.

დადგა//გაზაფხული და მისთ.

როდესაც I ან II სეგმენტები, ან ორივე ერთად განფენილია,
მაშინ უფრო ხშირია ქვემდებარე-შემასმენლის რიგი: მაგ.:

ღამის გუშავი მუდამ მკმუნავი მთვარე//მეფურად მძლავრად
ვიდოდა (ი. ჭ.).

ზაალის დედა//ყალანქრის სუფრის თავზე დაბრძანდა (მ. ჯაფ.)
და სხვ.

როდესაც წინადადების სტრუქტურა სამი ან ოთხი კოორდინა-
ტისაგან შედგება, უფრო მკვეთრად ჩანს სხვაობა წინადადების აქ-
ტუალიზებასა და მის სტრუქტურას შორის. ამ შემთხვევაში ობიექ-
ტის (ობიექტების) სარეალიზაციო ერთეულები ან სუბიექტს ეკე-
დლებიან, ან პრედიკატს.

როგორც ცნობილია, ქართულ წინადადებაში კოორდინატთა
რიგი თავისუფალია. სტრუქტურულად არავითარი სხვაობა არ არის
კონსტრუქციებში: შემასმ. — ქვემდ., ქვემდ. — შემასმ., ქვემდ. —
შემასმ. — დამატ., შემასმ. — ქვემდ. — დამატ., დამატ. — ქვემდ. —
დამატ. — შემასმ. და სხვ. მიუხედავად ამისა, მათი საკომუნიკაციო და-
ტვირთვა ნაირგვარია. აქტუალიზება გავლენას ახდენს წინადადების
სტრუქტურულ ერთეულთა განლაგებაზე: მაგალითად, ნაირგვარად
არის აქტუალიზებული წინადადებები:

შენს მტერს, // მოკეთეს აშოროს, რაც მაშინ ვსკამე ჭირია (ვაჟა).
აშოროს // შენს მტერს, მოკეთეს, რაც მაშინ ვსკამე ჭირია

როგორც ჩანს, ადამიანი არა მარტო ქმნის წინადადებას (ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი მოდელების მიხედვით), არამედ მისი სტრუქტურული ვარიანტებიდან არჩევს ოპტიმალურს შეწყობინებელი აზრის სიზუსტის დასაცავად.

იმ ენებში, რომლებშიც სტრუქტურულ ერთეულთა მყარი განლაგებაა, წინადადების აქტუალიზებისათვის, ჩვეულებრივ, ინტონაცია და სხვა საშუალებებია გამოყენებული, მაგრამ შესაძლებელია (თუმცა ძალიან იშვიათად) აქტუალიზების მიზნით სეგმენტთა რიგი შეიცვალოს, ე. ი. აქტუალიზება მოხდეს II—I რიგით, თუნდაც ამან წინადადების სტრუქტურულ თავისებურებაზე ნოახდინოს გავლენა. ამ შემთხვევაში II სეგმენტი უსწრებს I-ს, მაგრამ აქ ინტონაცია ასრულებს გარკვეულ როლს.

წინადადების აქტუალიზებასთან დაკავშირებით, კონსტრუქციულ ელემენტთა რაოდენობას დაუპირისპირდა სტრუქტურულად აუცილებელ წევრთა რაოდენობის ცნება. თუ ზმნის გრამატიკული ვალენტობის შესაბამისად კონსტრუქცია სამი ან ოთხი ერთეული-საგან შედგება, აქტუალიზების თვალსაზრისით, ყოველ გამონათქვამს თავისი აუცილებელი წევრები ახლავს, რომლებიც თემას ან რემას წარმოადგენენ ანდა განეკუთვნებიან. მათ, წინადადების აქტუალური დაყოფისათვის არ არსებობს დეფექტური კონსტრუქცია, არსებობს მხოლოდ I და II სეგმენტთა მიმართება.

სტრუქტურული დაყოფისაგან განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებს ერთეულთა იერარქიულ რიგს, აქტუალური დაყოფისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი იერარქიული რიგის ერთეულია გამონათქვამის I ან II სეგმენტი. საწყის ელემენტად აქ შეიძლება არა მარტო კონსტრუქციული რიგის ელემენტები მოგვევლინოს, არამედ სუბორდინაციულისაც. მათ შორის — ისეთიც, რომელსაც მინიმალური სტრუქტურული კავშირი აქვს წინადადებასთან (მაგ., ზმნიზედით გამოხატული გარემოებანი). ამის გამო გამონათქვამი ყოველთვის ორწევრია, თუნდაც სტრუქტურულად უსრული ან ერთშემადგენლიანი წინადადებით იყოს გადმოცემული: მაგ.:

ნელა // მიდის; შ დ რ. მიდის // ნელა.

გუშინ // თოვდა; შ დ რ. თოვდა // გუშინ და მისთ.

2. 5. ა. § 1. ინტონაცია

როგორც აღვნიშნეთ, წინადადების აქტუალიზებისათვის მნიშვნელობა აქვს სეგმენტთა რიგსა და მათს განფენილობას, მაგრამ ეს არ არის წინადადების აქტუალიზების ერთადერთი საშუალება: პოტენციური შეწყობინების პროცესში ძალიან ფართოდ იყენებს ინტონაციურ საშუალებებს, რომელთაც თავისი მიზანდასახულობის

შესაბამისად ლოგიკურსა და ემოციურ-ნებელობით მნიშვნელობა აძლევს.

ინტონაცია თან ახლავს ყოველ წინადადებას. იგი ხშირად აღიერიტებს სეგმენტთა რიგის შეცვლით გამოწვეულ აქტუალიზებას, თუმცა ძალიან ხშირად დამოუკიდებლადაც ასრულებს წინადადების მათქმულიზებელ ფუნქციას. ინტონაციას შეუძლია არა მარტო შესიტყვება, არამედ ცალკე სიტყვაც კი წინადადებად წარმოგვიდგინოს.

წინადადების ინტონაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის გაგებინებისა და გაგებისათვის, წინადადებაში გამოთქმული ამბის გააზრებისათვის. სიტყვები, რომლებიც გარკვეულ შესიტყვებებს ქმნიან, ჯერ კიდევ არ არის წინადადება. ისინი უფრო ჩონჩხია, რომლის ბორცშესხმა ეკისრება, ძირითადად, ინტონაციას, რომელიც აზრის დასრულებულობის თავისებური გამოხატვის საშუალებაა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ინტონაციის შესახებ არსებულ მოსაზრებათა მიმოხილვა იხ. Г. П. Фирсов. Значение работы над интонацией для усвоения синтаксиса и пунктуации в школе. М., 1962, გვ. 21-78. საყურადღებო ცნობებია აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა კონფერენციის მასალებში, რომელიც სინტაქსისა და ინტონაციის ურთიერთობას მიეძღვნა (იხ. Тезисы докладов межвузовской конференции «Синтаксис и интонация». М., 1962; ინფორმაცია კონფერენციის მუშაობის შესახებ იხ. ВЯ, 1963, № 6, გვ. 142-143).

წინადადების ინტონაცია განსაკუთრებული რიგის ენობრივი საშუალებაა, რამდენადაც მას კავშირი არა აქვს წინადადების შინაგან სტრუქტურულ გაფორმებასთან. იგი მთლიანად წინადადების „გამაწინადადებელ“ საშუალებად გვევლინება და აფორმებს მას, როგორც ენობრივი ურთიერთობის საშუალებას, რომელიც სინამდვილის გამოხატვასთან ერთად ამ სინამდვილესთან მთქმელის დამოკიდებულებასაც ავლენს.

ინტონაცია ზეპირი მეტყველების დამახასიათებელი თვისებაა. წერით მეტყველებაში მისი ნიუანსების გამოხატვა ძნელდება საერთოდ გრაფიკის შეზღუდულობის გამო, თუმცა ფართოდაა გამოყენებული სასვენი ნიშნები და სხვა გრაფიკული საშუალებანი, როგორცაა: ტექსტის დაყოფა აბზაცებად, შრიფტების ვარიაცია, ხაზის გასმა, მეჩხერად წერა (ე. წ. „შპაცია“) და სხვ., მაგრამ ვერც პუნქტუაციური და ვერც სხვა გრაფიკული საშუალებები სრულყოფილად ვერ გადმოგვცემენ გამონათქვამის ინტონაციურ ნიუანსებს. გაცილებით უფრო ფართოა ის ემოციურ-მოდალური და ში-

ნაარსობრივი ელფერი, რომელიც ზეპირ მეტყველებაში ინტონაციით გადმოიცემა. ზეპირი მეტყველება სწორედ ინტონაციის საშუალებით არის უფრო ხატოვანი, ზუსტი და კონკრეტული ვიდრე წერიითი. საყურადღებოა, რომ გარკვეული ინტონაცია ჩუმ კითხვასაც ახლავს. შ. ბალოს აზრით, სასვენი ხიშანი სხვა არაფერია, თუ არა ცდა ინტონაციის წერილობითი აღნიშვნისა. შეიძლება ითქვას, რომ ინტონაცია არასოდეს არ ქრება, თუმცა მისი როლი მით უფრო მეტად სუსტდება, რაც უფრო კონკრეტულად არის გადმოცემული აზრი ფრაზაში (იხ. Ш. Балли. Французская стилистика. М., 1961, გვ. 118; მისივე, Общая лингвистика и..., გვ. 56).

ამრიგად, ინტონაციას წერიითი მეტყველებისათვისაც აქვს მნიშვნელობა. იგი წერიტ მეტყველებაში, მართალია, პოტენციურად, მაგრამ მაინც ჯეროვნად მონაწილეობს: ჯერ ერთი, წინადადების წევრთა საკომუნიკაციო დატვირთვა, უწინარეს ყოვლისა, ინტონაციის საშუალებით განისაზღვრება, ხოლო წინადადებაში სიტყვები განლაგებულია, უმთავრესად, მათი საკომუნიკაციო დატვირთვის მიხედვით; მეორე, მხოლოდ წინადადების ინტონაციის საშუალებით ხდება შესაძლებელი აზრის ნაირფერობის დაცვა; მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინტონაცია თავისთავად არ გამოხატავს აზრს. ეს უკანასკნელი უფრო მეტადაა დაკავშირებული აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბებულ, გრამატიკულად დანაწევრებულ გამოხატვასთან. ინტონაცია არაა აზრის ჩამოყალიბების საშუალება, სიტყვების გარეშე იგი შეიძლება გამომხატველობითი იყოს, მაგრამ შინაარსი მას, ცალკე აღებულს, არა აქვს, ე. ი. ინტონაცია არის არა აზრის ჩამოყალიბებისა და სხვისათვის შეტყობინების საშუალება, არამედ გარკვეული აზრის გამოხატვის მელოდიკური ფორმა, რომელიც ამა თუ იმ აზრს რაიმე (ძირითადად, გამოხატული აზრისადმი შექმნილი დამოკიდებულების) ელფერს ანიჭებს; ამდენად ინტონაცია მოდალობის ბუნებრივი გამოხატულებაა.

წინადადების ემოციურ-მოდალური ტიპებისათვის მნიშვნელობა აქვს ინტონაციის მოდალურ-მადიდფერენცირებელ ფუნქციას. წინადადების ინტონაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების ორგანიზებისათვის. იგი წინადადების აუცილებელი ატრიბუტია, ყოველთვის თან ახლავს მეტყველებას (მაშასადამე, აზრის თავისებურ კომენტატორად გვევლინება). რიგ შემთხვევაში მხოლოდ ინტონაციის საშუალებით შეგვიძლია, დავადგინოთ, რა სახისაა ესა თუ ის შეტყობინება, როგორ უნდა გავიგოთ იგი: როგორც ფაქტი, კითხვა თუ ბრძანება (შ დ რ. შინ წახვალ. შინ წახვალ? შინ წახვალ!).

წინადადების ინტონაციასა და მის მიხედვით შექმნილ ტიპებს

უფრო მეტი კავშირი აქვთ კონტექსტთან, ფრაზასთან, ვიდრე თვით წინადადების სინტაქსურ სტრუქტურასთან. წინადადება მამამ სოფლიდან ჩამოვიდა ბევრად არ გამოხატავს ინტონაციურ ტიპს, მაგრამ ხშირად კონტექსტში, გარემომცველ წინადადებათა ფონზე განისაზღვრება მისი ინტონაციური ტიპი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერიითი მეტყველებისათვის, სადაც სასვენიშანთა ხმარება და წაკითხვისას მათი შესაბამისი ინტონაციური ტიპის შესატყვისი მელოდიკა განისაზღვრება მთლიანად ფრაზაში; ზღრ.:
მამა სოფლიდან ჩამოვიდა. — თქვა ზაზამ.
მამა სოფლიდან ჩამოვიდა? — იკითხა ზაზამ.
მამა სოფლიდან ჩამოვიდა! — წამოიძახა ზაზამ.

ინტონაცია შეიძლება განვიხილოთ ნაირგვარად: ა) ფონეტიკური, ბ) გრამატიკული და გ) წინადადების აქტუალური დაყოფის თვალსაზრისით. ფონეტიკა ინტონაციის აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ მხარეს იკვლევს. ინტონაცია მას აინტერესებს, როგორც ხმის შეცვლა ძალის, სიმაღლის, ტემპისა და ტემპრის მიხედვით. გრამატიკული თვალსაზრისით ინტონაციის შესწავლის მიზანია მისი გავლენა წინადადების სტრუქტურაზე, ხოლო აქტუალური დაყოფა იხილავს ინტონაციის შინაარსობრივ, სტილურ-ექსპრესიულ როლს.

ინტონაცია თავისი არსით ფონეტიკურ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, ფუნქციით კი — სინტაქსურს (უპირატესად საკომუნიკაციო-სინტაქსურს); მაგალითად, „სხვადასხვა ინტონაციით შეიძლება წარმოითქვას თხრობა — იმის მიხედვით, თუ ვის მოვუთხრობთ (დიდს თუ პატარას, უფროსს თუ უმცროსს, შინაურულად თუ ოფიციალურად...), დამარწმუნებულობის რა ძალა გვინდა მივსცეთ ჩვენს თხრობას, ზღაპარს მოვუთხრობთ თუ ნამდვილს, დადებითი მსჯელობაა თუ კრიტიკულ-უარყოფითი და ა შ. (გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბ., 1966, გვ. 127).

ინტონაციას შეუძლია, შეცვალოს არა მარტო წინადადების აქტუალიზების ელფერი, არამედ მისი შინაარსობრივი (ლოგიკური და ემოციურ-ნებელობითი) სახეც: მაგ., როგორ დამეხმარა! (მტერი არ გამიწევდა უკეთეს სამსახურს!) სად გავებ ი? და სხვ.

ინტონაციას, მისი გამოხატვის საშუალებებს: მახვილსა და ჰაუ-უზას შესაძლებელია წინადადების გრამატიკული სტრუქტურისათვისაც ჰქონდეს მნიშვნელობა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ინტონაციის მორფოლოგიური მნიშვნელობა, იგი შესაძლებელია მორფემის ეკვივალენტად მოგვევლინოს (იხ. ს. ქდენტო. ქართული ენის ფონეტიკა. თბ., 1956, გვ. 249, თ. უთურგაიძე. ინტონ-

ნაციის ფონოლოგიური ღირებულებისათვის ქართული ენის მასალის მიხედვით. კრებული „მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები“. თბ., 1967, გვ. 144; ტ. გუდავაძე. მახვილის ადგილისათვის მეგრულში. კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“. თბ., 1969, გვ. 108-109).

ინტონაციას სინტაქსური დაქვემდებარების გაფორმების ფუნქციაც აქვს. მისი საშუალებით შეიძლება სხვადასხვა გაბატონებულ წევრებთან „საზიარო“ ფორმის მქონე დაქვემდებარებული წევრის სინტაქსური ფუნქციის დადგენა: შდრ.:

ბავშვი პატარა//სახლში შევიდა და

ბავშვი // პატარა სახლში შევიდა (ლ. კვაჭაძე).

თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1966, გვ. 13).

ინტონაციის სტრუქტურულად მადიფერენცირებელი როლი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც დაქვემდებარებულ წევრს ან საერთოდ არა აქვს გრამატიკული ფორმები (ასეთია, მაგალითად, ზმნიშედები და მათი ტოლფასი თანდებულებანი თუ უთანდებულო სახელები), ან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაქვემდებარებული წევრი სხვადასხვა გაბატონებულთან საზიარო ფორმით არის წარმოდგენილი: მაგ.:

გ უ შ ი ნ ჩ ა მ ო ს უ ლ ი ამხანაგი//ვნახე — გ უ შ ი ნ// ჩამოსული ამხანაგი ვ ნ ა ხ ე.

ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი //ბავშვის წინ იდგა—ქალი//ლ ა მ ა ზ ი ბ ა ვ შ ვ ი ს წინ იდგა და მისთ.

ინტონაციის ძირითადი მხარეებია: პაუზა და მახვილი.

2. 5. ა. § 2. პაუზა.

პაუზა, ჩვეულებრივ, სამი სახისაა: გრამატიკული, ლოგიკური და ფსიქოლოგიური.

გრამატიკული პაუზა მხოლოდ წინადადებათა ურთიერთისაგან გასამიჯნავად იხმარება. წერისას იგი სასვენი ნიშნებთან არის დაკავშირებული; მაგალითად, ნაწერის წაკითხვის დროს აზვაციის დასასრულს დიდ პაუზას ვაკეთებთ, წერტილთან — შედარებით ნაკლებს, მძიმესთან უფრო ნაკლებს და ა. შ. გრამატიკული პაუზა საბეტყველო ნაკადის დიფერენცირების (მონაკვეთებად დაყოფის) საშუალებაა. წინადადების ემოციურ-მოდალური ტიპებისათვის მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, პირობით, იგი ამა თუ იმ ემოციურ-მოდალური ტიპის თანმხლები მოვლენაა.

ლოგიკური პაუზა დამოკიდებულია შესიტყვების ადგილზე (ილია ჭავჭავაძე დაიბადა//1837 წელს ყვარელში. ახალი წლის დადგომას//სიხარულით ელოდებოდნენ//ჩვენი ეზოს ბავშვები და სხვ.).

ლოგიკური პაუზის ეს ტიპი სინტაგმურია და მას თვით წინადადების სინტაგმათა თავისებურება განიპირობებს. იგი წინადადების შინაგან რიტმულ-მელოდიკურ საშუალებებს განეკუთვნება; მაგრამ მის პარალელურად არსებობს პაუზის მეორე ტიპი — სუბიექტური ლოგიკური პაუზა, რომელსაც სინტაგმური პაუზისაგან განსხვავებით, მთქმელი თავისი შეხედულებისამებრ აკეთებს (ხშირად მახვილთან ერთად) ემოციურ-ლოგიკური ზეგავლენის გაძლიერების მიზნით; ნაგალითად:

დაბურულ ტყეში // ცხოვრობდა ერთი ჯადოქარი (ხალხ.).

დაბურულ // ტყეში ცხოვრობდა ერთი ჯადოქარი.

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ პაუზასაც მთქმელი აკეთებს მსმენელზე ემოციური ზეგავლენის მიზნით, როდესაც მსჯელობის (თხრობის) დროს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური (ემოციური) სიტუაციისათვის სურს ხაზის გასმა; მაგალითად:

უცებ // ხევიდან ამოფრინდა უხარმაზარი არწივი (ხალხ.).

2. 5. ა. § 3. მახვილი

მა ხ ვ ი ლ ი ც, ისევე როგორც პაუზა, სამგვარია: გრამატიკული, ლოგიკური და ფსიქოლოგიური. ქართულ ენაში მახვილი საერთოდ სუსტია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ქართულ ენაში მახვილი თავისუფალია (სამწუხაროდ, ეს აზრი საკმაოდ გავრცელებულია).

ქართულ სიტყვაში მახვილს თავისი გარკვეული ადგილი აქვს, რომლის გადანაცვლება, მართალია, სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის, მაგრამ საგრძნობლად ამახინჯებს წარმოთქმის ნორმებს.

გრამატიკული მახვილი ქართულში ძალიან სუსტია, იგი სიტყვას ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე მოუდის (მასწავლებელი, მამა. სხვა ენებისაგან განსხვავებით, მახვილის გადანაცვლება ქართულში სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის (შდრ.: зámok — замóк, мýка — мука́, ýже — ужé და მისთ.).

ლოგიკური მახვილი სუბიექტურია. იგი დამოკიდებულია მთქმელზე. ერთსა და იმავე წინადადებაში ლოგიკური მახვილი შეიძლება სხვადასხვა ადგილზე იყოს იმის მიხედვით, თუ რაზე სურს მსმენელის (ან მსმენელთა) ყურადღების გამახვილება მთქმელს (ან წამკითხველს).

მეტყველებაში ლოგიკური მახვილის გამოყენების არც ძალიან ფართოა. გარდა აზრის დანაწევრებისა, მას შეუძლია სპეციფიკური მელოდიკური სტრუქტურა შექმნას. რიგ შემთხვევაში (მაგ., კითხვით წინადადებაში) ლოგიკური მახვილი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს; შდრ.:



განა ასეთი ნაწერი ლამაზია? —

ასეთი ნაწერი ლამაზია?

მახვილის გადანაცვლება ქმნის ახალი სახის წინადადებას, სადაც იცვლება გასაგები, ე. ი. ლოგიკური მახვილი აზუსტებს წინადადების მიზანდასახულობას; მაგ.:

დღეს მშვენიერი დარია.

დღეს მშვენიერი დარია.

დღეს მშვენიერი დარია.

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი მახვილი, ისევე როგორც პაუზა, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების ფუნქციას ასრულებს.

ამრიგად, ლოგიკური მახვილი აძლიერებს წინადადების აქტუალურ დაყოფას, გამოყოფს და ზაზგასმით აღნიშნავს იმას, რაზეც ამახვილებს ყურადღებას მთქმელი, თუმცა მსჯელობის სტრუქტურა ამით არ იცვლება. ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური მახვილისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებენ და მთქმელის მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული, გრამატიკული მახვილი მოქმედებს ყველა შემთხვევაში და დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა არის გამოსახატავი (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 28).

როგორც პაუზა, ისე მახვილი უფრო მეტად აზრის შინაგანი დანაწევრების საშუალებაა და ამიტომ ნაკლებად ახდენს გავლენას წინადადების ემოციურ-მოდალურ ტიპზე, ეს საშუალებები უფრო წინადადების შინაგანი ინტონაციის გაფორმებას უწყობენ ხელს, ვიდრე გარეგანს, მაგრამ რამდენადმე გავლენას ახდენენ მასზე. ამიტომ მივიჩნით საჭიროდ მათზე ყურადღების ასე ფართოდ გამახვილება.

2. 5. ა. § 4. წინადადების აქტუალიზების არაინტონაციური საშუალებანი

წინადადების აქტუალიზება შეიძლება გაძლიერდეს (დამატებითი აქტუალიზება) სპეციფიკური საშუალებებით, როგორცაა, წინადადების განკერძოებული წევრები და წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები (მიმართვა, ჩართული). როგორც წესი, ეს სიტყვა-გამოთქმები ერთ რგოლს შეადგენენ და საზუსტებელ წევრთან ერთად და ქმნიან აქტუალიზების სიჭარბეს.

ნიმუშები:

თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ, // ქ ა ლ ა ვ, თ ა ვ და ხ რ ი თ მ ც ი ნ ა რ ო (ვაჟა).

მთის მწვერვალზე, ც ი ს მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ // მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს (ა. წ.) და სხვ.

შესაძლებელია დამატებითი აქტუალიზების როლი დამოკიდებულია წინადადებაში შეასრულოს; მაგ.:

და იქ, თ ი თ ქ ო ს მ ტ ე რ ს შ ე ე ჟ ა ხ ა ო, // კეკა-ქუხედი
დაიგრილა (ი. ჯ.).

დამატებითი აქტუალიზების ერთ-ერთი საშუალებაა ე. წ. პოეტური განმეორება:

გათენდა. შ ე ე რ თ დ ი თ, შ ე ე რ თ დ ი თ, შ ე ე რ თ დ ი თ!...

დ რ ო შ ე ბ ი, დ რ ო შ ე ბ ი, დ რ ო შ ე ბ ი ჩქარა! (გ. ტაბ.).

აქტუალიზების ლექსიკური საშუალებებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთაფუნქციონირება ძირითადია მითითებითი (დექტური) ფუნქციის: ი მ თათქარის ოთახში // იღვა ორი გრძელი ტახტი... (ი. ჯ.).

ანალოგიური მნიშვნელობა აქვთ მითითებით ზმნიზედებსაც (ამ ზმნიზედებში აშკარად გამოიყოფა მითითებითი ნაცვალსახელები); მაგ.:

ასე გარბოდნენ//წლები. ა მ გ ვ ა რ ა დ მიდიოდა//ჩვენი ცხოვრება; შდრ. ამგვარ ყოფას ძნელად აიტანს კაცო.

აქტუალიზებას ხელს უწყობს აგრეთვე ე. წ. „გრამატიკული სიტყვები“: ნაწილაკები და მათგან შემდგომი სიტყვები, როგორცაა: ა გ რ ე თ ვ ე, ხ ო მ, მ ა გ რ ა მ, და, მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ, კ ი, - ც და ს ხ ვ.

ნიმუშები:
მ ა გ რ ა მ რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, // უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა (ნ. ბარ.).

მ ხ ო ლ ო დ ნიავი მთისა მოლხენით // ტყეში ფოთლებთან ლაზლანდარობდა (ი. ჯ.).

წვიმდა და პეტრე//ჭერ არ მოსულიყო სახლში.
ჩვენ კი//ალარაფერი გვეშველება და სხვ.

2. 5. ბ. წინადადების ემოციურ-ნეგატიური სახეები

წინადადებათა სახეები მტკიცების მიხედვით (წართქმითი, უკუთქმითი, კითხვითი) აზრის ლოგიკური გამოხატვის (წინადადების შინაარსობრივი) სახეებია. თითოეულ მათგანს შეიძლება თავისი ემოციურ-ნეგატიური ფორმები ჰქონდეს, ე. ი. ამა თუ იმ ემოციურ-მოდალური ელფერის გამოხატვა შეიძლება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური და ინტეროგაციული მსჯელობის ფორმით.

მთქმელის მსჯელობა შეიძლება რამდენადმე ინდიფერენტული იყოს (თხრობითი წინადადება) ან კიდევ წინადადებაში მისი ნება-

სურვილი იყოს გამოხატული (ბრძანებითი წინადადება). წინადადების ლოგიკური ტიპები გარკვეულ თავისებურებას ავლენენ როგორც ინტონაციის, ისე სტრუქტურის მხრივ; მაგალითად, უკუთმითი წინადადება გარკვეულ სპეციფიკას ავლენს მოდალური ტიპის (აქრძალვით ბრძანებითს) წინადადებაში, ასევე კითხვითიც. ამ მხრივ შესაძლებელია ძნელი იყოს ლოგიკური და ემოციურ-ნებელობითი მხარეების გამიჯვნა ერთსა და იმავე წინადადებაში, მაგრამ ზემოთ, წინადადების ლოგიკური სახეების განხილვისას (იხ. 2. 3 ა) კლასიფიკაციისათვის წინ წამოვწიეთ წინადადების ლოგიკური მხარე, რომლითაც ზემოაღნიშნულ მონაკვეთში განხილული წინადადებანი უპირისპირდებიან, ერთი მხრივ, წინადადების სტრუქტურულ ტიპებს, ხოლო, მეორე მხრივ, მის ემოციურ-ნებელობითს სახეებს.

რამდენადაც წინადადება გამონათქვამია, რომელსაც ექსპრესიულ-საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, მთქმელის მიზანდასახულობის მიხედვით იგი შეიძლება ნაირგვარი იყოს. მთქმელს შეუძლია თავისი აზრი შეგვატყობინოს, როგორც რაიმე ფაქტი, რომელიც მიამხდარა, მოხდა, ხდებოდა, ხდება, მოხდება ან, პირიქით, არ მომხდარა, არ მოხდა, არ მოხდებოდა და სხვ. აზრის ამ შეტყობინებას შეიძლება თან ახლდეს მისი გრძნობადი დამოკიდებულება ან არა თავისთავად ეს უკვე ორი სხვადასხვა ტიპის წინადადებას გვაძლევს (თხრობითსა და ძახილისას). შესაძლებელია მთქმელმა მოისურვოს მსმენელზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, რათა მისი მოქმედება მთქმელის ნებას დაექვემდებაროს, ან იმგვარად გამოიხატოს აზრი, რომ მსმენელისაგან პოითხოვოს მისი დადასტურება ან უარყოფა; შესაძლებელია გამონათქვამს არა შეტყობინების, არამედ ვაგებისათვის სტიმულის აღძვრის ფორმა ჰქონდეს; დასასრულ, ეს უკანასკნელიც გარკვეული გრძნობით იქნეს გამოხატული. ამ შემთხვევაში მივიღებთ კომბინირებულ (შერეულ) ტიპს, მაგრამ არა ცალკეული ტიპისათვის დამახასიათებელი თავისებურების თანაბარი შერწყმით, არამედ ერთი ტიპის თავისებურებებზე მეორე ტიპისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების დამატების (ე. წ. „დაფენის“) გზით.

წინადადების აღნიშნული ტიპები ერთმანეთისაგან ინტონაციურად განსხვავდებიან, მაგრამ რიც შემთხვევაში მათ ინტონაციურ-სხვაობას თან ერთვის სხვა (ლექსიკურ-გრამატიკული) საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად: სიტყვათა განსხვავებული წყობა წინადადებაში, სპეციალური სიტყვა-გამოთქმები და სხვ. ამ შემთხვევაში წინადადების აღნიშნული ტიპისათვის-დამახასიათებელი ინტონაცია იმდენად მკვეთრი არ არის, როგორც მხოლოდ ინტონაციური ტიპის წინადადებაში, მაგრამ მთლად არ იკარგება.

როგორც აღვნიშნეთ, წინადადებაში გამოხატული აზრი არა მარტო მიგვიჩინებს რაიმე მოვლენაზე, ფაქტზე ან ამბავზე, არამედ ხშირად ავლენს კიდევ მთქმელის (აზრის შემტყობინებლის) დამოკიდებულებას გამოთქმული აზრისადმი. კიდევ მეტი, შეიძლება წინადადებით გამოხატულ აზრში ჩანდეს ისიც, თუ რა დამოკიდებულებას ამქვეყნებს მთქმელი მოსაუბრე პირის ან პირებისადმი: მაგრამ გვხვდება წინადადებები, რომლებშიც ეს დამოკიდებულება არ ჩანს, მთქმელი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს.

რამდენადაც ყოველი წინადადება აზრის გამოთქმასთან ერთად სხვისათვის მის შეტყობინებასაც ემსახურება, მთქმელს შეუძლია, ეს აზრი სხვადასხვაგვარად გამოხატოს და ამით გვიჩვენოს თავისი დამოკიდებულება გამოთქმული აზრისადმი: რამდენად სწორად მიანია მას ის ფაქტი ან მოვლენა. რომლის პრედიკაციაც გამოხატულია წინადადებაში: ე. ი. მოვლენა წარმოდგენილი იყოს, როგორც ფაქტი, რომელიც მოხდა, ხდება, მომხდარა, მოსახდენია და სხვ. ან ნეგატიურად — რომელიც არ მოხდა, არ ხდება, არ მომხდარა, არაა მოსახდენი და სხვ. შინაარსობრივ ვარიანტებს აქ მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ მთქმელი აღნიშნავს რაიმე მოვლენას; მაგ.:

ჯიბე აივსეს ბალღებმა (ვაჟა).

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ (ი. ჯ.).

საქართველოს ყოველ კუთხით მოეყარა თავი ერსა (ა. წ.).

მისვლის უმაღვე ასტეხეს ბრძოლა (ა. წ.) და მისთ.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მთქმელი აბსოლუტურად ინდიფერენტულია გამოთქმული აზრისადმი. მისი დამოკიდებულება ჩანს თუნდაც იმაში, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ აზრის შეტყობინება სხვისათვის. ვარდა ამისა, შეიძლება თხრობითი წინადადება რაიმე გრძნობად ელფერს ატარებდეს, მაგრამ ეს წინადადებაში არ ჩანდეს, არ იყოს რაიმე საშუალებით გამოხატული; მაგ., კ ი დ ე ვ ა ც დ ა ი ზ რ დ ე ბ ი ა ნ ა ლ გ ე თ ს ლ ე კ ვ ე ბ ი მ გ ლ ი ს ა ნ ი (ხალხ.) და მისთ.

თხრობითი წინადადების სტრუქტურაზე ინტონაცია არ ახდენს გავლენას. ჩვეულებრივ, ამ ტიპის წინადადება ნორმალური (დადასტურებული) ინტონაციით წარმოითქმება, მაგრამ მას განსხვავებული მდგომარეობა თუნდაც იმიტომ უკავია, რომ პრედიკატი ამ წინადადებაში თხრობითი კილოს ზმნაა (რთულ წინადადებაში დასაშვებია თხრობითისა და კავშირებითის შეხამება), რითაც ის ბრძანებითს უპირისპირდება. თხრობითი წინადადებისაგან არ განსხვავდება ძა-

ხილის წინადადების სტრუქტურა, მაგრამ ამ უკანასკნელს ყოველ-
თვის თან ახლავს გაძლიერებული ემოციური სიტუაცია, რაც განს-
ხვავებულ ინტონაციაში ვლინდება; ძირითადად, ინტონაციითვე გან-
სხვავდება მისგან არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებაც.

ამრიგად, თხრობითი წინადადება არ წარმოადგენს ემოციურ-
მოდალური წინადადების ტიპს, მაგრამ რამდენადაც თავისი ნეიტ-
რალური ინტონაციური თავისებურებებით უპირისპირდება სხვა
ტიპებს (მოდალურს — ბრძანებითს. ემოციურს — ძახილისას და
სპეციფიკურ ინტონაციურს — კითხვითს), ეს წინადადებაც განი-
ხილება წინადადებას ინტონაციურ ტიპებს შორის.

2. 5. ბ. § 2. ძახილის წინადადება

ძახილის წინადადებას განეკუთვნება ტიპი, რომელშიც არა
მარტო გადმოცემულია რაიმე აზრი, არამედ მკვეთრადაა გამოხა-
ტული მისდამი მოქმელის გრძნობადი (ემოციური) დამოკიდებულე-
ზა. ადამიანის ემოცია მრავალფეროვანია, ამდენად მის შესაბამისად
ძახილის წინადადებაშიც შეიძლება გამოხატული იყოს მოქმელის
მრავალფეროვანი დამოკიდებულება გამოხატული აზრისადმი, რო-
გორცაა: აღშფოთება, მწუხარება, სიხარული, სინაზე (მოფერება),
აღფრთოვანება, გაკვირება და სხვ.: მაგ.:

რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიყრაყო! (ი. ჭ.);

ვიშ, რა მშვენიერად მოჩანს საწიოკე მთა! (გ. წერ.);

დახე, ძალღი პატონს არ მოშორებია! (ი. ჭ.) და მისთ.

ძახილის ინტონაცია წერისას გამოიხატება სათანადო (!) ნიშ-
ნით, მაგრამ, გარდა ინტონაციისა, წინადადებაში შეიძლება გამოყე-
ნებულ იქნეს სხვა (ძირითადად ლექსიკური) საშუალებანი, რომ-
ლებიც უმთავრესად ძახილის ინტონაციის გაძლიერებას ემსახურე-
ბიან. ისევე, როგორც კითხვით წინადადებაში, ძახილის წინადადება-
შიც ინტონაცია განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როდესაც წინა-
დადების ემოციურობის გასაძლიერებლად სხვა დამხმარე საშუა-
ლებები არაა გამოყენებული.

დამხმარე ლექსიკური საშუალებებიდან ძახილის წინადადება-
ში ხშირად გვხვდება ა) შორისდებულები (აჰ, უჰ, ვაი, ვიშ, აფე-
რუმ, აფსუს, ბიჭოს! და სხვ.); ბ) განსაკუთრებული ემოციური ში-
ნაარსის სიტყვა-გამოთქმები (რა ლამაზია! როგორ გიხდება! რამ-
დენჯერ გითხარ! და სხვ.).

ა) შორისდებულებიანი ძახილის წინადადებანი.

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! (გ. ორბ.);

ვ ა ლ, საბრალო. ვარდს ბულბული შეეწყალა! (ბესიკი);

უ ი, შე ცინდალო, ცინდალო! (დ. კლდ.) და მისთ.

ბ) ძახილის წინადადებაში გამოყენებულია ემოციური შინაარსის სიტყვა-გამოთქმები

რა ლამაზია, წყეულო, შენი ზვირთების ჩქერანი! (ვაჟა); შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! (ი. ჭ.) და მისთ.

2. 5. ბ. § 3. ბრძანებითი წინადადება

ბრძანებითი წინადადება, ზემოაღნიშნულ წინადადებათაგან განსხვავებით, სრულიად სხვა ტიპს ქმნის. ეს განსხვავება როგორც შინაარსობრივი, ისე ინტონაციურ-მოდალურია.

შინაარსობრივად ბრძანებით წინადადებაში გამოხატულია მოქმელის ნებელობა — მისი აზრით, წინადადებაში გამოხატული მოქმედება უნდა შესრულდეს ან არ შესრულდეს. ამის მიხედვით ბრძანებით წინადადებას ორი ფორმა აქვს (მტკიცების მიხედვით): წართქმითი და უკუთქმითი (აკრძალვითი).

სტილურ-ექსპრესიული ელფერის მიხედვით ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას (გააღე კარი!), თხოვნას (გოჩავ, გემუდარები!..) ან ნატვრას (ნეტავი ჩიტად მაქცევდეს, გამომანამდეს ფრთებსაო! ა. წ.).

ბრძანებითი წინადადების გასაფორმებლად მეტყველება სხვადასხვა საშუალებას იყენებს, როგორცაა, მაგალითად:

1) სპეციალური ბრძანებითი სიტყვები და ნაწილაკები (აბა-დაე, ნეტავ და სხვ.);

2) ბრძანებითი კილოს ზმნები (მიხედე! ეძიე! და სხვ.);

3) სპეციალური ამალღებული ინტონაცია (ახლავე წახვალ!).

მესამე საშუალება ყოველი ტიპის ბრძანებით წინადადებას ახლავს, როგორც მისი სპეციფიკური თვისება.

ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით, ბრძანებითი წინადადების ზმნა-შემასმენელი თითქმის ყოველთვის ბრძანებითი კილოს ზმნაა. აქ უნდა განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა; როგორც ცნობილია, ბრძანებითი კილოს ფორმები ძველ ქართულში სპეციალური (I და II ბრძანებითის) მწკრივებით გამოიხატებოდა. ამათგან უფრო ხშირი იყო II ბრძანებითი (იყავნ ნება თქვენნი! პური არსობისა მომეც ჩუენ დღეს! და სხვ.). თანამედროვე ქართულში ბრძანებითმა დაკარგა თავისთავადობა და ფორმის მიხედვით წყვეტილს დაემთხვა (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 210).

ბრძანებითი კილოს ზმნა პირისა და რიცხვის ფორმათა მიხედვით დეფექტურია, მას მხოლოდ მეორე პირის ფორმები აქვს მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში; მაგ.:

აკმარე საღმრთოდ მათ პატიენი და სისხლის ძღვენი! (ი. ჭ.)

ტრელთა ენათა ერიდეთ, კაცი გიყვარდეთ ცნობილი! (ი. კ.)
და სხვ.

გარდა სპეციალური (იმპერატივის) ფორმისა, ბრძანებით წინადადებაში ნებელობითი ელფერის გამოსახატავად სხვა საშუალებებიცაა გამოყენებული, როგორცაა, მაგ., ნასესხები ფორმები, სპეციფიკური ინტონაცია (წავედით!), შორისდებულები (აბა!) და სხვ.

ვინაიდან იმპერატივისათვის მხოლოდ მეორე სუბიექტური პირია დამახასიათებელი, პირისა და რიცხვის სხვა ფორმებისათვის ბრძანებითი წინადადება იყენებს („სესხულობს“) კავშირებითის ფორმას.

„ბრძანება ყოველთვის სუბიექტური პირისადმია მიმართული. სუბ. პირთან ერთად ფორმაში შეიძლება ობიექტური პირიც იყოს გამოხატული, მაგრამ მოქმედება ობ. პირს შეიძლება იმდენად ეხებოდეს, რამდენადაც სხვა შემთხვევაში — პირდაპირ ან ირიბად: მომკალი! ჩამწეროს! მომიტანეთ! მოგვახსენონ!“ (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 210.). ვინაიდან არ შეიძლება, რომ პირველი სუბიექტური პირი თავისთავთან (პირველსავე ობიექტურ პირთან) იყოს შეხამებული, ბრძანებითი კილოს ზმნა პირველ სუბიექტურ პირში აზ გვექნება (თავისთავთან მიმართვას მთქმელი მეორე პირით აფორმებს: თავო ჩემო, ბედი არ გიწერია (შენ)!). სხვაგვარი მღვდომარეობაა პირველი სუბიექტური პირის მრავლობითში. როგორც ცნობილია, პირველი პირის მრავლობითს მთქმელი ორგვარად აფორმებს: ინკლუზიურად ან ექსკლუზიურად (მეორე პირის ჩართვით ან ჩაურთველად). ამ ფორმათაგან ბრძანებით წინადადებაში გამოყენებულია ინკლუზიური გაგების მქონე ზმნის ფორმა, ე. ი. პირველი პირის ბრძანებითის ფორმაშიც ფარულად მეორე სუბიექტური პირია გარეული; მაგალითად:

წავედეთ (მე და შენ, მე და თქვენ)!;

ავიღოთ (მე და შენ, მე და თქვენ)!;

შევიწახოთ (მე და შენ, მე და თქვენ)!;

გაქლიერებული ინტონაციის მქონე თხრობითი კილოს ზმნებსაც ინკლუზიური გაგება აქვთ:

წავედით! (მე || ჩვენ და შენ || თქვენ); შდრ. სვანური: აღჩადდ! და არა: აზეჩადდ.

ავიღეთ (მე || ჩვენ და შენ || თქვენ) — ე' აღკიდდ და არა: ე' აზვკიდდ.

ჩამოვწიეთ! (მე || ჩვენ და შენ || თქვენ) — ჩჟოლქიხდ! და მისთ.

ამრიგად, ბრძანებით წინადადებაში შემასმენლად გამოყენებუ-

ლია საკუთარი და ნასესხები ფორმები. საკუთარია მეორე პირის ფორმები, ხოლო ნასესხები — პირველი პირისა („ინკლუზიური“ მრავლობითში) და შესაშე პირისა.

ზოგჯერ თხრობითი კილოს ზმნა ემოციურად იტვირთება და რაკავშირებითალი ბრძანებითის როლს ასრულებს. ეს, როგორც წესი, წყევლისა და მისალმება-მოფერების შინაარსის მქონე წინადადებებში გვხვდება, რომლებიც ამის გამო ემოციურად გაჯერებულია: მაგალითად:

და გ ვ ი რ ჩ ა (შდრ. დაგვირჩეს) თქვენი თავი! (ა. ყაზბ.).

გ ა წ ყ დ ა (შდრ. გაწყდეს) მათი ჯილაგი!

გადაშენდა (შდრ. გადაშენდეს) შენი ოჯახი! და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ზოგი ზმნა სემანტიკურად ასხვავებს თხრობითისა და ბრძანებითის ფორმებს; მაგ., მ ო დ ი! ბრძანებითია, მ ო ს ე ვ ე დ ი — თხრობითი. ზოგ დიალექტში ამ ზმნასთან აღნიშნული სხვაობა მოშლილია: მაგალითად, ჯურულ დიალექტში მოა (მოდი) თხრობითსაც აღნიშნავს (შენ რომ მოა, მასვინ მოხთა აგი ამბავი) და ბრძანებითსაც (მოა აქ, ცაე!); მოხეთურში მოხვედ თხრობითიცაა და ბრძანებითიც (ონისევ, მოხვედ მშვიდობით!).

სპეციალური ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებიდან აღსანიშნავია აკრძალვითი ბრძანებითის წარმოება. აკრძალვითი ბრძანებითი უოველთვის სხვა (არაბრძანებითი) კილოს ფორმებს იყენებს, ურთავს მათ ნაწილაკებს: ა რ, ნ უ და აქცევს მათ ბრძანებითად. ა რ ნაწილაკი. ჩვეულებრივ, კავშირებითს დაერთვის, ხოლო ნ უ — თხრობითს; მაგ.:

ქალი ნ უ გინდა უცხო მხრის! (ხალბ.);

ა რ დაინდო, ასჩეხე, ა რ ვაუშვა! (მ. ჯავ.) და მისთ.

ნატვრა-თხოვნითი ელფერი დაპკრავს ნ ე ტ ა ვ (ი) ნაწილაკიანი ზმნა-შემასმენლის შემცველ წინადადებას. ეს ნაწილაკი კავშირებითის ფორმას დაერთვის; მაგ., ნ ე ტ ა იწვიმოს, ნეტავი გახმეს! და მისთ.

მოწოდების ელფერი აქვს და ე (← დაეხსენ) ნაწილაკიანი ზმნა-შემასმენლის შემცველ ბრძანებით წინადადებას; მაგ., და ე რისხვით ცამ იქექოს! (ი. ევდ.).

უ ნ და ნაწილაკი კატეგორიულ მნიშვნელობას აძლევს ზმნა-შემასმენელს; მაგ., უ ნ და ვაკეთდეს!; უ ნ და დავძლიოთ! და მისთ.

გარდა ცალკეული ნაწილაკიანი ფორმებისა, ბრძანებითი წინადადების შინაარსს გამოხატავენ გარკვეული წევრნაკლი წინადადებები, რომელთა კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, შემორჩენილია მხოლოდ სუბსტანტიური ელემენტები (ე. წ. „სახელდებითი“ წინადადებანი); მაგ. წ ყ ა: ლ ი! ღ ვ თ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს, წ ყ ა-

ლი ა. ყაზბ.); უ. ი. წყალი (დამალევიანეთ)! ღვთის გულისათვის, წყალი (დამალევიანეთ)! და მისთ.

ბრძანებითი წინადადების შინაარსს გამოხატავს აგრეთვე რიგი „შორისდებლური“ სიტყვები, რომლებიც ასევე დეფექტური კონსტრუქციების, თავისებურ ვარიანტებს წარმოადგენენ; მაგ.: კ მ ა რ ა! მ ო რ ჩ ა!; გ ა თ ა ვ დ ა! და მისთ.; აგრეთვე ნასესხები: ბ ა ს ტ ა!; ც ი ც! და სხვ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს მიმართვის საკითხი ბრძანებით წინადადებაში. მიმართვა სემანტიკურად გამოხატავს (აზუსტებს) იმ პირს, რომელსაც მოქმედების შესრულება ევალება ან ეკრძალება; მაგ., ღ მ ე რ თ ო, ნუ დაგვკაოგავ! ბ ე დ ო, ნუ გვიმტყუვნებ. დ ე დ ა მ ი წ ა ვ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! (ვაჟა) და მისთ.

მიმართვა სხვა (არაბრძანებითი) ტიპის წინადადებებშიც გვხვდება, განსაკუთრებით ხშირად — კითხვითში, მაგრამ მისი ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებით წინადადებაშია. არაბრძანებით წინადადებაში ნახმარი მიმართვის ფორმაც რიგ შემთხვევაში თავისი წინა ვითარებით ბრძანებითს უკავშირდება და მისი რეკონსტრუქციაც არ არის ძნელი; მაგ.:

თამარ, (მითხარი, მიპასუხე და სხვ.) რა დღეა დღეს?

დედავ ღვთისაო, (იცოდე, რომ) ეს ქვეყანა შენი ხვედრია!

ჩენო არაგვო, (გაიგე,) რარიგ მიყვარხარ! (ი. ჯ.) და სხვ.

შესაძლებელია მიმართვა მთლიანად ბრძანებითი წინადადების ნაცვლად იყოს გამოყენებული, რაც მას იმპერატივის (საკუთრივ ბრძანებითის) პარალელს მნიშვნელობას ანიჭებს, ამ შემთხვევაში მიმართვა ბრძანებითი წინადადების ეკვივალენტად გვევლინება. მაგ.: ბ ი ჳ ო! ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო, ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო! ღ მ ე რ თ ო! და მისთ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ბრძანებით წინადადებაში II პირის ნაცვალსახელი უპირატესად არ არის წარმოდგენილი; მაგ.: შედი! მარტოა, კათალიკოსი (ა. წ.).

ზოგჯერ წინადადების აქტუალიზების გამო შესაძლებელია მისი ხმარება სავალდებულო იყოს; მაგ., შე ნ წ ა დ ი!, თუმცა ბრძანების ობიექტის ლექსიკური დაზუსტება უპირატესად მიმართვით ხდება: ძ მ ა ნ ო, აღვავსოთ ფიალა! (გ. ორბ.)

2. 6. წინადადების „ეკვივალენტები“

ჩვენი მეტყველება ნაირფეროვანია არა მარტო გა დ მ ო ს ა ც ე მ მოვლენათა, არამედ გა დ მ ო მ ც ე მ საშუალებათა მხრივაც. ზემოთ ჩვენ შევვხებით წინადადების სიტყვიერ ფორმებს, რომლებშიც როგორც კოორდინაციული, ისე სუბორდინაციული რიგის და-

ნაწევრებული ერთეულები ერთმანეთს შორის გარკვეული წესით (გრამატიკული კავშირით) არიან შედუღებულნი. ენა ზოგადად ემყარება თავის მიერ შექმნილ კანონებს, მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით ისეთ სამეტყველო ფორმებს, რომლებშიც დარღვეულია გადმოცემი ფორმის მთლიანობა და ამ დარღვევას ზოგჯერ კანონზომიერი ხასიათი აქვს.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ზეპირი მეტყველებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ლაკონიურობისა (ეკონომიისა) და სხვა პრინციპებს, ხშირადაა დამახასიათებელი მსჯელობის ელიფსური ფორმები. ელიფსი სასაუბრო მეტყველებაში ზოგჯერ იქამდეც მიდის, რომ ნულამდე დაჰყავს წინადადების, როგორც გარკვეული სახის შესიტყვეების, სტრუქტურა. ასეთია მიმიკა, ქესტიკულაცია, წამოძახილი და სხვ.; მაგალითად, საუბარში ჩვენი აზრი მოსაუბრეს შეიძლება არა მარტო სიტყვით შევატყობინოთ, არამედ ხელის გარკვეული მოძრაობით (ქესტიკულაციით) ან გარკვეული მიმართულებით თავის მოძრაობით დავეთანხმოთ (მაგალითად, თავის ზევიდან ქვევით მოძრაობით), ან უარვყოთ (მაგალითად, თავის მარჯვნივ-მარცხნივ ბრუნვითი მოძრაობით ან ხელის იმავე მიმართულებით მოძრაობით) მისი აზრი, ან კიდევ სახის გამომეტყველებით (მიმიკით) გამოვხატოთ დამოკიდებულება გადმოსაცემი ფაქტისა თუ სოვლენისადმი. შესაძლებელია მათი კომბინაცია ან კიდევ უსიტყვო საშუალებათა კომბინაცია აზრის გადმომცემ სიტყვებთან. უკანასკნელ შემთხვევაში უსიტყვო საშუალებანი სიტყვებით გადმოცემული აზრის ემოციურ-ნებელობითს მხარეს აძლიერებენ (მაგალითად, მეტყველების დროს მუშტების ქნევა, ჩვეულებრივ, მუქარის ემოციურ ელფერს აძლევს ნათქვამს, თავის გადაქნევა მარცხნივ და მარჯვნივ — დანანების, სიბრალულის ან ირონიისა და სხვ.); მაგრამ სხვა შემთხვევებში ისინი წინადადებათა მონაცვლედ, მათს თავისებურ „ეკვივალენტებად“ გვევლინებიან.

ინფორმაციის უსიტყვოდ მიწოდება ზოგჯერ ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა (მაგალითად, ყრუ-მუნჯებისათვის), თუმცა თანამედროვე სურდოპედაგოგია მათთვის ბგერითი მეტყველების გამომუშავებასაც ახერხებს. ეს (ყრუ-მუნჯთა) ენა „შექმნილია ბგერითი ენის არსებობის პირობებში და ბგერითი ენის საფუძველზე“ (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 131. ხაზგასმა ავტორისაა. — ა. დ.).

იმდენად დიდია ადამიანისათვის უსიტყვო საშუალებებით ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა, რომ ერთ დროს გავრცელდა შეხედულება, თითქოს პირველადი ენა არ იყო ბგერითი. იყო „ქესტების“, „კინეტიკური“, „ხელის“ ენა, ამ შეხედულების მოარუ-

ლი (ანეგდოტური) ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ მას იცავდნენ ცნობილ ფსიქოლოგები და ენათმეცნიერები. ჩვენ არ შევუძლებით ამ შეხედულებათა კრიტიკას, რადგან იგი საკმაოდ ფართოდაა განხილული სპეციალურ ლიტერატურაში: მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამჟამად დავას არ იწვევს ბგერითი ენის პრიორიტეტი: ადამიანის ენა სიტყვიერია, ბგერითია; აზრის გამოხატვა მხოლოდ ბგერითი ენით შეიძლება. არასიტყვიერი ხმაც (ყეფა, წყმუტუნი, ყივილი, კრუტუნი და სხვ.) და მოძრაობაც ცხოველური ინსტინქტების გამოხატვაა და არა აზრისა, რომელსაც აუცილებლად მსჭელობის ხასიათი აქვს; ამიტომ, რომ აღნიშნული სიგნალები არ განეკუთვნებიან მეტყველების ნაწილებს.

მიუხედავად ამისა. ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ადამიანი სიტყვიერ საშუალებათა პარალელურად იყენებს უსიტყვო საშუალებებს ან დაუნაწიფვრებელ ბგერებს (ბგერათკომპლექსებს); მაგალითად: ნწე (უარყოფის გამოსახატავად) ყე! (წყენის ან გაკვირვების გამოსახატავად), გ? (გაკვირვების ან ჩაკითხვის გამოსატექსტში იხმარებიან: ან თან ახლავან წინადადებას (ე. ი. აძლიერებატავად) და სხვ. ესენი მხოლოდ მაშინაა გასაგები, როდესაც კონბენ წინადადებაში გამოხატულ აზრს), ან მის მაგივრობას ეწევიან. ამავე რიგისაა მიგებითი ნაწილაკები და შორისდებულები, რომლებიც წინადადებაში, მის სტრუქტურაში, არ მონაწილეობენ, მაგრამ აძლიერებენ ან მის ლოგიკურ მხარეს — დასტურს ან უარყოფას (მაგალითად, მიგებითი ნაწილაკები), ან ემოციურ მხარეს (შორისდებულები). რიგ შემთხვევაში ისინი წინადადებათა ზემოაღნიშნული ტიპები თავისებურ „ეკვივალენტებად“ გვევლინებიან. ეს „ეკვივალენტობა“ მხოლოდ ფუნქციური ხასიათისაა, ამასთან ერთად მეორეულია და სტრუქტურულ ფორმებთან არაფერი აქვს საერთო. (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 157); ამიტომ ჩვენ ნიმუშების დასახელებით შემოვიფარგლებით.

ა) მიგებითი ნაწილაკები

1. წინადადებასთან ერთად

არა, მყინვარი არ მიყვარს (ი. ჭ.).

ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო (ი. ჭ.).

დი ალ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი უღვა (ი. ჭ.).

ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო (ი. ჭ.) და სხვ.

2. ცალკე

(— შევირთავდი?)

— არა (ი. ჭ.); შდრ.: არა, არ შევირთავდი.

(— მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?)

— ვერა (ა. წ.); შდრ.: ვერა, ვერ გაფრინდება.

(— არ ირთავს?)

— არა (ი. ჯ.); შდრ.: არა, არ ირთავს.

ბ) შორისდებულ

1) წინადადებასთან ერთად

უჰ, უჰ, შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე (ი. ჯ.).

ვაი, თუ გახმეს უფოთლოდ? (ა. წ.).

ოჰ! შენა ხარ, თიმსალ? (ა. წ)

2) ცალკე

(— მე დედაშენი?) ჰმ!.. (ა. წ.)

წინადადების ეკვივალენტები, როგორც წესი, სტრუქტურულად დაუნაწევრებელია, თუნდაც სიტყვათა შეხამებებით იყოს წარმოდგენილი, მაგ.: როგორ არა, მამა გიცხონდა, შენმა მზემ, არაფერი შეგეშალოს, აბა! ოჰოდა სხვ.

როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, წინადადების ეკვივალენტებად შეიძლება მიმართვის ფორმებიც გვქონდეს, რომლებშიც უპირატესად ბრძანებითი წინადადებები იგულისხმება; მაგ.: დედა! ზაზა! და სხვ.

ზმირია აგრეთვე ხმაბაძეითური და სხვა სახის შორისდებულური სიტყვების გამოყენება; მაგ.:

კეკუჩ თაეში ეშმაკს (ა. წ.).

ტყაპ წყალში.

ლაწ სახეში და სხვ.

შეიძლება წინადადებათა ეკვივალენტებად მოგვევლინოს ზმნიზედები: კიდევ, უკვე, რომლებიც ნაწილაკთა კლასში გადადიან და ემოციურ ელფერს გამოხატავენ, თუმცა ზმნიზედური შინაარსი (ინტენსიობისა, დროისა და სხვ.) რამდენადმე შენარჩუნებული აქვთ; მაგ.:

კიდევ? შდრ.: კიდევ ამას ამბობ?

უკვე? — უკვე დამთავრდა?

როგორ? — როგორ დაუშვით ეს ამბავი? და სხვ.

როგორც დავინახეთ, წინადადების ე. წ. „ეკვივალენტები“ წინადადებებთან ერთად იხმარებიან და მაშინაც კი, როდესაც ისინი ფუნქციურად გარკვეულ წინადადებათა მაგივრობას ეწევიან. მათ გვერდით კონტექსტით (წინა ნათქვამისა თუ სიტუაციის მიხედვით) ყოველთვის იგულისხმება შესაბამისი სრული თუ უსრული პესიტყვება-წინადადება. მიუხედავად ამისა, ვერც შორისდებულ და ვერც მიგებითი ნაწილაკები წინადადების ან მისი სტრუქტურული ერთეულების ეკვივალენტებად ვერ ჩაითვლებიან (მათი ეკვივალენტობა მხოლოდ სამეტყველო-ფუნქციურია), გარდა ისე-



თი შემთხვევებისა, როდესაც ისინი სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლების წყალობით წინადადების სტრუქტურაში მოექცევიან: მაგალითად:

დი ა ნ ს არ ა ამჯობინა.

„ვ ა ი ს“ უნდა გავეყაროთ, მაგრამ „უ ი ს“ შევეყრებით (ა. წ.) და სხე.

ამგვარ შემთხვევებში ისინი უკვე არც ნაწილაკებად, არც შორისდებულებად არ გვევლინებიან.

2. 7. წინადადების სახეები აგებულების მიხედვით

აქამდე, ჩვენ ვმსჯელობდით წინადადების შესახებ ისე, რომ არ დაგვიყვია იგი ძირითად სტრუქტურულ სახეებად, ე. ი. სახეებად აგებულების მიხედვით.

საზოგადოდ მიღებულია აგებულების მიხედვით წინადადების სახეთა დაყოფა ორ ჯგუფად: მარტივ და რთულ წინადადებებად, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულად აღინიშნება სამი სახე: მარტივი, შერწყმული და რთული.

საკომუნიკაციო მნიშვნელობით სამივე წინადადება ერთუროის ტოლფასია — ემსახურება ერთი აზრის შეტყობინებას, მაგრამ განსხვავებული აქვთ ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურა, შესაბამისად ნაირგვარია მათი საკლასიფიკაციო ნიშნებიც.

მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი ლოგიკურ-გრამატიკული მაორგანიზებელი ცენტრი: ერთი პრედიკატი: მაგ.:

ელგუჯა ამ ლაპარაკის დროს ნიშანში იღებდა გაგის (ა. ყაზბ.).

მაზრის უფროსის განზრახვის ამბავი უეცრად მოედვა სოფელს (ლ. ქიაჩ.) და სხე.

შერწყმული წინადადება ჰქვია ისეთ სინტაქსურ ერთეულს, რომელშიც წარმოდგენილია ერთი და იმავე ფუნქციის (ნაშროდ ერთი და იმავე ფორმის) ორი ან მეტი წევრი, რომელთაც ერთგვარი წევრები ეწოდებათ.

ერთგვარ წევრს უნდა ახასიათებდეთ შემდეგი ნიშნები:

1. ერთი და იგივე ფუნქცია.
2. სინტაქსური მიმართება ერთსა და იმავე წევრთან,
3. ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა.

ამ ნიშნების მიხედვით გვაქვს რამდენიმე ქვემდებარე ერთეულსა და იმავე ფუნქციის (ნაშროდ ერთი და იმავე ფორმის) ორი ან მეტი წევრი, რომელთაც ერთგვარი წევრები ეწოდებათ.

მართებიან. შესაძლებელია წინადადება ერთსა და იმავე სხვადასხვა წევრთა მიხედვით იყოს შერწყმული.

ნიმუშები:

ცხენოსანმა მისი ბედაური გააჰყენ-გამოაჰყენა ჭალებში, გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ (ა. წ.).

ქარმა, ავღარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს (ა. ყაზბ.).

ოთხმა ცხენოსანმა კნეინების ეტლს ქეიშა, მიწა და ნიაფი მიაყარა (მ. ჯავ.).

მისი ქორული წამოსვლა, რიხიანი შემოტევა, ფახი და ბუქი მოპირდაპირეს აფრთხობდა, სულიერად აღუნებდა და სჯაბნიდა (მ. ჯავ.) და სხვ.

რთული წინადადებისათვის დამახასიათებელია ორი ან მეტი ლოგიკურ-გრამატიკულად მაორგანიზებელი ცენტრი. ამის შესაბამისად რთული წინადადების კომპონენტები, ცალკე აღებულნი, სავსებით შესაძლებელია დამოუკიდებელ წინადადებებადაც წარმოგვიდგნენ; მაგ., მართო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი ცას უნდა უყუროს (ი. ჭ.); შდრ. მართო პირუტყვი იყურება დაბლა. კაცმა ცას უნდა უყუროს და მისთ.

როგორც ცნობილია, რთული წინადადება შეიძლება იყოს თანწყობილი ან ქვეწყობილი. თანწყობილ წინადადებათა კომპონენტებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებთ; შდრ. ირველივ თხუთმეტოდე სოფელი დაბანაკებულა და ყოველ სოფელს ალამი აუფრიალებია (მ. ჯავ.). ძერა აფრინდა და გასწია იქით, სცადაც ტრედები ასწავლა მელმა (ეაეა); მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს თანწყობილი წინადადება დამოუკიდებელ წინადადებათა შენაერთია. თანწყობილი წინადადების არა მართო სტრუქტურული, არამედ აზრობრივი (ლოგიკური) დამოუკიდებლობაც შეფარდებითია. მათს დამოუკიდებლობაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამოვანაწევრებთ რთულისაგან და იზოლირებულად განვიხილავთ. რთული წინადადების ფონზე ეს კომპონენტები სხვაგვარადაა აქტუალიზებული, ვიდრე იზოლირებულად გამოყენებისას. რთული წინადადებისათვის დამახასიათებელია ფუნქციური მთლიანობა მეტყველებაში. იგი ერთ მთლიან საკომუნიკაციო ერთეულად გვევლინება, რადგან აზრობრივად, კონსტრუქციულად და ინტონაციურად ერთ ერთეულს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის იალთან დიდი სტრუქტურული სხვაობაა: მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი პრედიკატული ერთეული (მონობრედიატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული (პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა).



თ ა ვ ი III

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი

3. 1. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ის ძ ი რ ი თ ა ღ ი ნ ი შ ნ ა ბ ი

სინტაქსურია მოვლენა, რომელიც განზოგადებულ კანონზო-პიერ მიმართებას ამყარებს სინტაქსურ ერთეულთა შორის, რამ-დენადმე განაპირობებს მორფოლოგიურ მოვლენათა არსებობა — არარსებობას და იმავე დროს თვით გამოხატულია მორფოლოგიუ-რი კატეგორიებით. მოვლენის „სინტაქსურობის“ ძირითადი ნიშა-ნია მიმართების დამყარება იერარქიულ დონეთა (ან ცალკეული დონის რიგებს შორის, რის საფუძველზეც ვიღებთ უფრო მაღა-ლი დონის (ან რიგის) ერთეულს; მაგ., ბრუნება სახელთა მოდიფიკა-ციის (პარადიგმული რიგის) მოვლენაა. მაგრამ ბრუნვის მიხედ-ვით სახელთა ცვლებადობა, რომელიც სხვა ერთეულთან მიმართე-ნით არის გამოწვეული (ჭრის ხ ე ს → ჭრა ხ ე; ცოცხლობს კ ა ც ი → იცოცხლა კ ა ც მ ა → უცოცხლია კ ა ც ს და სხვ.), უკვე სინ-ტაქსური რიგისაა, რადგანაც ადასტურებს მიმართებას და სიტყვი-საგან ქმნის უფრო მაღალი რიგის ერთეულს — სიტყვათშეხამებას (ე. წ. სინტაქსურ წყვილს).

სინტაქსურ ერთეულთა და შესაბამის მოვლენათა შორის ვარ-კვეული კავშირია, მოვლენათა ურთიერთობა რამდენადმე შეეფარ-დება ერთეულთა დონეებს:

კონსტრუქცია — კოორდინაცია,


შესიტყვება — სუბორდინაცია,

სიტყვათშეხამება — შეთანხმება, მართვა ან მირთვა.

ცალკეული დონის ერთეულები თავისებურ „სუბსტრატებს“ წარმოადგენენ სხვა დონისათვის. ენის ცალკეული საკითხების კვლე-ვისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ერთეულთა ერთი წყვილიდან ან მოვლენათა ერთი დონიდან მეორეში გადასელი-სას ესა თუ ის „სუბსტრატი“ ქმნის ახალ მიმართებას, მაგრამ რიგ შემთხვევაში ინარჩუნებს თავისი დონის გარკვეულ თვისებებს, რო-მლებიც შესაძლებელია არ ახასიათებდეს მის „ახალ მდგომარეო-ბას“ ან არსებითად განსხვავდებოდეს მისგან.

რამდენადაც მოვლენები შეესაბამებიან სათანადო ერთეულებს, მათ შორის ზოგადად ისეთივე მიკრო და მაკროსისტემური დამო-

კიდებულებაა, როგორც — შესაბამის ერთეულებში; მაგალითად, მორფოლოგიური მოვლენის მაკროდონე ფორმაცვლილებაა, რომელიც ნაწევრდება ცალკეულ მიკროდონეებად. სინტაქსური მოვლენები უფრო მრავალფეროვანია, რადგანაც წინადადებაში გაცილებით მეტ მიმართებათა გათვალისწინება ხდება.



მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის გარკვეული კავშირია. მორფოლოგიურ მოვლენათა არსებობას განაპირობებს მისი ფუნქცია წინადადებაში, ე. ი. მორფოლოგიური მოვლენა შეიძლება გვექონდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ იგი სინტაქსურად დადასტურებულია; თავის მხრივ სინტაქსური ფუნქციის გამოსახატავად („გასაფორმებლად“) გამოყენებულია მორფოლოგიური კატეგორიები და ფორმები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის სრული იგივეობაა. მორფოლოგიური მოვლენა ენობრივ ერთეულთა მოდიფიკაციის საშუალებაა, იგი აერთიანებს ჰომოგენურ ერთეულებს გარკვეულ პარადიგმებში, სადაც ისინი არა განსხვავებულ გრამატიკულ ერთეულებს, არამედ ფორმობრივ ვარიანტებს წარმოადგენენ. სინტაქსური მოვლენა მიმართებაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გულისხმობს ლექსიკურსა და გრამატიკულ შეხამებას. ლექსიკურ-გრამატიკული შეხამება, ძირითადად, მორფოლოგიური ფორმებით არის გამოხატული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიტყვათა გრამატიკული გაფორმებულობა განისაზღვრება არა მარტო მათი ფორმაცვლილებებით (გრამატიკულ ფორმათა სისტემით) ან ფორმაუცვლელობით, არამედ სხვა სიტყვებთან (სიტყვათა კლასებისა და ქვეკლასებთან) გრამატიკული შეხამებულობით.

* * *

ჩვენ შეგნებულად არ ვხმარობთ ტერმინებს პარადიგმატულსა და სინტაგმატურს, ამ ტერმინებში თანამედროვე სტრუქტურული ენათმეცნიერება გულისხმობს გარკვეულ კავშირს, ერთი მხრივ, ერთგვარ ერთეულთა წყების შიგნით (პარადიგმატული), რომლებიც ერთ კატეგორიულ რიგს მიეკუთვნებიან (დაწერი-

ლი, გატეხილი, ჩარგული, აღებული და სხვ.) ან ერთი და იმავე სიტყვის ფორმებს წარმოადგენენ (ვხატავ, ხატავ, ხატავს და სხვ.). სოლო, მეორე მხრივ, ერთეულთა შორის კავშირს გაბმულ მეტყველებაში. სინტაგმატური კავშირის ცნება ძალიან ფართოა. იგი შეიძლება გულისხმობდეს კავშირს ფონემათა შორის (მაგ., ო ფონემის მიმართებას სხვა ფონემებთან ობრ მორფემაში; შღრ., ებრ მორფემა). მორფემათა შორის (მაგ., ობა მორფემის მიმართებას კაც მორფემასთან სიტყვაში კაცობა ან ს მორფის მიმართებას ი მორფთან ფორმაში თხრ-ი-ს და ა. შ.), სიტყვათა შორის (მაგ., ხ ის და კიბე სიტყვებს შორის სიტყვათ შეხამებაში ხ ის კ ი ბ ე) და ბოლოს წინადადებებს, შორის (რაც იყოს, იყოს).

ჩვენ სინტაგმატური კავშირიდან გამოვეყოფთ სინტაქსურს, რომელშიც ვგულისხმობთ გარკვეულ მიმართებას სიტყვებს შორის. შენიშვნა: ამგვარი კლასიფიკაცია მოხდენილად აქვს გამოყენებული ლ. ბარხუდაროვს თავის სადოქტორო დისერტაციასა და წიგნში (იხ. Л. С. Бархударов. Проблемы синтаксиса простого предложения современного английского языка. М., 1965, სადოქტ. დისერტ.; მისივე, Структура простого предложения современного английского языка. М., 1966).

3. 2. სინტაქსურ მოვლენათა ორი რიგი


სინტაქსურ ერთეულთა ორგვარი (ენისა და მეტყველების დონეების) ძირითადი ფუნქციის შესაბამისად მოვლენებიც ორი რიგისაა: 1) სინტაქსური მოვლენები, რომლებიც მოდელისათვისაა დამახასიათებელი, და 2) მოვლენები, რომლებიც წინადადებაში გვხვდება. ეს მოვლენები ერთერთს განაპირობებენ; უფრო ზუსტად, მოდელისმიერი მოვლენა ყოველთვის აისახება წინადადებაში, გვაძლევს რა წინადადების სხვადასხვა სტრუქტურულ ტიპს:

მაგ., მოდელის — $S_N^1 P_1 O_D^3$ (მე ვხედავ მზეს) გარდაქცევის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ სწორი წინადადებები: $S_N^2 P_1 O_D^3$ (შენ ვხედავ მზეს); $S_N^3 P_1 O_D^3$ (ის ხედავს მზეს); $S_N^2 P_1 O_D^1$ (შენ მხედავ მე); $S_N^3 P_1 O_D^1$ (ის ხედავს მე); $S_N^4 P_1 O_D^2$ (ის გხედავს შენ); მაგრამ ფორმალური მოდელები $S_N^1 P_1 O_D^1$ (მე ვხედავ მე);


$S_N^2 P_1 O_D^2$ (შენ ხედავ შენ) უკვე არასწორ წინადადებებს გვაძლევს, ასევე არასწორ წინადადებებს გვაძლევს მოდელისმიერი შეხამების დარღვევა: $S_N P_1 O_N$ (კაცი აქვანებს ცხენი); $S_N P_1 O_E$ (კაცი აქვანებს ცხენმა) და სხვ.

წინადადების (ინტერპრეტირებული მოდელის) დონის მოვლენებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ მოდელზე. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ მოდელის ელემენტთა რეალიზება სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა, შედის რა წინადადების მოდელში, ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მისთვის მოდელისმიერი ვითარებით არის განკუთვნილი და იძენს იმ ფორმას და ზოგჯერ ლექსიკურ მნიშვნელობასაც, რომელიც უნდა ჰქონდეს მოდელში სათანადო ადგილზე მოსათავსებლად გამიზნულ ერთეულს, მაგრამ იგივე სიტყვა ხშირად ინარჩუნებს თავისი კლასის თვისებებს და ზღუდავს მოდელის ვაშლის შესაძლებლობას; მაგ.:

შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ (ი. ჭ.).



ამ წინადადების სტრუქტურულ მოდელში ერთი ელემენტის შეცვლა (კანონზომიერი „ფორმით“, მაგ. ზმნიზედით) უკვე ხშავს მოდელის გავრცობას:



ამგვარი შეზღუდვა თითქმის ყოველთვის გვაქვს მაშინ, როდესაც მოდელის ელემენტთა რეალიზება ხდება ისეთი ლექსიკური ერთეულებით, რომელთაც არა აქვთ სხვა სიტყვათა დაკავშირების (ვალენტობის) უნარი.

განსაკუთრებით ხშირია სტრუქტურის ცვლილება მის ელემენტთა რაოდენობის თვალსაზრისით, რაც არა მარტო სარეალიზაციო ლექსიკურ ერთეულებზე, არამედ ძალიან ხშირად მთქმელის მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული (იგულისხმება წევრნაკლობა ელიფსურსა და „დეფექტურს“ წინადადებებში).

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, მოდელისმიერი გავლე-

ნა უფრო ძლიერია, რიგ შემთხვევაში იგი არა მარტო უცვლის სიტყვას კონკრეტულ ფუნქციას, არამედ ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებასაც იწვევს ხოლმე. ამ მოვლენას სინტაქსურ ასიმილაციას უწოდებენ, რომელსაც სიტყვათა კლასის შენაცვლება მოყვება შედეგად.

მოდელისმიერი ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, მუდმივი არაა. წინადადების შედგენაზე რიგი სხვა ფაქტორები მოქმედებენ, რომლებიც ხშირად გვაიძულებენ, მოვახდინოთ მოდელის გარდაქცევა (ტრანსფორმაცია): მაგ., ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მოდელი; შდრ.; ბავშვმა შეასრულა დავალება — დავალება შესრულებულ იქნა ბავშვის მიერ; ავადმყოფობა ასუსტებს ადამიანს — ადამიანი სუსტდება ავადმყოფობით და სხვ. ამ შემთხვევაში უკვე გვაქვს სინტაქსური სინონიმია.

ამრიგად, წინადადების დონეზე გვაქვს რიგი მოვლენები, რომლებიც წინადადებისა და მოდელის ურთიერთგავლენითაა გამოწვეული; ესენია: 1) შესიტყვების შეკუმშვა, 2) სინტაქსური სინონიმია, 3) ანალოგია, 4) სინტაქსური ომონიმია, 5) დეფექტაცია, 6) ტრანსფორმაცია და სხვ. ამ მოვლენებს ნაირგვარი მნიშვნელობა აქვთ წინადადების სტრუქტურისათვის, მაგრამ ყველა ისინი წინადადების დონისაა. სტრუქტურისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა მოცულობით (სიტყვით, სიტყვათშენაერთით თუ შესიტყვებით) იქნება გამოხატული ესა თუ ის ერთეული, მაგრამ რიგ შემთხვევაში ეს გამოხატვა გავლენას ახდენს სტრუქტურაზე; მაგ. ტრანსფორმაცია ქმნის ვარიანტებს (როგორც სტრუქტურის, ისე წინადადებისა), სინტაქსური ანალოგიის შედეგად ხშირად იცვლება სტრუქტურული მიმართება წევრთა შორის (ანალოგიის შედეგად შეიძლება სტრუქტურულად არამართებული შეხამებანიც მივიღოთ), ომონიმია გავლენას ახდენს ფუნქციურ ერთეულთა ანალიზზე და სხვ.

აღნიშნულ მოვლენათაგან განსხვავებით, გამოიყოფა მეორე რიგის მოვლენები, რომლებიც კავშირს ამყარებენ სინტაქსურ ერთეულებს შორის, ე. ი. წინადადების შედგენის არსებითს საშუალებას წარმოადგენენ; მათ სინტაქსურ მიმართებას ვუწოდებთ.

სინტაქსური მიმართება წმინდა მოდელისმიერი მოვლენაა, რომელსაც შემქმნელი (წარმოშობი) მნიშვნელობა აქვს. იგი აწერს რიგებს ურთიერთობას როგორც სხვადასხვა სინტაქსური დონის, ისე ამ დონის სხვადასხვა რიგის ერთეულებს შორის, ქმნის რა შესაბამისად სიტყვებისაგან სიტყვათშეხამებებს, სიტყვათშეხამებები-

საგან შესიტყვებებსა და შესატყვებათაგან — კონსტრუქციულ მოდელებს, რომლებიც მეტყველებაში წინადადებებად რეალიზდება. ქვემოთ ჩვენ ზოგადად განვიხილავთ წინადადების დონის მოვლენებს მხოლოდ იმ მოცულობით, როგორი მნიშვნელობაც აქვთ მათ წინადადების სტრუქტურისათვის. ბუნებრივია, ზოგიერთ მათგანს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა, ზოგს — ნაკლები. მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სინტაქსურ ასიმილაციაზე, ზოგადად შევეხებით, ხოლო კონკრეტულ შემთხვევებს შესაბამის სიტყვათშეხამებათა ანალიზის დროს განვიხილავთ.

2. 3. წინადადების დონის სინტაქსური მოვლენები

3. 3. 1. შესიტყვების შეკუმშვა

ენაში მოქმედ პრინციპთაგან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლაკონიურობას, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიის პრინციპზე. იგი რამდენადმე აწესრიგებს შეუსაბამობას დროის ლიმიტის თვალსაზრისით. საკოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი სამეტყველო ორგანოები პრაქტიკული უნარი ბევრად ჩამორჩება იმ ამოცანას, რომელსაც მის წინაშე ენა, როგორც აზრის ჩამოყალიბების ფორმა, აყენებს. ეს შეუსაბამობა, უწინარეს ყოვლისა, სისწრაფეს ეხება. თავის მხრივ, ამან უნდა განეპირობებინა ბგერითი ენის რიგ დამხმარე საშუალებათა შემუშავება, რომლებიც დამატებითი შინაარსით ტვირთავენ წინადადებას. ყოველ შემთხვევაში, მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ელიფსური (უსრული) წინადადებანი, რომლებიც იმავე ექსპრესიულ-საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებენ, რასაც — შესაბამისი სრული წინადადება, ლაკონიურობის მოთხოვნის საფუძველზეა მიღებული (ეს ეხება უსრული წინადადების ყოველგვარ ფორმას: „ნაკლულ“ წინადადებასაც, წინადადების „ეკვივალენტ“ სიტყვებსაც, ბგერათკომპლექსებსაცა და სხვ.).

ეკონომიის პრინციპი თვით წინადადების სტრუქტურაზეც ახდენს საგრძნობ გავლენას. უწინარეს ყოვლისა, წინადადებაში ისპობა ყოველგვარი დუბლი („ტავტოლოგია“), თუკი იგი სპეციალური მიზნით არ ხდება. ამ მხრივ საინტერესოა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის (ე. წ. შემასმენლისის) გამოხატვის საკითხი.

თანამედროვე ქართულში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მეტ-ნაკლებად პროდუქტიულად ყოველგვარი სახელია: არსებითი (ზაზა ბ ა ვ შ ვ ი ა), ზედსართავი (მაწონი მ ყ ა ვ ე ა), რიცხვითი (პირი ზმნაში ს ა მ ი ა), ნაცვალსახელი (წიგნი ჩ ე მ ი ა) სახელადი ნაწილი, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვაშია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. შედგენილ შემასმენელად არაფრით არ შეიძ-

ლება ჩაითვალოს ზმნიზედურ-გარემოებითი (ადვერბიალური) შეხამება ზმნასთან, მათ შორის სხვა შემთხვევებში შემკველ ზმნად გამოყენებულთანაც: მაგ.: წი გ ნ ი კ ა რ ა დ ა შ ი ა; ქა-რი ჩვენი მ ხ რ ი დ ა ნ ი ყო; ბავშვი დ ე დ ა ს თ ა ნ ა ა, ბიძაჩე-მი კ ა რ გ ა დ ა ა და მისთ. წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები არ არის შედგენილი შემასმენლები.

2. სპეციალურ ლიტერატურაში (იბ. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. შედგენილი შემასმენელი ქართულში. ა .ს. პუშკინის საბ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, 1948, გვ. 194-196; ა. კ ი ზ ი რ ი ა. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 177; ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 55) აღნიშნულია, რომ სახელადი ნაწილი შეიძლება შეგვხვდეს მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებშიც, მაგრამ ეს რამდენადმე საეჭვოა. ნიმუშებში: ეს უ ფ რ ო უ ხ ი ფ ა თ ო ს გ ა ხ დ ი დ ა გ ზ ა ს. დ ე დ ო ფ ლ ა დ ი ყ ო ჩვე-ნი, ნაცნობი ინგილო ქალი. ავადმყოფი უ ა რ ე ს ა დ შე-იქნ ა და მისთ. (ვსარგებლობთ ლ. კვაქაძის ნიმუშებით) სახელად ნაწილად გაგებულ სიტყვები ან გათიშული განსაზღვრებაა (შდრ. უ ხ ი ფ ა თ ო ს გ ა ხ დ ი დ ა გ ზ ა ს — უ ხ ი ფ ა თ ო გ ა ხ ა და გ ზ ა), ან უბრალო დამატება, ან ვითარების გარემოება.

იშვიათ შემთხვევაში სახელად ნაწილს „ნათესაობითის“ ფორ-მა აქვს: მაშინ თ ო რ მ ე ტ ი წ ლ ი ს ა ვ ი ყ ა ვ ი; ის წი გ ნ ი ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა ი ყ ო. საინტერესოა, რომ „ნათესაობითის“ (უფრო სწო-რად ნანათესაობითარი) ფორმა მათ მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში აქვთ. მრავლობითში გაფორმებულია კანონიერი ფორმა — სახე-ლობითი: მაიმუნები სხვადასხვა ჯ ი შ ი ს ა ნ ი არიან (ი. გოგ.)-მხოლოდობით რიცხვშიც უნდა გვქონოდა სახელობითის ფორმა, მაგრამ ნანათესაობითარ სახელობითში ვერ უნდა განვითარებული-ყო ბრუნვის ნიშანი.

აღსანიშნავია, რომ „ნათესაობითის“ (ნანათესაობითარი) ფორ-მის შემასმენლისი ნაგანსაზღვრებალია, ე. ი. გამოტოვებულია შედგენილი შემასმენლისი ნამდვილი შემასმენლისი და მის ადგილს განსაზღვრება იკავებს (ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 55), ნამდვილი შემასმენლისი კი არსებითი სახელია და ეს მოვლენა საზოგადოდ ყველა იმ შემთხვევაშია გასათვალის-წინებელი, სადაც შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად სხვა (არაარსებითი) სახელი გვაქვს. არსებითი სახელი პოტენციურად (და ზშირად რეალურადაც) წარმოდგენილია შედგენილ შემასმენელში; მაგ.:

ეს დაფა შავი (დაფა) არის.

წიგნი ჩემი (წიგნი) არის.

ქართულში ბრუნვა შვიდი (ბრუნვა) არის.

თოფი — (არის) ხისა (თოფი), ტყვია — (არის)

წყლისა (ტყვია)...

სალამო ხ ა ნ ი... სადარბაზო ხ ა ნ ი ა (ი. ჭ.).

კ ა ც ი ყველგან კ ა ც ი არის (ა. წ.).

ჩვენი დამთხვეული თ ე რ გ ი გლადიკავკასთან ის თ ე რ გ ი
ალარ არის (ი. ჭ.). როსტომ მ ა ნ ვ ე ლ ი ძ ე თავის დროზე შე-

ძლებული მ ა ნ ვ ე ლ ი ძ ე იყო (დ. კლდ.). და სხვ.

აღნიშნული ტიპის წინადადებები განსაკუთრებით ხშირია სა-
მეცნიერო შინაარსის ტექსტებში; მაგ.:

არსებითი ს ა ხ ე ლ ი ისეთი ს ა ხ ე ლ ი ა...

მართკუთხა ს ა მ კ უ თ ხ ე დ ი ისეთი ს ა მ კ უ თ ხ ე დ ი ა... და

სხვ.

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში განსაზღვრებათა
გადანაცვლების პარალელურად (კვლავ ეკონომიის პრინციპის სა-
ფუძველზე) ტავტოლოგიის თავიდან აცილება შეიძლება სხვა გზი-
თაც მოხდეს. ამ შემთხვევაში ასიმილაციას განიცდის არა შედგენი-
ლი შემასმენლის სახელადი ნაწილის, არამედ სხვა კოორდინატის
(ქვემდებარის) განსაზღვრება; მაგ. წინადადება ეს წ ი გ ნ ი ს ა ი ნ-
ტ ე რ ე ს ო წ ი გ ნ ი ა შეიძლება ორგვარად გარდავაქციოთ: ეს
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო წ ი გ ნ ი ა და ეს წ ი გ ნ ი ს ა ი ნ ტ ე რ ე-
ს ო ა. ორივე წინადადება ადეკვატური შინაარსისაა. ისინი განსხვავ-
დებიან მხოლოდ სტილური ელფერით, რომელიც მთქმელის მიზან-
დასახულობით (აქტუალიზებით) არის განპირობებული. ეს კიდევ
ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ შედგენილი შემასმენლის სახე-
ლადი ნაწილი არსებითი სახელი უნდა ყოფილიყო.

შესიტყვების შეკუმშვის საფუძველზეა გაჩენილი III პირის
ნაცვალსახელები ქართულში. როგორც ცნობილია, პირის ნაცვალ-
სახელთა რაოდენობა ქართველურ ენებში ოთხი ლექსიკური ერთე-
ულით ამოიწურება (ქართ.: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ზანური:
მა, სი, ჩქგ || ჩქი. თქვა, სუან: ძი, სი. ნა (ა), სგა (ა). III პირი
პირველსა და მეორეს არა მარტო მორფოლოგიური გაფორმებით
უპირისპირდება, არამედ ლექსიკური შეხამებულობითაც: III პირის
სარეალიზაციო ერთეულები არსებითი სახელებია და არა ნაცვალ-
სახელები, მაგრამ წინადადების სტრუქტურაში სიტყვათა კლასის
შენაცვლების საფუძველზე ჩვენებით ნაცვალსახელებს დაეკისრაო
III პირის ნაცვალსახელთ აფუნქცია (ის კაცი მიდის → ის მიდის)
და შესაბამისად არსებით სახელთა მორფოლოგიური ფორმებიც

გაუჩნდათ (მაგ., რიცხვისა, შდრ. მხ.:ის, იგი, მრ.: ისი-ნ-ი, იგი-ნ-ი).
 ეს თვისება სხვა ჩვენებით ნაცვალსახელებზეც გადავიდა. რასაკვირ-
 ველია, მეტ-ნაკლებად პროდუქტიულად (ეს → ესე-ნ-ი, ასეთი →
 ასეთ-ნ-ი და სხვ.).

ის, ისინი, იგი, იგინი მხოლოდ პირობით ითვლება პირის ნაცვალსახელებად, რადგან უპირისპირდებიან I და II პირებს, ამასთან ეს ნაცვალსახელები ფორმაცვლილების მიხედვით ჩვენებით (მითითებით) ნაცვალსახელთა ქვეკლასში რჩებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ არ დაუკარგავთ ჩვენებითობის გაგება: ორგვარ ვითარებას გვიჩვენებენ: კლასშეუნაცვლებლად — ჩვენებითისა (ეს ბინა მომწონს, ის სახლი ლამაზია...), ხოლო კლასშენაცვლებით — პირისა (ეს მომწონს, ის ლამაზია...).

ადრე მათ მხოლოდ მითითებითი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ დაკისრებული. ეს, ყოველ შემთხვევაში, ქართველურ ენათა მასალით დასტურდება (იხ. ა. მარტიროსოვი. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, 1964, გვ. 104-105). ქართულ ენაში მითითებითისა და III პირის ნაცვალსახელებს შორის ბგერითი იგივეობაა. ინდოევროპულსა და სლავურ ენებში ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან (შდრ.: რუსული он || она || оно — тот || эта || это; тот || та || то; გერმანული er || sie || es — diese || dieser || dieses და სხვ. მაგრამ რიც შემთხვევაში ეს მაინც არ უშლის ხელს მათს შენაცვლებას; მითითებითი ნაცვალსახელები ამ ენებშიც (განსაკუთრებით პროდუქტიულად რუსულსა და გერმანულში) ქართულის მსგავსად ასრულებენ სუბსტანტიურ ერთეულთა ფუნქციას, თუ მოდელისნიერი ვითარება მათგან ამას მოითხოვს; ხოლო მოდელისმიერი ვითარება, როგორც წესი, შესიტყვების შეკუმშვის საფუძველზეა შექმნილი: მაგალითად, რუსულ ენაში საკმაოდ პროდუქტიულია წინადადებები, რომლებშიც ქვემდებარე-დამატებად მითითებითი ნაცვალსახელები გვევლინებიან: этот [*человек] пришел. Та [*книга] была более интересной და მისთ. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს გერმანულშიც. განვიხილოთ ანდაზა: Dieser geht, jener kommt--ეს მიდის, ის მოდის. ამ შეხამებებში этот, та; jener, dieser ჩვენებითი ნაცვალსახელებია, რომლებიც შესიტყვების შეკუმშვის შედეგად ასრულებენ პირის ნაცვალსახელთა ფუნქციას.

შესიტყვების შეკუმშვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ე. წ. „მართული“ მსაზღვრელის მიღების ერთ-ერთი გზა. მაგალითად, სიტყვათშეხამებები: ილიას ლექსი, ფალიაშვილის მუსიკა, საქმის კაცი და მისთ. შესიტყვების შეკუმშვის შედეგადაა მიღებული: შდრ.: ილიას დაწერილი ლექსია,

ფალიაშვილის შექმნილი მუსიკა, საქმის გამკეთებელი კაცი და მისთ. („მართული“ მსაზღვრელის შესახებ უფრო დეტალური ცნობები იხ. 3. 6. ბ. § 7).

შესიტყვების შეკუმშვის შედეგად შეიძლება მივიღოთ „პარა-დოქსული“ შეხამებანი ტიპისა: კაცი წვერით (კედელზე გამოჩნდა კაცი გრძელი გაშლილი თმით და წვერით; ა. ყაზბ.). შესიტყვების სრული სახეა კაცი წვერით მოსილი, რომელშიც მოსილი განსაზღვრებაა, ხოლო წვერით — მასზე დაქვემდებარებული უბრალო დამატება, მაგრამ შეხამებაში კაცი წვერით უბრალო დამატებამ დაიკავა განსაზღვრების ადგილი და მის მსგავსად ქმნის არა ობიექტურ, არამედ ატრიბუტულ სემანტიკურ მიმართებას. ამიტომ ანალიზის დროს განსაზღვრებად უნდა იქნეს კვალიფიცირებული. ეს ჩვეულებრივი სასკოლო ხერხითაც — კითხვის დასმითაც დასტურდება (როგორი კაცი?). ატრიბუტული სემანტიკა შეიძლება გარემოებაშიც შეიძინოს და ეს კვლავ შესიტყვების შეკუმშვის საფუძველზე ხდება; მაგ., სტუმარი მოსკოვიდან (რომელი სტუმარი?); შდრ. გუშინ ჩვენს სკოლაში იყო სტუმარი მოსკოვიდან; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შეხამებები ქართულში ნაკლებად პროდუქტიულია და რუსული ენის გავლენით უნდა იყოს მიღებული.

ასეთივეა ნიმუშები: ქალი (კოხტა) ტანსაცმელში (ვამოწყობილი); შდრ; ყველა თითის დადებაზედ მიწიდგან ამოჩანდა რამდენიმე გალოღობული ქერის გული მწვანე ტანისამოსში (ი. გოგ.). ნიბლიამ... დაინახა ალალი, რომელიც ირგვლივ ატრიალებდა ცეცხლივით (ანთებულ) თვალებს (ი. გოგ.) და მისთ.

განსაკუთრებით ხშირია აღნიშნული ტიპის შესიტყვებები პიესათა ე. წ. „რემარკებში“; მაგ. (ხმა შორიდან), (ივანიკასთან ერთად), (მობრუნებით პეტრეს) და მისთ.

შესიტყვების შეკუმშვის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, ხდება სტრუქტურულ ერთეულთა გადანაცვლება. როგორც წესი, დაქვემდებარებული წვერი იკავებს თავისი გაბატონებულის ადგილს და, ასრულებს რა მის ფუნქციას, ხშირად მის ფორმებსაც იტენს. აღნიშნული გადანაცვლება ზოგჯერ სემანტიკურად უაზრო შეხამებასაც გვაძლევს, თუ იზოლირებულად განვიხილავთ, მაგრამ საერთო კონტექსტის (მაკროტექსტის) ფონზე ინფორმაციის არც სისრულე და არც სიზუსტე არ ზიანდება; მაგალითად, წინადადებებიდან ორი ჯამი შექამა ან ერთი ბოთლი დალია და მისთ. იზოლირებულად რომ განვიხილოთ შეხამებები: ჯამი შექამა ან ბოთლი დალია, უაზრობას მივიღებთ: ჯამს არავინ

კამს და ბოთლს არავინ სვამს, მაგრამ მაკროტექსტის ფონზე, რომელშიც, დავეუშვათ, საუბარია ლობიოს შექმნასა და ბორჯომის წყალის დაღვრაზე, სავსებით გასაგებია ამგვარი შეხამებანი. ზოგჯერ შესიტყვების შეკუმშვის შედეგად მიღებულ შეხამებათა გასაგებად მაკროტექსტი აღარც არის საჭირო. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: ბორჯომი დავლიოთ, ექიმმა ავადმყოფს: საირმეს დაღვრა ურჩია, გუშინ ტიბაანი ვსვით და მისთ., ბუნებრივად იგულისხმება ბორჯომის წყალი, საირმეს წყალი და ტიბაანის ღვინო, რადგან არ შეიძლება შეისვას არც ბორჯომი, არც საირმე და არც ტიბაანი.

3. 3. ბ. სინტაქსური სინონიმია

სინტაქსური სინონიმია (სინონიმური პარალელიზმი) ეწოდება მოვლენას, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე სტრუქტურულად განსხვავებული ერთეული ერთნაირ ფუნქციას ასრულებს, ერთნაირ სემანტიკურ-გრამატიკულ მიმართებას ამყარებს გაბატონებულ წევრებთან. სინტაქსური სინონიმიისათვის აუცილებელია ფუნქციური შენაცვლება (სუბსტიტუციურობა) ერთსა და იმავე გარემოცვაში.

წინადადების სტრუქტურულ ტიპთა შორის აზრობრივ სხვაობასთან ერთად მათი იგივეობაც შეინიშნება. ეს იგივეობა შესაძლებელია მოდელისმიერი იყოს, მაშინ გვექნება ერთი სტრუქტურული ტიპის წინადადებები: შესაძლებელია აგრეთვე ისინი ერთ აზრს გამოხატავდნენ, მაშინ საქმე გვექნება ერთი წინადადების ვარიანტებთან (სითბო აღნობს ყინულს — ყინული დნება სითბოსაგან; ბავშვებმა შეხედეს მოხუცს — ბავშვებს შეუხედავთ მოხუცისათვის და სხვ.); შესაძლებელია ვარიანტებს სინონიმური მნიშვნელობაც აქონდეს (ექსპერიმენტის საშუალებით დაამტკიცა — ექსპერიმენტის გზით დაამტკიცა — ექსპერიმენტის მეოხებით დაამტკიცა). უკანასკნელ შემთხვევაში გვექნება სინონიმური შინაარსის წინადადებანი. სინონიმური შინაარსისაა უფრო ხშირად მარტივი და რთული ქვეწყობილი წინადადებანი, რომელთა დამოკიდებული წინადადება რომელიმე წევრის ფუნქციას ასრულებს (სოფლიდან ჩამოსული ვაცოი... — ვაცო, რომელიც ჩამოვიდა სოფლიდან...).

გრამატიკული სინონიმია უპირატესად დაკავშირებულია ლექსიკურ სინონიმიასთან, რომელიც მხოლოდ სტილურ სხვაობას ქმნის, თუმცა საფუძველი ხშირად სტრუქტურულიც აქვს. შეიძლება აღინიშნოს ამ ტიპის სინონიმიის შემდეგი სახეები:

ა) სინონიმურია წინადადების წევრის ნაწილები („მორფემური სიტყვები“):

ის მოსწავლე გახლავთ ≈ ის მოსწავლეა (ისარის) ≈ ის მოსწავლე ბრძანდება.

ბ) სინონიმურია სიტყვები

მავნი მოკვდა ≈ მავანი გარდაიცვალა ≈ მავანი ჩაძალდა.

ყველას სძულს სიზარმაცე ≈ ყველას ეზიზღება სიზარმაცე და მისთ.

გ) სინონიმურია სიტყვა და შესიტყვება.

მდინარის პირას ჯარგვალი იდგა ≈ მდინარის პირას მრგვალი ხისაგან ნაგები ქოხი იდგა.

რემიდან ნარჩევი მერანი მოჰგვარეს მეფეს ≈ ცხენებზე ის ჯოგიდან ნარჩევი მერანი მოჰგვარეს მეფეს და მისთ.

დ) სინონიმურია სიტყვა (შესიტყვება) და წინადადება (რთული წინადადების კომპონენტი)

მოსულს გაუმარჯოს! ≈ ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

სოფელში ჩასვლისთანავე შევატყობინებ ≈ როგორც კი სოფელში ჩავალ, შევატყობინებ.

3) სინონიმურია წინადადება და წინადადება

სასოფლო საბჭომ დადასტურა მავანის ვინაობა ≈ სასოფლო საბჭოს მიერ დადასტურდა (დადასტურებულ იქნა) მავანის ვინაობა და მისთ.

სტრუქტურული სინონიმიისაგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს წმინდა ლექსიკური სინონიმია (არის ≈ გახლავს ≈ ბრძანდება ტიპისა), რომელიც წინადადების მოდელში ცვლილებას არ იწვევს და ამდენად სინტაქსური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, თუ ლექსიკური სინონიმური პარალელის შენაცვლება რაიმე სტრუქტურულ ცვლილებს იწვევს, ის უკვე სინტაქსური დონის მოვლენა ხდება; შდრ.: ძალი ეზოში დაბმულია ≈ აძალი ეზოში დაბმული მყავს.

სინონიმური პარალელიზმი ზოგჯერ ფორმათა შენაცვლების საფუძველზეც ხდება. ამ მხრივ კვლავ საყურადღებოა საშუალო გვარის ფორმათა შენაცვლება მოქმედებითი გვარის ზმნებით (მედიოაქტივის კატეგორია), რომლებიც გარდაუვალ ზმნათა შესაბამისი კონსტრუქციის ნაცვლად გარდამავალ ზმნათა კონსტრუქციას ქმნიან:

$P_1 S_N O_D$ — სდარაჯობს გუშაგი ხიდს,

$P_2 S_E O_D$ — [*სდარაჯა] უდარაჯა გუშაგმა ხიდს;

მაგრამ ამეამად ეს ფორმები არა თუ სინონიმურ პარალელებად, არამედ მოდელისმიერ ვარიანტებადაც კი აღარ ჩაითვლება, რად-

განაც გარკვეულ თავისებურებათა გამო (გრამატიკული ოპერაციის შედეგად) ეს ზმნები უკვე ერთ მორფოლოგიურ წყებას ქმნიან, რომელსაც სათანადო კონსტრუქციული მოდელი შეესაბამება.

3. 3. ბ. სინტაქსური ანალოგია

ანალოგია მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენაა, რომელიც ენის ყველა დონეზე გვხვდება. ანალოგიასთან გვაქვს საქმე ყოველთვის, როდესაც ენობრივ ერთეულს აქვს თვისება, რომელიც შექენილია ერთი ან რამდენიმე ერთეულის მსგავსად (ანალოგიით). რასაკვირველია, გარკვეული წესის შესაბამისად (იხ. Ф. де Соссюр. Курс общей лингвистики, გვ. 151).

ანალოგია შეიძლება იყოს ფონეტიკური (აღმართი — დაღმართი, თოთხმეტი — თუთხმეტი, უმცროსი — უმფროსი და მისთ.), მორფოლოგიური (ი-წვება — ი-წვის; ე-წვება — ე-წვის და მისთ.) და სინტაქსური (მეტად გაღარიბდა → მეტად გაღარიბებული; მეტად ღარიბი და მისთ.). ანალოგიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთეულთა სემანტიკურ სიახლოვეს; იგი მოქმედებს ეოთი სემანტიკური თუ ფუნქციური ჯგუფის ფარგლებში არსებული ნიმუშის მიხედვით. სწორედ ამიტომაც, რომ ეს მოვლენა გვხვდება ანტიონიმებსა და სინონიმებში. სინტაქსური ანალოგიის საფუძველი ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმია (მეტყველების დონეზე). მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოდელის გავლენას, რაც თავის მხრივ სინტაქსურ ასიმილაციას იწვევს.

როდესაც მოდელის თავისებურებებს ვეხებოდით (იხ. 1. 8), აღვნიშნეთ მისი გავლენა წინადადების სტრუქტურაზე, რამაც შეიძლება სიტყვათა კლასის რეგულარული შენაცვლებაც კი გამოიწვიოს. ამ მოვლენას საფუძველად სწორედ ანალოგია უძევს.

ზოგადად ანალოგიური წარმოება შეიძლება ნეიტრალური ან ფუნქციური იყოს. პირველ შემთხვევაში მას არა აქვს მადიფერენცირებელი მნიშვნელობა, არსებითად ორთოეპიის (ორთოგრაფიის) სფეროს განეკუთვნება და ქმნის სწორ (მ ა მ რ ო ბ ი თ ი — მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი; ა ღ მ ა რ თ ი — დ ა ღ მ ა რ თ ი და მისთ.) ან არასწორ (უ მ ც რ ო ს ი — უ მ ფ რ ო ს ი, თ ო თ ხ მ ე ტ ი — თ უ თ ხ მ ე ტ ი და მისთ.) ფორმებს, მეორეში კი ანალოგია ფუნქციურად მადიფერენცირებელ როლს ასრულებს ან ფორმათწარმოქმნის, ან სინტაქსური მიმართების თვალსაზრისით (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 191).

სინტაქსურ ანალოგიაში ვასხვავებთ ორ შემთხვევას: ფუნქციურსა და მიმართებითს ანალოგიას. პირველი გამო-

წვეულია სტრუქტურული მოდელის ბლოკში ისეთი ერთეულის მოთავსებით, რომლისთვისაც ეს ადგილი არ არის გამოიზნული.

შენიშვნა: შეიძლება ამ მოვლენისათვის ფუნქციური სუბსტიტუცია გვეწოდებინა, რადგან ესა თუ ის ერთეული ენაცვლება მოდელისმიერს და მის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ტერმინს — სუბსტიტუცია — ვიყენებთ სინტაქსური ანალიზისათვის (ცალკეულ ერთეულთა ფუნქციის დასადგენად: იხ. წყებაში ჩაყენება), ამდენად ტერმინები ერთმანეთში აირეოდა.

ენობრივი ერთეული, მოხვდება რა შესაბამის ადგილზე. მოდელის გავლენით არა მარტო ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მოდელის მიერ არის განპირობებული, არამედ იძენს კიდევ იმ ფორმებს, რომლებაც უნდა ჰქონოდა შესაბამისი კლასის ერთეულს. ამ მხრივ ჭარბი წინადადების მოდელის ძალა განუსაზღვრელია: თავისუფლად ხდება ჰორიზონტალური რიგის ერთეულების გადანაცვლება ვერტიკალურში და, პირუკუ, ვერტიკალურისა ჰორიზონტალურში, რასაც შესაბამისად ლექსიკურ-სტილური ცვლილებები (გაარსებითება, გაზედსართაეება, გაზმნიზედეება) მოჰყვება ხოლმე; მაგალითად, გაარსებითება შეიძლება ნებისმიერი მეტყველების ნაწილისა, თუ ის მოდელში სათანადო ადგილზე მოექცევა; მათ შორის — ისეთისაც, რომელსაც, საზოგადოდ, არავითარი კავშირი არა აქვს სახელებთან.

აღსანიშნავია, რომ ზმნის პირის ფორმები შეიძლება გაარსებითდეს როგორც ცალკე, ისე მასთან დაკავშირებულ სიტყვებითურთ, რომლებიც, ყველა ერთად, წინადადების წევრობის თვალსაზრისით, ერთ ერთეულს წარმოადგენს (იხ. ა. შანიძე. წოდებითის ფორმის ადგილისათვის წინადადებაში, სმამ, ტ. III, № 5, გვ. 489); მაგ.:

ნამდვილ სახელს წაგართმევ და მიყიდეს გიწოდებ (ი. გრიშ.).

„გიყიდას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა (ი. ჭ.). და სხვ.

როგორც ზემოთაცა აღნიშნული, მეტყველების ნაწილთა გაარსებითების ერთ-ერთი ძირითადი გზა შესიტყვების შეკუმშვა, სათანადო გაბატონებული წევრის „ჩაყარდნაა“, რის საფუძველზეც მისი ფუნქციის შესრულება საზღვრულს ეკისრება. ამიტომაც, რომ ყველაზე ხშირია სუბსტანტივაციის ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებითის როლში მეტყველების ის ნაწილები გვევლინებიან, რომელთა ძირითადი სინტაქსური ფუნქცია განსაზღვრების გამოხატვაა.

კოორდინაციული და სუბორდინაციული რიგების შენაცვლე-

ბის შედეგი უნდა იყოს აგრეთვე გაზედსართავება, რომელიც ჩვეულებრივ ისეთ არსებითებს მოუდის, რომელთაც ლექსიკურად რაიმე შემხები ხაზი აქვთ ზედსართათან (რამდენადმე მაინც ^{ბუნებრივ} ნავენ რაიმე ნიშან-თვისებას; ზომას, პროფესიას, მასალას, კუთვნილებას და სხვ.).

უ რ ე მ ი კ რ ი ა ლ ი თ მ ი დ ი ო დ ა. ამ წინადადებაში უ რ ე მ ს თავისი მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული და ამდენად მისი ადგილიც კონსტრუქციაშია, მაგრამ წინადადებაში მ ა ნ ქ ა ნ ა - ზ ე ს ა მ ი უ რ ე მ ი შე ე მ ა ე წ ყ ო, უ რ ე მ ს უკვე აღარა აქვს საგნობრივი შინაარსი. იგი უკვე ნიშან-თვისებას (კონკრეტულად, ოდენობას) გამოხატავს და მისი ადგილიც არა კოორდინაციაში, არამედ სუბორდინაციაშია.

რამდენადაც გაარსებითება და გაზედსართავება სიტყვებს ერთ დიდ (ბრუნებადთა) კლასში ტოვებს, სინტაქსური კავშირი ნაკლებად ირღვევა, მაგრამ გაცილებით უფრო რთულია მდგომარეობა. როდესაც ხდება ბრუნებად სიტყვათა გაზმნიზედება (ადვერბიალიზაცია), რომლის ძირითადი მიზეზი სახელთა მიერ გარემოებათა ფუნქციის შესრულებაა, რის საფუძველზეც რიგი მეტყველების ნაწილები ზმნიზედურ შინაარსს იძენენ. ეს ახალი (გარემოებათა) ფუნქცია ხშირად იმდენად მყარია, რომ გარკვეული სიტყვა გარკვეული ფორმით მხოლოდ ზმნიზედური მნიშვნელობით იხმარება, ხოლო ძველი ფუნქცია (სახელისა) მას საერთოდ დაკარგული აქვს: მაგალითად, ს ო ფ ე ლ შ ი: თანდებულიანი სახელია, მაგრამ მისი სინტაქსური როლი მხოლოდ და მხოლოდ ადგილის გარემოებაა, ისევე როგორც ადგილის (გეოგრაფიულ-ტერიტორიული) მნიშვნელობს მქონე ყველა თანდებულიანი სახელისა: შესაბამისად დროის გარემოებად გვევლინება დროის მნიშვნელობის გამომხატველი ყველა თანდებულიანი სახელი; მაგ.: შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე, ზ ა მ - თ ა რ შ ი, კ ვ ი რ ა შ ი, წ ე ლ ი წ ა დ შ ი, დ ი ლ ი დ ა ნ, ს ა - ლ ა მ ო მ დ ე და სხვ.

მეორე რიგის — მიმართებითი — ანალოგიის საფუძველი ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმია. ცნობილია, რომ სიტყვათშეთანხმებაში ატრიბუტული დამოკიდებულების გამოხატვა ძირითადად გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულით — ზედსართავი სახელებით (მათ შორის მიმღეობებით) — ხდება. მიმღეობა ზედსართავისაგან ფუნქციით არ განსხვავდება, მაგრამ, ზედსართავისაგან განსხვავებით, მიმღეობებს ტრანსფორმაციის შემდეგ (ზმნა → მიმღ.) გადმოყოლილი აქვთ რიგი ზმნური კატეგორიები და, რაც მთავარია, ზმნური ვალენტობის უნარი. ზედსართავი სახელები, როგორც სტრუქტურის ვერტიკალური დონის ერთეულები, ნულოვანი

ვალენტობისაა (იხ. 3. 4. ბ), მიმღეობებს კი აქტიური ვალენტობა ახასიათებთ, ე. ი. მიმღეობები შეიძლება წარმოგვიდგინენ სიტყვათშეხამებაში გაბატონებულ წევრებად; რასაკვირველია, წინა ვითარებაში ვალენტობა ხელს არ უნდა უშლიდეს მათს ახალ (ატრიბუტულ) ფუნქციას. რიგ შემთხვევაში მიმღეობათა და შესაბამის ზედსართავთა შორის მყარდება ლექსიკურ-მორფოლოგიური და ფუნქციური სინონიმური ურთიერთობა, რაზედაც გავლენას უნდა ახდენდეს მათი საერთო ძირი (შდრ. ლალი → გალალდა → გალალებული; შავი → გაშავდა → გაშავებული და ა. შ.). სინონიმური ურთიერთობის საფუძველზე ზედსართავი სახელები ხშირად ისეთსავე ურთიერთობას ამყარებენ სხვა წევრებთან, როგორც მათს შესატყვის მიმღეობებს აქვთ; მაგ.:

ს ი ს ხ ლ ი ვ ი თ წ ი თ ე ლ ი (მაღლა ფოთლებში ელვარებს გაშლი, სისხლივით წითელი; ა. წ.); შდრ.: სისხლივით გაწითლდა → ს ი ს ხ ლ ი ვ ი თ გა წ ი თ ლ ე ბ უ ლ ი.

მ ზ ი ს ა გ ა ნ შ ა ვ ი; შდრ. მზისაგან გაშავდა → მ ზ ი ს ა გ ა ნ გაშავებული და სხვ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1. სპეციალურ ლიტერატურაში (მაგ. რუსულში) ნაზმნარი და პირველადი ზედსართავები არ არის ერთურობისაგან გამოიჯნული, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის სინტაქსური ანალიზის პროცესში.

2. წითელი ნაზმნარ სახელად ივარაუდება (წით-ს → წით-ელ-ი), ამდენად ს ი ს ხ ლ ი ვ ი თ წ ი თ ე ლ ი შეიძლება წინა ვითარებიდან იყოს გადმოყოლილი; მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით შ ა ვ ი ს შესახებ.

ანალოგიით არის გამოწვეული აგრეთვე პირდაპირობიექტურ პირთა „გაჩენა“ ერთპირიან საშუალო გვარის ზმნებში; შდრ.: ს წ ა ვ ე ლ ო ბ ს ი ვ ი (+მას) — ი ს წ ა ვ ე ლ ი ს ი ვ ი მ ა ს; ჩ ი ვ ი ს ი ვ ი (+მას) ი ჩ ი ვ ლ ე ბ ს ი ვ ი მ ა ს და მისთ.

სინტაქსური ანალოგიის საფუძველზე შეიძლება ზედსართავ სახელთან დაქვემდებარებულ წევრად ზმნიზედაც მოგვევლინოს: მაგ.: ძ ა ლ ი ა ნ შ ა ვ ი — ძალიან გაშავდა ← ძ ა ლ ი ა ნ გაშ ა ვ ე ბ უ ლ ი; მ ე ტ ა დ ლ ა მ ა ზ ი — მ ე ტ ა დ გა ლ ა მ ა ზ დ ა მ ე ტ ა დ გა ლ ა მ ა ზ ე ბ უ ლ ი და მისთ., მაგრამ ამ შემთხვევაში კვლავ მოდელისმიერი გავლენით ზმნიზედები ნაწილაკებად „ნორმალიზდებიან“, რადგან მათ აღარ შეუძლიათ თავიანთი ფუნქციის შესრულება (გარემოებითი დამოკიდებულების გამოხატვა, მოქმედების ნიშან-თვისების აღნიშვნა).

ანალოგიით არის ახსნილი არაბუნებრივი ფორმა წინადადების კონსტრუქციაში; ასეთია, მაგალითად, ქვემდებარის ბრუნვის ფორ-

მა გარდაუვალ ზმნებთან მთისა და აღმოსავლურ დიალექტებში, როდესაც გარდაუვალი ზმნით გამოხატულ ზმნა-შემასმენლის ანალოგიით მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად მოთხოვნილი ბრუნვის ფორმა აქვს: დასხდნენ ერთგანა ფალავნებმა და სადილი კამეს. ადგა ბიკმა, აბსენა ღმერთი და მისთ. (იხ. ვ. თოფურიძე, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 1, გვ. 118-121).

3. 3. დ. კოლიფუნძია (სინტაქსური ომონიმია)

ზოგადად ომონიმი შეიძლება ეწოდოს ორ ან მეტ ნიშანს, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე აღმნიშვნელი და განსხვავებული აღსანიშნი. ომონიმის ცნება სიტყვის მრავალმნიშვნელობას უკავშირდება. იგი ლექსიკურ-სემანტიკური რიგის მოვლენაა, რომლისათვისაც დამახასიათებელია ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის სხვადასხვაგვარი სემანტიკა: მაგ.: ხელი: 1) ადამიანის სხეულის ნაწილი, 2) გიჟი, გადარეული (შენგან ბრძენი ხელად რებდეს: ა. ჭავ.), 3) ჭერობა (ერთი ხელი ითამაშა), 4) ნივთთა ნაკრები (ერთი ხელი ტანსაცმელი) და ა. შ. ომონიმთა წარმომავლობის გზა ნაირგვარია, მათგან ძირითადია: 1) ფონეტიკური ცვლილება ენაში; შდრ.: ხერხი: ა) ხერხი, ბ) ხერხი (←ჭერჯი); ჯერჯი სჯობია ღონესა; ხელი (←გელი) და სხვ. 2) ნასესხები ახ, საერთოდ, სხვა ენიდან შემოსული სიტყვები; შდრ.: ბალი — ხილი, ბალი — ცნობილი ენათმეცნიერი, ენევის ენათმეცნიერული სკოლის წარმომადგენელი, ბალი — შეფასების ერთეული (სამბალიანი სისტემა), ბალი — მეჯლისი და სხვ.

აღნიშნავენ ომონიმებს სხვადასხვა დონეზე: 1) ომონიმი (რეგულარულად მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა); 2) ომოფორმა (გრამატიკული ფორმების ფაკულტატიური დამთხვევა; მაგ., გთხოვთ მე თქვენ მას ჩვენ შენ მასის თქვენ მას..), 3) ომოფონი (სხვადასხვა სიტყვა, რომლებიც წარმოთქმით ემთხვევა ერთმანეთს); შდრ. რუს. компания — кампания.

ომონიმისას ასხვავებენ პოლისემიისაგან და აღნიშნავენ მის არსებობის ნიშანს — პეტეროგენულობას, ნაირგვარ წარმოშობას (იხ. არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 189-190. ბ. ფოჩხუა. ომონიმია და პოლისემია. იკე, IX-X, 1958, გვ. 33. საკითხის მიმოხილვა იხ. ბ. ფოჩხუას დასახ. ნაშრომში, გვ. 13-26). როგორც წესი, ომონიმიად ჩათვლილია ლექსიკურ მნიშვნელობათა დამთხვევა, რითაც ომონიმები განსხვავდებიან ომოფორმების, ომოფონებისა თუ ომოგრაფებისაგან.

ფართო მნიშვნელობით სინტაქსურ ომონიმად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი წინადადება, რომელსაც ერთზე მეტი ინტერპრეტაცია აქვს. ამ მხრივ ყოველი სტრუქტურული ფორმულა შეიძლება ომონიმური იყოს, რადგან მისი ინტერპრეტაცია ქმნის ომონიმურ ვარიანტებს, მაგრამ ომონიმია უფრო მეტად დაკავშირებულია ფუნქციურ კლასებთან, სწორედ ამიტომაც, რომ იგი ლექსიკურ-სემანტიკური დონის მოვლენად მიაჩნიათ (იხ. მაგ., E. И. Шендельс. О грамматической омонимии. Журн. «Иностранные языки в школе», 1955, № 6, გვ. 16).

სინტაქსურ დონეზე ომონიმია (სინტაქსური ომონიმია) დაკავშირებულია ფუნქციურ ამფიბოლიასთან, რომლის დროსაც სინტაქსურ ერთეულთა ნაირგვარი განლაგება სხვადასხვა გაგებას ქმნის. აღსანიშნავია, რომ ლექსიკურ ომონიმიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სტრუქტურისათვის, რადგან სინტაქსურ ერთეულთა ვალენტობის რეალიზაციის (სინტაქსური დისტრიბუციის) შედეგად შესტდება არა მარტო ომონიმის, არამედ ნებისმიერი სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა (იხ. 3. 4. ბ. ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია); მაგრამ რიგ შემთხვევაში გვაქვს სინტაქსურ ერთეულთა თავისებური განლაგება, რის შედეგადაც ირღვევა სიტყვათშეხამების გრამატიკული და ლექსიკურ-სემანტიკური (უპირატესად მეორე) ნორმა; ასეთია, მაგალითად, ე. წ. „პრედიკატული“ განსაზღვრება ქართულში (ის გაბრაზებული დაპარაკობდა). ომონიმია შეინიშნება ავრეთვე ტრანსფორმაციის ან სინტაქსური ასიმილაციის შედეგად ფუნქციურ ერთეულთა დამთხვევისას (ხის კიბე — ხის მოჭრა; ქვის გათლა — ქვის ღობე).

ფუნქციურ ერთეულთა ომონიმია რეალიზებულ სტრუქტურაში გვხვდება და, არსებითად, დაკავშირებულია ლექსიკურ ერთეულთა ომონიმიასთან, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა მისთვის პოლიფუნქცია გვეწოდებინა (პოლისემიის ანალოგიით) და არა სინტაქსური ომონიმია. პოლიფუნქციური ერთეულები წინადადებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება; მათი განხილვა ძირითადად ორ დონეზე შეიძლება:

ა) პოლიფუნქცია ერთი ფუნქციური კლასის შიგნით; ასეთია, მაგალითად: ერთხელ — დროის გარემოება (მეფე დავითს, ჟრბალატს, ჰქონდა ერთხელ წვეულება; ა. წ.), ვითარების (ჯერობის) გარემოება (ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში ქართველ ქალთა უნახვრება; ა. წ.) და მისთ.

ბ) პოლიფუნქცია სხვადასხვა ფუნქციურ კლასებს შორის; (ამ შემთხვევაში მას შეიძლება შეემხები ხაზი ჰქონდეს ომონიმიასთან); ასეთია, მაგალითად. ზმნიზებათა და ომონიმურ სახელთა ფუნ-

ჩქცია წინადადებაში, თუმცა ომონიმის არსებითი ნიშანი — ჰეტეროგენულობა — მათ არ ახასიათებთ. როგორც ცნობილია, ზმნიზედები შესაბამის სახელთა ტრანსფორმებს წარმოადგენენ, სახელისაგან არიან მიღებულნი. ეს პროცესი ახლაც გრძელდება. ამჟამად ზმნიზედათა კლასში გვაქვს ისეთი ერთეულები, რომელთაც ან სრულიად დაკარგული აქვთ სახელის ნიშანწყალი (ე. წ. ოდინდელი, ანუ პირველადი ზმნიზედები: აქ, იქ, გუშინ, ხვალ და ა. შ.), ან ორგვარ მდგომარეობას გვიჩვენებენ (თავიანთი კლასის შეცვლით): ხან სახელებია, ხან ზმნიზედები; მაგ.:

დღეს მერცხალი შემოფრინდა — შეეხარი ამ ბედნიერ დღეს.

რაკი მურმანმა ხელი მოჰკიდა, ეთერს მკბენარი იმავე წამს მოსცილდა (ხალხ.).— განშორების იმავე წამს მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მისთ. ან კიდევ ისეთნი, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში ზმნიზედის ფუნქციას ასრულებენ. მაგრამ საბოლოოდ სიტყვათა კლასი შეცვლილი არა აქვთ. როგორც წესი, ამგვარ ზმნიზედებს სემანტიკა რამდენამდე სახელისა შერჩათ, რის შედეგადაც თითქმის ყოველთვის მოეპოვებათ ფუნქციური ომონიმური პარალელი.

3. 3. 2. დეფექტაცია (დეფექტური კონსტრუქციები)

შესიტყვების შეკუმშვას ემსგავსება სტრუქტურის დეფექტაცია. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სტრუქტურიდან ფუნქციური ერთეულის ამოვარდნასთან („დაკარგვასთან“), რომელიც წინადადების სტრუქტურაში მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს; მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა სტრუქტურის დონეთა მიხედვით: შეკუმშვა სტრუქტურის ვერტიკალური რიგის მოვლენაა, დეფექტაცია კი ჰორიზონტალურისა. გარდა ამისა, შესიტყვების შეკუმშვის დროს ამოვარდნილი წევრის ადგილს იკავებს მისდამი დაქვემდებარებული წევრი, ხოლო დეფექტაციისას ამოვარდნილი წევრის (კოორდინატის) ადგილი ღიად რჩება ან ფაკულტატიურად (ელიფსური კონსტრუქცია), ან რეგულარულად (დეფექტური კონსტრუქცია).

ენაში ხშირად გვხვდება კონსტრუქციები, რომელთაც აკლიათ სტრუქტურულად აუცილებელი წევრი, კოორდინატი. კოორდინატთა დაკლებას უმთავრესად ზეპირი მეტყველება მიმართავს, რომლისთვისაც ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი ელიფსური ფორმები. კონსტრუქციის სტრუქტურული ელემენტების დაკლებიას ორგვარი მდგომარეობა იქმნება: პირველი, როდესაც კონსტრუქციის სტრუქტურული ელემენტი რეალურად არაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი აღდგენა როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე

სემანტიკურ-ლოგიკური თვალსაზრისით საესებით შესაძლებელია (სასკოლო გრამატიკის ტერმინოლოგიით — „იგულისხმება“); ეს, საერთოდ, უნდა ჩაითვალოს არა დეფექტურ კონსტრუქციად, არამედ ნორმალური კონსტრუქციის სტილურ ვარიანტად (მეტყველების ელიფსურ ფორმად), მაგრამ არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კონსტრუქციის სტრუქტურულად აუცილებელი ელემენტი არ არის და რეალურად მისი აღდგენა (ახლა, ენის თანამედროვე წყობისათვის) არ შეიძლება.

სპეციალურ ლიტერატურაში (სლავურ ენათა მიხედვით) საესებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ქვემდებარე და შემასმენელი წარმოადგენენ წინადადების წევრებს, რომლებიც ერთერთს განაპირობებენ. არ შეიძლება იყოს ნორმალური (არაელიფსური) კონსტრუქცია, რომელშიც იქნება შემასმენელი ქვემდებარის გარეშე და პირუკუ.

ერთშემადგენლიან წინადადებაში არ არის არც ქვემდებარე და არც შემასმენელი, რადგან ურთიერთშეპირობებულობა გამორიცხებულია. იქ არის მხოლოდ სინტაქსური ცენტრი, რომლის ჩათვლა ქვემდებარედ ან შემასმენლად მორფოლოგიის გავლენით არის განოწვეული. მართლაც დეფექტურ კონსტრუქციებში შემასმენლად გამოყენებულია ე. წ. პირნაკლი ზმნები, მაგრამ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც პირი შეესაბამება „დაკარგულს“ მაგალითად, თვით ყველაზე სტაბილურად „დეფექტურ“ ზმნებშიც, როგორცაა: წვიმს, თოვს, ღამდება და სხვ., იგულისხმება შესაბამისი მორფოლოგიური პირი: (ის) წვიმს და ა. შ., მაგრამ მისი სინტაქსური რეალიზაცია უკვე აღარ ხდება, ამდენად კოორდინაციული დამოკიდებულებაც აღარ არის, ურთიერთგანპირობებულობა იშლება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთწევრა წინადადებაში ისე მცირეა, რომ სამართლიანადაა ჩათვლილი ორწევრა წინადადებათა კერძო შემთხვევად (იხ. I. R i e s. Was ist ein Satz, გვ. 70).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : საყურადღებოა, რომ დასავლეთევროპულ ენებში სიტყვათა მყარი წყობის შედეგად დეფექტურ კონსტრუქციებში შემონახულია S-ის გრამატიკული რეალიზაცია, მაგ.: es, it, il – Es regnet, It's (It is) raining, Il pleut – წ ვ ი მ ს და მისთ.

პირველი ჯგუფის დროებითდეფექტური (ელიფსური) კონსტრუქციისათვის მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. თუ აზრის გარკვეულ მონაკვეთში (კონტექსტში) კონსტრუქციის ერთ-ერთი ან რამდენიმე სტრუქტურული ელემენტი ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება, მეტყველება, რომელიც, საერთოდ, მისწრაფის ლაკონიურობისაკენ, აღარ იმეორებს ამ ერთეულს. ასეთი მდგომარეობა

ალიან. ხშირად გვაქვს დიალოგებში, სადაც ზოგჯერ კონსტრუქციის არც ერთი ერთეული არაა (უმთავრესად ლაკონიურობის გამო), რაც განპირობებულია ზეპირი მეტყველების სიტუაციური ხასიათით.

ელიფსურია აგრეთვე კონსტრუქცია, რომელშიც ნაცვალსახელია გამოტოვებული. I და II პირის ნაცვალსახელთა გამოყენების არე შედარებით ზუსტია, რადგანაც ისინი თავისებურად მყარად არიან ასახული ზმნა-შემასმენელში; ამიტომ მათი ხმარება თუ უხმარებლობა არ ეტყობა კონსტრუქციას (ლოგიკურის გამოხატვის თვალსაზრისით).

რა ფორმითაც უნდა იყოს წარმოდგენილი ელიფსური კონსტრუქცია, იგი მაინც რ ე ა ლ უ რ ი ა. ვინაიდან მასში წარმოდგენილია ან ადვილად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ყველა მისი სტრუქტურულად აუცილებელი ელემენტი.

სულ სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს კონსტრუქციებში, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სტრუქტურული ელემენტი დაკარგულია და აღარ აღდგება, თუმცა ხელშესახები კვალი მაინც რჩება, ერთი მხრივ, ზმნის მორფოლოგიურ ფორმაში პირის ნიშნის სახით; მაგ., მე მ-ძინავს იგი (ძილი) (მდრ. „ჩვენ დედის გულში ვიქნებით, ც ი ლ ს ა ც არ დაიძინებსა“; ხალხ.). ხოლო, მეორე მხრივ, სრულ. ნორმალური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ფორმების შენახვის გზით.

გრამატიკულ ლიტერატურაში დეფექტური კონსტრუქციები ხშირად ყოფილა მსჯელობის საგანი. მათ, ჩვეულებრივ, ერთშემადგენლიანი წინადადების სახით განიხილავენ ხოლმე. სამწუხაროდ, დეფექტაცია განხილულია მხოლოდ სუბიექტის (ქვემდებარის) მიხედვით და ამიტომ აღნიშნავენ უსუბიექტო, განზოგადებულპირიან და განუსაზღვრელპირიან (ქვემდებარეაუჩინარებულ) წინადადებებს, რომელთაც აერთიანებენ ერთ ტერმინში — უქვემდებარო წინადადება (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკა, ნ. II, 1960, გვ. 59-60; ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე. ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1958, გვ. 152-156; ა. კ ი ზ ი რ ი ა. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 101-110; ნ. ბასილაია. ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის ახალ ქართულში. ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X-XI, 1958, გვ. 370). ეს გარემოება დაზუსტებას მოითხოვს. როგორც ცნობილია, ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელია ორკომპონენტიანი ნომინატიური კონსტრუქცია, ამდენად ამ ენებში დეფექტაცია მხოლოდ სუბიექტის მიხედვით წარმოებს. ქართული წინადადების კონსტრუქცია შეიძლება იყოს არა მარტო ორკომპო-

ნენტიანი, არამედ სამ და ოთხკომპონენტური კი. ამდენად დედექტაცია შესაძლებელია როგორც ქვემდებარის, ისე დამატებითა მიხედვით. ერთშემადგენლიანი წინადადება დედექტური კონსტრუქციის ერთ-ერთი და არა ერთადერთი სახეა.

საზოგადოდ, დედექტური კონსტრუქციის მიღების საფუძველი სტრუქტურული ელემენტების დაკარგვაა, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ზმნის მორფოლოგიაზე (პირის დაკლება). ამ მოვლენას რამდენიმე სხვადასხვაგვარი მიზეზი აქვს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დედექტური კონსტრუქციების დაჯგუფებაც.

გარკვეულ თავისებურებებს იჩენენ ზმნები, რომლებიც მიღებულია შედგენილ შემასმენლისაგან (დღე ცხელ არს—დღეს ცხელა; დღე ცივ არს—დღეს ცივა). აქ სტრუქტურული ელემენტის დაკარგვასთან გვაქვს საქმე და ეს სტრუქტურული ელემენტი რეალურად აღარ აღდგება. ამ ტიპის ზმნათა მორფოლოგიისათვის დამახასიათებელია პირნაკლობა ცალკეული მწკრივების მიხედვით. მათ მხოლოდ III სუბიექტური პირის ფორმა აქვთ (ცივა, ცხელა). I და II პირთა ფორმები (ცივ-ვარ, ცივ-ხარ; ცხელ-ვარ, ცხელ-ხარ) შეუძლებელია. იმავე დროს ეს ზმნები მწკრივნაკლია უღლების სისტემაში. მათ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები გააჩნიათ (ცივა, ცი(ვ)-ოდა, ცი(ვ)ოდეს; ცხელა, ცხელოდა, ცხელოდეს), დანარჩენებს ისინი სესხულობენ დინამიკური ვნებითისაგან (ეცივება, ეცივებოდა... ეცხელება, ეცხელებოდეს...), თუმცა ყველა მწკრივის ფორმათა შევსებას ვერ ახერხებენ.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ შედგენილი შემასმენლის „გაზმნავება“ (ზმნური თავისებებით გამდიდრება) უფრო შორს მიდის: ამ ტიპის ზმნებს ობიექტური წყობა უჩნდებათ; მაგ.:

მ-ცივა, გ-ცივა, ს-ცივა←ცივა+ბრუნვაუცვლელი ობიექტი.

მ-ცხელა, გ-ცხელა, ს-ცხელა←ცხელა+ბრუნვაუცვლელი ობიექტი.

მიუხედავად ამისა, სუბიექტური პირის იმპერსონალიზაცია მაინც უცვლელად რჩება.

ამავე რიგში თავსდება რიგი იმპერსონალური ზმნები, რომელთაც წინადადების კონსტრუქციაში აღარ მოეპოვებათ სტრუქტურული ელემენტი (სუბიექტური პირის სარეალიზაციო ერთეული). ასეთია ზმნები: მძინავს, მშია, მწყურია, მღვიძავს და სხვ. კონსტრუქციული თავისებურებებით მათ უახლოვდება ზმნები: მიყვარს, მძულს, მხურავს, მაცვია და სხვ., მაგრამ, პირველთაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელი შემონახული აქვთ კონსტრუქციის სტრუქტურული ელემენტები (უყვარს ვიას ვაშლი). ამგვარი გაგება ზოგჯერ იმპერსონალურ ზმნასაც აქვს (მშია პური,

მწყურია წყალი...). იმპერსონალურ თვისებებს გვიჩვენებს აგრეთვე ე. წ. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამომხატველი ზმნე-ბი: მაციებს, მაყრყოლებს, მაკანკალებს და სხვ., რომლებიც წინა-დადების კონსტრუქციაში იმპერსონალურ გაგებას უმეტესად მაშინ ატარებენ, როდესაც მათი ობიექტი სულიერ საგანთა სახელითაა რეალიზებული; შდრ. აღმოსავლეთის ქარი აცხელებს ჰაერს, ჩრდი-ლოეთისა აცივებს — ავადმყოფს ხან აცხელებს, ხან აცივებს.

ხშირად დეფექტურია იცის ზმნაც: მაგ.,

შხამიანი გველი ბევრი იცის მხოლოდ ცხელს ქვეყნებში (ი. გოგ.) და მისთ.: შდრ. იცის ბავშვმა გაკვეთილი.

დეფექტურ კონსტრუქციას ქმნიან აგრეთვე ზმნები, რომელ-თაც ზმნის ფუძის ანალოგიური სახელი ეხამება. „ამ ტიპის ზმნებში ჯერ კიდევ საგრძნობია სახელადი ფუძის გამოყენება, ნასახელარი წარმოების შინაარსი“ (ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. ზმნის ძირითადი კატეგო-რიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 211); მაგ.:

წვიმა — წვიმს (შდრ. წვიმა წვიმს მათ თავზე; გაჟა)

ქარი — ქრის

თოვ(ი)ლი — თოვს

ლამე — ლამდება

ბინდი — ბინდდება და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტის ცნება თვით ამ ზმნათა სემანტიკაშია გამოხატული. ფრანგულ გამოთ-ქმაში *il fait froid* (ცივა) პირის ნაცვალსახელი ადვი-ლად შეიძლება გავიგოთ, როგორც შესაბამისი არსებითი სახე-ლის ნაცვალი: *le froid fait froid* — სიცივე ცივა ← ცივ არს (იხ. *И. И. Мещанинов. Члены предложения и части речи. М., 1945, გვ. 250*).

კონსტრუქციათა დეფექტაცია, როგორც ზემოთაც არის აღ-ნიშნული, მხოლოდ სუბიექტურის პირის სარეალიზაციო ერთე-ულთა მიხედვით არ ხდება. შესაძლებელია დეფექტაცია ობიექტურ პირთა მიხედვითაც მოხდეს. აკლდება, ჩვეულებრივ, ნივთის ობიექ-ტი. რასაც ზმნის გარდამავლობის დაკარგვა მოჰყვება ხოლმე (ბრუნვა-ცვალებადი ობიექტური პირის დაკარგვის თვალსაზრისით). მაგრამ კონსტრუქცია მაინც გარდამავალი ზმნისა რჩება; მაგ.:

უთვალთვალა მან მას; შდრ: გააყოლა თვალი მან მას.

სცემა მან მას — სცემა მან მას (*ჯოხი).

ჩაუნისკარტა მან მას — ჩასცხო ნისკარტი მან მას.

უკირკიტა მან მას — დაუწყო კირკიტი მან მას.

დაუყვავა მან მას — დაუწყო დაყვავება მან მას.

ზოგჯერ ენა დეფექტური კონსტრუქციის ფორმებს „მოაწეს-რიგებს“ ხოლმე, უგულებს რა სათანადო ზმნის თავისებურებებს:

დაუწყო გინება მან მას — აგინა მან მას — აგინა მან იგი.
ნორმალიზებას ზოგჯერ გარეგნულად მსგავსი „საზიარო“ ფორ-

მები უწყობს ბელს:

დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა გაიხადა (ვტ); შდრ. დედოფალი შეიმოსა.

ჯანღმა აიყარა — ჯანღი აიყარა (ვაეა)

წყლის დონემ აიწია — წყლის დონე აიწია და სხვ.

ზმნის გარდამავლობა მისი ვალენტობის რეალიზების მიხედვით დგინდება; მაშასადამე, გარდამავლობა სათანადო კოორდინატის შეხამების გზით გამოიხატება, იგი რამდენადმე დაკავშირებულია ზმნის სემანტიკასთან, მაგრამ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთქმელის მიზანდასახულობას (წინადადების აქტუალიზებას), რომლის საფუძველზე „შეიძლება, რომ ზმნა, ერთ შემთხვევაში გარდამავალი, სხვა შემთხვევაში — გარდაუვალი გახდეს. მოლაპარაკე ადამიანს შეუძლია სამოქმედო ობიექტი სრულიად განაყენოს მოქმედებისაგან და ამით გარდამავალი ზმნა გარდაუვალი გახადოს“ (ა. შ ა ნ ი ძ ე. ზმნათა გარდამავლობის პრობლემისათვის ქართველურ ენებში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესია, 1939 წლის 27-30 სექტემბერი, თეზისები, გვ. 17).

ობიექტური პირის დაკარგვის (და შესაბამისად დეფექტური კონსტრუქციის მიღების) მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ფორმათა სესხება-შენაცვლება. ასეთია, მაგალითად, კონსტრუქცია, რომლის შემასმენლად მედიაოქტივი ზმნა არის გამოყენებული. ამ ტიპის ზმნებს. როგორც ცნობილია, საკუთარი წარმოებისა მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვთ, დანარჩენს ინაცვლებენ სათანადო ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან ამა თუ იმ ქცევის ფორმით. ერთპირიანნი — სათავისო ქცევისას, ხოლო ორპირიანნი — სასწავისოსას; მაგ.:

ძირითადი

შენაცვლებული

დულს, დულდა, დულდეს

— იდულებს, იდულებდა, იდულებდეს, იდულა, იდულოს, უდულია, ედულა, ედულოს.

სდარაჯობს, სდარაჯობდა
სდარაჯობდეს

— უდარაჯებს, უდარაჯებდა, უდარაჯებდეს, უდარაჯა, უდარაჯოს, უდარაჯ(ნ)ია, ედარაჯ(ნ)ა, ედარაჯოს.

შენაცვლების შედეგად ახალი ფორმა ინარჩუნებს თავის კონსტრუქციას ფორმის თვალსაზრისით.

შენიშვნა: ამ მხრივ აზრთა რამდენადმე ნაირგვარობას ვხვდებით: ი. სიხარულიძის სასკოლო გრამატიკაში (ი. სიხარულიძე. ქართული ენის გრამატიკა. თბ., 1937) შენაცვლებული ფორმები მაინც გრადამავალ ზმნებადაა გაგებული. ხოლო შესანაცვლებელი დატოვებულია გარდაუვალთა კლასში (იბ. გვ. 85), ალ. ლლონტის აზრით, ასეთი ზმნები (როგორც საზოგადოდ პირდაპირობიექტდაკარგული, ისე შენაცვლებული) უპირდაპირობიექტო გარდამავალი ზმნებია (იბ. ალ. ლლონტი. ობიექტური წყობის ზმნის ერთი სინტაქსური თვისებისათვის ქართულში. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1947, გვ. 114; მისივე, მიცემითი ბრუნვის ძირითადი სინტაქსური ფუნქციებისათვის ახალ ქართულში. სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1958, გვ. 369).

როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, შენაცვლების შედეგად ზმნათა გარდამავლობის გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ მათს პირდაპირობიექტურ პირს უნდა დაუკავშირდეს და ამიტომ ეს ზმნები (მოცოცხა და იცოცხლა ტიპებისა) გარდაუვალთა (მედიაქტიურ) კლასში ინაცვლებენ, მაგრამ შერჩენილ კოორდინატებთან ისინი გარდამავალი ზმნის თვისებებს რომ ინარჩუნებენ, ეს წინა ვითარების გადმონაშთია და მათ ზმნათა გარდამავლობასთან კავშირი აღარა აქვთ; მაგრამ შემნაცვლებელი გავლენას ახდენს კოორდინატთა რაოდენობაზე; შენაცვლებული, „ნასესხები“ ფორმა ეგუება ძირითადის კონსტრუქციულ ნახაზს; სამკომპონენტია იქცევა ორკომპონენტია, ხოლო ოთხკომპონენტია — სამკომპონენტიანად; მაგალითად:

ბტის იგი — იხტუნებს იგი (მას), იხტუნა მან (იგი).

ჰლალატობს იგი მას — უღალატებს იგი მას (მას), უღალატა მან მას (იგი) და სხვ.

როგორიც უნდა იყოს დეფექტური კონსტრუქციის მიღების მიზეზი (პირის დაკარგვა, ზმნის შენაცვლება), კონსტრუქცია მაინც ინარჩუნებს თავის ფორმებს იმ კომპონენტებში, რომლებიც მას შერჩა. ფორმის მხრივ დეფექტური კონსტრუქცია არ განსხვავდება ნორმალურისაგან; განსხვავება მათ შორის მხოლოდ კოორდინატთა რაოდენობაშია.

ფორმათა შენაცვლება შეიძლება მედიო-პასიურიც იყოს, მაგრამ ამ შენაცვლებას კონსტრუქციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან გარდაუვალი ენაცვლება გარდაუვალს; მაშასადამე, კონსტრუქცია ფორმის მიხედვით არ იცვლება. ერთი რამ კი აღსანიშნა-

ვია: მედიოპასივი საერთოდ ვერ ქმნის კონსტრუქციას (ვინაიდან არა აქვს მწყრივის ფორმები) II სერიაში.

გარკვეულ თავისებურებას იჩენენ ზმნები, რომელთაც არა აქვთ მხოლოდობითი რიცხვის ფორმები. ეს მოვლენა თავით ზმნის სემანტიკით არის განპირობებული; მაგ.: მოვიყარეთ (თავი), დავჯგუფდით, დავსხედით, ჩავცვივდით, შემოვართყით (ალყა) და სხვ. ზოგჯერ შესაძლებელია სუბლექტიურ ფორმათა შეხამება; მაგ.: ჩავცვივდით — ჩავვართდი, დავსხედით — დავჯეჭვი და სხვ., ამ შემთხვევაში კონსტრუქცია დეფექტური აღარ იქნება, მაგრამ ზოგიერთ ზმნას სუბლექტიური ფორმაც არ შეესატყვისება; მაგ.:

მოვიყარეთ თავი — (მოვიყარე თავი)

შევჯგუფდით — (შევჯგუფდი) და სხვ.

ამრიგად, ზმნის პირნაკლობასა და დეფექტურ კონსტრუქციებს შორის გარკვეული ურთიერთკავშირია. პირნაკლი ზმნები დეფექტური კონსტრუქციის საფუძველია, მაგრამ თავით ამ ზმნათა პირნაკლობა კონსტრუქციაში მათი პირების რეალიზაციის შეუძლებლობით არის გამოწვეული. დეფექტაციას — „იმპერსონალიას მოვლენები და მდგომარეობანი აქვს თავის საგნად ნაგულისხმევი და არა საგნები. ენას მოვლენათა და მდგომარეობათა გამოსახატავად მართო ზმნის ფორმა აქვს თავის განკარგულებაში“ (დ. უზნაძე).

Impersonalia. ურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 1, გვ. 14 და შემდ.).

3. 3. 3. ბარდაძეცევა (ტრანსფორმაცია)

გარდაქცევა, ანუ ტრანსფორმაცია, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც შეიძლება ენის სამივე დონეზე შეგვეხედეს. ამ მოვლენას თანამედროვე ენათმეცნიერებაში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევიან და სინტაქსური ანალიზის ერთ-ერთ ძირითად (ზოგჯერ უნივერსალურ) მეთოდად მიაჩნიათ იგი. ტრანსფორმაციული მეთოდი ე. წ. უშუალო შემადგენელთა მეთოდის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ტრანსფორმაციული მეთოდის დახასიათება, იგი საკმაოდ ფართოდაა მიმოხილული სპეციალურ ლიტერატურაში (დასახელება იხ. ზემოთ, 1. 9. დ. ტრანსფორმაციული მეთოდი). ჩვენ უფრო მეტად გვიანტერესებს მისი გავლენა წინადადების სტრუქტურაზე.

სინტაქსური ანალიზის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ტრანსფორმაციის ორ მხარეზე: 1) სტრუქტურის გარდაქცევასა და 2) სტრუქტურულ ერთეულთა გარდაქცევაზე. პირველი სუბიექტური (მაგ., მთქმელის მიზანდასახულობა) და ობიექტური (მაგ., მო-

მედების შეფარდება დროის მომენტთან) მიზეზებითაა განპირობებული და უფრო ახლო მიმართებაშია ალსანიშნთან (ობიექტური რეალობის ფაქტებსა და მოვლენებთან), ხოლო მეორე (ელემენტთა გარდაქცევა) პირველის გავლენითაა გამოწვეული. მეორეული მიმართებაა და ყოველთვის ითვალისწინებს წინადადების სტრუქტურის მოთხოვნებს. ყოველგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც წინადადების სტრუქტურის შიგნით ხდება, თვით სტრუქტურის ტრანსფორმაციით არის გამოწვეული, განურჩევლად იმისა, ტრანსფორმაცია მოუდის წინადადების სტრუქტურას, თუ თვით წინადადებას. ტრანსფორმაციის შედეგად იქმნება წინადადებისა და სტრუქტურის ვარიანტები.

ფართო მნიშვნელობით ტრანსფორმაციაში ნაგულისხმევია შემდეგნაირი გარდაქცევა:

1) სტრუქტურის ელემენტთა გადანაცვლება, ელემენტთა წყობისა და რიგის შეცვლა.

2) მორფოლოგიური ფორმის შეცვლა (ზმნის ცვალებადობა პირისა და რიცხვის მიხედვით, სახელთა ცვალებადობა ბრუნვის მიხედვით),

3) ლექსიკური გარდაქცევა (დერივაცია),

4) ფუნქციური (სინტაქსური) კლასის შენაცვლება,

5) ფუნქციურ ელემენტთა დამატება სტრუქტურაში ან წინადადებაში.

6) წინადადებათა სტრუქტურული ტიპების შეცვლა.

სინტაქსური ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნეს დიაქრონიულ კრილშიც, როგორც წინადადების სტრუქტურათა ისტორიული განვითარების შედეგი, და სინქრონიულ კრილშიც, როგორც წინადადების ან სტრუქტურის ვარიანტთა შექმნელი საშუალება. პირველ შემთხვევაში ტრანსფორმაცია წინადადების კონსტრუქციის მოუდის და რამდენადმე მის წინა ვითარების რეკონსტრუქციასთან არის დაკავშირებული (იხ. 4. 3. გ. ბირთვული კონსტრუქციები; კონსტრუქციათა ტრანსფორმაცია). ხოლო მეორე შემთხვევაში განსახილველია სტრუქტურის გარდაქცევა წინადადებად (იხ. 2. 5. ა. წინადადების აქტუალიზება), აგრეთვე წინადადებათა ნაირგვარი გარდაქცევა (რთული → მარტივი; სრული → უსრული და მისთ).

* * *

ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ წინადადების დონის მოვლენები, რომელთაგან, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზოგს მეტი მნიშვნელობა აქვს სტრუქტურისათვის, ზოგს — ნაკლები. კვლავ უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ აღნიშნული მოვლენები ძალიან ზოგა-

დად მიმოვიხილეთ. თითოეულ მათგანს აქვს რიგი თავისებურებანი, რომლებიც სავსებით საკმარისია მაღალი დონის კვლევისათვის. სინტაქსური მოვლენები იზოლირებულად არ მოქმედებენ ისინი ხშირად ერთურთს განაპირობებენ ან გავლენას ახდენენ ერთურთზე, მაგრამ, სტრუქტურის ფუნქციურ ერთეულებზე გავლენის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ისინი შეიძლება ერთი დიდი მოვლენის წინაპირობებად განვიხილოთ. ამ მოვლენად სინტაქსური ასიმილაცია მიგვაჩნია. ანალოგიური, ტრანსფორმირებული, შესიტყვების შეკუმშვის შემდეგ მიღებული თუ სხვა ერთეულები იცვლიან თავიანთ ადგილს სტრუქტურულ მოდელში და ახალ ურთიერთობას ქმნიან. მოდელის გავლენით ხდება მათი შეგუება (ასიმილაცია) ახალ ვითარებასთან, რაც გავლენას ახდენს სტრუქტურულ-ფუნქციური ერთეულის მიმართებაზე ახალ წევრთან, ხდება სიტყვათა ფუნქციური კლასის შეცვლა, რასაც საკმაოდ ხშირად ლექსიკურ-მორფოლოგიური კლასის შეცვლა მოჰყვება ხოლმე.

3. ვ. ზ. სინტაქსური ასიმილაცია (სიტყვათა კლასის შენაცვლება)

რიგი მოვლენები, რომლებიც წინადადების დონეზე ხდება, ხშირად იწვევენ სინტაქსური ერთეულის ფუნქციის შეცვლას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეულ სიტყვას თავის „სიტყვაფორმისა“ თუ „ტიპოფორმის“ (მეტყველების ნაწილის) დონეზე გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა, როგორც ენის ძირითადი ერთეული, თავიდან მოცემულია იმ ფორმითა და შინაარსით, რომლითაც იგი იხმარება ამჟამად ენაში. სიტყვა იცვლება როგორც თავისი ლექსიკურ-სემანტიკური შინაარსის მხრივ, ისე ფორმის მხრივაც. უფრო ადრე იცვლება სიტყვის ფუნქცია. ხოლო ფორმობრივ თავისებურებათა შეცვლა მეორეული მოვლენაა. სიტყვა იცვლის თავის კლასს და ახალ ნიშანთვისებებს იძენს.

სიტყვათა კლასის შენაცვლება ნაირგვარი გზით ხდება: მათგან მთავარია ორი: ა) ლექსიკური ტრანსფორმაცია (სიტყვათწარმოება) და ბ) წინადადებაში ლოგიკურ-გრამატიკული ფუნქციის შეცვლა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ენობრივი ფაქტი ან მოვლენა ერთი ფენის განკარგულებაში არ რჩება. იგი ხშირად იცვლის ადგილს მოდელში, რაც მეტყველებაში მისი ფუნქციის შეცვლის შედეგია.

სიტყვათა კლასის შენაცვლების ნორმალური გზა სიტყვათწარმოებაა, რომელიც ლექსიკოლოგიის სფეროს განეკუთვნება (ა. ლ. ლ. ო. ტ. ი. ქართული ლექსიკოლოგია, გვ. 86.), რამდენადაც სიტყვის სემანტიკისა და შესაბამისად მისი ფუნქციის შეცვლა სათანა-

დო ლექსიკური პროცესის (მოვლენის), დერივაციის, ანუ წარმოქმნის, საფუძველზე ხდება. დერივაცია (ლექსიკური ტრანსფორმაცია), როგორც სემანტიკის მცვლელი მოვლენა, უპირისპირდება ფლექსიას, როგორც ფორმისმცვლელ მოვლენას. თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური დანიშნულება და შინაარსი აქვს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათ შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, „ერთი და იგივე მორფემა შეიძლება სასიტყვათშორისო ურთიერთობის შესაცვლელად იქნეს გამოყენებული და ლექსიკური მნიშვნელობის შესაცვლელადაც. ე. ი. მიმოხრასაც განეკუთვნებოდეს და წარმოქმნასაც“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, 'ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 33.), ე. ი. საწარმოქმნო აფიქსად შეიძლება დამოკიდებულებისა მოგვევლინოს; მაგალითად, ბრუნება ფორმაცვლილების კატეგორიაა, ბრუნვის ნიშანი დამოკიდებულების აფიქსია, მაგრამ სიტყვებში: მ-ის-ი, თავ-ის-ი, გულ-ით-ად-ი და მრ. სხვ. „ბრუნვის ნიშნები“ უკვე აღარ ქმნიან დამოკიდებულებას: მაშასადამე. სიტყვები არც ამ ნიშანთა შესაბამის ბრუნვებში რჩებიან და ახალ დამოკიდებულებას ქმნიან შესაბამისი ახალი მორფით, ხოლო ძველი უკვე აღარ არის ბრუნვის ნიშანი, იგი ფუნქციონირება ხდება. პირიქით, ჩვეულებრივ, არ ხდება: წარმოქმნის აფიქსი (დერივატი). დამოკიდებულებას არ ამყარებს სიტყვათა შორის (უშუალოდ).

ასეა თუ ისე, სიტყვათწარმოქმნა ამა თუ იმ სიტყვას მნიშვნელობას უცვლის, რასაც ფუნქციის შეცვლა მოჰყვება ხოლმე, რომელიც, თავის მხრივ, სიტყვის ფორმოზომიერ თვისებებზე ახდენს გავლენას. სიტყვათწარმოების ბაზა ძალიან დიდია. ამ მხრივ ნებისმიერი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი შეიძლება წარმოქმნის ბაზა გახდეს, მაგრამ უშუალოდ არა ყველა, არამედ გარკვეული მეტყველების ნაწილისათვის; მაგალითად, არსებითი სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ზედსართავი და ზმნა (სახლი — უსახლო, სახლდება), მაგრამ რიცხვითსა და ნაცვალსახელებს ვერ ვაწარმოებთ; ზედსართავისაგან — არსებითი, ზმნიზედა და ზმნა (სიშავე, შავდება), რიცხვითისაგან — ზედსართავი (სამიანი, ცხრიანი. შეიღისებრი...), ნაცვალსახელისაგან — ზედსართავი (ჩვენინი. თქვენებური), ზმნიზედა (ამისათვის, ამდენჯერ...). ზმნიზედათა წარმომავლობის ბაზა ზედსართავი, რიცხვითი და, საერთოდ, სახელებია (იხ. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე. ზმნისართი ძველ ქართულში, „ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები“. I, 1959, გვ. 1-71; მ. ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე. ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში. თბ., 1955, გვ. 17-34.).

აღსანიშნავია, რომ წარმოქმნის კანონებს არ ემორჩილება ზოგიერთი მეტყველების ნაწილი, მაგალითად რიცხვითი სახელი და

რიგი ნაცვალსახელები. მეტყველების ამ ორი ნაწილის წარმომავლობის გზა სპეციფიკურია და მათი წარმოება სხვა მეტყველების ნაწილთაგან, ჩვეულებრივ, არ ხდება.

რიგი ნაცვალსახელები რიცხვითის თვისებას გვიჩვენებენ (რამდენიმე, რამდენი, იმდენი...), ზოგიერთი მათგანი რიცხვითთა კლასშიც კი გადააქვთ (ბევრი, ცოტა, მრავალი), მაგრამ ყველა მათგანს აკლია რიცხვითის ძირითადი სემანტიკური თვისება: უაღრესად კონკრეტული სემანტიკის გამოხატვა, რის გარეშეც სახელი რიცხვითი არ შეიძლება იყოს.

შენიშვნა: ბევრი, ცოტა, მრავალი რიცხვით სახელებადაა ჩათვლილი გრამატიკის საბელმძღვანელოებში, განსაკუთრებით — სასკოლოში (იხ. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 40. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი. ლ. კვაჭაძე. ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, V-VI კლასების სახელმძღვანელო, 1964, გვ. 52 და სხვ.), მაგრამ ისინი მაინც ნაცვალსახელთა თვისებას ინარჩუნებენ (სუბსტიტუციური ფუნქციას ასრულებენ). მართალია, ზემოაღნიშნული სიტყვები სინტაქსური თვალსაზრისით რიცხვითთა თავისებურებას გვიჩვენებენ, ჩვეულებრივ რაოდენობით რიცხვით სახელთა მსგავსად. ზღუდავენ საზღვრულთა რიცხვის წარმოებას. ამ სახელებთან, როგორც წესი, საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია (მდრ.: ათი წიგნი, ბევრი წიგნი და სხვ.), მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა იმისათვის, რომ ისინი რიცხვით სახელთა კლასში გადავიციხოთ. თუ ეს ასეა, მაშინ რიცხვით სახელთა კლასში უნდა გადაგვერიცხვა განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ყველა, ყოველი; ჩვენებითი ამდენი, კითხვითი რამდენი, განუსაზღვრელობითი: რამდენიმე, რამდენიღაც და სხვ.; რომელნიც ასეთსავე თვისებას აგლენენ. თვით ამ სიტყვათა (ბევრი, ცოტა, მრავალი) სემანტიკური დახასიათება, რომ ისინი რიცხვს გამოხატავენ არა კონკრეტული, არამედ განყენებული (განზოგადებული) მნიშვნელობით, სწორედ იმას ადასტურებს, რომ ეს სიტყვები ნაცვალსახელებია. ხომ არ იწვევს ეჭვს, რომ ნაცვალსახელი იმავე ფუნქციას ასრულებს და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც მის მიერ შესაანაცვლებელი სახელი, ოღონდ ზოგადად?

როგორც აღვნიშნეთ, წარმოქმნის ძირითადი დანიშნულება სიტყვათა კლასის შეცვლაა. ეს თითქმის ყველა ენაში ბუნებრივი პროცესია, მაგრამ სიტყვათა კლასის შენაცვლება შეიძლება მოხდეს წარმოქმნის გარეშე, როდესაც ესა თუ ის სიტყვა იცვლის ფუნქციას და სხვა კლასში გადადის. ამ მხრივ აღსანიშნავია კონკრეტუ-

ლი სემანტიკის მქონე სიტყვათა განზოგადება და ნაცვალსახელ-
თა კლასში გადასვლა; მაგ.:

თ ა ვ ი (არს. სახ.) დაიბანა — თ ა ვ ი (ნაცვალსახელი) ისახე-
ლა; ე რ თ ი (რიცხვ. სახ.) შეილი ჰყავდა — ე რ თ ი (ნაცვალსახე-
ლი) კაცი იყო.

კ ა ც ი მუშაობდა ყანაში — კ ა ც მ ა რომ თქვას და სხვ.

ამგვარი კლასის შენაცვლება ნაკლებად პროდუქტიულია ქარ-
თულში, მაგრამ ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც
კლასის შენაცვლება ზდება მოდელში სიტყვის ადგილის გადასაც-
ვლების შედეგად. სიტყვა ახალ გარემოცვაში ახალ მნიშვნელობას
იძენს მოდელში დაკავებული „თანრიგის“ შესაბამისად. კლასის შე-
ნაცვლების საფუძველი სინტაქსურია, რის შედეგადაც სიტყვა ახალ
მნიშვნელობას იძენს; ე. ი. ზდება სინტაქსური ასიმილაცია, რომ-
ლის მიზეზი მოდელის გავლენაა.

სინტაქსური ასიმილაცია ყოველთვის გარკვეული მოვლენის
(შესიტყვების შეკუმშვის, ანალოგიის, სინონიმის) საფუძველზე
ზდება, რომლისათვის აუცილებლად დამახასიათებელია ფუნქციუ-
რი ერთეულის „გადანაცვლება“ სტრუქტურაში, რის შედეგადაც
გადანაცვლებული ელემენტი იჩენს იმ მორფოლოგიურ თავისებუ-
რებას, რაც მის „წინამორბედ“ ელემენტს ჰქონდა, მაგრამ ამასთან
ერთად მას შეუძლია, შეინახოს ის თავისებურებანი, რომელნიც
ქელს არ უშლიან ახალ კონსტრუქციულ ვითარებას. ამ უკანას-
კნელა წინადადების სტრუქტურულ თავისებურებათა დასადგენად
ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ჩვენ ქვემოთ შევხებით
(ამჯერად ჩვენ მხოლოდ ასიმილაციის ძირითადი თავისებურება გვა-
ინტერესებს).

სინტაქსური ასიმილაცია თავისებური „ნორმალიზებაა“, რომ-
ლის დროსაც კლასშენაცვლებული ერთეული ეგუება სტრუქტუ-
რულ (მოდელისმიერ) ნორმებს; ძირითადად, ვალენტობის კანონებს.

სიტყვათა კლასის შენაცვლებას შეიძლება ისტორიული საფუძ-
ველი ჰქონდეს; მაგალითად, ძველ ქართულში ხშირია მიმლეობათა
და მასდართა შენაცვლება, უპირატესად მიმლეობათა გამოყენება
მასდარის მნიშვნელობით. რიგ შემთხვევაში ეს შეიძლება იმ არქაუ-
ლი მდგომარეობის გადმონაშთი იყო, როდესაც ენა მასდარსა და
მიმლეობას ერთურთისაგან არ განარჩევდა, ისინი არ იყო დიფერენ-
ცირებული არც წარმოებისა და არც ფუნქციის მხრივ (არნ. ჩი-
ქ ო ბ ა ვ ა. მასდარისა და მიმლეობის ისტორიული ურთიერთობისა-
თვის ქართულში. იკე, V, 1953, გვ. 48.)

როგორც აღინიშნა, გადანაცვლებისას ენობრივი ერთეული ერ-
თი ფენის განკარგულებიდან მეორეში გადადის. ამ დროს ის ემორ-

ჩილება ახალი ფენის კანონებს მხოლოდ გრამატიკის თვალსაზრისით, ხოლო ლექსიკურ თვისებებს, როგორც სემანტიკური, ისე სხვა სიტყვებთან დაკავშირების (ვალენტობის) თვალსაზრისით, ის ინარჩუნებს ან მთლიანად, ან, ყოველ შემთხვევაში, იმ მოცულობით, რომელიც ხელს არ უშლის ახალი გრამატიკული „დატვირთვის“ შესრულებას; მაშასადამე, სინტაქსური ასიმილაციის შედეგად სიტყვათა კლასის შენაცვლების საფუძველზე სრულად ხდება მხოლოდ გრამატიკული როლის შეცვლა, სხვა თვისებებს კლასშენაცვლებული სიტყვა, მართალია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ინარჩუნებს.

სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლების მხრივ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ე. წ. გაარსებითება (სუბსტანტივაცია), რაც გამოწვეულია სუბორდინაციული რიგის ელემენტების გადასვლით კოორდინაციულ რიგში: მაგ.,

მ შ ი ე რ ი გ ა ძ ლ ო მ ა ს ნ ა ტ რ ო ბ ს (ვაჟა) და მისთ.
 (აღამიანი) — ნატრობს — გაძლომას

↑
 მშვიერი

როგორც ვხედავთ, აქ სუბორდინაციული რიგის ელემენტმა (განსაზღვრებამ) დაიკავა კოორდინატის ადგილი და ასრულებს მის ფუნქციას. კოორდინაციის მუდმივი კანონის შესაბამისად იგი უნდა გაარსებითდეს, ე. ი. შეიძინოს არსებითი სახელის თვისებები, მისი ბრუნვები (სათანადო მორფებითურთ), რიცხვის წარმოების თვისება და სხვ.

განსაკუთრებით ხშირია ზედსართავი სახელების გაარსებითება. ეს ბუნებრივია, რადგან ზედსართავი, აღნიშნავს რა საგნის ნიშან-თვისებას, ყველაზე ახლოსაა არსებით სახელთან, მაგრამ მის ადგილზე გადანაცვლებისას ის უკვე რამდენადმე დამოუკიდებლობას იძენს, ხდება ნიშან-თვისებათა გასაგნობრივება; მაგ.: ას ი ტ ყ უ ი ლ ი გ ა ნ ა ე რ თ მ ა რ თ ლ ა დ (მართალ ამბად) ჩ ა ვ ე თ ე ლ ე ბ ა? (ხალხ.): შ დ რ. ქ მ ნ ა მ ა რ თ ლ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ხ ე ს ა შ ე ი ქ მ ს ხ მ ე ლ ს ა ნ ე დ ლ ა დ (ვტ) და მისთ.

ასევე ხდება რიცხვითსა და ნაცვალსახელებში; მაგ.: ლ ო მ კ ა ც უ რ ა დ შ ე ე ბ მ ო დ ა ე რ თ ი (←ერთი მეომარი) ა ს ს ა (←ას მეომარს) (ა. წ.); შ ი რ ჩ ე ვ ს: ჩ ე მ ი ო (←ჩემი საქმე) გ ი ჯ ო ბ დ ე ს შ ე ნ ს ა ს (←შენს საქმეს) (ი. ჯ.) და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელებს, საერთოდ, არ შეიძლება ახლდეთ დაქვემდებარებული წევრი, მაგრამ კლასის შენაცვლების საფუძველზე გაარსებითებულს, ჩვეულებრივ, ახლავს ხოლმე; მაგ.,



ვინც პატარა რამეს ვერ დააფასებს. ის ვერც დიდს ფასს შეხვდებაო (ხალხ.) და მისთ.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, სიტყვათა კლასის შენაცვლება ხშირად შესიტყვების შეკუმშვის საფუძველზე, პლეონაზმის თავიდან აცილების მიზნით ხდება; მაგ.: დიდსა (დიდ ნადირს) ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა (ვტ). თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა (კარგი თათბირისა) მჯობია (ვტ) და სხვ.

სიტყვათა კლასის შენაცვლების პროცესი ამჟამადც გრძელდება; იმ შემთხვევაში, როდესაც კლასის შენაცვლების პროცესი დამთავრებულია, ჩვენ უკვე აღარ ვამჩნევთ მას. მასწავლებელი, მხატვარი, მფრინავი რომ ნაზედსართავალი (ნამიმღეობარი) სახელებია, ამჟამად ამას უფრო მეტი მტკიცება სჭირდება, ვიდრე მათს არსებობას; მაგრამ, როდესაც კლასის შენაცვლების პროცესი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, ჩვენ ზოგჯერ აღარ ვიცით, საერთოდ რომელ კლასს მივაკუთვნოთ იგი; მაგალითად, თბილისში: მეტყველების რომელი ნაწილია — არსებითი თუ ზმნიზედა, ჯიბეში რა მნიშვნელობა გამოხატავს: ადგილისა (სად?) თუ საგნისა (რაში?) და სხვ.

ცალკე უნდა განვიხილოთ ზმნიზედათა გადასვლა დამხმარე სიტყვათა კლასში (თანდებულებში). ამისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ზმნიზედათა ფორმაუცვლელობას. ზოგჯერ ხდება თვით ზმნიზედაზე თანდებულის დართვა (ეს ზმნიზედები უპირატესად სახელის გაქვავებული ფორმებია) და ამით ძლიერდება ზმნიზედის „ზმნიზედურობა“ (ა. მარტიროსოვი. ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის, იკვ, XII, 1960, გვ. 234 და შმდ.), თანდებულთა კლასში გადასვლის დროს ზმნიზედა კარგავს დამოუკიდებელ სემანტიკას და ვეღარ სცილდება სახელს (მაგ.. დროს: ამ დროს. წასვლის დროს და ა. შ.; შდრ. ლიახვიციანი იხილეთ. დროს გიჟი, დროზედ ჰკვიანი; ვაჟა), რის შედეგადაც თავის თანხლებს წევრს ჩაითრევს გარემოების ფუნქციის შესრულებაში; თვით კი არ ეტმასნება თავის დაქვემდებარებულ წევრს, არამედ თავის ფუნქციას ასრულებინებს (წინ იდგა — სახლის წინ იდგა).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში თანდებულები მეტწილად სახელს კი არ დაერთოდა, არამედ ზმნიზედათა ვითარებას გვიჩვენებდა (არნ. ჩიქობავა. თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, 1961, გვ. 199).

სიტყვათა კლასის შენაცვლება შეიძლება დროებითი (ფაქულ-

ტატიური) ან მუდმივი (სტაბილური) იყოს. რიგ შემთხვევაში კლას-
შენაცვლებული სიტყვა მაგრდება თავის ადგილზე და სამუდამოდ
ეგუება მას; მაგალითად, წერილი ვნებითი გვარის მიმღობაა,
მისი სრული ასპექტის ფორმა — დაწერილი — მიმღობათა
(ნაზმნარ ზედსართავთა) კლასში დარჩა; მასწავლებელი —
მოქმედებითისა. ორივე ამ სიტყვას დაუკავშირდა სათანადო საგ-
ნობრიობის ცნება და გაარსებითდა მყარად, იმდენად სტაბილუ-
რად, რომ, როდესაც შემთხვევით მათ თავიანთი ძირითადი მნიშვნე-
ლობით ვხმარობთ (მასწავლებელი ნინო), მაშინ (სასკოლო) გრამა-
ტიკაში აღვნიშნავთ. რომ აქ არსებითი სახელი გვაქვს ზედსართავის
მნიშვნელობით, თუმცა ეს არსებითი ნამდვილი ზედსართავია (ნაზ-
მნარი).

ასეთივეა სიტყვები: მდინარე, შვილი, დიდებუ-
ლი, ნათქვამი და მისთ; მაგ.:

მდინარე აღიდდა; შდრ. არაგვიც მოქქუს მრისხანედ, ამ
დროს შავფერად მდინარე (ვაჟა).

შვილი უკვდება დედასა (ხალხ.); შდრ. შვილმა ტრედმა
სიზმარი ნახა (ვაჟა) და მისთ.

სტაბილურად კლასშენაცვლებულად ყველაზე ხშირად გვევ-
ლინებიან მოქმედებითი გვარის მიმღობანი და რაოდენობითი რიც-
ხით სახელთა წილობითი ჯგუფები.

როგორც უნდა იყოს სიტყვათა კლასის შენაცვლების საფუძვე-
ლი ან მისი ხასიათი, ამ მოვლენას, ჩვეულებრივ, მოჰყვება სინტაქ-
სური კავშირის შეცვლა. კლასშენაცვლებული ერთეული ახალ
ვითარებას „ეგუება“. აქ უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა: კლას-
შენაცვლებული ერთეული, როგორც გაბატონებული (დომინანტი)
და როგორც დაქვემდებარებული (დეპენდენტი) წევრი. როგორც
დაქვემდებარებული წევრი, კლასშენაცვლებული ერთეული ახალ
ვითარებას უყოყმანოდ ეგუება: გაარსებითებისას მართულია, ვაზე-
დსართავებისას — შეთანხმებული, გაზმნიზედებისას — მირთული.
თვით წარმოქმნის დროსაც ასეთივე მდგომარეობა გვაქვს; მაგალი-
თად, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გარდაქცევის
(ტრანსფორმაციის) დროს გვაქვს კანონი: დამოკიდებული წინადა-
დების შემასმენელი (რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნაა) იქცევა სახელ-
ზმნად და ახალ (ტრანსფორმირებულ) წინადადებაში იმ წევრის
როლს ასრულებს, რა ტიპისაც არის ესა თუ ის დამოკიდებული წი-
ნადადება: ქვემდებარულის დროს — ქვემდებარისას, დამატებითის
დროს — დამატებისას, განსაზღვრებითის დროს განსაზღვრებისას
და ა. შ. ამ ახალ წევრთა როლს ეს გარდაქცეული კლასშენაცვლე-

ბული) წევრი მაშინ შეასრულებს, როდესაც სათანადო სინტაქსური კავშირით შეეხამება მას.

როგორც აღვნიშნეთ, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს წარმოქმნის გარეშე კლასის შენაცვლებასთან.

მეორე შემთხვევაში კლასშენაცვლებული სიტყვა, როგორც გაბატონებული წევრი (დომინანტი) სულ არ კარგავს თავის ლექსიკურ-გრამატიკულ თვისებებს, დაქვემდებარებულ წევრებთან ის მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს თავის ძალას. გაზმნიზედებული თუ გაზმნიზედების გზაზე მდგარი წინადადების წევრი, რომელიც სხვა, მისდამი გაბატონებულ წევრს, მიერთვის რადგანაც ან სულ არა აქვს, ან გაქვავებული სახით აქვს შენარჩუნებული ფორმა, თავად ინარჩუნებს სინტაქსური დამოკიდებულების იმ სახეებს, რომლებიც თავის დაქვემდებარებულ წევრებთან ადრე, გაზმნიზედებამდე, ჰქონდა; მაგ.: დღეს ადრიანად აღგენ — მეორე დღეს ადრიანად აღგენ და სხვ.

სიტყვათწარმოქმნის საფუძველზე კლასის შენაცვლების დროს წინადადების სტრუქტურულ მოდელში სინტაქსური კავშირი იცვლება, მაგრამ კლასშენაცვლებულ წევრს ეკარგება ის კატეგორიები, რომლებიც შეუსაბამოა მისი ახალი მდგომარეობისათვის; სხვა მხრივ იგი ინარჩუნებს თავის ძველ სინტაქსურ კავშირს. იქმნება გარკვეული „ჰიბრიდული“ მდგომარეობა, რომელსაც განასხვავებენ ომონიმიისაგან. „ჰიბრიდული“ ერთეულების საუკეთესო ნიმუშებია სახელზმნები, რომლებიც გაბატონებული წევრის როლში ზმნათა თვისებას გვიჩვენებენ, ხოლო დაქვემდებარებული წევრისა — სახელისას. მათი ზმნური საწყისი ყველაზე მკაფიოდ ჩანს დაქვემდებარებულ წევრებთან სინტაქსურ კავშირში.

მაშასადამე, სიტყვათა კლასის შენაცვლება გარკვეული გარდამავალი („ჰიბრიდული“) საფეხურების მიხედვით ხდება. როგორც წესი, კლასშენაცვლებული წევრი ეგუება გაბატონებულ წევრის ახალ მდგომარეობას, მაგრამ სადღაც სიღრმეში მაინც ინახავს წინა ვითარებას: მაგალითად, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გარდაქცევისას ზოგჯერ აისახება მთავარში სიტყვათა კლასის შენაცვლება (იშვიათად — არა); მაგალითად, წმინდა იგი, ვისაც ეღირსა მამულიისათვის თავის დადება (ი. ჰ.). ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული ქვემდებარულია, მაგრამ აქ ქვემდებარე (იგი) ნაგანსაზღვრებელია: წმინდა იგი (კაცო). გარდაქცეული ფორმა ძველ ვითარებას ითვალისწინებს და არა ახალს, თუმცა ტრანსფორმირებულ წინადადებაში დამოკიდებულის შემასმენელი ქვემდებარედ წარმოგ-

ვიდგება, მას მაინც ემჩნევა განსაზღვრების შინაარსი: წმინდა
მამულისათვის თავდადებული (კაცი).

ამრიგად, სინტაქსური ასიმილაციის (სიტყვათა კლასის შენაც-
ვლების) შედეგად სიტყვებში გარკვეული ცვლილებები ხდება. პირ-
ველ რიგში ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ლექსიკურ-
მორფოლოგიური კლასიდან გამოსული სიტყვა კარგავს ადრინდელ
სინტაქსურ ურთიერთობას, რის შედეგადაც უსუსტდება იმ მორფე-
მათა როლი, რომლებსაც აღარა აქვთ მნიშვნელობა ახალ ვითარება-
ში დამოკიდებულებისათვის; მაგალითად, რომელიც ბრუნვამ,
რომელიც -ივ მორფით გადმოიცემოდა, აღარ შექმნა დამოკიდებუ-
ლება და უკვე ფუძის კუთვნილებად იქცა. ანალოგიურ ვითარებას
ვეჩვენებენ ბრუნვის ნიშნები: მიცემითის-ს (მაგალითად, დილას
გავიდა გემი), მოქმედებითისა-ითს-თი (საღამოთი შედგა კრება)
და სხვ. ფუნქციის დაკარგვის შედეგად მორფემები ადვილად „ემო-
რჩილებიან“ ფონეტიკურ გარდაქმნებს: ნელ-ა (ნელ-ად); შდრ.
ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა (ნ. ბართ.); კარ-
გ-ა ხანი (← კარგ-ად) და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისთავად მეტ-
ყველების ნაწილთა გადასვლას დამხმარეში; მაგალითად ზმნიზე-
ლებისა თანდებულებში: წინ (წავიდა) — (სახლის) წინ, ირგვლ-
ივ (შემოუარა) — (სახლის) ირგვლივ და მისთ. ნაწილაკები:
შეიძლება, უნდა, დაე (← დაესენ), ეგების, თითქ-
ნის (← თუ ითქმის), თითქოს (← თუ ითქვას), იქნება, ლა-
ნის, მაინც (← მაშინც), მო (← მოდი), ნეტაინეტაე (←
ნეტარ ვინ) და სხვ. აშკარად სრულმნიშვნელოვანი სიტყვები ან
სხვა მეტყველების ნაწილებთან მათი შეერთებანია (ა. შანიძე. ქარ-
თული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 635-637).

მხოლოდ კლასის სენაცვლება არ არის სიტყვათა ცვლილების
ზღვრული სახე. შეიძლება სიტყვამ სულ დაკარგოს თავისი პირვან-
დელი მნიშვნელობა-დანაშნულება და მორფემად იქცეს. ამის საუ-
კეთესო ნიმუშია (ისტორიულად) ბრუნვისა და პირის ნიშანთა გენე-
ზისი ქართულში. თანაჟედროვე ქართულის ბრუნვის ნიშანთა ეტი-
მოლოგიას ნაწევართან მივყავართ (კაც მან → კაცნ მან → კაცნმან →
კაცმან და სხვ. (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლე-
ბი, გვ. 641). შეუძლებელი არაა, რომ პირის ნიშანთა გენეზისი პირ-
ის ნაცვალსახელებს დაუკავშირდეს (იხ. არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკი-
თხი ძველ ქართულში, იკე, V, 1953, გვ. 50) და სხვ.

იმისათვის, რომ თავისთავადი მეტყველების ნაწილი დამხმარე-
თა კლასში გადავიდეს, მას სემანტიკურად რაიმე რელატიურობის



ელფერი უნდა გააჩნდეს; ამიტომაც, რომ თავისთავადობას ხშირად ისეთი სიტყვები კარგავენ, რომლებიც რაიმე მიმართებას აღნიშნავენ; მაგ.:

- | | |
|----------------------|------------------------|
| გზა→გზით | ანალიზის გზით; |
| საშუალება→საშუალებით | გარდაქმნის საშუალებით; |
| მეოხება→მეოხებით | კალკის მეოხებით; |
| ახლო→ახლოს | ხიდის ახლოს; |
| ძირი→ძირას | ტბის ძირას და სხვ. |

სიტყვათა კლასის ამგვარი შენაცვლება უნდა განვასხვაოთ ომონიმური პარალელისაგან, რადგანაც აქ უკვე არა მარტო ასიმილაცია გვაქვს, არამედ — სტაბილური შენაცვლება; სიტყვები უკვე „მორფემებად“ (ნაწილობრივ სიტყვებად) არიან ქცეულნი და ვეღარ უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას. ამ მხრივ ყოველი ანალიზური სიტყვა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სრულ და ნაწილობრივ სიტყვათა შეერთება.

სიტყვათა კლასის შენაცვლებისას სხვა ტიპის თავისთავად თუ დამხმარე მეტყველების ნაწილებად სხვადასხვა სიტყვის გარდაქცევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თავისთავადი სიტყვები (მეტყველების ნაწილები) ქმნიან ურთიერთს შორის მიმართუნას, ე. ი. გრამატიკული (სინტაქსური) დონის ერთეულებად გვევლინებიან, ხოლო დამხმარე ამ მიმართების დამყარების ერთ-ერთი საშუალებაა.

მთელ რიგ შემთხვევაში სიტყვათა კლასის შენაცვლების შედეგად ერთ-ერთი სიტყვა (ჩვეულებრივ, გაბატონებული წევრი) კარგავს დამოუკიდებლობას და ხდება სიტყვათა შერწყმა; მაგ: თავი და დო (სამშობლოს სამსხვერპლოზე) → თავი და დებული → თავ და დებული, საკინძე გაეღელა → საკინძე გაღელელი → საკინძე გაღელელი და მისთ. (უფრო დეტალურად იხ. მასდარული შეხამებანი).

3. 4. სინტაქსური მიმართება

სინტაქსური მიმართება დგინდება ორ სინტაქსურ ერთეულს შორის. როგორც აღვნიშნეთ, ეს მიმართება შეიძლება იყოს სიტყვათშეხამებაში (სიტყვებს შორის), შესიტყვებაში (სიტყვათშეხამებებს შორის) და წინადადებაში (შესიტყვებებს შორის). ამ დონეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა: ერთი მხრივ ჯგუფდება სინტაქსური ერთეულები, რომელთა მიმართება ცალმხრივია, ხოლო მეორე მხრივ — სინტაქსური ერთეულები, რომელთაც ორმხრივი მიმართება ახასიათებთ. წინადადების სტრუქტურული ერთეულები

ერთუროს სიტყვათა მეშვეობით მიემართებიან, რაც განაპირობებს წინადადების სტრუქტურის ჯაჭვურ ხასიათს; მაგ.:

იმათის ღვაწლით ამ ტაძრის მადლი მთიულთა შორის ყველგან განთქმულა. (ი. ქ.).


ამ წინადადებაში გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური ერთეულები:

ა) კონსტრუქცია: მ ა დ ლ ი გ ა ნ თ ქ მ უ ლ ა .

ბ) შესიტყვებანი: 1) ამ ტაძრის მადლი, 2) იმათის ღვაწლით მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.

გ) სიტყვათშეხამებანი: კოორდინაციული დონისა — მ ა დ ლ ი გ ა ნ თ ქ მ უ ლ ა ; სუბორდინაციული დონისა: 1) ტ ა ძ რ ი ს მ ა დ ლ ი , 2) ა მ ტ ა ძ რ ი ს , 3) მ თ ი უ ლ თ ა შ ო რ ი ს გ ა ნ თ ქ მ უ ლ ა , 4) ყ ვ ე ლ გ ა ნ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ა , 5) ღ ვ ა წ ლ ი თ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ა , 6) ი მ ა თ ი ს ღ ვ ა წ ლ ი თ .

მიმართება კარგად ჩანს სტრუქტურულ სქემაზე:



როგორც ვხედავთ, მიმართება სიტყვების მეშვეობით დგინდება. ამ სქემაზე ყველაზე მეტად ჩანს ზოგი სტრუქტურული ერთეულის როლი, რომელთაც ხშირად „ძირითადს“, „ღერძს“ და სხვა სახელს უწოდებენ.

შენიშვნა: საერთოდ, წინადადების დინამიკურობის გამო შეიძლება მისი რომელიმე ელემენტი მთლიანად წინადადებას აურცობდეს, ე. ი. მიემართებოდეს არა მარტო სიტყვას, არამედ შესიტყვებასა და მთლიანად წინადადებასაც კი, მაგრამ ეს მოვლენა მეორეულია.

რომელიმე სიტყვა, როგორც ძირითადი ლექსიკურ-მორფოლოგიური (და იმავე დროს პერიფერიული სინტაქსური) ერთეული, მოექცევა რა ჯერ შესიტყვების და შემდეგ მისი მეშვეობით კონსტრუქციული მოდელის განკარგულებაში, იძენს გარკვეულ სტრუქტურულსა და შესაბამისად საკომუნიკაციო დატვირთულობას, თავისი სემანტიკისა და მორფოლოგიურ თვისებათა შესაბამისად ეგუება ამ ყითარებას და თვითონაც განაპირობებს სხვა ელემენტების ფორმას თუ ლექსიკას.

3. 4. ა. სიტუაცია შეხამება, როგორც გრამატიკული და სემანტიკური მიმართება

რამდენადაც ჩვენ გავმიჯნეთ ერთურთისაგან მოდელი და მისი ინტერპრეტაცია (განზოგადებული ერთეულის რეალიზება კონკრეტული ლექსიკით), თავისთავად უპირისპირდება ერთმანეთს მხოლოდ ფორმოზრივი (მოდელისმიერი) ურთიერთობა და სემანტიკური შეხამებულობა. მოდელისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ სემანტიკა-ლოგიკის თვალსაზრისით რამდენად სწორად იქნება ასახული ობიექტური რეალობა. მოდელის რეალიზაცია ნებისმიერი ელემენტებით შეიძლება; მოდელის მხრივ არა მარტო არასწორი (მცდარი) აზრი, არამედ უაზრობაც წინადადებაა.

აქვე ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა სინტაქსური მიმართება დავიყვანოთ მხოლოდ ფორმოზრივ ურთიერთობამდე? მართალია, სინტაქსი სწავლობს წინადადების ფორმას, მის ყალიბს, მაგრამ ეს ფორმოზრივი დამოკიდებულება შინაარსობრივი შეხამების ვაფორმების, მისი შედუღაბების საშუალებას წარმოადგენს. ყოველი ენობრივი ერთეული რამდენადმე ეფუძნება აზრის რომელიღაც მონაკვეთს. თუ დასაშვებად მიგვაჩნია აზროვნებისა და ენის ერთიანობა, ასევე დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ლოგიკურ, ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულთა შესაბამისობა ენის სტრუქტურულ ერთეულებთან.

ლექსიკური შეხამებულობა მჭიდროდაა დაკავშირებული გრამატიკულთან, მაგრამ მისი ანალოგიური არაა. ლექსიკური შეხამებულობისათვის მთავარია ცნებების (მნიშვნელობათა) ურთიერთმიმართება, გრამატიკისათვის — ფორმოზრივი; ამდენად მწვენივანე გულკეთილობა, ცხელი ყინვა, წყლის კიბე და სხვ. გრამატიკულად დასაშვებია, მაგრამ, ჩვეულებრივ, წარმოუდგენელია (უაზრობაა).

შენიშვნა: აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ბევრი შეხამება გარკვეულ პერიოდში უაზრობაა, მაგრამ დროთა განმავლობაში აღსანიშნი ფაქტის ან მოვლენის რეალურად შექმნასთან დაკავშირებით შეიძლება შეხამებაც ნორმალური გახდეს. თითქმის უკანასკნელ დრომდე გამოთქმა მშრალი წყალი აბსურდულად ისმოდა, მაგრამ ამჟამად ქიმიკოსებმა უკვე შექმნეს იგი; ამდენად აღნიშნული გამოთქმის აბსურდულობასაც საფუძველი გამოეცალა.

ლექსიკური ინტერპრეტაცია ყოველთვის ვერ ხერხდება ერთი და იმავე საშუალებით. მოდელის შევსებაზე გავლენას ახდენს არა მარტო გრამატიკული, არამედ ლექსიკური შეხამებულობაც; მავალი-


თად, ზმნები: გაალო, გაშალა, გახსნა ერთი სემანტიკური ბირთვის (გახსნის) ვარიანტებია, მაგრამ მათი გამოყენება წინადადების რეალიზებულ მოდელში ერთნაირად არ შეიძლება: შდრ.:

გაშალა წიგნი	открыл —	}	книгу
გაალო კარი			дверь
გახსნა წერილი (კონვერტი)			письмо (конверт)

ასეთივე მდგომარეობაა სხვა ენებშიც; მაგალითად, გერმანულში ზმნები: fließen, strömen, vehen ზოგადად მოძრაობას (დინებას) აღნიშნავენ, მაგრამ მოდელის რეალიზაციის დროს მათი გამოყენება დამოკიდებულია შეხამებულ სახელზე: fließen იხმარება, როცა შეხამებული სიტყვა აღნიშნავს სითხეს; strömen — გაზს ან კვლავ სითხეს; vehen — ჰაერს.

როგორც ვხედავთ, ცალკეულ ზმნას ჩშირად თავისი განსაზღვრული ლექსიკური ვალენტობა ახასიათებს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ზოგადად ზმნის აბსტრაქტიზებული (გრამატიკულ-ფორმოზოგივი, მოდელისმიერი) ვალენტობისაგან. გრამატიკულსა და არაგრამატიკულ მნიშვნელობას უპირისპირდება სემანტიკური და არასემანტიკური მნიშვნელობა, რომელთაგან პირველი (სემანტიკური) ისეთ ინტერპრეტაციას გულისხმობს, რომლის დროსაც სწორ ფრაზას ვადგენთ და მისი „გააზრება“ სავსებით შესაძლებელია ენაში არსებული ლექსიკით რეალიზაციის გამო, ხოლო მეორე (არასემანტიკური) — ისეთ ინტერპრეტაციას, როდესაც გრამატიკულად სწორ ფრაზას ვადგენთ, მაგრამ გაუგებარია მოსაუბრეთათვის ან გასაგებია, მაგრამ უაზრობას წარმოადგენს.

მაგალითად, წინადადების სტრუქტურული ფორმლა



შეიძლება რეალიზებულ იქნეს ნებისმიერი ერთეულებით. ნიმუშები:

ჰკვიანი კლდე გუშინ გაოცებით ეხეთქებოდა გაფრენილ მინდორს.

კოპწია ლოკოკინა ხვალ მიადგება კოსმოსურ სიცარიელეს.

ფრიანი ფრა ფრით აფრებდა აფრილ ფრას და სხვ.:

მაგრამ მეტყველებაში წინადადების სტრუქტურულ ერთეულთა

რელიზება, ჩვეულებრივ, ხდება გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვებით (ლექსიკური ერთეულებით), რომლებიც შინაარსობრივად შეეხამებიან ერთმანეთს უფრო დიდი მოცულობის ერთეულის წარმოსაქმნელად. რელიზებულ წინადადებაში სინტაქსური დამოკიდებულების შედეგად სიტყვები განსაზღვრავენ (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ზღუდავენ) დაქვემდებარებული სიტყვის არა მარტო ფორმას, არამედ ლექსიკასაც: მაგალითად, ადამიანი — კეთილი ან ბოროტი, ქვეყანი, უგუნური, მაღალი, დაბალი და არა: კვადრატული, კვერცხისმდებელი, ოქტაედრი, მოხსული და ა. შ. თვითმფრინავი აფრინდა ჰაერში და არა: ჯურღმულში, ატომში, ლეიკოციტში, ქალამანში და ა. შ.

ამავე რიგისა გამოთქმები: იდეას გაათრებით სძინავს და იდეა მწვანეა, რომლებიც ნორმალურ ფრაზებად არის მიჩნეული სტრუქტურალისტთა მიერ, მაგრამ სამართლიანად არის გაკრიტიკებული (იხ. Х. Путьам. Некоторые спорные вопросы теории грамматики. წიგნ. «Новое в лингвистике», 4, გვ. 67-68).

საყოველთაოდ ცნობილია ლ. შჩერბას მაგალითები, რომელთაც იგი სტუდენტებს აძლევდა სავარჯიშოდ. განვიხილოთ კლასიკურად ქცეული ნიმუში *глокая куздра штеко будланула бокра и кудрячит бокренка*, რომელშიც წინადადების წევრთა შორის გრამატიკული კავშირი დაცულია, მაგრამ წინადადება არ არის, არამედ — მისი მოდელი, რომლის გამოხატვა სათანადო ფორმულით უფრო მოსახერხებელია. ეს გამოთქმა არ არის სამეტყველო ერთეული. იგი მხოლოდ გრამატიკულ შინაარსს გადმოგვცემს, თუმცა მსმენელს იგი (და მისი მსგავსი გამოთქმები) შეუძლია სათანადოდ გაიაზროს გარკვეული ასოციაციური ინტერპრეტაციის საფუძველზე.

ამრიგად, წინადადების მოდელის ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია ლექსიკურ-სემანტიკური შეხამებულობაც, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო ფორმათა, არამედ ცნებათა ურთიერთმიმართებასაც. «ყოველი ენობრივი ფაქტი, იქნება ეს წინადადება თუ სიტყვა, რალაცას მიუთითებს, რალაცას აღნიშნავს. ამისდა მიხედვით ყოველი ენობრივი ფაქტი გულისხმობს **გადმოხაცვმ შინაარსსა და სათანადო გადმოცემს საშუალებას**. გადმოსაცემი შინაარსი ეს არის მეტყველის ცნობიერებაში გადამტყდარი ფაქტი სინამდვილისა: მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში; გადმოცემი საშუალება ესაა ენობრივი ფაქტი, ამ სინამდვილის ფაქტის აღსანიშ-



ნავად გამოყენებული“ (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ენათმეცნიერების შე-
სავალი. გვ. 312. ხაზგასმა ავტორისაა. — ა. დ.).

ამრიგად, აზრობრივი და ფორმობრივი კავშირი „აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ წინადადება — სიტყვათა ორგანიზებული შენაერთი, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს“ (ალ. ლ ლ ო ნ ტ ი. ქართული წინადადება, გვ. 12).

როგორც ვხედავთ, ნორმალურ (აზრობრივ) წინადადებაში ერთი სიტყვის ფორმამ განაპირობა მეორის ფორმა, მისმაც მნიშვნელობამ შეზღუდა ის სემანტიკური არე, რომლიდანაც შეიძლება დაქვემდებარებული ელემენტის შერჩევა; ე. ი. ფორმამ განაპირობა ფორმა, ლექსიკამ — ლექსიკა; მაგრამ არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთი ელემენტის ფორმობრივი თავისებურებანი ასახება მეორე ელემენტის სემანტიკურ თავისებურებაში ან პირველის სემანტიკურ თავისებურებებს მეორე ფორმობრივი ცვლილებით ასახავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება სიტყვათა სინტაქსური მიმართების სამი შემთხვევა:

1. გაბატონებული წევრის ფორმა აპირობებს დაქვემდებარებულის ფორმას; მაგ.:

სახლი მაღალი — სახლმა მაღალმა, ბავშვი ხტის — ბავშვები ხტიან...

2. გაბატონებული წევრის ფორმა ვერ აპირობებს დაქვემდებარებულის ფორმას, მაგრამ დაქვემდებარებული მას სხვა საშუალებით (სუპლექტიურად) ასახავს; მაგ.:

ფოთოლი ვარდება — ფოთლები ცვივა. ქვა გლია — ქვები ყრია...

3. გაბატონებული წევრის სემანტიკუო (ჩვეულებრივ. კვანტიტატიურ) თავისებურებას დაქვემდებარებული ფორმის ცვლილებით ასახავს; მაგ.:

დედა და მამა მიდიან, და და ძმა სადილობენ, ცოლი და ქმარა საუბრობენ; მე ვამბობ — ჩვენ ვამბობთ, შენ ხატავ — ის ხატავს..
შენი შვნა: რიგ შემთხვევებში შეინიშნება ერთდროულად ლექსიკური შეხამებულობაცა და მორფოლოგიური გაფორმებაც, რაც მიმართების გაფორმებაში ქმნის ე. წ. „სიკარბეს“; მაგ.: ქ ა ლ ი ი ჯ დ ა — ქ ა ლ ე ბ ი ი ს ხ დ ნ ე ნ, ბ ა ვ შ ვ ი წ ა მ ო ხ ტ ა — ბ ა ვ შ ვ ე ბ ი წ ა მ ო ხ ტ ნ ე ნ და მისთ.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა შორის ურთიერთობა არც მართო ფორმობრივი, არც მართო სემანტიკურია. წინადადებაში სიტყვათა (ორგანიზებულ სიტყვათა, წინადადების წევრთა) შორის ურთიერთობა სემანტიკურ-გრამატიკულია.

ამრიგად, მხოლოდ გრამატიკული ფორმა არ წყვეტს საკითხს სიტყვის ადგილისა და როლის შესახებ სინტაქსურ ერთეულებში. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ისეთ ენათა წინადადებებში, რომელთაც ჩამოყალიბებული ბრუნვათა სისტემა არა აქვთ (მაგ. ფრანგულში, ინგლისურსა და სხვა ენებში).

ყოველი სინტაქსური ერთეული (სინტაქსემა) უნდა განხილულ იქნეს ორი: ლექსიკური და გრამატიკული შეხამებულობის თვალსაზრისით.

3. 4. ბ. ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია

გარკვეული სტრუქტურული კვანძების შედგენისას სიტყვები, რომლებიც დამოუკიდებლად ადგენენ სიტყვათშეხამებას ან უფრო დიდი ერთეულების დაკავშირებას ემსახურებიან, განაპირობებენ ერთურობის ფორმას (მოდელში) და ფორმასა და ლექსიკას (რეალიზებულ სტრუქტურულ ერთეულებში). სხვადასხვა სიტყვა შეხამების სხვადასხვაგვარ უნარს ავლენს. ზოგთან გარკვეული ერთეულები ნაირგვარ დამოკიდებულებას ქმნიან, ზოგთან ეს დამოკიდებულება შეზღუდულია, ზოგს კი სრულებითაც არა აქვს უნარი, დაიქვემდებაროს სხვა სიტყვა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში სიტყვათა ამგვარ უნარს ვალენტობას უწოდებენ.

შენიშვნა: ტერმინს — ვალენტობა — ვხმარობთ სიტყვათა დაკავშირების უნარის მნიშვნელობით. ვალენტობა (valentia—ძალა) — ატომის თვისება, შექმნას ქიმიური კავშირი გარკვეული რაოდენობის ატომებთან (БСЭ, 6, 562): საენათმეცნიერო ლიტერატურაში (რუსულში) ტერმინი პირველად გამოიყენა ს. კაცნელსონმა (იხ. С. Д. Кацнельсон. О грамматической категории. Вестник ЛГУ, 1948, № 2, გვ. 132), მაგრამ საერთოდ იგი დამკვიდრდა ლ. ტენიერის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე. ავტორი ვალენტურ თვისებას ანიჭებს მხოლოდ ზმნას, რომელსაც შეუძლია ერთი, ორი ან სამი სახელის დაკავშირება (შეიძლება ზმნას არ დაუკავშირდეს სახელი, მაშინ იგი ავალენტური იქნება). თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვალენტობის ცნება უფრო განზოგადებულია, მისი უნარი გადატანილია სხვა სიტყვებზეც. ჩვენც მას უფრო განზოგადებულად ვიხილავთ.

ვალენტობის უნარი, როგორც აღნიშნეთ, სხვადასხვა სიტყვას სხვადასხვაგვარი აქვს. ეს უნარი უპირატესად დამოკიდებულია სიტყვათა კლასზე.

სიტყვები, როგორც ცნობილია, გარკვეულ სემანტიკურ-მორფოლოგიურ კლასებად (მეტყველების ნაწილებად) ერთიანდებიან.

ეს ცალკეული კლასები თავიანთი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით
 ქმნიან სამ დიდ ჯგუფს: 1) თავისთავად ანუ დამოუკიდებელ; 2) და-
 მხმარე და 3) წინადადების არაწევრ სიტყვებს. ამათგან მორფო-
 ლოგიური თავისებურებით (ფორმაცვლილებით) ხასიათდება მხო-
 ლოდ პირველი ჯგუფი (ისიც არასრულად, ზმნიზედათა გამოკლე-
 ბით), სხვა დანარჩენი მოკლებულია დამოუკიდებელი ვალენტობის,
 ანუ გარკვეული სინტაქსური დაქვემდებარების, ან, საერთოდ, სხვა
 სიტყვების დაკავშირების უნარს.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ფორმაცვლების კატეგორია დამოკიდებულე-
 ბის კატეგორიაა ცაა იმავე დროს (ა. შანიძე). ვალენტობის ცნება
 უფრო ფართოა, ვიდრე მორფოლოგიური ფორმაცვლების (≈
 სინტაქსური დამოკიდებულებისა) ცნება, რადგან მასში არა
 მარტო მორფოლოგიური დამოკიდებულება შედის, არამედ ლექ-
 სიკურ-სემანტიკური შეხამებულობაც, რომელსაც შეიძლება ამ-
 ეამად მორფოლოგიური გამოხატულება არ ჰქონდეს, ადრე კი
 უნდა ჰქონოდა: წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შექმნიდა სიტყვა-
 თშეხამებას.

ცალკეული მეტყველების ნაწილი ვალენტობის სხვადასხვა-
 გვარ უნარს ავლენს. სემანტიკურ-გრამატიკული ვალენტობის უნა-
 რი აქვთ ფორმაცვლებად მეტყველების ნაწილებს (ზმნას, არსე-
 ბითს, ზედსართავს, ზოგადად რიცხვითსა და ნაცვალსახელებს),
 მხოლოდ შინაარსობრივი — ზმნიზედას; დამხმარე — თანდებულს,
 ზოგჯერ კავშირს: ნაწილაკი და შორისდებული კი სხვადასხვა ემო-
 ციურ-სემანტიკურ ელფერს აძლევენ: ნაწილაკი სიტყვას, ხოლო
 შორისდებული მთლიანად წინადადებას.

შენიშვნა: 1. კავშირი ორმაგი ბუნებისაა, იგი, ერთი მხრივ,
 გამოყენებულია წინადადებათა და წინადადებაში სიტყვათა შე-
 კავშირებისათვის, ე. ი. გარკვეული ტიპის წინადადების მოდე-
 ლის მაორგანიზებელ საშუალებას წარმოადგენს, ხოლო მეორე
 მხრივ, მოკლებულია თავისთავად სინტაქსურ მნიშვნელობას
 (არ შეუძლია წინადადების სტრუქტურულ მოდელში უშუალო
 მონაწილეობის მიღება).

2. რასაკვირველია, ცალკეული დამხმარე მეტყველების ნაწი-
 ლის (მაგ. თანდებულის, ნაწილაკისა და, ნაწილობრივ, კავში-
 რის) ზოგადი ფუნქცია ამით არ ამოიწურება. ისინი ფართოდაა
 გამოყენებული, როგორც სიტყვათწარმოების საშუალებანი;
 შდრ. სოფელი (არს. სახელი) → სოფელში (ზმნიზე-
 და); ერთი (რიცხვითი სახელი) → ერთხელ (ზმნიზედა);
 ვინა? → ვინც და სხვ., მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ მათი
 სინტაქსური ფუნქცია გვაინტერესებს.

ანალოგიური მდგომარეობაა დამოკიდებულების აფიქსებშიც. რიგ შემთხვევაში ისინიც სიტყვათწარმოების აფიქსებად გვევლინებიან, შდრ. მის → მის-ი, პირობ-ით → პირობ-ით-ი და სხვ. (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 33; ა რ ნ ჩ ი ქ ბ ა ვ ა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 235-237).

თვით დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილების სინტაქსური ზედრითი წონაც სხვადასხვაგვარია.

„დამოუკიდებელი სიტყვები, წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით, ოთხ ჯგუფად იყოფა. ესენია:

1) სიტყვები, რომლებიც წინადადების ხერხემალს წარმოადგენენ. ეს არის ზმნები, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის სახელს ატარებენ.

2) სიტყვები, რომელთაც შეუძლიათ წინადადებაში წარმოდგენენ სუბიექტისა ან ობიექტის სახით. აქ გვაქვს უპირველეს ყოვლისა არსებითი სახელი, შემდეგ წილობითი რიცხვითები, შემდეგ კიდევ ზოგიერთი ნაცვალსახელი (პირისა, კითხვითი და სხვ.) და, უკანასკნელ, საწყისები და მოქმ. გვარის მიმღეობანი.

3) სიტყვები, რომლებიც წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრებად იხმარება: ზედსართავეები, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითები, ზოგიერთი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი და სხვ.) და ვნ. გვარის მიმღეობანი.

4) სიტყვები, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის განსაზღვრებად გვევლინებიან, ე. ი. გარემოებას აღნიშნავენ (ადგილისას, დროისას და სხვ.), მაგრამ სახელები არ არიან (ზმნიზედები)“ (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 36).

ამრიგად, ყოველ წინადადებაში მის ძირითად კომპონენტს (წინადადების „ხერხემალს“) წარმოადგენს ზმნა, რომელიც განსაზღვრავს მასთან დაკავშირებული სიტყვების მორფოლოგიურ ფორმას (ზოგჯერ სემანტიკასაც).


აღსანიშნავია, რომ ზმნას ქართულში არა მარტო სტრუქტურული, არამედ რიტმომელოდიკური მაროგანიზებელი როლიც აქვს. „ქართული წარმოთქმის ძირითად მელოდიკურ ბირთვს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაირგვარი მელოდიკური ფორმები“ (ს. ქ ე დ ე ნ ტ ი. Интонационный строй грузинского языка. წიგნ. „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“. თბ., 1965, გვ. 275).

ზმნასთან გრამატიკული ფორმით (თანაბარ დონეზე) დაკავშირებულია მხოლოდ არსებითი სახელი (არსებითი სახელს ვგულისხმობთ ფართო მნიშვნელობით, მასში შეგვაქვს გაარსებითებულ სხვა მეტყველების ნაწილებიც) ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახე-

ლი, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილები დაქვემდებარებულია ან არსებით სახელთან, ან ზმნებთან. ზმნასთან სხვა სახელთა (არაარსებითთა) დაკავშირება თანაბარ (ჰორიზონტალურ) დონეზე მხოლოდ არსებით სახელთა მეშვეობით ხდება.


შენიშვნა: ტერმინი „თანაბარი“ არ გამოხატავს ნამდვილ ვითარებას. იგი რამდენადმე ამკირებს ზმნის მაორგანიზებელ ძალას, ამიტომ პირობით შემოგვაქვს ტერმინები, რომლებიც სტრუქტურული ანალიზის სქემიდან არის აღებული. ესენია: **ჰორიზონტალური** და **ვერტიკალური**. **ჰორიზონტალური** აღნიშნავს ზმნა-შემოსმელის ურთიერთობას მის პირებთან (უშუალოსთან ან რეალიზებულთან, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ერთეულებთან), ხოლო **ვერტიკალური** — შესიტყვების ელემენტთა ურთიერთობას.

მეტყველების ნაწილთა ძირითადი სემანტიკურ-გრამატიკული მიმართება კარგად ჩანს სქემაზე:



ნიმუში:

სოფელ ვაშლოვანში დაიარებოდა კაი ხნიდან სავაჭროდ ორი ბაჯაჯუნა ლეკი (ი. გოგ.).



შენიშვნა: აქ არ ვიხილავთ ტრანსფორმირებულ (გარდაქცეულ) მოდელს, რომელშიც დამოკიდებულების ფორმები იცვლება (შდრ. ხესკრის — ხისმოჭრა, ქვასთლის — ქვისმთელი; უშენებს ამხანაგს — აუშენებია ამხანაგისათვის და სხვ.). თუმცა აღნიშნავთ,


რომ რიგ შემთხვევაში ტრანსფორმირებულ მოდელში ელემენტები წინა ვითარებას (შეძლებისდაგვარად) ინარჩუნებენ. ჩვენს სოფელს—ჩვენს სოფელში, მეორედ დღეს (ველი) — მეორე დღეს (მოვიდა) და სხვ.

როგორც დავინახეთ, წინადადების პორიზონტალურ დონეს (მის ჩონჩხს, ხერხემალს) ქმნის არსებითი სახელის (ან საბელთა) და ზმნის შეხამება, რომელთა ერთობლიობას კონსტრუქციას ვუწოდებთ. დანარჩენი მეტყველების ნაწილები მათ დასაზუსტებლად იხმარება.


• • •

სიტყვათშეხამებაში ვალენტობის ყველაზე დიდი უნარი აქვთ პორიზონტალური სტრუქტურული დონის ერთეულებს. ვერტიკალური დონის ერთეულები ძირითადი ფუნქციის მიხედვით შეიძლება გამოხატული იყოს ზედსართავი, რიცხვითი სახელებით, ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით. მათ უპირატესად ნულოვანი ვალენტობა ახასიათებთ, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ძირეული (ოდინდელი) ლექსიკური ერთეულები ზემოაღნიშნულ სიტყვათა კლასებიდან მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ ნულოვან ვალენტობას, მაგრამ მათი ნულოვანი ვალენტობა შეიძლება დაირღვეს სინტაქსური ასიმილაციის შედეგად; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ტრანსფორმაცია, რომლის საფუძველზეც სიტყვათშეხამებებში, რომელთა წევრი არსებითი სახელით ან ზმნით იყო გამოხატული, შეიძლება დარჩეს ადრინდელი კავშირი.

წინადადებაში სინტაქსური ერთეულები შეიძლება თანმხლები სიტყვებითურთ ან მათს გარეშე მოგვევლინონ; მაგალითად: თედეს ერთხელ ძილში მაჯლაჯუნა დააწვა (ვაჟა) სქემა



როგორც სქემიდან ჩანს, შესიტყვების ორ ცენტრს (თედეს და მაჯლაჯუნა) არ ახლავს დაქვემდებარებული სიტყვები, მაგრამ მათი „შევისება“ ადვილად შეიძლება:



ნულოვანი ვალენტობის შესახებ მსჯელობისას უნდა განვიხი-

ვაით მისი ორი სახე: ა) დროებითი ნულოვანი ვალენტობა, რომლის ნიმუშიც ზემოთ განვიხილეთ და ბ) რეგულარული ნულოვანი ვალენტობა, რომლის დროსაც გაბატონებულ წევრს არ ახლავს და არც შეიძლება ახლდეს დაქვემდებარებული წევრი. ასეთია, მაგალითად, პირის ნაცვალსახელთა და რაოდენობითი და რიცხობით რიცხვითი სახელებით გამოხატული წევრები, წინადადებებში: მე ჩანგური მისთვის მინდა... (ა. წ.), ავადმყოფი მე ხუთე დღეს გამოკეთდა, შეიღ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შეიღფერი (ა. წ.) და მისთ. სტრუქტურული ერთეულები მე, მე ხუთე, შეიღ არ შეიძლება მოგვევლინონ გაბატონებულ წევრებად და, თუ წინადადებებში მათ დაქვემდებარებულ წევრებს დაუქვეშებობით, მაშინ ისინი აღარ იქნებიან ნაცვალსახელები ან რიცხვითი სახელები, გადაინაცვლებენ სხვა კლასში, როგორც წესი, სინტაქსური ასამილაციის შედეგად გაარსებითდებიან; მაგ.:

პატივმოყვარეობის „მე“ დაუკარგა მას მოსვენება. ყოველი მე ხუთე მწკრივიდან წინ გამოიყვანეს.

ის შეიღდი განზე იდგა და მისთ.

ამრიგად, მეტყველების ნაწილთაგან ვალენტობის ყველაზე მეტი უნარი აღმოაჩნდა ზმნას და მასთან დაკავშირებულ არსებით სახელებს, რომლებიც მორფოლოგიურად მის სუბიექტურსა და ობიექტურ პირებს წარმოადგენენ. იმავე დროს მათ მთავარი მნიშვნელობა აქვთ აზრის დასრულებულობისათვის. სავსებით ბუნებრივია, რომ მათს სინტაქსურ გამოსახულებებს წინადადების მთავარ წევრებს უწოდებენ.

მაგრამ ამ მთავარ წევრთაგან გამოიყოფა ე. წ. „მწვერვალი“, რომელიც წინადადების სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს. დიდი ხნის განმვლობაში ასეთ მწვერვალად სახელი (≈ ქვემდებარისა) იმიაჩნდათ, მაგრამ თანამედროვე ლინგვისტიკაში თანდათან პატონდება შეხედულება, რომ წინადადების მწვერვალს ზმნა-შემასმენელი წარმოადგენს.

საერთოდ წინადადების სტრუქტურაში სახელისა და ზმნის (≈ ქვემდებარისა და შემასმენლისა) როლის შესახებ სამი განსხვავებული აზრია; სახელდობრ:

1. ქვემდებარე წინადადების ძირითადი წევრია, ხოლო შემასმენელი — მასზე დამოკიდებული. ეს შეხედულება ინდოევროპულენათა ტრადიციული გრამატიკებიდან მომდინარეობს და ანარეკლითაა ამ გრამატიკებში გაბატონებული ლოგიციზმისა. ასეა, მაგალითად, განხილული წინადადების მთავარი წევრები რუსული ენის ტრადიციულ გრამატიკებში. ამ შეხედულების განმტკიცებისათვის, გარდა ლოგიციზმისა, რომლის მიხედვითაც ძირითადია საგანი (ლო-

გიჟური სუბექტი), ხოლო მისი მქმედება უკვე საგნის ნიშან-თვისებათა სფეროს განეკუთვნება, ხელი უნდა შეეწყოს იმასაც, რომ ინდოევროპულსა და სლავურ ენებში ზმნა რეგულარულად ერთბირიანია, ხოლო ქვემდებარე რეგულარულად სახელობით ბრუნვაშია; მაშასადამე, არ აღინიშნება შემასმენლის გავლენა (კერძოდ, მართვა ბრუნვაში) ქვემდებარეზე. აღნიშნულ ენათა გრამატიკებში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ურთიერთობის ფორმებად დადგენილია მხოლოდ ქვემდებარის მიერ ზმნა-შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში.

2. შემასმენელი ძირითადი წევრია, ქვემდებარე — მასზე დამოკიდებული. გარდა ქართველოლოგიური სპეციალური ლიტერატურისა, რომელშიც ქვემდებარე-შემასმენელს შორის კოორდინაციული ურთიერთობაა დადგენილი, და, მაშასადამე, ზმნის დომინანტობა არის აღიარებული, ეს შეხედულება ამჟამად თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო და უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს; მაგალითად, ლ. ტენიერს ქვემდებარე, თუ მას სტრუქტურული თვალსაზრისით განვიხილავთ, ისეთივე სახის დამატებად (ე. ი. ზმნისადმი დაქვემდებარებულ წევრად) მიაჩნია, როგორცაა ერთბირიანი ზმნის ჩვეულებრივი დამატებანი (იხ. ლ. ტენიერის დასახ. ხაშრ., გვ. 101). აღსანიშნავია, რომ სტრუქტურულ, განსაკუთრებით გამოყენებით, ლინგვისტიკაში ზმნა წინადადების მწვერვალად ითვლება, ხოლო ქვემდებარე—მასზე დაქვემდებარებულ ელემენტად (იხ., მაგ., И. А. Мельчук. Автоматический синтаксический анализ. Новосибирск. 1964, გვ. 23 და შმდ.).

3. ქვემდებარე და შემასმენელი რამდენადმე დამოუკიდებელი წევრებია, რომელთა შეერთება ქმნის წინადადებას.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ წინადადების ძირითადი, სტრუქტურულად მაორგანიზებელი ცენტრია ზმნა-შემასმენელი, რომლის სინტაქსურად მაორგანიზებელი ძალა იმდენად დიდია, რომ იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „წინადადება მინიატურაში“ (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 159).

• • •

როგორც აღვნიშნეთ, ვალენტობის თვალსაზრისით არსებითი სახელი და ზმნა რამდენადმე თანაბარი ხვედრითი წონისანი არიან. თუნდაც იმიტომ, რომ ამ მხრივ სხვა მეტყველების ნაწილებს უპირისპირდებიან. ისინი ქმნიან წინადადების ჩონჩხს. მათი ურთიერთობა რეალურია მეტ-ნაკლებად, მაგრამ ზოგადად თანაბარია, კოორდინაციულია (ურთიერთდაქვემდებარებულია); დანარჩენ მეტ-

წველების ნაწილთა ურთიერთობა — სუბორდინაციული (ცალმხრივად დაქვემდებარებული) და, თუ კოორდინაციაში მონაწილე ერთეულებს (წინადადების მთავარ წევრებს) რამდენადმე მყარი ფუნქცია აქვთ, არამთავარ წევრთა სინტაქსური ნიშნები ვლინდება სხვადასხვა ტიპის შესიტყვებათა სისტემაში მათ ფორმობრივ-ფუნქციურ თავისებურებათა მიხედვით.

სიტყვის ვალენტობა ორგვარად უნდა იქნეს განხილული; იგი ერთი მხრივ, წარმოადგენს ერთი წევრის გრამატიკული შეხამებულობის უნარს სხვა წევრთან, რომლის დროსაც მნიშვნელობა აქვს სიტყვის ინვარიანტულ თავისებებს, რომელთაც უმთავრესად განზოგადებული ხასიათი აქვთ (გრამატიკული ვალენტობა); მეორე მხრივ, სიტყვათა ლექსიკური შეხამებულობის უნარს, რომელიც ვარიანტული თავისებებით ხასიათდება (ლექსიკური ვალენტობა). პირველი სინტაქსურ-მოდელისმიერ დონეზეა, ხოლო მეორე — სამეტყველო სინტაქსის დონეზე და უფრო სტილის სფეროს განეკუთვნება, რადგან უპირისპირდება სტრუქტურულ კანონზომიერებას, მის ვარიანტულ თავისებურებას ავლენს. სხვადასხვა დონის შეხამებაში სიტყვის ვალენტობა ნაირგვარად ვლინდება: კონსტრუქციაში (პრედიკატულ შეხამებაში) მეტი (მაგრამ არააბსოლუტური) მნიშვნელობა აქვს ზმნის გრამატიკულ ვალენტობას, ხოლო შესიტყვების დონეზე დიდდება ლექსიკური ვალენტობის მნიშვნელობა.

ვალენტობის ცნება დაკავშირებულია დისტრიბუციის (გარემოცვის) ცნებასთან. მათ შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ ეს ცნებები ერთმანეთს არ ფარავენ. სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით, თუ ვალენტობა არის სიტყვის უნარი, შექმნას სხვადასხვაგვარი სინტაქსური კავშირი (შეხამება), დისტრიბუცია ამ უნარის (ვალენტობის) კონკრეტული რეალიზაციაა. ისინი ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც პოტენციური (ვალენტობა) და რეალური (დისტრიბუცია) მოვლენები.

დისტრიბუციულ ანალიზს თანამედროვე ენათმეცნიერებაში ძალიან ფართოდ იყენებენ. ზოგადად ამ ტერმინით აღინიშნება ის გარემოცვა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფონემას, მორფემას ან სინტაქსემას და რომლითაც აღნიშნული ერთეულები უპირისპირდებიან ისეთ მდგომარეობას, რომელშიც ისინი არ გვხვდება.

გარემოცვა ხშირად განაპირობებს ენობრივი ერთეულის ადგილსა და თავისებურებებს; მაგალითად, სახელის ბრუნვის შეცვლა გარკვეული ოპერაციაა, მაგრამ, თუ სახელდობრ რა ფუნქციურ სახეს შექმნის იგი, ეს ხშირად დამოკიდებულია მის გარემოცვაზე: შდრ.: ქვის კედელი და ქვის გათლა.

გარემოცვის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი შემთხვევა.

ცნობილია, რომ უსულოთა არსებითი სახელით გამოხატული ქვემდებარე არ შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში (მთა დგას — მთებზე დგას), მაგრამ, თუ შემასმენელი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც სულიერი საგნისათვისაა დამახასიათებელი, მაშინ შეთანხმება დასაშვებია; მაგ.: ა გ უ რ ე ბ ი ა ქ ა ი ქ ა მ ო ც ვ ი ვ ნ უ ლ ა ნ (ი. ქ.); ც ი ფ რ ე ბ ი ჩ ა მ წ კ რ ი ვ ე ბ უ ლ ა — მ ე კ ი მ თ ე ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე ც ი ფ რ ე ბ ს უ ნ და ვ ე ჩ ი ჩ ი ნ ო, ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი ვ ი თ რ ო მ ჩ ა მ წ კ რ ი ვ ე ბ უ ლ ა ნ (გ. ნატრ.). გარდა იმისა, რომ ასეთი შემასმენელი გავლენას ახდენს თავის გაბატონებულ წევრზე, რათა თვითონვე ასახოს (უკუგავლენა) მისი შექმნილი თვისება, მან შეიძლება გავლენა მოახდინოს თავისსავე მეზობელ შემასმენელზეც, რომელიც სხვა მდგომარეობაში არ შეეთანხმებოდა ქვემდებარეს რიცხვში; მაგ.:

ხეები იდგა — ხეები იდგნენ და ესალმებოდნენ.

მთები იდგა — იდგნენ და ელოდნენ მთები და სხვ.

დისტრბუციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ომონიმების (და ომოფორმების) დიფერენციაციისათვის, არამედ სიტყვის კონკრეტული (კერძო) მნიშვნელობის დასადგენადაც, რომელიც მხოლოდ კონტექსტით განისაზღვრება. ამიტომაც, რომ ლექსიკონებში სიტყვათა კერძო მნიშვნელობათა დასადგენად აუცილებელია მისი სემანტიკურ-გრამატიკული მიმართების ჩვენება (გლ, I, თბ., 1950, გვ. 082).

ამა თუ იმ სიტყვათშეხამების წევრთა კონკრეტული ურთიერთმიმართების გასარკვევად აუცილებელია კონკრეტული (მიკრო) კონტექსტი და რიგ შემთხვევაში — სიტყვათშეხამების გაბატონებული და დაქვემდებარებული წევრების თავისებურებათა ანალიზი შესიტყვებისა და ზოგჯერ მთლიანად წინადადების ფონზე.

შესიტყვებისა და სიტყვათშეხამების სტრუქტურული ანალიზი გარკვეულ შედეგს გვაძლევს, როდესაც სიტყვათა კლასი ექვს არ იწვევს, მაგრამ ამგვარი ანალიზი არ ითვალისწინებს სიტყვის ინდივიდუალურ ლექსიკურ თავისებურებებს. თუ სიტყვათშეხამებაში გვანტერესებს სიტყვის მხოლოდ ზოგადი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, მაშინ ანალიზი მაკროსინტაქსური იქნება, მაგრამ კონკრეტული სიტყვის ვალენტურ თავისებურებათა შესწავლისა და მისი ვალენტობის დიაპაზონის (მოცულობის) დასადგენად საჭირო იქნება უკვე მიკროსინტაქსური ანალიზი, რომლის საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს აგრეთვე ცალკეულ სიტყვათშეხამებათა არა მარტო ლექსიკურ-სტილური თავისებურებანი, არამედ ფუნქციაც. მაგალითად, მიკროსინტაქსური თვალსაზრისით შეიძლება დაჯგუფდეს ზმნები, რომლებიც გარკვეულ ფორმებს მოითხოვენ შეხამები-

სას (მივიღა სახლამდე, მიაღწია. ჭიშკრამდე, ჩაეფლო კისრამდე და სხვ.), მაგრამ მათი განზოგადება მოდელის სახით

მივიღა
 მიაღწია
 ჩაეფლო და ა. შ. } — არსებითი სახელი+მდე

უკვე მაკროსინტაქსური დონისაა. სიტყვათშეხამების ანალიზი უპირატესად მიკროსინტაქსურ დონეზე უნდა ჩატარდეს, რადგან ამ დაბალი რიგის სინტაქსური ერთეულის მაკროსინტაქსური ანალიზი ვერ უზრუნველყოფს მის კონკრეტულ მიმართებათა გარკვევას.

შენიშვნა: ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „ანეგდოტად“ ქცეული მაკროსინტაქსური ფორმულა: ზმნა+არსებითი სახელი მოქმედებით ბრუნვაში, რომლის ინტერპრეტაცია ქმნის სხვადასხვა რიგის სიტყვათა შეხამებებს:

ჩაის სვამდა { დილით (დროის გარემოება),
 შაქრით (განსაზღვრება, შდრ. შაქრიანს),
 ჭიქით (უბრალო დამატება),
 სიამოვნებით (ვითარების გარემოება).

3.4.3. სინტაქსური მიმართების ელემენტები

სიტყვათშეხამებაში გაერთიანებულ წევრებს თანაბარი ხვედრითი წონა არა აქვთ. ერთი მათგანი წამყვანი (გაბატონებული) წევრია, ხოლო მეორე მასზე დაქვემდებარებული. პირველი აქტიურ ვალენტობას ავლენს, ხოლო მეორე — პასიურს.

სიტყვათშეხამების ელემენტები რამდენადმე, განაპირობებენ ერთერთის არსებობას. ლ. იელმსლევი აღნიშნავს ამ ურთიერთგანპირებულობის სამ შემთხვევას (იხ. Л. Ельмслев. Прологемы к теории языка. წიგნ. «Новое в лингвистике», I, 1960. გვ. 284):

1) ურთიერთდამოკიდებულება, როდესაც ერთი წევრი განაპირობებს მეორის არსებობას და პირუკუ (ინტერდებენდენცია): მაგ.: კოორდინაციული ურთიერთობა: შემხედა მე და მისთ.

2) ცალმხრივი ურთიერთობა, როდესაც ერთი წევრი განაპირობებს მეორეს, მაგრამ მეორე პირველს არა (დეტერმინაცია): მაგ.: სახლში ყოფნა, მაგრამ სახლში წასვლა და მისთ.

3) თავისუფალი შეერთებანი, როცა არცერთი წევრი არ განაპირობებს ერთურთს (კონსტელაცია); მაგ.: თ ხ ა და გ ი გ ო და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ავტორი საერთოდ არ განასხვავებს მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეებს. აღნიშნული ურთიერთობანი მას დასაშვებად მიიჩნია როგორც სიტყვებს, ისე მორფემებს შორის. ჩვენ ზემოაღნიშნული შემთხვევები გათვალისწინებული გვაქვს სინტაქსურ ცნებებში: კოორდინაცია, სუბორდინაცია და სიტყვათა შეკავშირება (თანაქვემდებარება). პირველი ორი შეადგენს მიმართებას, ხოლო მესამეს (შეკავშირებას) შეიძლება ჰქონდეს თანაკოორდინაციის ან თანასუბორდინაციის სახე.

3. 4. დ. სინტაქსური მიმართების სახეები

სინტაქსური მიმართება წინადადების სტრუქტურულ ერთეულებს შორის გარკვეულ კავშირს ამყარებს. ზოგადად იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსიკურსა და გრამატიკულ მიმართებაში (შეხამებაში) ვლინდება; ე. ი. სინტაქსურ მიმართებაში ჩვენ ვგულისმობთ ისეთ ურთიერთობას, რომლის საფუძველზეც ცალკეული სიტყვები შეიძლება ერთურთს დაუკავშირდეს და აწრის გამოხატველი მსჯელობის ლოგიკურ რიგად იქცეს.

ქართულ ენაში შეიძლება დადგინდეს სინტაქსური მიმართების სამი სახე:

- ა) დაქვემდებარება (ცა ღრუბლებით დაიფარა);
- ბ) ფარდობა (მე, არწივი, ფრინველთა მეფე...);
- გ) სიტყვათა შეკავშირება (მთა და ბარი დაისეტყვა).

ამათგან წინადადების სტრუქტურისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პირველს — დაქვემდებარებას, ანუ დომინაციას, ხოლო მეორე და მესამე ან დაქვემდებარების ანარეკლია (სიტყვათა შეკავშირება), ან — მისი მარაგი, რეზერვი (ფარდობა).

3. 5. დაქვემდებარება და მისი კანონზომიერებანი

დაქვემდებარება (დომინაცია) ჰქვია სიტყვათა შორის ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა თავისი ლექსიკურ-გრამატიკული ბუნებით განაპირობებს მეორის ფორმას ან ერთდროულად ლექსიკასაც და ფორმასაც.

დაქვემდებარებისათვის საჭიროა ორი წევრი (ორი ორგანიზებული სიტყვა, წინადადების წევრი), რომელთაგან ერთი გაბატონებულია, მეორე — დაქვემდებარებული (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 149).

სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარებულ და გაბატონებულ წევ-

რთა შორის მიმართება სხვადასხვაგვარი ფორმითაა გამოხატული. ზოგადად ვასხვავებთ კოორდინაციული და სუბორდინაციული რიგის სიტყვათშეხამებებს. პირველი წინადადების კონსტრუქციას ქმნის (კონსტრუქციის თავისებურებანი იხ. IV თავში). ხოლო მეორე — შესიტყვებას (ან თვით წარმოადგენს შესიტყვებას).

დაქვემდებარება ბინარული ხასიათისაა, ე. ი. ორწევრია, მაგრამ ნებისმიერი ორი წევრი არ ქმნის ორგანიზებულ ბინარს (ორწევრს). სტრუქტურული მოდელის დონეზე გასათვალისწინებელია მათი ფორმობრივი შეხამება, ხოლო ინტერპრეტაციის დონეზე, რეალიზებულ მოდელში, მას ემატება ლექსიკურ-სემანტიკური შესაბამისობა.


როგორც ზემოთ აღინიშნა, დაქვემდებარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, გაბატონებული წევრის მიერ სხვა წევრის დაკავშირების უნარს (ვალენტობას), ხოლო, მეორე მხრივ, დაქვემდებარებული წევრის სემანტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს. პირველი სტრუქტურული მოდელის თვისებაა, ხოლო მეორე ინტერპრეტირებულ ვარიანტებს ქმნის იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი გააჩნია ან დამატებით, სტრუქტურული მოდელის ზეგავლენით, რა ახალი დატვირთვის მიღება შეუძლია მას.

დაქვემდებარებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც მუდმივია ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე; ესენია:

I. კ ა ნ ო ნ ი: ნ ო რ მ ა ლ უ რ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი უ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი ე რ თ უ რ თ თ ა ნ მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი ა, ე. ი. წინადადება დამქვემდებარებელ და დაქვემდებარებულ წევრთა ჯაჭვური კავშირია.

ნიმუში:

ლევანს ახლა ძვირფასი მშობლების წინააღმდეგ ჩადენილი საქმე ქეჭნიდა (ლ. ქიაჩ.).



ის, რაც წინადადების რომელსამე წევრთან დაქვემდებარების წესით არ არის დაკავშირებული, რომელსამე წევრთან მიმართებას არ ქმნის, წინადადების სტრუქტურის გარეშე რჩება. ასეთია, მაგალითად, წოდებითი ბრუნვისფორმიანი სახელი, რომელიც არასოდეს არ არის დაქვემდებარებული, თუმცა თავად შეიძლება გაბატონებულ წევრად მიგვევლინოს; ამიტომ ბრუნვად წოდებითი პირობით არის ჩათვლილი, ვინაიდან ვერ თავსდება ბრუნვის ოპოზიციურ მოვლენაში (წარმოქმნაში, დერივაციაში) და მეტი კავშირი აქვს ბრუნვებთან, როგორც ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ფორმობრივ მოდიფიკაციასთან (წოდებითი ბრუნვის შესახებ იხ. ქვემოთ 3. 8).

II კ ა ნ ო ნ ი: ერთ დაქვემდებარებულ წევრს ერთი და იმავე კატეგორიის მიხედვით შეიძლება მხოლოდ ერთი გაბატონებული წევრი შეესაბამებოდეს.

ორგანიზებულ სიტყვათა (წინადადების წევრთა) ჯაჭვურ კავშირში გამორიცხული არაა, რომ ერთი და იგივე ერთეული ითვალისწინებდეს ორი ან მეტი ელემენტის მოთხოვნებს; მაგ., გვაქვს იგი ჩვენ. აქ ზმნა-შემასმენელი ერთდროულად ითვალისწინებს ქვემდებარისა და ბრუნვაცვალებადი ობიექტის მოთხოვნებს, ე. ი. ერთ დაქვემდებარებულ წევრს ერთდროულად ორი გაბატონებული წევრი აქვს, მაგრამ დაქვემდებარება ერთი და იმავე კატეგორიის მიხედვით არაა: ერთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი ითვალისწინებს ერთი გაბატონებული წევრის მოთხოვნას სუბიექტური პირის მიხედვით, ხოლო მეორეში — ობიექტური პირისა და მისი რიცხვის მიხედვით, ესენი კი განსხვავებული კატეგორიებია.

ძველ ქართულში შეიძლება ზმნა-შემასმენელს ერთდროულად სამი გაბატონებული წევრის მოთხოვნა გაეთვალისწინებინა; მაგ.:

მოგვკლნა მან ჩუენ იგინი.

აქ ზმნა-შემასმენელი ითვალისწინებს როგორც სუბიექტური პირის, ირიბობიექტური პირისა და მისი რიცხვის, ისე პირდაპირობიექტური პირის რიცხვის მოთხოვნებს. ესენიც განსხვავებული კატეგორიებია.

ძველ ქართულშივე გვხვდება შემთხვევები, როდესაც გარეგნულად გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ერთი და იგივე ერთეული ერთდროულად ითვალისწინებს ორი სხვადასხვა გაბატონებული წევრის მოთხოვნას; მაგ., წინადაცუეთით წინადაცუთოს სახლის წულმან სახლისა შენისამან (დაბად.). აქ საყურადღებოა დაქვემდებარებული შეხამება წულმან სახლისა შენისამან.

წულმან (D₁)

სახლისამან (D₂)

შენისამან (d)

დაქვემდებარების კანონის მიხედვით, ურთიერთობა ასეთი უნდა გვექნოდეს: წულმან სახლისამან შენისამან, მაგრამ გვაქვს ზემოაღნიშნული მდგომარეობა. ერთი შეხედვით, დაქვემდებარებული წევრი (შ ე ნ ი ს ა მ ა ნ) ერთდროულად ითვალისწინებს ცალ-ცალკე ორი გაბატონებულის მოთხოვნებს (ს ა ხ ლ ი ს ა შ ე ნ ი ს ა მ ა ნ, წ უ ლ მ ა ნ შ ე ნ ი ს ა მ ა ნ).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ, რადგან ნაწევრთიანი სიტყვა ერთ წევრად იყო გაგებული, ნაწევარი შინაგანი დაქვემდებარების საფუძველზე ითვალისწინებდა თავისი „უფალი“ სიტყვისა და მასთან ერთად ახალი „მეუფის“ მოთხოვნებს და ეს თვისება კუთვნილებით ნაცვალსახელად ქცევისას (ან შენაცვლებისას) უნდა გადაპყობოდა მას.

ნიმუშები:

უპყრეს ანგელოზთა მათ ჰელი ცოლისა მისისაჲ და ჰელნი ასულთა მისთანი (დაბად.).

ყოველთა კაცთა სახლისა მისისათა (დაბად.).

შუენიერებაჲ პირისა მისისაჲ (კათ. ებ.) და სხვ.

შემდეგ ანალოგიის საფუძველზე ასეთივე მდგომარეობა გვექნებოდა მსაზღვრელ-საზღვრულის შეხამებებშიც; მაგ.:

იხილა ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ (დაბად.).

და ესე არიან წელნი დღეთა აბრაჰამისთანი (დაბად.).

წაღსვლაჲ უფსკრულისა დიდისაჲ (კათ. ებ.) და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ორმაგი დამოკიდებულება ამგვარ შემთხვევაში აღნიშნული აქვს ს. ვაჩნაძეს (იხ. С. М. В а ч н а д з е. Категория притяжательности в русском и грузинском языках. а. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 10, 1955, გვ. 320-322), რომელიც ასეთ დამოკიდებულებას ორმაგ შეთანხმებას (და არა მარტვა-შეთანხმებას) უწოდებს.

ავტორი შენიშნავს, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ორმაგი შეთანხმება მხოლოდ პოსტპოზიციისაში ხდება (გვ. 322).

მიუხედავად ამ მოსაზრების მომხიბვლელობისა, იგი არაა სწორი, რადგან აქ საქმე გვაქვს დამოკიდებულების აღნიშვნელი მორფის მოკვეცასთან შეხამების დახშულობის გამო.

რიგით მესამე კომპონენტი რომ არ იყოს, ე. ი. არ შეიქმნას დახშული შეხამება, ყველგან აღდგება შესაბამისი დამოკიდებულების რეალური აფიქსი: წ უ ლ მ ა ნ ს ა ხ ლ ი ს ა მ ა ნ, კ ა ც თ ა

სახლისათა, ქელი ცოლისაჲ, ქელნი ასულთა
ნი, შუენიერებაჲ პირისაჲ, ჯურღმული წყლისაჲ,
წელნი დღეთანი, წიაღსვლაჲ უფსკრულისაჲ
(ნიმუშების დასახელება უამრავისა შეიძლება ძველი ქართული-
დან).

საყურადღებოა, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შე-
ნაცვლებისას ანალოგიური მდგომარეობა გვექნებოდა, ე. ი. ახალ
დამოკიდებულებას გააფორმებდა ბოლო (ჩამკეტი) წევრი:

ჯურღმული ცხოველისა წყლისაჲ,

წელნი აბრაჰამისთა დღეთანი,

წიაღსვლაჲ დიდისა უფსკრულისაჲ და სხე.


გვაქვს შემთხვევა, როდესაც ერთი სიტყვა ითვალისწინებს
ორი გაბატონებული წევრის მოთხოვნას, მაგრამ არა ერთ სტრუქ-
ტურულ ერთეულში, არამედ ორში (ორ სხვადასხვა წინადადებაში).
ასეთი თვისება აღმოაჩნდა მიმართებითს ნაცვალსახელს — რ ო მ ე-
ლი ც — განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში. იგი თა-
ვის სტრუქტურულ ერთიანობაში (დამოკიდებულ წინადადებაში)
ითვალისწინებს თავისი ზმნა-შემასმენლის მოთხოვნას ბრუნვის
მიხედვით, ხოლო ხშირად რიცხვში ეხამება სტრუქტურის გარეთ
(მთავარ წინადადებაში) მყოფ განსასაზღვრავ ერთეულს: ფ რ ი ნ-
ვე ლ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ტ კ ბ ი ლ ი ჭ ი კ ჭ ი კ ი თ დ ღ ე ს
ვ ს ა ლ მ ე ბ ო დ ნ ე ნ, გ ა ჩ უ მ დ ნ ე ნ; ვაჟა (იხ. ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე-
თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 22).

ეს მოვლენაც ადვილი ასახსნელია: ნიშანდობლივია ის, რომ ამ-
გვარი ვითარება განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაშია,
ე. ი. ისეთ სინტაქსურ ერთეულში, რომელიც ასრულებს წინადა-
დების წევრის (განსაზღვრების) ფუნქციას; ბუნებრივია, რომ მის
ფორმობრივ თვისებებზე ფუნქცია მოაზღვრნდა გავლენას. ასეა
თუ ისე, აღნიშნული დამოკიდებულება სცილდება მარტივი წინა-
დადების სტრუქტურის საზღვრებს და, მაშასადამე, ერთი სტრუქ-
ტურული ერთეულისათვის (ერთ წინადადებაში) დომინაციის ზემო-
აღნიშნული კანონი უცვლელი რჩება.

III კანონი: ერთ გაბატონებულ წევრს შეიძ-
ლება რამდენიმე დაქვემდებარებულ წევრის
ახლდეს.

ეს კანონი მოქმედებს როგორც საურთიერთო, ისე ცალმხრივ
დაქვემდებარებაში; მაგ.:

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის გულს ცეცხლი არ ნელდ-
ბოდა (ა. წ.).



IV კანონი: თუ გაბატონებული წევრი არ არის, არც მისდამი დაქვემდებარებული წევრი გვექნება.

ამ კანონზე მსჯელობისას უნდა განვიხილოთ კერძო შემთხვევა: თუ გარკვეული გარდაქცევის (ტრანსფორმაციის) შედეგად წინადადების სტრუქტურიდან ამოვარდა გაბატონებული წევრი, მაშინ დაქვემდებარებული ან მასთან ერთად ამოვარდება წინადადების სტრუქტურიდან, ან გაბატონებულის ფუნქციურ კვანძში გადაინაცვლებს, მის როლს შეასრულებს (იხ. 3. 3. ზ. სინტაქსური ასიმილაცია); მაგ.,

ოქროს ფილამ ამაყად გადახედა თიხის ჯამს — ოქროს ფილამ ამაყად გადახედა თიხისას.

თიხის ჯამს → თიხისას.

V კანონი: შეიძლება რომელსამე სტრუქტურულ ელემენტს არ ახლდეს დაქვემდებარებული წევრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი გამოეთიშება წინადადების სტრუქტურას.

წინადადების რეალიზებულ მოდელში გვაქვს შემთხვევები, როდესაც რომელიმე სტრუქტურული ერთეული გამოხატულია ნულოვანი ვალენტობის სიტყვით, ე. ი. არ ახლავს და არც შეიძლება ახლდეს დაქვემდებარებული წევრი. იგი შეიძლება დაქვემდებარებული იყოს სხვა ერთეულის მიმართ, მაგრამ თვით ველარ გახდეს გაბატონებული სხვა წევრის მიმართ. ასეთი თვისება, როგორც შემოთაც არის აღნიშნული (იხ. 3. 4. ბ), აქვთ ნაცვალსახელებს, რიცხვით სახელებსა და ზოგიერთ ზმნიზედას; მაგ.:

მე ჩანგური მისთვის მინდა (ა. წ.).

შვიდთა ძმათ ერთად წამოიძახეს.

გუშინ ჩატარდა კრება.

V კანონი მოქმედებს მხოლოდ სუბორდინაციაში, რადგან კოორდინაცია ურთიერთმიმართების ფორმაა და ამიტომ ნულოვანი ურთიერთობა მასში გამორიცხულია.

VI კანონი: შეუძლებელია თავის თავზე დაქვემდებარება, ე. ი. სიტყვათშეხამება ირეფლექსურია.

VII კანონი: შეუძლებელია ურთიერთდაქვემდებარება ერთი და იმავე კატეგორიის სხედვით.

მართალია, ურთიერთდაქვემდებარების დროს ერთი და იგივე წევრი შეიძლება თავისსავე დაქვემდებარებულთან გაბატონებულად მოგვევლინოს, მაგალითად კოორდინაციაში (იხ. ქვემოთ 3. 5. ა), ე. ი. გაბატონებული შეიძლება ერთსა და იმავე დროს დაქვემდებარებულაც იყოს, მაგრამ ეს დასაშვებია არა ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით; მაგალითად, წინადადებიდან მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები დაიბარა ლუარსაბმა (ი. ჭ.) სიტყვათშეხამებაში დაიბარა ლუარსაბმა პირის (სუბიექტურისა) მიხედვით გაბატონებული წევრია ლუარსაბმა, ხოლო დაქვემდებარებული — დაიბარა; იმავე დროს ბრუნვის მიხედვით გაბატონებულია დაიბარა (ყოფილი დაქვემდებარებული), ხოლო დაქვემდებარებული — ლუარსაბმა (ყოფილი გაბატონებული). ეს, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით ხდება; მაშასადამე, დაქვემდებარების VII კანონი არ ირღვევა, მუდმივი რჩება.

VIII კანონი: თუ ერთი წევრი გაბატონებულია მეორეზე, ხოლო მეორე — მესამეზე და ა. შ., ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ პირველი მესამეზეა გაბატონებული (უშუალოდ), ე. ი. ეს არ ნიშნავს, რომ მეორე რიგის დაქვემდებარებულს შეუძლია უშუალო მიმართება შექმნას გაბატონებულთან.

რამდენადაც მოდელის ინტერპრეტაციის პროცესში მნიშვნელობა აქვს სარეალიზაციო ერთეულების ლექსიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს, მოდელის სათანადო ელემენტთა რეალიზაციისას ინტრანზიტულობა (მიმართების უნარის გადაცემა, იხ. V კანონი) რჩება ან არ რჩება ძალაში. აქ უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა:

1) შესაძლებელია მეორე რიგის დაქვემდებარებული წევრი თავისი ლექსიკურ-მორფოლოგიური თავისებურებებით შეეხამოს მოდელისმიერ ვითარებას და უშუალოდ დაქვემდებაროს თავისი გაბატონებული წევრის გაბატონებულ წევრს. ასეთი მდგომარეობაა სინტაქსური ასიმილაციის შედეგად სიტყვათა კლასის შენაცვლების დროს.

ნიმუში: გამარჯვებულმა (მხედარმა) ამყადასწია თავი.

2) თუ მეორე რიგის დაქვემდებარებულ წევრს თავის ლექს-კურ-მორფოლოგიურ თავისებურებათა გამო არ შეუძლია იმ ფორმის მიღება ან საზოგადოდ იმ მიმართების დამყარება, რომელიც მოდელში მისთვის ადგილის გადანაცვლების შემდეგაა განკუთვნილი, ინტრანზიტულობა ძალაში რჩება.

ნიმუში: გ უ შ ი ნ (წ ა კ ი თ ხ უ ლ მ ა) წ ი გ ნ მ ა დ ლ ე ს ა დ ა რ დ ა მ ა ი ნ ტ ე რ ე ს ა. შეხამება გ უ შ ი ნ წ ი გ ნ მ ა უკვე არასწორია.

3) შესაძლებელია მეორე რიგის დაქვემდებარებული წევრი დაუკავშირდეს გაბატონებულს და ე. წ. „პარადოქსული“ შეხამება მოგვეცეს, როგორცაა, მაგალითად: კ ა ც ი თ მ ი თ, ს ი გ ა რ ე ტ ი ფ ი ლ ტ რ ი თ, (გაზიანი) წ ყ ა ლ ი ყ ი ნ უ ლ ზ ე და მისთ., მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება და უპირატესად კალკით არის გამოწვეული (იხ. 3. 3. ა. შესიტყვების შეკუმშვა).

ამრიგად, დაქვემდებარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების მოდელის შესაქმნელად, ხოლო მისი წესები (კანონები) განაპირობებენ მოდელის ინტერპრეტაციას, მოდელის ელემენტთა რეალიზაციის სწორ და არასწორ ფორმებს.

3. 5. ა. სიტყვათა ცალმხრივი და ორმხრივი დაქვემდებარება (კოორდინაცია და სუბორდინაცია)

წინადადების სტრუქტურული ერთეულები ერთერთს შორის გარკვეულ დაქვემდებარებითს კავშირს ამყარებენ, მაგრამ ეს დამოკიდებულება ერთგვარი არაა. სხვადასხვაგვარია მიმართება, ერთი მხრივ. ზმნა-შემასმენელსა და მის პირთა სარეალიზაციო ერთეულებს (კონსტრუქციაში), ხოლო, მეორე მხრივ, სხვა სინტაქსურ ერთეულებს შორის (შესიტყვებაში). წინადადების კონსტრუქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოორდინაციის საფუძველზეა მიღებული, ხოლო შესიტყვებათა შექმნა ცალმხრივი დაქვემდებარების — სუბორდინაციის — მიხედვით ხდება.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ქართულ საენათმეცხიერო ლიტერატურაში კოორდინაციის ცნება დადგინდა არნ. ჩიქობავას ცნობილი ნაშრომის — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, ტფილისი, 1928 — საფუძველზე.

კოორდინაციის ტერმინით რამდენადმე განსხვავებულ ცნებასაც აღნიშნავენ; მაგ. ლ. ბარხუდაროვი მას სიტყვათა შეკავშირების მნიშვნელობით იყენებს, ხოლო კოორდინაციულ დაქვემდებარებას (ჩვენი გაგებით) პრედიკატულს უწოდებს (იხ. Л. С. Бархударов. Структура простого предложения

современного английского языка, გვ. 37; იხ. აგრეთვე
W. A d m o n i. Der deutsche Sprachbau. Л., 1960, გვ. 197-198).

თუ კონსტრუქცია ურთიერთდაქვემდებარებული ელემენტებისაგან შედგება, შესიტყვებაში ურთიერთდაქვემდებარება (ურთიერთზეგავლენა) გამორიცხულია. ამდენად ძირითად სინტაქსურ მოვლენებად (მიმართების გამომხატველ პროცესებად) შეიძლება ჩაითვალოს, ერთი მხრივ, კოორდინაცია და, მეორე მხრივ, სუბორდინაცია. ამათგან კოორდინაცია ქმნის წინადადებას, ხოლო სუბორდინაციას წინადადების შემადგენელი რთული ელემენტის (შესიტყვების) სტრუქტურული მთლიანობის შექმნა ეკისრება.

კოორდინაცია ურთიერთგავლენისა და ურთიერთზემოქმედების გამომხატველი კატეგორიაა.

მართლაცდა წინადადებაში, როგორც არ უნდა მივუდგეთ მას (ლოგიკურად, ფორმალისტურად, სტრუქტურალისტურად თუ სხვაგვარად) გამოიყოფა მისი ძირითადი რგოლი, რომელიც ლოგიკურად აზრის სისრულეს ემსახურება, ექსპრესიულად — იმავე აზრის სრულად შეტყობინებას, ხოლო გრამატიკულად ქმნის წინადადების ძირითად ჩონჩხს (ყალიბს) — კონსტრუქციას.

მაგრამ წინადადება მხოლოდ აზრი (ზოგადი მნიშვნელობით) არაა, იგი იმავე დროს დაზუსტებული, დაკონკრეტებული აზრია; მაშასადამე, წინადადების სტრუქტურულ ელემენტებად ჩაითვლება აგრეთვე გარკვეული წევრები, რომელთაც აზრის დაკონკრეტების (დაზუსტების) ფუნქცია ეკისრებათ.

ტრადიციული სინტაქსი აღნიშნავს წევრთა ურთიერთშეხამებას საერთოდ წინადადებაში და ნაკლებად აქცევს ყურადღებას სინტაქსურ ერთეულთა დონეს.

სინტაქსურ ერთეულთა და მათ შესაბამის მოვლენათა თანამედროვე მეთოდებით განხილვა აწესებს ზღვარს ამ ორი რიგის ცნებათა შორის.

ამრიგად, კოორდინაციად ითვლება სინტაქსურ ერთეულთა ურთიერთგავლენა, რომლის პროცესში გვაქვს არა დაქვემდებარება, არამედ — ურთიერთდაქვემდებარება. ერთი ელემენტი გავლენას ახდენს მეორეზე, ხოლო იმავე დროს იმავე ელემენტისაგან განიცდის გავლენას; სახელდობრ, სახელით რეალიზებული სინტაქსური ერთეული ზმნით რეალიზებული ერთეულისაგან მოითხოვს გარკვეულ ფორმას (ითანხმებს მას S პირში), მაგრამ იმავე დროს ზმნით რეალიზებული ერთეული იმავე სინტაქსურ ერთეულზე (სახელით რეალიზებულზე) ახდენს გავლენას (მართავს ბრუნვაში), ამგვარ საურთიერთო შეხამებას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების სტრუქტურისათვის.

შენიშვნა: მართვა კოორდინაციის ფორმა, მაგრამ იგი ცალკე ვერ ქმნის კონსტრუქციას, საჭიროა პარალელურად შეთანხმებაც (პირში); წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უკვე სუბორდინაციის ფორმად იქცევა. იზღუდება „შესიტყვების ფარგლებით და დაქვემდებარებითს კავშირს აღნიშნავს“ (იხ. И. И. Мещанинов. Члены предложения и части речи, გვ. 76).

სხვაგვარია დამოკიდებულება ვერტიკალურ რიგში, სადაც ერთი ერთეული მეორისაგან მოითხოვს გარკვეულ ფორმას, მაგრამ თვით არ უწყევს ანგარიშს მას. ასეთი დამოკიდებულება ცალმხრივი, სუბორდინაციულია.

ამრიგად, როგორც კოორდინაცია, ისე სუბორდინაცია სინტაქსური დაქვემდებარების ძირითადი სახეებია (ძირითადი სინტაქსური მოვლენებია), რომელთაც საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ, მაგრამ ორივე შეადგენს სინტაქსურ დაქვემდებარებას (დომინაციას).

დაქვემდებარებას (როგორც კოორდინაციას, ისე სუბორდინაციას), რომელიც ორწევრა სიტყვათშეხამებაში ხდება, აქვს თავისი ფორმები: შეთანხმება, მართვა და პირთვა.

3. 5. ბ. დაქვემდებარების სახეები

სინტაქსური დაქვემდებარების სახეები მეტად ნაირფეროვანია. რაც გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ ელემენტის ლოგიკური დატვირთულობით წინადადების სტრუქტურაში, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მთქმელის წინასწარგანზრახულობას არა მარტო ლოგიკური, არამედ ემოციურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (წინადადება ხომ აზრის შეტყობინებაცაა?); წინადადება იმავე დროს ელემენტთა ფორმოზომიერ ერთიანობაცაა. ცალკეულ ელემენტს აქვს თავისი სემანტიკა და ფორმა, ე. ი. ლექსიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა, როგორც სინტაქსის აერიფერიული ელემენტი, გადმოდის რა მის განკარგულებაში, ქმნის სიტყვათშეხამებას და ახალ (ლოგიკურ-ექსპრესიულ) დატვირთვას იძენს. მაგრამ იგივე სიტყვა ინარჩუნებს თავის ლექსიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, სხვა სიტყვებთან მისი ვალენტობით ვლინდება.

ზემოთ (3. 4. ბ.), ვეხებოდით რა სიტყვათა კლასების სინტაქსურ ხვედრითს წონას, ზოგადად დავახასიათეთ მეტყველების ნაწილები და აღვნიშნეთ, თუ ნორმალურ ვითარებაში (გარდაქცევათა გარეშე) რომელი მეტყველების ნაწილი რომელს შეიძლება დაუკავშირდეს; კერძოდ, აღვნიშნა ცალკეულ მეტყველების ნაწილთა შემდეგი ვალენტობა:

- 1) კონსტრუქციაში (კოორდინაცია): არს. სახელი (წნაცვალს.)
 — ზმნა.
- 2) შესიტყვებასა და სიტყვათშეხამებებში (სუბორდინაცია):
 ა) არსებითი სახელი — ზედსართავი სახელი (წნაცვალს.);
 ბ) არსებითი სახელი — რიცხვითი სახელი (წნაცვალს.);
 გ) ზმნა — ზმნიზედა („სახელი“).

მაგრამ ვალენტობა მხოლოდ ამ კავშირით არ ამოიწურება. ყოველი საიტყვა, რომელიც წინადადების სტრუქტურულ ელემენტად შეიძლება მოგვევლინოს, შესაძლებელია ქმნიდეს ვალენტობას ან არ ქმნიდა მას, ე. ი. სიტყვები ორ ჯგუფად იყოფიან (ვგულისხმობთ თავისთავად სიტყვებს, დამხმარენი და არაწევრნი თავისთავად ავალენტურნი არიან): ა) ნულ-ვალენტოვან და ბ) ვალენტოვან სიტყვებად.

ნულვალენტობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმობრივი თავისებურებით, იგი უფრო სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური თვისებაა. როგორც წესი, სიტყვათა გაერთიანება ტექსტში გარკვეული სინტაქსურა წესების მიხედვით ხდება, იმავე დროს ყოველი სიტყვის შეხამების უნარი განპირობებულია მისი ინდივიდუალური სემანტიკით.

ამა თუ იმ ერთეულს შეუძლია დაუკავშირდეს სიტყვას ან მხოლოდ სემანტიკურად ან სემანტიკურ-მორფოლოგიურად (ე. ი. დაკმაყოფილოს მისი ვალენტობა სემანტიკურად ან სემანტიკურადაც და მორფოლოგიურადაც). ამრიგად სინტაქსური კავშირი შეიძლება ფორმობრივი იყოს ან არაფორმობრივი, ანუ ოდენსემანტიკური. მხოლოდ სემანტიკური სინტაქსური კავშირია ზმნიზედებსა და მათ გაბატონებულ წევრებს შორის, რადგან ზმნიზედას არა აქვს ფორმაცვლილების კატეგორიები. ზმნიზედათა თავისებურებას ავლენს ზოგიერთი (სახელდობრ, ზმნიზედათა მონაცვლე) თანდებულებანი ან უთანდებულო სახელი, ე. ი. უფორმო დაქვემდებარება (დაქვემდებარების ნულოვანი ფორმა) გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორ წევრს შორის ერთ-ერთს არა აქვს (და არც შეიძლება ჰქონდეს) მორფოლოგიური ფორმა; მაგ.: სახელში წავიდა, დღეს წვიმს, ავად მყოფობის გამომავალი არ მოვიდა, იქ არის და სხვ.

უფორმო დაქვემდებარებას ამ შემთხვევებში ზოგადი კანონზომიერა ხასიათი აქვს, მაგრამ გვაქვს ისეთი შეხამებებიც, როდესაც ერთი და იგივე ერთეული საერთოდ (ტიპობრივად) ფორმობრივ დაქვემდებარებას ქმნის, მაგრამ ცალკე შემთხვევაში (სახეობრივად) მას ფორმობრივი დაქვემდებარების გამოხატვა არ შეუძლია. ასეთ დაქვემდებარებას პოტენციურს უწოდებენ. პოტენ-



ციურ დაქვემდებარებაშია III პირდაპირი ობიექტური პირი შესაბამის ზმნასთან. მართლაც, თუ გადავხედავთ პირთა ურთიერთობას, ვნახავთ, რომ ე. წ. პირდაპირი ობიექტი (სახელობითის O) ზმნაში ნიშანს არ აჩენს, თუ III პირის ფორმითაა წარმოდგენილი. ოქმაინისა, რომ პირდაპირი ობიექტი, საერთოდ, უფორმო დაქვემდებარებას ქმნის, არ შეიძლება. რადგანაც I და II პირში იგი ყოველთვის ქმნის ფორმობრივ მიმართებას: დამხატამე; დამმალამე; დაგხატამენ; დაგმალამენ და ა. შ. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ პირდაპირი ობიექტი საზოგადოდ ქმნის ფორმობრივ მიმართებას, რადგან III პირის ფორმაში მისი დაქვემდებარება უფორმოა; დახატამე, დამალამე და სხვ.

პოტენციური დაქვემდებარება ვლინდება აგრეთვე პირის ნაცვალსახელებში: მე, ჩვენ, შენ, თქვენ; რომლებიც სამ ბრუნვაში ფორმებს არ განასხვავებენ (რაც მათი ლექსიკურ-მორფოლოგიური თავისებურებაა), მაგრამ პოტენციურად ასრულებენ ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციას:

- ვ-ხატავ, ვ-მალავ მე;
- ხატავ, მალავ შენ;
- ვ-ხატავ-თ ვ-მალავთ ჩვენ;
- ხატავ-თ, მალავ-თ თქვენ და სხვ.

როგორც ვხედავთ, სამსავე შემთხვევაში დამოკიდებულება უფორმოა, მაგრამ საზოგადოდ უფორმობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ კერძო შემთხვევასთან, რადგან წინადადების სტრუქტურა აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ ბრუნვას (ერთ შემთხვევაში — სახელობითს, მეორეში — მოთხრობითს, ხოლო მესამეში — მიცემითს), რაც რეალურად იჩენს თავს, თუ სტრუქტურულ ფორმულაში ეს ელემენტები რეალიზებული (გამოხატული) იქნება სხვა სიტყვებით, რომელთაც ბრუნვის ფორმები განსხვავებული აქვთ. მაგ.:

- ხატავ-ს ბავშვი, იგი.
- ხატ-ა ბავშვმა, მან.

(*ჰ-)უხატავ-ს ბავშვს, მას და მისთ.

ამრიგად, პოტენციურია დაქვემდებარება, რომლის დროსაც ორ სინტაქსურ ერთეულს შორის, საზოგადოდ, ფორმობრივი დაქვემდებარება გვაქვს, მაგრამ კერძო შემთხვევაში იგი უფორმოა.

პოტენციურს უპირისპირდება რეალური დაქვემდებარება. რეალური დაქვემდებარება ისეთი ურთიერთობაა, როდესაც წევრებს შორის დაქვემდებარება გამოხატულია მორფოლოგიური ფორმით. რეალური დაქვემდებარება შეიძლება გამოხატული იყოს ან

სათანადო მორფებით (მორფოლოგიური კატეგორიის ნიშნით), მისი ნაშთით, ან უმორფებოდ (უნიშნოდ).

შენიშვნა: ტერმინები: რეალური და პოტენციური ზუსტად არ გამოხატავენ მოვლენათა შინაარსს, მაგრამ უკეთესის უქონლობის გამო იძულებული ვართ, ვიხმაროთ ისინი. შეიძლება გამოგვეყენებინა ტერმინები: სრული, ნაწილობრივი და უნიშნო, მაგრამ ეს ცნებები სხვა (მორფოლოგიური) რიგისაა. სინტაქსური დაქვემდებარების თვალსაზრისით მათ მნიშვნელობა არა აქვთ. სრული, ნაწილობრივი და უნიშნო გაფორმება შეიძლება მხოლოდ რეალური დაქვემდებარების ქვესახეზად ჩაითვალოს.

რეალური უნიშნო დაქვემდებარება გვაქვს, როდესაც დაქვემდებარებულ წევრში მორფი აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ მოგვეპოვება (დაკარგულია სხვა, ხშირად არასინტაქსური, მიზეზების გამო). ასეთი დაქვემდებარება ვაფასავდებოდა პოტენციურისაგან, რომელშიც მორფი არც არის და არც უნდა იყოს. რეალური უნიშნო დაქვემდებარება გვექნება ბოლომდონიან მსაზღვრელებთან პრეპოზიციულ წყობაში, ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელებთან მიცემითა და ვითარებით ბრუნვაში და სხვ.:
პაგალითად:

მოახლოვებულ(-ს) ზამთარ-ს,
გაშლილ (-ად) ველ-ად,
მწვანე (-ს) ფოთოლ-ს,
უბრალო (-ს) განმარტებ-ის და სხვ.

ცალკე უნდა განვიხილოთ დაქვემდებარების სხვაგვარი სახე, როდესაც იგი გაფორმებულია არა მოსალოდნელი მორფით, არანედ სხვა კატეგორიის ადიქსით. ასეთი მდგომარეობა გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობასა და ინვერსიული ფორმებით შექმნილ დამოკიდებულებაში.

პოტენციური თუ რეალური უნიშნო დაქვემდებარება არსებითად განსხვავდება პრივატული მიმართებისაგან, რომელსაც ნულოვანი მორფი ახასიათებს. საქმე იმაშია, რომ პრივატულ მიმართებაში ნულოვანი მორფი („ფორმანტო ფორმა“) ბინარული რგოლის ერთ-ერთი („მარჯვენა“ ან „მარცხენა“) ოპოზიციური წყებისაოვის არის დამახასიათებელი (ფორმა არ ავლენს კატეგორიის ნიშან-თვისებებს, ნეიტრალურია, უპირისპირდება თავის ოპოზიციურ წყებას, რომლის ფორმები ავლენენ კატეგორიის ნიშან-თვისებებს). პოტენციური თუ რეალური უნიშნო დაქვემდებარების ფორმები ავლენენ კატეგორიის ნიშან-თვისებებს, მაგრამ ეს ნიშან-თვისებები გრამატიკულად არ არის გამოხატული ან სინტაქსური ერთეულის

ლექსიკური თავისებურების (პოტენციური დაქვემდებარება) ან
სხვა მიზეზის — სინტაქსურა ერთეულის პოზიციური განლაგების,
ფონეტიკური მიზეზების (რეალური უნიშნო დაქვემდებარება) —
გამო; მაგ.:

პ რ ი ვ ა ტ უ ლ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ა

ბავშვი დგას — ბავშვები დგანან,

მე ვწერ — ჩვენ ვწერთ და სხვ., რომლებშიც „მარცხენა“ ოპო-
ზიციური წყება არ გამოხატავს სინტაქსურ დაქვემდებარებას (ამ
შემთხვევაში შეთანხმებას), ხოლო „მარჯვენა“ გამოხატავს.

პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ი დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა

ააშენა სახლი, მე (კაცი) ვწერ;

დაიჭირა ჩიტი, შენ (კაცმა) დახატე და სხვ.

რ ე ა ლ უ რ ი უ ნ ი შ ნ ო დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა

(პ-)ეკითხება მასწავლებელს, გრძელ(-ს) სკამს,

(პ-)უშავდება ბავშვს, ახალ(-ად) ამბად და სხვ.,

რომლებშიც სინტაქსური დაქვემდებარების ფაქტი აღინიშნება, მაგ-
რამ — უმორფოდ (უფორმანტოდ).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრივატული მიმართება დაპირისპი-
რების (ოპოზიციის) საფუძველზეა დიფერენცირებული, ხოლო პო-
ტენციური თუ რეალური უნიშნო მიმართება — ფორმათა მსგავ-
სებისა (იდენტურობისა).

სიტყვათა დაქვემდებარება არაა ყოველთვის ერთნაირი. ერთ
შემთხვევაში დაქვემდებარებული ელემენტი მხოლოდ ერთი ფორ-
მით გვხვდება (თუმცა ეს ერთი ფორმა გაბატონებული წევრის ზე-
ვაგლენით არის მიღებული), ე. ი. გვაქვს უცვლელი, სტატიკური
დაქვემდებარება, მაგრამ მის პარალელურად გვხვდება ცვალებადი,
დინამიკური, დაქვემდებარებაც, რომლის დროსაც დაქვემდებარ-
ებული წევრი ამა თუ იმ ფორმით ეხამება, აკმაყოფილებს
გაბატონებულის ვალენტობას და იმავე დროს ასახავს მის ცვალე-
ბადობას ან იმავე, ან განსხვავებული კატეგორიის ფორმებით; შდრ.::

ბავშვი — იმალება, იმალებოდა, იმალებოდეს, დაიმალება, დაი-
მალებოდა, დაიმალებოდეს, დაიმალა, დაიმალოს, დამალულა,
დამალულიყო, დამალულიყოს;

მზე, მთას — ეფარება, ეფარებოდა, ეფარებოდეს, მოეფარე-
ბა, მოეფარებოდა, მოეფარებოდეს, მოეფარა, მოეფაროს, მოჰფარ-
ვის, მოჰფარ(ვ)ოდა, მოჰფარ(ვ)ოდეს და მისთ.


ამ შეხამებებში დაქვემდებარებული წევრი მხოლოდ ერთი ფო-
რმით (სახელობითი ან მრცემითი ბრუნვის ფორმით), ს ტ ა ტ ი კ ა-
ში აკმაყოფილებს გაბატონებული წევრის მოთხოვნას ყველა შემ-
თხვევაში.



ბავშვ-ი, სათამაშო-ს — მალავს, მალავდა, მალავდეს, ლავს, დამალავდა, დამალავდეს,
 ბავშვ-მა, სათამაშო — დამალა, დამალოს,
 ბავშვ-ს, სათამაშო — დაუმალავს, დაემალა, დაემალოს.
 ნისლ-ი, ხევ-ს — ფარავს, ფარავდა, ფარავდეს, დაფარავს, დაფარავდა, დაფარავდეს,
 ნისლ-მა, ხევ-ი — დაფარა, დაფაროს,
 ნისლ-ს, ხევ-ი — დაუფარავს, დაეფარა, დაეფაროს და მისთ.
 ამ შეხამებებში დაქვემდებარებული წევრი რამდენიმე ფორმით აკმაყოფილებს გაბატონებული წევრის მოთხოვნას, ასახავს მის ცვალებადობას დ ი ნ ა მ ი კ ა შ ი, ერთდროულად აკმაყოფილებს გაბატონებულის როგორც მოთხოვნას, ისე ცვალებადობას.
 ამრიგად. სინტაქსური დაქვემდებარება შეიძლება იყოს შემდეგი სახისა:

- ა) ფორმიანი ან უფორმო,
- ბ) რეალური ან პოტენციური,
- გ) ნიშნიანი ან უნიშნო,
- დ) დინამიკური ან სტატიკური.

დაქვემდებარების ამ (ა, ბ, გ) სახეთა შორის გარკვეული ღრთიერთობაა, რომელიც ჯაჭვურ ხასიათს ავლენს („ბინარული დაწოკიდებულების ქაჭვი“), რაც კარგად ჩანს შემდეგ სქემაზე:



3. 5. 8. სიტყვათა კოზიციური განლაგების თავისებურებანი და მათი გავლენა დაქვემდებარების გაფორმებაზე

3. 5. § 1. სიტყვათგანლაგება

სინტაქსურ ერთეულთა განლაგება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. თავიდანვე უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა: 1. სატყვათგანლაგების ფუნქციური მნიშვნელობა და მისი

გავლენა სიტყვათა შეხამებაზე და 2) სიტყვათგანლაგების ექსპრესიული (მააქტუალიზებელი) მნიშვნელობა. პირველ შემთხვევაში სიტყვათა რიგს სინტაქსურ-სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს, იგი გრამატიკული ფორმის ტოლფასია; ხოლო მეორეში — სინტაქსურ-სტილური. სიტყვათგანლაგების მნიშვნელობა წინადადებისათვის, როგორც გამონათქვამისათვის, ჩვენ ზევით განვიხილეთ (იხ. 2. 5. ა). ამჯერად სიტყვათა რიგს შევეხებით ფუნქციური, სინტაქსურ-სტრუქტურული თვალსაზრისით.

სიტყვათგანლაგება ზოგ ენაში ფუნქციურად მადიფერენცირებულ როლს ასრულებს, ზოგში მხოლოდ აქტუალიზების საშუალებათაა, ხოლო ზოგში ორივე როლი აქვს დაკისრებული; მაგ.: ინგლისურსა და ფრანგულ ენებში, რომელთაც ბრუნების სუსტი სისტემა ახასიათებთ, სინტაქსური ერთეულის ფუნქცია ძირითადად წინადადების სტრუქტურაში მისი ადგილით არის განპირობებული; მაშასადამე, სიტყვათგანლაგებას ამ ენებში ფუნქციურად მადიფერენცირებელი მნიშვნელობა აქვს (შდრ.:

Le grand-père voit la jeune fille dans le jardin
 – La jeune fille voit le grand-père dans le jardin;
 The grandfather sees a little girl in the garden
 – A little girl sees the grandfather in the garden

ბაბუა ხედავს გოგონას ბაღში — გოგონა ხედავს ბაბუას ბაღში).

გარდა ფუნქციურად მადიფერენცირებელი მნიშვნელობისა, სინტაქსურ ერთეულთა პოზიციურ განლაგებას წინადადების ტიპების დიფერენციაციისათვისაც აქვს მნიშვნელობა (შდრ.:

Yau have many friends. – Have you many friends?
 Vous avez beacoup d’ami. – Avez-vous beacoup d’ami?
 Sie haben viele Freunde. – Haben Sie viele Freunde?

შენიშვნა: ინგლისურში PS წყობის კითხვითი წინადადება ნაკლებად პროდუქტიულია, მაგრამ პროდუქტიულ შემველ-ზმნიან ფორმებშიც შემასმენელი (შემასმენლური do ელემენტი) ქვემდებარის წინაა (მაგ.: Do you speak Georgian?). ე. წ. სპეციალური კითხვები იწყება კითხვითი სიტყვით, რომელსაც ძალიან ხშირად სიტყვათა რიგის შეცვლაც ახლავს ხოლმე.

სინტაქსურ ერთეულთა განლაგების შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სტრუქტურულ ერთეულთა დონეები. ზემოთქმული ეხება აღნიშნულ ენებში კონსტრუქციული დონის ერთეულებს. მიღებულია, რომ ქვემდ. — შემ. — დამ. სტრუქტურა (წინადადების კონსტრუქცია) პოზიციურად მყარია. განსაკუთრებით მყარია შემასმენლის ადგილი, იგი თითქმის ყოველთვის უშაშია. კონსტრუქციის ელემენტთა გადანაცვლება იწვევს მათი სინტაქსური ფუნქციის შეცვლას. შესიტყვებაში სიტყვათა რიგის

შეცვლა უფრო მეტად მის „გაფორმებაზე“ ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ ატრიბუტული მსაზღვრელი, თანამედროვე ქართულის მსგავსად, საზღვრულს წინ უძღვის (შდრ.:

un petit garçon — პატარა ბიჭი; die große Schlacht — დიდი ბრძოლა; a little girl — პატარა გოგონა). სუბსტანტიური მსაზღვრელი შეიძლება ორგვარ ვითარებაში შეგვხვდეს. ეს ვითარებანი რამდენიმე დიფერენცირებულია წარმოების მხრივაც; შდრ.: the boy's book ≈ the book of the boy; le livre de mon frère; Peters Zimmer ≈ das Zimmer von Peter (des Peters) და სხვ.

კოორდინაციულ დონეზე სიტყვათგანლაგებას უძველეს ქართულში აუცილებლად უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა, როდესაც კონსტრუქციის ელემენტები (კოორდინატები) ნეიტრალური ფორმით (ნულოვანი მორფით) იყვნენ წარმოდგენილნი. ამ შემთხვევაში რიცხით პირველი სუბსტანტიური ელემენტი ქვემდებარედ ითვლებოდა, ხოლო მეორე — დამატებად (შდრ. კენ მოკლა აბელ; კენ აბელ მოკლა — აბელ მოკლა კენ). ნეიტრალურობის ეს თვისება უფრო დიდხანს შეინარჩუნეს საკუთარმა სახელებმა, მაგრამ ისინიც მხოლოდ გადმონაშთის სახითა შემოგვრჩნენ ძველ ქართულ ტექსტებში. ისტორიული თვალსაზრისით ამ სახელთა ჩვენება უაღრესად ფაქტობრივია (არს. წიგნი ავ. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. 1948, გვ. 3-4).

თანამედროვე ქართულში სიტყვათგანლაგება არ ახდენს გავლენას კოორდინატების ფუნქციაზე იმის გამო, რომ იგი წინადადების სტრუქტურაში მკაცრად არის განსაზღვრული სათანადო გრამატიკული (ბრუნვის) ფორმით; ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს კოორდინატთა პოზიციურ მიმდევრობას. მიმდევრობათა თეორემის მიხედვით, m განსხვავებული ობიექტების შეხამებათა რაოდენობა n -ის მიხედვით უდრის $n!$ -ს (იხ., მაგალითად, Ф. Мостеллер, Р. Рурке. Вероятность. М., 1969, გვ. 56). ამის შესაბამისად, როცა P ერთპირიანი ზმნაა, კოორდინატი არის 2, მიმდევრობა — $n!$, ე. ი. $2! = 1.2 = 2$; მაგ.:

1) SP — მზე ამოდის.

2) PS — ამოდის მზე.

ბ) P ორპირიანი ზმნაა, კოორდინატი არის 3, მიმდევრობა — $n!$, ე. ი. $3! = 1.2.3 = 6$; მაგ.:

1) SPO — გემი მიაღვა ნაპირს.

2) SOP — გემი ნაპირს მიაღვა.

3) PSO — მიაღვა გემი ნაპირს.

4) POS — მიაღვა ნაპირს გემი.

5) OSP — ნაპირს გემი მიაღვა.

6) OPS — ნაპირს მიაღვა გემი.

გ) P სამპირიანი ზმნაა, კოორდინატი არის 4, მიმდევრობა —
 $n!$ ე. ი. $4! = 1.2.4 = 24$; ნიმუშებისათვის განვიხილავთ P_2 -ის
 კონსტრუქციის პოზიციურ ვარიანტებს, რადგან მასში უფრო ნათქვამი
 ღია განსხვავება ბრუნვაუცვლელსა და ბრუნვაუცვლელად O-ებს შორის
 მაგ.:

- 1) SPO_1 — ზაზამ აქამა თინას ვაშლი.
- 2) SPO_1O — ზაზამ აქამა ვაშლი თინას.
- 3) $SOPO_1$ — ზაზამ თინას აქამა ვაშლი.
- 4) SOO_1P — ზაზამ თინას ვაშლი აქამა.
- 5) SO_1PO — ზაზამ ვაშლი აქამა თინას.
- 6) SO_1OP — ზაზამ ვაშლი თინას აქამა.
- 7) PSO_1 — აქამა ზაზამ თინას ვაშლი.
- 8) PSO_1O — აქამა ზაზამ ვაშლი თინას.
- 9) $POSO_1$ — აქამა თინას ზაზამ ვაშლი.
- 10) POO_1S — აქამა თინას ვაშლი ზაზამ.
- 11) PO_1SO — აქამა ვაშლი ზაზამ თინას.
- 12) PO_1OS — აქამა ვაშლი თინას ზაზამ.
- 13) $OPSO_1$ — თინას აქამა ზაზამ ვაშლი.
- 14) OPO_1S — თინას აქამა ვაშლი ზაზამ.
- 15) $OSPO_1$ — თინას ზაზამ აქამა ვაშლი.
- 16) OSO_1P — თინას ზაზამ ვაშლი აქამა.
- 17) OO_1SP — თინას ვაშლი ზაზამ აქამა.
- 18) OO_1PS — თინას ვაშლი აქამა ზაზამ.
- 19) O_1OSP — ვაშლი თინას ზაზამ აქამა.
- 20) O_1OPS — ვაშლი თინას აქამა ზაზამ.
- 21) O_1SOP — ვაშლი ზაზამ თინას აქამა.
- 22) O_1SPO — ვაშლი ზაზამ აქამა თინას.
- 23) O_1POS — ვაშლი აქამა თინას ზაზამ.
- 24) O_1PSO — ვაშლი აქამა ზაზამ თინას.

სუბორდინაციულ დონეზე (შესიტყვებაში) სიტყვათა დაქვემდებარების გრამატიკული „გაფორმების“ აუცილებლობის საკითხი ქართულ ენაში, ჩვეულებრივ, მრავალწევრა შესიტყვებაში დაისმის. როგორც აღვნიშნეთ, ცალკეული წევრის ფუნქცია განპირობებულია მისი მიმართებით დასაზუსტებელ (გაბატონებულ) წევრთან. ბუნებრივია, ორწევრა შესიტყვებაში, თუ წყობა პრეპოზიციულია, მიმართების გაფორმებას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან მისი ადგილი მკაცრადაა განსაზღვრული და დახშულია გზა დაქვემდებარებული წევრის სხვა („უცხო“) წევრთან მიკედლებისა.

შესიტყვებაში ამა თუ იმ წევრის (სუბორდინატის) ადგილის ლოკალიზაციაზე გავლენას ახდენს, ძირითადად, სამი ფაქტორი: ა)

დაქვემდებარებულ წევრთა რაოდენობა, ბ) გაბატონებულ და დაქვემდებარებულ წევრთა ლექსიკურ-გრამატიკული ვალენტური თავისებურებანი, რის საფუძველზეც წევრთა გადანაცვლებით შეიქმნებელია (მაგ., პოსტპოზიციურ წყობაში) არასასურველი შეხამება ან თუნდაც არასასურველი სტილური ელფერი მივიღოთ (მისცა ამხანაგის დას წიგნი. მისცა დას ამხანაგის წიგნი, მისცა დას ამხანაგის (-ას) წიგნი), გ) სხვა წევრის გავლენა დაქვემდებარებულ წევრზე. შდრ.:

სოფლიდან ჩამოსული ამხანაგის გამგზავრება — ჩამოსული ამხანაგის სოფლიდან გამგზავრება — ჩამოსული ამხანაგის სოფლიდან გამგზავრება.

პრავაღწევრა შესიტყვებაში მისა ელენენტები ერთობს ან ცირითად წევრს უკავშირდებიან და ეს კავშირი, როგორც წესი, გრამატიკულად არის გაფორმებული სიტყვათგანლაგებას ამიტომ არც აქ ენიჭება არსებითი მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეხამებულ ერთეულებს შორის შესაძლებელია მოხვედეს ისეთი, რომელაც თავისი ვალენტობით მიიზიდავს სხვაზე დაქვემდებარებულ წევრს; შდრ. ურმის დიდი თვალი და დიდი ურმის თვალი (ა. შანიძის ნინუში). ასეთ შემთხვევაში რამდენადმე „შეზოკილი“ სიტყვათშეხამებანი იქმნება, რომლის დარღვევა სხვაგვარ გაგებას ქმნის; მაგ.: შოკის მდგომარეობიდან ავადმყოფის გამოყვანა — ავადმყოფის შოკის მდგომარეობიდან გამოყვანა — შოკის ავადმყოფის მდგომარეობიდან გამოყვანა და სხვ.

როდესაც იქმნება ამგვარი საფრთხე, სიტყვათშეხამებაში ძლიერდება მიმართების ფორმოპრივი აღნიშვნა, რაც უპირატესად წეოითი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ზეპირი მეტყველება სპეციფიკური ინტონაციით (მაკ. ლოგიკური პაუზით) ახერხებს ვაგებინების სინუსტის დაცვას (აქტუალიზებას), თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ნაწერშიც ან სათანადო მორფით, ან სიტყვათა რიგით არა „განმტკიცებული“ სინტაქსური მიმართება და წინადადების სწორად გაგება წამკითხველის ინტუიციას ეკისრება.

მ. ნ. გ. § 2. სინტაქსურ ერთეულთა პოზიციური განლაგების შემთხვევები

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვათა პოზიციური განლაგება გავლენას ახდენს სინტაქსურ დაქვემდებარებაზე, სახელდობრ მის „გაფორმებაზე“. ამასთან გარკვეულ შემთხვევებში მას შეიძლება მადიფერენცირებელი მნიშვნელობა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში,

მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სინტაქსური დაქვემდებარების ფორმოზრივი გამოხატვისათვის სუბორდინაციულ დონეზე, სადაც დაქვემდებარებული წევრი ითვალისწინებს გაბატონებულის მოთხოვნებს (რასაკვირველია, თავისა ლექსიკურ-მორფოლოგიური შესაძლებლობის ფარგლებში) რეალურად ან პოტენციურად. შესაბამისი მორფთა ან უმორფოდ, დინამიკაში ან სტატიკაში, მაგრამ ავით რეალურ სინტაქსურ დაქვემდებარებაშიც კი ძალიან ხშირად დაქვემდებარების გაფორმებაზე გავლენას ახდენს დაქვემდებარებული წევრის პოზიცია გაბატონებულის მიმართ, სიტყვათშეხამების წყობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტერმინს — პოზიცია — ვხმარობთ ძირითადი (ადგილის, განლაგების) მნიშვნელობით.

პოზიციური თვალსაზრისით, სიტყვათშეხამებებში აღინიშნება დაქვემდებარებული წევრის შემდეგი ადგილი გაბატონებულთან მიმართებით:

ა) დაქვემდებარებული მოთავსებულია გაბატონებულის წინ (პრეპოზიცია).

ბ) დაქვემდებარებული წევრი მოთავსებულია გაბატონებულის შემდეგ (პოსტპოზიცია).

ორსავე შემთხვევაში უნდა განვიხილოთ პოზიციური განლაგების ორგვარი წყობა: უშუალო (კონტაქტური) და გათიშული (დისტანციური), ე. ი. გვექნება ოთხი შემთხვევა (განკერძოებულ შეხამებას ცალკე განვიხილავთ):

I შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პრეპოზიცია, უშუალო წყობა.

ნიმუშები:

გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში (ი. კ.).

ლ უ რ ჯ ბ ე დ ა უ რ ს, ნოაგელვებს მეგობრისთვის მეგობარი (ა. წ.) და მისთ.

II შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პრეპოზიცია, გათიშული წყობა.

ნიმუშები:

ჩ ე მ ი გაჰყვით ხორცსა მათსა ხ რ მ ა ლ ი ბასრი (ვტ).

მ წ ვ ა ნ ე ს ეწვდება ნ ე კ ე რ ს ა ხარი ირემი რქიანი (ვაჟა) და მისთ.

III შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პოსტპოზიცია, უშუალო წყობა.

ნიმუშები:

ზეცა დაჰყურებს ქვეყანს თ ვ ა ლ ი თ ა ლ მ ო ბ ი ე რ ი თ ა, გა-



მოსცდის, გამოაბრძმედებს ქირითა მრავალფეროვნებაში (ვაჟ.)

დიდი ოჯახი მამლისა გაატიალეს ქორებმა (ვაჟა) და მისთ.

IV შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პოსტპოზიცია, გათიშული წყობა.

ნიმუშები:

მიწაც ტკბილია მშობლიური (ვაჟა).

თენდება, ნამი დაჰყრია მიწასა აღმასიანი, არაგვსა პირი ლცინის, ტანი უშვენის ხმლიანი (ვაჟა) და მისთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს განკერძოებული სიტყვათშეხამება, რომელიც თითქმის ყოველთვის პოსტპოზიციურია, წყობა გათიშულია (განკერძოებული). აღნიშნული შემთხვევა დომინაციის გაფორმების მხრივ არ განსხვავდება IV შემთხვევისაგან და ამიტომ მას ცალკე არ გამოვყოფთ (განკერძოებულ შეხამებას სხვა თავისებურებანიც გააჩნია, რომელთაც სათანადო ადგილზე შევვხებით: იხ. 3. 8. ფარლობა).

იმისდა მიხედვით, თუ პოზიციურად და წყობის მიხედვით რავითარებაში გვაქვს სიტყვათშეხამება, დაქვემდებარების გაფორმება ნაირგვარია. როგორც აღვნიშნეთ, კოორდინაციაში მონაწილე ერთეულთა პოზიციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათი გაფორმებისათვის. მათი ფორმობრივი გამოხატვა სრულიად სხვაგვარ კანონებს ექვემდებარება. ზემოაღნიშნული პოზიციები და წყობანი გავლენას ახდენენ მხოლოდ სუბორდინაციულ ერთეულებზე, ისიც არა ყოველთვის. პოზიცია-წყობათა აღნიშვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობისათვის (არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 149, ზ. ფოჩხუა. სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იკე, XIII, 1962, გვ. 122), ე. ი. როცა გაბატონებული წევრი არსებითია, ხოლო დაქვემდებარებული ზედსართავი, რიცხვითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელი. როცა დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედაა, მაშინ მის პოზიციას ან წყობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მასსა და მის გაბატონებულ წევრს შორის ისეთი ერთეულია, რომელსაც ზმნიზედათა ვალენტობის უნარი აქვს. ამ შემთხვევაში დაქვემდებარებული ზმნიზედა ცდილობს, ახლოს იყოს თავისი გაბატონებულთან. ეს ბუნებრივია, რადგანაც ზმნიზედას თავისი გაბატონებულ წევრთან უფორმო დამოკიდებულება ახასიათებს და იქმნება საფრთხე სხვა წევრთან მისი დაკავშირებისა. ასეა ყოველთვის, როდესაც სიტყვათშეხამების გაფორმება-

ში არის რაიმე „ხარვეზი“ და იქმნება სხვა ელემენტთან „მიკედლე-ბის საფრთხე“; შდრ.

ჩვენ სახლს ვაშენებთ (მშენებლები ჩვენ ვართ) — ჩვენ სახლს ვაშენებთ (სახლი ჩვენია).

იშვიათად სიტყვათგანლაგებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონსტრუქციის რეალიზებაზე. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც შემასმენელი შედგენილია. მარტივი (მხოლოდ ზმნით გამოხატული) შემასმენლის კონსტრუქციული ელემენტების რაოდენობა და მათი რეალიზაცია მკაცრად განსაზღვრული, მაგრამ სახელისა და ზმნის კომპლექსით რეალიზაციის დროს გვხვდება ასეთი შემთხვევებიც: ეს ჩემი ძმა არის; შდრ. ჩემი ძმა ეს არის.

სიტყვათგანლაგების შეცვლა ყველა ვარიანტში არ იწვევს ფუნქციურ ცვლილებას; მაგალითად:

ა) იყო ზაფხულის მშვენიერი საღამო.

ბ) ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო.

მაგრამ სხვა ვარიანტებში იმავე რიგის წინადადება არ გვექნება:

ბ) მშვენიერი საღამო ზაფხულის (ა) იყო.

დ) ზაფხულის საღამო მშვენიერი იყო.

ამრიგად, დაქვემდებარების გაფორმებისას თავისებურ სახეებს ქმნის, ერთი მხრივ, I შემთხვევა — დახშული შეხამება (დაქვემდებარებული წევრის პრეპოზიცია, უშუალო წყობა), ხოლო, მეორე მხრივ, II, III და IV შემთხვევები — ღია შეხამებანი, რომლებიც ამ ავალსაზრისით უპირისპირდებიან I შემთხვევას (დახშულ შეხამებას, უშუალო პრეპოზიციულ წყობას):

ვარაუდობენ, რომ ღია შეხამება, სახელდობრ მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა (III და IV შემთხვევები), ძველი ქართული სათავის ძირითადი იყო, ხოლო პრეპოზიციულ წყობაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებით შეხამების დახშობა მეორეულია, თუმცა ნასაც ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ უძველეს ძეგლებში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული წყობა, რომელიც თანდათან ძლიერდება და გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს; მაგალითად, ოთხთავში „საზღვრულ-მსაზღვრელის 10.978 მაგალითის შეეფარდება მსაზღვრელ-საზღვრულის 3.339 მაგალითი“ (ვ. კახაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთავში წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I. თბ., 1956, გვ. 329).

დახშული პრეპოზიციული წყობა დაქვემდებარებულ სიტყვას მკაცრად უსაზღვრავს გაბატონებულს, რომელიც ამ შემთხვევაში დაქვემდებარებულისათვის გარკვეული ზღუდეა, რის გამოც დაქ-



ვემდებარებულს აღარ სჭირდება ხოლმე რაიმე განმასხვავებელი ნიშანი (დამოკიდებულების მორფი), ვინაიდან სიტყვათშეხამებაში მას სხვა გზა აღარ აქვს. გარდა უშუალოდ თავისი გაბატონებული სადმი დაქვემდებარებისა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის დახშულ შეხამებაში ბრუნვის ნიშნები დარგვის გზაზეა დამდგარი. ისინი საერთოდ აღარ გვაქვს ფუძებოლოხმოვნთან მსაზღვრელებში:

სახ. კოპწია(-ი) თოჯინა	საინტერესო (-ი) წიგნი
მოთხრ. კოპწია(-მ) თოჯინამ	საინტერესო(მ) წიგნმა
მიც. კოპწია(-ს) თოჯინას	საინტერესო(ს) წიგნს
ნათ. კოპწია(-ს) თოჯინასი	საინტერესო(-ს) წიგნის
მოქმ. კოპწია(-თი) თოჯინათი	საინტერესო(-თი) წიგნით
ვით. კოპწია(-დ) თოჯინად	საინტერესო(-დ) წიგნად
წოდ. კოპწია(-ვ) თოჯინავ	საინტერესო(-ვ) წიგნო

ბრუნვის ნიშნები ბოლოთანხმოვნთან მსაზღვრელებშიც იკარგება ხოლმე:

სახ. ჰრელ-ი პეპელა	სამ-ი ხე
მოთხრ. ჰრელ-მა პეპელამ	სამ-მა ხემ
მიც. ჰრელ(-ს) პეპელას	სამ(-ს) ხეს
ნათ. ჰრელ-ი(ს) პეპელის	სამ-ი(ს) ხის
მოქმ. ჰრელ-ი(თ) პეპლით	სამ-ი(-თ) ხით
ვით. ჰრელ(-ად) პეპლად	სამ(-ად) ხედ
წოდ. ჰრელ-ო პეპელავ	

მართალია, ბოლოთანხმოვნთან მსაზღვრელებში ჯერჯერობით ბრუნვის ნიშნები შენარჩუნებულია სამ შემთხვევაში (სახელობითს, მოთხრობითსა და წოდებითს ბრუნვებში), ორ შემთხვევაში — ნაწილობრივ (ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში), ხოლო ორ შემთხვევაში (მიცემითსა და ვითარებითს ბრუნვებში) სულ იკარგება, მაგრამ თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით სასაუბრო მეტყველებაში, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ფუძებოლოთანხმოვნთან მსაზღვრელის უნიშნო ფორმებიც.

სახ. თბილ-ი დღე	ყოველ-ი კაცი
მოთხრ. თბილ(-მა) დღემ	ყოველ(-მა) კაცმა
მიც. თბილ(-ს) დღეს	ყოველ(-ს) კაცს
ნათ. თბილ(-ის) დღის	ყოველ(-ის) კაცის
მოქმ. თბილ(-ით) დღით	ყოველ(-ით) კაცით
ვით. თბილ(-ად) დღედ	ყოველ(-ად) კაცად
წოდ. თბილ-ო დღეო	ყოველ-ო კაცო

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ ჯერ კიდევ 37-იან წლებში ს. ჯანაშიას მოხსენების მიხედვით დასაშვებად წიიჩნია ამგვარი ფორმები (იხ. სალიტერატურო ქართული ენის ნორმები, I, 1936, გვ. 21).

როგორც ვხედავთ, დახშულ პრეპოზიციულ სიტყვათშეხამებაში ფლექსიის დასუსტება ენაში ამყადაც გრძელდება და ეს სწორედ წყობით არის გამოწვეული (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 86).

სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის მიითებული, რომ პრეპოზიციულ წყობაში ატრიბუტულ მსაზღვრელს, საზოგადოდ, ტენდენცია აქვს, უბრუნველი გახდეს და ეს პროცესი, რომელიც შეხამების დახშულობით არის გამოწვეული, ბუნებრივია (არნ. ჩიქობავა, ჭანჭურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 70-71).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვის ნიშანთა მოკვეცა არ ახდენს ვავლენას დაქვემდებარებაზე, დაქვემდებარება მაინც რეალურია (ოლონდ უნიშნო), რადგანაც ბრუნვის ნიშნები მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში იკარგება: სხვა (II, III და IV) შემთხვევებში იგი რეალურად არის წარმოდგენილი.

ამრიგად, პოზიცია და წყობა (დახშული, ღია) ვავლენას ახდენს დაქვემდებარების გაფორმებაზე. სინტაქსური ანალიზის პროცესში ამ გარემოებას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

3. 5. დ. წინადადების ფიგურა დეტერმინაციის საკითხი

სინტაქსური მიმართება, როგორც წესი, მყარდება უმცირეს (ჰერიფერიულ) სინტაქსურ ერთეულებს შორის.

წინადადების წევრთა შორის მიმართების ორ—სტრუქტურულსა და სემანტიკურ — დონეზე ვანხილვა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ არა მარტო ცალკე ფორმობრივ-სტრუქტურული (მოდელისმიერი) ან ცალკე სემანტიკური შეხამებულობის კანონზომიერებანი, არამედ — ამ ორი დონის ურთიერთმიმართებაც, რასაც, ჩვენი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადების სტრუქტურის საკითხთა გადასაწყვეტად.

წინადადების სტრუქტურაში ამა თუ იმ სინტაქსური ერთეულის ფუნქცია და მიმართება დაქვემდებარების კანონებით არის განპირობებული. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში წინადადების წევრის ფუნქცია და მოდელისმიერი ვითარებით განპირობებული ფორმა ერთურთს ემთხვევა, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც წევრთა შორის მიმართება ირღვევა: სახელდობრ, ესა თუ ის ელემენტი „ლალატობს“, ეთიშება თავის გაბატონებულ წევრს და

-ეკედლება“ სხვა წევრს. ამ დროს დაქვემდებარებული წევრი ახლ სემანტიკურ მიმართებას ამყარებს სხვა წევრთან, ხოლო სტრუქტურული (ფორმოობრივი) მიმართება თავის გაბატონებულ წევრთან აქვს.

ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ ირღვევა დომინაციის კანონზომიერებანი, რომლებიც ჩვენ გარკვეულ სინქრონიულ კრილში ნუდმივად გამოვაცხადეთ? აღნიშნული კანონის მიხედვით კი ყოველ დაქვემდებარებულ წევრს ერთი და მხოლოდ ერთი გაბატონებული შეესაბამება (იხ. 3. 5. ა.). კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან დაქვემდებარების კანონები მოდელისმიერია, ე. ი. იგი ითვალისწინებს სტრუქტურულ მიმართებას: გარდა ამისა, ზემოაღნიშნული კანონი ითვალისწინებს მიმართების მუდმივობას ერთი ნიშნის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, გაბატონებულისაგან დაქვემდებარებული წევრის დაშორებამ შეიძლება რამდენადმე შეასუსტოს სემანტიკური კავშირი მათ შორის და დაქვემდებარებული წევრი დაუკავშირდეს (სემანტიკურად შეეხამოს) სხვა წევრს. თუ ეს სხვა წევრი სახელია, მაშინ გაბატონებული წევრი მასთან გრამატიკულ კავშირს შესაბამისი მორფით განამტკიცებს და ამით დაუზღობს სხვა წევრთან შეხამების გზას; მაგ.: და დ ლ ი ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი მიეგება ცხენოსნებს — მ გ ზ ა ვ რ ი მიეგება ცხენოსნებს და დ ლ ი ლ ი.

მაგრამ ზოგჯერ დაცილებული ატრიბუტული მსაზღვრელი სემანტიკურად შეეხამება ხოლმე ზმნა-შემასმენელს და გარემოების შინაარსს იძენს:

ლ უ ა რ ს ა ბ ი გ ა ფ ი თ რ ე ბ უ ლ ი აგურებზე უძრავად ჰგდია (ი. ჭ.); შდრ. ლ უ ა რ ს ა ბ ი გ ა ფ ი თ რ ე ბ უ ლ ი ჰგდია. საიდამლაე ნაზი ბულბული სტვენდა სიყვარულს გა გ ი ე ბ უ ლ ი (ი. ჭ.).

აღნიშნულ წევრს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევენ:

1) იგი კითხვის მიხედვით (როგორ?) ვითარების გარემოებად მიაჩნიათ (ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. შედგენილი შემასმენელი ქართულში, გვ. 212):

2) ამახვილებენ რა ყურადღებას, რომ ამ ტიპის განსაზღვრებამ დაკარგა სემანტიკური შეხამებულობა არსებითი სახელით გამოხატულ გაბატონებულ წევრთან, იგი შემასმენლის შედგენილობაში გადააქვთ (იხ. ა ლ. დ ლ ო ნ ტ ი. ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში. სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 2. 1955, გვ. 255. ავტორი შემასმენლის სამ ტიპს აღ-

ნიშნავს: ზმნურს — მარტივს, შედგენილს — რთულსა და ატრი-
ბუტივიანს — რთულს).

3) გამოყოფენ წინადადების თავისებურ წევრს — პრედიკა-
ტულ განსაზღვრებას (ლ. კვ ა ქ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის
სინტაქსი, გვ. 185-194).

ე. წ. „პრედიკატული“ განსაზღვრება უფრო ხშირად გამოხა-
ტულია ვნებითი გვარის მიმღობით, შედარებით იშვიათად — სა-
შუალი გვარის მიმღობით ან ზედსართავი და რიცხვითი სახელე-
ბით; მაგ.:

უმცროსი მიუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული
(ი. ჭ.).

იგი პატარა დაობლდა, დარჩა უმწეო, ბეჩავი (ვაჟა) და
სხვ.

აღნიშნულია, რომ ამ ტიპის განსაზღვრება ერთდროულად ახა-
სიათებს საგანსაც (ქვემდებარეს, პირმიმართ დამატებებს) და საგ-
ნის მოქმედების პროცესსაც. ამდენად იგი ორმაგი სინტაქსური ბუ-
ნებისაა (ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა. პრედიკატული განსაზღვრების შესახებ
ახალ ქართულში. ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII—XIX. სოხუმი,
1966, გვ. 270).

როგორც ვხედავთ, „პრედიკატული“ განსაზღვრების შესახებ
მსჯელობისას მეტი ყურადღება ექცევა მის სემანტიკურ შეხამე-
ბულობას, მაგრამ ამა თუ იმ წევრის კლასიფიკაციის დროს მთავა-
რია სინტაქსური კავშირი, დაქვემდებარების კანონზომიერებათა და-
ცვა. ამ მხრივ „პრედიკატული“ განსაზღვრების დაქვემდებარება
ზმნა-შემასმენლისადმი გამორიცხულია, რადგანაც ყველა შემთხვე-
ვაში გრამატიკულად (და მეტნაკლებად სემანტიკურადაც) იგი დაქ-
ვემდებარებულია არსებითი სახელით გამოხატული წევრისადმი.
ე. ი. დომინაციურ კავშირს იგი მხოლოდ ამ უკანასკნელთან ამყა-
რებს. ეს აშკარად ჩანს „პრედიკატულ“ განსაზღვრებად ჩათვლილ
ყველა შემთხვევაში (სინტაქსური დამოკიდებულების უფრო ნათ-
ლად წარმოსადგენად შევარჩევთ ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც „პრე-
დიკატული“ განსაზღვრების გაბატონებული წევრი გარდამავალი
ზმნით გამოხატულ შემასმენელთანაა კოორდინაციაში); მაგ.:

შვიდად და გლეჯილი მიუტანეს თევდორეს ქუდი (ვაჟა);
შდრ. შვიდად და გლეჯილს მიუტანენ თევდორეს ქუდს;

გიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს (ი. ჭ.); შდრ. გი-
ორგის ცოცხალ-მკვდარს ნახავენ და სხვ. (ვსარგებ-
ლობთ ლ. კვაჭაძის ნიმუშებით წიგნიდან „თანამედროვე ქართული
ენის სინტაქსი“).

ამრიგად, „პრედიკატული“ განსაზღვრება დაქვემდებარებულია კავშირშია სახელით გამოხატულ წევართან და იგი მხოლოდ მისდამოშეთანხმებული, ამიტომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ე. წ. „პრედიკატულ“ განსაზღვრებას რამდენადმე სხვაგვარად განიხილავს ლ. ბულახოვსკი, რომელიც გამოთქმებში: *пришел веселый, ходил задумчив, слушает довольный* შემასმენელთან „პრედიკატული“ განსაზღვრების კავშირს მისწრაფებას (тяготение-ს) უწოდებს (იხ. Л. А. Булаховский. *Курс русского литературного языка*. Киев. 1949, გვ. 237).

ე. წ. „პრედიკატული“ განსაზღვრება სხვადასხვა გზით უნდა იყოს მიღებული, როგორცაა:

ა) პირის ნაცვალსახელთა განკერძოებული განსაზღვრების (დანართის ნაგანსაზღვრებლის) შესვლა წინადადების სტრუქტურაში; მაგ.:

მე ცოცხალი გამომასალმეს ამ წუთისოფელს (ი. ჭ.); შდრ. მე, ცოცხალი (კაკი), გამომასალმეს ამ წუთისოფელს.

და შევსკვრეტ ცასა განცვიფრებულ ი (ი. ჭ.); შდრ. შევსკვრეტ ცასა (მე), განცვიფრებული (ადამიანი).

ბ) გაბატონებული წევრის გამოტოვება, რამაც მის განსაზღვრებას ზმნასთან სემანტიკურად დაახლოვების საშუალება მისცა; მაგ.:

(გიგოლას), მხარ-თეძოზე შემოწოლილს (.) დაეძინა ცეცხლის პირას (ვაჟა).

(მეუღაბნოე) ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი ვადმომდგარიყო ზღუდის კარებსა (ი. ჭ.) და სხვ.

გ) გარემოებისათვის „ბრუნვის“ ნიშნის მოკვეცა; მაგ.:

არსენა ქვიშხეთიდან მარტო (მარტოდ) წამოვიდა (მ. ჯავ.) და მისთ.

დ) გათიშვა გაბატონებული და დაქვემდებარებული წევრებისა შენი გაზრდილი მახარე წევს მკვდარი კლდისა ძირზედა (ვაჟა).

შენი ცხენისეოფლიანი დაება (ი. ჭ.) და სხვ.

ე) მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის შეცვლა; მაგ.:

ბიჭები გალაჩრებული ყბედობენ სიყვარულზედა (ვაჟა). ვაჟაკი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰლირს მკვებარი (ხალხ.) და სხვ.

რასაკვირველია, ხშირად რამდენიმე მიზეზი ერთად (კომბინირებული) მოქმედებს, რის საფუძველზეც ატრიბუტული ერთეული მიისწრაფვის შემასმენლისაკენ, რამდენადმე ლექსიკურად ეხამება მას, ეგუება ზმნის ვალენტობას, მაგრამ გრამატიკული (დომინანტიური) კავშირი მას მაინც თავის ძირითად გაბატონებულ წევრთან, სუბსტანტიურ ერთეულთან, რჩება; ამიტომ განსაზღვრების „პრედიკატულობა“ მხოლოდ სტილური ელფერია, რომელიც სტრუქტურული დონისა ვერ იქნება.

3. 6. სინტაქსური დაქვემდებარების ფორმები (სინტაქსური დამოკიდებულების სახეები)

3. 6. ა. სინტაქსური დამოკიდებულების სახეთა ზოგადი დახასიათება

კორდინაციული და სუბორდინაციული დაქვემდებარება სიტყვებს შორის ურთიერთობას ამყარებს არა უშუალოდ, არამედ თავისი ფორმების: შეთანხმების, მართვისა და მირთვის გზით, რომელთაც, დაქვემდებარების ზოგადი მნიშვნელობისაგან განსასხვავებლად, შეიძლება სინტაქსური დამოკიდებულებანი ვუწოდოთ.

ვიდრე სინტაქსური დაქვემდებარების ფორმების დახასიათებას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ საკითხი, რა სახის ურთიერთობანია ისინი, მხოლოდ ფორმოზომიერი, მხოლოდ ლექსიკური თუ ლექსიკურ-ფორმოზომიერი; აგრეთვე — რომელი დონის მოვლენად ჩაითვალოს ისინი — სიტყვის (მორფოლოგიური) თუ წინადადების (სინტაქსური) დონისა.

შეთანხმება, მართვა თუ მირთვა სიტყვათშეხამებაში ვლინდება. რომელიც არ არის არც წმინდა სინტაქსური, არც წმინდა მორფოლოგიური და არც წმინდა ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობა. ჩვენ იგი მივიჩნით შუალედურ ენობრივ ერთეულად ლექსიკურ-მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეთა შორის: ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის მაღალი რიგის, ხოლო იმავე დროს სინტაქსური დონის დაბალი რიგის ერთეულად. ცალკე სიტყვის ლექსიკურ-მორფოლოგიური ბუნების გასარკვევად საჭიროა სხვა სიტყვებთან მისი ურთიერთობის დადგენა. მართლაცდა, თუ იზოლირებულად განვიხილავთ სიტყვის — ახალი — ფორმას, მისი გარკვევა ძალიან გაგვიჭირდებოდა სათანადო შეხამებული სიტყვის (ან სიტყვების) გათვალისწინების გარეშე, რადგან სხვადასხვა მიზეზის გამო ეს

ფორმა სამგვარ ვითარებას მაინც (თუ მხოლოდ ბრუნვით შემოკლებული ფარგლებით) გულისხმობს:

ახალი	{	წიგნი (სახ.)
		წიგნის (ნათ.)
		წიგნით (მოკმ.)

ანალოგიურ ვითარებას, მაგრამ უფრო მეტი ვარიანტებით. გვიჩვენებს ყველა ფუძეებოლოგოენიანი მსაზღვრელი.

პირის გარეშე თვით ზმნის არსებობის წარმოდგენაც შეუძლებელია (ე. წ. „უპირო“ ზმნები—ნაზმნარი სახელები — მეორეული მოვლენებია ქართულში), პირთა აღნიშვნა კი თავის მხრივ უკვე სიტყვათშეხამების თვისებაა, სახელთა ბრუნება პარადიგმული რიგის მიხედვით ფორმაცვლილების, ე. ი. მორფოლოგიური, კატეგორიაა, მაგრამ ყოველი ბრუნვის ფორმა იმავე დროს სიტყვათშეხამებაში სხვა ფორმის გავლენითაა მიღებული. საკმარისია ამა თუ იმ აფიქსმა დაკარგოს სიტყვათშეხამების გაფორმების უნარი, რომ გამოეთიშოს სიტყვათა ფორმობრივ (მორფოლოგიურ) კატეგორიას და სიტყვის ფუძეში გადაინაცვლოს, როგორც ფორმათწარმოების ან, საერთოდ, უფუნქციო აფიქსმა (გავიხსენოთ ბრუნვის ნიშანი ივ: მ ა რ ჯ ვ ნ-ი ვ, მ ხ ა რ-ი ღ ღ-ი ვ და სხვა სიტყვებში ან „გაქვავებულ“ ბრუნვის ფორმები: პ ი რ ვ ე ლ-ა დ-ი, ო დ ნ ა ო ბ-ით-ი, კ რ ე ბ-ით-ი და სხვ.).

ამრიგად, ფორმაცვლილების მორფოლოგიური კატეგორია დგინდება სიტყვათშეხამებაში, სიტყვათა შორის ურთიერთობის საფუძველზე (ვ. თ ო ფ უ რ ი ა. მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, II. ქურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7-8, გვ. 750).

ამა თუ იმ ფორმას ქმნის სპეციფიკური ფუნქცია. საკმარისია ფუნქცია შესუსტდეს და დაიკარგოს, რომ ფორმაც მოიშალოს. ფორმის ფუნქცია კი მხოლოდ და მხოლოდ სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში, გარკვეულ პოზიციურ ფონზე, ვლინდება, ცალკეულ სიტყვას ზოგადად შეუძლია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის ფუნქცია, რაც, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სიტყვათა იმ კლასის ტიპობრივ ლექსიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებაზე, რომელსაც განეკუთვნება თვით ეს სიტყვა, მაგრამ ზოგადი ფუნქციის შესრულებას, ე. ი. გარკვეული ვალენტობის გამოვლენას, ხელს უწყობს (ან, პირიქით, ხელს უშლის) სიტყვის ლექსიკური თავისებურებანი, რომლებიც თავიანთ მხრივ გავლენას ახდენენ ფორმაზეც; მაგალითად, ცნობილია, რომ არსებით სახელებს აქვთ რიცხვის კატეგორია; მაშასადამე, ზოგადად ზმნას შეუძლია, ასახოს მას-

თან სიტყვათშეხამებაში დაკავშირებული სახელის რიცხვი (მოქმედ ან სამოქმედო საგანთა სიმრავლე), მაგრამ რიცხვის კატეგორია, ყოველ შემთხვევაში, ებ-იანი მრავლობითისა, ყველა არსებითს არ გააჩნია ან, კიდევ მეტი, შეიძლება სახელს გააჩნდეს რიცხვის კატეგორია, მაგრამ სიტყვათშეხამებაში მას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლოს.

ფუნქციას შეიძლება საზოგადოდ ეკვივალენტური ფორმა არ შეეხამოს; ე. ი. გამოიხატოს არა მოსალოდნელი, არამედ სხვა ფორმით. ამ მხრივ საყურადღებოა ზმნის სუბიექტისა და ობიექტის ფორმობრივ მახვენებელთა შენაცვლება — ინვერსია, რაც თვით ზმნის ბუნებიდან გამომდინარეობს. როგორც ცნობილია, III სერიაში ამა თუ იმ გარდამავალი ზმნის მორფოლოგიური ობიექტი იმიტომაა ჩათვლილი რეალურ სუბიექტად, რომ იგი I და II სერის ფორმებთან ხმარებული რეალური სუბიექტის, რომელიც უდრის მორფოლოგიურ სუბიექტს, წყებაში დგება.

ამრიგად, სიტყვათშეხამებაში გაერთიანებულ ორგანიზებულ სიტყვათა (წინადადების წევრთა) შორის დაქვემდებარება ფორმობრივია, გარკვეული ფორმით არის გამოხატული, მაგრამ ამ ფორმაზე გავლენას ახდენს როგორც დამქვემდებარებლის (გაბატონებულ წევრის), ისე დაქვემდებარებულის ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები.

ზემოთ უკვე აღნიშნულია, რომ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკურსა და ფორმობრივ მხარეებს შორის გარკვეული დამოკიდებულება შეინიშნება:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრებს შორის დამოკიდებულება რამდენადმე ლექსიკურ-სემანტიკურად აპირობებს ერთმანეთს. გარდა ამისა, გაბატონებული წევრის ლექსიკური ცვალებადობა შეიძლება აისახოს დაქვემდებარებულის ფორმობრივ ცვლილებებში. ამის საუკეთესო ნიმუშია ზმნის პირი.

სახელით გამოხატული წევრისაგან ზმნა-შემასმენლის შეთანხმება სუბიექტურ ან ობიექტურ პირში არ არის დაქვემდებარებულის ფორმის დამოკიდებულება გაბატონებულის ფორმაზე. აქ უფრო ლექსიკურ-ფორმობრივი ურთიერთობაა. პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, (იგი); ჩვენ, თქვენ, (იგინი) ერთმანეთისაგან ფორმობრივად არ განსხვავდებიან. მათ სხვადასხვა ძირი აქვთ. პირის ნაცვალსახელთა ურთიერთშენაცვლება სუბლექტიურია, მაგრამ ეს ლექსიკური შენაცვლება სიტყვათშეხამებაში გავლენას ახდენს ზმნის პირზე, რომელიც ყველაზე ფორმობრივი კატეგორიაა ენაში. ასეთსავე ურთიერთობას (ლექსიკურ-მორფოლოგიურ დამო-

კიდებულებას) ავლენენ სიტყვათშეხამებანი შერწყმული წინადადებების მოდელში, სადაც ორი ან მეტი სემანტიკური ერთეული ისეთსავე გავლენას ახდენს დაქვემდებარებულ წევრზე, როგორსაც ფორმა; მაგ.:

რწყილი და ქიანჰველა დაძმობილდნენ (ხალხ.) და მისთ.

ამრიგად, სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარების ფორმები: მართვა, შეთანხმება და მირთვა ლექსიკურ-მორფოლოგიური მოვლენებია, რომლებიც აღნიშნული დონიდან სინტაქსური დონის ვანკარგულებაში გადადიან და ქმნიან კოორდინაციასა და სუბორდინაციას, რომლებიც წმინდა სინტაქსურ (შესიტყვებათა და წინადადების კონსტრუქციათა შემქმნელ) მოვლენებად ითვლება.

შენიშვნა: აღნიშნული მოვლენები, მაგალითად მართვა, რომ სემანტიკურ-მორფოლოგიური ოდენობისაა, ამის დასადასტურებლად მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს. ცნობილია მართვის ორი სახე: შინაგანი და გარეგანი. სახელზე თანდებულის დართვის დროს თანდებული სახელისაგან მოითხოვს გარკვეული ბრუნვის ფორმას (და აიძულებს კიდევ მის მიღებას), ე. ი. თანდებული მართავს სახელს ბრუნვაში. უმეტეს შემთხვევაში ეს მართვა სტაბილურია: მაგ., ში(ნა), -ზე(და) და -თან(ა) თანდებულები სახელისაგან მხოლოდ ერთი ბრუნვის ფორმას მოითხოვენ.

იშვიათად ამგვარი მართვა ლაბილურია: მაგალითად, თანდებული ვით სახელობითთან (კაც-ი-ვით). მიცემითთან (კაც-სა-ვით) და ნათესაობითთან (კაც-ისა-ვით), მაგრამ აქაც შეინიშნება მისწრაფება სტაბილიზაციისაკენ (იხ. თ. შარაძენიძე. „ვით“ თანდებული ქართულში. თსუ შრომები, ტ. 10, 1939, გვ. 146; ა. მარტიროსოვი. თანდებული ქართულში. იკვ, I, 1946, გვ. 215 და შმდ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანდებული კი არ მართავს სახელს, არამედ უბრალოდ უერთდება მას (იხ. ი. ვეშაპიძე. ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. თსუ შრომები, ტ. 96, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1963, გვ. 119). ადრე ასეთივე მოსაზრება გამოთქმული აქვს ნ. მარსაც (იხ. Н. Я. Марр. Грамматика древне-литературного грузинского языка. Л., 1925, გვ. 32—33).

3. 6. ბ. შითანხმება

3. 6. ბ. § 1. შეთანხმების რაობა და მისი ძირითადი ნიშნები

შეთანხმება ჰქვია ისეთ ლექსიკურ-გრამატიკულ დაქვემდებარებას, როდესაც სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარებული წევ-

რი თავისი გაბატონებული წევრის მოთხოვნას აკმაყოფილებს ლექსიკურად და იმავე დროს ფორმობრივად ან სუბლექტიურად ასახავს მას.

შეთანხმების საფუძველია, ერთი მხრივ, ლექსიკური შეხამებულობა, ხოლო, მეორე მხრივ, „საზიარო“ მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა. პირველი საზოგადო პირობაა სინტაქსური დამოკიდებულებისათვის, მეორეს არსებითი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებისათვის, რადგან, თუ გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრებს საზიარო კატეგორია არ ექნებათ (ფორმობრივი თუ სუბლექტიური გამოხატულებით), მათ შორის შესათანხმებელი არა იქნება რა.

შეთანხმებისათვის დამახასიათებელია ლექსიკური შეხამებულობა, მაგრამ დამოკიდებულება მხოლოდ ფორმობრივია, შეთანხმებულ ერთეულთა ფორმის ცვლილება გავლენას არ ახდენს სემანტიკურ მიმართებაზე (შდრ. მაღალი სახელი, მაღალსახლს და სხვ.).

სიტყვათა კლასების ურთიერთმიმართების საფუძველზე შეთანხმების საკითხი შეიძლება დადგეს, როდესაც დაქვემდებარება გვაქვს, ერთი მხრივ, არსებითი სახელებითა და ზმნით, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი სახელითა და ზედსართავი, რიცხვითი ან მათი ზოგადი სემანტიკის აღმნიშვნელი ნაცვალსახელებით გამოხატულ წევრებს შორის. ამასთან დგინდება გარკვეული კანონზომიერი მიმართებანი:

1) როდესაც გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული — ზმნა, მათ შორის შეთანხმება დასაშვებია პირსა და რიცხვში. შეთანხმება კოორდინაციულ დონეზეა. ამათგან პირში შეთანხმება წმინდა ფორმობრივი დამოკიდებულება კი არაა, არამედ — ლექსიკურ-ფორმობრივი. რიცხვში შეთანხმება შეიძლება წმინდა ფორმობრივიც იყოს და ლექსიკურ-ფორმობრივიც (მეორე ნაკლებპროდუქტიულია).

2) როდესაც გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული — ზედსართავი, რიცხვითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები, შეთანხმება დასაშვებია ბრუნვაში, გარკვეულ შემთხვევაში კი — ბრუნვასა და რიცხვშიც. შეთანხმების ეს შემთხვევა უკვე სუბორდინაციული რიგისაა.

თავისი ზოგადი ხასიათით შეთანხმება მხოლოდ დინამიკურია, ცვალებადი, ე. ი. შეთანხმებული დაქვემდებარებული წევრი ასახავს გაბატონებულის არა მარტო ფორმას, არამედ მის ფორმაცვლილებასაც. სტატიკური შეთანხმება არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმებად უნდა ჩაგვეთვალა შემდეგი შეხამებანი:

სახლი შენდება, ხე დგას და სხვ. (მღრ. სახლები დგას და სხვ.).

ამრიგად, შეთანხმების არსებითი თავისებურებაა დინამიკურობა. ოპოზიციური ცალის გარეშე შეთანხმება არ შეიძლება. ოპოზიცია ან ეკვიპოლენტურია (პირსა და ბრუნვაში), ან პრივატული (რიცხვში).

3. 6. ბ. § 2. რიცხვში შეთანხმება

რიცხვში შეთანხმებისას, როგორც აღვნიშნეთ, გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, დაქვემდებარებული — ზმნა (კოორდინაციულ დონეზე) ან ზედსართავი, რიცხვითი, ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები. სახელთა მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ქართულს ორი მორფი მოეპოვება: -ებ და -ნ/თ.

ნ/თ-იანი მრავლობითი თანამედროვე ქართულში პროდუქტიული არაა. იგი მორფოლოგიურადაც ნაკლებად გაფორმებულია, ვიდრე ებ-იანი; სულ ხუთი ბრუნვა აქვს, რომელთაც სამი ფორმით გამოხატავს: სახელობითსა და წოდებითში ბრუნვა და რიცხვი აგლუტინაციურად (ცალ-ცალკე) აქვს გამოხატული (კაც-ნი-ი, კაც-ნი-თ), ხოლო სამ ბრუნვაში: მოთხრობათში (კაც-თ განსაჯეს), მიცემითში (ეგებებიან კაც-თ-ა) და ნათესაობითში (კაც-თ უბედობა, თუცა სატირე, გარნა რად გასაკვირვე; ა. ქავქ.) საზიარო თ-იანი ფორმა აქვს. თანამედროვე ქართულში უფრო პროდუქტიულია ნათესაობითის ფორმა (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ბავშვთა საავადმყოფო და სხვ.). ვარაუდობენ, რომ ნ/თ-იანი მრავლობითის მქონე დიალექტურ ფენას ადრე შეენაცვლა ებ-იანი მრავლობითის მქონე ფენა; შენაცვლა, შესაძლებელია, მანამდე, სანამ ნ/თ-იანი მრავლობითი ბრუნვათა დიფერენციაციას შეძლებდა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ საშუალო ქართულში ნათლად შეინიშნება ნ/თ-იანი მრავლობითის სინტაქსური ძალის შესუსტება და ებ-იანის გაძლიერება (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. სამ, ტ. II; 1941, № 1-2, გვ. 200; ა. კ ი ზ ი რ ი ა. საერთო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი. იკე, VI, 1954, გვ. 141).

მართალია ებ-იანმა მრავლობითმა თითქმის განდევნა ნ/თ-იანი მეტყველებიდან (უპირატესად პოეზიაში შემოგვრჩია), მაგრამ იქ, სადაც დარჩა, ნ/თ-იანმა მრავლობითმა შეინარჩუნა თავისი მორფოლოგიური და სინტაქსური თვისება: იგი შეიძლება ყოველგვარ სახელს მქონდეს (სემანტიკური — სიტყვათა კლასშიგა თუ თვით სიტყვათა კლასის — თავისებურებანი მას არ ზღუდავს); შვილი-შვი-

ლნი, შეილთა... (შდრ. შ ვ ი ლ ე ბ ი), წყალი — წყალნი, წყალთა (შდრ. წ ყ ლ ე ბ ი) და სხვ. გარდა ამისა, ნ/თ-იანი მრავლობითის ფორმის მქონე გაბატონებული წევრი ყოველთვის შეითანხმებს დაქვემდებარებულს რიცხვში. მას არ ზღუდავს არც პოზიციური და არც გაბატონებული ან დაქვემდებარებული წევრის ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი.

3. 6. 3. § 3. სინეზისი

რიცხვში შეთანხმებასთან დაკავშირებით აუცილებლად განსახილველია სინეზისის (ანუ ატრაქციის) საკითხი. ჩვეულებრივ, სინეზისად ჩათვლილია შინაარსის გავლენა ფორმაზე, როდესაც გაბატონებული წევრის ლექსიკური თავისებურებანი აისახება დაქვემდებარებულის ფორმით. ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია სინეზისის იმგვარი განმარტება, რომლის მიხედვითაც უგულებელყოფილია გრამატიკული ფორმა და უპირატესობა შინაარსს ეძლევა. ე. ი. შეთანხმება ხდება ფორმოზომიერი დამოკიდებულების საზიანოდ.

გაიჩვენა სინეზისის სხვადასხვა შემთხვევები:

1) გაბატონებული წევრი სახელი კრებითა, ზმნა მას მრავლობითის ფორმით შეეწყობა; მაგ.: გ ლ ე ხ ო ბ ა ი ბ რ ძ ო დ ნ ე ნ. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ი მ ა რ ჭ ე ბ ე ნ. ხ ა ლ ხ ი წ ა მ ო ი შ ა ლ ნ ე ნ. ჩვენის მთის ხ ა ლ ხ ი მკვდარს დაუმარხავს არ და ა ა გ დ ე ბ დ ნ ე ნ!.. (ა. ყაზბ.) და სხვ.

2) გაბატონებულ წევრ სახელს ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახელები (ბ ე ვ რ ი, რ ა მ დ ე ნ ი მ ე და სხვ.), ამიტომ იგი მხოლოდობით რიცხვშია, მაგრამ შემასმენელი მრავლობითში შეეწყობა; მაგ.: ხ უ თ ი კ ა ც ი მ ი დ ი ო დ ნ ე ნ. ა ს ი მ ე ო მ ა რ ი ი ბ რ ძ ო დ ნ ე ნ. ბ ე ვ რ ი ბ ა ვ შ ვ ი ი დ გ ნ ე ნ და მისთ.

ამ ტიპის სინეზისი განსაკუთრებით ხშირია რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, რომლებშიც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირი რომელიც თავის განსასაზღვრავ წევრს მრავლობითის ფორმით ეხამება; მაგ., რ ა მ დ ე ნ ი მ ე კ ა ც ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც და რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ გ ა გ ის ა მ ა ლ ი დ გ ა ნ, გ ო რ ა კ ის მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ და ე ნ ა ხ ა თ გ ა პ ა რ უ ლ ე ბ ი (ა. ყაზბ.)

ა) გაბატონებულ წევრ სახელს ახლავს თანაობის დამატება; მაგ., კ ო ბ ა თ ა ვ ის ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი თ გ ა ვ ი დ ნ ე ნ კ ლ დ ის ძ ი რ ო ბ ა შ ი (ა. ყაზბ.) და მისთ

4) გაბატონებული წევრი ტოლად შერწყმული სახელია (დედ-მამა სადილო ბენ. და-ძმა მიდიან და სხვ.).

5) გაბატონებული წევრი რეალიზებულია ისეთი ერთეულით, რომელსაც არა აქვს რიცხვი. ასეთია, მაგ., კითხვითი ნაცვლსახელი ვინ? (ვინ იქნებია? ვინ ჩამოვლენ? და სხვ.).

6) სინეზისად არის ჩათვლილი აგრეთვე რაოდენობის გამო-
მხატველ მსაზღვრელთან საზღვრულის მრავლობითის ფორმით შე-
ხამება (ოცი წიგნები, ბევრი საკითხები, რამდენი ფანჯრები და
სხვ.).

საყურადღებოა ამ ტიპის სინეზისი შერწყმულ წინადადებაში,
როცა გაბატონებული წევრი სახელი თავის ზმნებისაგან ერთს არ
„შეთანხმებს“, ხოლო სხვას „ითანხმებს“ მრავლობით რიცხვში;
მაგ. ერთს დღეს აბდიას კალოზედ შეყრილიყო რამდენიმე
მთიული და რაღაცას ლაპარაკობდნენ (ა. ყაზბ.) და მისთ.

იმ შემთხვევაში, თუ სინეზისს კანონზომიერ მოვლენად ჩავთ-
ვლით, მაშინ იგი უნდა გვევარაუდა ყოველ ისეთ შემთხვევაში, რო-
დესაც გაბატონებული წევრის ლექსიკურ თავისებურებებს დაქვემ-
დებარებული ფორმოებრივად ასახავს, ე. ი. სინეზისი გვექნებოდა
პირში შეთანხმებისას (მე ვწერ, შენ წერ...), რიცხვში შეთანხმების
რიგ შემთხვევებში (ჩვენ ვხატავთ, თქვენ საუბრობთ... ფო-
თოლი ცვივა და სხვ.), მაგრამ სინეზისი, მიუხედავად იმისა, რომ
თავისებურად ასახავს ლექსიკურისა და გრამატიკულის ურთიერ-
ობას რიცხვში შეთანხმების დროს, მაინც არამართებულია სალი-
ტერატურო ენის თვალსაზრისით. იგი, ჩვეულებრივ, გვხვდება მეტ-
ყველების ისეთი სტილის სფეროში, რომელიც ნაკლებადაა შეზღუ-
დული ტრადიციული ლიტერატურული კანონებით, მაგ. სასაუბრო
მეტყველებაში.

3. 6. ბ. § 4. რიცხვში შეთანხმება კონსტრუქციაში (კოორდინაციულ დონეზე)

კოორდინაციულ დონეზე რიცხვში შეთანხმების განხილვისას
გასათვალისწინებელია შემდეგი შემთხვევები:

I შემთხვევა: გაბატონებული წევრის რიცხვი გრამატიკულია
(ფორმოებრივი), დაქვემდებარებული გრამატიკულად ეხამება მას
რიცხვში (მიმართება: ფორმა — ფორმა); მაგ.:

მგზავრ-ებ-მა ააჩქარ-ეს ცხენები.

მუშ-ებ-მა კიბე მოიტან-ეს.

II შემთხვევა: გაბატონებული წევრის რიცხვი გრამატიკულია,
დაქვემდებარებული ითვალისწინებს მის მოთხოვნას არა გრამატი-
კულად, არამედ სუბლექტიურად, სათანადო ფუძის მონაცვლეობით
(მიმართება: ფორმა — ლექსიკა); მაგ.:

ქვა გლია — ქვები ყრია.

ბავშვი დასვა — ბავშვები დასხა.

III შემთხვევა: გაბატონებული წევრის რიცხვი გრამატიკულ-ლია, დაქვემდებარებული ითვალისწინებს მის მოთხოვნას როგორც გრამატიკულად (ფორმოებრივად), ისე სუბლექტიურად (მიმართება: ფორმა — ლექსიკა და ფორმა); მაგ.:

აგურები აქა-იქ ამოცვივნულან (ი. კ.).

ყაჩალი დაეცა (თავს) — ყაჩაღები დაესხნენ (თავს).

IV შემთხვევა: გაბატონებული წევრის რიცხვი ლექსიკურ-სემანტიკურია, დაქვემდებარებული ითვალისწინებს მის მოთხოვნას გრამატიკულად (მიმართება: ლექსიკა — ფორმა); მაგ.:

მე წავედი — ჩვენ წავედით.

შენ ამბობ — თქვენ ამბობთ.

V შემთხვევა: გაბატონებული წევრის რიცხვი არ არის გრამატიკული (კრებითი სახელია), დაქვემდებარებულიც მის მოთხოვნას სუბლექტიურად ითვალისწინებს (მიმართება: ლექსიკა — ლექსიკა); მტერი შემოცვივდა (შდრ. ერთი მტერი დაეცა).

ბროვა შეესია.

აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც გაბატონებული წევრი ერთნაირ ერთეულთა წყევით არის გამოხატული; მაგ.,

სამაგიეროდ აქ არიან დავითი, მაიორი, სუმბათაშვილი და ხუთიოდე ახალმოსული ოფიცერი (მ. ჯავ.).

ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის მაგიერობას სახელის გამეორება ასრულებს: „გ უ ნ დ ი და გ უ ნ დ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა (ა. წ.), „რ ა ზ მ ი და რ ა ზ მ ი ფ ი ქ რ ე ბ ი ს“ (ვაჟა); იხ. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 81.


ლექსიკური საშუალებით გრამატიკული ფორმის გათვალისწინების ნიშნად შეიძლება გამოდგეს აგრეთვე ნაწილაკიანი ფორმებიც. როგორც ცნობილია, რიგი დიალექტებისათვის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად დამახასიათებელია ყე ნაწილაკი, რომლითაც ზმნებში ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ნაწილაკი დიალექტთა ნხოლოდ ერთ წყევას ახასიათებს, სალიტერატურო ენაშიც (საშუალ ქართულში) აქა-იქ შეინიშნება (არნ. ჩიქობავა. ყე ნაწილაკი ფერეხდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. კრებული „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წევრიწვეული“, I-II, 1923-1924, გვ. 32-67.) ყე ნაწილაკი ამჟამადაც პროდუქტიულია ზოგიერთ კილოში, თუმცა მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია და ზოგჯერ პირის (მისი მრავლობითი რიცხვის) მორფებს დამსგავსებია; მაგალი-

თად, იმერულში გვხვდება მისი საკმაოდ სახეშეცვლილი ვარიანტი-
 -ენ (ენ — კენ — ყენ): აქვსყენ → აქვსკენ → აქვსენ → აქვენ;
 ყავსყენ → ყავსკენ → ყავსენ → და სხვ.

შეთანხმების ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან ყველაზე ხში-
 რია პირველი და მეოთხე, დანარჩენი მეტყველებაში ნაკლებადაა
 გავრცელებული, იშვიათად გვხვდება და სიტყვათა სემანტიკურ თა-
 ვისებურებებთან ერთად რამდენადმე საპირისპირო ფორმათა დე-
 ფექტაციასთან არის დაკავშირებული.

• • •

როდესაც რიცხვში შეთანხმება წმინდა ფორმობრივია, აქ მასზე
 გავლენას ახდენს გაბატონებული წევრის (არსებითი სახელის) გრა-
 მათიკული ფორმა, რაც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სემან-
 ტიკურ ჯგუფებთან. არსებით სახელთა ლექსიკურ-მორფოლოგიურ
 კლასში, ჩვეულებრივ აღნიშნავენ შემდეგს ორობითსა და ცალკეულ
 ჯგუფებს:



აგრეთვე საკუთარ, საზოგადო ან კრებითს; მოქმედებისა და ნივ-
 თიერებათა სახელებს.

ამათგან მრავლობითი რიცხვის წარმოება (ვეხებით მხოლოდ
 ებ-იან მრავლობითს), ჩვეულებრივ, შეუძლიათ კონკრეტულ, საზო-
 გადო სახელებს, მაგრამ შეთანხმების უნარი მათგან მხოლოდ სუ-
 ლიერთა საზოგადო სახელებს აქვთ.

შენიშვნა: ებ-იანი მრავლობითი შეიძლება ჰქონდეთ ნივ-
 თიერებათა, კრებითს, იშვიათად — სხვა ჯგუფის სახელებსაც,
 მაგრამ არა რიცხვის, არამედ „ნაირგვარობის“ გაგებით (იხ.
 ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 79-80).

საკუთარ სახელთა მრავლობითი იშვიათია; მაგ., აკაკიებო,
 ზაკაკიებო (გრ. ორბ.). ცალკე უნდა განვიხილოთ ადამიანთა
 გვარები, რომლებიც ერთნაირ საგანთა საკმაოდ დიდ ჯგუფს აღნიშ-

ნავენ (წერეთლები, ნიკოლაძეები და მისთ.) და ამ ნიშნით საზოგადო სახელებს უახლოვდებიან.

ზემოთ უკვე აღინიშნა შეთანხმების ე. წ. „ნორმალური“ შემთხვევები, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეთანხმების უნარს უსულოთა სახელები იძენენ ან, პირიქით, სულიერთა სახელები (მათ შორის ყველაზე მეტად სულიერნი — ადამიანთა სახელები) არ შეითანხმებენ შემასმენელს რიცხვში.

უსულო საგნის სახელთა მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ყველაზე მეტად მაშინ ხდება, როდესაც შემასმენელი აქტიური და საერთოდ სულიერი საგნისადმი დამახასიათებელი მოქმედების მნიშვნელობის მქონე ზმნით არის გამოხატული. ასეთი შემასმენელი რამდენადმე „ასულიერებს“ სახელით გამოხატულ თავის გაბატონებულ წევრს, ე. ი. დაქვემდებარებული წევრი. სემანტიკურად ტვირთავს, აძლიერებს თავის გაბატონებულს, რათა შემდეგ თვითონ დაექვემდებაროს მას გრამატიკულად; მაგ.: ბ ა ლ შ ი ხ ე ე ბ ი დ გ ა ს — ხ ე ე ბ მ ა ტ ა ნ ი ა ი ყ ა რ ე ს. აღსანიშნავია, რომ ეს გავლენა შეიძლება „აირეკლოს“ სხვა შემასმენელზეც, რომელიც სხვაგვარ ვითარებაში (ცალკე) შეთანხმებული არ იქნებოდა; შდრ.:

სახლები გამწკრივებულიყო — სახლები გამწკრივებულიყვნენ და ელოდნენ ახალმოსახლეებს.

ზოგ დიალექტში შეინიშნება რიცხვში შემასმენლის შეუთანხმებლობის შემთხვევები (ბ ა ლ ნ ე ბ მ ა მ ო ვ ი დ ა, კ ა ც ე ბ მ ა გ ე ი ა რ ა' და სხვ.). ეს, ჩვეულებრივ, დასავლური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით — გურულისათვის (იხ. ს. უ დ ე ნ ტ ი. გურული კილო. თბ., 1936, გვ. 68). თუმცა არც აღმოსავლური დიალექტებისათვის არის უცხო; მაგალითად, ამგვარი შემთხვევები დადასტურებულია ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, რომელთა პერსონაჟები ქართლურ დიალექტზე მეტყველებენ (გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე. დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ., 1957, გვ. 13).

წინადადების კონსტრუქციაში არსებითი სახელით გამოხატული წევრი ზმნა-შემასმენელთან სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ქმნის. ეს დამოკიდებულებანი განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმებით იქნებიან ისინი რეალიზებული; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მათი რიგიც.

თეორიულად რიცხვში ზმნა-შემასმენლის შეთანხმება შეუძლია ყველა კოორდინატს. ქართულ ზმნაში რიცხვი, როგორც წესი,

სუფიქსური მორფით აღინიშნება. ამის შედეგად იქმნება კოორდინატა მორფების „შეჯახების“ საფრთხე. მაგრამ რეალურად ეს არ ხდება, რადგან კოორდინატებს შეთანხმების სხვადასხვაგვარი ძალა აქვთ; სახელდობრ, დაწესებულია გარკვეული რიგი, რომელსაც საფუძვლად აღნიშნული სინტაქსური „შემთანხმებელი“ ძალა უძევს. რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერია ქვემდებარე, ყველაზე სუსტი — ბრუნვაცვალებადი დამატება. როდესაც დამატებათა (ობიექტთა) რიცხვში ზმნაში პრეფიქსული მორფით აღინიშნება (მაგ., პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის მორფი გვ-), მაშინ მას ხელს არ უშლის სუბიექტის სუფიქსური მორფი და ამიტომ ზმნაში ორივე კოორდინატის რიცხვია ასახული (გვ-ხატავ-ენ, გვ-აქებ-ენ, და-გვ-იძახ-ეს...), მაგრამ, თუ ობიექტურ პირთა (დამატებათა) რიცხვი სუფიქსური მორფით უნდა აღინიშნოს, მაშინ ბრუნვაცვლელი დამატების რიცხვი აისახება მხოლოდ მაშინ, თუ ქვემდებარის რიცხვი არაა ასახული, ხოლო ბრუნვაცვალებადი დამატების რიცხვი რომ გამოიხატოს, ამისათვის მას ხელს არ უნდა „უშლიდეს“ არც ქვემდებარისა და არც ბრუნვაცვლელი დამატების რიცხვის მორფები, რაც ძალიან იშვიათია მეტყველებაში. ამის გამო რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ბრუნვაცვალებადი ობიექტი ძალიან ხშირად „იჩაგრება“ ხოლმე; შდრ.:

მგელი ელანდება-თ ბავშვებს — მგლები ელანდები-ან ბავშვებს.

მხატვარი გხატავ-თ თქვენ — მხატვრები გხატავ-ენ თქვენ.

ბრუნვაცვალებადი ობიექტის „შემთანხმებელი“ ძალა განსაკუთრებით სუსტია III პირში, ხოლო სამპირიანი ზმნით გამოხატულ შემასმენელთან იგი, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა (მიმაჯანა, მიმაკრა, მიმაბა...), ყოველთვის III პირის ფორმით არის შეხამებული. ამასთან ერთად, როგორც წესა, ნივთის ობიექტს აღნიშნავს ე. ი. უსულოთა სახელებით არაა რეალიზებული. ესეც, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მის სინტაქსურ ძალაზე (რიცხვში შეთანხმების კონკრეტული ნიმუშების ანალიზი იხ. 4. 5. ა).

3. 6. ბ. § 5. რიცხვში შეთანხმება სიტყვათშეხამებაში (სუბორდინაციულ დონეზე)

სუბორდინაციულ დონეზე რიცხვში შეთანხმება, როგორც ზემოთ აღინიშნა, არარეგულარულია. იგი შეიძლება მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში შეგვხვდეს. სინტაქსური დამოკიდებულების ეს სახე უპირატესად ნ/თ-იანი მრავლობითით არის გაფორმებული (შთანხმად აღნიშნული, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა; გ. ორბ. და სხვ.). ებ-იანი მრავლობითში შეთანხმება იშვიათია და ისიც მხოლოდ ღია (პოსტპოზიციურ ან

პრეპოზიციულ დისტანციურ) სიტყვათშეხამებაში გვხვდება (სახლები-ი მალღებ-ი, დროშებ-ი წითლ-ებ-ი; მგზავრ-ებ-ი დაინახა დად-ლილ-ებ-ი და სხვ.).

ებ-იან მრავლობითში შეთანხმება იშვიათია და, სადაც არის, იქაც გაძლიერებული აქტუალიზებით უნდა იყოს გამოწვეული. ნ/თ-იანი მრავლობითი გაცილებით მეტი სინტაქსური ძალისაა და ეს ძალა ვლინდება მაშინაც, როცა საჭიროა ებ-იანი მრავლობითის ფორმით შეთანხმება. ებ-იანი მრავლობითის სისუსტე იმაშიც ჩანს, რომ ბრუნვის მორფზე მის დართვას ენა გაურბის (ხის-ებ-ი, პირობით-ებ-ი; შდრ.: ხის-ა-ნი-ი, პირობით-ნი-ი და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში ებ-იან მრავლობითს შეიძლება ნ/თ-იანი შეეხამოს; მაგ., კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლ-ის-ა-ნი-ი (ხალხ.); შდრ.: ლეკვ-ებ-ი მგლ-ის-ებ-ი.

გვხვდება (გაცილებით იშვიათად) შებრუნებული ფორმებიც; მაგ., კლდეთ შუა შემოდინოდნენ მხედარ-ნი-ი ჩოხიან-ებ-ი (ვაჯა), რაც ამ შემთხვევაში ლექსთწყობით (გარითმვის აუცილებლობით) უნდა იყოს გამოწვეული, თუმცა სასაუბრო მეტყველებაშიც შეიძლება შეგვხვდეს ანალოგიური შეხამებანი.

ებ-იან მრავლობითში შეთანხმება ყველაზე მეტად გვხვდება ადამიანთა გვარებთან; მაგ., დები ჩ ა ფ ი ჩ ა ძ ე ე ბ ი, ძ მ ე ბ ი მ ა ხ ა რ ა ძ ე ე ბ ი და სხვ. ამ შეხამებებში მსახლგრელად გამოყენებულია ნათესაობის ან რაიმე სიახლოვის (დამაჯგუფებელი) სემანტიკის მქონე სახელი. შესაძლებელია, შეთანხმებას სინეზისის სახეც ჰქონდეს; მაგ.: დ ა ძ მ ა კ ი რ ვ ა ლ ი ძ ე ე ბ ი, მ ა მ ა შ ვ ი ლ ი ა ს ა თ ი ა ნ ე ბ ი და სხვ.

მ. გ. ბ. § 6. პირში შეთანხმება

პირში შეთანხმება კოორდინაციული დონის მოვლენაა. შეხამებაში გაბატონებული წევრი ნაცვალსახელი ან მისი ეკვივალენტი არსებითი სახელია. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ პირი ნაცვალსახელისათვის ძირითადი ნიშანია, ხოლო ზმნისათვის — სინტაქსური მიმართების შედეგად „შეძენილი“ მორფოლოგიური კატეგორია.

შეთანხმების ეს სახე არ არის წმინდა გრამატიკული, რადგან გაბატონებული წევრი პირს სუბლექტიურად გამოხატავს, მაგრამ მისი სუბლექტიური ცვლილება იწვევს ზმნის მორფოლოგიურ ცვლილებას. დამოკიდებულება ყოველთვის დინამიკურია. გამოხატვის თვალსაზრისით, იგი შეიძლება რეალურიც იყოს და პოტენციურიც (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრუნვაცვალებადი ობიექტის I და II პირის ანალოგიით III პირსაც დაქვემდებარების უნარს ვანიჭებთ).

პირში შეთანხმებისას გაბატონებული წევრი სახელია (ნაცვალ-

სახელისმისი III პირის ეკვივალენტი არსებითი სახელი). ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება მოხდეს შეთანხმება პირში სახელსა და ზმნას შორის მაშინ, როდესაც სახელს პირის კატეგორია არ გააჩნია? ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულად აღნიშნულ შეხამებაში უპირატესად აღინიშნება მართვა და არა შეთანხმება.

ჯერ ერთი, პირში შეთანხმება აღნიშნულია როგორც სლავურ, ისე დასავლეთევროპულ ენათა გრამატიკებში, მათ შორის — სასკოლოშიც. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში პირში შეთანხმება აღნიშნული აქვთ ლ. კვაჭაძესა და ი. იმნაიშვილს (იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 18, 22 და შმდ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 488).

მეორე, შეთანხმება (და საერთოდ სინტაქსური მიმართება) მხოლოდ ფორმობრივი ურთიერთობა არაა. სინტაქსურ დამოკიდებულებაში გრამატიკული ფორმის ეკვივალენტად შეიძლება სუბლექტივებიც მოგვევლინოს, რომლებიც შეთანხმების ძალის მხრივ გრამატიკულ ფორმას უტოლდებიან. თუ შეთანხმებად მხოლოდ ფორმობრივ ურთიერთობას ჩავთვლიდით, მაშინ ხელი უნდა აგვედო რიცხვში შეთანხმების აღნიშვნაზე ისეთ შეხამებებში, რომელთა გაბატონებული წევრებით არა გრამატიკულად, არამედ რეალურად, ფაქტიურად არის გამოხატული რიცხვი; მაგალითად, შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარე ისევე შეითანხმებს რიცხვში შემასმენელს, როგორც — გრამატიკული ფორმა; შდრ: ზ ა ზ ა და გ ი ა ს ე ი რ ნ ო ბ ე ნ — ბ ა ე ვ ვ ე ბ ი ს ე ი რ ნ ო ბ ე ნ. ვ ა ნ ო მ ა და გ ი გ ო მ ს ი ფ რ თ ხ ი ლ ი თ ა ი დ ე ს და დ ა უ დ ე ს მოხუცებული სოლომონა უხემზედ (ნ. ლომ.) კ ა ც ე ბ მ ა ს ი ფ რ თ ხ ი ლ ი თ ა ი დ ე ს და დ ა უ დ ე ს მოხუცებული სოლომონა ურემზედ და მისთ.

როდესაც ვეხებოდით მიმართებას აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის (იხ. 1. 3.), დავადგინეთ მიმართება, ერთი მხრივ, საგანსა და აღმნიშვნელს, ხოლო, მეორე მხრივ, აღმნიშვნელსა და აღმნიშვნელს შორის. ამის შესაბამისად დადგენილია, რომ ნაცვალსახელებში პირი არის უშუალოდ მოუბარი პირის (I პირი), მიმართვის საგნის (II პირი) ან საუბრის ობიექტის (ვისზეც ან-რაზეც ლაპარაკობენ — III პირი) აღმნიშვნელი. პირთა ეს დიფერენციაცია უშუალოდ აღსანიშნთან მიმართებით გამოხატულია ნაცვალსახელებში. ზმნაში პირი ასახულია არა როგორც უშუალოდ აღსანიშნთან მიმართება, არამედ — როგორც მიმართების მიმართება, ე. ი. მიმართება აღმნიშვნელსა და აღმნიშვნელს შორის; მაშასადამე, ზმნის პირი მეორეული აღმნიშვნელია. მართლაცდა ინტუიციითაც კი შეიძლება რომელიმე

ზმნის ფორმაში, მაგ. ვ ც ხ ვ რ ო ბ, დავადგინოთ მისი მიმართება მე ნაცვალსახელთან, რომლითაც მთქმელი თავისთავს აღნიშნავს.

მაგრამ ნაცვალსახელებით აღინიშნება I და II პირები, III პირი, როგორც წესი, არსებითი სახელებით აღინიშნება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ III პირის ნაცვალსახელები გენეზისით ჩვენებითია (სხვათა შორის ნაშრომში დახასიათებულია მათი წარმომავლობის გზა — შესიტყვების შეკუმშვა: იხ. 3. 3. ა). ამდენად სინტაქსური დაქვემდებარების მხრივ არსებითი სახელები ენას გათანაბრებული აქვს პირის ნაცვალსახელებთან. ისინი ისევე შეითანხმებენ III პირში ზმნა-შემასმენელს, როგორც — I და II პირის ნაცვალსახელები.

პირში შეთანხმების ანალიზის დროს განსახილველია რამდენიმე შემთხვევა:

ა) ზმნა ერთპირიანია, მაშასადამე, მას წინადადებაში ერთი პირის ფარდი სახელი შეეწყობა (კონსტრუქცია: **შემასმენელი — ქვემდებარე**).

ბ) ზმნა ორპირიანია, მაშასადამე, მას წინადადებაში ორი პირის ფარდი სახელები შეეწყობა (კონსტრუქციები: **შემასმენელი-ქვემდებარე — ბრუნვაუცვლელი დამატება, შემასმენელი — ქვემდებარე — ბრუნვაცვალეზადი დამატება**).

გ) ზმნა სამპირიანია, მაშასადამე, წინადადებაში მას სამი პირის ფარდი სახელები შეეწყობა (კონსტრუქცია: **შემასმენელი — ქვემდებარე — ბრუნვაუცვლელი დამატება — ბრუნვაცვალეზადი დამატება**).

მართალია, ორპირიანი ან სამპირიანი ზმნით გამოხატულ შემასმენლებთან გვაქვს 2 და 3 გაბატონებული წევრი, მაგრამ დაქვემდებარების II კანონი (ერთ დაქვემდებარებულ წევრს ერთი კატეგორიის მიხედვით შეიძლება მხოლოდ ერთი გაბატონებული შეესაბამებოდეს) არ ირღვევა, რადგან დაქვემდებარება ხდება სხვადასხვა კატეგორიის (სუბიექტურ და ობიექტურ პირთა) მიხედვით.

აღნიშნული დაქვემდებარების გასარკვევად ზოგადად განვიხილოთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შეხამება:

1) ზმნა ერთპირიანია

	მორფი	ნიმუშები
$1 \gg P_1$:	3	ვ-ხტი, ვ-ცოცხლობ ..
$S_2 \gg P_2$:	ხ, [*ჰ-], [*ს-]	ხ-არ, [*ჰ-]ხარობ,
		[*ს-]ცხოვრობ... ...
$S_3 \gg P_3$:	-ს, -ბ,	ხარობ-ს, მოვიდ-ა,
	-ო	აიღ-ო...



2) ზმნა ორპირიანია (გარდაუვალი)

$S_1 \gg$] -P _{1:2}	[**ვ-]	[**ვ-] გ-ესალმები
$O_1 \gg$		გ-	[**ვ-] გ-იკვდები
$S_1 \gg$] -P _{2:1}	[*პ-], [*ს-]	[**პ-] გვ-ესალმები...
$O_1 \gg$		მ- გვ-	[**პ-] მ-იკვდები...
$S_3 \gg$] -P _{3:1}	-ს, -ა, -ო	მ-ემალემა-ა—გვ-ემალემა...
$O_1 \gg$		მ- გვ-	მ-იდულ-ს—გვ-იდულ-ს... მ-ეყ-ო—გვ-ეყ-ო...
$S_3 \gg$] -P _{3:2}	-ს, -ა, -ო	გ-ემალემა-ა
$O_2 \gg$		გ-	გ-იდულ-ს გ-ეყ-ო
$S_3 \gg$] -P _{3:3}	-ს, -ა, -ო	პ-ყავ-ს
$O_3 \gg$		პ-, -ს	[*პ-]ემალემა-ა ს-დარაჯობ-ს

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1. გამორიცხულია I სუბიექტური პირის შეხამება I ობიექტურ პირთან ან II სუბიექტური პირისა II ობიექტურ პირთან, რადგან შეუძლებელია I და II სუბიექტურ პირთა თავისთავზე მოქმედების გრამატიკული გაფორმება. მართალია, წინადადებაში შეიძლება გადმოცემული იყოს სუბიექტის მოქმედება თავისთავზე, მაგრამ ეს გრამატიკულად გაფორმებულია III ობიექტური პირით, რომლის რეალიზება წინადადებაში უკუტყვევითი ნაცვალსახელით ხდება მაგ.:

მე თავს ვიწონებ.

შენ თავი ისახელე.

2. თანამედროვე ქართულში III ობიექტური პირის ნიშნად არა გვაქვს ხ. ხანშეტ ძეგლებში იგი ყველა შემთხვევაში გვხვდება: თანხმოვნის წინაც და ხმოვნების წინაც; მაგ.: ხ-ერთვის, ხ-ეყავ... (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ნაშთები მესამე პირის ობ. პრეფიქსის კმარებისა კმოვნების წინ. თსუ მოამბე, II. 1922-1923, გვ. 281).

3. ზმნა ორპირიანია (გარდამავალი)

აქაც იგივე მდგომარეობაა, როგორც — მე-2 შემთხვევაში, ოღონდ მესამე ობიექტურ პირთან ზმნა-შემასმენლის შეთანხმება პატენციურია.

4. ზმნა სამპირიანია

აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც — მე-2 შემთხვევაში, რადგან ბრუნვაიცვალეზადი ობიექტი III პირის ფორმით არის წარ-

მოდგენილი და რეალური კავშირი არა აქვს ზმნა-შემასმენელთან. ამიტომ, რომ სამპირიანი ზმნა-შემასმენლები ფორმათა რაოდენობის მხრივ უტოლდებიან ორპირიანებს (18-18 ფორმა აქვთ).

შენიშვნა: სამპირიანი ზმნის III სერიის ფორმებთან არ შეიძლება გვეტონდეს ერთდროულად სამი სუბსტანტიური ერთეული, რადგან ერთ-ერთი ობიექტი (ბრუნვაუცვლელი) ეთიშება კოორდინაციას და სუბორდინაციულ დონეზე გადადის.

ამრიგად, ზმნის სუბიექტური თუ ობიექტური პირების რეალიზებული ერთეულები წინადადებაში ეკვივალენტურია პირებისა და აბსოლუტურად ისეთსავე დამოკიდებულებას ავლენენ, როგორსაც — თვით პირები.

როდესაც გაბატონებული წევრი არსებითი სახელებით ან ნაცვალსახელებით არის რეალიზებული, ხოლო დაქვემდებარებული წევრი — ზმნით, მათ შორის დასაშვებია შეთანხმების შემდეგი სახეები:

1) ქვემდებარისაგან შემასმენლის შეთანხმება I, II, ან III სუბიექტურ პირში.

2) ბრუნვაუცვლელი დამატებისაგან შემასმენლის შეთანხმება I, II ან III ირიბობიექტურ პირში.

3) ბრუნვაცვალეზადი დამატებისაგან შემასმენლის შეთანხმება I ან II პირდაპირობიექტურ პირში.

კერძო შემთხვევა: III პირდაპირობიექტური პირის ფარდი სახელით რეალიზებული ბრუნვაცვალეზადი დამატება არ ითანხმებს (ან ითანხმებს პოტენციურად) ზმნა-შემასმენელს.

პოტენციურს ემსგავსება რეალური უნიშნო შეთანხმება, როდესაც სათანადო მორფი დაკარგულია რაიმე არასინტაქსური მიზეზის (მაგალითად ფონეტიკურისა) გამო. ასეთი შემთხვევები გვაქვს. როდესაც ზმნა-შემასმენლად გამოყენებულია II სუბიექტური პირის ფორმები, რომლის ალომორფებიდან (ბ-, ჰ-, ს-) თანამედროვე ქართულში შემოგვრჩა მხოლოდ ბ-, ისიც რამდენსამე ზმნაში (ბ-არ, ბ-ვალ, ბ-ვედ).

შენიშვნა: თანამედროვე ქართულ ენაში არის ტენდენცია, II სუბიექტური პირის ნიშანი სულ არ ვიხმაროთ. სასაუბრო მეტყველებაში მას უკვე აღარ ვხმარობთ. თვით სამწერლო ენაშიც მას არქაულ-მწიგნობრივი ელფერი დაჰკრავს (იხ. გ. ახვლედიანი. ჰე და სანი ქართულ ზმნებში. ქურნ. „განათლება“, 1920, № 4-5, გვ. 25). საყურადღებოა აგრეთვე ს. ხუნდაძის აზრი, რომელიც, საერთოდ ებრძოდა რა ჰ-აეს, მას არა მარტო II სუბიექტური, არამედ III ობიექტური პირის ნიშნადაც არ ხმარობდა, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა ს-ანის ხმარება „საყე-

თილხმოვანოთ“ (იხ. ს. ხუნდაძე. გიორგიძის ჩიქორთული. ჟურნ. „კვალი“, 1894, № 35, გვ. 14).

საკითხი ჰ-და ს-პრეფიქსების შესახებ განიხილა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ, რომელმაც შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც „დღევანდელ სალიტერატურო ქართულში პრეფიქსი ჰ ან ს აღნიშნავს მარტო მესამე პირს“ (მაშასადამე, სუბ. პირის გამოხატვა იმავე პრეფიქსებით საჭიროდ არ არის მიჩნეული. ა. დ.); იხ. სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები. ჰ და ს თავსართების ხმარება ზმნებში; ხელნაწერის უფლებით. თბ., 1950, გვ. 5.

ზოგჯერ შეიძლება მორფის დაკარგვის მიზეზი პოზიციური იყოს, მაგ., ვ-(ს-)ჰამ, ვ-(ს-)ცემ, ვ-(ჰ)-კითხავ და სხვ.

შენიშვნა: ქართულ ზმნას თავისი ძირითადი თვისების — მრავალპირიანობის — გამო ხშირად უხდება ორი (სუბიექტური და ობიექტური) პირის აღნიშვნა. სამპირიან ზმნებში ერთდროულად ორი ობიექტია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი პოტენციურადაა აღნიშნული. მორფთა საკითხი მარტივად წყდება, როდესაც ისინი სხვადასხვა ადგილზეა: ერთი თავსართია, ხოლო მეორე — ბოლოსართი (გ-აქებ-ს, გვ-ხატავ-ს და სხვ.), მაგრამ, როდესაც ორივე თავსართია, მაშინ ისინი ბუნებრივად ერთად ხვდებიან. თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნების ერთდროულად ხმარება დასაშვებადაა მიჩნეული, თუ ზმნის ფუძე თანხმოდებით იწყება: ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-ჰ-გვარე, მო-ვ-ჰკვეთე; ვ-ს-თხოვე, მი-ვ-ს-წერე (იხ. ი. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937, გვ. 586-587; ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 189; მისივე. ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია. ტფილისი, 1930, გვ. 98; არნ. ჩიქობავა. ქართულ ენის ზოგადი დახასიათება. გლ, I, გვ. 056 და სხვ.).

(ვ-) გ-წერ, (ვ-) გ-აქებ, (ჰ-) მ-იშენებ, (ჰ-) გვ-ერჩი და მისთ. ზმნებში სუბიექტური პირის ნიშნების დაკარგვის შესახებ ექვს გამოთვამს არნ. ჩიქობავა, რომლის აზრით, ასეთი ფორმები ძველ ქართულში არ იხმარებოდა; „ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ: სუბიექტის ნიშანი იკარგებაო, რომ დაიკარგოს, უნდა არსებობდეს“ (იხ. არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. გლ, I, 054, მწმ. 1).

საყურადღებოა ერთი გარემოება: ძველ ქართულში ჯერ ობიექტის პირის ნიშანი გვქონდა, შემდეგ — სუბიექტისა (შე-ხ-უ-აბთ და მისთ.). თანამედროვე ქართულში პოზიციური რიგი შეიცვალა. ყო-

ველ შემთხვევაში, — იქ, სადაც ეს ხელშესახებია: ვ-ს-თხოვ და მისთ. (პირის ნიშანთა შეხვედრის შესახებ დეტალურად იხ. ა. ე. შა-ნიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 188-191).

ამრიგად, კონსტრუქციული მოდელისათვის მნიშვნელობა აქვს ზმნა-შემასმენლის პირიანობას. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ენაში პირთა შეხამების სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნებისათვის; მორფოლოგიური თვალსაზრისით, სამპირიანი ზმნა ორპირიანისაგან არ განსხვავდება: ორივე 18-18 ფორმას გვაძლევს ცალკეულ მწკრივებში. პირთა აღნიშვნის თვალსაზრისითაც (სინტაქსური დამოკიდებულების გაფორმების მხრივ) მათ შორის არსებითი სხვაობა არაა, რადგანაც სამპირიანი ზმნა „ერთი სუბიექტისა და ორი ობიექტის აღმნიშვნელია აზრიანობით, მაგრამ თვით სამპირიანი ზმნის ფორმებს მარტო ორი პირის, სუბიექტისა და ერთი ობიექტის გამომხატველი ნიშნები მოეპოვება, მეორე ობიექტი კი ცალკეული ბგერით არ აღინიშნება, არამედ მხოლოდ იგულისხმება ხოლმე“. მათ შორის სხვაობაა მხოლოდ კოორდინატთა რაოდენობის მხრივ (იხ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 586. ხაზგასმა ავტორისაა. ა. დ.).

3. 6. ბ. § 7. ბრუნვაში შეთანხმება

ბრუნვაში შეთანხმება გვაქვს მაშინ, როდესაც გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული ზედსართავი, რიცხვითი, თვით არსებითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები.

შეთანხმების აღნიშნული ტიპი სუბორდინაციულ დონეზეა. რადგანაც ზემოაღნიშნულ სიტყვათა საზიარო კატეგორია ბრუნვაა, ამ ტიპის შეხამებაში შეთანხმებაა ბრუნვაში. აღნიშნული დაქვემდებარება ხასიათდება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ იგი ყოველთვის რეალური, ფორმობრივია, თუმცა ზოგჯერ უნიშნოდაა წარმოდგენილი, რაც დამოკიდებულია, ერთი მხრივ, შეხამების პოზიციასა და და წყობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დაქვემდებარებული წევრის ლექსიკურ თავისებურებაზე (ფუძეზე).

თანამედროვე ქართულისათვის ბუნებრივია მსაზღვრელ-საზღვრულის ე. წ. პირდაპირი წყობა (დაქვემდებარებული წევრის პრეპოზიციის, დახშული წყობა), რის საფუძველზეც დაქვემდებარებულ წევრს სათანადო მორფი ეკარგება ხოლმე (ფუძებოლოზმოვნისა — საზოგადოდ, ფუძებოლოთანხმოვნისა — ნაწილობრივ, ზოგიერთ ბრუნვაში); მაგრამ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, აქ სრული, ნაწილობრივ და ფუძის სახით შეთანხმება კი არა გვაქვს, არამედ —

სრული, რეალური, მაგრამ უფლექსოდ, ვინაიდან შეხამების დახშულობამ აღარ ვახადა საჭიროდ დაქვემდებარების გრამატიკული ფორმება, დაუხშო დაქვემდებარებულ წევრს სხვა სიტყვასთან დაკავშირების გზა. საკმარისია, დახშულობა მოიშალოს (მსაზღვრელ-საზღვრული გათიშოს ან მათი რიგი შეიცვალოს), რომ ფლექსია აღდგეს, რაც დაქვემდებარებულ სიტყვას მოუსპობს სხვა სიტყვასთან დაკავშირების საშუალებას; შდრ. მზიან, მთიან სამშობლოს — ჩემს სამშობლოს მზიანს, მთიანს (ი. გრიშ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, არსებითი სახელისა და, მეორე მხრივ, ზედსართავი და რიცხვითისა (ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელებისათვის) გრამატიკული რიცხვიც საზიარო კატეგორიაა (ზოგადად). ამ შემთხვევაშიც იგივე მდგომარეობა გვექნება — შეთანხმება რიცხვში, რომელიც დახშულ შეხამებაში, საერთოდ, არ აღინიშნება. სუსტია მისი აღნიშვნა ღია შეხამებაშიც (სახლები დიდები, დროები წითლები და სხვ.).

სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, ხოლო დაქვემდებარებული — ზედსართავი, რიცხვითი, არსებითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები, ზოგადად ორგვარ სემანტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავენ: ატრიბუტულსა და დამატებითს (ობიექტურს) პირველი საკუთრივ არსებით სახელებით გამოხატულ გაბატონებულ წევრთან გვაქვს, ხოლო მეორე—აზმნარი სახელით გამოხატულთან.

ბრუნვაში შეთანხმების განხილვისას მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი კონკრეტული თავისებურებაა გასათვალისწინებელი. მათ ჩვენ ქვემოთ, სიტყვათშეხამებათა ანალიზისას (იხ. 6. 3. ა), შევხებით. ამჯერად წინ წამოვწევთ ქართული სინტაქსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მაგრამ იმავე დროს სადავო საკითხს — სინტაქსურ დამოკიდებულებას ხის კიბე, ძმის ოთახი და მისთ. ტიპის სიტყვათშეხამებაში.

ჩვენ გაბატონებულ არსებითსა და დაქვემდებარებულ ნათესაობით ბრუნვის ფუძიან არსებითს შორის სინტაქსური დაქვემდებარების ფორმად აღვნიშნავთ შეთანხმებას, მაგრამ ამ სიტყვათშეხამებაში ტრადიციულად გავებულია მართვა, შესაბამისად მსაზღვრელიც „მართულად“ იწოდება. შევეცადოთ ამ აზრის დამტკიცებას.

შენიშვნა: ამ საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ა. შანიძეს 1930 წ. გამოცემულ „გრამატიკაში“ ის-ი ფორმანტებიდან ი სახელობითის ნიშნად მიაჩნდა (გვ. 33-34). სახელობითი ბრუნვის ნიშნად აღიარა

იგი ვ. თოფურიამ (იხ. ვ. თოფურია. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, გვ. 237-238); დამოკიდებულების აფიქსად მიაჩნდა იგი ნ. მარს (იხ. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, გვ. 64-65), რომელმაც ამ ბრუნვას უწოდა родительный с отношением. აღნიშნულ საკითხს შეეხო აგრეთვე კ. დონდუა წერილში «К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке» (იხ. წგნ. „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 204-217). საყურადღებო აზრი გამოთქვა არნ. ჩიქობავამ, რომელმაც ერთუბრუნისაგან განასხვავა საკუთარ სახელთა და საზოგადო სახელთა-იხ-ი დაბოლოებანი, როგორც სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ფაქტი. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ეს საკითხი რთულ სინტაქსურ საკითხთა წყებას აღძრავს: მართვა გვაქვს თუ შეთანხმება მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ძველსა და ახალ ქართულში? (იხ. არნ. ჩიქობავა. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, ფუძეუკვეც. სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის. წიგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 257, სქოლიო, ხაზგასმა ავტორისაა. — ა. დ.).

1) ჩვეულებრივ, მართული მსაზღვრელის შესახებ მსჯელობისას იხილავენ მხოლოდ d—D (პრეპოზიციულ უშუალო, დახშულ) წყობას. სხვა შემთხვევაში, რადგანაც იქ შეთანხმების ნიშანი ჩნდება. მას მართულ-შეთანხმებულს (სხვა გამოსავალი რომ არაა) უწოდებენ, ე. ი. დასაშვებადაა მიჩნეული ორ სინტაქსურ ერთეულს შორის ერთი და იმავე კატეგორიის მიხედვით გაორკეცებული (ღუბლირებული) დაქვემდებარება, რაც დაქვემდებარების კანონის აშკარა დარღვევაა. როგორც ცნობილია, დაქვემდებარება ერთი და იმავე კატეგორიის მიხედვით მხოლოდ ერთხელ ხდება.

2) სინტაქსური დამოკიდებულებების სახეთა და მათზე მოქმედ ფაქტორთა შესახებ მსჯელობისას ჩვენ აღვნიშნეთ მსაზღვრელ-საზღვრულის სხვადასხვაგვარი მიმართება როგორც მორფემით გამოხატვის, ისე მათი წყობის მხრივ.

შევადაროთ ერთმანეთს ჩვეულებრივი შეთანხმებული და ე. წ. „მართული“ მსაზღვრელები.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ე. წ. „მართული“ მსაზღვრელი ზუსტად ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც — ჩვეულებრივი შეთანხმებული. ამ მიზნით განვიხილოთ მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციური განლაგების ყველა შემთხვევა. მართალია, პარადიგმე-

ბში ნიმუშები ხატოვანი ვერაა, მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ მათი ფორმა გვიანტერესებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შეხამება არა თუ თანამედროვე, არამედ ძველ ქართულშიც პროდუქტიული არაა. (ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით).

I შემთხვევა: დაქვემდებარებული პრეპოზიცია, დაბმული წყობა

სახ. ფართო გზა	ამხანაგის წიგნი
მოთხრ. ფართო გზა-მ	ამხანაგის წიგნი-მა
მიც. ფართო გზა-ს	ამხანაგის წიგნი-ს
ნათ. ფართო გზა-ის	ამხანაგის წიგნი-ის
მოკმ. ფართო გზა-ით	ამხანაგის წიგნი-ით
ვით. ფართო გზა-ად	ამხანაგის წიგნი-ად
წოდ. ფართო გზა-ვ	ამხანაგის წიგნი-ო

II შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პრეპოზიცია, გათიშული წყობა

სახ. ფართო (ჩანს) გზა.
 მოთხრ. ფართო-მ (გამაკვირვა) გზამ.
 მიც. ფართო-ს (ვხედავ) გზას.
 ნათ. ფართო-ს(ი) (ნახვა მინდა) გზის(ა).
 მოკმ. ფართო-თი (ვტკბები) გზით.
 ვით. ფართო-დ (გადაიქცა) გზად.
 წოდ. ფართო (-ვ) (გეგებები) გზავ

სახ. ამხანაგის (-ი) (ვნახე) წიგნი.
 მოთხრ. ამხანაგისა-მ (დამაინტერესა) წიგნი-მა.
 მიც. ამხანაგისა-ს (ვხედავ) წიგნი-ს.
 ნათ. ამხანაგის (-ის) (წაკითხვა მინდა) წიგნი-ის.
 მოკმ. ამხანაგის-ით (დავინტერესდი) წიგნი-ით.
 ვით. ამხანაგის-ად (მომეჩვენა) წიგნი-ად.
 წოდ. ამხანაგის-ო (დამაინტერესე,) წიგნი-ო.

ნიმუშები:

საწყალი დედაბრისასა თავენი ყანასა მკიანო (ხალხ.)
 კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა

(ვბ).

ვიწროსა გადაატარა ბილიკსა უფრო ჩქარად (ხალხ.) და
 მრ. სხვ.



III შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პოსტოზიცია, უშუალო წყობა.

სახ.	გზა	ფართო	წიგნი ამხანაგის-ა
მოთხრ.	გზა-მ	ფართო-მ	წიგნ-მა ამხანაგის-ა-მ
მიც.	გზა-ს	ფართო-ს	წიგნ-ს ამხანაგის-ა-ს ამხანაგის-მა
მიც.		ფართო-ს	წიგნს ამხანაგის-ა-ს ამხანაგის-ს
ნათ.	გზ-ის	ფართო-ს(ი)	წიგნ-ის ამხანაგის-ა ამხანაგის (-ის)-ა
მოქმ.	გზი-თ	ფართო-თ(ი)	წიგნ-ით ამხანაგ-ის-ით ამხანაგის-ა-თ
ვით.	გზა-დ	ფართო-დ	წიგნ-ად ამხანაგის-ად
წოდ.	გზა-ვ	ფართო-ვ	წიგნ-ო ამხანაგის-ო ამხანაგის-ა-ვ

ნიმუშები:

ეცუას ბეჭედი ოქროსაჲ (კათ. ეპ.).

პრქუა მას ასულმა ფარაო მსმან (გამოსლ.).

ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლითა აღისაჲთა (გამოსლ.).

ნებითა გუშვნა ჩუენ სიტყვთა ქეშმარიტებისაჲთა (კათ. ეპ.).

შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას (ი. ქ.).

ლამე იყო და ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ (ი. ქ.).

კაცად ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული? (ვტ.).

უთხრა: „მზე ვნახე ფარული, ჩანს მანათობლად დღისისად“ (ვტ) და სხვ.

IV შემთხვევა: დაქვემდებარებული წევრის პოსტოზიცია, გათიშული წყობა

სახ.	გზა	(ვნახე)	ფართო
მოთხრ.	გზა-მ	(მომხიბლა)	ფართო-მ
მიც.	გზა-ს	(გუყურებ)	ფართო-ს
ნათ.	გზ-ის	(ნახვა მსურს)	ფართო-ს(ი)
მოქმ.	გზ-ით	(ვიხიბლები)	ფართო-თი
ვით.	გზ-ად	(იქცა)	ფართო-დ
წოდ.	გზა-ვ	(გამახარე)	ფართო-ვ



სახ.	წიგნი	(წავეიკითხე)	ამხანაგის-ა
მოთხრ.	წიგნ-მა	(მომხიბლა)	ამხანაგის-ა-მ
მიც.	წიგნ-ს	(ვეუყურებ)	ამხანაგის-ა-ს
ნათ.	წიგნ-ის	(ნახვა მსურს)	ამხანაგის (-ის)
მოქმ.	წიგნ-ით	(ვიხიბლები)	ამხანაგის-ით
ვით.	წიგნ-ად	(იქცა)	ამხანაგის-ად
წოდ.	წიგნ-ო	(გამახარე)	ამხანაგის-ო

ნიმუშები:

მიხედა შჯულსა მის სრულსა აზნაურებისასა (კათ. ეპ.).

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსკვრეტთ დამესა ჩვენუმთვაროსა (ვტ).

სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა (ვჟა).

ნუგზარის განუსაზღვრელს წადილს ხალხის დამონებისას (ა. ყაზბ.) და მრ. სხვ.

V შემთხვევა: დაქვემდებრებული წევრის პოსტპოზიცია, განკერძოებული წყობა

- სახ. გზა, სოფლის მისასვლელთან ფართო...
- მოთხრ. გზა-მ, სოფლის მისასვლელთან ფართო-მ,...
- მიც. გზა-ს, სოფლის მისასვლელთან ფართო-ს,...
- ნათ. გზ-ის, სოფლის მისასვლელთან ფართო-სი,...
- მოქმ. გზ-ით, სოფლის მისასვლელთან ფართო-თი...
- ვით. გზა-დ, სოფლის მისასვლელთან ფართო-დ...
- წოდ. გზა-ვ, სოფლის მისასვლელთან ფართო-ვ... შდრ.:

- სახ. წიგნი ჩემი კარგი ამხანაგისა...
- მოთხრ. წიგნ-მა ჩემი კარგი ამხანაგისა-მ...
- მიც. წიგნ-ს ჩემი კარგი ამხანაგისა-ს...
- ნათ. წიგნ-ის ჩემი კარგი ამხანაგის (-ის)ა...
- მოქმ. წიგნ-ით ჩემი კარგი ამხანაგის (-ით)ა...
- ვით. წიგნ-ად ჩემი კარგი ამხანაგის-ად,...
- წოდ. წიგნ-ო ჩემი კარგი ამხანაგისა-ვ...

სპეციალურ ლიტერატურაში ჩათვლილია, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა ძველი ქართულისათვის ნორმა იყო, ხოლო პრეპოზიციული, რომელიც ამჟამად ნორმად იქცა, შებრუნებულ, ინვერსიულ, რიგად ითვლებოდა, პოსტპოზიციურ წყობაში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური დამოკიდებულების ერთადერთი სახე შეთანხმებაა და არა მართვა ან მართვა-

შეთანხმება. ნათესაობითის ფორმა აქ ფუძედაა გაგებული. იგი ორ-
გვარი ვითარებით გვევლინება:

1) ემფატიკური ხმოვნით და ამიტომ იბრუნვის, როგორც ბო-
ლოხმოვნის მსაზღვრელი (ემფატიკური ხმოვანიც ამ შემთხვევა-
ში ფუძის კუთვნილებად იქცა);

2) ხმოვნის გარეშე და ამიტომ იბრუნვის, როგორც ბოლოთან-
ხმოვნის სახელი. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს არა გენეტი-
ვის ფორმასთან, არამედ გენეტიურ ფუძესთან. სინტაქსურ დამოკი-
დებულებას ამ ტიპის მსაზღვრელებში ქმნის მხოლოდ ცვალებადი
ფლექსია, შეთანხმებული ბრუნვის ნიშანი, ხოლო გენეტივის მორ-
ფმა სადერივაციო მნიშვნელობა მიიღო. ანალოგიური მაგალითების
დასახელება მრავლად შეიძლება მორფოლოგიიდან: მაგ.: სახ. მე →
ნათ. ჩე მ(თვის) → კუთვნ. ნაცვალსახელი ჩე მ-ი.

საყურადღებოა კუთვნილებითი ნაცვალსახელი მ-ის-ი, რომე-
ლშიც აშკარად გამოიყოფა ნათესაობითის ნიშანი, მაგრამ ამ ნაცვალ-
სახელის შეხამება არსებითთან მხოლოდ შეთანხმებაა. აღსანიშნა-
ვია, რომ დახშული პრეპოზიციული წყობის გამო ბრუნვის ნიშნის
მოკვეცა ბოლოთანხმოვნის მსაზღვრელთა მსგავსად ხდება.

სახ. მ-ის-ი წიგნი

მოთხრ. მ-ის-მა წიგნმა

მიც. მ-ის(-ს) წიგნ-ს

ნათ. მ-ის-ი (წიგნ-ის; შდრ. მსაზღვრელის სრული ბრუნვის-
ნიშნის ფორმები: რაა წაშალი მ-ის-ის-ა წყლული ს ა
განკურნებისა? (ვტ): ქალმან უბრძანა:) „ზარი მლევს
მე ამ-ის-ის-ა თხრობისა“ (ვტ) და მისთ.

მოქმ. მ-ის-ი (თ) წიგნ-ით

ვით. მ-ის-ად წიგნ-ად; შდრ. ამ-ის-ად ქმნამდის

დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა (ვტ) და მისთ.

წოდ. [**მ-ის-ო წიგნ-ო]

მართალია, ამ სიტყვაში ნათესაობითის პირველადი მორფი უფ-
რო ადრე შეუხორცდა და აქცია იგი ბოლოთანხმოვნისად (მ-ის-მა
წიგნ-მა), მაგრამ გვხვდება პარალელური ფორმაც, რომელშიც
ნათესაობითის ფუძეა წარმოდგენილი (მ-ის წიგნ-მა).

თავდაპირველად ნათესაობითის ფორმით ფუძედ ქცეულ სა-
ხელს მხოლოდ კუთვნილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კუთვნი-
ლების კატეგორია ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა გამოხატული
თითქმის ყველა (როგორც ძველ, ისე ახალ) ენაში. კუთვნილება გა-
მოხატულია სიტყვათშეხამებით, რომელთაგან ერთი ასახელებს სა-
განს, რომელსაც ეკუთვნის, ხოლო მეორე — საგანს, რომელიც მიე-

კუთვნება (ქალის თმა, სახლი ამხანაგისა და მისთ.). რასაკვირველია, რიგ შემთხვევაში ასეთ სიტყვათშეხამებებს აღარა აქვთ კონკრეტულად კუთვნილების შინაარსი. ისინი ხშირად უფრო განზოგადებულ სემანტიკურ დამოკიდებულებას ქმნიან, როგორცაა, მაგალითად, მიმართება რაიმე საგანთან (გ მ ი რ თ ა მ ო ე დ ა ნ ი, კ ო ლ მ ე უ რ წ' ე თ ა კ რ ე ბ ა და მისთ.), მასალა (ც ხ ვ რ ი ს ტ ყ ა ვ ი, ო ქ რ ო ს ს ა ა თ ი და მისთ.) და სხვ., მაგრამ ზოგადად მაინც ინარჩუნებენ კუთვნილების შინაარსს. მართალია, სიტყვათშეხამებაში ბ ო რ ჯ ო მ ი ს ს ა ს ტ უ მ რ ო შინაარსობრივად ბორჯომი გამოხატავს ადგილს, სადაც სასტუმროა, მაგრამ მას მაინც კუთვნილების ელფერი აქვს, რადგანაც ბუნებრივად, თუ სასტუმრო ბორჯომშია, იგი ტერიტორიულად ბორჯომს ეკუთვნის და სხვ. როგორც ჩანს, კუთვნილების შინაარსი განზოგადდება ხოლმე, მაგრამ სულ არ იკარგება (მაგ.: რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ე პ ო ქ ა, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ჯ ა რ ა და მისთ.).

ვინაიდან კუთვნილების სემანტიკა უკვე არა საგნობრიობის, არამედ ნიშან-თვისებათა წყებას განეკუთვნება, ბუნებრივია, რომ „ნათესაობითის ფორმა“ უკვე ზედსართავის ფუნქციით გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში დასავლეთ-ევროპულ ენებშიც ნათესაობითის წინდებულიანი შეხამებისათვის ატრიბუტული შინაარსია აღნიშნული; მაგ., ინგლისურში *ს* თანდებულიანი (კუთვნილებითი ბრუნვის ფორმანტიანი) და *მ* წინდებულიანი ფორმების ურთიერთობა გაბატონებულ წევრთან ატრიბუტული (კუთვნილებითი) შინაარსისაა; შდრ.:

the Ann's house – the house of Ann.

the boy's book – the book of the boy.

ზოგენაში იგი ზედსართავის სინონიმურია (მაგ., რუსულში); შდრ. *дом отца* || *отцов дом*; *платок сестры* || *сестрин платок* და მისთ.

საინტერესოა, რომ კუთვნილებით ზედსართავთა მაწარმოებელი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ეკვივალენტურია: -*ов* (-*ова*, -*ово*), -*ин* (-*ина*, -*ино*).

ამ ტიპის სიტყვათშეხამებას შეეხო აგრეთვე ლ. შჩერბა, რომელიც შეხამებაში *любовь отца* ხედავდა არა მარტო საგნობრივ (სუბსტანტურ) მიმართებას, არამედ ატრიბუტულსაც (კვალიფიკაციურს). ავტორის აზრით, ეს შეხამება შეიძლება ფრანგულად სხვადასხვაგვარად გადმოიცეს: წინადადებიდან — *Когда я был маленьким, я не видел проявлений любви отца* — სიტყვათშეხამება *любовь отца* ითარგმნება, როგორც *amour du*

père, ხოლო წინადადებიდან Любовь отца играет большую роль в воспитании — როგორც amour paternel ან amour du père (იხ. ლ. ვ. შერბა. О второстепенных членах предложения. Избранные работы по языкознанию и фонетике, т. I, Л., 1958, გვ. 97-98).

ამრიგად, ე. წ. „მართული“ მსაზღვრელი ატრიბუტულ დამოკიდებულებას ქმნის ისევე, როგორც ის მეტყველების ნაწილები, რომელთა სინტაქსური ფუნქცია ატრიბუტული დამოკიდებულების გამოხატვაა, ე. ი. ნათესაობითის ფუძიანი მსაზღვრელი შესაბამისი ატრიბუტული მსაზღვრელის სინონიმია და წინადადების მოდელში ფუნქციასთან ერთად მის ფორმობრივ თავისებურებებსაც იძენს. ამ მხრივ საინტერესოა წინადადება ჩვენთა მგელთაცა და სკამენ თქვენნი, ინდოთა, თხანია (ვტ).

შენიშვნა: ვინაიდან II პირის ნაცვალსახელები: შენ, თქვენ წოდებითის მნიშვნელობითაც იხმარება, დასაშვებია მათი ამგვარი ფარდობაც — შენ, კაცო, ... შე კაცო; ასევე ვტ ზოგიერთ გამოცემაში იკითხება თქვენნი, ინდონო, თხანია.

წინადადებაში ფარდობითი კავშირის საფუძველზე ინდოთა სინონიმურია თქვენისა. იგი ამავე კავშირის საფუძველზე სახელობით ბრუნვაშია. ბრუნვის ნიშნის უქონლობა პოზიციურ თავისებურებას უნდა მიეწეროს; შებრუნებულ რიგში თხანი ინდოთანი გვექნებოდა (შდრ. ნაშობნო იქედნეთანო) ისევე, როგორც გვაქვს საქმენი კაცისანი, დღენი კეთილისანი ძენი იაკობისნი და ა. შ. ამგვარი სინონიმური შენაცვლება ამჟამადაც პროდუქტიულია: ამხანაგის სახლიმისი სახლი, ჩემი საქმე|კაცის საქმე და სხვ., მაგრამ შეთანხმება ნათლად არ ჩანს პრეპოზიციული წყობის დახშული შეხამების გამო.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ძველი ქართულის ისეთი ვითარება, როდესაც ე. წ. „მართული“ მსაზღვრელი შეთანხმებულია საზღვრულთან არა მარტო პოსტპოზიციურ, არამედ პრეპოზიციულ წყობაშიც. (იხ. ლ. კიკნაძე. მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში, თსუ შრომები, 45, 1951, გვ. 205-206; ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 582; ა. მარტიროსოვი. მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, გვ. 385; ქ. ლორთქიფანიძე. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ისტორიი-

დან ქართულში. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის
ტ. 13, 1959, გვ. 390-394).

სტრუქტურა
საქართველო
საბჭოთა კავშირი

ნიმუშები:

ღმერთისა და უფლისა იესუ ქრისტემისი მონაჲ (კათ. ეპ.).

შენში კაცისა-ს გრძნობა-ს არ ხედვენ (ი. ჭ.) და მისთ.

საცეხებით თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში პრეპოზიციულ წყობაშიც „გენეტიური ფორმა“ შეთანხმებული ყოფილა. როგორც ჩანს, პოსტპოზიციური წყობიდან პრეპოზიციულზე გადასვლის შემთხვევაში შეთანხმებულმა მსაზღვრელმა თავისი თვისება შეინარჩუნა და თან გაიყოლა შეთანხმების მორფი (იხ. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელთა ბრუნება... გვ. 584).

რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. კიზირიას: „მართული მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს ბრუნვაში რომ ეთანხმება, ეს მეორეული მოვლენაა, რომელიც ენამ არც კი შეითვისა“ (იხ. ა. კ ი ზ ი რ ი ა. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 255-256).

უნდა აღინიშნოს, რომ წყობის შეცვლა (პოსტპოზიციურიდან პრეპოზიციულზე გადასვლა) ან ძალიან ძველად უნდა მომხდარიყო, იმდენად ძველად, რომ ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში საქმე უნდა გვქონდეს არა გარდამავალ ხანასთან, არამედ ამ ნიშანთა ნაშთთან. ძველ ქართულში ნათესაობით ბრუნვაშიც „გაქცევებული“ მსაზღვრელი უკვე ნორმადაა ქცეული. მორფთა დაკარგვის მიზეზი უთუოდ შეხამების დახშულობაა, რომლის გამოც აღარ შეიქნა საჭირო დამოკიდებულების აღმნიშვნელი მორფის ხმარება. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ შეთანხმებული მსაზღვრელის მიერ მორფების დაკარგვა ქართულ ენაში ამკამადაც გრძელდება. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ გენეტივის ფორმის ფუძიან მსაზღვრელებში შეთანხმების მორფები უფრო ადრე და იოლად უნდა დაკარგულიყო, ვიდრე ატრიბუტულ მსაზღვრელში, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ფუძედ უკვე „გაფორმებული“ სახელი იყო გამოყენებული, ხოლო ენას უფრო უჭირდა შიშველი ფუძის დატოვება.

ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ნათესაობითში -ის-აი-ისი(ის-ი) პარალელური ფორმები, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ნაირგვარი წარმოშობისა უნდა იყოს. ამ ორი დაბოლოებიდან -ის-ა ენამ მთლიანად ფუძის კუთვნილებად აქცია, ხოლო -ის-ი სახელობითის ფორმად იქნა გაგებული; სწორედ ამიტომ გვაქვს მოთხრობითში პარალელური ფორმები: სახლმა კაცის-ა-მსიკაცის-მა. ამათგან კაცის-ამ ტიპი რომ უფრო პროდუქტიულია, ამის მიზეზი მიცემითის კაცის-ას გაბატონებული ფორმის ანალოგიაში უნდა ვეძიოთ, სადაც — ისა-ს დაკანონება

თანხმოდანთა გაყრის აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული. როგორც უნდა იყოს -ის-ი ფორმანტში ი-ს წარმოშობის გზა იგი რახან ჩადგა მომდევნო ბრუნვის ნიშანთა წყებაში, თავადაც ბრუნვის ნიშნად იქცა და სინტაქსური დამოკიდებულება (შეთანხმება) გამოხატა, ფორმანტთა ფუნქციის შეცვლა უცხო რომ არ არის ენისათვის, მაგალითისათვის შეიძლება კვლავ დავასახელოთ ა, რომელიც კაუზატივს აწარმოებდა, მაგრამ, ჩადგა რა ქცევის ი-და უ-ნიშანთა წყებაში, თავადაც ქცევის ნიშნად იქცა.

საყურადღებოა, რომ ინგილოურ დიალექტში გაბატონებული მდგომარეობა უკავია-ის-ი ფორმას, რომელიც როგორც პრე-ისე პოსტპოზიციურ მდგომარეობაში გვხვდება (იხ. გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. თბ.. 1966, გვ. 86).

ყურადღებას იპყრობს თვით ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (იხ) აგებულება. ამ მორფის ი ელემენტის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი სახელებში ისევე აღნიშნავს კუთვნილებას, როგორც ზმნაში ქცევის ი-მორფი (იხ. გ. როგავა. კუთვნილებითი აფიქსი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), I. სმამ, ტ. III (?), II — ტ. III (5). 1942).

ნათესაობითი ბრუნვისფუძიან მსაზღვრელს სინტაქსური დამოკიდებულება ზუსტად ისევე აქვს გაფორმებული, როგორც — შესაბამისი ფუძის მქონე ატრიბუტულ მსაზღვრელს (ნიმუშები იხ. ზემოთ, პარადიგმებში), მაგრამ ნათესაობითსა და მოქმედებითში შეთანხმების გააფორმებელი მორფები, როგორც წესი, არ იხმარება. გვაქვს წიგნი ამხანაგისა, წიგნმა ამხანაგისამ, წიგნს ამხანაგისას, წიგნო ამხანაგისავ, მაგრამ არა გვაქვს წიგნის ამხანაგისის და წიგნით ამხანაგისით (ზემოთ მიტანილ პარადიგმებში ისინი ხელოვნურია). ნათესაობითის ფორმის გაფორმება ენას ძველ ქართულშიც უჭირდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს სინტაქსური დამოკიდებულების (შეთანხმების) გაფორმებას, რადგან მორფემის როლს ინტონაცია ასრულებს. სწორედ ინტონაციის მეოხებით ენიჭება ემფატიკურ ა-ს სიტყვათშეხამების დახშულობის სინტაქსური ფუნქცია, რის შედეგადაც შეთანხმების გააფორმებელი მორფები: ისა(-ის), ისა(-ით) სიკარბედ იქცა და დაიკარგა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ემფატიკურ ხმოვნიათი ნათესაობითის ფორმა უხშავს სინტაქსურ ერთეულს სხვა გაბატონებულ წევრთან დაკავშირების გზას და ხშირად გამონათქვამის მონაკვეთს (შესიტყვებას) დასრულებულ სახეს აძლევს (გაგხდი სკოლის ასაკი-

სა). თუ ა არ ახლავს, გამონათქვამი თითქოს დაუმთავრებელია (ვაჟ-
 ჯდი სკოლის ასაკის) და მსმენელი ელის, რომ საუბარი გრძელდება (იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი სა-
 კითხი. თბ. 1965, გვ. 102-103). ემფატიკური -ა და -ი ხმოვნების სინ-
 ტაქსურად მადიფერენცირებელი, სახელდობრ შეხამების დახშულო-
 ბის შემქმნელი, ფუნქცია აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას (იხ.
 არნ. ჩიქობავა. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, ფუძეუკვეც
 სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტსა
 ევოლუციისათვის. წიგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქარ-
 თველურ ენებში, I, თბ., 1956. გვ. 258-259).

რასაკვირველია, როცა ნანათესაობითარი მსაზღვრელი და საზ-
 ლვრული გათიშულია, შეთანხმება უფრო გამოკვეთილი და მყარია,
 მაგრამ, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, გამ-
 თიშველი სიტყვები შეთანხმებას კი არ იწვევს, არამედ ხელს უწყობს
 მის შენარჩუნებას (ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელთა ბრუნება...
 გვ. 205).

ჩვენ ზემოაღნიშნულ მაგალითებში შეგნებულად არ შევიტანეთ
 მრავლობითი რიცხვის ნიმუშები, სადაც აშკარა შეთანხმებაა (თუმ-
 ცა სპეციალურ ლიტერატურაში მას მაინც მართულ-შეთანხმებულს
 უწოდებენ); მაგ.:

ხოლო ჭევი იგი მარილოანი მ დ ვ ი მ ე ნ ი იყვნეს მ ა ლ თ ი-
 ს ა ნ ი (დაბად.)

ჭელნი მისნი ყოველთა ზედა ჭ ე ლ ნ ი ყ ო ვ ე ლ თ ა ნ ი მის ზე-
 და (დაბად.)

კაცი ორგული დაუდგომელ არს ყოველთა გ ზ ა თ ა მ ის თ ა
 (კათ. ებ.)

ანუ არა გ ლ ა ხ ა კ ნ ი ს ო ფ ლ ი ს ა ნ ი გამოირჩინა ღმერთ
 შან? (კათ. ებ.)

თვითონ გავსთაღე ველურად ლ ე რ წ ა მ ნ ი დ უ დ გ უ ლ ი-
 ს ა ნ ი (ვაჟა)

საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის მიხედვით გაირჩევა
 ოთხი შემთხვევა (რიცხვის თვალსაზრისით):

- ა) საზღვრული და მსაზღვრელი — ორივე მხოლოობითშია (ქვი-
 შაჲ ზღვისაჲ).
- ბ) საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი — მხოლოობითში
 (ქვიშანი ზღვისაჲ).
- გ) საზღვრული მხოლოობითშია, მსაზღვრელი — მრავლობითში
 (ქვიშაჲ ზღვათაჲ).
- დ) საზღვრულიცა და მსაზღვრელიც — ორივე მრავლობითშია
 (ქვიშანი ზღვათანი).

(იხ. Н. Я. Марр. Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 66-67. ლ. კიკნაძე. მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეეთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში, გვ. 206: ე. ი. მ. ნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 586: ე. ნიკოლაიშვილი. საკუთარი სახელი მსაზღვრელად ძველ ქართულში. წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, გვ. 325-326).

ეს გარემოება ადასტურებს, რომ აქ მართვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ფუძელ ქცეული ნათესაობითის შეთანხმებასთან რიცხვსა და ბრუნვაში (კომბინირებული შეთანხმება), ე. ი. ე. წ. „მართულ-შეთანხმებული“ განსაზღვრების ფუძელ აღებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში (ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 257).

საყურადღებოა, რომ იგივე ავტორები, რომლებიც მართვა-შეთანხმების შესახებ საზოგადოდ გავრცელებულ მოსაზრებას ემხრობიან, აღიარებენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სადერივაციო მნიშვნელობას; მაგ. ა. კიზირია წერს: „ტერმინი მართულ-შეთანხმებული პირობითია. ამ სახის განსაზღვრებისათვის შეიძლება დერივაციული განსაზღვრება გვეწოდებინა, რამდენადაც მართვის შედეგად ახალი ფუძეა ნაწარმოები, რომელიც მეორედ ირთავს ბრუნვის ნიშანს საზღვრულთან ახალი სინტაქსური ურთიერთობის დამყარების გამო“ (ა. კიზირია. დასახ. ნაშრომი, გვ. 256); ხოლო ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „სუბსტანტიური განსაზღვრება... სახელობითში ფუძედ იყენებს ნათესაობითის გაუვრცობელ ფორმას და დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს“ (ლ. კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 182; ხაზგასმა ორივეგან ჩვენია. — ა. დ.).

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება: ნათესაობითი ბრუნვის ფუძიანი მსაზღვრელი ძველ ქართულში გვხვდება წრფელობით ბრუნვაშიც, რომელიც „გაუფორმებელი ფუძეა და ამ შემთხვევაში იყენებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას“ (იხ. ა. კიზირია. დასახ. ნაშრ. გვ. 261). გაუფორმებელი ფუძე ნათესაობითის ფორმას იყენებს, მაგრამ რად? ბრუნვის ფორმად თუ ფუძედ? ჩვენი აზრით, ფუძედ, რადგან თვით წრფელობითი ბრუნვის ცნება გამორიცხავს რაიმე სხვა ბრუნვას; მაგ.: სახლ კაცის, კარცისის, ხატ შუენიერის და მისთ.

ამრიგად, ე. წ. „მართული“ მსაზღვრელი ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც — ჩვეულებრივი ატრიბუტული: იგი შეთანხმებულია. მართალია, სიტყვაში გამოიყოფა ბრუნვის ორი ნიშანი,

მაგრამ მიმართებას ქმნის მხოლოდ ბოლო მორფი, მის წინ მდგომარეობის მორფი კი აღარ ქმნის მას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ორმაგ (ან ორმაგ-კეც) თუ სამმაგ ბრუნებაში გამოხატულია ქართული ენის თვისება, რომ მას შეუძლია, აბრუნოს ბრუნვის ფორმაც კი (ა. შანიძე); მაგრამ ახალი ბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღრინდელი ბრუნვის ნიშანი ან ნიშნები ფუძის კუთვნილებად ჩაითვლება. მართლაც, ბრუნების პროცესში ახალი ნიშანი ძველს, ფუძის კუთვნილებად ქცეულს, ისეთსავე ანგარიშს უწევს, როგორსაც ფუძის ბგერას: ხმოვანს ან თანხმოვანს; მაგ.: წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ, წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ-მ ა და სხვ. ასე რომ არ იყოს, მაშინ ძალიან ბევრ შემთხვევაში შეგვხვდებოდა მრავალბრუნვიანი სახელები, როგორიცაა: გ უ ლ-ი თ-ა დ-ი, გ უ ლ-ა დ-ი და სხვ. ბრუნება ხომ ფორმის ცვლას ნიშნავს? მაშასადამე, ბრუნვის ნიშნად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის აფიქსი, რომელიც იცვლება ბრუნვითა მიხედვით; წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი უბრუნველი სიტყვა (მაგალითად ზმნი-ზედები) გარკვეული ბრუნვის ფორმად უნდა ჩაგვეთვალა. სინტაქსური დამოკიდებულება სწორედ ცვალებად მორფს (ფლექსიას) უწევს ანგარიშს და არა საერთოდ რაიმე ნიშანს.

ზემოთქმულის დასადასტურებლად კვლავ ერთ ფაქტს აღვნიშნავთ დიალექტოლოგიიდან. როგორც ცნობილია, მოხეურში გავრცელებულია მიმართვის ფორმა, რომელსაც არა წოდებითის, არამედ ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა აქვს; მაგ:

დავიღუპე, მ ა რ ი ნ ე ი ს ი, დავიღუპე! (ა. ყაზბ.).

რაისთვის სჯავრობ, პ ა პ ა ი ს ი! (ა. ყაზბ.) და მისთ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (იხ. შ. ძიძიგური. ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა ლექსიკონი. წგნ. ა. ყაზბეგი. თხზულებანი ორ ტომად. თბ., 1968; ტ. I, გვ. 568; ტ. II, გვ. 547), ეს ფორმები მიღებულია შორისდებულური (ფიცილის) გამოთქმებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, დ ე დ ა-ი ს-ი კ ი რ ა-ი მ ე (→ კ ი რ იმე), პ ა პ ა-ი ს-ი მ ზ ე-მ ა და მისთ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფორმა პ ა პ ა-ი ს-ი მ ზ ე-მ ა, რომელშიც არა მარტო ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, არამედ ემფატიკური -ი-ც ფუძის კუთვნილებად არის ქცეული. კანონიერი ფორმა იქნებოდა არა პ ა პ ა ი ს ი მ ზ ე მ ა, არამედ — პ ა პ ა ი ს-მ ა მ ზ ე-მ ა. ეს, როგორც ჩანს, შორისდებულური გამოთქმის ბრალია, რადგან ემფატიკური ი აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში სახელობითის მორფად იქცევა, როდესაც უპირისპირდება სხვა ბრუნვის მორფებს.

ამრიგად, ქართული ენისათვის მართული მსაზღვრელი არ არის ნიშანდობლივი.

მართალია, თანამედროვე ქართულში სხვა (ინდოევროპულ) ენათა გავლენით შეინიშნება შეთანხმების მორფთა დაკარგვა მეტყველებაში, შეთანხმებული ფორმების პარალელურად უკვე ჩნდება შეუთანხმებელიც; მაგ.: გაჰკვეთს ხვანჯ-ს-ა უგნურების (-ა-ს) (ა. წ.), სიტყვა-ს მამის-ა-ს სიტყვა-ს მამის-ა; შდრ.: слово отца, брат товарища, клятва бойца და მისთ. ამისათვის არანაკლებ უნდა შეეწყოს ხელი ემფატიკური ხმოვნის სინტაქსური (შეხამების დახშულობის აღნიშვნის) ფუნქციის გაძლიერებასაც.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ 30-იან წლებში ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ პოსტპოზიციურ წყობაში ერთადერთ სალიტერატურო ფორმად შეთანხმებული სახეობა მიიღო (იხ. ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, თეზისები ვ. თოფურიას მოხსენების მიხედვით, წგნ. „სალიტერატურო ქართულის ნორმები“. თბ., 1936, გვ. 24).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნანათესაობითარი მსაზღვრელის თავისებურებას გვიჩვენებს ე. წ. უბრალო დამატება ნათესაობითში. ეს ბუნებრივია, რადგან ზმნათა პირმიმართი ერთეული, რომელიც შესაბამისი ზმნის სუბიექტურ, ირიბობიექტურ ან პირდაპირობიექტურ პირს შეესაბამებოდა, დაექვემდებარა სახელით რეალიზებულ ერთეულს (სახელზმნად ზმნის გარდაქცევის გამო). სახელთა შორის ლექსიკურ-მორფოლოგიური ურთიერთობა შეთანხმებაა. ამიტომ სრულიად თავისუფლად შეიძლება განსაზღვრებად ჩაგვეთვალო ნათესაობითის ფორმები ისეთ სიტყვათშეხამებებში, როგორიცაა: ნის მოჭრა, ნუკრის ნაამბობი და სხვ. (იხ. ვ. თოფურიას ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1963, გვ. 18; მისივე, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები. კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, № 3, გვ. 8).

ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფორმები დამატებადაა ჩათვლილი, მხოლოდ წინა ვითარების გათვალისწინებაა, რომლის უგულებელყოფა ზმნის სინტაქსური ძალის გამო არ შეიძლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აღნიშნული ტიპის უბრალო დამატებანი განსაზღვრებად ქცევის ტენდენციას იჩენენ; ყოველ შემთხვევაში, იმავე ფორმის განსაზღვრებათა ანალოგიურ ვითარებას ავლენენ (იხ. იმნაიშ-



3. 6. ბ. მართვა

3. 6. გ. § 1. მართვის რაობა და მისი ძირითადი ნიშნები

მ ა რ თ ვ ა ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული დაქვემდებარებაა, როდესაც გაბატონებული წევრი თავისი დაქვემდებარებულისაგან ნოითხოვს გრამატიკულ ფორმას, რომელიც თვით მას არ გააჩნია. მართვა, უმთავრესად, გაბატონებული წევრის ვალენტობასა და დაქვემდებარებულის ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

სემანტიკური თვალსაზრისით გაბატონებული წევრი ყოველთვის გამოხატავს მოქმედებას. იგი შეიძლება ზმნა ან სახელზმნა იყოს (ზმნა ფართო მნიშვნელობით), ხოლო დაქვემდებარებული — მოქმედებისადმი შესაფარდებელ საგანს. წინადადებაში იგი არსებითი ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი.

ჩვენ ზემოთ აღნიშნავდით, რომ სინტაქსური მიმართების ეს სახე მხოლოდ ფორმობრივი დამოკიდებულებაა. მართვა შეთანხმების საპირისპირო მოვლენაა. თუ შეთანხმებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გაბატონებული და დაქვემდებარებული წევრის „საზიარო“ კატეგორიას, მართვისათვის არსებითია განსხვავებული, „არასაზიარო“, კატეგორია, რომელიც სიტყვათშეხამებაში დაკავშირებულ ერთეულებს შეიძლება მეტი ჰქონდეთ, ვიდრე საზიარო. მართვას უფრო მრავალი სახეობა (ფორმა) გააჩნია, ვიდრე შეთანხმებას. იგი ისევე მონაწილეობს კოორდინაციაშიც და სუბორდინაციაშიც, როგორც შეთანხმება.

შეთანხმების მსგავსად, მართვა შეიძლება რეალურიც იყოს და პოტენციურიც.

პოტენციური მართვა გვაქვს კოორდინაციაში, როდესაც წინადადების კონსტრუქციული მოდელი რეალიზებულია I ან II პირის ნაცვალსახელებით (მე მოვკალ, ჩვენ დავწერთ, შენ აიღე, თქვენ გიშრომიათ და სხვ.).

პოტენციური მართვის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ სიტყვათა ლექსიკურ-მორფოლოგიურ თავისებებში უნდა ვეძიოთ. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იგი ბრუნვათა მიხედვით პირის ნაცვალსახელთა ფორმაუცვლელობით არის გამოწვეული. ნაცვალსახელი, იკავებს რა სათანადო ადგილს წინადადების კონსტრუქციულ სტრუქტურაში, აუცილებლად იგულისხმება რომელსამე ბრუნვაში, რაც ადვილად დგინდება მის ნაცვლად სხვა ლექსიკური ერთეულის ჩასმით ან შენაცვლებით (ფარდობითი მიმართების საფუძველზე).

შეთანხმებისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის დინამიკურია, მართვა შეიძლება დინამიკურიც იყოს და სტატიკურიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაქვემდებარების სტატიკური სახეობა გვაქვს მაშინ, როდესაც გაბატონებული წევრი თავისი დაქვემდებარებულისაგან მოითხოვს ერთ ფორმას სტატიკურ (უცვლელ) მდგომარეობაში; მაგ.: დანი თ კრის, ემალება დედას, მასწავლებლად მუშაობს და სხვ. როგორც უნდა შეიცვალოს წინადადების კონსტრუქცია (დაქვემდებარების მოშლის გარეშე), სინტაქსური დამოკიდებულება უცვლელი რჩება.

დინამიკური მართვა, სტატიკურთან შედარებით, უფრო ძლიერი დამოკიდებულებაა, რადგანაც გაბატონებული წევრი თავისი დაქვემდებარებულისაგან მოითხოვს არა მარტო ერთ ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმას, არამედ თავისი ცვალებადობის ასახვასაც (წერს ბავშვი — დაწერა ბავშვმა) გარკვეულ მონაკვეთში დინამიკური მართვა სტატიკურია, მაგრამ საერთოდ — ცვალებადი.

მართვა ტრადიციულად გაგებულია, როგორც ბრუნვითი ან თანდებულის (ზოგადად წინდებულისანიც) — ბრუნვითი დამოკიდებულება, ამიტომ მართვის დროს დაქვემდებარებულ წევრად ყოველთვის სახელი უნდა გვექონდეს, ე. ი. გვექნება ასეთი შეხამება: გაბატონებული წევრი ზმნით არის გამოხატული, დაქვემდებარებული — სახელით (მართვა ბრუნვაში). ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც კოორდინაციულ, ისე სუბორდინაციულ დონეზე.

3. 6. გ. § 2. კოორდინაციულ დონეზე მართვა

კოორდინაციულ დონეზე მართვა აუცილებელი კავშირია, რომლის გამოხატვა წინადადებაში რეგულარულ ხასიათს ატარებს. კონსტრუქციის მართული ელემენტის გამოტოვება წინადადების სტრუქტურას დეფექტურ მნიშვნელობას აძლევს, რომლის რეკონსტრუქცია შეიძლება მხოლოდ მაკროტექსტის საფუძველზე (იხ. ელიფსური წინადადება). ზოგჯერ შეიძლება მართული ელემენტის დაკარგვა მყარად მოხდეს (იხ. დეფექტური კონსტრუქციები).

პართულ ენაში, რომელშიც კოორდინაციული დონე მკვეთრად გამოიხატულია სუბორდინაციულისაგან, კონსტრუქციაში აუცილებელი მართვა უფრო ნათლად არის გამოხატული, მაშინ როდესაც სხვა ენებში, რომლებშიც ზმნა მხოლოდ ერთბირიანია, საჭიროა ზმნის სემანტიკის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც იქმნება მართვის ძლიერი და სუსტი სახეობანი; მაგ., რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ძლიერი (აუცილებელი) და სუსტი (არააუცილებელი) მართვის მიხედვით ასხვავებენ შეხამებებს:

дать кому-либо книгу — მისცა მავანს წიგნი.

разжигать кому-либо костер — აუნთო მავანს კოცონი (ცეცხლი).

შენიშვნა: არსებობს სხვა ტერმინებიც: რეგულარული და არარეგულარული მართვა (იხ. Н. Ю. Шведова. Детерминирующий объект и детерминирующее обстоятельство..., გვ. 78 და შმდ.); ფაქულტატიური და აუცილებელი (იხ. Е. А. Иванчикова. О структурной факультативности и структурной обязательности в синтаксисе. ВЯ, 1965, № 5); სტანდარტული და ინდივიდუალური (იხ. В. М. Григорян. О стандартных и индивидуальных управлениях. Х კონგრ. თეზ., გვ. 129). უფრო მეტად გავრცელებულია ტერმინები: ძლიერი და სუსტი (იხ. Ю. Д. Апресян. О сильном и слабом управлении. ВЯ, 1964, გვ. 33).

რამდენადაც მართვად მხოლოდ ობიექტური დამოკიდებულების გამოვლენაა აღიარებული (რუსულში და, საერთოდ, ინდოევროპულ ენებში შემასმენელისაგან ქვემდებარის მართვას არ აღნიშნავენ ხოლმე), ძლიერ მართვაში ხვდება ერთეულები, რომლებიც პირდაპირდამატებითსა და ირიბდამატებით დამოკიდებულებას ავლენენ, განურჩევლად იმისა, წინდებულიანია ეს ფორმები თუ უწინდებულო; მთავარია, ეს დამოკიდებულება ზმნის ვალენტობის რეალიზაციას წარმოადგენდეს;

შდრ.: натерпеться страху—наскочить на столб,
дичиться людей—войти в гавань...

ძლიერისაგან განსხვავებით, სუსტი მართვა აუცილებელი არაა, თუმცა ისიც ზმნის სემანტიკით არის განპირობებული. სუსტი მართვით დაკავშირებული ერთეულებიც შეიძლება უწინდებულო ან წინდებულიანი იყოს; მაგ.:

болеть неделю—учиться на курсах,
идти лесом—скрыться за рощей...

თუ ქართული ენისათვის ძლიერსა და სუსტ მართვას მივიღებდით, მაშინ ძლიერი მართვა ზმნა-შემასმენელსა და მის პირთა ბრუნვის ურთიერთობაში უნდა აღვნიშნოთ, ხოლო სუსტი — კვლავ ზმნა-შემასმენელსა და უბრალო დამატებებს შორის, მაგრამ ამის საჭიროება ქართულში, ჩვენი აზრით, არ არის, რადგან ძლიერი მართვის ცნება თავისუფლად ეტევა კოორდინაციის ცნებაში, რომელიც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ძალიან მოხდენილად არის მიგნებული, ხოლო სუსტი მართვა ასევე თავისუფლად

წოთავსდება სუბორდინაციის ცნებაში და შექმნის მის ერთ-ერთ სახეობას.

3. 6. გ. § 2. სუბორდინაციულ დონეზე მართვა

სუბორდინაციულ დონეზე მართვის შემთხვევები ძალიან მარტივია. ზმნა-შემასმენელი სახელით გამოხატულ წევრს შეიძლება მართავდეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში როგორც თანდებულოთ, ისე უთანდებულოდ; მაგ.:

დავრწმუნდი	>	გულწრფელობაში,
ამბობენ	>	შენზე,
წასულა	>	დედასთან,
მიიღო	>	ამხანაგისაგან,
წავიდა	>	ცოლითურთ,
მოხნა	>	ტრაქტორით,
დაინიშნა	>	გამგედ და სხვ.

აღნიშნულ შემთხვევებში მართვა ებვს არ იწვევს, რადგან დაქვემდებარებულ წევრს შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი (სახელის) ლექსიკურ-მორფოლოგიური თვისება.

საზოგადოდ, სიტყვათშეხამებებში, რომლებშიც გაბატონებული წევრი ზმნაა, დაქვემდებარებულ წევრებად, როგორც ზემოთაყა აღნიშნული, შეიძლება მოგვევლინოს არსებითი სახელი (უთანდებულო და თანდებულოანი) და ზმნიზედა. ამავე ჯგუფში შედის სიტყვათშეხამებანი, რომელთაც გაბატონებული წევრი ნაზმნარი არსებითი ან ზედსართავი (მასდარი, მიმღეობა) აქვთ, რომელნიც ინარჩუნებენ წინა ვითარების შეხამებას და დამოკიდებულებას უცვლელად (დაქვემდებარებული წევრის ფორმის შეუცვლელად) ინახავენ; მაგალითად, სიტყვათშეხამებაში ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გა დ ა მ ა ქ ც ი ა (ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია; ხალხ.) გვაქვს სემანტიკის მხრივ გარდაქცევითი დამოკიდებულება. ეგვედ დამოკიდებულება უცვლელად რჩება, თუ ზმნა-შემასმენელი ნაზმნარ სახელად (მასდარად ან მიმღეობად) იქცევა: ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გა დ ა მ ა ქ ც ე ვ ა, ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გა დ ა მ ა ქ ც ე უ ლ ი და სხვ. აღსანიშნავია, რომ სინტაქსური დამოკიდებულება (მართვა ბრუნვაში) ფორმის შეუცვლელად ხდება. სხვაგვარი მდგომარეობაა, როდესაც კოორდინაციული რიგის ელემენტი სუბორდინაციულ რიგში ჩამოქვეითდება (ს ა ქ მ ე ს ა კ ე თ ე ბ ს → ს ა ქ მ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა, ს ა ქ მ ი ს გ ა მ კ ე თ ე ბ ე ლ ი და სხვ.). ამ შემთხვევაში იცვლება დამოკიდებულების ფორმა, თუმცა სიტყვათშეხამება ინარჩუნებს (ლოგიკურ-სემანტიკურად) ადრინდელ შინაარსს.

სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზმნაა, ზოგადად ორგვარ სემანტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავენ: დამატებითს (ობიექტურსა) და გარემოებითს (ადვერბიალურს). პირველი გვაქვს მაშინ, როდესაც ზმნას ეხამება არსებითი სახელი ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახელი, ხოლო მეორე — მაშინ, როდესაც ეხამება ზმნიზედები ან მათი მნიშვნელობით გამოყენებული (სინონიმური პარალელი) თანდებულებანი ან უთანდებულო სახელი (უკანასკნელი ან გაზმნიზედებულია, ან გაზმნიზედების გზას ადგას).

3. 6. გ. § 4. შინაგანი და შუალობითი მართვის საკითხი

მართვის შესახებ მსჯელობა სრული არ იქნება, თუ არ განვიხილეთ ე. წ. შინაგანი მართვა. როგორც ცნობილია, თანდებულები სახელისაგან მოითხოვენ გარკვეული ბრუნვის ფორმას. თანდებულთა ეს თვისება მომდინარეობს უძველესი დროიდან, როდესაც ისინი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები იყვნენ (ზოგადად თანდებულთა წარმოების გზა ასე ივარაუდება: სახელი → ზმნიზედა → თანდებული); რასაკვირველია, სახელებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს, ერთი მხრივ, სანამ თანდებულად იქცეოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ბრუნვის ფორმებთან ურთიერთობის შედეგად (ნიმუშისათვის: — ით+გან → იდგან → იდან).

შენიშნულია თანდებულთა სიმცირე ქართულში, რადგანაც „ზმნის მიმართებითი ფორმები საზოგადოდ და კერძოდ ქცევის ფორმები, აგრეთვე ბრუნვის ფორმათა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი ზუსტად გამოვხატოთ უთანდებულოდაც“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 619). შენიშნულია ისიც, რომ ქართველურ ენათაგან ქართული უფრო მდიდრია თანდებულებით, ვიდრე ზანური და სვანური (არნ. ჩიქობავა. ქანურის გრამატიკული ანალიზი. გვ. 65).

თანდებულთა ნაწილი ერთი ბრუნვის ფორმას მოითხოვს ხელისაგან, ნაწილი (უფრო მცირე) — ორს, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი თანდებული (-ვით) ბრუნვის ფორმას მოითხოვს (სახელობითისას — კაც-ი-ვით, მითისას — კაც-სა-ვით და ნათესაობითისას — კაც-ისა-ვით). თანდებულთა ფუნქციის ცვალებადობა (ფუნქციური დატვირთვის გაძლიერება ან შესუსტება) ახლაც მიმდინარეობს. ეს მოვლენა ადვილი შესამჩნევია როგორც ხელშესახები. სალიტერატურო წყაროების, ისე დიალექტების მიხედვით; მაგალითად, თითქმის ჩვენს თვალწინ იკარგება ურთ თანდებული, ხმარებიდან უკვე გასულია თ ვნიერ, წიად, წილ, დამ თანდებულები და სხვ.

თანდებული სხვა მხლებლებისაგან, მაგალითად ნაწილაკისაგან, ამით განსხვავდება, რომ მისი დართვა სიტყვას ფუნქციას უცვლის.

შენიშვნა: სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია აგრეთვე თანდებულის სემანტიკურად მადიფერენცირებელი როლი, კერძოდ, „წინაშე“, „ზედა“ და „თანა“ თანდებულთა მიერ სუბიექტის და უსულოთა, აგრეთვე ადამიანთა და არაადამიანთა ქვეკლასების სახელებთან სხვადასხვა ბრუნვის ფორმის გარჩევა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის. სმამ, III, № 2, გვ. 283 და შმდ.).

თანდებულის სახელებში, როგორც აღინიშნა, შინაგანი მართვა, მაგრამ შინაგანი მართვა არ შეიძლება განხილულ იქნეს სინტაქსური დონის მოვლენად, რადგან სინტაქსური მოვლენა მხოლოდ წევრთა (ორგანიზებულ სიტყვათა) შორის ურთიერთობას გულისხმობს, თანდებულის სახელი კი ერთ ფუნქციურ ერთეულად (წინადადების ერთ წევრად) გვევლინება. ამ მხრივ საყურადღებოა ზმნიზედები, რომლებიც, თავიანთი ძირითადი ფუნქციის შესრულების გარდა, ხშირად თანდებულთა როლშიც გვევლინებიან წინ წავიდა — სახლის წინ: უკან მოიხედა — ღობის უკან და ა. შ.). პირველ შემთხვევაში მათ დაკარგული არა აქვთ თავისთავადი მნიშვნელობა და ამიტომ ცალკე წინადადების წევრთა ფუნქცია ეკისრებათ, ხოლო მეორე შემთხვევაში მხლებლის როლს ასრულებენ.

ზოგიერთი ზმნიზედა (თუნდაც ისეთი, რომელშიც სახელის ნიშან-თვისება აშკარად შეინიშნება) უკვე აღარ იხმარება დამოუკიდებლად, თავის მსაზღვრელყოფილის გარეშე, და მასთან ერთად გვაძლევს წინადადების ერთ წევრს, თუმცა იმავე შეხამებრთ სხვა პოზიციაში შეიძლება სახელის თვისება ჰქონდეს შენარჩუნებული.

ეს პროცესი (სრულმნიშვნელოვან სიტყვათა გარდაჭევა დამრიდ), როგორც ვხედავთ, ამჟამადაც გრძელდება: მაგრამ უნდა მნოს, რომ იგი ყოველთვის არაა თანაბარი: ერთ შემთხვევაში ამ შეიძლება შეასრულოს დამხმარე მეტყველების ნაწილის ფუნქცია, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში — შეინარჩუნოს თავისთავადი მნიშვნელობა.

ზემოთ, განვიხილეთ რა სინტაქსური ასიმილაცია, ნიმუშისათვის დავასახელებთ დროს (ქამს). ეს ზმნიზედა („არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში“) აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში სხვა სიტყვებთან შეხამებაში იხმარება: ამ დროს, წასვლის დროს. სინტაქსური დამოკიდებულება მათ შორის შეთანხმება უნდა ყოფილიყო: შდრ. ამ დროს ველოდი (ა. წ.), ქამსა

ზ ა ფ ლ -ის ა-ს ა (შუშ.) და სხვ.: მაგრამ ამჟამად იგი თანდებულადაა ქცეული და სახელისაგან გარკვეულ ბრუნვას (ჩვეულებრივ, ნათესაობითს) მოითხოვს.

იმისათვის, რომ გარკვევს თანდებულისა სახელის სინტაქსური ურთიერთობა თავის გაბტონებულ წევრთან, გასათვალისწინებელია მისი ადგილი წინადადების მოდელში. თანდებულისა სახელები, რომლებიც თავიანთი სინტაქსური ფუნქციით ეკვივალენტურნი არიან ზმნიზედებისა, ისეთსავე ურთიერთობას უნდა ამყარებდნენ თავიანთ გაბტონებულ წევრებთან, როგორსაც ზმნიზედები, ე. ი. მიერთვიან მას, მაგრამ თანდებულისა სახელთა საკმაოდ დიდ ჯგუფს დაკარგული არა აქვს სახელის თვისებები (გ უ ლ წ რ ფ ე ლ ო ბ ა შ ი დავრწმუნდი; ჰ ე ტ რ ე ზ ე მოგახსენებ; ქული ლ უ რ ს მ ა ნ ზ ე დაკიდა და სხვ.). ისინი მართლნი დარჩებიან იმ დრომდე, სანამ სახელის (დამატების) სინტაქსურ ფუნქციას შეასრულებენ და, თუ ეს ფუნქცია დაკარგეს, მაშინვე მიიღებენ ზმნიზედის (გარემოების) სინტაქსურ ფუნქციას და მართლ წევრთა კლასში გადაინაცვლებენ. ამ გზას ადგანან, მაგალითად. რიგი წევრები შემდეგს შეხამებებში: ჯ ი ბ ე შ ი ჩ ა ი ყ ა რ ა; წ ყ ა რ ო ს თ ა ნ ი ჯ დ ა; ტ ო ტ ზ ე ჩ ა მ ო ს ხ დ ნ ე ნ და სხვ., რომლებიც ამჟამად ორგვარ ვითარებას გვიჩვენებენ — გარემოებისასა და უბრალო დამატებისას.

თანდებულისა სახელებთანაა დაკავშირებული აგრეთვე შუალობითი მართვის საკითხი. როდესაც დომინაციის (დაქვემდებარების) კანონებს ვეხებოდით, ჩვენ აღვნიშნეთ უშუალო დაქვემდებარების სახეები; მაგრამ, გარდა უშუალო დაქვემდებარებისა, წინადადების წევრებს შორის შუალობითი დაქვემდებარებაც აღინიშნება. შუალობითი მართვის შესახებ აღნიშნავენ, რომ იგი გვაქვს, ჩვეულებრივ, მაშინ, როცა სინტაქსურ ურთიერთობაში მონაწილეობას იღებს დამხმარე სიტყვა (თანდებული) ან სრულმნიშვნელოვანი სიტყვა (ზმნიზედა) დამხმარე სიტყვის (თანდებულის) მნიშვნელობით და განიხილავენ ჩვეულებრივს თანდებულისა ფორმებს; მაგალითად: კალოებისაკენ მიდიოდნენ, ზმნა სახელს მართავს თანდებულის შემეცობით, ე. ი. მართვა შუალობითიაო. როგორც ვხედავთ, ე. წ. „წინაგანი“ მართვა ქმნის შუალობითი მართვის საფუძველს.

როდესაც წინადადების წევრთა შორის ჯაჭვურ კავშირს ვეხებოდით, ზოგადად აღვნიშნეთ, რომ ყველა წინადადების წევრი უშუალოდ ან სხვა წევრის მეშვეობით უკავშირდება თავის მაორგანიზებელ ცენტრს (შემასმენელს). რიგ შემთხვევაში სხვა წევრის მეშვეობით დაკავშირება შეიძლება უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდეს (იხ. სინტაქსური ასიმილაცია). შუალობითი მართვა თანდებულისა თუ თანდებულად ქცეული ზმნიზედის იმ მდგომარეობის ანა-

რეკლია, როდესაც მათ თავისთავადი მნიშვნელობა შენარჩუნებული
 კჷონდათ: მართლაც, თუ მოვახერხებდით წინა ვითარების რეკონს-
 ტრუქციას, მაშინ აღდგებოდა ის სინტაქსური დამოკიდებულებაც,
 რომელიც მათ შორის არსებობდა.

ეს ვითარება უფრო ნათელია ისეთი თანდებულის გამოყენების
 დროს, რომელსაც რამდენადმე შენარჩუნებული აქვს სახელის სე-
 მანტიკა; მდინარის პირი → მდინარის პირას, ხის ძირი →
 ხის ძირას და სხვ.

საყურადღებოა თანდებულთა ურთიერთობა ზმნისწინებთან:
 მაგალითად, გა(ნ-)ვი და სახლით-(გან) ფორმებში მათი ურ-
 თიერთმიმართება ექვს არ იწვევს. მეტ-ნაკლებად მსგავსი მიმართე-
 ბაა ზმნისწინებსა და თანდებულებს შორის:

ზმნისწინი

თანდებული

შე-	-ში
ჩა-[← შთა ← 'შე + და]	-ში
გადა-[← გარ + და]	-ზე და სხვ.

„ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის.
 ერთიც და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგ-
 რამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას.
 მსგავსება ამით არ ამოიწურება, ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე
 „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის
 გამოყენებული, ზმნასთან კი პრევერბად“ (ა. შანიძე. ქართული
 გრამატიკის საფუძვლები, გვ. 267).

ზმნისწინებისა და თანდებულთა ურთიერთმიმართება უფრო
 ნათლად ჩანს სევანურში:

ქა აჩად ბოგქა — გავიდა ხიდზე.

ქა ანსკინე ყორქა — გამოხტა კარში.

სგაჩად (ისგა აჩად) ლარდათე ისგა — შევიდა ოთახში.

ჩუანჭიდ ლარაჩუ — ჩამოიტანა მინდვრამდე (ჩამოატარა სა-
 თივეზე).

ეი ანჭერნე ქორთეეი და სხვ.

შენი შენა: მიმართულების აღნიშვნა (მოქმედების ლოკა-
 ლიზაცია) ზმნისწინთა ძირითადი (პირველადი) ფუნქციაა; სხვა
 ფუნქციები (სრული ასპექტისა და ახალი მნიშვნელობის წარ-
 მოება მეორეულია. ანალოგიური (ლოკალიზაციის) ფუნქცია
 აქვს თანდებულსაც, რომელიც ყოველთვის (რასაკვირველია,
 მეტ-ნაკლებად) ლოკალურ შინაარსს აძლევს სიტყვას.

როგორც ვხედავთ, მოქმედების ლოკალიზაციის (დროის, ადგი-
 ლის, მიმართულების) მიხედვით ზმნისწინებსა და თანდებულებს

შორის გარკვეული ურთიერთობაა. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილად ითვლება მათი ერთნაირი წარმომავლობა და აღნიშნულია ისიც, რომ ქართულმა ენამ უპირატესობა ზმნისწინებს მისცა, თანდებულთა ხმარება შედარებით მეორეულია. ეს უკანასკნელი გაცილებით ნაკლებად პროდუქტიული იყო ძველ ქართულში, ვიდრე ახალში, რადგანაც ძველი ქართულის ბრუნვები თანდებულთა გარეშეც გადმოგვცემდნენ ლოკალიზების (დროისა თუ ადგილისას) შინაარსს; მაგალითად, ძველი ქართულის გამოსვლითი მოქმედებითი (ქ ა ლ ა ქ ი თ განვიდეს) ჩვენს თვალწინ იქცა თანდებულიან ფორმად (ქალაქ-იდან [← ით + გან] გავიდნენ) და სხვ.

ჩვენ მოკლედ შევეხეთ შუალობითი მართვის თავისებურებებს (მის დასახასიათებლად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია), მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: მივიჩნით თუ არა ე. წ. შუალობითი მართვა სინტაქსურ მოვლენად, ჩავთვალოთ თუ არა იგი თანამედროვე ქართული წინადადების მათორგანიზებელ მოვლენად?

საკითხის გადაწყვეტის ალტერნატივა ასეთია: ან უნდა მოხდეს იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ზმნა მართავს (ან თუნდაც მიირთავს) თანდებულს, მოითხოვს გარკვეულ თანდებულთა გამოყენებას, ხოლო თანდებულები თავიანთ მხრივ მართავენ სახელებს გარკვეულ ბრუნვაში, ან უნდა ვალიაროთ, რომ თანდებულიან სახელებში შუალობითი მართვა არა გვაქვს, უფრო ზუსტად, შუალობითი მართვა არ არის სინტაქსური (წევრთა შორის ურთიერთობით გამოწვეული) მოვლენა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერ ერთი, შუალობითი მართვა დაკავშირებულია შინაგანი მართვის საკითხთან და რამდენადაც იგი ერთ სინტაქსურ (ისიც პერიფერიულ) ერთეულს გვაძლევს, სინტაქსურ მოვლენად არ ჩაითვლება; მეორე, ზმნის მიერ თანდებულის შერჩევა არა მორფოლოგიური, არამედ ლექსიკური ნივლენაა. სინტაქსური მოვლენა ითვალისწინებს ლექსიკურ თავისებურებებს და ლექსიკურ შენაცვლებასაც კი, თუკი იგი რაიმე გრამატიკულ ოპერაციას იწვევს, მაგრამ მხოლოდ ლექსიკური შეხამება ვერ დაედება საფუძვლად სინტაქსურ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ჩვენ წინ წამოვწიეთ ისეთი ნიმუშები, სადაც ეს მოვლენა (შუალობითი მართვა) შედარებით ნათლად ჩანს, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც თანდებულთა ხმარება ამა თუ იმ ზმნასთან დამოუკიდებლად ედება; მაგალითად:

გავიდა — {
 ოთახ-ში
 ხიდ-ზე
 დედას-თან
 ჩემ-გან და ა. შ.

ამრიგად, ე. წ. შუალობითი მართვა შინაგანი მართვის საფუძველზეა დადგენილი, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შემორჩენილ წინა ვითარებას გვიჩვენებს. ისევე როგორც შინაგანი მართვა, შუალობითი მართვაც არ არის წვერთა შორის და-ნოკიდებულება და ამდენად სინტაქსურ მოვლენასაც არ წარმოადგენს.

3. 6. დ. მირთვა

მ ი რ თ ვ ა ჰქვია ისეთ დაქვემდებარებას, როდესაც სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარებული წევრი თავისი გაბატონებულის მოთხოვნას მხოლოდ ლექსიკურად (გრამატიკული უუნარობის გამო უფორმოდ) აკმაყოფილებს.

მირთვა, ჩვეულებრივ, ზმნიზედათა თვისებაა. იგი, საზოგადოდ, ყველგან არის დასაშვები, სადაც ან საერთოდ, ან კონკრეტულ შემთხვევაში (როგორცაა, მაგალითად, ბრუნვის „გაქვავებული ფორმები“) არ მოგვეპოვება ფლექსიურად ცვალებადი სიტყვა; ამის გამო მირთული პოზიციურად ახლოსაა თავის გაბატონებულ წევრთან, რადგან იქმნება საფრთხე სხვა წევრთან მისი დაკავშირებისა. იგი ისეთი დამოკიდებულებაა, რომლის პროცესში სიტყვებს, განურჩევლად მათი კერძო ლექსიკურ-მორფოლოგიური თვისებებებისა, შეუძლიათ გარკვეული ლოგიკურ-სემანტიკური ურთიერთობის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მირთვა მეტყველებაში ძალიან გავრცელებული მოვლენაა, იგი შეიძლება არც კი ჩათვლილიყო სინტაქსური დამოკიდებულების სახედ, რადგან მისი საფუძველი მხოლოდ ლექსიკური შეხამებულობაა; მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მირთვა, ერთი მხრივ, სიტყვათშეხამებაში თავისი ნულოვანი ფორმით უპირისპირდება ფორმობრივ დაქვემდებარებას (შეთანხმებასა და მართვას), ხოლო, მეორე მხრივ, იგი „შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან. მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შემოგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა. გვ. 155). მართვის შესუსტების პროცესი ამჟამადაც გრძელდება; ასეთია, მაგალითად, ისეთი თანდებულებიანი სახელებით გამოხატულ წვერთა ურთიერთობა თავიანთ გაბატონებულ

წევრებთან, რომლებიც გარემოებითს დამოკიდებულებას ქმნიან, მაგრამ სახელებთან კავშირი სულ არა აქვთ გაწყვეტილი (უკრაინა).
ქვეს. თაროზე აწყვია; სა და? თუ რა ში? ან რა ზე? და სხვ.).

შეთანხმებისა და მართვისაგან განსხვავებით, მირთვა მხოლოდ სუბორდინაციის ფორმაა. იგი კოორდინაციაში არ იღებს მონაწილეობას, რადგანაც არ შესწევს ზმნა-შემასმენელზე ზემოქმედების ძალა. ჩვეულებრივ, მირთულ წევრთა ადგილი დაქვემდებარებაში მკაცრად განსაზღვრულია: იგი შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ზმნით ან ნაზმნარი სახელებით (საწყისითა და მიმლეობებით) გამოხატული გაბატონებულ წევრებთან. ამათგან პირველი ძირითადია, მეორე — ზმნის გარდაქცევის შედეგად წინა ვითარებიდან არის გადმოყოლილი. აღნიშნულ გაბატონებულ წევრებს მიერთვის ისეთი სიტყვები, რომელთაც დამოუკიდებელი (თავისთავადი) მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ფორმაცვალების უნარს მოკლებულნი არიან. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, ზმნიზედები (როგორც ე. წ. ოდინდელი, ისე წარმოქმნილი); აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილები, რომლებიც თავიანთი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით (გარემოებითა შინაარსითა და ფორმალუცვლელობით) ზმნიზედათა ვითარებას გვიჩვენებენ; მაგ.:

სოფელს შუაზედ ნაკადული ჩამოუდის (ვ. ბარნ.).

ზაფხულში კოდა ხილით ივსება (ვ. ბარნ.).

სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გაიოზი უფრო მალე მოეწყო, ვიდრე მოელოდა (ნ. ლორთქ.) და სხვ.

მართალია, მირთულ სიტყვებს ძალიან სუსტი კავშირი აქვთ წამყვან წევრებთან, იმდენად სუსტი, რომ მათზე სიტყვათვანაღებაც კი მოქმედებს, მაგრამ მათ შეუძლიათ სხვა წევრთა დაქვემდებარება (შეთანხმება ან მართვა) იმისდა მიხედვით, თუ რა ლექსიკურ-მორფოლოგიური ძალა აქვთ შერჩენილი წინა ვითარებიდან.

ზოგიერთ ზმნიზედას იმდენად დაკარგული აქვს სახელის თვისებები, რომ ძნელია მათი აღდგენა. ასეთია ე. წ. ოდინდელი ზმნიზედები (აქ. იქ და სხვ.). როგორც წესი, ოდინდელი და ნაცვალ-სახელური ზმნიზედები ნულოვანი ვალენტობისაა, მათ არა აქვთ სხვა სიტყვების დაქვემდებარების უნარი; მაგრამ რიგ ზმნიზედებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ სახელის ლექსიკურ-მორფოლოგიური ელფერი და შესაბამისად — სხვა სიტყვების ვალენტობის უნარი; მაგ.:

სამ წელს ძებნე იგი მოყმე! (ვტ); მეორე დღეს დაბრუნდნენ (ი. ჭ.) და სხვ.

„მირთული სიტყვა, ფორმიანი იქნება იგი თუ უფორმო, იქნება გარემოება. შეიძლება განვასხვაოთ გარემოებათა ორი სახე: გა-

რემოება ფორმიან სიტყვით გადმოცემული (წინდებულიანი სახელე-
 ბი), გარემოება — უფორმო სიტყვით გადმოცემული“ (არნ. ჩი-
 ქობავაძე. მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 155; ხაზგასმით ავ-
 ტორისაა. — ა. დ.). ამის შესაბამისად ზმნიზედათა როლს (გარემოე-
 ბის ფუნქციას) თანდებულიანი სახელებიც ასრულებენ (ზმნიზედა-
 თა წყებისა). აქ, შეიმჩნევა გარკვეული თავისებურება: ადგილის
 (ტერიტორიული ლოკალიზაციის) შინაარსის მქონე სახელებზე გარ-
 კვეულ თანდებულთა (მაგ.-ზე.-ში,-თან,-გან (→ იდან) და სხვ.)
 დართვა მათ ადგილის ზმნიზედათა შინაარსსა და ფუნქციას ანიჭებს.
 ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს დროის შინაარსის აღმნიშვნელ
 სახელებშიც — ისინი უკვე დროის ზმნიზედათა წყებაში დგებიან
 (შეიძლება ეს მოვლენა უთანდებულოდაც მოხდეს). ამ ტიპის „ზმნი-
 ზედებს“ ყველაზე მეტად აქვთ შენარჩუნებული სახელის თვისებე-
 ბი, რადგან ისინი ზმნიზედათა ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ გარ-
 კვეულ გარემოცვაში (პოზიციისაში), ხოლო სხვა შემთხვევებში თავიანთი ძირითადი ფუნქცია აქვთ შენარჩუნებული (რასაკვირველია,
 სინტაქსური კავშირიც ამ ფუნქციის შესაბამისი აქვთ).

3. 6. მ. სინტაქსური დაქვემდებარების სახეთა კომბინაცია

როდესაც სინტაქსური დაქვემდებარების წესებს ვეხებოდით, აღვნიშნეთ, რომ დაქვემდებარება შეიძლება მოხდეს ერთი კატეგორიის მიხედვით, მაგრამ საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ორ სინტაქსურ ელემენტს (დომინაციის წევრებს) შორის ერთდროულად ერთზე მეტი კავშირი გვაქვს. ეს სინტაქსური მიმართება შეიძლება ერთნაირი (შეთანხმება) ან სხვადასხვაგვარი (მართვა და შეთანხმება) იყოს. ასეთ ურთიერთობას ვუწოდებთ კომბინირებულ დაქვემდებარებას, რომლის საუკეთესო ნიმუშია კოორდინაცია (მართვა-შეთანხმება).

კოორდინაციულ სიტყვათშეხამებაში კოლმეურნეებმა აიღეს გვაქვს ერთი მართვა და ორი შეთანხმება, მაგრამ სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. ამ სიტყვათშეხამებაში კოორდინაციული ურთიერთობა გვაქვს: ზმნით რეალიზებული ელემენტი მოდელი-სა ბრუნვაში მართავს სახელით რეალიზებულს, ხოლო თვით შეთანხმებულია პირსა და რიცხვში.

სინტაქსური დაქვემდებარების სახეთა კომბინაცია შეიძლება არა მარტო კოორდინაციისას, არამედ სუბორდინაციისასაც შეგვხვდეს. სუბორდინაციულ რიგშიც კომბინაცია ერთი და იმავე სახისაა — შეთანხმება, მაგრამ აუცილებლად სხვადასხვა კატეგორიის მი-

ხედვით (ჩვეულებრივ, ბრუნვასა და რიცხვში): მთა-ნ-ი მალა-ნ-ი, იმა-ნ-ო ჩემ-ნ-ო, სახლ-ებ-ს მალ-ებ-ს და სხვ.

კორდინაციულ და სუბორდინაციულ კომბინაციას შორის ის ძირითადი განსხვავება, რომ კორდინაციული წინადადების მოდელს ქმნის, ხოლო სუბორდინაციული აძლიერებს ურთიერთობას სიტყვათშეხამების წევრებს შორის. თუ წევრებს შორის დამოკიდებულების სახეთა კომბინაცია არ გვექნება, ეს წინადადების მოდელს არ დაარღვევს (ასეთია წინადადების ყველა მოდელი, სადაც ქვემდებარე ან დამატება თავისი ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების გამო ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს ან, თუ აწარმოებს, კვლავ ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების გამო ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში); მაგრამ კოორდინაციის დარღვევა შლის წინადადების მოდელს.

თავის მხრივ კომბინაციას (უფრო ზუსტად, კომბინირებულად დაქვემდებარებულ წევრებს) ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კორდინირებულ ერთეულთა ერთურთისაგან განსასხვავებლად.

წინადადების სტრუქტურულ ელემენტთა ხვედრითი წონა წინადადების მოდელში სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რამდენად უფრო ძლიერი კავშირი აქვთ მათ ძირითად კოორდინატთან (შემასმენელთან). ამის მიხედვით შესაძლებელია, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, დიდ კოორდინატად მოგვევლინოს ხან ზმნის სუბიექტი, ხან ობიექტი (არნ. ჩიქობავა. რით არის წარმოდგენილი მრავლობითობის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, გვ. 107-119).

ძველ ქართულში ქვემდებარის მონაცვლედ (დიდ კოორდინატად) კოორდინაციაში უპირატესად გვევლინებოდა პირდაპირი დანატება, რადგანაც ზმნის პირდაპირ ობიექტს (სახელობითის მორფოლოგიურ ობიექტს) ჰქონდა უნარი ზმნაში რიცხვის ფორმანტის გაჩენისა (გატეხა მან იგი — გატეხ-ნ-ა მან იგინი; უჩვენა საქმე, უჩვენ-ნ-ა საქმე-ნ-ი და სხვ.). თანამედროვე ქართულში სახელობითის ობიექტის მრავლობითობის ეწინააღმდეგეთა მიცემითის ობიექტის-თ უპირისპირდება არნ. ჩიქობავა. მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. იკე, I, გვ. 93).

რიცხვის აღნიშვნის მორფოლოგიურმა შეცვლამ გამოიწვია სინტაქსურ ერთეულთა როლის შენაცვლება.

8. 7. სიტყვათა შეკავშირება

(თანადაქვემდებარებითი მიმართება)

გარდა დაქვემდებარებისა, რომელიც წინადადების სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს, წინადადებაში შეიძლება ერთმანეთს

დაუკავშირდეს „თანასწორუფლებიანი“ სიტყვები. თანასწორუფლე-
ბიანობა მათს სემანტიკურ-გრამატიკულ ერთგვარობაში გამოიხატა-
ტება; მაგ.:

ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა,
ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატო-
ვებს (ი. ჯ.).

ამ წინადადებაში ხაზგასმულ ერთეულებს შორის არაა დაქვემ-
დებარება; ერთი სიტყვა მეორეზე არაა დამოკიდებული, ისინი
სიტყვათშეხამებებს ვერ ქმნიან. როგორც წესი, ასეთი სიტყვები
ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ, ე. ი. მათ შორის
სემანტიკურ-გრამატიკული იგივეობაა, მაგრამ იმავე დროს აუცილე-
ბელია ლექსიკური სხვაობა.

იშვიათ შემთხვევაში სიტყვათა შეკავშირების წესით შეიძლება
ერთერთს დაუკავშირდნენ სემანტიკურად განსხვავებული ერთეუ-
ლები, მაგრამ აუცილებლად ერთი ფუნქციური წყებიდან, როგორი-
ცაა, მაგალითად, არაერთგვარი გარემოებანი (მარად და ყველ-
გან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა; ი. ჯ.), არაერთგვარი განსაზღვ-
რებანი (ლამაზი, თექვესმეტიწლის ქალი) ან ფუნქცი-
ურად ერთერთისაგან განსხვავებული წევრები: ქვემდებარე და გა-
რემოება (რამ და როდის შეგაწუხათ?), გარემოება და დამატე-
ზანი (არასოდეს და არავისათვის არ მიმიყენებია ზიანი)
და სხვ. (ლ. კვაჭაძე. არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წი-
ნადადება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართუ-
ლი ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია.
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1963, გვ. 18—19).

განსაკუთრებით ხშირია არაერთგვარ წევრთა შეხამება, როდეს-
საც ისინი უარყოფითი ფორმით არიან წარმოდგენილნი (არავინ და
არასოდეს, არაფერმა და არსად და სხვ.).

გარდა იმისა, რომ ასეთი შემთხვევები არაპროდუქტიულია,
სიტყვათა შეკავშირებას არაერთგვარ წევრებში, ფუნქციური თუ
არა, სემანტიკური სიახლოვე მაინც ახასიათებს. გარდა იმისა, რომ
ისინი ხშირად ერთი ფუნქციური წყების ერთეულებია (გარემოება-
ნი), სემანტიკური ერთიანობა ჩანს აგრეთვე მათს ზოგადობაში (ნაც-
ვალსახელებისა და ნაცვალსახელური ზმნიზედების შეკავშირება),
უარყოფითობასა და სხვ.


სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია სიტყვათა შეკავში-
რების გარკვეული ფუნქცია, როდესაც მის საფუძველზე შედგენი-
ლი სიტყვათა ჯგუფი (ჩვეულებრივ, ორი სიტყვა) ერთ ცნებას
ქმნის (დედა და მამა||შვილები, день и ночь||сутки, წინ
და უკან||წინ და უკან და სხვ.), მაგრამ ასეთ შემთხვევებში



სიტყვათა შეკავშირება გამოდის სინტაქსის ფარგლებიდან, იგი ლექსიკური (სიტყვათწარმომქმნელი) საშუალებაა.

სიტყვათა შეკავშირება (არადაქვემდებარებითი კავშირი, სიტყვათა არადომინაციური დაკავშირება) არ არის განმსაზღვრელი მარტივი წინადადების სტრუქტურისათვის. ამ, სიტყვათა შეკავშირების წესით შექმნილი, ტიპის წინადადებებს, ჩვეულებრივ, მარტივისაგან ვამოყოფენ ხოლმე (შერწყმული წინადადების სახელწოდებით). სიტყვათა აღნიშნული შეკავშირება წარმოადგენს ანარეკლს სხვა (დომინაციური) კავშირისა. მართლაცადა, თუკი რაიმე კავშირი არსებობს ამ სიტყვებს შორის, ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ისინი მიემართებიან ერთ სხვა წევრს, რომელთანაც აუცილებლად დაქვემდებარებულნი არიან; მაგ.:


დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ: იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ (ვტ).



აღნიშნულ ზმნა-შემასმენლებს შორის არავითარი კავშირი არაა, გარდა იმისა, რომ ისინი სიტყვათა (საერთოდ და ორგანიზებულ სიტყვათა) ერთ კლასს განეკუთვნებიან და, თუ რაიმე კავშირია მათ შორის, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ისინი თანაბრად დაქვემდებარებულნი („ერთ ბედში“) არიან ერთ გაბატონებულ წევრთან (დიდვაჭარნი) და მისი შუალობით ამყარებენ კავშირს ერთერთთანაც.

ანალოგიური მდგომარეობაა, როდესაც სუბორდინაციული რიგის ელემენტები ექვემდებარებიან ერთ სხვა წევრს; მაგ.:

დილიდამ სალამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა დატვირთული გურულები (ვ. ნინ.).



ერთგვარი წევრები ხშირად ერთნაირი ფორმით არიან წარმოდგენილნი და ერთნაირად ასახავენ საზიარო გაბატონებული წევრის ვალენტობას; მაგ.:

ანათებს მთას, ხევს, მდინარეს...

განათა მთა, ხევი, მდინარე...

ამ წევრების ფორმათა ერთნაირობა, ერთი შეხედვით, შეთანხმებას ჰკავს, მაგრამ ამგვარი მიმართება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ. რადგანაც შეთანხმება დაქვემდებარების ფორმაა, იგი დასაშვებია მხოლოდ გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრებს შორის, ხოლო სიტყვათა შეკავშირება არადაქვემდებარებითი მიმართებაა.

დაქვემდებარებისაგან სიტყვათა შეკავშირების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მისი არაბინარულობა. თუ დაქვემდებარებაში მონაწილეობს აუცილებლად და მხოლოდ ორი წევრი, სიტყვათშეკავშირების გზით შექმნილი ერთეულების წევრთა რაოდენობა განუსაზღვრელია (რასაკვირველია, თეორიულად: პრაქტიკულად მას ზღუდავს, ერთი მხრივ, მთქმელის მიზანდასახულობა — აქტუალიზება, ხოლო, მეორე მხრივ, სემანტიკური არე, რომლის მიხედვითაც შეიძლება ლექსიკურ ერთეულთა ერთერთთან დაკავშირება — ერთი ნიშნის მიხედვით განსაზღვრა, მოქმედ თუ სამოქმედო სიგანთა აღმნიშვნელი ერთეულების შეხამება გაბატონებული წევრის ვალენტობის შესაბამისად); მაგ.:

ბაღში ხარობს ვაშლი და მსხალი (+ ატამი, + ლეღვი, + კომში, + ბროწეული, + გარგარი, + ჰერამი, + ...).

სიტყვათა შეკავშირება დაქვემდებარებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ წინადადებაში შესაბამისი ელემენტების გადახაცვლება არ იწვევს აზრის დაზიანებას, მაშინ როდესაც დაქვემდებარების დროს ამგვარი ოპერაცია ან ცვლის გამონათქვამის შინაარსს, ან აზიანებს მას, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა.

ნიმუშები: ს ი ტ ყ ვ ა თ ა შე კ ა ვ შ ი რ ე ბ ა

ღედა და შვილი დიდხანს საუბრობდნენ = შვილი და ღედა დიდხანს საუბრობდნენ.

და ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა

ძმის ამხანაგი მეწვია \neq ამხანაგის ძმა მეწვია.

ქარის წისქვილი \neq [**წისქვილის ქარი] და სხვ.

ამრიგად, სიტყვათა შეკავშირება არ არის ძირითადი სინტაქსური მოვლენა. იგი პარალელური დაქვემდებარების სახეა, რომელიც შეიძლება თანადაქვემდებარების ან პარალელური დაქვემდებარების ტერმინით აღინიშნოს.

სიტყვათა შეკავშირება, როგორც წესი, შერწყმული წინადადების მოდელში გვხვდება.

სიტყვათა შეკავშირების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მის ელემენტთა სინტაქსურ სუბსტიტუციურობას მიიჩნევენ, მართლაც რიგ შემთხვევაში სიტყვათა შეკავშირების გამო გაერთიანე-

ბული ელემენტები ერთნაირ მიმართებას ამყარებენ გაბატონებულ წევრთან; მაგ.:

კაშხალი და ხიდი		კაშხალი აშენდა
აშენდა		ხიდი აშენდა
სექცია ხვალ და ზეგ		ხვალ იმუშავენს
იმუშავენს		ზეგ იმუშავენს და სხვ.

მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვათა შეკავშირების გზით გაერთიანებული წევრები ხშირად სემანტიკურად უახლოვდებიან ერთმანეთს და წინადადების სტრუქტურაში მონაწილეობენ, როგორც მთლიანი ერთეულები. ამ შემთხვევაში სუბსტიტუციურობა გაძნელებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვათა შეკავშირება შეიძლება კოორდინაციული რიგისაც იყოს და სუბორდინაციულისაც, ე. ი. თანაკოორდინაციის ან თანასუბორდინაციის სახე ჰქონდეს. თანასუბორდინაციის შემთხვევაში სიტყვათა შეკავშირების წესით დაქვემდებარებული ერთეულები ემორჩილებიან სუბსტიტუციურობის კანონს; შდრ.:

წითელი, შავი და ყავისფერი ფეხსაცმელი	}	წითელი ფეხსაცმელი
		ყვითელი ფეხსაცმელი
		ყავისფერი ფეხსაცმელი

თანაკოორდინაციის დროს სიტყვათა შეკავშირების გზით შექმნილი სინტაქსური ერთეული გარკვეულ მიმართებას ქმნის გაბატონებულ წევრთან; მაგ.:

დედა მიდის + შვილი მიდის → დედა და შვილი მიდიან.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი შემთხვევები:

1) რამდენიმე სუბსტანტიურ ერთეულს (ჩვეულებრივ, ქვემდებარეს) ზმნა-შემასმენელი ეხამება, როგორც ერთ მორფოლოგიურ ერთეულს და სუბსტანტიურ ერთეულთა ქვეკლასის ნიშან-თვისებათა შესაბამისად (ვგულისხმობთ სულიერთა და უსულოთა ქვეკლასებს) ეთანხმება (ან არ ეთანხმება) რიცხვში, შდრ. მამა და შვილი საუბრობენ — მთა და ბარი შეიძრა.

2) რამდენიმე ზმნა-შემასმენლის შეხამებისას დაქვემდ. სუბსტანტიური ერთეული (ქვემდებარე), ითვალისწინებს მხოლოდ უშუალო მეზობელ გაბატონებულ ზმნა-შემასმენელს; შდრ.: ბავშვი წამოხტა და დაიძახა — ბავშვმა დაიძახა და წამოხტა.

სიტყვათა შეკავშირების თავისებურ სახედ შეიძლება ჩაითვალოს განმეორება (სინტაქსური რედუბლიკაცია). იგი უნდა განვსახვათ ლექსიკური რედუბლიკაციისაგან (მაღალ-მაღალი, შავ-შავი...), რომელიც მორფოლოგიური ფორმის ფუნქციას ასრულებს (მორფემის ეკვივალენტია).

სინტაქსური რედუბლიკაციის წარმოშობის გზა, ჩვეულებრივ, რთული წინადადების ერთ-ერთი კომპონენტის „შეკუმშვაა“, რაც არც შერწყმულ წინადადებაშია გამორიცხული. იგი მეტყველებაში სპეციფიკური აქტუალიზებით არის განპირობებული. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იგი კითხვით წინადადებაში, როგორც ჩაკითხვის ფორმა (იხ. 5. 2. ბ.).

3. 8. ფარდობა (ფარდობითი კავშირი)

სიტყვათა მიმართების თავისებური სახეა ფარდობა (შეფარდება). დაქვემდებარებისაგან იგი არსებითად განსხვავდება იმით, რომ უშუალო ფორმობრივ დამოკიდებულებას კი არ ქმნის წინადადების სტრუქტურულ ელემენტებთან, არამედ ლოგიკურად და გრამატიკულად ეფარდება რომელსამე წევრს, წარმოადგენს წინადადების სტრუქტურული ერთეულის ეკვივალენტს კონკრეტულ წინადადებაში. სინტაქსური მიმართების ეს სახე რამდენადმე უგულებელყოფილი იყო, რის გამოც რიგი სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ წინადადებით გამოხატულ აზრთან და მეტ-ნაკლებად გრამატიკულადაც არიან დაკავშირებულნი წინადადების სტრუქტურასთან, წინადადების გარეშე რჩებოდა.

ფარდობა (ფარდობითი მიმართება) ეწოდება ისეთ სინტაქსურ კავშირს, როდესაც წინადადების სტრუქტურის გარეთ მყოფი ერთეული სემანტიკურადაც, ლოგიკურადაც და გრამატიკულადაც წარმოადგენს წინადადების სტრუქტურული ელემენტის ეკვივალენტს (კონკრეტულ შემთხვევაში) და „საჭიროებისას“ შეუძლია მისი სინტაქსური როლის შესრულება.

მაშასადამე, ფარდობითი კავშირით დაქვემდებარებული ერთეულისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. სემანტიკური ეკვივალენტობა,
2. ლოგიკური შესაბამისობა,
3. გრამატიკული შესაბამისობა.

სამივე ეს ნიშანი აუცილებელია ფარდობითი მიმართებისათვის. თუმცა წინადადების სტრუქტურასთან ფარდობით დაკავშირებულ ერთეულთა მიმართებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მესამეს — გრამატიკულს — აქვს.

წინადადების სტრუქტურის გარეთ მყოფი ერთეულებისათვის ტრადიციულად დადგენილია ორი ჯგუფი: 1) წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები, 2) წინადადების განკერძოებული წევრები, რომელთაც ერთ საერთო (განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათა) ცნებაში ათავსებენ. განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ სხვადასხვა რიგის ერთეულებს: განკერძოებულ განსაზღვრებას, განკერძოებულ გარემოებათ, დანართს, მიმართვას, შორისდებულებს, მიგებითს ნაწილაკებსა და სხვ., საფუძვლად იღებენ რა ერთ საერთო ნიშანს, რომ ისინი სტრუქტურის გარეთ არიან; მაგრამ ეს არ არის ძირითადი ნიშანი, რადგან ერთსა და იმავე ჯგუფში თავს იყრის კარდინალურად განსხვავებული ერთეულები, როგორცაა, მაგალითად ერთი მხრივ, განკერძოებული გარემოება (წინადადების სტრუქტურული ერთეულის — გარემოების — ეკვივალენტი), ხოლო მეორე მხრივ, მიგებითი ნაწილაკი (მთლიანად წინადადების „ეკვივალენტი“) და სხვა, რომლებიც სხვადასხვაგვარად მიემართებიან წინადადებას.

გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ე. წ. განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათა კონკრეტული დიფერენციაცია იმ კავშირის საფუძველზე, რომელსაც ისინი წინადადების სტრუქტურასთან ან, საერთოდ, წინადადებასთან ამყარებენ. ერთ-ერთ ასეთ მაღიფერენცირებელ საშუალებად ფარდობითი მიმართება გვევლინება.

ე. წ. განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიდან ზემოთ აღნიშნული ნიშნების მიხედვით წინადადების სტრუქტურულ ელემენტებთან ფარდობითს მიმართებას ამყარებენ:

1. წინადადების დანართი წევრები (საკუთრივ დანართი, განკერძოებული გარემოებანი);

2. ერთგვარი წევრები შერწყმულ წინადადებაში ე. წ. „განმარტვადებული“ სიტყვის შემდეგ;

3. რიგი დამოკიდებული წინადადებანი მისათითებელ სიტყვებთან (კორელატებთან).

აღნიშნული წევრების სემანტიკური ეკვივალენტობა წინადადების წევრის მიმართ ექვს არც ტრადიციულ გრამატიკაში (მათ შორის სასკოლო გრამატიკაშიც) იწვევს. დანართისათვის ძირითად ნიშანად აღიარებულია სემანტიკური იგივეობა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სასკოლო გრამატიკაში განხილულია დანართის მხოლოდ ის სახეობა, რომელიც სახელით გამოხატულ წევრს ახლავს, თუმცა დანართი წევრის ცნება გაცილებით უფრო ფართოა. დანართი წევრი შეიძლება ახლდეს არა მარტო სახელით გამოხატულ წინადადების წევრს (დედ-მამა, ანუ მშობლები...), არამედ სხვა წევრებსაც.

მათ შორის ზმნით გამოხატულს (გარდაიცვალა, ანუ მოკვდა...) და ზმნიზედით გამოხატულსაც (იქ, იმ მყუდრო სავანეში...).

ამრიგად, დანართისათვის დამახასიათებელია სემანტიკურ-გრამატიკული იგივეობა. იგი, ჩვეულებრივ, მოსდევს დასაზუსტებელ წევრს, თუმცა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება წინ უძლოდეს მას. დანართისათვის დამახასიათებელია აპოზიციური მიმართება — გრამატიკული სუბსტიტუციურობა მისამართ წევრთან: ფორთოხალი, ანუ ნარინჯი, შავი ზღვის სანაპიროზე კარგად ხარობს; ნარინჯი, ანუ ფორთოხალი, შავი ზღვის სანაპიროზე კარგად ხარობს (ხაზგასმულია დანართი). ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების სტრუქტურასთან მისი კავშირის დასადგენად. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში (როცა მისამართი წევრი არ არის) დანართი ასრულებს მის მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ ამ თვისებას იჩენს არა მარტო აბსოლუტური სინონიმური მნიშვნელობის, სემანტიკურად იგივე (დედ-მამა, ანუ მშობლები... ტიპისა, არამედ მიახლოებითი მნიშვნელობის დანართებიც (წიწვიანი ქიშის ხე, სახელდობრ სოჭი, ... ტიპისა).

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ დანართის სუბსტიტუცია მისამართ წევრთან სტილის თვალსაზრისით ყოველთვის ვერ ხერხდება. ეს განსაკუთრებით ეხება საკმაოდ დაცილებული სემანტიკური მნიშვნელობის დანართებს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკავშირებელი საშუალება; მაგალითად, მე, როგორც კაცი... ამ შემთხვევაში გადანაცვლება არ ცვლის ფუნქციას: როგორც კაცი, მე... ან როგორც კაცი მე... მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა. არსებითად დანართისათვის (ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი დანართისათვის) სუბსტიტუციურობაა დამახასიათებელი.

სემანტიკური იგივეობა, რომელიც წინადადების დანართ წევრს მიეწერება, უპირატესად რამდენადმე მიახლოებითია, ვიდრე — აბსოლუტური. დანართსა და მისამართ წევრს შორის ყოველთვის არის სხვაობა ცნებათა მოცულობის მიხედვით. ამ მხრივ შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოიყოს ნაცვალსახელთა და ე. წ. ოდინდელ ზმნიზედათა დანართები, რომელთა არსებითი ნიშანია დაზუსტება, ზოგადი სემანტიკის კონკრეტიზაცია; მაგ., ნაცვალსახელი, როგორც სახელის ეკვივალენტი, მოითხოვს თავისი მნიშვნელობის დაკონკრეტებას; მაგ.:

დავლუპე ცხვარი მე (,) მამის ურჩმა (ი. ჯ.).

(ჩვენ,) მოსვენებით მძინარეთ (,) საქმელად დავგეპირება (ვაყა) და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა ზმნიხედათა თანმხლებ დანართებშიც.
მაგ.,

აქ, დიდ გზაზე, დატვირთულ ზესადგრებს სხვა მატარებლებს მიუბამდნენ (გ. წ.).

საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც დანართის სუბსტიტუციურობა ძალაში რჩება. დანართ გარემოებათა გადასვლა წინადადების სტრუქტურაში არ იწვევს რაიმე ცვლილებას, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს, როდესაც I ან II პირის ნაცვალსახელები, რომლებსაც შესაბამისი დანართი ახლავთ, იკარგება და, მის ნაცვლად წინადადების სტრუქტურაში დანართი შედის; მაგ., ვინც ჩვენ სიკეთეს გვიშვრება, არ დავივიწყებთ ბაღლები (ვაჟა). ამ წინადადების მეორე კომპონენტის სრული სახეა — არ დავივიწყებთ (ჩვენ.) ბაღლები, სადაც ბაღლები დანართია, მაგრამ, სუბსტიტუციური ფუნქციის საფუძველზე შედის რა წინადადების სტრუქტურაში, ახალ, „არანორმულ“ დამოკიდებულებას ქმნის. ბაღლები III პირის სარეალიზაციო ერთეულია. ზმნა-შემასმენელი კი წარმოდგენილია I პირის ფორმით (ეს მოვლენა ძალიან საყურადღებო ჩანს წინადადების კონსტრუქციის თავისებურებათა გასარკვევად).

დანართის მსგავს ვითარებას გვიჩვენებენ (ფარდობითს მიმართებას ამყარებენ) შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი წევრის მიმართ, რომელიც შუალობით ურთიერთობას ამყარებს ერთგვარ წევრებსა და მათს საზიარო გაბატონებულ წევრს შორის; მაგ.:

ფრინველები: (ანუ) ბელურა, მერცხალი და მტრედი...

ციტრუსოვანი მცენარეები: (სახელდობრ) ლიმონი, ფორთოხალი...

მოსწავლეები: (კერძოდ) თინა, ვაჟა და ზაზა...

როგორც ვხედავთ, აქაც ფარდობითი კავშირია წევრთა მიმართ. ერთგვარი წევრები შერწყმულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, აზუსტებენ განმაზოგადებელ წევრს, ე. ი. აქაც, დანართის მსგავსად, გვაქვს გრამატიკული და სემანტიკური იგივეობა (მეორე, როგორც წესი, მიახლოებითია, რომელიც ჩვეულებრივს დანართშიც აღინიშნება).

ფართობითი მიმართების სახე აქვს აგრეთვე დამოკიდებულ წინადადებათა მიმართებას კორელატივადში. როგორც ცნობილია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება კორელატივის გაშლილ სახეს წარმოადგენს; მაგ.:

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასა (ხალხ.).

მოგვაქვს, დავმარხოთ იქავე, სად მამა-პაპა ჰმარხია (ვაეა) და

სხვ. შენიშვნა: კორელატისა და, საერთოდ, კორელაციის შესახებ იხ. შ. ძიძიგური. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. თბ., 1959; გვ. 209-259; ნ. ბასილაია. მისათითებელი სიტყვები (კორელატები) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII. სოხუმი, 1955.

ფარდობით კავშირს ამგვარ მიმართებაში ისიც ადასტურებს, რომ კორელატსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის შეიძლება მაიგივებელი კავშირის (ე. ი., ანუ) ჩასმა. ხშირად ეს კავშირი რეალურადაც გვხვდება, განსაკუთრებით სამეცნიერო ტექსტებში. ე. ი. როდესაც განყენებულ ცნებებსა და ტერმინებზე ვმსჯელობთ.

ლოგიკური შესაბამისობის თვალსაზრისით ფარდობითი დაქვემდებარების მოთხოვნას სავესებით აკმაყოფილებს მიმართვა, რომელიც წინადადებაში II პირის ნაცვალსახელით გამოხატული (ან, უფრო ხშირად, ნაგულისხმევი) ნაცვალსახელის ფარდი, დამაზუსტებელი, ერთეულია. იგი მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს, როგორც რეალური ან წარმოდგენილი მოსაუბრე პირის (საუბარში მიმართვის ობიექტის), ე. ი. მეორე პირის, ზოგჯერ კი პირველი პირის (რომელიც, ჩვეულებრივ, II პირით ფორმდება (თავო ჩემო, ბედი არ გიწერია (შენ); ა. წერ.), დამაზუსტებელი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი; მაგრამ მხოლოდ ლოგიკური შესაბამისობა (სემანტიკური იგივეობა კონკრეტული შემთხვევისათვის) არ არის საკმარისი ფარდობითი კავშირისათვის. წინადადების დანართი წევრებისაგან მიმართვა განსხვავდება იმით, რომ გრამატიკულად არ არის დაკავშირებული (არც რეალურად და არც სუბსტიტუციურად, როგორც, მაგალითად, დანართი წევრები) წინადადების სტრუქტურასთან. იგი არასოდეს არ არის წინადადების სტრუქტურული ელემენტი, რასაკვირველია, თავისთავადი და არა მეორე, შეძენილი, მნიშვნელობით, როგორცაა, მაგალითად, ღორო-ი: აბა, შეილო, ღორო-ი იმღერეო (ა. შანიძის ნიმუში).

მიმართვის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დავა ახლაც არ დამთავრებულა. დავა არსებითად ეხება წოდებითი ბრუნვის ადგილს ბრუნვათა სისტემაში. ერთნი მას ბრუნვად არ თვლიან, რადგანაც წოდებითი ბრუნვის ფორმის მქონე სიტყვა (მინართვა) არ ქმნის სინტაქსურ დამოკიდებულებას წინადადების სტრუქტურასთან, მის კოორდინაციულ თუ სუბორდინაციულ ერთეულებთან. მეორენი წოდებითს ბრუნვად მიიჩნევენ და მიუთითებენ მის უნარზე, შექმნას სინტაქსური დამოკიდებულება თავის და-

ქვემდებარებულ სიტყვებთან (ჩემო ძვირფასო მეგობარო); გარდა ამისა, წოდებითი ბრუნვა გაცილებით უფრო ახლოსაა სიტყვითა ნოდინფიკაციის (ფორმაცვლილების) ფორმებთან, ვიდრე მის საპირისპირო მოვლენასთან (დერივაციასთან), რადგანაც წოდებითი ბრუნვის ფორმა სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის.

შენიშვნა: წოდებითი ბრუნვის შესახებ უფრო დეტალურად იხ. შემდეგი ნაშრომები: ვ. თ. ო. უ. რ. ა. წოდებითი ბრუნვისათვის. წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 36-47; ა. შანიძე. წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, გვ. 48-55; არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 267; მისივე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გლ. I, გვ. 036 და სხვ.

ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მიმართვა ისევე, როგორც წინადადების დანართი წევრი, სემანტიკურად აზუსტებს, კონკრეტულ სახეს აძლევს წინადადების სტრუქტურულ ერთეულს (ჩვეულებრივ, კოორდინაციულ ერთეულს), რომელიც წინადადებაში ნაცვალსახელით, მაშასადამე, სემანტიკის თვალსაზრისით, ამორფულად, ზოგადად არის წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ აღნიშნავენ მიმართვის გრამატიკულ კავშირს წინადადებასთან, რადგანაც „ფარდობით“ კავშირის საფუძველზე (ზოგს მიმართვის ფორმა ფარდობით კავშირად მიაჩნია) ის იღებს სპეციფიკურ ფორმას (წინადადებაში გამოხატული აზრის მოთხოვნის შესაბამისად), აგრეთვე აქვს სპეციფიკური ინტონაცია, რის საფუძველზეც იგი საკმაოდ დიდ ლოგიკურ-სემანტიკურ დატვირთულობასა და თავისებურ ფორმას იძენს, მიმართვა მაინც არ ჩაითვლება წინადადების არც ფარდობითს და, მით უმეტეს, არც სტრუქტურულ ელემენტად, რადგანაც არა აქვს არც ფარდობითი მიმართებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული შესაბამისობა და არც დომინაციაში იღებს მონაწილეობას.

ლოგიკური შესაბამისობა განისაზღვრება იმ საკომუნიკაციო დატვირთულობით, რომელსაც დანართი სიტყვა ან სიტყვა-გამოთქმა ასრულებს მსჯელობაში. ამ მხრივ დანართი წევრები ხშირად უფრო მეტად არიან აქტუალიზებულნი, მათ უფრო ხშირად მოუდით ლოგიკური მახვილი, ვიდრე წინადადების სტრუქტურულ ელემენტებს.

ნიშვნები: ხვალ, სამ საათზე, შედგება კრება. ჩვენ, ქართველები, სტუმართმოყვარენი ვართ.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული შესაბამისობა არსებითი ნიშნია ფარდობითი კავშირისათვის. დანართ წევრს შეუძლია წინადადების სტრუქტურაში იმავე როლის შესრულება, რა როლსაც მისი მი-

სამართი წევრი ასრულებს. გრამატიკული შესაბამისობა გამოიხატება ფორმობრივ (მორფოლოგიურ) და ფუნქციურ (სინტაქსურ) იგივეობაში, რის საფუძველზეც ფარდობითი კავშირის დროს დანართი წევრი „მარაგში“ (ფარულად, ლატენტურად) ინახავს უნარს — თანადო ფორმით დაუკავშირდეს შესაბამის გაბატონებულ წევრს: მაგ.:

ვინ გაცინოს (შენ,) ციურად მომცინარი? (ა. წ.).

(შენ,) დალოცვილსა ჩემგანა (.) გული აგიღელდება (ი. ჭ.)

და სხვ.

ამ წინადადებებში დანართი წევრები უფრო მეტად ავლენენ სინტაქსურ დამოკიდებულებას (გაფორმების თვალსაზრისით), რადგან მისამართ წევრს, პირის ნაცვალსახელებით რეალიზებულს, თავისი ლექსიკურ-მორფოლოგიური ბუნების გამო არ შეუძლია ამ დამოკიდებულების რეალურად გამოხატვა.

დანართ წევრს შეიძლება ახლდეს თავისი დაქვემდებარებული წევრები (სიტყვათა ჯგუფით იყოს წარმოდგენილი), მაგრამ წინადადების სტრუქტურაში ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავიანთ გაბატონებულ დანართ წევრთან ერთად ჩაერთვებიან კოორდინაციაში ან სუბორდინაციაში თავიანთი შესაფარდებელი (მისამართი) წევრის სინტაქსური ფუნქციის შესაბამისად. ამ მხრივ დანართი წევრები ყოველთვის ემორჩილებიან წესს.

მიუხედავად გრამატიკული შესაბამისობის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მხოლოდ ეს ვერ ჩაითვლება ფარდობითი მიმართების საკლასიფიკაციო ნიშნად, რადგან მაშინ შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე დაქვემდებარებული წევრის დამოკიდებულება თავიანთ გაბატონებულთან (თანადაქვემდებარება უშუალოდ, განმაზოგადებელი წევრის გარეშე) ფარდობით კავშირად უნდა ჩაგვეთვალოს მაშინ, როდესაც შერწყმულ წინადადებაში კავშირი რეალურია, ხოლო ფარდობითისას — ლატენტური (ფარული, სამარაგო); ამიტომ ფარდობას, როგორც სინტაქსური მიმართების ცალკე სახეს, ერთდროულად განსაზღვრავს სამი ზემოაღნიშნული ფაქტორი: სემანტიკური ეკვივალენტობა, ლოგიკური შესაბამისობა და გრამატიკული შესაბამისობა.

ფართობითს მიმართებას არ ამყარებს და ამიტომ წინადადების განკერძოებულ წევრად არ ჩაითვლება (ჩვეულებრივი გაგებით) ე. წ. განკერძოებული განსაზღვრება. იგი წინადადების სტრუქტურული ელემენტია, რომელიც დაქვემდებარებითს (და არა ფარდობითს ან სხვა) კავშირშია შესაბამის გაბატონებულ წევრთან.

განკერძოებულ განსაზღვრებას წინადადების სტრუქტურისაგან ცალკე მდგომ (განკერძოებულ) ერთეულთა რიგში ათავსებენ მხო-

ლოდ იმის მიხედვით, რომ იგი აზუსტებს, დამაზუსტებელ ცნობებს გვაწვდის სახელით გამოხატულ წინადადების წევრზე. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ იგი უფრო მეტად დამოუკიდებელია, ვიდრე განუკერძოებელი განსაზღვრება და სხვ. (ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 271).

განკერძოებული განსაზღვრების ჩათვლას წინადადების სტრუქტურის გარეშე მდგარ ერთეულად, ჩვეულებრივ, ამ თვისებებით ხსნიან.

ე. წ. განკერძოებული განსაზღვრება ზოგადად შემდეგ თვისებებს ავლენს:

1. განკერძოებული განსაზღვრება უფრო ხშირად საზღვრულის შემდეგაა: ონისეს წინ შეეფეთა რამდენიმე მოხევე, აღებული სანგალის გუნდიდან გადარჩენილნი (ა. ყაზბ.). ზოგჯერ შეიძლება განკერძოებული განსაზღვრება წინ უსწრებდეს საზღვრულს: მაგალითად, სპექტაკი მთიდან ნაშობი, კლდიდან გადმობჭქუხს ჩანჩქერი (რ. ერისთ.).

2. განკერძოებული განსაზღვრება რიგის შეცვლისას, ხშირად ჩვეულებრივ განსაზღვრებად იქცევა ან, პირიქით, ჩვეულებრივი განსაზღვრება პოსტპოზიციისაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას თავისი დაქვემდებარებული წევრები ახლავს, განკერძოებულად იქცევა:

მოუკლავთ ზვიადური, ცით ჩამოსული სვეტადა (ვაჟა); შდრ. მოუკლავთ ცით სვეტად ჩამოსული ზვიადური. ბედნიერებით გატაცებულსა და თავდავიწყებულს ონისეს მხოლოდ ახლა მოაგონდა თავისი ვალი (ა. ყაზბ.); შდრ. ონისეს, ბედნიერებით გატაცებულსა და თავდავიწყებულს, მხოლოდ ახლა მოაგონდა თავისი ვალი.

3. განკერძოებული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, მიმდგომით და ზედსართავი სახელით გადმოიცემა, შედარებით იშვიათად — რიცხვითი და ნაცვალსახელებით.

4. განკერძოებული განსაზღვრება ახლავს არსებითი სახელით, შედარებით იშვიათად რიცხვითი, და ნაცვალსახელებით, გამოხატულ წევრებს.

5. განკერძოებული განსაზღვრება შეთანხმებულია საზღვრულ წევრთან (ე. ი. არც ფარდობითი და არც შეკავშირებითი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაქვემდებარებითი კავშირია).

განკერძოებული განსაზღვრების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად იმასაც მიიჩნევენ, რომ იგი განსაზღვრებითი დამოკიდებუ-

ლი წინადადების ფარდია (იხ. ლ. კვ ა ჯ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 275).

ჩვენი აზრით, არც ესაა განმასხვავებელი ნიშანი, ვინაიდან ყოველი განსაზღვრება რეალურად ან პოტენციურად ფარდია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა ან პირუკუ. თავისუფლად შეიძლება როგორც დამაზუსტებელ (დანართ), ისე წინადადების წევრ გარემოებათა შენაცვლება შესაბამისი დამოკიდებული წინადადებით.

სინტაქსის სახელმძღვანელოებში განხილული განკერძოებული განსაზღვრების ნიმუშებიდან უნდა გაიმიჯნოს განსაზღვრებები, რომლებიც წინადადების განსაზღვრებათა ფარდია (აზუსტებს მათ), ასეთი განსაზღვრება უნდა ჩაითვალოს დანართ განსაზღვრებად (ფარდობითი კავშირის საფუძველზე):

მუშა იგი წინათაც კარგი იყო, და უზარელი.
და დლილი, დაქანცული, მოვიდა ოტია სახლში.
ფრიალებდა ალის ფერი, წითელი, დროშა.

განსაზღვრების ეს ტიპი შეიძლება გამოიყოს ცალკე, როგორც დანართი განსაზღვრება. სხვა „განკერძოებული“ განსაზღვრებანი, საზოგადოდ, იმავე ვითარებას გვიჩვენებენ, რასაც — ჩვეულებრივი განსაზღვრება.

ამრიგად, ამჟამად განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებად ცნობილ ენობრივ ერთეულებში გამოიყოფა სამი რიგის სიტყვები ან სიტყვა-გამოთქმები:

1. წინადადების განკერძოებული წევრი (განკერძოებული განსაზღვრება).
2. წინადადების დანართი წევრები (საკუთრივ დანართი და ე. წ. განკერძოებული გარემოებანი, აგრეთვე დანართი განსაზღვრება).
3. წინადადების არაწევრი სიტყვა-გამოთქმები (მიმართვა, ჩართული, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები).

ამათგან პირველი შედის წინადადების სტრუქტურაში, როგორც დომინანციაში მონაწილე ერთეული, რომელიც დაქვემდებარებითს კავშირს ამყარებს წინადადების შესაბამის ერთეულთან; მეორენი ფარდობითს კავშირს ამყარებენ სათანადო სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო მესამენი (წინადადების არაწევრი სიტყვა-გამოთქმები), რომელთაც შეიძლება ნამდვილად განკერძოებული გამოთქმები ვუწოდოთ, მხოლოდ ექსპრესიულობის (ემოციურ-ნებელობითი ან ლოგიკური გაფორმების) გაძლიერებას უწყობენ ხელს. ისინი უპირატესად გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას წინადადებით გადმოცემული აზრისადმი; ეს, მაგალითად, ჩარ-

თულის არსებითი ნიშანია, რითაც იგი განსხვავდება ჩვეულებრივ
რთული წინადადებისაგან, რის საფუძველზეც წყდება მისი გრამატი-
კული კავშირი წინადადებასთან. შორისდებული აძლიერებს წინადა-
დებით გამოხატული აზრის ემოციურ ზემოქმედებას, ხოლო მიგებო-
თი ნაწილაკები წინადადების ლოგიკური მხარის გაძლიერებას ემსა-
ხურებიან.

არც ერთი აღნიშნულთაგანი (ჩართული, შორისდებული, მიგე-
ბითი ნაწილაკი, აგრეთვე მიმართვა) წინადადების სტრუქტურულ
ერთეულად არ ჩაითვლება, რადგანაც ისინი არ მონაწილეობენ დო-
მინაციაში, არ ქმნიან ფორმობრივ (სტრუქტურულ) დამოკიდებუ-
ლებას, მაგრამ მათ გარკვეული კავშირი აქვთ წინადადებით გამო-
ხატულ აზრთან, მის ექსპრესიულ მხარესთან; წინადადებასთან, რო-
გორც გამონათქვამთან, და ამიტომ მეტყველების სტილის სფეროს
განეკუთვნებიან.

ნ ა წ ი ლ ი II

მარტივი წინადადების სტრუქტურა

თავი IV. წინადადების კონსტრუქცია

4. 1. წინადადების კონსტრუქცია და მისი შემდგომი საშუალებანი

წინადადების კონსტრუქციის თავისებურებათა შესწავლას. ძალიან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სინტაქსის თეორიაში წინადადების კონსტრუქციის ანალიზი ხელს უწყობს მისი სტრუქტურის შესწავლას, სინტაქსის სინტაქსური კანონების დადგენას, განუზომელია მისი მნიშვნელობა ენის სწავლების მეთოდოლოგიაში.

ეცნობიან რა წინადადების წევრებს, რომლებიც ამა თუ იმ მეტყველების ნაწილითაა გამოხატული, მოსწავლეები უნდა დაეუფლონ აგრეთვე ამ წევრთა შესაძლებელ შეხამებას, ისწავლონ ის კონსტრუქციები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოყენებულია ამა თუ იმ ენაში. განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლიათ კონსტრუქციებს არამშობლიურ ენათა შესწავლაში. წინადადების კონსტრუქციათა ანალიზი და მასთან დაკავშირებით ამ კონსტრუქციათა შედგენა (სინთეზი) უნდა იქცეს სასკოლო სინტაქსის ლერძად როგორც მშობლიური, ისე არამშობლიური ენების სწავლებაში. ეს კი ხელს შეუწყობს ენის სასკოლო სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირებას, დაგვეხმარება იმ არასახარბიელო მდგომარეობასთან ბრძოლაში, როდესაც მოსწავლემ იცის გრამატიკული წესი, ასახელებს და აანალიზებს კიდევ სათანადო მაგალითებს, მაგრამ უჭირს წინადადების მართებულად შედგენა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება სიტყვიერ ფორმაში.

წინადადების კონსტრუქცია, როგორც აღნიშნულია (იხ. 2. 4. დ), შედგენილია გარკვეული სინტაქსური მოვლენის — კოორდინაციის — საფუძველზე; კოორდინაცია კი გვაქვს წინადადების მთავარ წევრებს შორის, აზრის გამოხატვის ძირითად ცნებებსა (ლოგიკური თვალსაზრისით) და სტრუქტურულ-მორფოლოგიურად გაფორმებულ სიტყვებსა ან სიტყვათა ჯგუფებს შორის. ლექსიკურ-სემანტი-

კური შედგენილობის მხრივ ასეთ მიმართებას ქმნიან ზმნა და არსებითი სახელები (ან არსებით სახელთა ეკვივალენტები) ამრიგად, კონსტრუქციის შექმნის აუცილებელ პირობას, მის ღერძს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი, როგორც ყველაზე ძლიერი ვალენტობის მქონე ერთეული, ძირითადად კოორდინატი. ზმნის ვალენტობა მის პირთა ურთიერთობაში მეღვანდება, პირთა რეალიზაცია კი წინადადებაში არსებითი ან ნაცვალსახელებით ხდება, რომლებიც ამ მხრივ უპირისპირდებიან სხვა მეტყველების ნაწილებს (ზედსართავეებს, რიცხვითებსა და ა. შ.) — წინადადების სხვა წევრებს.

ქართულ ენაში კონსტრუქციის ყველა ელემენტი დაკავშირებულია გრამატიკულად, რაც ზმნის რელატიური აგებულებითაა განპირობებული; მაგრამ კონსტრუქციის აუცილებელ შემადგენელ ელემენტებზე მსჯელობენ ისეთ ენებშიც, რომელთა ზმნა-შემასმენელი აბსოლუტური აგებულებისაა.

სპეციალურ ლიტერატურაში ზმნა-შემასმენლის აუცილებელი კავშირი არა ერთ, არამედ რამდენიმე სახელთან აღნიშნულია ისეთ ენებშიც, რომლებშიც ზმნა რეგულარულად ერთპირიანია. ჩვეულებრივ, ამ საკითხზე მსჯელობისას ამოსავალია ზმნის სემანტიკა, რომლის მიხედვითაც დგინდება ზმნა-შემასმენლის აუცილებელი მიმართება სუბსტანტიურ ერთეულებთან. ამ მხრივ საყურადღებოა ლ. ტენიერის სტემები, რომლებშიც ცალკეა გამოყოფილი ზმნის პირთა სარეალიზაციო ერთეულები (ქვემდებარე და დამატებანი) და ამით დაპირისპირებულია სხვა (მეორეხარისხოვანი) წევრებისადმი (ლ. ტენიერის სტემათა შესახებ იხ. 1. 9. ზ.); აგრეთვე ე. პაულისის „ინტენციების თეორია“, რომლის მიხედვითაც ზმნები მათთან შეხამებული სუბსტანციური ერთეულების შესაბამისად დაყოფილია ერთინტენციურ (SP), ორინტენციურ (PO) და სამინტენციურ (POO) კლასებად (იხ. E. Pauliny. *Struktúra slovenskeho slovesa*. Bratislava, 1943; ვსარგებლობთ რ. მრავეკის მითითებით; იხ. P. Мразек. Синтаксическая дистрибуция глаголов и их классы. ВЯ, 1964, № 3).

კონსტრუქციაში წევრთა აუცილებელ კავშირზე მითითებულია რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც, სადაც უფრო და უფრო მეტად ვრცელდება შეხედულება პრედიკატულ შეხამებათა ცალკე გამოყოფის შესახებ; მაგ., ტ. ლომტევი აღნიშნავს პრედიკატულ საგანთა ოთხ კლასს, რომლებშიც პრედიკატულ საგანთა მიმართება აუცილებელ პრედიკატულ კავშირს ქმნის (იხ. Т. П. Ломтев. Структура предложения как выражение отношения между предикативными предметами, ПЯ, გვ. 192—193). აუ-

ცილებელ კავშირს შეეხო აგრეთვე ნ. შვედოვა, რომელმაც რუსულ ენაში შემასმენლის სემანტიკის მიხედვით ერთმაგი რეგულარული და ორმაგი რეგულარული მართვა აღნიშნა (იხ. Н. Ю. Шведова. Детерминирующий объект и детерминирующее обстоятельство как самостоятельные распространители предложения. ВЯ, 1964, № 6).

ქართულ ენაში ზმნის უაღრესად დახვეწილი მორფოლოგიური სტრუქტურის გამო საშუალება გვეძლევა აუცილებელ რეგულარულ მიმართებათა კოორდინაციული და სუბორდინაციული რიგების გა. მიჯენისა, თუმცა აუცილებელი წევრის თვალსაზრისით, ზმნის სემანტიკას (ლექსიკურ ვალენტობას) აქაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს. კოორდინაციულ რიგში ზმნა-შემასმენელის ლექსიკური ვალენტობა გაძლიერებულია გრამატიკულით, სუბორდინაციულში გრამატიკული ურთიერთობა ფაქულტატიურია.

შდრ. მიიღო — [წერილი (რეგ.)
ამხანაგისაგან || სოფლიდან (ფაქულტ.)

კონსტრუქციის შესახებ მსჯელობისას, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ორი ელემენტის — ქვემდებარისა (სუბიექტისა) და შემასმენლის (პრედიკატის) — ურთიერთობას, მაგრამ ხშირად კონსტრუქციაში საჭიროა მესამე ელემენტიც — ობიექტი, რომელსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციისათვის, როდესაც პრედიკატია რელატიური აგებულების ზმნით ხდება. სპეციალურ ლიტერატურაში სავესებით მართებულად არის აღნიშნული, რომ ქართულ ენაში კონსტრუქციას ქმნის ბრუნვათა თავისებურება სუბიექტისა და ობიექტისა. ამასთან კონსტრუქციის თავისებურებათა დასადგენად ობიექტის ბრუნვას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სუბიექტისას (იხ. А. С. Чикобава. Несколько замечаний об эргативной конструкции. წგნ. „Эргативная конструкция предложения“. М., 1950, გვ. 6; ა რ ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები. თბ., 1961, გვ. 1).

რამდენადაც წინადადება გადმოგვცემს გარე სამყაროს (ობიექტური რეალობის) ტიპურ საგნებს, მოვლენებს და მათ შორის კავშირს, მისი გარკვეული ნაწილები ან ასახელებენ საგანს, ან ახასიათებენ მოვლენას (საგანს მოქმედებაში), ან კიდევ გამოხატავენ მის რაიმე ნიშან-თვისებას. აქედან დადგინდა ყოველგვარი მსჯელობის (რომლის ფორმასაც წინადადება წარმოადგენს) ორი ძირითადი ნაწილი: მსჯელობის სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები. სუბიექტი

ასახელებს საგანს (ნომინაციის ფუნქცია), ხოლო პრედიკატი გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას ან მის ნიშან-თვისებას, მაგრამ საგნის მოქმედება ძალიან ხშირ შემთხვევაში სხვა საგნებთან ურთიერთობაში, სხვა საგნებზე მოქმედებაში ვლინდება. ამიტომ წარმოიშვა მსჯელობის ობიექტის ცნება.

ამრიგად, კონსტრუქციის სტრუქტურულ ელემენტებს შეადგენენ შემასმენელი და მასთან კოორდინაციულ კავშირში მყოფი სხვა წევრები, რომლებიც აუცილებელია როგორც ლოგიკურად, ისე გრამატიკულად; ერთი მხრივ, როგორც აზრის დასრულებულობის აუცილებელი კომპონენტები, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ზმნა-შემასმენლის პირთა „უჯრების“ შემავსებელი კონკრეტული ლექსიკურ-მორფოლოგიური ერთეულები. კონსტრუქცია თავს იყრის ზმნა-შემასმენლის ირგვლივ.

კონსტრუქცია არა მარტო გადმოგვცემს წინადადების ძირითად, მთავარ აზრს, არამედ სხვა სინტაქსურ ერთეულებთან შედარებით სტრუქტურულად უფრო ჩამოყალიბებულია. კონსტრუქციის ელემენტები ერთუროს განაპირობებენ როგორც რაოდენობრივად, ისე ფორმობრივად. კონსტრუქციის ბაზისი არის ზმნა-შემასმენელი. თუ შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გამოხატული, წინადადებაში გვექნება ორი მთავარი წევრი, ე. ი. კონსტრუქცია ორელემენტია-ნი იქნება. ორპირიანი ზმნით გამოხატული შემასმენლის ბაზაზე იქმნება სამელემენტია-ნი კონსტრუქცია და ა. შ. საზოგადოდ, ნორმალურ წინადადებაში კონსტრუქცია შეიძლება იყოს ორ, სამ ან ორთხვევრა. კონსტრუქციის სუბსტანტიური ელემენტებიც რამდენადმე განაპირობებენ ერთუროსის არსებობას, განსაკუთრებით — ფორმას; მაგალითად, საკმარისია წინადადებაში მსჯელობა დავიწყოთ მოთხრობითი ბრუნვის ფორმიანი სახელით, რომ მას აუცილებლად უნდა შევუწყოთ ზმნა-შემასმენელი მეორე სერიის ფორმაში, დამატება კი სახელობითში; ხოლო, თუ დამატება ორია, ერთი სახელობითში და მეორე — მიცემითში, ე. ი. მივიღოთ კონსტრუქციები:

$SE P_2 ON$ ან $SE P_2 ON O_D$

საზოგადოდ S-ის ფუნქციური კვანძი აპირობებს შემდეგ კონსტრუქციებს: $SP_2 O_1$ ან $SP_2 O_1 O$ საზოგადოდ S-ის ფუნქციური კვანძი აპირობებს შემდეგ კონსტრუქციებს:

- ა) თუ SN , მაშინ P_1 , ხოლო $O_D \parallel O_D O_D$;
- ბ) თუ SE , მაშინ P_2 , ხოლო $ON \parallel ON O_D$;
- გ) თუ S_D , მაშინ P_3 , ხოლო ON .

ამგვარი ურთიერთშეპირობებულობა კონსტრუქციის O ელემენტებსაც ახასიათებთ, მაგრამ მათ მეტი ვარიანტები გააჩნიათ; ამდენად, ისინი ვერ გამოდგება მადიფერენცირებელ ნიშნებად; მა-

გალითად: O შეიძლება შეგვხვდეს კონსტრუქციებში: $SN P_{1,2,3}$, O_D და $SE P_2 ON O_D$, ხოლო $ON SE P_2 ON \parallel SEP_2 ON O_D$ და $S_P P_2 ON$.

როგორც ვხედავთ, საკმარისია კონსტრუქციის ერთ-ერთი ელემენტი რაიმე ფორმით წარმოგვიდგეს, რომ სხვა ელემენტების ფორმებიც მეტ-ნაკლებად ურთიერთშეპირობებულნი აღმოჩნდნენ. ამ თვალსაზრისით ზმნა-შემასმენელს არა ჰყავს ბადალი, ხოლო სუბსტანტიური ელემენტები მეტნაკლებად განაპირობებენ კონსტრუქციას. საერთოდ შეიძლება აღინიშნოს კონსტრუქციის ფორმათა შემდეგი მადიფერენცირებული ერთეულები:

1. ზმნა-შემასმენელი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს კონსტრუქციულ მოდელს;
2. ქვემდებარე, რომელიც აპირობებს ვარიანტებს;
3. ბრუნვაცვალებადი დამატება, რომელიც კონსტრუქციის ფორმებს განსაზღვრავს რამდენსამე საზიარო ვარიანტში.
4. ბრუნვაუცვლელი დამატება, რომელიც კონსტრუქციის ბევრ ვარიანტში გვხვდება.

ქართულმა ზმნამ შეიძლება თავისი შინაგანი მორფოლოგიური საშუალებებით რეალურად ვერ ასახოს წინადადების (შესიტყვების) მორფოლოგიური შედგენილობა, მაგრამ კონსტრუქციას, მისთვის დამახასიათებელ კოორდინაციულ ურთიერთობას ის კარგად გადმოგვცემს. „ზმნა ყოველთვის იძლევა მარტივ გაუვრცელებელ წინადადების (ученик читает, ხანდისხან გავრცელებულისაც (მან დაუწერა მას იგინი) სინტაქსური აგებულების ფორმულას, შესიტყვების განაკვეთს (читает დაუწერა). სინტაქსისათვის სწორედ ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობისა; ის კი, რაც ზმნაში გამოხატულებას არ პოულობს, სინტაქსური ურთიერთობის გარეშე მდებარეობს; ამდენადვე ზმნა (მისი პირიანი ფორმა) შეიძლება იწოდოს მის ექვივალენტად“ (ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 158).

ყოველი ნორმალური წინადადება ზმნისა და მასთან შეხამებული სახელებისაგან შედგება. ზმნის გარეშე შეუძლებელია წინადადების კონსტრუქციის შედგენა. ზმნის გარდამავალი თუ გარდაუვალი ფორმა განსაზღვრავს მასთან შეწყობილ სახელთა გრამატიკულ ფორმას, ხოლო აქტიური და პასიური ფორმები — წინადადების აქტიურსა და პასიურ კონსტრუქციებს.

წინადადების წევრის ცნება ქართულ გრამატიკაში ძალიან დიდხანს ეგუებოდა ინდოევროპულ ენათა გრამატიკის კატეგორიებს, მაშინ როდესაც ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის კარდინალური განსხვავებაა, რაც განპირობებულია ქართული ზმნის, როგორც წინადადების კონსტრუქციის ღერძის, თავისებურებებით.

მიუხედავად ამისა, ზმნის მორფოლოგიური აგებულება ^{მხოლოდ} ზოგადად არის გადამწყვეტი მასთან შეხამებული წინადადების წევრების თავისებურებათა დასადგენად. მთავარი მნიშვნელობა მაინც სინტაქსურ მიმართებას ენიჭება.

4. 2. კონსტრუქციის სახეები

კონსტრუქციული მოდელისათვის მნიშვნელობა აქვს ზმნა-შემასმენლის პირიანობას. ვინაიდან ქართულ ენაში ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნებისათვის პირთა შეხამების სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს, შესაბამისად ნაირგვარია კონსტრუქციის რაოდენობრივი (კვანტიტატიური) სახეები. ინდოევროპულ და სხვა ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც ზმნა რეგულარულად აბსოლუტური აგებულებისაა, რის გამოც კონსტრუქცია რეგულარულად ორწევრია, ქართულში გვაქვს ო რ წ ე ვ რ ა, ს ა მ წ ე ვ რ ა და ო თ ხ წ ე ვ რ ა კონსტრუქციები, რომელთა ვარიანტები ვლინდება კონსტრუქციის ელემენტთა ფორმებში. ვარიანტები შეპირობებულაია, ერთი მხრივ, ზმნა-შემასმენლის გრამატიკული ვალენტობით, ხოლო, მეორე მხრივ, სუბსტანტიური ელემენტების სემანტიკურ-გრამატიკული თვისებებით.

პირთა შეხამების მიხედვით გვაქვს შემდეგი კონსტრუქციები:

ა) SP, როცა P ერთპირიანი ზმნაა

- 1) PS¹: ვხტი, ვიზრდები... მე; ვხტით, ვიზრდებით... ჩვენ.
- 2) PS²: ხტი, იზრდები... შენ; ხტით, იზრდებით... თქვენ.
- 3) PS³: ხტის, იზრდება... იგი; ხტიან, იზრდებიან... ივინი.

ბ) SPO, როცა P ორპირიანი ზმნაა

- 1) PS¹O²: ვხატავ, გემალები... მე შენ; ვხატავთ, გემალებით... მე (ჩვენ) თქვენ (შენ).
- 2) PS¹O³: ვხატავ, ვემალები... მე მას (მათ); ვხატავთ, ვემალებით... ჩვენ მას (მათ).
- 3) PS²O¹: მხატავ, მემალეები... შენ მე; გვხატავ, გვემალები... შენ ჩვენ; გვხატავთ, გვემალებით... თქვენ მე (ჩვენ).
- 4) PS²O³: ხატავ, ემალები... შენ მას (მათ); ხატავთ, ემალებით... თქვენ მას (მათ).
- 5) PS³O¹: მხატავს, მემალეა... იგი მე; გვხატავს, გვემალება... იგი ჩვენ; მხატავენ, მემალეებიან... ივინი მე; გვხატავენ, გვემალებიან... ივინი ჩვენ.
- 6) PS³O²: ვხატავს, გემალება... იგი შენ; ვხატავთ, გემალებათ... იგი თქვენ; ვხატავენ, გემალებიან... ივინი შენ (თქვენ).

7) PS^3O^3 : ხატავს, ემალება... იგი მას (მათ); ხატავენ, ემალებიან... იგინი მას (მათ).

გ) $SPOO$, როცა **P** სამპირიანი ზმნაა

1) $PS^1O^2O^3$: გიხატავ, გაწერილებ... მე შენ მას (მათ); გიხატავთ, გაწერილებთ... ჩვენ (მე), შენ (თქვენ) მას (მათ).

2) $PS^1O^3O^3$: ვუხატავ, ვაწერილებ... მე მას (მათ) მას (მათ); ვუხატავთ, ვაწერილებთ... ჩვენ მას (მათ) მას (მათ).

3) $PS^2O^1O^3$: მიხატავ, მაწერილებ... შენ მე მას (მათ); მიხატავთ, მაწერილებთ... თქვენ მე მას (მათ); გვიხატავთ, გვაწერილებთ... თქვენ ჩვენ მას (მათ).

4) $PS^2O^3O^3$: უხატავ, აწერილებ... შენ მას (მათ) მას (მათ); უხატავთ, აწერილებთ... თქვენ მას (მათ) მას (მათ).

5) $PS^3O^1O^3$: მიხატავს, მაწერილებს... იგი მე მას (მათ); გვიხატავს, გვაწერილებს... იგი ჩვენ მას (მათ); მიხატავენ, მაწერილებენ... იგინი მე მას (მათ); გვიხატავენ, გვაწერილებენ... იგინი ჩვენ მას (მათ).

6) $PS^3O^2O^3$: გიხატავს, გაწერილებს... იგი შენ მას (მათ); გიხატავთ, გაწერილებთ... იგი თქვენ მას (მათ); გიხატავენ, გაწერილებენ... იგინი შენ (თქვენ) მას (მათ).

7) $PS^3O^3O^3$: უხატავს, აწერილებს... იგი მას (მათ) მას (მათ); უხატავენ, აწერილებენ... იგინი მას (მათ) მას (მათ).

ამრიგად, პირთა შეხამება გარკვეულ თავისებურებებს ქმნის წინადადების კონსტრუქციაში, მაგრამ იგი მხოლოდ ზოგადად წყვეტს წინადადების კონსტრუქციული მოდელის სტრუქტურას. წინადადებას ქმნის რეალიზებული კონსტრუქცია, ხოლო რეალიზება ხდება სიტყვებით, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელობა და ფორმა. ამის მიხედვით წინადადებაში კონსტრუქციულ დამოკიდებულებას გააჩნია ფორმები. მაშასადამე, კონსტრუქცია ითვისისწინებს არა მარტო ზმნა-შემასმენლის ვალენტობას, არამედ შეხამებულ სიტყვათა ფორმასა და ლექსიკურ მნიშვნელობასაც, რაც საბოლოოდ აზრის გამოხატვას ემსახურება და გვაძლევს წინადადებას, როგორც აზრის გამოხატვის ყალიბს, საკომუნიკაციო ფორმას. ერთსა და იმავე ზოგად სქემას შეიძლება შეეფარდებოდეს სხვადასხვაგვარი რეალიზებული კონსტრუქცია. მაგალითად, S^3PO^3 შეიძლება ერთსა და იმავე დროს აღნიშნავდეს შემდეგს: შვილი ეზრდება დედას, კაცმა მოკლა შველი, ბავშვი ხატავს სურათს და მრავალი სხვა; ამიტომ კონსტრუქციის მოდელში მისი ვარიანტების სახით გასათვალისწინებელია მისი ფორმა, მისი ელემენტების ლექსიკურ-მორფოლოგიური დამოკიდებულება.



კონსტრუქციის ფორმებისათვის მნიშვნელობა აქვს ზმნა-შემას-
მენელს, რომელიც ბრუნვაში მართავს მასთან დაკავშირებულ სუბ-
სტანტიურ ელემენტებს. თავიანთი მხრივ სუბსტანტიური ელემენ-
ტებიც გავლენას ახდენენ ზმნა-შემასმენლის ფორმებზე.

4. 3. ა. კონსტრუქციის ფორმები სუბსტანტიურ
ერთეულთა მიხედვით

კონსტრუქციის ფორმებს ქმნის ზმნა-შემასმენლის მორფოლო-
გიური თავისებურებანი. როგორც ზემოთაა აღნიშნული, პირთა შე-
ხამება ქმნის კონსტრუქციის თარგს (ზოგად მოდელს), მაგრამ იგი
არ არის საკმარისი კონსტრუქციული მოდელის გადასაწყვეტად.
რადგანაც წინადადების საფუძველი რეალიზებული კონსტრუქციაა,
მთავარი მნიშვნელობა აქვს ზმნა-შემასმენლის რიგ მორფოლოგიურ
თავისებურებებს, რომლებიც განსაზღვრავენ სარეალიზაციო საშუა-
ლებათა ფორმას. შეიძლება კონსტრუქციათა სათავეები გვეძებ-
ნა ზმნასთან შეწყობილ სახელებში და ეს მართლაც ასე იქნებოდა,
რომ გვექონდეს მხოლოდ და მხოლოდ ლაბილური ვარიანტები, მაგ-
რამ კონსტრუქციის ფორმები ზმნას ეყრდნობა და ეს იმიტომ, რომ
სტაბილური ვარიანტიც გვაქვს; მაგ., ერგატიული კონსტრუქცია
(ზმნის აგებულების გამო) ობიექტის გარეშეც გასაგებია: მ ა ნ კ ლ ა:
ამდენად „ზმნა საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ ერგა-
ტიული კონსტრუქცია იმისდა მიუხედავად, გვაქვს თუ არა სათანადო
სიმპტომები სახელების მხრივ“ (არნ. ჩიქობავა. ერგა-
ტიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ
კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები. ენიმკის
მოამბე, XII, 1942, გვ. 223).

ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიურ კატეგორიათაგან მთავარი
მნიშვნელობა აქვს მის უღლებას (პირიანობას, გარდამავლობასა და
სერიებს), რომლებიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონსტრუქ-
ციის ფორმულაში, მაგრამ ყველა კატეგორიისათვის ცალკე ნიშანი
გაართულებს ფორმულას, მით უმეტეს, რომ თავისებურებანი ხში-
რად კარგად ჩანს სპეციალური აღნიშვნის გარეშე; მაგალითად, SP
გვიჩვენებს, რომ კონსტრუქცია ორი ელემენტისაგან, ხოლო SPO და
SPOO — რომ კონსტრუქცია შესაბამისად სამი და ოთხი ელემენ-
ტისაგან შედგება.

შენიშვნა: ჩვენ შეგნებულად არ აღვნიშნავთ პირდაპირსა
და ირიბ ობიექტებს, რადგანაც ქართული ენისათვის ისინი ნიშა-
ნდობლივი არაა. ქართული ობიექტებისათვის უფრო მოსახერ-

ხებელია ტერმინები: ბ რ უ ნ ვ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი და ბ რ უ ნ ვ ა უ ც ვ ლ ე ლ ი.

„მართალია, ბრუნვაცვალებადი MO-ი უდრის სხვა (კერძოდ, ინდოევროპულ) ენათა პირდაპირ დამატებას, მაგრამ უდრის მინაარს-მნიშვნელობით და არა გრამატიკულად... პირდაპირი დამატება ქართულშიც და ქართველურ ენებშიც, — არ არსებობს. ეს ამათი განსაკუთრებული თვისებაა“ (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 184, სქოლიო).

ჯმნა-შემასმენლის ფორმობრივი ვარიანტები გამოხატავენ ჯმნის გარდამავლობას. აღსანიშნავია მხოლოდ სერიები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს ჩვეულებრივი ციფრით: P_1 — I სერიის ფორმები, P_2 — II სერიის ფორმები, P_3 — III სერიისა. იმ შემთხვევაში, როდესაც P არ ჯმნის თავისებურებებს სერიების მიხედვით, მაშინ მას არავითარი ციფრით აღნიშვნა არ სჭირდება.

სუბსტანტიური ელემენტების თავისებურებები გამოიხატება მათს ბრუნვასა და რიცხვში. ბრუნვათაგან მნიშვნელობა აქვს სამს: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს.

ამრიგად, ფორმათა შეხამების თვალსაზრისით, გვექნება შემდეგი კონსტრუქციები:

- ა) $SN \langle P (P=P_1, 2, 3) \rangle$;
- ბ) $SN \langle P (P=P_1, 2, 3) \rangle O_D$;
- გ) $SN \langle P_1 \rangle O_D$; ვარიანტები
- $SE \langle P_2 \rangle O_N$; $SNPO_D O_D$
- $S_D \langle P_3 \rangle O_N$; $SEP_3 O_N O_D$

როგორც დავინახეთ, კონსტრუქციას ჯმნიან P, S და O თავიანთი ვალენტური თვისებებით, მაგრამ კონსტრუქციის ვალენტობის რეალიზება ნებისმიერი არაა. მისთვის გარკვეულ ზღვარს ჯმნის ლექსიკურ-სემანტიკური მიმართება სარეალიზაციო ერთეულებში. როგორც არაერთხელ აღვნიშნავდით, წინადადებად ჩაითვლება მხოლოდ აზრის ფორმა; ამდენად მხოლოდ ვალენტობა ვერ შექმნის კონსტრუქციას. თუ კონსტრუქციაში დასაშვებია ყოველგვარი შეხამება: SNP ; $SNPO_D$; $SNPO_D$; $SNPO_D O_D$ და ა. შ. მათი ნებისმიერი რეალიზება: ვ ე შ ა პ ი მ ღ ე რ ი ს . ა გ უ რ ი ფ რ ი ნ ა ვ ს . ზ ღ ვ ა ე ყ რ დ ნ ო ბ ა ც ა ს . კ ლ დ ე მ შ ე უ კ ე რ ა ს ა ბ ა ნ ს . ც ე ც ხ ლ ი და ს ზ . არ ე ხ ა მ ე ბ ა ა ზ რ ს .

კონსტრუქციის რეალიზების შესახებ კვლავ აღვნიშნავთ, რომ ყოველი სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური თვისებები უფრო მეტად ვლინდება სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში; იქ უფრო მეტად ჩანს სიტყვათა სემანტიკური შეხამების მართებული თუ უმართე-

ბულო ფორმები, რადგან სიტყვა თავის სემანტიკურ თავისებურებებს მეტად ინარჩუნებს დაბალი რიგის სინტაქსურ ერთეულში, კონსტრუქციაში (მაღალი რიგის ერთეულში) კი ის უფრო მეტად განზოგადებული სახით შედის.

ზემოაღნიშნული ეხება III პირის ფორმის რეალიზების შემთხვევებს. ნაცვალსახელებით რეალიზება თავისებურ კონსტრუქციას ქმნის, რომელსაც ჩვენ აღნიშნულ კონსტრუქციათა ანალოგიურად ვთვლით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ. 4. 3. ა. § 3. ნეიტრალური კონსტრუქციის საკითხი).

როგორც უნდა იყოს ნაცვალსახელური კონსტრუქციის ვითარება, ფორმათა მიხედვით ვიღებთ კონსტრუქციათა ორ ზოგად ჯგუფს: 1) სტატიკურ კონსტრუქციებსა და 2) დინამიკურ კონსტრუქციებს, რომლებსაც ქმნის ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა სუბსტანტიურ ელემენტებთან.

სტატიკური კონსტრუქცია გვაქვს მაშინ, როდესაც შემასმენელი გარდაუვალი (II ან IV ტიპის უღლების) ზმნებით არის რეალიზებული. ზმნა ერთპირიანი ან ორპირიანია, შესაბამისად კონსტრუქციები ორწევრა ან სამწევრაა. ამ კონსტრუქციებში ქვემდებარე რეგულარულად სახელობით ბრუნვაშია, ხოლო დამატება (თუკი აქვს) — რეგულარულად მიცემითში.

ნიმუშები:

ჩემი წასვლის ქამი დადგა სევდიანი (და გულმწარი) (შ მღვ.).

კონსტრუქცია — SNP

ქამ-ი — დგება, დგებოდა, დგებოდეს, დადგება, დადგებოდა, დადგებოდეს, დადგა, დადგეს, დამდგარა, დამდგარიყო, დამდგარიყოს.

უცებ კუჭატნელის კისერს ქვევიდან ორი ხელი ვეება მუხრუკივით შემოეხვია (მ. ჯავ.).

კონსტრუქცია — SNPO_ბ

ხელ-ი კისერ-ს — ეხვევა, ეხვეოდა, ეხვეოდეს, შემოეხვევა, შემოეხვეოდა, შემოეხვეოდეს, შემოეხვია, შემოეხვიოს, შემოეხვებოდა, შემოეხვებოდა, შემოეხვებოდეს.

დინამიკური კონსტრუქცია გვაქვს, როცა შემასმენელი გარდაუვალი ზმნით არის გამოხატული: იგი ორპირიანი ან სამპირიანი ზმნაა. ამ ზმნათა კონსტრუქციული ვარიანტები განსხვავებულ ვითარებას ქმნიან ქვემდებარის მიხედვითაც და დამატების მიხედვითაც.

ნიმუშები:

ცრემლმორეულმა ყმაწვილმა... ტკბილად დაკოცა ბაჭია (შ. მღვიმ.).



კონსტრუქცია— SNP_1O_D
 ყმაწვილ-ი ბაჰია-ს — კოცნის, კოცნიდა, კოცნიდეს, დაკოცნის,
 დაკოცნიდა, დაკოცნიდეს.

კონსტრუქცია— SEP_2ON
 ყმაწვილ-მა ბაჰია — დაკოცნა, დაკოცნოს.

კონსტრუქცია— SDP_3ON
 ყმაწვილ-ს ბაჰია — დაუკოცნია, დაეკოცნა, დაეკოცნოს.
 ჭირიმძას მოულოდნელმა შეკითხვამ ძმებს უცებ თვალი აუხი-
 ლა (ლ. ქიაჩ.).

კონსტრუქცია— $SNP_1O_D O_D$
 შეკითხვა თვალ-ს ძმებ-ს — უხელს, უხელდა, უხელდეს, აუხ-
 ელს, აუხელდა, აუხელდეს.

კონსტრუქცია— $SEP_2ON O_D$
 შეკითხვა-მ თვალ-ი ძმებ-ს — აუხილა, აუხილოს.

კონსტრუქცია— $SDP_3ON [O]$
 შეკითხვა-ს თვალ-ი (ძმებისათვის) — აუხელია, აეხილა, აეხი-
 ლოს.

ფორმათა თვალსაზრისით ოთხწევრა კონსტრუქცია ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც — სამწევრა. ოთხწევრა კონსტრუქციაში ზმნა-შემასმენლის I სერიის ფორმებთან გვექნება ორი დამატება, ორივე — მიცემით ბრუნვაში, მაგრამ ეს დამატებები განსხვავებულია II და III სერიის ფორმებთან შეხამებისას. ერთერთისაგან მათი განსხვავება, როგორც წესი, ზმნის მორფოლოგიას არ ექვემდებარება, მათ სარეალიზაციო საშუალებებზე არის დამოკიდებული და არსებითად სემანტიკით განსხვავდება; მაგალითად, თუ აღნიშნულ დამატებათა რეალიზების პირობებში ერთმანეთს უპირისპირდება პიროვნებისა და ნივთის სემანტიკის ლექსიკური ერთეულები, ზმნა-შემასმენლის II სერიის ფორმებთან შეხამებისას სახელობითის ბრუნვის ფორმას მიიღებს უპირატესად ნივთის სემანტიკის მქონე დამატება; მაგ.:

უკერავენ თინას კაბას — შუუკერეს თინას კაბა;
 უშენებენ ქვრივს სახლს აუშენეს ქვრივს სახლი.
 შებრუნებით, ჩვეულებრივ, არ შეიძლება; გაუმართლებელია

კონსტრუქციები:

შუუკერეს თინა კაბას,
 აუშენეს ქვრივი სახლს და სხვ.

ძალიან იშვიათად მოსალოდნელია ამ დამატებათა თანხვედრა. ეს განსაკუთრებით მაშინაა, როდესაც ლექსიკურად ანალოგიური ან

ერთნაირი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულებითაა
ორივე დამატება; მაგ.:



ფრთას ფრთას შემოჰკრავს,
ფრთა ფრთას შემოჰკრა,
ფრთას ფრთა შემოჰკრა;
ხელს ხელს დაჰკრავს,
ხელი ხელს დაჰკრა,
ხელს ხელი დაჰკრა.

გარდა პიროვნებისა და ნივთის ცნებათა დაპირისპირებისა, იმ შემთხვევაში, თუ დამატებები კონსტრუქციაში ლექსიკურ-სემანტიკურად ტოლფასი ერთეულებითაა წარმოდგენილი, შესაძლებელია წინ წამოწეულ იქნეს სხვა ფაქტორი — ცნებათა ურთიერთმიმართება. უფრო პატარა მოცულობის ცნება ბრუნვაცვალებად დამატებად გვევლინება; მაგ.:

სახლს სახურავს შეუკეთებს, სახლს სახურავი შეუკეთა და არა:
სახლი სახურავს შეუკეთა.
თხას რქას ამტვრევს, თხას რქა მოამტვრია
და არა: თხა რქას მოამტვრია.

ბრუნვაცვლელ დამატებას კუთვნილების ელფერი აქვს. იგი გვიჩვენებს ზმნის პირთან დაკავშირებულ საგანს, რომელსაც მიეკუთვნება ქვემდებარე (სამწევრა კონსტრუქციაში) ან ბრუნვაცვალებადი დამატება (ოთხწევრა კონსტრუქციაში). აღსანიშნავია, რომ ეს მისაკუთვნილებელი დამატება და ქვემდებარე ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულია და ეს ლექსიკური ერთეული ერთსა და იმავე ფორმაშია; მაგ.:

გაუშალა სტუმარს საბანი (დამატება).

↓
ეშლება სტუმარს საბანი (ქვემდებარე).
დაწერა ლექსი (დამატება).

↓
დაიწერა ლექსი (ქვემდებარე).

საყურადღებოა, რომ ეს მოვლენა ზმნა-შემასმენლის II სერიის ფორმებთან გვხვდება, ხოლო I სერიის ფორმები II სერიის ფორმათა ანალოგიით აწარმოებენ კონვერსიას; მაგ.:

ნიკო ამბავს აცნობებს მამას. ამბავი ეცნობება მამას.

↑
ნიკომ ამბავი აცნობა მამას. ამბავი ეცნობა მამას.

↑
ოთხწევრა კონსტრუქციაში ბრუნვაცვლელი დამატება კიდევ ერთ ჯავისებურებას იჩენს: III სერიის ფორმებთან ის კარგავს

კოორდინაციულ ურთიერთობას (ფორმობრივს) და სუბორდინაციულ წევრად იქცევა, მაგრამ ინარჩუნებს კუთვნილების დამატებისათვის დამახასიათებელ გაგებას (ფართო მნიშვნელობით):

კოლმეურნეობას ფონტელის ოჯახისათვის აუშენებია სახლი.

სოფლისათვის გაუყვანიათ გზა და სხვ.

საყურადღებოა, რომ, თუ ობიექტები რეალიზებულია, ერთი მხრივ, I ან II პირის ნაცვალსახელებით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა სახელით, ბრუნვაუცვლელი (მიცემითის) დამატება ნაცვალსახელს ირჩევს ხოლმე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბრუნვაუცვლელი ობიექტი პიროვნების სახელითაა, ჩვეულებრივ, რეალიზებული, ხოლო პირის ნაცვალსახელები ყველაზე მეტადაა დაკავშირებული პიროვნების ცნებასთან; მაგ.:

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ (ი. ჭ.).

მიღონებდნენ მე გულს,

დამიღონეს მე გული.

დამატებათა ფუნქციის შეცვლა (თუკი მოსახერხებელია, ე. ი. ნორმალურ წინადადებას გვაძლევს) იწვევს ზმნა-შემასმენლის პირის შეცვლას: ზღაპრებმა გულს ჩემი თავი დაუღონეს, ან კონსტრუქცია შეიცვლება, თუმცა შეხამება მუდმივი არაა, რადგანაც შეიძლება შეგვხვდეს კონსტრუქციები:

მიმაწერეს — მათ მე მას,

მიმაჯახეს — მათ მე მას.

ეს ფორმები მეორეული უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში, პროდუქტიული არაა. ჩვეულებრივ, ოთხწევრა კონსტრუქციაში ბრუნვა-ცვალებადი დამატება III პირის სარეალიზაციო ერთეულითაა გამოხატული.

დამატებათა რეალიზაციის გათვალისწინება მათი გამიჯვნის საშუალებას გვაძლევს მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მასდარით (საწყისით) არის გამოხატული. ამ შემთხვევაში საწყისით გამოხატული დამატება უპირატესად ბრუნვა-ცვალებადია; მაგალითად, ბალახებმა... სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. (ვაჟა). დამატებათა ფუნქციის შეცვლა აქაც, ჩვეულებრივ არ შეიძლება (დაუწყეს ფრქვევას ცრემლი არამართებულია).

• • •

წინადადების კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, ქვემდებარისა და დამატების (ან დამატებათა) კონსტრუქციაა, მაგრამ ფორმათა აღნიშვნისას ითვალისწინებენ ქვემდებარის ფორმას. „კონსტრუქციის დასახელებისას სუბიექტის ბრუნვის თავისებურებას

ესმის ხაზი“ (იხ. არნ. ჩიქობავა. პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში (ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით), სმამ, ტ. IV, 1943, № 1, გვ. 91). სიმოკლისათვის ჩვენც ასე აღვნიშნავთ.

ამრიგად, წინადადების კოორდინატთა ფორმის მიხედვით გააჩნია სამი კონსტრუქცია: **ერგატიული, ნომინატიური და დატიური**

4. 3. ა. § 1. აქტიური და პასიური კონსტრუქციები

წინადადების კონსტრუქცია იმ პერიოდში უნდა შექმნილიყო, როდესაც ზმნა ნეიტრალური იყო, იგი გარდამავლობა-გარდაუვლობას არ არჩევდა, ენაში ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული გვარის კატეგორია. შემდგომ ამ კატეგორიის წარმოქმნასთან დაკავშირებით ჩნდება აქტიური და პასიური კონსტრუქციები. ზმნის გვარის წარმოქმნის ძირითადი გზაა შუალობითი კონტაქტის ფორმა, რომელიც იმავე დროს მოქმედებითს უღრიდა, ხოლო შემდეგ კონვერსიის გზით — ვნებითის ფორმა: დულს — აღულებს — დულდება („არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. გლ, I, გვ. 059).

კონსტრუქციის წარმოშობა ივარაუდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიქმნა რაიმე დაპირისპირებულობა. ეს დაპირისპირებულობა გარდამავლობის საფუძველზე უნდა შექმნილიყო. მას წინ უსწრებდა განურჩეველპრედიკატიანი კონსტრუქცია, რომელსაც არც ფორმა უნდა ჰქონოდა (ფორმათა წარმოშობა დაკავშირებულია მოვლენის სახეთა დაპირისპირებულობასთან), მაშასადამე, კონსტრუქცია ნეიტრალური იყო; მაგრამ, როგორც კი შეიქმნა მეტყველებაში დიფერენციაცია გარდამავლობის მიხედვით, ნეიტრალურს დაუპირისპირდა ერგატიული კონსტრუქცია, როგორც ლოგიკური სუბიექტის აქტიური მოქმედების გამოხატულება, ხოლო ნომინატიური კონსტრუქცია, შესაძლებელია ერგატიული კონსტრუქციის პარალელურად ან უფრო მოგვიანებით, შეიქმნა, როგორც ლოგიკური ობიექტის ფორმა. სახელობითი ბრუნვა გარდამავალ ზმნებში გაფორმდა, როგორც ობიექტური პირი, ახალი დამატებითი ფორმა (გარდამავალი ზმნის უღლება ობიექტს მიჰყვება), ხოლო გარდაუვალში ლოგიკური ობიექტი სუბიექტად გაფორმდა (იხ. არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. გლ, I, გვ. 059-060).

ზმნა-შემასმენლის აქტიური (მოქმედებითი) და პასიური (ვნებითი) ფორმების მიხედვით წინადადების კონსტრუქცია შეიძლება ზოგადად იყოს აქტიური და პასიური. აქტიური და პასიური კონსტრუქციის წინადადებებს განაპირობებს მთქმელის

მიზანდასახულობა, რომლის მიხედვითაც იქმნება გარკვეული მიმართება სუბიექტსა და პრედიკატს შორის (მეტყველების დონეზე). ეს მიმართება, ძირითადად, შემდეგი სახისაა:

პრედიკატი	სუბიექტი	მიმართება
1) მოქმედება, (პროცესი)	მოქმედი საგანი	აქტიური
2) მოქმედება, (პროცესი)	საგანი, რომელსაც ეხება მოქმედება	პასიური
3) ნიშან-თვისება	საგანი	ატრიბუტული „პრედიკაცია“

ენის დონეზე ეს სამეტყველო მიმართება სტრუქტურულად ფორმდება იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივი (გრამატიკული) საშუალებები გააჩნია ენას მის გამოსახატავად, ე. ი. მთქმელის მიზანდასახულობის შესაბამისად შეიძლება წინადადების სტრუქტურული ფორმაც შეიცვალოს — გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონსტრუქცია ერთი და იმავე ფაქტის ან მოვლენის (ობიექტური სინამდვილის) გადმოსაცემად. აქტიური კონსტრუქცია, როგორც წესი, ეყრდნობა იმგვარად აგებულ მსჯელობას, როდესაც მთქმელი წინ წამოწევს ლოგიკურ სუბიექტს, ხოლო, თუ წინ წამოწეულია ლოგიკური ობიექტი, მაშინ პასიურ კონსტრუქციას მივიღებთ, რომლის გრამატიკული სუბიექტი ლოგიკურ ობიექტს უდრის (იხ. E. Курилович. Эргативность и стадияльность. წგნ. „Очерки по лингвистике“, გვ. 122-123).

აქტიურ და პასიურ კონსტრუქციათა პროდუქტიულობა სხვადასხვა ენაში ნაირგვარია: ზოგ ენაში უფრო ჭარბად გამოიყენება აქტიური კონსტრუქცია (მაგ., ქართულში), ზოგში პასიური (მაგდასავლეთევროპულ ენებში), ზოგში აქტიურიცა და პასიურიც პარალელურად გვხვდება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური კონსტრუქცია ძირითადია, ხოლო პასიური — მისგან მიღებული ისევე, როგორც ყოველი „პასიური ფორმა აქტიურის კონვერსიული სახეა“ (ა. შ ა ნ ი ძ ე. აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით, სმამ, ტ. IV, № 4, გვ. 375).

პასიური კონსტრუქცია სახელობითი ბრუნვის კონსტრუქციაა. ლოგიკური თვალსაზრისით (წინადადებაში გამოხატული აზრის ცნებათა ურთიერთმიმართების მიხედვით) აქტიურსა და პასიურ კონსტრუქციებს შორის განსხვავება არაა. ოპოზიცია აქტიური-პასიური არსებითად კონსტრუქციის ფორმათა მიხედვით ხდება.

აქტიური კონსტრუქცია
ბავშვი ხატავს სურათს.

სურათი იხატება ბავშვის მიერ იბავშვისაგან.

როგორც ვხედავთ, მიმართება აქტიურსა და პასიურ კონსტრუქციებს შორის კონვერსიულია. აქტიური კონსტრუქციის ლოგიკური „პირდაპირი“ ობიექტი იქცევა პასიურის სუბიექტად. სახელობითი ბრუნვა გვევლინება ობიექტის ფორმად გარდამავალ ზმნებსა და სუბიექტის ფორმად გარდაუვალ (პასიურ) ზმნებთან (არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, II, გვ. 126).

აქტიური და პასიური კონსტრუქციები ქმნიან წინააღმდეგობას წინადადების ლოგიკურ მხარესა და გრამატიკულ გაფორმებას შორის. თუ აქტიურ კონსტრუქციაში ლოგიკური სუბიექტი უდრის გრამატიკულ (მორფოლოგიურ) სუბიექტს (იგულისხმება I და II სერიის ფორმებთან შეხამებული სუბიექტი), პასიურში გრამატიკული სუბიექტი არაა ლოგიკურის ტოლი; შდრ.:

მ უ შ ა აშენებს სახლს — სახლი შენდება მ უ შ ი ს ა გ ა ნ .

ხ ა ლ ხ მ ა დასახელა კანდიდატი — კანდიდატი დასახელდა ხ ა ლ ხ ი ს ა გ ა ნ .

ქართულ ენაში ლოგიკური სუბიექტისა და გრამატიკული სუბიექტის ურთიერთდაპირისპირების შედეგად შეიძლება მივიღოთ რეალური სუბიექტის ცნება. მორფოლოგიური და რეალური სუბიექტების ურთიერთობა სინტაქსურ-მორფოლოგიურ საკითხთა არეს არ სცილდება. იგი აპირობებს კონსტრუქციის ელემენტთა პირდაპირსა და ინვერსიულ წყობას. თუ მორფოლოგიური სუბიექტი უდრის რეალურ სუბიექტს, პირდაპირი წყობაა, მაშასადამე, მორფოლოგიური ობიექტიც უდრის რეალურ ობიექტს; ხოლო, თუ მორფოლოგიური ობიექტი რეალურ სუბიექტს უდრის და მორფოლოგიური სუბიექტი — რეალურ ობიექტს, წყობა ინვერსიულია. როგორც უნდა იყოს მათი მიმართება, ორივე ვარიანტი ზმნის მორფოლოგიურ აგებულებაში თავსდება, მაგრამ ლოგიკური სუბიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურ სუბიექტს და, მით უმეტეს, მორფოლოგიურ სუბიექტს. პასიურ კონსტრუქციაში ამგვარ ლოგიკურ სუბიექტს ზმნის პირიანობასთან არავითარი კავშირი არა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში გამოხატულია თანდებულისანი (უპირატესად გ ა ნ და მ ი ე რ თანდებულისანი) სახელით, ხოლო ამ ტიპის ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან კონსტრუქციაში გამორიცხებულია. იგი სუბორდინაციაში თავსდება; მაგ.:

სახლი შენდება კალატოზის მიერ.

ბავშვს ლოყები უწითლდება სირცხვილისაგან.

პასიურ კონსტრუქციაში ლოგიკური სუბიექტი (რომელიც უდრის რეალურ სუბიექტს) შეიძლება გამოხატულ იქნეს მორფოლოგიური ობიექტით. ასეთი მდგომარეობა გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმებზე აგებულ კონსტრუქციებში; მაგ.:
ძ რ ო ხ ა ს შეუქამია თივა.

მ დ ი ნ ა რ ე ს წაელო ხიდი.

ბ ა ვ შ ვ ს დაეწეროს წერილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოქმედებითი გვარის ფორმებთან მონაცვლეობის მიხედვით (სუბიექტურ და ობიექტურ პირთა წყებაში ჩადგომის გამო) III სერიის ფორმები მიჩნეულია გარდამავლად მაშინ, როდესაც ამ სერიაში ზმნები ყოველთვის გარდაუვლია, უპირატესად ვნებითის ფორმები აქვთ.

ერთი მხრივ, რეალური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის, ხოლო, მეორე მხრივ, რეალური ობიექტისა და მორფოლოგიური სუბიექტის მიმართებათა შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ე. წ. „აწმყოშივე ინვერსიული“ ზმნები (უყვარს ტიპისა), რომელთა შესახებ დავა სპეციალურ ლიტერატურაში არ შეწყვეტილა. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა აზრს გამოთქვამს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საკითხის ისტორია კარგადაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 209-228; ალ. ლ ლ ო ნ ტ ი. მიცემითი ბრუნვის ძირითადი სინტაქსური ფუნქციებისათვის ახალ ქართულში. სტალინირის სახ. პედინსტიტუტის შრომები, V, გვ. 366-382), ამიტომ აქ აღარ შევხებით.

შემოაღნიშნულ საკითხზე, ძირითადად, გამოთქმულია ორი მოსაზრება:

1. გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილში კონსტრუქციის თვალსაზრისით ისეთივე ვითარებაა, როგორც — გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში: რეალური სუბიექტი უდრის მორფოლოგიურ ობიექტს, ხოლო შესაბამისად რეალური ობიექტი — მორფოლოგიურ სუბიექტს; მაშასადამე, კონსტრუქციაში ზ ა ზ ა ს უ ყ ვ ა რ ს ვ ა შ ლ ი ქვემდებარეა ზ ა ზ ა ს, როგორც რეალური სუბიექტი; შესაბამისად დამატებაა ვ ა შ ლ ი, როგორც რეალური ობიექტი.

2. ამ ტიპის ზმნებში ნორმალური მდგომარეობაა: მორფოლოგიური სუბიექტი უდრის რეალურ სუბიექტს, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი — რეალურ ობიექტს: მაშასადამე, ვ ა შ ლ ი ქვემდებარეა, ხოლო ზ ა ზ ა ს — დამატება.

პირველი მოსაზრების მომხრეთა აზრით, ობიექტის ნიშნით,

(მ-მორფით) გამოხატულია რეალური სუბიექტი, ის პირი, რომელსაც „აქვს“, „ჰყავს“, „სძულს“, „უყვარს“, „ჰშია“, „სწყურია“ ხოლო სუბიექტის ნიშნით (ს ბოლოსართით) — რეალური ობიექტი, რაც „აქვთ“, „ჰყავთ“, „სძულთ“, „უყვართ“.

მეორე მოსაზრების მომხრეთა თვალსაზრისით, სახელობითის ფორმა არ შეიძლება იყოს ობიექტი: თუ ზმნა გარდაუვალია, ობიექტი ირიბია, ხოლო ირიბ ობიექტს სახელობითში არა ესაქმება. რა.

საზოგადოდ, ქვემდებარე სუბიექტური პირის ფარდი სახელია. ეს ფარდობა (კორელაცია) პირისა წინადადების მოდელის საფუძველია. მოდელის ნორმალურ ინტერპრეტაციაში ეს მართლაც ასეა, მაგრამ პირთა რეალიზაცია (სტრუქტურული მოდელის ინტერპრეტაცია — გადასვლა წინადადებაში) მხოლოდ მოდელისმიერ თავისებურებებს არ უწევს ანგარიშს. წინადადება ითვალისწინებს მთქმელის ლოგიკურ მიზანდასახულობას, რის მიხედვითაც მსჭელობა შეიძლება გამოდიოდეს ან სუბიექტიდან, ან ობიექტიდან ამოსვლით. რიგ შემთხვევაში პასიურ სუბიექტს (მ ი წ ა ფ ე ხ ე ბ ი დ ა ნ ე ც ლ ე ბ ა, ხ ი დ ი შ ე ნ დ ე ბ ა), შემასმენელი აქტიურადაც წარმოგვიდგენს (მ ა ნ ქ ა ნ ა ხ ე ს ე ჯ ა ხ ე ბ ა, დ ე დ ა შ ვ ი ლ ს ე ა ლ ე რ ს ე ბ ა და და ს ხ ვ.), რადგანაც კონვერსირებული პირის ლოგიკური მნიშვნელობა სუსტდება და ზოგჯერ ნულამდე დადის, მაგ., ზემოაღნიშნულ კონსტრუქციებში კონვერსიული აქტიური კონსტრუქციის აღდგენა შეიძლება (მ ძ დ ო ლ ი მ ა ნ ქ ა ნ ა ს ა ჯ ა ხ ე ბ ს ხ ე ს) ან არ შეიძლება (გ რ ძ ნ ო ბ ა დ ე დ ა ს ა ლ ე რ ს ე ბ ს ბ ა ვ შ ვ ს).

რიგ სტატიკურ ზმნებში ლოგიკურად უფრო ტევადია ობიექტის ცნება (კ ა ც ს ქ უ დ ი ჰ ხ უ რ ა ვ ს, მ ო ნ ა დ ი რ ე ს თ ო ფ ი ა კ ი დ ი ა და ს ხ ვ.). ვფიქრობთ, ასეთივე მდგომარეობაა უ ყ ვ ა რ ს ტიპის ზმნებშიც, რომლებშიც ობიექტური პირის ცნება უფრო ტევადია; შეიძლება იმიტომაც, რომ, ჩვეულებრივ, ასეთ წინადადებებში ობიექტი სულიერთა სახელით, ე. ი. სინტაქსურად უფრო ძალისმიერი ლექსიკური ოდენობითაა გამოხატული. ცნებათა ურთიერთ-ძიმართებას კი მოდელის ელემენტთა რეალიზაციის დროს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა (მაგალითად, რუსულ) ენაზე თარგმნის დროს აღნიშნული ტიპის ზმნები (ზუსტად გადათარგმნისას) ობიექტის შეხამებას ინარჩუნებენ.

- მიყვარს — мне люблю || я люблю,
- მძულს — мне ненавистно || я ненавижу,
- მშია — мне голодно || я голоден,
- მწყურია — мне хочется пить || я хочу пить,
- (არ) მძინავს — мне [не] спится || я [не] сплю.

არის რიგი ზმნები, რომლებიც ერთპირიანნი ნორმალურ ვითარებას გვიჩვენებენ (ღ გ ა ს, წ ე ვ ს... იგი, ასევეა სტატიკური ვნე-
 ჯითის ფორმები: წ ე რ ი ა, ხ ა ტ ი ა, გ დ ი ა... იგი), ხოლო ორპირი-
 რიანნი ე. წ. აწმყოშივე „ინვერსიულ“ ზმნათა ანალოგიურ შინაარსს
 ვაღმოგვცემენ:

უღჯას	}	იგი მას (თუ მას იგი? შღრ. უყვარს იგი მას)
უწიეს		
უწერია		
უხატია		
უგღია		

საკითხის უფრო ნათლად გასარკვევად მოვიშველიოთ წყებაში
 წაყენების (სუბსტიტუციის) პრაქტიკული ხერხი.

როგორც ცნობილია, სადავო ზმნები მედიო-პასიურ ზმნათა
 წყებას განეკუთვნება (გვულისხმობთ, რომ სტატიკურ ზმნებში —
 : ხ ე რ ი ა ტიპისა — ქვემდებარის საკითხი სადავო არაა. იგი სახე-
 ლობით ბრუნვაშია, თუმცა ზოგჯერ ამ ტიპის ზმნებსაც საცილობელ
 ზმნათა წყებაში ათავსებენ). მედიო-პასიური ზმნებისათვის ნიშან-
 დობლივია მწკრივნაკობა (რაც, საერთოდ, მედიალურ ზმნებს ახა-
 სიათებს). საშუალო გვარის (მედიალური) ზმნები ნაკლულ მწკრი-
 ვებს სესხულობენ ან მოქმედებისაგან (მედიო-აქტივი), ან ვნებითი-
 საგან (მედიო-პასივი). ზემოაღნიშნული საცილობელი ზმნები რომ
 მედიო-პასივთა წყებას განეკუთვნებიან, ეს არა მარტო მორფოლო-
 გიურად, არამედ კონსტრუქციულადაც ნიშანდობლივია, რადგანაც
 შენაცვლება (და, მით უმეტეს, სესხება) ფუნქციური მსგავსების სა-
 ფუძველზე ხდება:

უყვარს — ეყვარება,
 სძულს — ეძულება,
 ში ა — ეში(ვ)ება,
 სწყურია — ეწყურება,
 აქვს — ექნება,
 ჰყავს — ეყოლება და ა. შ.

თუ აღნიშნული ტიპის ზმნებში ქვემდებარედ მიცემითის ფორ-
 მის სახელებს ვაღიარებთ, მაშინ იმავე ფორმის სახელები ქვემდე-
 ბარედვე უნდა ჩავთვალოთ ე ყ ვ ა რ ე ბ ა, ე ქ ნ ე ბ ა და სხვა ფორ-
 მებშიც. ეს კი აღარ შეიძლება, რადგანაც ეს ზმნები აშკარა ვნები-
 თის ფორმებია და პასიურ კონსტრუქციებს ქმნიან, ხოლო პასიური
 კონსტრუქციის არსებითი თვისება სახელობითი ბრუნვის ფორმი-
 ნი ქვემდებარეა.

რივ იმპერსონალურ ზმნებს, რომლებიც შედგენილია შემას-

მელნისაგან არის მიღებული (ცივა, ცხელა, გრილა და სხვ.), ხშირად ემატება ერთი პირი (ირიბი ობიექტი): მაგ.: ს-ცივა მას, ს-ცხელა მას, ჰ-გრილა მას; შდრ.: (*ჰ-) შია მას, ს-წყურია მას და სხვ. ეს ზმნები პირთა დამოკიდებულების თვალსაზრისით ისეთსავე მიმართებას ქმნიან, როგორსაც ზემოთ აღნიშნული საშუალო გვარის ზმნება; მაგ.:

ს-ცივა — (შე-)ს-ცივდება

ს-ცხელა — (და)ს-ცხება

ჰ-გრილა — (და-)ჰ-გრილდება და მისთ.

აზრობრივი მიმართების მიხედვით, ამ ზმნებთან შეხამებული მიცემითი ბრუნვის ფორმიანი სახელიც რეალური სუბიექტია (ყოველ შემთხვევაში, არაფრით განსხვავდება უყვარს ზმნის რეალური სუბიექტისაგან), მაგრამ მიცემითი ბრუნვა აქაც ირიბი ობიექტის ბრუნვაა, რომელიც წინადადებაში „ირიბი“ დამატებით არის რეალიზებული.

სხვათა შორის, წყებაში ჩაყენების საფუძველზე ზოგიერთი ზენოაღნიშნულ ზმნათაგან (ოღონდ ზმნისწინიანი, როგორცაა: მო ა ქ ვ ს, მო ჰ ყ ა ვ ს) მედიო-აქტივთა ვითარებას გვიჩვენებს.

ეს ზმნები (როგორც გამოჩაქლისი, ისიც ფუძის შენაცვლების საფუძველზე) „ენას გათანაბრებული აქვს გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან, სადაც ინვერსიას აქვს ადგილი“ (ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, გვ. 226), ამიტომ მათთან ქვემდებარედ შეიძლება (პირობით) ჩაითვალოს ნიცემითი ბრუნვის ფორმით გამოხატული სახელი.

გამოჩაქლისის სახით აღნიშნება აგრეთვე მოთხრობითი ბრუნვის ფორმიანი სახელი I სერიის ფორმებთან. ასეთი მდგომარეობა გვაქვს ორად-ორ ზმნასთან (ი ც ი ს, უ წ ყ ი ს—მან ივი). ეს ვადმონაშთაა იმ უძველესი მდგომარეობისა, როდესაც გარდამავალ ზმნათა აწმყოს როლს ხოლმეობითი ასრულებდა და კონსტრუქციასაც შესაბამისს (მოთხრობითისას) ქმნიდა (მან იცის, მან უწყის).

ამ საკითხის შესახებ არსებობს არნ. ჩიქობავას მნიშვნელოვანი გამოკვლევა (არნ. ჩიქობავა. პერმანსივის („ხელმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. სმამ, ტ. IV, № 1, 1943), ამიტომ ჩვენ აქ აღარ შევებებით; ოღონდ ერთი რამ არის აღსანიშნავი: ი ც ი ს ზმნა ენამ გარდაუვალთა წყებაში მოათავსა და ნაკლულ მწკრივებში ვნებითი შეუნაცვლა, თუმცა, სტატიკურ ვნებითთა მსგავსად, ეს ზმნა II სერიის ფორმებს ველარ აწარმოებს, რადგანაც II სერიის ფორმებს I სერიის მწკრივთა ფუნქციის შესრულება დაეკისრა; შდრ.:

იცი ს ეცოდინება
 იცოდა ეცოდინებოდა
 იცოდეს ეცოდინებოდეს
 (** ეცოდინა)
 (** ეცოდინოს)
 სცოდნია
 სცოდნოდა
 სცოდნოდეს

შენიშვნა: როგორც ცნობილია, იცის გარდამავალი ზმნაა, მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ მოქმედებითისა არაა, რადგანაც საპირისპირო ვნებითი არა აქვს (არნ. ჩიქობავა. მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში. იკე, V, 1953, გვ. 35).

საინტერესოა ამ კონსტრუქციის ფორმები. აწმყოს წრეში მოთხრობითი ბრუნვის ფორმის სუბიექტურობა ექვს არ იწვევს (ქვემდებარება მან პირის სარეალიზაციო ერთეული). შენაცვლებულ ფორმებში კი მის რიგში დგება გარდაუვალი (ვნებითი გვარის) ზმნის ობიექტი (მას ეცოდინება ის; მას სცოდნია იგი). აქაც დატიურა კონსტრუქცია უნდა დავუშვათ.

კონსტრუქციის ელემენტთა (კოორდინატთა) რაოდენობის თვალსაზრისით, განსახილველია ე. წ. „ოთხპირიანი“ ზმნის საკითხი. ქართულ ენაში გვაქვს ზმნები, რომლებიც ოთხ სახელს შეიწყობენ: მიმიკერა, მიმიბა, მიკმი... მან მე იგი მას; ხუთ ლეკს მამიკრა თავია (ვაჟა); მამიკრა მან მე იგი მას; დამლუბე, ათი წლის საზრდო წამიხდენინე ქორებსა (ვაჟა); წამიხდენინე შენ მე იგი მათ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ტიპის ზმნები ოთხპირიანნი არიან (იხ. ლ. კიკნაძე. ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 8-9, გვ. 72-74; ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 344-347; ლ. კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 46), თუ ამ აზრს მივიღებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ კონსტრუქცია ზოგჯერ ხუთწევრაცაა. როგორც წესი, ეს დამატებითი პირი მიცემით ბრუნვაშია და იმავე დროს ბრუნვაუცვლელადაა წარმოდგენილი, ე. ი. გვაძლევს ზმნის ირიბი ობიექტური პირის გაგებას. დამატებითი ირიბი ობიექტური პირი ორპირიან ზმნებშიც არის აღნიშნული (დაჰპირდა იგი მას დახმარებას, მოუყვა იგი მას ამბავს), ე. ი. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა სამპირიანად არის ქცეული, მაგრამ გარ-

დაუვალთა ჯგუფიდან არ არის გამოსული, ზმნა კვლავ ვნებითი გვა-
ოისად რჩება, თუმცა სასაუბრო მეტყველებაში არის ცდა ამგვარი
ზმნების მოწესრიგებისა (გარდამავალი ზმნის კონსტრუქციისადმი
შეგუებისა):

მოუყვა ბ ე ბ ი ა შვილიშვილს ზ ღ ა პ ა რ ს → მოუყვა ბ ე-
ზ ი ა მ შვილიშვილს ზ ღ ა პ ა რ ი.

შეეკითხა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ მ ა მოსწავლეს გ ა კ ვ ე თ ი ლ ი
(შდრ.: ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს გაკვეთილი);

დაჰპირდა მ ა ნ მ ა ს ი გ ი;

დ ე ღ ა ჩ ე მ მ ა ი მ დ ე ნ ი ეჩიჩინა მას (შდრ.: დედაჩემი იმ-
დენს ეჩიჩინა მას) და სხვ.

როგორც ჩანს, მეტყველება არღვევს ენის ნორმებს, მაგრამ
ნორმათა დარღვევა ამ შემთხვევაში მხოლოდ წინადადებაში ხდება,
რადგანაც ეს დამატებითი პირი ზმნისათვის მხოლოდ მოჩვენებითია.
ზმნის ძირითადი მორფოლოგიური ნიშანი პირთა მიხედვით ცვალე-
ბადობაა (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. უღვილილების ერთი თავისებურება
ქართულ ზმნაში. „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, № 14,
გვ. 15). ზმნის პირად ჩაითვლება არა ყველა სახელი, რომელიც მას-
თან სინტაქსურად არის შეხამებული (რომელი ბრუნვის ფორმითაც
უნდა შეეხამოს მას), არამედ — მხოლოდ ის, რომელსაც შეუძლია
ზმნის უღვილიების სისტემაში პირის მიხედვით დამოკიდებულების
შექმნა, ე. ი. პირს ერთ ფორმაში მაინც უნდა გააჩნდეს ნიშანი ზმნა-
ში. სხვა შემთხვევაში იგი ზმნის პირი, ბუნებრივია, არ იქნება. სა-
ხელთა შეწყობა არ წყვეტს ზმნის პირის საკითხს, იგი მხოლოდ
პრაქტიკული (სასკოლო) ხერხია, რომელიც, ჩვეულებრივ, ემთხვევა
ზმნის (მორფოლოგიურ) პირიანობას და, სანამ აღნიშნული (დამა-
ტებითა) სახელები ზმნაში სათანადო მორფებით (პირის ნიშნებით)
არ აისახება, ისინი მოჩვენებითს პირებად დარჩება.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ზმნა-შემასმენელთან სახელებია
დაკავშირებული და წინადადებაში მათ სათანადო კვალიფიკაცია
სჭირდებათ. ამ თვალსაზრისით ე. წ. „ოთხპირიან“ ზნებში ენა მარ-
ტივად მოიქცა; გაუჩინა პარალელური თანდებულიანი ფორმები და
კოორდინაციული რიგის ელემენტობის „პრეტენდენტს“ ადგილი
სუბორდინაციულ რიგში მიუჩინა (მ ი მ ი კ ე რ ა დედამ მე ლილი
ხ ა ლ ა თ ს ო ხ ა ლ ა თ ზ ე; მ ი მ ი ბ ა მასპინძელმა მე ცხენი ლ ო-
პ ე ს ო ლ ბ ე ზ ე; მ ი ჰ მ ი ა მეზობელმა მე საკმელი ბ ა ვ შ ვ ს ო ბ ა ვ-
შ ვ ი ს ა თ ვ ი ს და სხვ.), ხოლო ორპირიან („სამპირიან“) ზმნებში,
როგორც ზემოთაა აღნიშნული, ცდილობს მის ნორმალიზებას.

კოორდინატთა გაჩენა (ან გაჩენის პრეტენზია) ენის თვისებაა,
მაგრამ იგი არ წარმოადგენს ენის განვითარების კანონზომიერ გზას.

ჩვეულებრივ, ეს ხდება წინადადების ლოგიკური დატვირთვის მიზნით ან შენაცვლების საფუძველზე. ორივე უნდა განხილულ იქნეს, როგორც კერძო შემთხვევა, და არა, როგორც კანონზომიერება.

4. 8. ა. § 2. გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთა კოორდინაციული მიმართება ქვემდებარესთან

ზმნა-შემასმენლის სინტაქსური ძალა კოორდინაციაში ელინდება. ნებისმიერ კონსტრუქციაში ზმნა-შემასმენელი მართავს სახელით რეალიზებულ სინტაქსურ ერთეულს — მოითხოვს შეხამებული სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას (ზოგჯერ — ცვალებადობის ასახვასაც).

ჩვეულებრივ, ამ მიმართების შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ ბრუნვაში ზმნა მართავს სახელს შემდეგ შემთხვევებში:

ა) გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი — 1) არსებით სახელსა და ნაცვალსახელებს (ქვემდებარის სარეალიზაციო ერთეულებს): სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში (საყოველთაოდ გავრცელებული ნიმუშები — მონადირე < კლავს, მონადირემ < მოკლა მონადირეს < მოუკლავს). მართვა რეალური, დინამიკურია.

2) არსებით სახელსა და ნაცვალსახელებს (ბრუნვაცვალებადი ობიექტის სარეალიზაციო ერთეულებს) მიცემითსა და სახელობითში (კლავს > ირემს; მოკლა, მოუკლავს > ირემი). მართვა აქაც რეალური, დინამიკურია.

3) არსებით სახელსა და ნაცვალსახელს (ბრუნვაუცვლელი ობიექტის რეალიზაციო ერთეულებს) — მიცემითში. მართვა რეალური, სტატიკურია.

ბ) გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი — არსებით სახელს ან მის ეკვივალენტ ნაცვალსახელებს (მხოლოდ ბრუნვაუცვლელი დამატების სარეალიზაციო ერთეულებს) მიცემით ბრუნვაში (ეზრდება > დედას, უჯავრდება > შვილს). მართვა რეალური, სტატიკურია.

როგორც ვხედავთ, ზმნა-შემასმენელსა და მის პირთა სარეალიზაციო ერთეულებს შორის შეხამების ყველა შემთხვევაში აღნიშნულია მართვა, გარდა ორისა: 1) გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის მიერ სახელისა (ქვემდებარისა) და 2) საერთოდ როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის მიერ ნაცვალსახელებისა (ქვემდებარისა და დამატებათა I და II პირის სარეალიზაციო ერთეულებისა) ბრუნვაში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარდაუვალი ზმნით გამოხატული შემასმენელი არ მართავს ქვემდებარეს ბრუნვა-

ში (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 271; ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 112).

ამ შეხედულებების მომხრენი აღნიშნულ დებულებას, ძირითადად, ორი არგუმენტით ასაბუთებენ:

1) სახელი სახელობითს ბრუნვაშია, ხოლო სახელობითი პირდაპირი (დასახელების, ნომინაციის) ბრუნვაა;

2) სახელობითი ბრუნვა მუდმივია, უცვლელია, ე. ი. მართვა არ არის დინამიკური.

ჩვეულებრივ, როდესაც ბრუნვათა ფუნქციებს იხილავენ, აღნიშნავენ, რომ სახელობით ბრუნვა ნომინაციისაა (დასახელებისა); მაშასადამე, ის პირდაპირია; გარდა ამისა, სახელობითი ქვემდებარის ბრუნვაა. ესეც ამტკიცებს, რომ ის პირდაპირია; ამიტომ სახელობითში (ქვემდებარის რეალიზაციისას) არ შეიძლება გვექონდეს მართვა. ზემოაღნიშნული მართლაც ასეა, მაგრამ არა ქართული, არამედ ინდოევროპული ენებისათვის, რომელთაც ზმნის აბსოლუტური აგებულების გამო ცალკეულ ბრუნვათა კონკრეტული ფუნქციები უფრო დაზუსტებული აქვთ (მაგალითად, სუბიექტი ყოველთვის ნომინატივშია, პირდაპირი ობიექტი — ყოველთვის აკუსატივში უთანდებულოდ და სხვ.). მართვის განმარტებისას აღნიშნული ჯგუფის ენებში შესაბამისად ითვალისწინებენ ამ თავისებურებას. მართვა ინდოევროპული ენებისათვის ნიშნავს პირდაპირი ბრუნვიდან ირიბში გადაყვანას.

ქართულ ენაში სახელობითი ბრუნვა არ არის მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვა, იგი საზიაროა დამატებასთან. სახელობითი ბრუნვა იმავე დროს არ არის დასახელებისა, ქართულ ენას ამისათვის სპეციალური ბრუნვა გააჩნდა (წრფელობითი). ბოლოსდაბოლოს სახელობითი არც ისე ძველი ბრუნვაა, მას ისტორიულად წინ სხვა ბრუნვათა გაჩენა უსწრებდა (არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 270; მისივე, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 26მ; იხ. აგრეთვე სმამ, 1942, ტ. III; ბ. ფოჩხუა. მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში. წგნ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II. თბ., 1961, გვ. 57).

რაც შეეხება მის უცვლელობას, სტატიკურობას, იგივე „ბრალდება“, რომლის საფუძველზეც უარყოფილია ზმნისაგან სახელის მართვა სახელობით ბრუნვაში. შეიძლება წავუყენოთ ირიბ ობიექტსაც. რომელიც ისევე უცვლელია, როგორც სახელობითი; შდრ.:

ზღვის მოქცევისას წყლით იფარება ნაპირი



იფარება დაიფარა დაფარულა	} ნაპირი	ეფარება დაეფარა დააფარვია
--------------------------------	----------	---------------------------------

უცვლელ მდგომარეობაში მართვის უნარს ვანიჭებთ ზმნა-შემას-მენელს სხვა ბრუნვებში: (დანიშნეს > დირექტორად, დაწე-რა > ფანქრით, იქცა > სინამდვილედ და სხვ.), სადაც დაქ-ვემდებარება მხოლოდ ერთი ფორმით ხდება; კიდევ მეტი, მართვის უნარს არ უარყვოფთ, როდესაც ვამბობთ, რომ თანდებული მარ-თავს სახელს ბრუნვაში (მათ შორის სახელობითშიც: კაცი-ვით, ლომ-ი-ვით... და სხვ.) და, თუ თანდებულს, უდებერს, ამ ფუნქციას ვანიჭებთ, რატომ უნდა მოვაკლოთ ეს თვისება ისეთი ძლიერი კლასისა და მრავალფეროვანი კატეგორიების მქონე სიტყვას, როგორც არის ზმნა?

ნამუშისათვის განვიხილოთ კონსტრუქციები: წერილი დაიწე-რა, წყალი გაიყინა და მისთ. ამ კონსტრუქციებში აღინიშნება ქვემ-დებარის რეგულარული სახელობითი ბრუნვა. ამ ტიპის ერთეული ტრადიციულად ქვემდებარედ არის გაგებული, მაგრამ არის კი იგი ხამდვილი ქვემდებარე, ე. ი. იმ საგნის აღმნიშვნელი, რომელიც მოქ-მედებას ასრულებს ან რომელსაც ზმნით გამოხატული მოქმედება მიეწერება? მაგ., წერილი აღნიშნული კონსტრუქციიდან მორ-ფოლოგიური სუბიექტია, მაგრამ ლოგიკური ობიექტია: ზმნის სუ-ბიექტური პირია, მაგრამ მოქმედი პირი არაა. ამ თვალსაზრისით რა მიმართება იქმნება შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის? მორ-ფოლოგიურად — სუბიექტური, ლოგიკურად და სემანტიკურად — ობიექტური. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინტაქსური მიმართება ითვალისწინებს არა მარტო მორფოლოგიურ შეხამებას, არამედ სე-მანტიკურსაც.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ არ არის აღნიშნული ქვემ-დებარესა და შემასმენელს შორის მართვა რუსულსა და ინდოევრო-პულ ენებში? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ამ ენებში ქვემდებარის რეგულარული სახელობითი ბრუნვა არ უპირისპირდება სხვა ფორ-მებს, ქართულში კი გვაქვს ასეთი ოპოზიცია: ბრუნვაუცვლელი ქვემდებარე — ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე. ამ ოპოზიციას ქმნის ზმნის გარდამავლობა (კონსტრუქციის კონკრეტული ფორმებისათ-ვის — გვარი). ქვემდებარის სახელობითი ბრუნვა შეპირობებულია იმით, რომ ზმნა-შემასმენელი გამოხატულია გარდაუვალი ზმნით, შესაბამისად ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე შეპირობებულია იმით,

რომ ზმნა-შემასმენელი გამოხატულია საერთოდ გარდამავალი და საშუალო გვარის ფორმებისადმი შენაცვლებული კვლავ „გარდამავალი“ ზმნით; ხოლო სინტაქსური დამოკიდებულების უარყოფა იქ, სადაც ერთი ერთეულის ფორმა შეპირობებულია მეორე ერთეულის კატეგორიით, საზოგადოდ არ შეიძლება. სახელობითი თუ ბრუნვა, იგი დამოკიდებულების ფორმაა.

თუ კოორდინაციად მივიჩნევთ მხოლოდ საურთიერთო მართვას, როგორც ეს დღემდე ტრადიციულად არის აღიარებული ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, მაშინ, ცხადია, ზემოაღნიშნულ შეხამებებში კოორდინაცია არ გვექნება, მაგრამ საურთიერთო მართვა ქვემდებარე-შემასმენლისა თუ შემასმენელ-დამატებათა წყვილებში ამჟამად ეპქექვეშ დგება: აღნიშნულ წყვილებში პირში მართვის ნაცვლად დგინდება შეთანხმება (იხ. 3. 6. ბ. § 6). გარდა ამისა, კოორდინაციის ცნება უფრო ფართოდ განიხილება, მასში იგულისხმება საურთიერთო დამოკიდებულება, საურთიერთო შეპირობებულობა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ერთდროულად მართვისა და შეთანხმების გზით. საურთიერთო შეპირებულობას, რომელიც საურთიერთო მიმართებას — კოორდინაციას — ქმნის, უპირისპირდება ცალმხრივი შეპირებულობა, რომელიც ცალმხრივ მიმართებაში — სუბორდინაციაში — ვლინდება (კოორდინაციისა და სუბორდინაციის შესახებ იხ. ზემოთ 3. 5. ა.).

ზემოთქმულის დასადასტურებლად გადავხედოთ ქართული ზმნის ფორმათა (წინადადების კონსტრუქციაზე გავლენის მომზღუნთა) გენეზისს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ზმნის გვარის განვითარების გზა შემდეგი უნდა ყოფილიყო: სტატიკური ზმნა → მოქმედებითი → ვნებითი

(სტატიკურის (მოქმედებითის კონკაუზატივი) ვერსიული ფორმა)

წუხს → ა-წუხებს → წუხდება

ხურს → ა-ხურებს → ხურდება

ჩუმს → ა-ჩუმებს → ჩუმდება და სხვ.

თუ გადავხედავთ ზმნა-შემასმენლისაგან სახელობითის ბრუნვაში მართვის უარყოფის შემთხვევებს, ისინი სწორედ ვნებითი გვარის შემასმენელთან აღინიშნება. თუ ვნებითი მოქმედებითის კონვერსიული სახეა, მაშინ ვნებითის სუბიექტი შესაბამისი მოქმედებითის პირდაპირი ობიექტის ტოლფასია როგორც ლექსიკურ-სემანტიკურად, ისე ლოგიკურ-სინტაქსურად.

კონვერსიის პირობა პირის დაკლებაა, ამასთან ერთად „მოქმ. გვარის ფორმის ვნებითში გადაყვანის დროს ის პირი, რომელიც აქ-

ტივეში პირდაპირ ობიექტურია (ანუ, შემოკლებით, რომელიც პირდაპირია), სუბიექტური ხდება პასივში. ეს შემდეგ ნიშნავს: რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განიცდის პასივში“ (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 292-293. ხაზგასმა ჩვენია. — ა. დ.).

ლუარსაბმა ქერს მიაბჯინა თ ვ ა ლ ე ბ ი → ლუარსაბის თ ვ ა ლ ე ბ ი მიებჯინა ქერს.

კალატოზმა ააშენა ს ა ხ ლ ი → კალატოზისაგან აშენდა ს ა ხ ლ ი და სხვ.

როგორც ვხედავთ, გარდამავალი ზმნის სახელობითის ობიექტი იგივეა, რაც გარდაუვალი ზმნის სახელობითის სუბიექტი. მეორეში მოქმედება განიხილება ლოგიკური ობიექტიდან ამოსვლით.

პასიური კონსტრუქცია სახელობითი ბრუნვის (ნორმინატიური) კონსტრუქციაა. იგი შეიძლება ზუსტად გადმოგვცემდეს იმავე შინაარსსა და აზრის კომპონენტთა ლოგიკურ მიმართებას, როგორც გამოხატულია აქტიურში (ბავშვი აქედებს ლურსმანს — ლურსმანი იქედება ბავშვისაგან).

გვაქვს შემთხვევები, როცა კონვერსიის შემდეგ სახელობითის ობიექტს სახელობითის სუბიექტად ქცევისას გადაჰყვა თავისი მიმართების მორფიც, რომელიც ახალი ვითარებისათვის უმართებულ ჩანს. ვგულისხმობთ სახელობითის ობიექტის მრავლობითობის -ნ-მორფს ისეთ ფორმებში, რომლებშიც ეს ნაობიექტარი სახელობითი სუბიექტია; მაგ., დამალ-ნ-ა იგინი → დაიმალ-ნ-ეს იგინი.

საყურადღებოა ამ მხრივ ზმნა იყვნენ. „ნარი ამ ფორმაში მექანიკურად არის გადმოსული მოქმედებითი გვარისაგან, როცა დამატებად იყო მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა ნი დაბოლოებით წარმოებული: მათ ყვეს იგი, მაგრამ მათ ყვნ-ეს იგინი... აქედან: იგინი იყვნეს მისა მიერ (თანამედრ. იყვნენ). უკანასკნელს შემთხვევაში (მათ ყვნეს იგინი) ნ-არი ამჟამად არ იხმარება; ახლა ჩვენ ვწერთ და ვამბობთ: მათ ყვეს იგი, იგინი; ამისდამიუხედავად, მოქმედებითი გვარის გარკვეულ ფორმაში წარმოშობილი ეს ნარი, ვნებითში მექანიკურად გადაბარგებული, შეენახა ენას ამ უკანასკნელის ფორმაში: იყვნენ სეკუნდარ შემთხვევაში, ხოლო პირველად მის „სამშობლოში“ იგი მოისპო“ (არნ. ჩიქობავა. ხანმეტი და პაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1925, № 3-4 (15-16), გვ. 70).

ამრიგად, მორფი ზმნას გადაჰყვა კონვერსიის შემდეგ ახალ ვითარებაში. ასევე წინა ვითარების თვისება რომ შეიძლება გადაჰყვეს სიტყვათშეხამებას ახალ მიმართებაში, ეს კარგად ჩანს აგრეთვე სა-


ერთოდ კონვერსირებულ (საზოგადოდ პირდაკარგულ) ფორმებში, სადაც წინა ვითარების მიხედვით ყველგან აღინიშნება მართვა:

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ	{	მუშაობდა	დ ა ნ ი თ	}	გათალა
		მუშაობა			გათლა
		მომუშავე			გათლილი

ვერაუდობთ, რომ ზუსტად ასეთივე ვითარება უნდა გვექონოდა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც აბსოლუტური აგებულების (ან საერთოდ გარდაუვალი) ზმნის სუბიექტად გამოყენებულია სახელობითი ბრუნვის ფორმა.

რასაკვირველია, იქ, სადაც ქვემდებარე სახელობითშია, ყველგან მას ეს გზა (სტ. ზმნა → აქტიური — პასიური) არ უნდა გაველო. ოდენფუძიანი კონსტრუქციიდან სახელობითში გადასვლისას მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ანალოგიაც. ე. წ. ძველ სტატიკურ ზმნებში ამჟამად სახელობითის კონსტრუქცია სწორედ ანალოგიით უნდა იყოს მიღებული.

ამრიგად, ზმნის გვარისა და მისი შესაბამისი კონსტრუქციების განვითარების სქემა შემდეგნაირად დაზუსტდება:



1. 3. ა. § 3. ნეიტრალური (ინდიფერენტული) კონსტრუქციის საკითხი

ზმნა-შემასმენლისაგან სახელის მართვის ანალიზის დროს განსახილველია აგრეთვე ე. წ. „ნეიტრალური“ კონსტრუქცია.

ძველ ქართულ ენას უფრო ძველ პერიოდში, ვიდრე დამწერლობა ჩამოყალიბდებოდა, საფიქრებელია, ახასიათებდა ინდიფერენტული (ნეიტრალური) კონსტრუქცია, რომლის ნაშთსაც ძველ ქართულ ძეგლებში შემორჩენილი ფორმები წარმოადგენს (მაგალითად, „აბრაჰამ შვა ისააკ; ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი“).

ქართული ენის მკვლევარნი ნაცვალსახელურ კონსტრუქციაშიც (I და II პირში) ნეიტრალურ კონსტრუქციას ხედავენ (არნ. ჩიჭობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 3-4 და შმდ.).

ისტორიული თვალსაზრისით აქ სადავო არაფერია, მაგრამ სინქრონიული ანალიზის დროს (თანამედროვე ქართული ენის ვითარების

მიხედვით) ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც აქ, ჩვენი აზრით, ერთმანეთთან აღრეულია მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. ჩვენ აღრეც აღვნიშნავდით, რომ ის, რაც სინტაქსის სფეროს გარეთ მდებარეობს, სინტაქსური მოვლენა არ არის, მაგრამ, შესაძლებელია, სინტაქსისათვის მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. თუ რაიმე სინტაქსურ მოვლენას მორფოლოგიური გამოხატულება არა აქვს, აქ სხვადასხვა რიგის მოვლენებთან უნდა გვეჭონდეს საქმე:

1) ფორმანტი (მორფი) იყო და აღარ არის, დაკარგულია რაიმე სხვა, არასინტაქსური, მიზეზის გამო; მაგალითად, II სუბ. პირის ნიშანი ჰ ხმოვნებით დაწყებულ ზმნის ფუძესთან (ჰ→Ø). აქ ჩვენ ვმსჯელობთ რეალურ, მაგამ უნიშნოდ გამოხატულ სინტაქსურ ურთიერთობაზე.

2) ფორმანტი (მორფი) არც ყოფილა ისტორიულად (რამდენადაც ჩვენთვის მისაწვდომია მისი ისტორია) და არც ახლა არის, მაგრამ მისი ტოლფასი ერთეულები ასახულია სათანადო მორფით. ასეთია, მაგალითად, სახელობითის ობიექტი, რომელიც III პირის ფორმაში ჩვეულებრივ არ აღინიშნება, მაგრამ I და II პირის ფორმებში ყოველთვის აღნიშნულია, რის გამოც ასეთ მიმართებას ანალოგიურს, პოტენციურს, ვუწოდებთ.

3) ფორმანტი (მორფი) ოდესღაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად აღარ არის. ასეა, მაგალითად, ზმნიზედათა და მათ ტოლფას თანდებულებიან სახელთა ურთიერთობაში ზმნა-შემასმენელთან. ოდესღაც, იმ დროს, როცა ზმნიზედებს სახელთა სახე ჰქონდათ და, რასაკვირველია, ზმნა-შემასმენლისაგან მართულნი იყვნენ, ეს დამოკიდებულება სათანადო მორფით უნდა ყოფილიყო გაფორმებული, მაგრამ დროთა ვითარებაში ფორმა გაქვავდა, შემდეგ ფორმანტი დაიკარგა სხვადასხვა (უმთავრესად ფონეტიკური) მიზეზების გამო და ბევრმა ზმნიზედამ დაიკარგა თავისი პირვანდელი სახე, ასე რომ ახლა ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რა სახით უნდა ყოფილიყო ძველად ესა თუ ის ზმნიზედა წარმოდგენილი. ამ გზას ამჟამად თანდებულებიანი სახელებიც აღგანან, რომლებიც ზმნიზედათა კლასში გადადიან, მაგრამ ამ გარდამავალ პერიოდში ინარჩუნებენ სახელის თვისებებს („შუალობითი“ მართვა: **შევიდა სახლ(ს) < ში ← სახლსა < შ. ნა; განვიდა სახლით < გან და სხვ.**).

ამ სამი შემთხვევიდან რომელს უნდა მივაკუთვნოთ I და II პირის ფორმები, რომლებშიც დაქვემდებარება ფორმანტით გამოხატული არაა?

მ ე ვხატავ მას
იგი მხატავს მ ე
მ ე დავხატე იგი

შ ე ნ ხატავ მას
იგი გხატავს შ ე ნ
შ ე ნ დახატე იგი და ა. შ.



ამ ფორმებში I და II პირის ნაცვალსახელები გარეგნულად ერთნაირია (ბრუნვათა მიხედვით), მაგრამ გასარკვევია, გვაქვს თუ არა საქმე ნეიტრალურობასთან, ახდენს თუ არა გავლენას მართვა ამ სიტყვებზე. ნაცვალსახელი როგორც სემანტიკური, ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით თავისებური მეტყველების ნაწილია. იგი სემანტიკურად იმასვე აღნიშნავს, რასაც — არსებითი, ზედსართავი ან რიცხვითი, მაგრამ ზოგადად, კონკრეტული საგნის, თვისების ან რაოდენობის მითითების გარეშე: ის, ასეთი, ამდენი ცალკე გულისხმობს საგანს (ის), მის ნიშან-თვისებას (ასეთი), რაოდენობას (ამდენი), მაგრამ არა კონკრეტულ საგანს, არა კონკრეტულ ნიშან-თვისებას და არა კონკრეტულ რაოდენობას, არამედ მათს განყენებულ სემანტიკას. სუბსტიტუციური ფუნქციის საფუძველზე ნაცვალსახელი ფარულად (ლატენტურად) მიუთითებს რაღაც საგანზე ან გვიჩვენებს, რომ ესა თუ ის საგანი რაღაც ნიშან-თვისების მატარებელია ან რაღაც რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ არ გვიჩვენებს, სახელდობრ რა ნიშან-თვისება ან რა რაოდენობაა. ლატენტურობის თვისება, როგორც ჩანს, ნაცვალსახელმა მორფოლოგიაშიც შემოინახა: I და II პირის ნაცვალსახელები ფორმალურად არიან სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითს ბრუნვებში, მაგრამ, ისევე როგორც შინაარსს, ლატენტურად მაინც ინახავენ გარკვეულ ფორმას. ამ ნაცვალსახელთა ლატენტური ფორმა გაცილებით უფრო ლოკალიზებულია, ვიდრე მათი სემანტიკა. თუ მე, ჩვენ, შენ, თქვენ ნაცვალსახელების ფარდობითი ლექსიკური რეალიზაციის არე უსაზღვროა მეტყველი საგნის აღმნიშვნელ სახელთა წრიდან (გადატანითი მნიშვნელობით ხომ განუზომელია!), იგივე ნაცვალსახელები ცალკეულ კონსტრუქციაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვათა ფუნქციით, იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმას მოითხოვს კონსტრუქციის ღერძის — ზმნა-შემასმენლის — ვალენტური თვისებები. სხვა ლექსიკური ერთეულით ამავე ნაცვალსახელთა რეალიზების შედეგად სარეალიზაციო სახელი იღებს ზუსტად იმ ფორმას, რომლიც ნაცვალსახელს უნდა ჰქონოდა, მაგრამ ლატენტურად გააჩნდა. მე, შენ, ჩვენ, თქვენ წინადადებებში ისეთივე ღირებულების ერთეულებია, როგორც სხვა არსებითი სახელები. ამიტომ მე, შენ, ჩვენ, თქვენ წინადადებებში ყოველთვის ასრულებს ამა თუ იმ ბრუნვის როლს (იხ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელ-

თა ბრუნება... გვ. 488; ა. მარტიროსოვი. ნაცვალსახელი...

გვ. 292-293)

I და II პირის ნაცვალსახელთა დაზუსტება მხოლოდ დანართით შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კონსტრუქციის ღერძთან ურთიერთობა—შეთანხმება პირში, რადგანაც კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელი, ცალკე აღებული, უწინარეს ყოვლისა, III პირის სარეალიზაციო ერთეულია. დანართის, როგორც კონსტრუქციის სტილური ვარიანტის, აუცილებელი პირობაა ისაა, რომ იგი ფართობითი მიმართების საფუძველზე გადმოგვეცემს სემანტიკურ-გრამატიკულ იგივეობას მისამართ წევრთან და ეს იგივეობა გრამატიკულად გაფორმებულია სათანადო მორფით განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა იგი მის მისამართ წევრს: მაგ.:

თბილის-ი, დედაქალაქ-ი..., თბილის-მა, დედაქალაქ-მა..., თბილის-ს, დედაქალაქ-ს... და ა. შ.; შდრ. მე (შენ), სტუდენტი..., მე (შენ), სტუდენტ-მა..., მე (შენ) სტუდენტს., და ა. შ.

მაშასადამე, პირის ნაცვალსახელების დანართში გამომქლავნდება ლატენტურად შენახული თვისება, მათი სათანადო ფორმა, ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ აქ ინდიფერენტულ კონსტრუქციასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სათანადო კონსტრუქციის ნაცვალსახელურ ვარიანტთან.

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა შევიტანოთ ექვი იმაში, რომ ნაცვალსახელური კონსტრუქცია ისტორიულად ნეიტრალური იყო. მას იგივე ვითარება უნდა წარმოედგინა, რაც — საკუთარ სახელებს, მაგრამ დროთა ვითარებაში მეორემ დაკარგა ნეიტრალობა, ხოლო პირველმა (ნაცვალსახელებმა) გარეგნულად შეინარჩუნა იგი, მაგრამ ყოველთვის გულისხმობს სათანადო ფორმას, ე. ი. კონსტრუქციაში პოტენციურ დამოკიდებულებას ქმნის.

ამრიგად, ზმნა-შემასმენელი მის პირთა სარეალიზაციო ერთეულებს მართავს ბრუნვაში.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, თავის მხრივ სახელიც ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირში: ზმნა-შემასმენელსა და მის პირებს შორის საურთიერთო დაქვემდებარებაა, რაც ქართული წინადადების სტრუქტურული აგებულების სპეციფიკას ქმნის.

4. 3. ა. § 4. ბირთვული კონსტრუქციები; კონსტრუქციათა ტრანსფორმაცია

კოორდინაციის, როგორც ძირითადი სტრუქტურული მიმართების; საკითხი ებჭინება ბირთვული კონსტრუქციის საკითხს.

წინადადების კონსტრუქცია (მით უმეტეს, წინადადება) მყარი არაა. მასზე, როგორც არაერთხელ აღვნიშნავდით, გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს. მეტყველების პროცესში ადამიანი (უბირატესად აქტუალიზების მიზნით) სხვადასხვაგვარად გარდააქცევს წინადადებას, რასაც ხშირად სტრუქტურული ცვლილებებიც მოჰყვება სოლომე. ამგვარ სტრუქტურულ ცვლილებებს თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტრანსფორმაციის ტერმინით აღნიშნავენ.

ბირთვული ეწოდება წინადადების უმარტივეს კონსტრუქციას, რომელსაც მთქმელი თავისი მიზანდასახულობის მიხედვით (ვაშლისახატავი აზრის შესაბამისად) გარდააქცევს მეტყველების პროცესში

როგორც ბირთვული კონსტრუქცია, ისე მისი გარდაქცეული (ტრანსფორმირებული) სახეები ენის ანალიზის დონეზეა, მათი ინტერპრეტაცია (სათანადო ლექსიკით რეალიზება) გვაძლევს წინადადებას მეტყველების დონეზე, რომელსაც შეიძლება ბაზისური წინადადება ვუწოდოთ. ბაზისურად ითვლება დამოუკიდებელი (იზოლირებული) თხრობითი, არაემოციური წინადადება, რომელშიც ყველაზე ნაკლებად არის გამოხატული წინადადების სტრუქტურული და სტილურ-აქტუალიზებული მხარეების დაპირისპირებულობა (ინ. ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანალაგებისათვის ქართულში. ივე, XIII, 1962, გვ. 109).

ბირთვული კონსტრუქციის ცნება დაკავშირებულია დესკრიფციულ ლინგვისტიკასთან, კერძოდ მისი წარმომადგენლების — ზ. ჰარისისა და ნ. ხომსკის — სახელებთან; უკანასკნელმა ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების საფუძველზე უფრო გამოკვეთა ცნებები: ბირთვული და ტრანსფორმირებული.

საზოგადოდ, კონსტრუქციები (მათ შორის ბირთვულიც) ზმნაშემასმენელს უკავშირდება. ამ მხრივ ქართული წინადადების სტრუქტურის ანალიზი თავიდანვე სწორი გზით მიემართებოდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება, არ დავასახელოთ წინადადების სტრუქტურის (კონსტრუქციის) ანალიზი, რომელიც მოცემულია არნ. ჩიქობავას ნაშრომებში (დავასახელებთ ძირითადს: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. თბ., 1928; (1968); ერთიანი კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. წ. I, 1948; წ. II, 1961 და სხვ.).

წინადადების სტრუქტურის ანალიზი არ შეიძლება უნივერსალური იყოს. კონკრეტული ენისაგან განყენებული სტრუქტურები ისევე ზოგადია, როგორც სიტყვა საერთოდ და წინადადება საერთოდ, და არ გვაძლევს ენობრივ მოვლენათა კონკრეტულობის საშუალებას; მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სინტაქსი ყვე-

ლაზე მეტად იყენებს აბსტრაპირებულ ცნებებს; მაშასადამე, სხვა დასხვა ენას სინტაქსში შეიძლება ბევრი რამ აღმოაჩნდეს საერთო, თუნდაც კონსტრუქციათა აგებულება ან ტრანსფორმაციის ზოგადი კანონები, მაგრამ მათი შინაარსი განსხვავებული იქნება ენის კონკრეტულ თავისებურებათა (შინაგანი კანონების) მხრივ.

შესაძლებელია ზოგადად ვივარაუდოთ კონსტრუქცია SP (ან მორფოლოგიურ-ლექსიკური აღნიშვნის შესაბამისად — NV) მაგრამ მათი ურთიერთმიმართება სხვადასხვა ენაში ნაირგვარია, თუნდაც იმიტომ, რომ რიგ ენათა SP მიმართებას ქართულში უპირისპირდება SPO და SPOO მიმართება (ფორმოზრივ თავისებურებებზე რომ აღარა ვთქვათ რა).

ქართული წინადადების კონსტრუქციებიდან (SNP; SNPO_D SNP₁OD_{OD}; SEP₂ON; SEP₂ON_{OD}; SDP₂ON).

ჩვენ ბირთვულად მიგვაჩნია SEP₂ON || SEP₂ON_{OD} და SNP₁₋₂₋₃; კონსტრუქციები, ხოლო დანარჩენს მათს ტრანსფორმირებულ სახეებად ვგულისხმობთ.

მეორე სერიის ფორმის ზმნის არჩევა განაპირობა, ერთი მხრივ, ისტორიული თვალსაზრისით მისმა უწინარესობამ (მეორე სერიის ფორმები ქართულში უფრო ადრინდელი წარმოშობისაა), ხოლო, მეორე მხრივ, მისმა სტრუქტურულად გამოკვეთილობამ (O—O₁-ი ნათლად დიფერენციაციამ; მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ SNP₁ კონსტრუქციის ტრანსფორმაცია უშუალოდ SEP₂ON-ისაგან უფრო ნაკლებია:

SEP₂ON დედამ გაზარდა შვილი

↓
SNP


↓
შვილი გაიზარდა

შენი შენა: ქართულ მასალაზე ნ. ხომსკის ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ზმნის სტრუქტურის გათვალისწინების შედეგად ამოსავალ ფორმად უნდა მიჩნეულ იქნეს ზმნა პირველ სერიაში (შესაბამისი ფორმულები: N^{სახ} V^{1ა}; N^{სახ}. N^{მთ.} V^{2ა}; N^{სახ}. N^{მთ.} N^{მთ.} V^{3ა} იხ. ლ. ენუქიძე. ბირთვული წინადადება ქართულში. კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების ნაკითხები“, II. თბ., 1967, გვ. 129-131).

რამდენადაც ქართულ ენაში კონსტრუქცია წმინდა გრამატიკულ-სტრუქტურული, ფორმოზრივია, წინადადების ემოციურ-ნებელობითი და, საერთოდ, ინტონაციური ვარიანტები მისგან სტრუქტურულად არ განსხვავდებიან (მოდელის დონეზე). განსხვავება მხოლოდ ინტერპრეტაციაშია (შდრ.: პეტრე მოვიდა. — ვინ მოვი-

და? მებაღემ დარგო ნერგი. — ვინ დარგო ნერგი? — შენ დარგე ხერგი! — შენ დარგე ნერგი და სხვ.), ამდენად აღნიშნული ვარიანტები სტრუქტურულ ტრანსფორმებად არ ჩაითვლება.

ბირთვული კონსტრუქციის ტრანსფორმები, ზოგადად. შეიძლება შემდეგი სახისა იყოს:




ბირთვული კონსტრუქცია

ტრანსფორმირებული ვარიანტები

თხამ ვენახი შეეკამა

თხა ვენახს კამს.
 თხას ვენახი (შე)უეკამია.
 ვენახი შეიეკამა.
 მავანმა თხას ვენახი შეეკამა.
 მავანმა თხას ვენახი შეუეკამა.



არწივმა გაუყარა კლანკები მელას

არწივი უყრის კლანკებს მელას კლანკები გაეყარა მელას არწივს გაუყრია კლანკები.

ბირთვული კონსტრუქციის საკითხს უშუალოდ უკავშირდება წინარეკონსტრუქციის საკითხი, რომელიც კვლავ ზმნა-შემასმენლის ფორმათა განვითარებას უკავშირდება.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული (იხ. 4. 3. ა. § 2), ზმნის ფორმათა განვითარებას ჩვენ ასე ვვარაუდობთ (იგულისხმება ის ფორმები, რომლებიც წინადადების სტრუქტურაზე ახდენენ გავლენას): ნეიტრალური (სტატიკური) ზმნა → კაუზატიური ფორმა (≈ მოქმედებითი გვარის ზმნისა) → კონვერსირებული ფორმა (= ვნებითი გვარის ზმნისა).

ამ სქემას შეესაბამება წინადადების კონსტრუქციათა განვითარების შემდეგი სქემა:

ნეიტრალური კონსტრუქცია — აბრაჰამ შტა ისააკი.


ერგატიული კონსტრუქცია — აბრაჰამ შტა ისააკი.

აბრაჰამშინ შტა ისააკი.

ნომინატიური კონსტრუქცია — ისააკი იშტა აბრაჰამისაგან.

მაგრამ გვაქვს კონსტრუქცია, რომელსაც ეს გზა არ გაუვლია. ასეთია ნომინატიური კონსტრუქცია სახლი ჩანს ტიპისა. იგი ისევე ძველია, როგორც ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ ზმნასთან (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 113). ამდენად იგი უშუალოდ ნეიტრალურისაგან მიღებულად უნდა ვივარაუდოთ. საკითხს იმის შესახებ, თუ სახელდობრ როდის წარმოიშვა ამ ტიპის კონსტრუქციები, სპეციალური კვლევა სჭირდება, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: ნეიტრალურიდან უშუალოდ ნომინატიურში გადასვლა გარდაუვალ ზმნათა გარკვეული წყების (და არა ყველა გარდაუვალი ზმნის) მიერ შექმნილ კონსტრუქციებში ერგატიული კონსტრუქციის წარმოშობაზე გვიან თუ არა, პარალელურად (და არავითარ შემთხვევაში მასზე ადრე არა) უნდა მომხდარიყო, რასაც ბუნებრივად წრფელობითის მაგიერ სახელობითი ბრუნვის დამკვიდრება მოჰყვა (წრფელობითი ნეიტრალური კონსტრუქციის შესაფერისი „ნულოვანი“ ფორმა).

აქვე ისმის კითხვა: რამდენადაც უშუალოდ ნეიტრალურისაგან მიღებულ ნომინატიურ კონსტრუქციას არ გაუვლია ზემოაღნიშნული „ისტორიული ტრანსფორმაციის“ გზა, შეიძლება თუ არა იგი შესაბამისი ერგატიული კონსტრუქციის ტრანსფორმირებულ ვარიანტად ჩაითვალოს? კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. საკირთა გამოიყოს კიდევ ერთი ბირთვული კონსტრუქცია (SNP). რად განაც, თუ კონსტრუქციათა ისტორიას გადავხედავთ, ნათელია, რომ ერგატიული კონსტრუქციაც ისევე წარმოქმნილია (ტრანსფორმირებულა) ნეიტრალურისაგან, როგორც აღნიშნული ტიპის ნომინატიური, ე. ი. უშუალოდ: SNP_2 და $SEP_2ON \parallel SEP_2ONOD \rightarrow$ ერთ სიბრტყეზე დგანან.




ბუნებრივია, რომ უშუალოდ ნულოვანისაგან მიღებული ნომინატიური კონსტრუქცია, როგორც ერთპირიანი ზმნა-შემასმენლის მოდელი, თავისი ინტერპრეტაციით გაუთანაბრდა ერგატიული კონსტრუქციის ტრანსფორმირებულ ვარიანტს; მაგ.:

ხილი მწიფს—ხილი დაამწიფდა (+ ხილი დაამწიფა);

წყალი დუღს—წყალი ადუღდა (+ წყალი აადუღა) და სხვ.

რიგ შემთხვევაში ამ გათანაბრებამ აბსოლუტურ (როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ) სინონიმამდე მიაღწია, რის შედეგადაც ამგვარი გათანაბრებული ფორმები არა მარტო სინტაქსურ, არამედ მორფოლოგიურ სხვაობასაც აღარ ქმნიან; შდრ.: იწვის — იწვება, ეწვის — ეწვება, ეკვრის — ეკვრება, ებრძვის — ებრძოლებს და მისთ., რომელთაგან პირველნი (III სუბ. პირის -ხ მორფემიანი) საშუალო გვარის ზმნებია, მაგრამ ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმის გამო მათ ვნებითის ნიშნები გაუჩნდათ.

უშუალოდ ნომინატიური კონსტრუქციის (KØ — KN) ცალკე ბირთვულ კონსტრუქციად აღიარებას ისიც უწყობს ხელს, რომ მას თავისი საკუთარი ტრანსფორმირებული ვარიანტი გააჩნია:



ნიმუშები:

ბირთვული
კონსტრუქცია

სისხლი ხურს

სიცოცხლე დუღს

გული წუხს

ტრანსფორმირებული
ვარიანტები


სისხლი უხურს ახალგაზრდას.

სიცოცხლე უდუღს ახალ თაობას.

გული უწუხს მოხუცს.

რამდენადაც კონსტრუქციის ამ ტიპის საფუძველი ზმნა-შემასმენელი მწკრივნაკლია (დეფექტურია), იგი დანაკლის ფორმებს ივსებს შესაბამისი მოქმედებითი ან ვნებითი გვარის ფორმებით.

ზოგადად კონსტრუქციათა ურთიერთმიმართება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემით:



(ისრით აღნიშნულია ტრანსფორმაციის მიმართულება. დანომ-
ვრა პირობითია, იგი კონსტრუქციითა უბრალო რიგს აღნიშნავს;
*-ით აღნიშნულია სავარაუდო წინარე კონსტრუქცია).

კონსტრუქციული მოდელის შესაბამისი ფრაზები
(1, 2, 3, 5 და 6 ფრაზები პირობითია. ისინი მხოლოდ მოდელის
ტრანსფორმაციის საილუსტრაციოდ მოგვსვენს):

- | | | | |
|------------|---------------|------|------|
| 1. *ბავშვ | ჩან | | |
| 2. *ბავშვ | (ა-)ჩინ | ფეხ | |
| 3. *ბავშვ | (უ-)ჩინ | ფეხ | ძმა |
| 4. ბავშვი | ჩანს | | |
| 5. *ბავშვ | აჩინა | ფეხი | |
| 6. *ბავშვ | უჩინა | ფეხი | ძმას |
| 7. ბავშვმა | (გამო-)აჩინა | ფეხი | |
| 8. ბავშვმა | (გამო-)უჩინა | ფეხი | ძმას |
| 9. ბავშვი | აჩენს | ფეხს | |
| 10. ბავშვს | (გამო-)უჩენია | ფეხი | |
| 11. ბავშვი | უჩენს | ფეხს | ძმას |

ბუნებრივია, იმისდა მიხედვით, თუ საიდან არის ტრანსფორმირებუ-
ლი კონსტრუქცია, ერთსა და იმავე მოდელელებში სხვადასხვა ფრაზე-
ბი გვექნება; მაგ.: 4 მოდელი შეიძლება ტრანსფორმირებული იყოს
1-იდანაც და 7-იდანაც, 9 მოდელი — 4-იდანაც და 11-იდანაც. ამ

შემთხვევებში გვექნება მოდელის შესაბამისი ვარიანტული ფრაზები: (4) ბავშვი ჩანს და ფეხი ჩანს, (9) ბავში უჩანს დედას (ვთქვათ, ზურგს უკან მდგომი) და ფეხი უჩანს ძმას.

თუ (4) მოდელი ტრანსფორმირებულია არა 1-იდან, არამედ 7-იდან, მაშინ შესაბამისი ფრაზა იქნება ფეხი გამოჩნდა. ასევე, თუ 9 მოდელი ტრანსფორმირებულია არა 4-იდან (ბავშვი ჩანს → (ზურგს უკან) ბავშვი უჩანს დედას) და არც (7)-იდან (ბავშვმა გამოაჩინა ფეხი → ბავშვი აჩენს ფეხს (აკვნიდან), არამედ (11)-იდან, მაშინ მისი შესაბამისი ფრაზა იქნება ფეხი გამოუჩნდება ძმას და სხვ.

ამრიგად, ქართულ ენაში გამოიყოფა წინადადების შემდეგი ძირითადი (ბირთვული) კონსტრუქციები: SNP ; SEP_1ON ; SEP_1ONOD , რომლებიც სათანადო ზმნა-შემასმენელთა გრამატიკულ ვალენტობას შეესაბამებიან.

4. 3. ა. § 5. მასდარულ-მიმღებობური შეხამებანი

გაბატონებულ წევრ ზმნა-შემასმენელზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ე. წ. მასდარული (საწყისური) შეხამება, როგორც კონსტრუქციის ტრანსფორმაციის თავისებური (შუალედური) სახე. აღნიშნული შეხამება საყურადღებოა იმიტომ, რომ ტრანსფორმაციის პროცესში გარდაქცეულია მხოლოდ ზმნა-შემასმენელი. დაქვემდებარებულ წევრს (ჩვეულებრივ, ბრუნვაუცვლელ დამატებას) შენარჩუნებული აქვს კონსტრუქციისათვის შესაფერისი ფორმა (ა. შ ა ნ ი ძ ე ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 576). მასდარული კონსტრუქცია საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ძველ ქართულში: ვითარებითის ფორმის მასდარი ისევე შეიწყობდა სათანადო კოორდინატებს (დამატებებს), როგორც მისი წინა ვითარების ფორმა ზმნა-შემასმენელი. როგორც ცნობილია, ქართულ ენას არ ახასიათებს ინფინიტივი, მისი შინაარსის გამოხატვა თავიდანვე მასდარს (საწყისს) დაეკისრა და ამიტომ ხშირია მათი გამოყენება ერთდროულად როგორც მასდარის, ისე ინფინიტივის ფუნქციით (მღრ.: ხატვა — рисовать || рисование, მღერა — петь || пение და სხვ.).

ძველ ქართულში რომ ვითარებითის ფორმის მასდარს უფრო მეტი კავშირი ჰქონდა ინფინიტივთან, ეს სწორედ კოორდინატთა შეხამების უნარში ვლინდებოდა (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. წინადადების მასდარული კონსტრუქცია. ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, 1966, გვ. 95).

საყურადღებოა, რომ აღნიშნული უნარი არა მარტო მასდარს, არამედ მიმღებობასა და ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებსაც აქვთ; მაგ.: მშენებელი სახლსა, უმჯობე კაცსა (იხ. ი.

იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები...
გვ: 445; ა. კ ი ზ ი რ ი ა. მიცემითში დასმული პირმიუმართავი დამა-
ტება ძველ ქართულში. იკე, XI, 1959, გვ. 177 და შმდ.). მიზეზი
ყველგან ერთია: ზმნის გარდაქცევა სახელზმნად და წინა ვითარების
შენარჩუნება.

სტრუქტურული თვალსაზრისით, მასდარული შეხამება მარ-
ტივი წინადადებაა, მაგრამ მეტყველებაში იგი რთულის ფუნქციას
ასრულებს. გენეზისის მხრივ მას რთულ თანწყობილ წინადადებას
უკავშირებენ. სპეციალურ ლიტერატურაში ოთხთავის რედაქციების
შედარების საფუძველზე დადგენილია, რომ, თუ ერთ რედაქციაში
ვითარებითის ფორმის მასდარით შედგენილი მარტივი წინადადება
გვაქვს, მეორეში სათანადო ადგილას რთული ქვეწყობილი წინადა-
დებაა და პირიქით; ე. ი. ვითარებითში დასმულ მასდარს დამოკი-
დებულ წინადადებაში ზმნის ფორმა შეესატყვისება (ა. მ ა რ ტ ი-
რ ო ს ო ვ ი. მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქარ-
თულში. იკე, VII, 1955, გვ. 46).

მასდარული შეხამების გაბატონებული წევრი სხვადასხვა ფუნ-
ქციას ასრულებს იმისდა მიხედვით, თუ რა როლი ეკისრება მას-
დარს ახალ (ტრანსფორმირებულ) წინადადებაში. ამის მიხედვით
სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია მის ორ ძირითად სა-
ხეობაზე: გარემოებით-მასდარულსა და დამატებით-მასდარულ შე-
ხამებებზე (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. დასაწ. ნაშრომი, გვ. 91).

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ
მასდარული შეხამება ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება და ორიგინალ-
ის კალკის შედეგი უნდა იყოს. ამ შეხამებისადმი ზოგიერთი ნათა-
რგმნი ტექსტის მიდრეკილება იმ ენის ინფინიტური კონსტრუქციის
გავლენას უნდა მიეწეროს, საიდანაც ითარგმნა ტექსტი; მაგალითად,
ჰადიშის ოთხთავში მასდარულ კონსტრუქციათა სიჭარბე სომხური
ენის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული თარგმნის პროცესში (დ.
ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მო-
ნაცვლეობისათვის ძველ ქართულში: წგნ. „ქართველურ ენათა
სტრუქტურის საკითხები“, II, გვ. 189).

მასდარული შეხამება (კონსტრუქციაში) ქართულს დიდხანს
არ შერჩა. იგი X საუკუნის შემდგომ თითქმის აღარ გვხვდება, მხო-
ლოდ მთის კილოებში შემოგვრჩა, ისიც ვარიანტის სახით. ენამ ვერ
შეითვისა მისთვის უცხო ფორმა და ქართული წინადადების მოდე-
ლის შესაბამისად „ნორმალიზება უყო“ ზმნისაგან ტრანსფორმირე-
ბულ ფორმებს. საყურადღებოა, რომ ძველ ქართულშივე არა მარტო
მასდართან, არამედ მიმღეობასა და უფროობით ხარისხთან სახელი
მიცემითის პარალელურად ნათესაობითშიც გვხვდება (შენება სახ-

ლსა, მშენებელი სახლსა, უმჯობე კაცსა... — შენება სახლისა, მშენებელი სახლისა, უმჯობე კაცისა...), რომელთაგან მიცემითი უფრო ძველია, რადგანაც იგი უშუალოდ ზმნის კონსტრუქციას იმეორებს, ხოლო ნათესაობითი შემდგომი ნორმალიზაციით უნდა იყოს გამოწვეული, რასაც მასდარის სახელური ფუნქციის განმტკიცება მოჰყვა (ა. კ ი ზ ი რ ი ა. ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება ძველ ქართულში. იკე, XII, 1960, გვ. 221-229; შ. ძიძიგური. დასახ. ნაშრომი. გვ. 97-98).

ამრიგად, მასდარული შეხამების გენეზისი შეიძლება შემდეგ ეტაპებად წარმოვიდგინოთ:

1) ზმნა იქცა მასდარად (ნაზმნარ სახელად), ცვლილება მხოლოდ მას შეეხო, შეხამებული სახელები უცვლელად დარჩა. ამითაა გამოწვეული, რომ პირდაპირი ობიექტის სარეალიზაციო სახელები ზმნას სახელობითისა და მიცემითის ფორმებით შეეწყობა.

2) რადგანაც მასდარი უპირო ფორმად იქცა, კონსტრუქციულ მოდელში მან ახალი (სახელისათვის შესაბამისი) ადგილი დაიკავა და მისი „კოორდინატუოფილი პირი“ უკვე სუბორდინაციაში მოთავსდა (უბრალო დამატება მიცემითში: მიზღვევა ბოროტსა და მისთ.).

შენიშვნა: გარდამავალ ეტაპზე (ზმნა → მასდარი), გარკვეული სხვაობა შეინიშნება ვითარებითის ფორმისა და სხვა ბრუნვის ფორმებით გამოხატულ მასდარსა და მისდამი დაქვემდებარებულ წევრებს შორის (იხ. Д. З. Чхубиანიშვილი, Инфинитив в древнегрузинском языке. Тбилиси, 1966, საქანდ. დის. აქტორეფ. გვ. 7).

3) სუბორდინაციაში სათანადო გაბატონებულ არსებით სახელთან არსებითი სახელის შეხამების ნორმალური მოდელისმიერ ფორმა ნათესაობითი ბრუნვისფორმიანი ფუძეა, ამიტომ ახალ ადგილს სათანადო ფორმით შეეგუა იგი; მაგ.:

ააშენა სახლი → [*შენება სახლი] → შენებად სახლი |
 ააშენებს სახლს → შენება სახლსა → შენებად სახლსა | → შენება სახლისა

რაც შეეხება თვით მასდარის ადგილს კონსტრუქციაში, მან, უწინარეს ყოვლისა, ვითარებითის ფორმით უბრალო დამატების მნიშვნელობა გამოხატა, ხოლო შემდეგ, ზმნისა და თვით მასდარის ლექსიკური შესაბამისობის მიხედვით, ზოგიერთ მათგანს გარემოებითი (ადვერბიალური) დამოკიდებულების გამოხატვა დაეკისრა.

წინადადების კონსტრუქციაში სახელით გამოხატული წევრი ზმნა-შემასმენელთან ნაირგვარ დამოკიდებულებას ქმნის. ეს დამოკიდებულებანი განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმებით იქნებიან ისინი რეალიზებულნი.

ქვემდებარე და დამატებანი კონსტრუქციაში გავლენას ახდენენ ზმნა-შემასმენლის პირსა და რიცხვზე, სახელდობრ ზოგადად შეუძლიათ მისი შეთანხმება პირსა და რიცხვში (იხ. 3. 6. ბ); მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქართული ზმნის მრავალპირიანობა არ გულისხმობს ყველა პირისა და მათი რიცხვის ერთდროულად გამოხატვას შესაბამისი მორფით.

მორფემური აღნიშვნა არ არის ყოველთვის რეალური: ზოგ ფორმაში შეიძლება არცერთი მორფი არ გვექონდეს (მაგ., უ შე ნ ე ბ შე ნ მ ა ს მ ა ს სამპირიანი ზმნაა, მაგრამ არც ერთი პირი არაა ასახული ზმნაში), მაგრამ სწორედ ეს უნიშნობა არის პირის ნიშანი, რადგან უნიშნობით უპირისპირდება იგი სხვა (ნიშნიან) ფორმებს, ე. ი. ქმნის პრივატულ ოპოზიციას.

ქვემდებარისა და დამატებათა ზეგავლენით გამოწვეულ ვარიანტებში გასათვალისწინებელია არა მარტო აღნიშვნა შესაბამისი მორფებით, არამედ მათი სინტაქსური ძალა როგორც რიცხვში, ისე პირში შეთანხმების თვალსაზრისით. ამ მხრივ გასათვალისწინებელია კონსტრუქციის სუბსტანტიურ ერთეულთა რიგი; მაგალითად, რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, შეხამებებში: ქვემდებარე — შემასმენელი, შემასმენელი — ბრუნვაუცვლელი დამატება, შემასმენელი — ბრუნვაუცვლელადი დამატება, როგორც წესი, ქვემდებარე — შემასმენლის დამოკიდებულება ყველაზე ძლიერია (იხ. ა რ ნ. ჩიქობავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, V, გვ. 730).

დამატებათა მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხელს არ უშლის ქვემდებარე. თუ ქვემდებარე რეალიზებულია I და II პირის ნაცვალსახელებით, შემასმენელი მასთან ყოველთვის შეთანხმებულია რიცხვში, ხოლო დამატებათა რიცხვი შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მორფთა „შეჯახება“ არ ხდება; მაგ.:

დამატების რიცხვი გამოხატულია

ის მხატავს მე	—	ის გვხატავს ჩვენ
ის გხატავს შენ	—	ის გხატავთ თქვენ
ის მიხატავს მე მას	—	ის გვიხატავს ჩვენ მას
ის გიხატავს შენ მას	—	ის გიხატავთ თქვენ მას

დამატების რიცხვის გამოხატვა გამორიცხულია



ჩვენ	ვწერთ	მას (მათ)	მას (მათ)
ჩვენ	გწერთ	შენ (თქვენ)	მას (ათ)
ჩვენ	გიხატავთ	თქვენ	მას (მათ)

ქვემდებარე და დამატება ერთმანეთს „ხელს არ უშლის“

თქვენ	გვ ხატავ თ	ჩვენ
თქვენ	გვ-იხატავ-თ	ჩვენ მას (მათ)

სხვაგვარი ვითარებაა III პირის ფორმებთან. აქ მნიშვნელობა აქვს სარეალიზაციო ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებს: სახელდობრ, გააჩნიათ თუ არა ამ ერთეულებს რიცხვის კატეგორია და, თუ გააჩნიათ, ასახავს თუ არა მათ შემასმენელი. ამისათვის მნიშვნელობა აქვს არსებით სახელთა შინაარსობრივ (სემანტიკურ) კლასებს ან ქვეკლასებს, რომლებიც ამ მხრივ შემდეგნაირად კგუფდება:

A. სახელს გააჩნია რიცხვის კატეგორია და შეუძლია შემასმენლის შეთანხმება რიცხვში (სულიერთა საზოგადო სახელები);

B. სახელს გააჩნია რიცხვის კატეგორია, მაგრამ არ შეუძლია შემასმენლის შეთანხმება რიცხვში (უსულოთა კონკრეტული საზოგადო სახელები);

C. სახელს, საერთოდ, არ გააჩნია რიცხვის კატეგორია და, მაშასადამე, არც შეუძლია შემასმენლის შეთანხმება რიცხვში (აბსტრაქტული, საკუთარი, ნივთიერებათა, კრებითი და მოქმედების სახელები).

I და II პირის ნაცვალსახელები, როგორც სულიერთა (მეტყველი, მოუბარი საგნის) სახელის ეკვივალენტები, ყოველთვის შეითანხმებენ რიცხვში შემასმენელს (ე. ი. ისინი A ქვეკლასში თავსდებათ).

აღნიშნულის მიხედვით გვექნება რიცხვში შეთანხმების შემდეგი ვარიანტები (მრავლობითის ფორმას pl ასოებით აღვნიშნავთ):

ორ წევრ ა კონსტრუქცია

AS >> P: ჩიტი ხტის, ბავშვი მიდის, თევზი იკვებება...

AS^{pl} >> P^{pl}: ჩიტები ხტიან, ბავშვები მიდიან, თევზები იკვებებიან...

BS—P ხე დგას, სახლი აშენდა, ველი გაიშალა...

BS^{pl}—P ხეები დგას, სახლები აშენდა, ველები გაიშალა...

BS^{pl} >> P^{pl} არ არის (მაგრამ გაპიროვნებისა და, იშვიათად, სხვა ენის გავლენით შეიძლება გვექონდეს: ვარსკვლავები ციმციმებენ, მთები დგანან, აგურები

ამოკვივინულან, ე. ი. კონსტრუქცია გადავიდეს
 $AS^{pl} \gg P^{pl}$ კონსტრუქციაში.

CS—P: დათო მიდის, ბოროტება იმალება, მარილი ვია, შეჯიბრება დაიწყო.

CP^{pl}—P არ არის (ქალიან იშვიათად, არა მრავლობითობის, არამედ ნაირგვარობის გაგებით შეიძლება შეგვხვდეს: მარილები ერევია, ე. ი. გადავიდეს BS^{pl} —P კონსტრუქციაში).

CS^{pl} \gg P^{pl}: არ არის (იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ნაირგვარობის გაგებით: ხალხები მოითხოვენ; გუნდები მიფრინავენ, ე. ი. გადავიდეს $AS^{pl} \gg P^{pl}$ კონსტრუქციაში.

სამწევრა კონსტრუქცია

როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, ქვემდებარე-შემასმენლობა და დამატება-შემასმენლის ურთიერთობას თავისებურება ახასიათებს: ქვემდებარე-შემასმენლის მიმართება უფრო ძლიერია. ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ ენაში დამატებათაგან შემასმენელს რიცხვში თანახმებს ბრუნვაუცვლელი (მიცემითი ბრუნვის ფორმისა), ხოლო სახელობითის ფორმის დამატება ამ უნარს მოკლებულია. ძველ ქართულში პირიქით იყო: შემასმენელს შეითანხმებდა სახელობითის დამატება (იხ. არნ. ჩიქობავა. რით არის წარმოდგენილი მრავლობითობის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში, თსუ შოამბე, IX, 1929. გვ. 112; ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში გვ. 147-158). ეს მოვლენა სალიტერატურო ძეგლებში XVI საუკუნიდან დასტურდება, მაგრამ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ცოცხალ მეტყველებაში გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო (იხ. ა. კიზირია. სინტაქსური ურთიერთობის სახეობათა განვითარებისათვის ახალ ქართულში. თსუ სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1954, გვ. 130).

SPO კონსტრუქციაში $S \gg P$ დამოკიდებულება ზუსტად იგივე რჩება, თავისებურებას ქმნის მხოლოდ $OD \gg P$, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს შემდეგ კონსტრუქციაში:

AS	} — P ^{pl} \gg AOD ^{pl}	ბავშვი ეზრდება მშობლებს.
BS		ბარგი უსველდებათ მგზავრებს.
BS ^{pl}		ტორები ემძიმებათ მტვირთავეებს.
CS		შეჯიბრება ეწყებათ მორბენლებს.



მაგრამ, თუ გვაქვს $AS^{pl} \gg P^{pl}$, მაშინ შეთანხმება $AO_D^{pl} \gg P^{pl}$ იკარგება ყველაზე ძლიერ $AO_D^{pl} \gg P^{pl}$ დამოკიდებულებაშიც; უძრავი სტუმარი მოუვიდათ მეზობლებს — სტუმრები მოუვიდნენ მეზობლებს.

მაშასადამე, სამწვერა კონსტრუქციაში გვექნება შემდეგი შეხამებანი:

$AS \gg P$ —	}	AO_D : ძროხა რქენს ხბოს.
		AO_D^{pl} : ძროხა რქენს ხბოებს.
		BO_D : ბავშვი ხატავს სურათს
		BO_D^{pl} : მუშაძ შეაარულა გეგმები.
		CO_D : ბაბუა ეარძვის ავადმყოფობას.
$AS^{pl} \gg P^{pl}$	}	AO_D : ძროხები რქენს ხბოს.
		AO_D^{pl} : ძროხები რქენს ხბოებს.
		BO_D : ბავშვები ხატავენ სურათს.
		BO_D^{pl} : ბავშვები ხატავენ სურათებს.
		CO_D : ბავშვები ჭამენ შაქარს.

ვარიანტი

AS	}	— $P^{pl} \ll AO_D^{pl}$
BS		
BS ^{pl}		
CS		

ეს ვარიანტი მყარი არაა, მას პარალელურად შეიძლება გააჩნდეს შეუთანხმებელი დამოკიდებულებაც:

- ბავშვი ეზრდებათ მშობლებს || ბავშვი ეზრდება მშობლებს.
 ხორცი ეჭმევათ ბავშვებს || ხორცი ეჭმევა ბავშვებს.
 ტვირთი ემძიმათ მგზავრებს || ტვირთი ემძიმა მგზავრებს.
 ფეხბურთი აღელვებთ გულშე- || ფეხბურთი აღელვებს გულშემა-
 მატკივრებს || მატკივრებს.

როგორც აღვნიშნეთ, რიცხვში ობიექტთან შემასმენლის შეთანხმების მხრივ, ძველ ქართულთან შედარებით, თანამედროვეში ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები ხანგრძლივ პერიოდს (XII-XVIII საუკუნეებს) მოიცავს.

ძველსა და საშუალ ქართულში სახელობითის ობიექტი შეთანხმებდა ზმნას რიცხვში (ნიმუშები მოგვაქვს „ვეფხისტყაოსნიდან“):

თვალთა ხელი უკუ ივლო, ცხელნიც ცრემლნი მიიწურნა.
 ხმალი-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმაძაცურნა.
 მან გლახიგინი გახადნა მტერთაცა საწყალობელად.

მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლი მოიხოცნა,
შესაპყრობლად შევეუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა

და სხვ.

თანამედროვე ქართულში სახელობითი ბრუნვის ფორმიანი დამატების ეს როლი (განსაკუთრებით III პირის ფორმებში) ნულამდეა დასული, სამაგიეროდ, მიცემითი ბრუნვის ფორმიანი დამატების ხვედრითმა წონამ იმატა (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, სმამ, ტ. II, № 1-2, 1941, გვ. 197-202; № 6, გვ. 561-1568; იხ. აგრეთვე მარტივი წინადადების პრობლემა, 1968, დამატება II, გვ. 267-280).

სახელობითი ბრუნვის აღნიშნული ფუნქციის დასუსტება მისსავე მიცემითის ფორმას (საერთოდ, პირდაპირობიექტური პირის სარეალიზაციო ერთეულებს) „გადაედო“, არც მათ მისცა ზმნა-შემასმენლის შეთანხმების საშუალება, თუმცა იშვიათად გვხვდება შეთანხმების შემთხვევები, რომლებიც თანამედროვე ქართულში არასწორ ფორმებადაა ჩათვლილი; მაგალითად:

ყურებდაცქვეტილ ულაყებს ათასში ერთხელ გზაზე შემთხვევით გადარბენილი ნადირის ლანდი თუ შეაფრთხობდათ (მ. მრევლ. „მგზავრები“ გაზ. „კომუნისტი“, 5 სექტ. 1965 წ.).

ასეთივე დამოკიდებულებაა შერწყმული წინადადების მოდელში: ახლადდაქორწინებულ თეოსა და მირზას მატარებელი ბათუმისაკენ მიაქროლებდათ (რ. გვეტ.).

ზოგჯერ ერთი და იგივე ზმნა-შემასმენელი უპირატესობას ანიჭებს ხან სახელობითს, ხან მიცემითს. სპეციალურ ლიტერატურაში ეს მოვლენა (სტანციაში აკლდებათ ცხენები — აკლდებიან გაკვეთილს მოწაფეები) ახსნილია ინვერსიულობით. „პირველს შემთხვევაში — მათ აკლდებათ ცხენები — აკლდება ინვერსიული ზმნაა, მეორე შემთხვევაში — მოწაფე აკლდება გაკვეთილს — პირდაპირი წყობა გვაქვს“ (არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 566; იხ. აგრეთვე ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 142).

ჩვენი აზრით, წყობა ორივე შემთხვევაში ერთნაირია — პირდაპირი. ზმნა აკლდება ვნებითი გვარისაა; მაშასადამე, მისი სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია (ეს II ტიპის უღლების ზმნათა ძირითადი თვისებაა). ზმნა-შემასმენელი სარეალიზაციო ერთეულებს უწევს ანგარიშს. კონსტრუქციაში მათ აკლდებათ ცხენები ქვემდებარე და დამატება ზოგადად ტოლფასი (სულიერთა საზოგადო) სახელებით არის გამოხატული, მაგრამ მათ შორის მაინც საკმაო სემანტიკური სხვაობაა, რადგანაც მათ ნაცვალ-

სახელში, რომლითაც ბრუნვაუცვლელი ობიექტია რეალიზებულ, იგულისხმება პიროვნების (ადამიანთა) ქვეკლასის სახელი, რომელსაც შემასმენელი უფრო მეტად უწევს ანგარიშს, ვიდრე ცხენს, როგორც ნივთის სახელს; ხოლო, რაც შეეხება წინადადებას — მოსწავლეები აკლდებიან გაკვეთილებს — აქ პიროვნებისა და ნივთის ცნებათა დაპირისპირება აშკარაა, მაშასადამე, ქვემდებარის სინტაქსური ძალაც უფრო დიდია.

ზემოაღნიშნული ეხება ებ-იან მრავლობითს. რაც შეეხება ნ/თ-იან მრავლობითს. მისი სინტაქსური ძალა განუზომლად დიდია, ნ/თ-იანი მრავლობითი შეიძლება ჰქონდეს ყოველგვარ სახელს, ყოველი ნ/თ-იანი ფორმა შეითანხმებს ყოველგვარ შემასმენელს (ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 66).

შენიშვნა: ზოგჯერ, როგორც გამონაკლისი, გვხვდება ნ/თ-იანი მრავლობითის მიერ ზმნა-შემასმენლის შეუთანხმებლობის შემთხვევები: დაიძრა მიწით ყვავილნი (ვაჟა). ლეში უქამავ ჭიათა (ვაჟა) და მისთ.

ამრიგად, ნ/თ-იანი მრავლობითის ფორმას ყოველთვის ახასიათებს AS-ისა და AO-ის თვისებები. დამოკიდებულებაც (ურთიერთგავლენაც) მათში ისეთივეა, როგორც სულიერთა საზოგადო სახელით გამოხატულ ელემენტებს შორის. ნ/თ-იანი მრავლობითისათვის, როგორც აღვნიშნეთ, არა აქვს მნიშვნელობა არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკურ ჩგუფებს.

„დავით სტეფი: იყავნ ქალაქნი და აღმოცენდენ ქალაქნი“ (გ. ორბ.).

„წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცივიან“ (გ. ორბ.).

ოთხწევრა კონსტრუქცია

ეს კონსტრუქცია ანალოგიურია სამწევრა კონსტრუქციისა, მხოლოდ გასათვალისწინებელია, რომ როგორც პირში, ისე რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ბრუნვაცვალებადი დამატება ნეიტრალურია. რადგან, ჯერ ერთი, იგი III პირის სარეალიზაციო ერთეულს წარმოადგენს; მეორე, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ნივთის სემანტიკის მქონე სახელითაა რეალიზებულნი; ამიტომ შეთანხმების მხრივ მისი სინტაქსური ძალა, როგორც წესი, ნულამდეა დასული; მაგ.:

პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი (ი. ჯ.).

კონსტრუქცია

ბეტრემ გაუშალა ყმაწვილებს ნაბადი (ნაბდები)

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრუნვაუცვლელი დამატება უსულოთა, ხოლო ბრუნვაუცვალეზადი სულიერთა სახელით არის რეალიზებული, ეს უკანასკნელი ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში, რადგან ოდნავ გაპიროვნებული უსულოთა სახელი (ხოლო ასეთ თვისებას ბრუნვაუცვლელი ობიექტი ყოველთვის იძენს მოქმედებითი გვარის ზმნა-შემასმენელთან) სძლევს ბრუნვაუცვალეზად დამატებას; მაგ.:

მასწავლებელმა კლასს წარუდგინა ახალი მოსწავლეები.
 ბრიგადირმა კოლმეურნეობას ჩამოუყვანა ახალი მუშები და სხვ.

პირში შეთანხმების საფუძველზე იქმნება შემდეგი კონსტრუქციები:

- $S_1 \gg P_1$: მე ვ-ცოცხლობ, ვ-ხტი, ვ-წითლდები და მისთ.
- $S_2 \gg P_2$: შენ [*ს-]ცოცხლობ, [*პ-]ხტი, [*ს-]წითლდები და მისთ.
- $S_3 \gg P_3$: იგი (ყვავილი) ცოცხლობ-ს, (ჩიტი) ხტი-ს, (ბავშვი) წითლდებ-ა და მისთ.

$S_1 \gg$ } $P_{1,2}$: მე შენ [**ვ-]გ-ესალმები, [**ვ-]გ-აქებ და მისთ.

$S_2 \gg$ } $P_{2,1}$: შენ მე [**პ-]მ-ესალმები, [**პ-]მ-ხატავ და მისთ.

$S_3 \gg$ } $P_{3,1}$: იგი მე მ-ესალმებ-ა, მ-ხატავ-ს და მისთ.

$S_3 \gg$ } $P_{3,2}$: იგი შენ გ-ესალმებ-ა, გ-ხატავ-ს და მისთ.

$S_3 \gg$ } $P_{3,3}$: იგი მის [*პ-]ესალმებ-ა, [*პ-]ხატავ-ს, და მისთ.

ოთხწევრა კონსტრუქციაში, რომელიც სამპირიანი ზმნა-შემასმენლის ბაზაზეა შექმნილი, ბრუნვაუცვალეზადი ობიექტი, როგორც წესი, III პირის ფორმაა, რომელიც ზმნა-შემასმენელში არ აღინიშნება. ამის შედეგად ოთხწევრა კონსტრუქცია ისეთსავე ვარიანტებს ქმნის, როგორსაც — სამწევრა.

საერთოდ, ზმნის პირთა შეხამებისას შეიმჩნევა, რომ სუბიექტისა და ობიექტის I და II პირები უპირისპირდება III პირს. ზმნა-შემასმენელი შეთანხმების თვალსაზრისით ნაკლებად უწყევს მას ანგარიშს. ეს თვით პირთა შეხამებაშიც ჩანს: თუ სუბიექტისა და

ობიექტის შეხამება დაუშვებელია ერთნაირ (I ან II) პირში, კიდევ მეტი — აკრძალულია ობიექტურ პირთა თანხვედრა იმავე (I ან II) პირებში, საესებით დასაშვებია სუბიექტურ და ობიექტურ ან ობიექტურ პირთა შეხამება III პირში.

I და II პირთა სინტაქსური ძალა შეუდარებლად დიდია, ვიდრე მესამესი (იხ. არნ. ჩიქობავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, V, გვ. 730). ეს ნათლად ჩანს შერწყმული წინადადების კონსტრუქციაში, რომელშიც I სუბ. და III სუბ., ან I ობ. და III ობ., ან II სუბ. და III სუბ., ან კიდევ II ობ. და III ობ. პირთა შეკავშირება გვაქვს; მაგ.:

მე და გივი განუყრელი მეგობრები ვიყავით.

მე, გივი, ნიკო და პეტრე მივდივართ.

შენ და გივი განუყრელი მეგობრები (3-) იყავით.

შენ, გივი, ნიკო და პეტრე მიდიხართ.

გვამჩნევს გივისა და მე.

გამჩნევთ გივისა და შენ.

თუ თვით I და II პირებს შევადარებთ ერთმანეთს, მაშინ უპირატესობა I პირს ენიჭება:

მე და შენ ვართ, მივეშურებით და სხვ.

საზოგადოდ, I პირის დამოკიდებულება II ან III პირებთან ინკლუზივისა და ექსკლუზივის კატეგორიაში გამოიხატება, რომელიც სვანური ენისათვისაა დამახასიათებელი; ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურს აქვს ჩამოყალიბებული აღნიშნული კატეგორია, ვარაუდობენ, რომ ქართულის მე-||გვ-პრეფიქსებს ინკლუზიურ-ექსკლუზიური სხვაობა უნდა გამოეხატათ ძველად.

შენიშვნა: ინკლუზივისა და ექსკლუზივის შესახებ იხ. ა. შანიძე. ორგვარი ფორმა მრავლობითის პირველი პირისა სვანურში. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომათა ოქმები, „წელიწადული“. 1923-24 (დაიბეჭდა 1925 წ.), გვ. 373; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 171; ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 1-2; არნ. ჩიქობავა. მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლლების სისტემაში. იკე, I, გვ. 91-127; К. Дондуа. Категория инклюзива и ее следы в древнегрузинском рჩеული ნაშრომები, გვ. 275-296; ა. ონიანი. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში. „მაცნე“, 1965, № 1, გვ. 223-236; გ. ნინუა. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია და ბრძანებითი კილოს ფორმები ქართულში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდუ-

რი კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები
 თბ., 1965, გვ. 12-13.

მართალია, ქართულ ზმნას შეუძლია რიგ შემთხვევაში ინკლუზივის გაგებას ატარებდეს. ასეთია, მაგალითად, ბრძანებითის I პირის ფორმები, რომლებშიც მოცემულია I და II პირის გაგება (წ ა ვ ი დ ე თ, ა ვ ა შე ნ ო თ, ჩ ა ვ წ ე რ ო თ. მე და შენ||თქვენ), ექსკლუზიურია იგივე ბრძანებითის ფორმები (მიმართვა II პირისადმი): გ ვ ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ე! ჩ ა გ ვ წ ე რ ე თ! გ ვ ა პ ა ტ ი ე თ!... მე და ისინი: მე და მათ, მაგრამ ეს მნიშვნელობა არაა მორფოლოგიურად გამოხატული: შდრ. სვანურის სპეციალური აფიქსებიანი ფორმები:

ინკლუზიური	ექსკლუზიური	
ლ-ითვრიდ	ხვ-ითვრიდ	(ვსწავლობთ)
ლ-არიდ	ხვ-არიდ	(ვართ)
გჟ-ამარე	ნ ამარე	(გვამზადებს)
გჟალატ	ნ-ალატ	(გვიყვარს) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ასეთი მოვლენა (ინკლუზივის გაგება) რუსულ ენაშიც შეინიშნება. ვგულისხმობთ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულ ფორმებს, რომელთაც I პირის მრავლობითში აქვთ -მ-თე (-ем-те -им-те): пойд-ем-те, поговор-им-те, заверн-ем-те და სხვ. ამ ფორმებში, როგორც რუსულ სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, შეერთებულია მრავლობითის I და I პირის ფორმანტები (იხ. Академик С. Н. Обнорский. Очерки по морфологии русского глагола. М., 1953, გვ. 137; Современный русский язык, морфология. Изд. МГУ, 1952, გვ. 350-351).

შეიძლებოდა, I და II პირის ურთიერთობა (დაპირისპირება) III პირთან ინკლუზია-ექსკლუზიის საფუძველზე აგვეხსნა, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი აღნიშნული კატეგორიის გარეთაა, თუნდაც იმიტომ, რომ ინკლუზია-ექსკლუზიის საკითხი I პირის მრავლობითს, უკავშირდება (ინკლუზივი — I და II პირი, ექსკლუზივი — I და III პირი), ხოლო ნაცვალსახელთა ეს თავისებურება პირველსა და მეორე პირს ერთნაირად ეხება.

თავი V. შესიტყვება

5. 1. შესიტყვების რაობა და მისი ძირითადი ნიშნები

შესიტყვება ჰქვია სიტყვათა სემანტიკურად და გრამატიკულად დაკავშირებულ ჯგუფს, ფუნქციურ კვანძს, რომლის ცენტრსაც რომელიმე კოორდინატი წარმოადგენს. ამგვარ ჯგუფთა ერთობლიობა ქმნის წინადადებას, როგორც აზრის გამოხატვისა და სხვისათვის მისი შეტყობინების ფორმას.

თავისი სემანტიკური და ფორმოზომობრივი თავისებურებებით შესიტყვება წარმოადგენს შუალედურ ფუნქციურ ერთეულს სიტყვათშეხამებასა და წინადადებას შორის; ამიტომ მას შემხები ხაზი აქვს როგორც პირველთან, ისე მეორესთან. აქტუალიზებული შესიტყვება ხშირად წინადადების ტოლფასია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისეთი შესიტყვება გვაქვს, რომლის ცენტრი, ანუ, როგორც სხვაგვარად უწოდებენ ხოლმე, „ლერძი სიტყვა“, ზმნა-შემასმენელია: მაგ., გუ შინ ჩამოვიდა სოფლიდან და მისთ.; ორწევრა შესიტყვება კი იგივე სიტყვათშეხამებაა, ოღონდ იმ სხვაობით, რომ შესიტყვებაში გაბატონებული წევრი („ლერძი“) აუცილებლად კოორდინატია, რაც სიტყვათშეხამებისათვის არ არის სავალდებულო (იხ. 2. 4. გ).

• • •

შესიტყვების შესწავლას არა აქვს ხანგრძლივი ისტორია. თვით მისი ცნება გრამატიკაში ასიოდე წლის წინათ გაჩნდა, მაგრამ არცერთი გრამატიკული საკითხის შესახებ არ გამოთქმულა ისე სხვადასხვაგვარი შეხედულებანი, არც ერთი საკითხი ისე სადავო არ ყოფილა, როგორც იყო და რამდენადმე ამჟამადაც არის შესიტყვება.

შესიტყვებისა და მისი შესწავლის ისტორიის შესახებ მრავალი ნაშრომი გამოქვეყნებული. მათში მოცემულია სხვადასხვა შეხედულებანი შესიტყვებაზე, მის სტრუქტურასა თუ ფუნქციაზე, ამიტომ ჩვენ მათ ცალკე არ მიმოვიხილათ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ შესიტყვების შესახებ ამჟამადაც რამდენიმე შეხედულებაა, რომელთა

მიხედვითაც შესიტყვება ხან უდრის წინადადებას, ხან მისი შემადგენელი ნაწილია და სხვ.

შენიშვნა: შესიტყვების შესახებ არსებულ შეხედულებათა მიმოხილვა უფრო დაწვრილებით იხ. შემდეგ ნაშრომებში: ა. რ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; ა. რ. ჩიქობავა. ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები. თბ., 1945; ა. კ. ზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; Грамматика русского языка, т. II, ч. I (შესიტყვების ისტორიული მიმოხილვა ეკუთვნის ვ. ვინოგრადოვს); В. П. Сухотин. Проблема словосочетания и предложения. წგნ. „Вопросы синтаксиса современного русского языка“. М., 1950; В. Н. Ярцева. Предложение и словосочетание. წგნ. „Вопросы грамматического строя“. М., 1955; Н. Н. Прокопович. Словосочетание в современном русском литературном языке. М., 1966 და სხვ.

• • •

შესიტყვებისათვის დამახასიათებელია მისი დანაწევრებულობა, რომელიც შეიძლება სიტყვასაც გააჩნდეს (მაგ. ანალიზურ სიტყვას), მაგრამ სიტყვა არ ქმნის სინტაქსურ მოდელს, იგი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია, მაშინ როდესაც შესიტყვების არსებითი ნიშანია სინტაქსური სტრუქტურა. სიტყვა არ წარმოიქმნება, სინქრონიულ დონეზე მისთვის შეტყვევების პროცესში დამახასიათებელია რეპროდუქციულობა, ხოლო შესიტყვება „შეიქმნება“ ხოლმე, ერთი მხრივ, მოდელის, ხოლო, მეორე მხრივ, მთქმელის მიზანდასახულობის (საკომუნიკაციო დატვირთულობის) მიხედვით. ამრიგად, სიტყვისა და შესიტყვების არსებით განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სინტაქსური მოდელი.

შესიტყვებას, როგორც წინადადების კონსტრუქციის შემადგენელ ელემენტს, შეეხები ხაზი აქვს სიტყვასთან. ეს არის შესიტყვების ნომინაციური ფუნქცია. შინაარსობრივად შესიტყვება, ისევე როგორც სიტყვა, გამოხატავს ცნებას ან წარმოდგენას (ნომინაციას) არა მარტო წინადადებაში, არამედ მის გარეშეც; მაგრამ, სიტყვისაგან განსხვავებით, შესიტყვება წარმოადგენს ცალკეული საგნების, მოვლენებისა და ნიშან-თვისებათა რთულ სახელწოდებას, გამოხატავს ცნებას ან წარმოდგენას დანაწევრებული სახით და, რაც უფრო მეტი კომპონენტია შესიტყვებაში, მით უფრო დანაწევრებულია ცნება ან წარმოდგენა (შდრ. ვენახი — გაოხრებული ვენახი — სიტყვისაგან გაოხრებული ვენახი —

ძლიერი სეტყვის აგანგაოხრებული ვენახი) სიტყვა, რომელიც შესიტყვებაში შედის, გამოხატავს უკვე არა ცალკე ცნებას, არამედ მხოლოდ რთული ცნების ელემენტებს, რთული ცნების ან წარმოდგენათა შემადგენელ ნაწილს, მის ცალკეულ დეტალებს. ამდენად შესიტყვება უფრო მაღალი დონის ერთეულია. ვიდრე სიტყვა; მაგრამ იმავე დროს იგი უფრო დაბალი დონის ერთეულია, ვიდრე წინადადება. ყოველი შესიტყვება წინადადების შემადგენელი ნაწილია ისევე, როგორც ყოველი სიტყვა შესიტყვების შემადგენელი ნაწილი.

რამდენადაც შესიტყვება წინადადების შემადგენელი ნაწილი, მისი სტრუქტურული ელემენტია, იგი მხოლოდ წინადადებაში გვხვდება და მხოლოდ წინადადების მეშვეობით ასრულებს თავის საკომუნიკაციო ფუნქციას; მაგრამ შესიტყვებას, როგორც ეს ზემოთაც არის აღნიშნული, ორმაგი ბუნება აქვს: წინადადებაში ის საერთოდ აზრის (გამონათქვამის) ელემენტს წარმოადგენს და დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს, წინადადების გარეთ კი ენის ნომინაციურ საშუალებათა კუთვნილებაა.

შესიტყვებისა და წინადადების ურთიერთმიმართების შესახებ სინტაქსის მოძღვრებაში სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს: ერთნი შესიტყვებას მიიჩნევენ ისეთ სინტაქსურ ერთეულად, რომელიც მოიცავს ორი ან მეტი სიტყვის ყოველგვარ შეხამებას (მათ შორის წინადადებასაც); კიდევ მეტი, ზოგი ენათმეცნიერის აზრით, შესიტყვება უფრო დიდი ცნებაა, ვიდრე თვით მარტივი წინადადება; მაშასადამე, შესიტყვება რთულ წინადადებასაც მოიცავს. ამ შემთხვევაში მსჯელობენ, რომ რთული წინადადება შესიტყვებათა შეხამებაა, ე. ი. ისევ შესიტყვებაა. არსებობს საწინააღმდეგო აზრიც, რომლის მიხედვითაც შესიტყვება არ არის სინტაქსური ერთეული. ამ აზრის მომხრე ენათმეცნიერთა ნაშრომებში წინ წამოწყულია წინადადებისა და მისი წევრის ცნებები, ხოლო შესიტყვება ან უკანა პლანზე განიხილება, ან სავსებით უგულვებელყოფილია.

შესიტყვება არ შეიძლება იყოს წინადადების ტოლფასი ერთეული თუნდაც იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ არა აქვს გაწყვეტილი კავშირი სიტყვასთან (შესიტყვების ნომინაციური ფუნქცია), თუმცა მისგან არსებითად განსხვავდება, რადგანაც შესიტყვება არა მარტო ასახელებს საგანს, მოვლენას, პროცესს, ნიშან-თვისებასა და სხვ., არამედ ერთდროულად აღნიშნავს კიდევ მათ შორის დამყარებულ ურთიერთკავშირს: მაგრამ შესიტყვება მანც ვერ არის წინადადების დონემდე ამაღლებული, ვინაიდან მას არ გააჩნია წინადადების ნიშნები, არ შეუძლია, შეასრულოს ურთიერთობის ერთეულისა და საკომუნიკაციო საშუალების როლი. რაც მთავარია, შესიტყვებას არ

ახლავს ინტონაცია, რომელიც წინადადების აუცილებელი ორგანული ელემენტია.

შესიტყვებათა რიგიდან გამოყოფენ ე. წ. „პრედიკატულს“. პრედიკატულ შეერთებათა პრობლემა არ მიეკუთვნება შესიტყვების შესახებ მოძღვრებას. იგი წინადადების კონსტრუქციის მათრგანიზე-ბელი სწავლებაა, რადგანაც მოკლებულია წინადადების „სიცხოველს“. მაგრამ სხვა შესიტყვებათაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესიტყვებათა ტიპებიდან იგი ყველაზე ახლოსაა წინადადებასთან. ლოგიკურად ამგვარი სინტაგმა შეეფარდება მსჯელობას (ქ ა რ ი ზ უ ზ უ ნ ე ბ ს), ხოლო შესიტყვება (ფ ა რ თ ო დ გ ა შ ლ ი ლ ი კ ი ბ ე) — ცნებას, მართალია, რთულს, დანაწევრებულს, მაგრამ მაინც ერთიანს.

* * *

შესიტყვება ორი ან მეტი წევრისაგან შედგება. წევრთა რაოდენობის გაზრდა შესიტყვებაში (ზოგადად) განუსაზღვრელად შეიძლება. მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობის დაცვით: წევრები დაქვემდებარების კანონებს უნდა დაემორჩილონ. სპეციალურ, განსაკუთრებით რუსულ საენათმეცნიერო, ლიტერატურაში შესიტყვებას სიტყვათშეხამებასთან აიგივებენ, თუმცა განასხვავებენ მის ორ ტიპს: რთულსა და მარტივ შესიტყვებებს. რთული შესიტყვებისათვის აუცილებელია, რომ იგი საში ან მეტი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან შედგებოდეს. როგორც აღნიშნავს ნ. პროკოპოვიჩი (იხ.

Н. Н. Прокопович. Словосочетание в современном русском литературном языке, გვ. 63). რიგი მკვლევრები, აღნიშნავენ რა მის მინიმალურ შედგენილობას, მიუთითებენ ორ წევრზე, მაგრამ იმავე დროს დასაშვებად მიაჩნიათ მისი სამწევრა, ოთხწევრა და ა. შ. სახეები, რომლებიც თანამიმდევრულადაა ერთურთთან დაკავშირებულნი.

რამდენადაც ეს საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდაა განხილული (იხ. ნ. პროკოპოვიჩის ზემოდასახ. ნაშრომი, გვ. 62-65), ჩვენ მას აღარ შევეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ შესიტყვების გაიგივება სიტყვათშეხამებასთან, ანუ, როგორც აღნიშნავენ, ორწევრა „შესიტყვებასთან“ გარკვეულ უხერხულობას იწვევს და საკმაო წინააღმდეგობას ქმნის მსჯელობაში. წინადადების დაყოფა ფუნქციურ კვანძებად, უწინარეს ყოვლისა, შესიტყვებათა მიხედვით ხდება, რომლებიც შეიძლება ორწევრა იყოს (მაშინ შესიტყვებისა სიტყვათშეხამების ცნებები ერთურთს ფარავენ), მაგრამ ეს რეგულარული არაა. შესიტყვება უფრო ხშირად

მრავალწევრია და თვით შედგება სიტყვათშეხამებებისაგან. არის ცნობილი ერთი გარემოება, რომელის მკაფიოდ მიჯნავს ერთურობისაგან შესიტყვებასა და სიტყვათშეხამებას. ეს არის შესიტყვების პოზიციური ცენტრი, რომელიც აუცილებლად კოორდინატია, წინადადების მთავარ წევრთა წყებას განეკუთვნება, ხოლო სიტყვათშეხამებისათვის იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის სავალდებულო. სიტყვათშეხამებანი უპირატესად შედგებიან გაბატონებული არამთავარი და დაქვემდებარებული არამთავარივე წევრებისაგან.

მარტივ წინადადებაში სიტყვათშეხამებათა (სინტაქსურ წყვილთა) რაოდენობა დამოკიდებულია წევრთა რაოდენობაზე. გვაქვს გარკვეული წესი: წინადადებაში იმდენია სიტყვათშეხამება, რამდენი წევრიცაა მასში ერთის გამოკლებით. შესიტყვებათა რაოდენობა სრულებითაც არ არის დამოკიდებული წევრებზე. მისთვის მნიშვნელობა აქვს ზმნა-შემასმენლის პირიანობას. წესი: წინადადებაში შეიძლება იმდენი იყოს შესიტყვება, რამდენ პირიანიც არის ზმნა-შემასმენელი ერთის მიმატებით. ამრიგად, წინადადებაში შესიტყვება შეიძლება იყოს:

- ა) ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან — 2,
- ბ) ორპირიან ზმნა-შემასმენელთან — 3,
- გ) სამპირიან ზმნა-შემასმენელთან — 4.

ნიმუშები:

შემასმენელი ერთპირიანი ზმნაა

სამართველოს შესავალ კართან აყუდებულიყო ახმახი ტანის მამასახლისი როსტომ გენეიშვილი (ლ. ქიაჩ.).

I შესიტყვება: სამართველოს შესავალ კართან აყუდებულიყო.

II შესიტყვება: ახმახი ტანის მამასახლისი როსტომ გენეიშვილი. შემასმენელი ორპირიანი ზმნაა

1) გამხიარულებული ნუშო მთვარის შუქზე ციდან ჩამოსულ ანგელოზს დაჰგვანებოდა (ე. ბარნ.).

I შესიტყვება: გამხიარულებული ნუშო,

II შესიტყვება: მთვარის შუქზე დაჰგვანებოდა,

III შესიტყვება: ციდან ჩამოსულ ანგელოზს.

2) შემოდგომაზე ეს გადაწყვეტილება მართლა სისრულეში მოიყვანა ჩვენმა უიმისოდაც დაძაბუნებულმა ოჯახმა (ნ. ლომ.).

I შესიტყვება: შემოდგომაზე მართლა სისრულეში მოიყვანა,

II შესიტყვება: ეს გადაწყვეტილება,

III შესიტყვება: ჩვენმა უიმისოდაც დაძაბუნებულმა ოჯახმა.



შემასმენელი სამპირიანი ზმნაა

წასვლისას სამაგიერო საჩუქრები უხვად გაუგზავნა მთის ბატონმა ალაზნის ველის ბატონს.


I შესიტყვება: წასვლისას უხვად გაუგზავნა,

II შესიტყვება: სამაგიერო საჩუქრები,

III შესიტყვება: მთის ბატონმა,

IV შესიტყვება: ალაზნის ველის ბატონს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვათშეხამებისა და შესიტყვების გაიგივებით შექმნილი წინააღმდეგობის გადასალახავად აღნიშნავენ რთულსა და მარტივ შესიტყვებებს; რთულ შესიტყვებაში გამოყოფენ ბინარულ შეხამებებს, მაგალითად, სინტაგმა-წინადადებაში ფ. მიკუსი ბინარულ შესიტყვებებს შემდეგნაირად ანაწევრებს (იხ. [R]. F. Micus. Le syntagme est-il binaire? „Word V, 3, № 1-2, 1947; ესარგებლობთ ნ. პროკოპოვიჩის ზემოდასახელებული ნაშრომიდან):



უფრო მიზანშეწონილია სინტაქსური წყვილისა და შესიტყვების ერთერთისაგან გამიჯვნა, რის საფუძველზეც გვექნება ორი სხვადასხვა ცნება: სიტყვათაშეხამება („სინტაქსური წყვილი“) და შესიტყვება, სიტყვათშეხამებათა ერთიანობა. რომელიც შუალედურ რგოლს წარმოადგენს სიტყვათშეხამებასა და წინადადებას შორის (ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ შესიტყვებას უფრო მოდელის თვალსაზრისით ვიხილავთ).

5. 1. ა. ლემსიკალიზებული შესიტყვებანი

შესიტყვებაში ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ წევრებს შორის ზოგჯერ მკიდრო სემანტიკური კავშირი მყარდება, რის შედეგადაც ხდება ან მთლიანად შესიტყვების, ან მისი კომპონენტის ლექსიკალიზება. ამ დროს, როგორც წესი, შესიტყვების დანაწევრებულობა იშლება და შესიტყვება ერთ სინტაქსურ ერთეულად გვევლინება. ამ მოვლენის მიზეზი ლოგიკურ-გრამატიკულია. დანაწევრებული შესიტყვებისაგან განსხვავებით, ამ შესიტყვების კომპონენტები (უფრო სწორად, ერთ-ერთი ან რამდენიმე) ცალკე აღარ იხმარება; მაგ., სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. ამ შესიტყვებაში ცალკე აღებული შესიტყვების ცენტრი ვერ ასრულებს ფუნქციას წინადადებაშივე ვერც ცალკე—წვეთამდე (იხ-

ძოდა), ვერც ცალკე სიტყვათშეხამების სახით — უკანასკნელ წვეთამდე (იბრძოდა). საჭიროა მთლიანად შესიტყვება—სისხლის უკანასკნელ წვეთამდე (იბრძოდა). ასეთივე მდგომარეობაა შესიტყვებებში: მთელი წელი, ათი წუთი, თერთმეტი წლის გოგონა და სხვ.

შესიტყვებიდან რომელიმე ელემენტის გამონაწევრებამ შეიძლება დაარღვიოს შინაარსი: ფეხის წვერებზე შემდგარი ყაფლანი სულგანაბული ადევნებდა თავისი ქაურობას (რ. გვეტ.). წვერებზე შემდგარი ყაფლანი სხვა მნიშვნელობას იძენს (სიტყვის პოლისემიურობის გამო).

შეინიშნება, რომ შესიტყვების კომპონენტთა ლოგიკურ-გრამატიკული შეხამების გამოლიანება ხშირად ისეთ სიტყვათშეხამებათა შემცველ შესიტყვებებში ხდება, რომლებშიც გაბატონებული წევრი აღნიშნავს შემდეგს:

- 1) ზომა-ოდენობას (კილოგრამი, გირვანქა, მეტრი, ლიტრი და სხვ.),
- 2) დროის ერთეულებს (დღე, საათი, წელიწადი და სხვ.),
- 3) ასაკს (წლისა, დღისა, თვისა და სხვ.).

სემანტიკური სიახლოვის შედეგად შესაძლებელია ერთერთთან გაერთიანდეს ერთგვარი წევრები, რომლებიც ზოგადად ერთგვარ კავშირს (უპირატესად გარემოებითს) ამყარებენ ერთ წევრთან. სიტყვათა ამგვარი შეკავშირება (თანწყობითი კავშირი), ანერეკლია დაქვემდებარებითისა, თანადაქვემდებარება და „ერთ ბედში“ მყოფი ერთეულები ერთნაირი ფუნქციის შესრულებასთან ერთად სემანტიკურადაც უახლოვდებიან ერთერთს. ეს სემანტიკური კავშირი ხშირად გრამატიკულ ერთიანობაში გადადის; მაგ., ისეთ შეხამებაში, სადაც გარემოებანი მიუთითებენ მოქმედების დასაწყისს ან დასასრულ დროს, ან პუნქტს (დილიდან მუშაობდა, საღამომდე გაგრძელდა მხიარულება. დილომამდე მეტროთი ვიმგზავრე: თბილისიდან მატარებელი დაგვიანებით გავიდა და ა. შ.), შეიძლება მათს პარალელურად ერთდროულად იყოს აღნიშნული მოქმედების საწყისი და დასასრული დრო ან პუნქტი; მაგ.:

დილიდან საღამომდე მუშაობდა.

თბილისიდან მოსკოვამდე თვითმფრინავი ორ საათში ფარავს მანძილს.

უკუნისიდან უკუნისამდე იყოს წყვეული სამშობლოს მოღალატე!

ალარ აჩხერებს ქვიშათა კლდით კლდეზე მხტომი გავაზი (ვაეა). და სხვ.

შეიძლება ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდეს სხვა გარემოებებიც;

მაგ.: ს უ ლ ი თ ა და გ უ ლ ი თ ს უ რ და მისი პატივისცემა (შდრ. ს უ ლ ი თ, გ უ ლ ი თ მოგელოდი).

ს ი ს ხ ლ ი თ ა და ხ ო რ ც ი თ შეეთვისნენ ერთმანეთს და სხვ.

ამგვარი შესიტყვეებები ზოგადი ფუნქციით უახლოვდებიან ანა-ლიზურ ფორმებს (შდრ.: უნდა მოვიდეს, შეიძლება გაკეთდეს).

შესიტყვებათა ლექსიკალიზება გარდამავალი საფეხურია ე. წ. „თავისუფალ“ შესიტყვებასა და მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის; მათ ზოგჯერ „შებოქილ“ შესიტყვებებს უწოდებენ.

შესიტყვების ლექსიკალიზება მყარი სახითაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიაში. ფრაზეოლოგიზმად (ფრაზეოლოგიური ერთეული, ავტომატიზებული ფრაზა, იდიომი, იდიომური გამოთქმა და სხვ.) ჩათვლილია შესიტყვება, რომელშიც სემანტიკური მონოლითურობა (ნომინაციის ერთიანობა) სძლევს მის შემადგენელ ელემენტთა სტრუქტურულ დანაწევრებულობას, რის შედეგადაც წინადადების შედგენილობაში მისი ფუნქცია ერთი სიტყვის (წევრის) ფუნქციის იდენტურია.

ფრაზეოლოგიზმისათვის დამახასიათებელია სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მთლიანობა. ფრაზეოლოგიზმად შეიძლება მოგვევლინოს როგორც სიტყვათშეხამება (პ რ ო კ რ უ ს ტ ე ს ს ა რ ე ც ე ლ ი), შესიტყვება (ნ ე მ ს ი ს ყ უ ნ წ შ ი გა ძ ვ რ ო მ ა), ისე წინადადება (მ ე ხ ი კ ი და გ ე ც ა ს ა ც ზ ე დ ლ ა ა ტ ა ნ დ ა).

ფრაზეოლოგიზმი ვერ ჩაითვლება შესიტყვებად, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სტრუქტურით გარეგნულად არ განსხვავდება მისგან.

ბევრ ფრაზეოლოგიურ ერთეულში აშკარად ჩანს სინტაქსური დაქვემდებარება როგორც კოორდინაციული, ისე სუბორდინაციული რიგისა (ჩ ა ი ლ უ რ ი ს წ ყ ა ლ ი და ლ ი ა, ყ ი ნ უ ლ ზ ე გ ა ა ც უ რ ა და ს ხ ვ.), მაგრამ შესიტყვებაში ან კონსტრუქციაში სინტაქსურ ერთეულები ინარჩუნებენ თავიანთ ვალენტობას (სხვა სიტყვასთან დაკავშირების უნარს), ხოლო ფრაზეოლოგიზმებში მათს კომპონენტებს ეს უნარი დაკარგული აქვთ, ვერ ქმნიან სხვა სიტყვებთან (ან შესიტყვებასთან) დამოკიდებულებას და, თუ ეს დამოკიდებულება შეიქმნა, მაშინ იკარგება ფრაზეოლოგიზმის ძირითადი თვისება. შესიტყვება (შესიტყვება-წინადადებაცა და შესიტყვება — წინადადების შემადგენელი ნაწილიც) შეუზღუდავია როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით, ხოლო ფრაზეოლოგიზმი მკაცრადაა შეზღუდული სემანტიკური შეხამებულობის მხრივაც და გრამატიკულადაც; შდრ.: კ ა მ ა — ლ ო ბ ი ო, პ უ-

რი, ყველი და ა. შ., მაგრამ ჯავრი კამა („ჯავრი არ სჭამოს მტრისანი“). ფრაზეოლოგიური სიტყვათშეხამება მთლიანად ლექსიკალიზების გამო ხშირად არღვევს დაქვემდებარებითს კავშირს, ე. ი. გარეგნულად სხვაგვარ სახეს (სემანტიკურად დაუშვებელს) იღებს; მაგალითად, ტყუილს მოკლე ფეხები აბია (ანდ.).

სწორედ ლექსიკალიზება არის იმის მიზეზი, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვება იზოლირებული ხდება საერთოდ შესიტყვებისაგან და მყარ ფორმულად იქცევა. მართალია, ფრაზეოლოგიზმისათვის საკმაოდ ხშირადაა დამახასიათებელი სემანტიკური დიფერენციაცია, მაგრამ მისი კომპონენტები გრამატიკულად აუცილებლად მონოლითურნი (ერთფუნქციანნი) არიან, ამიტომ მათი სტრუქტურული დანაწევრება აღარ შეიძლება (მასწავლებლის სახლი, შავი ზღვა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, გეორგიევსკის ტრაქტატი და სხვ.).

ე. წ. „შებოქილი“ შესიტყვებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფრაზეოლოგიზმებისაგან თუნდაც იმით, რომ პირველში შეიძლება მისი კომპონენტის სუბსტიტუცია სხვა ლექსიკური (მაგრამ იმავე სემანტიკური რიგის) ერთეულით, მეორეში კი ეს აღარ შეიძლება, მაგ.:

„შებოქილი“ შესიტყვებანი

ქალს თორმეტი წლის გოგონა ჰყავდა (შდრ.: ექვსი წლის, ცხრა წლის, სამი წლის და ა. შ.).

დილიდან სალამომდე წვიმდა (შდრ.: შუადღიდან სალამომდე, გათენებიდან სალამომდე, დილიდან შუადღემდე და ა. შ.) და სხვ.

ფრაზეოლოგიური შეხამებანი

წყლის ნაყვა (უსარგებლო შრომა); შდრ.: მარილის ნაყვა, პილპილის ნაყვა, ნიგვზის ნაყვა და ა. შ., რომლებშიც შეხამება უკვე ფრაზეოლოგიური არაა.

კაკალი კაცი (მარტოხელა კაცი); შდრ.: კარგი კაცი, საქმიანი კაცი და ა. შ.

მიუხედავად ამგვარი სხვაობისა, ე. წ. „შებოქილ“ შესიტყვებებსა და ფრაზეოლოგიზმებს სინტაქსურად საერთო ნიშან-თვისება გააჩნიათ, ისინი წინადადებაში ერთი ნომინაციური ერთეულის როლს ასრულებენ.

ამრიგად, ლექსიკალიზებული შესიტყვება (ფრაზეოლოგიური იქნება იგი, იდიომური თუ ერთი ცნების გამომხატველი სიტყვათა ჯგუფით წარმოდგენილი) არ ქმნის დანაწევრებულ ურთიერთობას

კომპონენტებს შორის და სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვას უტოლდება.

შენიშვნა: ქართული ფრაზეოლოგიზმის შესახებ იხ. თედოს სახოკია. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1-1950, II—1954, III — 1955; არლითაყაიშვილი. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბ., 1961; ალ. ონიანი. ქართული იდიომები. თბ., 1966. შ. ლლოტი. ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1968 და სხვ.

5. 2. შესიტყვების აგებულება (სტრუქტურული ტიპები)

შესიტყვება, როგორც აღვნიშნეთ, არის სიტყვათა გრამატიკული და სემანტიკური ერთობლიობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ორი ან მეტი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან შედგება. ეს საერთოა ყველა ენისათვის, მაგრამ ყოველ ენაში შესიტყვება გაფორმებულია ამ ენის შინაგან კანონზომიერებათა მიხედვით.

წინადადებაში შესიტყვებათა რაოდენობა დამოკიდებულია მის კონსტრუქციაზე, მაგრამ კონსტრუქციას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია თვით შესიტყვებაში შემავალი სიტყვების რაოდენობაზე. შესიტყვება უპირატესად აზრის შეტყობინების (საკომუნიკაციო) მიზნებს ემსახურება. რაც უფრო მეტია შესიტყვების წევრი, მით უფრო ზუსტია სხვისათვის შესატყობინებელი აზრის ის მონაკვეთი, რომელსაც ეს შესიტყვება გამოხატავს.

შესიტყვება მინიმალურად ორწევრია, ხოლო მაქსიმალურად (თეორიული თვალსაზრისით) უსასრულოა, ე. ი. შესიტყვების კომპონენტთა გაზრდა უსასრულობამდე შეიძლება, თუ, რასაკვირველია, იგი არ ჩაიკეტება ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულით, რომელიც მოკლებულია ვალენტობის უნარს. პრაქტიკულად შესიტყვების კომპონენტთა რაოდენობას განსაზღვრავს ინფორმაციის მოცულობა, ე. ი. მთქმელის მიზანდასახულობა: სახელდობრ, რამდენად (რა დონეზე) სურს მთქმელს ცნების დაზუსტება (ზღრ. კოლმეურნეთა კლუბი, სოფლის კოლმეურნეთა კლუბი, მეზობელი სოფლის კოლმეურნეთა კლუბი, სადგურის მეზობელი სოფლის კოლმეურნეთა კლუბი, რკინიგზის სადგურის მეზობელი სოფლის კოლმეურნეთა კლუბი და ა. შ.).

შესიტყვების ანალიზის დროს განსახილველია მისი სიღრმისა და ზომის საკითხი. წინადადების სიღრმის ცნება პირველად წამოაყენა ვ. ინგვემ, ამიტომ მას ინგვეს თეორიასაც უწოდებენ ხოლმე. გამოიკვლია რა ინგლისური წინადადების სტრუქტურა, მკვლევარმა შეიმუშავა ორშემადგენლიანი წინადადების ერთ-ერთი მხა-

რის სიღრმის ფორმულა — 7 ± 2 ინფორმაციის ერთეული. ადამიანის მესხიერება, როგორც ცნობილია, ორ დონეზეა. პირველს შეადგენს მოკლე (ზერელე) მესხიერება, ხოლო მეორეს — ღრმა; მაგალითად, რაიმე განტოლების ამოხსნის წესს ჩვენ ღრმა მესხიერებაში ვიხიავთ, ხოლო კონკრეტული განტოლების ფესვთა მნიშვნელობას — მოკლე მესხიერებაში. შესიტყვების სიღრმეს მოკლე მესხიერება განსაზღვრავს. ინგვეს ფორმულაც შესიტყვების სიღრმეს ეხება, თუმცა იგი მსჯელობს წინადადების სიღრმეზე. შესიტყვების სიღრმე განაპირობებს მისსავე ზომას. ამ ორ განზომილებას შორის მჭიდრო კავშირია. შესიტყვების სიღრმე არის ფუნქციური ერთეულთა კავშირების (კვანძების) რაოდენობა, ხოლო სიგრძე მასში შემავალი სიტყვებით (წინადადების წევრებით) იზომება.

შესიტყვების სიღრმესა თუ სიგრძეზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, უწინარეს ყოვლისა, მთქმელის მიზანდასახულობა; სახელდობრ, რა დონეზე სურს მას ამა თუ იმ კოორდინატის დაზუსტება. რაც უფრო ღრმაა შესიტყვება, მით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის, მაგრამ იმავე დროს უფრო გრძელია იგი; ადამიანის ოპერატიულ მესხიერებაში კი გრძელი შესიტყვებები უფრო ნაკლებად ძლებენ. იქმნება გარკვეული შეზღუდულობა, რომელზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს წარმოთქმის თავისებურებებიც, ერთი მხრივ, ლინგვო-ფსიქოლოგიური დაკვირვებანი, ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტების სტატისტიკური ანალიზი საეცებით ადასტურებენ ინგვეს ფორმულას. მართალია, ენაში შეიძლება შეგვხვდეს 7 ± 2 -ზე მეტწევრა შესიტყვებანი, მაგრამ ისინი ძალიან იშვიათია, იმდენად იშვიათი, რომ გამონაკლისთა წყებასაც კი ვერ ქმნიან.

შესიტყვების (და, საერთოდ, წინადადების) გავრცობა სტილის სფეროს განეკუთვნება. მასზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

1) **მეტყველების ფორმა**; მაგ., წერით მეტყველებაში უფრო გავრცობილი შესიტყვებებია, რადგანაც მეტყველების ეს ფორმა მოკლებულია რიგ ექსპრესიულ-საკომუნიკაციო საშუალებებს და მათ კომპენსაციას გარკვეული სიტყვებით ახდენს. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს იმასაც, მონოლოგურია მეტყველება თუ დიალოგური. მონოლოგში უფრო გავრცობილი შესიტყვებები გვხვდება, ვიდრე დიალოგში, რადგან მეორეში ბევრი რამ მაკროტექსტიდან არის ცნობილი;


2) **მეტყველების თემატიკა**: მაგ. სამეცნიერო ხასიათის მსჯელობაში უფრო დაზუსტებულ ცნებებს ვიყენებთ, ვიდრე საყოფაცხოვრებო თემებზე საუბრისას. საყოფაცხოვრებო თემატიკისათვის

მართალია, შესიტყვებები ერთმანეთისაგან აგებულებით განსხვავდებიან, მაგრამ მათ მაინც აქვთ რამდენიმე საერთო ზოგადი ნიშანი როგორც აგებულების, ისე მის ელემენტთა შორის ურთიერთობის მიხედვით; მაგალითად: 1) ყოველი შესიტყვება სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ერთიანობაა; 2) ყოველ შესიტყვებაში გამოიყოფა მისი ძირითადი, წამყვანი წევრი, რომელთანაც დაკავშირებულია შესიტყვების სხვა ელემენტი; 3) შესიტყვების სტრუქტურაში სინტაქსური კავშირი მხოლოდ სუბორდინაციულია, ცალმხრივი (კოორდინაციული ურთიერთობა შესიტყვების ელემენტებს შორის დაუშვებელია).

შესიტყვების ესა თუ ის წევრი დაქვემდებარებულია კოორდინატისადმი, მაგრამ იმავე დროს შეუძლია, დაიქვემდებაროს სხვა წევრი. კოორდინატისადმი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე წევრი იყოს დაქვემდებარებული, ე. ი. შესიტყვებაში წევრთა დაქვემდებარება შეიძლება ატარებდეს თანამიმდევრული (ჯაქვური) ან თანა (პარალელური) დაქვემდებარების ხასიათს. შესაძლებელია ორივე ერთად იყოს, ე. ი. წინადადებაში ერთდროულად გვქონდეს თანა და თანამიმდევრული დაქვემდებარება.


სქემები (აღებულია მხოლოდ თითო შესიტყვება):

ტყავის ლამაზი ახალი ჩანთა ეკირა ხელში.




ამ შესიტყვებაში გვაქვს თ ა ნ და ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა .

მოისმა კივილი დათვის ასაგდებად გაგზავნილი კაცებისა (ვაჟა).



ამ შესიტყვებაში გვაქვს თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ი დაქვემდებარება.

მაგათ მოკლული ამ ზაფხულს გვყავს უბტრონო მკვდარია (ვაჟა).




ამ ზღვხულს

ამ შესიტყვებაში კი ერთდროულად გვაქვს თ ა ნ ა და თ ა ნ ა -
მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ი დაქვემდებარება.

რასაკვირველია, თანადაქვემდებარება მხოლოდ კოორდინატთან
არ გვხვდება. შეიძლება შესიტყვების სხვა ელემენტსაც ახლდეს
ორი ან მეტი დაქვემდებარებული წევრი; მაგ.:

წარმოიდგინთ შუა კახეთის პატარა სოფელში ტრიალი დაცე-
მული ადგილი (ი. ჭ.).



თავი VI. სიტყვათშეხამება

6. 1. სიტყვათშეხამების რაობა და მისი თავისებურებანი

სიტყვათშეხამება ეწოდება წინადადების ორ წევრს, რომლებიც სემანტიკურად ეხამებიან ერთერთს და ეს აზრობრივი შეხამება გრამატიკულად (რეალურად ან პოტენციურად) არის გაფორმებული. იგი მინიმალური სტრუქტურულ-სინტაქსური ერთეულია, რომელიც შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ვალენტური სიტყვის ბაზაზე შეიქმნას, ე. ი. სიტყვათშეხამება წარმოადგენს სიტყვას აუცილებლად სხვა სიტყვასთან მიმართებაში.

სიტყვათშეხამებაში გაერთიანებული წევრები სემანტიკურად აზუსტებენ ერთერთს და, შესიტყვებათა მსგავსად, წინადადების შემადგენელ ნომინაციურ ერთეულებს წარმოადგენენ, ამ მხრივ მათ სიტყვის ნორმინაციურ ფუნქციასთან აქვთ მსგავსება, მაგრამ სიტყვისაგან ისინი არსებითად განსხვავდებიან დანაწევრებული სინტაქსური მოდელით. თუ ლოგიკურად სიტყვა უდრის ცნებას, რომლის შინაარსი სიტყვის მნიშვნელობაშია გამოხატული, სიტყვათშეხამება დაზუსტებული, დანაწევრებული ცნების ტოლფასი ნომინაციური ერთეულია.

სიტყვათშეხამება შესიტყვებასაც ემსგავსება. რიგ შემთხვევაში მათი მნიშვნელობა ერთერთს ფარავს; მაგ., ორწევრა შესიტყვება იმავე დროს სიტყვათშეხამებაცაა, მაგრამ ორწევრობა სიტყვათშეხამების აუცილებელი ნიშანია, ხოლო შესიტყვება, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, შეიძლება მრავალწევრაც იყოს და თვით შედგებოდეს სიტყვათშეხამებებისაგან.

სიტყვათშეხამებაში გაერთიანებული წევრებიდან ერთი წამყვანი, გაბატონებული წევრია, რომელიც ავლენს აქტიურ ვალენტობას, ხოლო მეორე — მასზე დაქვემდებარებული, რომელიც, ეხამება რა გაბატონებულ წევრს, პასიურ ვალენტობას ავლენს.

გაბატონებული წევრის მორფოლოგიური თავისებურებანი რამდენადმე აპირობებენ სიტყვათშეხამების სტრუქტურას. ზოგადად ეს ლექსიკურ შეხამებულობასაც ეხება: გაბატონებული წევრი განსაზ-

ღვრავს იმ ლექსიკურ არესაც, საიდანაც მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული წევრი უნდა შეირჩეს.

თუ შეხამებაში გაბატონებული წევრი არსებითი სახელით არის გამოხატული, მას შეიძლება დაექვემდებაროს ზედსართავი, რიცხვითი ან მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები, აგრეთვე ნათესაობითის ფორმის ფუძიანი არსებითი სახელები (გენეტიური ფუძის მქონენი), რომლებიც მიმართებით-ატრიბუტულ სემანტიკურ დამოკიდებულებას ქმნიან; მაგ.:

ცხენი	{	შავი ასეთი
		ორი ამდენი
		ამხანაგისა ჩემი

ზმნასთან უშუალოდ დაქვემდებარებულ წევრად შეიძლება შეგვხვდეს ზმნიზედით, მისი სინტაქსურ-ლექსიკური ეკვივალენტი სახელით გამოხატული წევრი ან არაკოორდინატი (თანდებულიანი ან უთანდებულო) არსებითი სახელი; მაგ.:

	გელოდება —	იქ სოფელში
მუშაობს —	{	აგრონომად
		ივანესთან

ზოგჯერ გაბატონებულ წევრად შეიძლება მოგვევლინოს ზედსართავი სახელით ან ზმნიზედით გამოხატული წევრები. ეს განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როდესაც ისინი ნაწარმოებნი არიან მეტყველების სხვა ნაწილებისაგან და ინარჩუნებენ წინა ვითარებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; მაგ.: ფოლადის მუზარადიანი, სახლს მოშორებული და მისთ. გასათვალისწინებელია აგრეთვე ანალოგია.

აღსანიშნავია, რომ გაბატონებულ წევრებად არ გვხვდება ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით (იხ. 3. 4. ბ), თუმცა ზოგჯერ რაიმე სინტაქსური მოვლენის (მაგ. ანალოგიის) საფუძველზე შეიძლება მათაც ახლდეთ დაქვემდებარებული წევრი.

გარდა მეტყველების ნაწილთა სემანტიკურ-მორფოლოგიური თვისებებებისა, შეხამებაზე გავლენას ახდენს სიტყვათშეხამების ადგილი შესიტყვეების სტრუქტურულ მოდელში, სახელდობრ მათი ფუნქციური მიმართება როგორც ერთერთთან, ისე სხვა სიტყვათშეხამებებთან ან კონსტრუქციასთან; შდრ. იმ დღეს მოვიდნენ — იმ დღეს ვწყევლი და მისთ.

არსებითად სიტყვათშეხამების ძირითადი წევრის მორფოლოგიური (ზშირად ლექსიკურიც) თვისებები განაპირობებს შეხამების

სტრუქტურულ თავისებურებებს; მაგ., ქართულ ენაში შეხამების გრამატიკულად „გამფორმებელი“ როლი, როგორც წესი, გაბატონებულ წევრს ეკისრება: მას უმეტეს შემთხვევაში აქვს ნიშანი (თუკი საერთოდ შეუძლია ფორმათა შექმნა); შდრ. მქავე — მაწონს. სხვა ენებში, მაგალითად გერმანულში, შეხამების გაფორმება საკმაოდ ხშირად ეკისრება დაქვემდებარებულ წევრს; შდრ.

guter Wein — gutem Weiu და მისთ.

ლექსიკურ ფაქტორს უმთავრესად რეალიზაციის დროს აქვს მნიშვნელობა; მაგალითად, ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია სიტყვათშეხამებანი: კვადრატული წრე, სამკუდიანი ცხვირი, თორმეტკუთხა თმა, რძისნაწნავეები და სხვ. სიტყვათშეხამების სტრუქტურისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ლექსიკურ-გრამატიკულ ფაქტორს. სხვადასხვა ტიპის სიტყვათშეხამებათა სტრუქტურა განისაზღვრება მასში შენაკადი წევრების კუთვნილებით სიტყვათა ამა თუ იმ კლასისადმი.

ნორმალური სიტყვათშეხამებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მის კომპონენტებს არ დაუკარგავთ თავისთავადი მნიშვნელობა, მაგალითად, ხის კოვზი, კოვზი ჩაუვარდა (მაგ. ჯამში). ამ შეხამებებში ცალკე აღებული კომპონენტები არ კარგავენ თავისთავად მნიშვნელობას, იმავე სემანტიკით იხმარებიან სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას; მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სიტყვათშეხამების ცალკეული კომპონენტის შინაარსი (მნიშვნელობა) „ითქვიფება“ მთლიანად სიტყვათშეხამების შინაარსში. ასეთი მდგომარეობა ვვაქვს ე. წ. ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეხამებაში, როგორცაა, მაგალითად, წითელი კუთხე, კოვზი (ნაცარში) ჩაუვარდა, ჭერს მიადწია, სიზიფეს შრომა და სხვ.

თავიანთი ზოგადი ხასიათით სიტყვათშეხამების კანონზომიერებანი უცვლელია. რამდენადაც გაბატონებული წევრი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა და ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება, იგი მეტ-ნაკლებად განაპირობებს თავისი დაქვემდებარებული წევრის ფორმას სიტყვათშეხამების შექმნისას, რადგან მეტყველებაში სიტყვათშეხამების სახელდობრ „შექმნა“ (შედგენა) ივარაუდება და არა წინადადებიდან მისი გამონაწევრება. შედგენის გზით განხილულ სიტყვათშეხამებაში წინ წამოწეულია მისი სინტაქსური მხარე, ხოლო წინადადებიდან ანალიზის გზით მიღებულში ძირითადად — მისი ნომინაციური მხარე.

სიტყვათშეხამების გაფორმებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს დაქვემდებარებულ წევრსაც თუნდაც იმით, რომ ის ემორჩილება არსებულ წესს, თუ საერთოდ გააჩნია ფორმაცვლილების კატეგორიები. ამ მხრივ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ზმნა,

რომელიც ზოგადად განსაზღვრავს სუბორდინატების შეხამებას მასთან: ზმნასთან სუბორდინაციაში შეხამებული სახელი ყოველთვის მართულია, ზმნიზედა—მართული (ასევე მართულად ითვლება ზმნიზედათა ფარდი თანდებულის ან უთანდებულო სახელები). აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა შეხამებაში ზოგჯერ უცვლელად რჩება მაშინაც, როდესაც იცვლება გაბატონებული წევრი ზმნის ფორმა; მაგ.:

ნიშნავენ	}	—მასწავლებლად
დანიშნავენ		
დანიშნეს		
დანიშნა და სხვ.		

კიდევ მეტი, ზმნის ჩამონაცვლება კოორდინაციული რიგიდან სუბორდინაციულში (სინტაქსური ფუნქციის შეცვლა) ზოგჯერ გავლენას არ ახდენს სიტყვათშეხამების ფორმაზე, თუ ეს დამოკიდებულია სუბორდინაციული იყო. ამ შემთხვევაში ნაზმნარი სახელები ინარჩუნებენ ზმნურ შეხამებებს; მაგ.:

მასწავლებლად დანიშნეს, ნიშნავენ, დაუნიშნავთ და ა. შ

მასწავლებლად —	{	დანიშნული
		დამნიშვნელი
		დასანიშნავი
		დანიშვნა

ანალოგიური მდგომარეობაა, როდესაც ზმნასთან ზმნიზედა ან მისი ფუნქციური ეკვივალენტი სახელია შეხამებული:

გუშინ სოფლიდან ჩამოვიდა, ჩამოსულა, ჩამოსულიყო და ა. შ.

გუშინ	{	ჩამოსული
სოფლიდან		ჩამომსვლელი
		ჩამოსასვლელი
		ჩამოსვლა და სხვ.

მაგრამ, თუ კოორდინაციული რიგიდან ჩამონაცვლებამდე ზმნასთან მორფოლოგიური პირის კატეგორიით იყო დაკავშირებული რაიმე სუბსტანტიური ელემენტი (კოორდინატი), სუბორდინაციულ რიგში ჩამონაცვლებისას დამოკიდებულების ზოგი სახე (მაგალითად, შეთანხმება პირში) იკარგება, რადგანაც ზმნა არ შეიძლება იყოს სუბორდინატი, ხოლო ნაზმნარ სახელს (მასდარს, მიმღობას) პირის მორფოლოგიური კატეგორია არ გააჩნია. ზოგიერთი

დამოკიდებულება ზოგადად რჩება (მაგ., მართვა ბრუნვაში), მაგრამ ფორმა იცვლება, რადგან ახალი დამოკიდებულება იქმნება. შეიქმნება საჭირო შეიქმნეს რაიმე ლექსიკური ცვლილების შეტანაც (ჩვეულებრივ წევრის დამატება).

აღნიშნული ცვლილებები, ჩვეულებრივ, ზმნა-შემასმენელს მოუდის რთული ქვეწყობილი წინადადებიდან მარტივად გარდაქცევის პროცესში, რომლის დროსაც დამოკიდებულების ნიშნების (კავშირის, კორელატის) გაქრობასთან ერთად დამოკიდებულ წინადადებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება; სახელდობრ, ზმნა-შემასმენელი იქცევა სახელზმნად და მასთან დაკავშირებული წევრებიც, „ეგუებიან“ რა ახალ ვითარებას, ახალ სინტაქსურ კავშირს ამყარებენ თავიანთ ფორმაშეცვლილ დომინანტთან; მაგალითად:

ა) ვინც „ანი“ თქვა, იმან „ბანიც“ უნდა თქვასო (ხალხ.).

ბ) „ანის“ მთქმელმა „ბანიც“ უნდა თქვასო.

ურთიერთდაქვემდებარებული (კოორდინაციული) სიტყვათშეხამება („ანი“ თქვა) იქცა სუბორდინაციულად („ანის“ მთქმელმა). სინტაქსური ურთიერთობა შეიცვალა; ნაცვლად კოორდინაციისა (პირსა და ბრუნვაში), გვაქვს ცალმხრივი მართვა“ (თუ შეთანხმებას არ ვიგულისხმებთ. იხ. 3. 6. ბ. § 7) „ნათესაობით“ ბრუნვაში; მაგ.:

ა) როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწვევიან (ვაჟა).

ბ) ქარის ბერვის დროს სხვა ხეები ერწვევიან.

ა) ქარი = უბერავს — ხეები = ერწვევიან

როცა სხვა

ბ) ხეები = ერწვევიან

სხვა

ბერვის დროს

ქარის

თუ რთული ქვეწყობილის მარტივად გარდაქცევის დროს საჭიროა პირის აღნიშვნა, ახალ ვითარებაში შემასმენელყოფილი სახელ-ზმნა დაირთავს კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომლებიც შინაარსობრივად რეალურად წარმოდგენილი ან ნაგულისხმევი პირის ნაცვალსახელების ფუნქციას ასრულებენ; მაგ.:

ყველას გაეხარდა, რომ მე ჩამოვედი.

ყველას გაეხარდა ჩემი ჩამოსვლა და სხვ.

სიტყვათშეხამებაში გაერთიანებულ ერთეულებს უფრო მეტად აქვთ შენახული თავიანთი ნომინაციური სახე, ვიდრე კონსტრუქციაში, სადაც არა მარტო ფორმაზე, არამედ შინაარსზეც ახდენს გავლენას მოდელი.



რამდენადაც სიტყვათშეხამებას შემხები (ნომინაციური) ფუნქცია აღმოაჩნდა სიტყვასთან, მით უფრო, რომ ნომინაციის თვალსაზრისით იგი რთული ცნების გამომხატველ ერთეულად მივიჩნიეთ, დგება საკითხი სიტყვათშეხამებისა და სიტყვათწარმოქმნის ურთიერთობის შესახებ.

სიტყვათწარმოქმნაში იგულისხმება სიტყვათა ისეთი ცვლილება, როდესაც ერთი სიტყვისგან მასზე მაწარმოებელი აფიქსის ან სხვა სიტყვის დამატებით ვიღებთ ახალ სიტყვას (ე. ი. სიტყვათწარმოქმნას ზოგადად ვიხილავთ, მასში კომპოზიციაც შეგვაქვს). სიტყვათშეხამების მსგავსად, სიტყვათწარმოების შედეგადაც ვიღებთ რამდენადმე რთულ ცნებას. წარმოქმნის პროცესში სიტყვას მნიშვნელობა ეცვლება. მაგრამ ძირეული მნიშვნელობა მთლიანად არ იკარგება, ახალ სიტყვაში ძირეულის სემანტიკის რაღაც ნიუანსი მაინც რჩება. სიტყვათწარმოებას, კერძოდ მის აფიქსებიან წარმოებას, ნაკლები ურთიერთობა აქვს სიტყვათშეხამებასთან, მის სტრუქტურასთან. იგი სიტყვათშეხამების ვარიანტთა წარმოქმნის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ, მაგრამ სიტყვათშეხამების სტრუქტურასთან, მის აგებულებასთან ძალიან ახლოსაა რთული სიტყვა, რომელიც შედგება ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან (გ უ ლ გ ა ტ ე ხ ი ლ ი, ც ი ს კ ა რ ი, ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი, თ ა ვ ქ უ დ მ ო გ ლ ე ჯ ი ლ ი და სხვ.). კომპოზიტებიც ისევე რთულ ცნებას აღნიშნავენ, როგორც სიტყვათშეხამებანი; ასევე შეიძლება მათი დანაწევრება, მაგრამ კომპოზიტებში არა გვაქვს სინტაქსური კავშირი და, რაც მთავარია, რთული სახელი წინადადების როგორც კონსტრუქციაში, ისე შესიტყვებასა და სიტყვათშეხამებაში ერთ ფუნქციურ ერთეულად (წინადადების ერთ წევრად) წარმოგვიდგება, ხოლო სიტყვათშეხამება სიტყვების გრამატიკულად ორგანიზებული შეერთებაა.

ყოველგვარ სიტყვათშეხამებაში მისი შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, მკვეთრ და ნათელ სინტაქსურ დამოკიდებულებას ქმნის, ხოლო რთული სიტყვისათვის იმ დროსაც კი, როდესაც შესაძლებელი ხდება მის ნაწილებს შორის რაიმე დამოკიდებულების მიგნება (მაგალითად, ცის+კარი, ქარ+ბორბალა და სხვ.), არ არის დამახასიათებელი ამგვარი ნათელი, მკვეთრი დამოკიდებულება.

ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: რთულ სიტყვათა უმრავლესობა (გარდა ხმებაძვითებისა და ფუძეგაორკეცებული სიტყვებისა) სიტყვათშეხამებათაგან მომდინარეობს; შდრ.

ცის სარტყელი →	ცისარტყელა
გული წაუვიდა →	გულწასული
ყურად ილო →	ყურადღება
საკინძე გაელელა →	საკინძეგაელელი
თავს გავიდა →	თავგასული და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ ფორმებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ სხვა არის კავშირი წინა ვითარების მიხედვით და სხვა — ახლანდელი თვისებები. მათ შორის დიდი ზღვარია.

შენიშვნა: ზოგჯერ აღნიშნავენ სიტყვათა შეხამების თანწყობილ (პარატაქსულ) კავშირს; მაგ.: და და ძმა, დედა და მამა, დღეს პირველი მაისი და პირველი გაზაფხული და ა. შ. სიტყვათა შორის ამგვარი კავშირი ანარეკლია ქვეწყობილ (ჰიპოტაქსური) კავშირისა, რაც თანადაქვემდებარების საფუძველზეა მიღებული.

6. 8. სიტყვათშეხამების სახეები

სიტყვათშეხამებათა კლასიფიკაცია სხვადასხვა საზომით შეიძლება: გაბატონებული წევრის მიხედვით, დაქვემდებარებული წევრის მიხედვით, სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით, სემანტიკურ-სტილური თავისებურების მიხედვით და სხვ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ნაშრომში სხვადასხვა საზომია გამოყენებული; მაგალითად, რუსულ აკადემიურ გრამატიკაში განხილულია სიტყვათშეხამების (რომელიც გაიგივებულია შესიტყვებასთან) 6 სახე გაბატონებული სიტყვიდან ამოსვლით:

1. Словосочетания с глаголом в роли главного слова.
 2. Словосочетания с именем существительным в роли главного слова.
 3. Словосочетания с именем прилагательным в роли главного слова.
 4. Словосочетания с местоимением в роли главного слова.
 5. Словосочетания с именем числительным в роли главного слова.
 6. Словосочетания с наречием в роли главного слова.
- (იხ. Грамматика русского языка, т. II, ч. I, гл. 113—150).
მაგრამ ამგვარი დაყოფა საკმარისი არ აღმოჩნდა და შემდგომი დიფერენციაციის საჭიროება შეიქნა. იმავე წიგნში Словосочетания с именем существительным в роли главного слова დაშლილია შემდეგ ქვეჯგუფებად და სახეობებად:

А. Беспредложные словосочетания с именем существительным:

1. Словосочетания с зависимым словом — именем существительным в родительном падеже.

2. Словосочетания с зависимым словом — именем существительным в дательном падеже.

3. Словосочетания с зависимым словом — именем существительным в творительном падеже.

Б. Предложные сочетания с именами существительными:

1. в родительном падеже:

а) с предлогом из,

б) с предлогом с და ა. შ.

სიტყვათშეხამების სემანტიკა უძვეეს საფუძვლად ი. მელჩუკის კლასიფიკაციას. ავტორს გამოყოფილი აქვს (არასრულად) 31 სემანტიკური დამოკიდებულება, როგორცაა:

1. Предикативное — работа началась, треугольник был [равнобедренный]...

2. Первое объектное — начинать работу, принадлежать множеству...

3. Второе объектное — вынести [символ] за скобки, приписывание информации [индексов]...

4. Третье объектное — перевод [текста с английского языка] на русский...

5. Определительное — обычная запись, вычислительный процесс...

6. Указательное — этот человек, тех решений...

7. Притяжательное — орудие вычисления, их комната და სხვ. (იხ. И. А. Мельчук. Автоматический синтаксический анализ.

გვ. 20-22; ავტორისეული წესის — ისრით დაკავშირების — ნაცვლად, ტექნიკურ მიზეზების გამო უშუალო დაქვემდებარებაში არმყოფი ელემენტები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. — ა. დ.).

დაქვემდებარებული წევრის მიხედვით შეიძლება აღინიშნოს სიტყვათშეხამებათა შემდეგი სახეები:

1) კოორდინირებული (კონსტრუქციაში):

ა) მართული (ბრუნვაში) და შეთანხმებული (პირში): მიეგება სტუმრებს, დააფრთხო ბელურები და მისთ.

ბ) მართული (ბრუნვაში) და შეთანხმებული (პირსა და რიცხვში): ბ ა ე შ ვ ე ბ მ ა ი ც ი ნ ე ს, ჩ ი ტ უ ნ ე ბ ი ფ რ თ ხ ი ა ლ ე ბ ე ნ და მისთ.

2) სუბორდინირებული (შესიტყვებაში):

ა) შეთანხმებული — შ ვ ი დ ნ ი გ უ რ ჯ ა ნ ე ლ ნ ი, ჩ ე მ მ ა ძ მ ა მ...

ბ) მართული — ბ რ ი გ ა დ ი რ ა დ დ ა ნ ი შ ნ ე ს, თ ო ფ ი თ მ ო კ ლ ა...

გ) მართული — ი ქ ც ხ ო ვ რ ო ბ ს; გ უ შ ი ნ ჩ ა მ ო ვ ი დ ა...

საკმაოდ გავრცელებულია სიტყვათშეხამებათა აღნიშვნა მეტ-

ყველების ნაწილთა დასახელებით, როგორცაა ზმნური კონსტრუქციები, არსებითი სახელის კონსტრუქციები და სხვ. (იხ. А. С. Хорнби. Конструкции и обороты современного английского языка. М., 1960, გვ. 25 და შმდ.).

სიტყვათშეხამებათა კლასიფიკაციის ზემოაღნიშნულ ძირითად სახეებს ერთურობით შედარებით საკმაოდ აქვთ ნაკლიცა და ღირსებაც. პირველი ორის ნაკლი ისაა, რომ ისინი სცილდებიან სინტაქსის სფეროს და ლექსიკურ-სტილურ ელფერს წამოსწევენ წინ. ამ მხრივ (იმანენტის თვალსაზრისით) უკეთესია მესამე, რომელსაც საფუძვლად უდევს სინტაქსური დამოკიდებულების სახეები და მისი ფორმები, მაგრამ მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ძალიან ზოგადია. იგი კარგ შედეგს მოგვცემს წინადადების საერთო (ზოგადი) მოდელისათვის, მაგრამ წინადადებაში გამოხატულ აზრობრივ მიმართებას არ გადმოგვცემს.

შეიძლებოდა სიტყვათშეხამებათა კლასიფიკაცია წინადადების წევრთა მიხედვით მოგვეხდინა და ამით გაგვემტკიცებინა ტრადიციულ წინადადების წევრთა ადგილი სინტაქსში; წევრთა მიხედვით კლასიფიკაციის დადგენისას გვექნებოდა შემდეგი სიტყვათშეხამებანი (სინტაქსური წყვილები):

1. შემასმენელი-ქვემდებარე (თაგუნა ხტის);
2. შემასმენელი-ირიბი დამატება (ეფარება კლდეს);
3. შემასმენელი-პირდაპირი დამატება (დაწერა წერილი),
4. ქვემდებარე-განსაზღვრება (ფართო გზა) და ა. შ.

მაგრამ ამ კლასიფიკაციასაც მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს, ჯერ ერთი, რიგ შემთხვევაში დამოკიდებულება ერთნაირი იქნება სხვადასხვა წევრთან; მაგალითად:

ქვემდებარე	}	-განსაზღვრება
ირიბი დამატება		
პირდაპირი დამატება		
გარემოებანი განსაზღვრება		

მეორე, ერთსა და იმავე წევრთან წყვილში დამოკიდებულება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს; მაგალითად,

შემასმენელი	}	ქვემდებარე
		ირიბი დამატება
		პირდაპირი დამატება

რამდენადაც სიტყვათშეხამება ლექსიკურ-მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ღონეთა შორის გარდამავალ ენობრივ ერთეულად

მივიჩნიეთ (იხ. 2. 4. ბ), მისი მხოლოდ ლექსიკური, მორფოლოგიური ან მხოლოდ სინტაქსური დახასიათება მიზანშეწონილი არ იქნება; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, რადგანაც სიტყვათშეხამება გარკვეულ მიმართებას ქმნის, ხოლო მიმართება გრამატიკული მოვლენა, ოპერაციაა, რომელიც დამატებით ელფერს გამოხატავს და ეს დამატებითი ელფერი ხშირად სტილურიდან შინაარსობრივ-ლოგიკურამდე აღის (მაგალითად, კოორდინაციაში), გასათვალისწინებელია მისი სემანტიკურ-სტილური მხარეც. ამიტომ ჩვენ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ როგორც გაბატონებულს, ისე დაქვემდებარებული წევრის მიხედვით და შევეცდებით, დავახასიათოთ იგი როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე სემანტიკური ფუნქციის მიხედვით (კოორდინატა ურთიერთობა ჩვენ ცალკე განვიხილეთ, ამჟერად დავახასიათებთ მხოლოდ სუბორდინაციულ სიტყვათშეხამებებს).

ძირითადად, შეიძლება აღინიშნოს სიტყვათშეხამებით გადმოცემული შემდეგი სემანტიკური მიმართებანი:

სიტყვათშეხამების შინაარსი სემანტიკური მიმართება

(წევრთა ლოგიკურ-გრამატიკული მიმართება)

1. სუბიექტურ-პრედიატული — საგანი — მოქმედება.
2. პრედიატულ-ობიექტური — მოქმედება — საგანი.
3. სუბსტანტიურ-ატრიბუტული — საგანი — ნიშან-თვისება.
4. პრედიატულ-გარემოებითი — მოქმედება — ლოკალიზება (ადვერბიალური)

(ადგილის, დროის, ინტენსიობისა და სხვა ნიშან-თვისებათა მიხედვით).

რამდენადაც სიტყვათშეხამება ლექსიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეთა შუალედურ ერთეულად მივიჩნიეთ, რომელშიც სინტაქსურ მიმართებაზე გავლენას ახდენს როგორც გაბატონებული, ისე დაქვემდებარებული წევრის ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებანი, ამიტომ შეხამების საფუძვლად ვიღებთ მეტყველების ნაწილს თავისი ვალენტობით (წინადადების წევრს).

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით გვექნება შემდეგი სიტყვათშეხამებანი:

- 1) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი არსებითი სახელია;





- 2) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული ზმნაა;
- 3) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი სართავი სახელია;
- 4) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი ცხვითი სახელია;
- 5) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი ცვალსახელია;
- 6) სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი ზმნიზედაა.

რასაკვირველია, ეს ჩამოთვლა ზოგადია და არ ითვალისწინებს ყველა ნიუანსს, რომელიც შეიძლება გაჩნდეს სიტყვათშეხამებაში, ისევე როგორც ტრადიციული სინტაქსის ძირითადი ცნებები — წინადადების წევრები: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატებანი, განსაზღვრება, გარემოებანი — ვერ გადმოგვცემენ წინადადების წევრთა შორის არსებულ დამოკიდებულებათა ზუსტ მნიშვნელობას.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ წინადადებაში ერთურთისაგან იმიჯნება კონსტრუქციული დონისა (კოორდინაციული) და შესიტყვების დონის (სუბორდინაციული) სიტყვათშეხამებანი. პირველი ქმნის ზმნა-შემასმენელთან სუბიექტურ-ობიექტურ დამოკიდებულებას და რამდენადმე სტაბილური (მოდელისმიერი) სახე აქვს, ხოლო მეორე რიგ სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული: კონსტრუქციულ სიტყვათშეხამებებს ჩვენ შევხებით სპეციალურ თავში (იხ. თავი IV), ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ერთს კი კვლავ აღვნიშნავთ: კონსტრუქციული სიტყვათშეხამების ცალკე განხილვა არცაა მიზანშეწონილი, რადგანაც ცალკეული სიტყვის ფუნქცია იქ დამოკიდებულია მთლიანად კონსტრუქციულ მოდელზე, კონსტრუქციის ამა თუ იმ ელემენტის (კოორდინატის) ურთიერთობა ნათელი ხდება არა მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან მისი სინტაქსური დამოკიდებულებით, არამედ იმავე ზმნა-შემასმენელთან სხვა კოორდინატთა ურთიერთობის გათვალისწინებით.

სუბორდინაციული სიტყვათშეხამებებიდან აღინიშნება შემდეგი:





შენიშვნა: ვიდრე სიტყვათშეხამებათა ცალკეული ტიპების დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა კვლავ აღინიშნოს, რომ მეტყველების ნაწილს ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ, ე. ი. ვითვალისწინებთ წინა ვითარებასაც, მაგალითად, არსებით სახელთა ჯგუფში შეგვაქვს საწყისიც, რომელიც წინა ვითარების მიხედვით დომინანციაში ზმნის თვისებებსაც ინარჩუნებს, ასევე შესაბამისად მიმღობანი მოთავსდება ზედსართავ სახელთა ჯგუფში, ნასახელარი ზმნიზედები — ზმნიზედათა ჯგუფში. შევეცდებით მსჯელობის პროცესში ერთურობისაგან გავმიჯნოთ ძირითადი და წინა ვითარების მიხედვით შენარჩუნებული დამოკიდებულებანი.

მ. შ. ა. ნულოვანი სიტყვათშეხამებაანი

სიტყვათა ფუნქციური შეხამება, საზოგადოდ, ვალენტობის კანონებს ექვემდებარება. შესაბამის ადგილზე ჩვენ მიმოვიხილეთ სიტყვათა ვალენტური და ავალენტური კლასები (იხ. 3. 4. ბ. ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია). რიგ სიტყვათშეხამებათა ანალიზის დროს გვხვდება შემთხვევები; როდესაც გაბტონებულ წევრს არ ახლავს დაქვემდებარებული. განსახილველია ორი შემთხვევა:

ა) როდესაც ფუნქციური ერთეული ვალენტური სიტყვით არის გამოხატული, მაგრამ რაიმე მიზეზით (მაგალითად მთქმელის მიზანდასახულობის მიხედვით) არ ახლავს დაქვემდებარებული. იგი არ არის გამოწვეული ფუნქციურ ერთეულთა ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით და ამიტომ მისი „შევსება“ ან დაქვემდებარებული წევრის დამატება სავსებით შესაძლებელია, რასაკვირველია, იმ ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ერთეულებით, რომელთაც აქვთ გაბტონებულ წევრებთან დაკავშირების უნარი: მაგ.: მატარებლით გაემგზავრა → ჩქარი მატარებლით გაემგზავრა და მისთ.

ბ) როდესაც ფუნქციური ერთეული ისეთი ლექსიკურ-მოთ-
ფოლოგიური კლასის სიტყვით არის გამოხატული, რომელსაც არ
შეიძლება ახლდეს დაქვემდებარებული წევრი, რადგან იგი ავალენ-
ტურია, ანუ ნულოვანი ვალენტობისაა.

სიტყვათშეხამებას, რომელშიც არ არის წარმოდგენილი დაქვე-
მდებარებული წევრი, ნულოვანს უწოდებენ.

როგორც აღნიშნეთ, ნულოვანი სიტყვათშეხამება შეიძლება
დროებითი ან რეგულარული იყოს. რეგულარული ნულოვანი შეხა-
მება გვაქვს მაშინ, როდესაც სიტყვათშეხამების ფუნქციურ უჯრაში
მოხვდება ავალენტური სიტყვები; მაგალითად:

მე ყველაზე საწყლად ის მიმაჩნია (ვაჟა).

რა გინდა, დაო? (ვაჟა).

შემდეგში ო რ ი ვ ე ს თვით ყეინმა აბალამ მიაქცია ყურადღება
(ვ. ბარნ.).

ა თ ი წელიწადი სასახლეს აღარ მიჰკარებია (ა. წ.).

ა ქ ერთი დაბრკოლება იჩენს ზავს (ა. წ.) და სხვ.

ზემოაღნიშნულ წინადადებებში სიტყვები: მე, რა, ო რ ი ვ ე,
ა თ ი, ა ქ არასოდეს არ გვევლინებიან გაბატონებულ წევრებად,
თუ, რასაკვირველია, ისინი თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით გა-
მოვიყენეთ. აღნიშნულ შემთხვევაში ნულოვანი სიტყვათშეხამება
სტაბილურია; მაშასადამე, შესიტყვების გავრცობის გზა — დახშუ-
ლი; შესიტყვებაც სტაბილურად ნულოვანი გვექნება. ამ შემთხვე-
ვაში სინტაქსური ერთეულები ნულოვანი ვალენტობისაა.

სიტყვათა კლასის შენაცვლების პროცესში შეიძლება მოდელის-
მიერი წევრის ფუნქციის შესაბამისად ნაცვალსახელიც მოგვევლი-
ნოს გაბატონებულ წევრად. აქ შესაძლებელია ნაცვალსახელმა
შეინარჩუნოს თავისი ნულოვანი ვალენტობა (ეს შემთხვევები უფ-
რო პროდუქტიულია) ან არ შეინარჩუნოს (შედარებით იშვიათად)
და დაიკავშიროს სხვა სიტყვები, ამასთან ერთად შეიძლება მის
დაქვემდებარებულ წევრად მოგვევლინოს ადრე საზიარო გაბა-
ტონებულ წევრთან მასთან ერთად დაქვემდებარებული წევრი.

6. 4. სიტყვათშეხამების ტიპები

6. 4. ა. სიტყვათშეხამების, რომელთა გაბატონებული წევრი
არსებითი სახელია

6. 4. ა. § 1. გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარე-
ბული ზედსართავი (შეთანხმებული)

სიტყვათშეხამების აღნიშნული სახე ყველაზე მეტადაა გავრ-
ცელებული მეტყველებაში. ზედსართავი სახელი, რომლის ძირითა-

დი სემანტიკური ფუნქცია საგნის ნიშან-თვისებათა აღნიშვნაა, წინადადებაში ყველაზე ახლოსაა საგნის აღმნიშვნელ სიტყვებთან არსებით სახელებთან. არსებითს უკავშირდება როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელები (მათ შორის მიმართებითი ნაზმნარი ზედსართავი სახელები — მიმღეობანი), რომლებიც თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობის შესაბამისად რაიმე ნიშნით ახასიათებენ მას. სიტყვათშეხამება ატრიბუტულ (განსაზღვრებითს) შინაარსს გამოხატავს.

ატრიბუტული შეხამებისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია გაბატონებული წევრის სემანტიკის შეზღუდვა, გამონაწევრება ერთგვარ საგანთა წყებიდან; მაგ., რ ი კ უ ლ ე ბ ი ა ნ ი ა ი ვ ა ნ ი აღნიშნავს არა საზოგადოდ აივანს, არამედ ამ საგანთა წყებიდან გამონაწევრებულ აივანს, სახელდობრ — რომელსაც რ ი კ უ ლ ე ბ ი ა ქ ვ ს. ატრიბუტულ შეხამებაში ცნებები აუცილებლად ლოგიკურად უნდა იყოს შეხამებული (მაგ. არ შეიძლება ასეთი შეხამებანი: მ რ გ ვ ა ლ ი ო ბ ხ კ უ თ ხ ე დ ი, ს ა მ გ ვ ე რ დ ა რ ო მ ბ ი, მ წ ვ ა ნ ე გ უ ლ კ ე თ ი ლ ო ბ ა, გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ი ს ი მ შ ვ ი დ ე და სხვ.).

სინტაქსური კავშირი გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრებს შორის მხოლოდ შეთანხმებაა, რომელიც სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად (ან სრული, ან მოკვეცილი მორფით, ან კიდევ სულ უმორფოდ, მაგრამ აუცილებლად რეალურად) არის წარმოდგენილი; მაგ.:

გ ა ს ტ ე ხ ს ქ ვ ა ს ა ც ა მ ა გ ა რ ს ა გ რ დ ე მ ლ ი ტ ყ ვ ი ი ს ა ლ ბ ი ლ ი ს ა (ვტ).

ლ უ რ ჯ ა ბ ე დ ა უ რ ი ჩ ო რ თ ი თ მ ო ა ქ რ ო ლ ე ბ დ ა დ ა მ ა რ ც ხ ე ბ უ ლ თ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი მ ე დ ს (მ. ჯავ.).

სიტყვათშეხამებაში ბრუნვაში შეთანხმება მუდმივია. რიგ შემთხვევაში ერთდროულად გვაქვს შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვშიც. ჩვეულებრივ, ნ/თ-იან მრავლობითში; მაგ.:

კ ვ ლ ა ვ გ ა ნ ი ლ ვ ი ძ ე ს ჩ ვ ე უ ლ თ ა ფ ი ქ რ თ ა (ი. ჭ.).

მ ტ ი რ ა ლ ნ ი რ ი ს თ ვ ი ს მ ო მ ა პ ყ ა რ თ ვ ა ლ ნ ი? (ი. ჭ.)

დაქვემდებარებულ წევრს აქვს ტენდენცია თავის გაბატონებულთან ახლო ყოფნისა. როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში ნორმაა დახშული (პრეპოზიციული უშუალო) შეხამება. მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება (განსაკუთრებით პოეზიაში) როგორც პრეპოზიციული გათიშული, ისე პოსტპოზიციური უშუალო ან გათიშული, ან კიდევ განკერძოებული შეხამება.

ნიმუშები:

უ ლ რ ა ნ ს ტ ყ ე შ ი მ ო ს უ ლ ი ვ ა რ (ვაჟა).

ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? (გრ. ორბ.)

აგერ მუშა მხიარული ნამგალს ლესავს ლილინთა. (ა. წ.)
უკან რჩეს კვალი განათლებული (ი. ჭ.).

გზა მოუძღვის საცალფეხო (ა. წ.)

და დაიმსხვრევა იგი ბორკილი, შემეფერხებელი კაცთა ცხოვრების (ი. ჭ.).

ბოლოს გმირებს იგონებდნენ, მამულისთვის ომებში მკედარს (ა. წ.) და სხვ.

სინტაქსური ურთიერთობის მხრივ გაბატონებული არსებითი და დაქვემდებარებული ზედსართავის ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ, ერთი მხრივ, ნაცვალსახელები, რომლებიც წინადადებაში ზედსართავთა ეკვივალენტებად გვევლინებიან ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი სახელები, რომელთაც დაკარგული აქვთ საგნობრივობის შინაარსი და უფრო მეტად გამოხატავენ თვისებას (პროფესიას, ზომა-ოდენობასა და სხვ.), ვიდრე საგანს; მაგალითად:

მეპურე	→	მეპურე პეტრე
სტუდენტი	→	სტუდენტი ალექსი
ბიჭი	→	ბიჭი ზაზა
ტონა	→	ტონა ქვანახშირი
აცმა	→	აცმა ჩირი და სხვ.

ზედსართავთა მსგავსად ამ ტიპის არსებითი სახელები ატრიბუტულ სიტყვათმეხამებებს ქმნიან, თუმცა რამდენადმე განსხვავდებიან გაფორმებით; მაგ., საკუთარ სახელთან მსაზღვრელად გამოყენებული ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელი, რომელიც თანამდებობას, პროფესიას, ადგილსა და სხვა მსგავს მნიშვნელობას გამოხატავს, ფუძის სახით არის წარმოდგენილი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, მაშინ როდესაც საზოგადო სახელები მოკვეცილი ნიშნებით გვხვდება (იხ → ი, ით → ი): დოცენტ ლურჯაიას ლექცია, ეურნალ „დილას“ გარეკანი, ექიმ ვაჩნაძეთი, კურორც ბორჯომის სანატორიუმები, კომპოზიტორ ფალიაშვილის მუსიკა და სხვ. (იხ. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 86; ვ. თოფური ა. ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1966, გვ. 93-94).

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში (უპირატესად სასაუბრო მეტყველებაში, აგრეთვე ოფიციალურ ტექსტებში) გვხვდება არამართებული შეხამებანი, რაც კალკით უნდა აიხსნას; მაგ.: კომპოზიტორის არაყიშვილის მუსიკა, ფაბრიკის დირექტორის ჯოჯუას მოხსენება და მისთ.; შდრ.: музыка композитора Аракишвили, доклад директора фабрики Джоджуа.

მართალია, აღნიშნული ტიპის (სრული ნიშნით შეთანხმებული) შეხამება ძველ ქართულშივე იყო ცნობილი, გაცილებით ადრე, ვიდრე ქართველებს კონტაქტი ექნებოდათ რუსულ ენაზე მოსაუბრეებთან; ამდენად კო მ პ ო ზ ი ტ ო რ ი ს ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი ს ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული ნასესხები მოდელი არ არის; მით უმეტეს, რომ სინტაქსური მოდელების სესხება ენაში ძალიან იშვიათად ხდება. გრამატიკული წყობა, საზოგადოდ, ძალიან ნელა იცვლება და უკირს უცხო მოდელების გადმოღება, მაგრამ სხვა ენამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ შეხამების პროდუქტიულობაზე. გარკვეულ პერიოდში სალიტერატურო ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის თვალსაზრისით მოხდა ენობრივი ძვრა: პოსტპოზიციურიდან პრეპოზიციულ წყობაში მსაზღვრელის გადანაცვლებამ დამოკიდებულების მორფები სიქარბედ აქცია, რის შედეგადაც მათ ადვილად განიცადეს ფონეტიკური ცვლილებები: ზოგს მოეკეცა თანხმოვანი, ხოლო ზოგი სულ დაიკარგა (იხ. 3. 6. ბ). ფუძეობლოთანხმოვნიან მსაზღვრელებში დაკანონდა ნათესაობითის შეკვეცილი მორფიანი ფორმა (ძნელ-ი (ს) საქმის და მისთ.), მაგრამ თანამედროვე ქართულში ზემოაღნიშნული შეხამებები გავრცელდა რუსული ენის, განსაკუთრებით ოფიციალური დოკუმენტური ტექსტების, საფუძველზე, ასე რომ კალკი ამ შემთხვევაში შეხამების პროდუქტიულობის გაზრდაში გამოიხატება. ანალოგიისათვის შეიძლება დავასახელოთ ზმნის ე. წ. აღწერილობითი ვნებითი ფორმები, რომლებიც ძველ ქართულშიც გვქონდა, მაგრამ ენამ თავის განვითარებაში უპირატესობა ორგანულ ფორმებს მისცა. მაგ., გააკეთეს ან გააკეთდა და არა: გააკეთებულ იქნა; დაწერს ან დაიწერა და არა: დაწერილი იქნა და მისთ.; მაგრამ უკანასკნელ ხანებში პერიოდული პრესის გზით ფართოდ ვრცელდება ფორმები: ჩადგმულ იქნა, მიპყრობილი იქნა და მისთ. და მათს გავრცელებას ხელი შეუწყო რუსული ენის გავლენამ, ე. ი. აქაც კალკი პროდუქტიულობის გაზრდაში გამოიხატა.

გარდა კალკისა, კო მ პ ო ზ ი ტ ო რ ი ს ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ს ტიპის შეხამებათა პროდუქტიულობისათვის ხელი უნდა შეეწყოს ფარდობით კავშირსაც; მაგ.: კო მ პ ო ზ ი ტ ო რ ი ს (კერძოდ) ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი ს (ი) მ მ უ ს ი კ ა; ფ ა ბ რ ი კ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს (ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ) ჯ ო ჯ უ ა ს (ი) მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა და სხვ. ამ აზრის დასადასტურებლად განვიხილოთ განცხადების დასაწყისი (ე. წ. „მისამართი“ ნაწილი): ფ ა ბ რ ი კ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ჯ ო ჯ უ ა ს; შდრ. ფ ა ბ რ ი კ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ს, ჯ ო ჯ უ ა ს. პირველ შემთხვევაში გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული, ხოლო მეორეში — დანართი. საინტერესოა ერთი წინადადების განხილვა „ვეფხისტყაოსნი-

დან: ამა მამისა სწავლისა ქალიბრძნად მოისმინებდა. აქ რომ მსაზღვრელს, ამა ჩვენებით ნაცვალსახელს, მიცემითი ბრუნვის ნიშანი აღვუდგინოთ, წინადადებაში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებები მოხდება: მსაზღვრელ-საზღვრელის ნაცვლად, მივიღებთ დანართს, ხოლო წინადადების არამთავარი წევრი (განსაზღვრება) მთავარ წევრთა რიგში გადაინაცვლებს (ბრუნვაცვალებად ობიექტად იქცევა), შესაბამისად ჩვენებითი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელის ფუნქციას შეასრულებს; შდრ. ამას, მამისა სწავლასა, ქალი ბრძნად მოისმინებდა.

როგორც უნდა იყოს კომპოზიტორის არაყიშვილის ტიპის შეხამების წარმოშობის გზა, თანამედროვე ქართულში იგი არასწორია და მეტყველებიდან უნდა აღმოიფხვრას.

6. 4. ა. § 2. გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული რიცხვითი (შეთანხმებული)

აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი, ჩვეულებრივ, რიცხობრიობას, რიცხვითს დამოკიდებულებას გამოხატავენ. ფორმის მხრივ ასეთი სიტყვათშეხამება, ზოგადად, არ განსხვავდება არსებითი — ზედსართავის სიტყვათშეხამებისაგან. თავისებურია რაოდენობითი რიცხვითი სახელები, რომლებიც, ექვემდებარებიან რა არსებით სახელს, იმავე დროს გავლენას ახდენენ მასზე; სახელდობრ, როცა დაქვემდებარებული წევრი რაოდენობითი რიცხვითი სახელითაა გამოხატული, მაშინ გაბატონებული შეზღუდულია რიცხვის (ებინანისა) წარმოების მხრივ; ათი რვეული, სამიხე და სხვ. და არა: ათი რვეულები (შდრ.: десять тетрадей), სამიხეები და სხვ., მაგრამ სავსებით დასაშვებია შეთანხმება ნ/თ-იან მრავლობითში: ათნი მონანი, სამნი ძმანი და ა. შ. რიცხობრივი სემანტიკური მიმართება ჩვეულებრივ სამგვარად ვლინდება, რაც დამოკიდებულია ცალკეული ჯგუფის რიცხვითი სახელის ლექსიკურ-სემანტიკურ თვისებებზე:

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელი სრულ (მთლიან) საგანთა რიცხვს აღნიშნავს; მაშასადამე, ის შეიძლება შეეხამოს მხოლოდ ფიზიკურად გამოკვეთილ საგანთა სახელებს ან ზომა-ოდენობისა და საწყაოს სემანტიკის მქონე სახელებს:

შვიდი აგური, თერთმეტი ფანჯარა, ასი გვერდი...

ორი კილოგრამი, ექვსი მეტრი, ოთხი თოფი (ქსოვილი)...

სამი მანქანა (ქვიშა), ორი კოდი (მარცვალი), ექვსი თუნგი (ღვინო) და სხვ.

ფიზიკურად გამოუკვეთავ საგანთა სახელებთან რაოდენობით

რიცხვით სახელებს ცვლის ე. წ. რიცხობრიობის შინაარსის მქონე ნაცვალსახელები:

ბ ე ვ რ ი წყალი და ა რ ა: სამი, ხუთი... წყალი,

ც ო ტ ა მარილი და ა რ ა: ექვსი, შვიდი... მარილი და სხვ.

ამავე რიგის ნაცვალსახელი მრავალი ჩვეულებრივს რაოდენობით რიცხვით სახელთა სუბსტიტუციურ ფუნქციას ასრულებს: მ რ ა ვ ა ლ ი ს ა კ ი თ ხ ი, მ რ ა ვ ა ლ ი მ ე რ ხ ი და სხვ. სუბსტიტუციურ ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე ზემოაღნიშნული ნაცვალსახელებიც: ბ ე ვ რ ი და ც ო ტ ა (უკანასკნელი ნაკლებპროდუქტიულია): ას ი კალამი — ბ ე ვ რ ი კალამი, ო რ ი პური — ც ო ტ ა პური და სხვ.

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელები ახასიათებენ საგანთა ადგილს თვლის მიხედვით: მ ე ს ა მ ე რ ი გ ი (ადგილი მეორესა და მეოთხეს შორის), მ ე შ ვ ი დ ე მ ე რ ხ ი (ადგილი მეექვსესა და მერვს შორის ან მეექვსეს მომდევნო, მერვს წინა და ა. შ.).

გ) წილობითი რიცხვითი სახელებიც რაოდენობითს დამოკიდებულებას გამოხატავენ, მაგრამ ან საგნის ნაწილისა (მ ე ო თ ხ ე დ ი ვ ა შ ლ ი, მესამედი კარტოფილი, ნ ა ხ ე ვ ა რ ი მსხალი), ან ერთნაირ საგანთა სიმრავლისა: ნახევარი ჯგუფი. ხშირია წილობით რიცხვით სახელთა გამოყენება ზომა-ოდენობისა და საწყაოს სემანტიკის მქონე არსებითი სახელების დაქვემდებარებულ წევრად: მერვედი კილოგრამი, ნახვარი გირვანქა და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღნიშნულ სიტყვათშეხამებათა სინონიმურ პარალელად გვევლინება ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც წილობითი რიცხვითი სახელი გაბატონებული წევრია: გ ი რ ვ ა ნ ქ ი ს მ ე ო თ ხ ე დ ი, ჯ გ უ ფ ი ს მ ე ს ა მ ე დ ი და სხვ.

6. 4. ა. § 3. გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული არსებითი (შეთანხმებული)

არსებითი სახელის არსებითთან დაქვემდებარებისათვის აუცილებლად საჭიროა დაქვემდებარებულმა არსებითმა მიიღოს ახალი სემანტიკური დატვირთვა, იგი თავისი სემანტიკით ზედსართავს უნდა დაუახლოვდეს და აღნიშნოს არა საგანი, არამედ ნიშან-თვისება. როგორც აღვნიშნეთ, რიგი არსებითი სახელები: ზომა-ოდენობის, საწყაოსი, პროფესიისა და სხვ. ამ შინაარსს ფორმის შეუცვლელად გამოხატავენ, მაგრამ არსებითთა უმეტესობა ფორმას იცვლის, იღებს „ნათესაობითი ბრუნვის ფორმას“, რომელიც სიტყვათშეხამებაში გაერთიანებული სიტყვისათვის არა დამოკიდებულების (ფლესიის), არამედ საწარმოქმნო (სადერივაციო) მნიშვნელობისაა. აღ-

ნიშნულ სიტყვათშეხამებათა ანალიზის დროს განსახილველია, ძირითადად, ორი შემთხვევა:

ა) როდესაც არსებითი სახელი უთანდებულოა და

ბ) როდესაც არსებითი სახელი თანდებულნიანია.

მეორე შემთხვევაში არსებით სახელთა დაქვემდებარება, როგორც წესი, ზმნისადმი დაქვემდებარების ანალოგიურია, რამდენადაც მასში გაბატონებულ წევრად ნაზმნარი სახელი გვევლინება, რომელიც ინარჩუნებს სიტყვათშეხამების წინა ვითარებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს (სახლში წავიდა — სახლში წასვლა, სახლზე მსჯელობს — სახლზე მსჯელობა, ძმასთან მივიდა — ძმასთან მისვლა და სხვ.).

ანალოგიური მდგომარეობა (წინა ვითარების შენახვა) გვაქვს უთანდებულო არსებით სახელებშიც, რომლებიც ზმნისადმი დამოკიდებულების ანალოგიურ სემანტიკურ შეხამებულობასას და გრამატიკულ დაქვემდებარებას ავლენენ გაბატონებული ნაზმნარი სახელებისადმი (გამგედ დანიშნეს — გამგედ დანიშნა, დანით კრის — დანით კრა და სხვ.). აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი, როგორც ვხედავთ, არსებითად არ განსხვავდებიან ზმნისადმი დაქვემდებარების შემთხვევებისაგან (მათ ზმნებთან განვიხილავთ იხ. 6. 4. ბ. § 1), მაგრამ სხვაგვარი მდგომარეობა იქმნება, როდესაც ნაზმნარ სახელად ზმნის გარდაქცევას მოჰყვება დაქვემდებარებული წევრის ფორმის შეცვლა, რაც ახალ, განსხვავებულ დამოკიდებულებას ქმნის წევრთან, მიუხედავად იმისა, რომ დაქვემდებარებულ წევრს შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს ლოგიკურ-სემანტიკური დამოკიდებულება თავის გაბატონებულ წევრთან (ხეს მოჭრის — ხის მოჭრა, ამხანაგი მოვიდა — ამხანაგის მოსვლა, სახლი ააშენა — სახლის აშენება და სხვ.). უკანასკნელი სახის სიტყვათშეხამებანი შეიძლება თანდებულისადაც მოგვევლინოს (ძმას მისწერა წერილი — ძმისთვის წერილის მიწერა). ამგვარ სიტყვათშეხამებაში არსებითი სახელი გრამატიკულად ზუსტად ისეთსავე დამოკიდებულებაშია თავის გაბატონებულ არსებით სახელთან, როგორც ჩვეულებრივი არსებითი სახელების დაქვემდებარების დროს.

დაქვემდებარებული არსებითი სახელი, როგორც აღვნიშნეთ, „ნათესაობით“ ბრუნვაშია, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვა მისთვის აღარ არის დამოკიდებულების ფორმა, არამედ სადერივაციო (სემანტიკურად გარდამქმნელი) მნიშვნელობისაა, ამდენად ამგვარ სიტყვათშეხამებაში დამოკიდებულების ფორმა არის შეთანხმება და არა მართვა ან მართვა-შეთანხმება. („ე. წ. განსაზღვრებაც ხომ სხვა არაფერია, თუ არ სახელი, სახელთან შეთანხმებული“; ა რ ნ. ჩ ი ქ ო-

ბავა. რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? V, გვ. 741).

ლოგიკურ-სემანტიკური დამოკიდებულების გამოხატვა-ისეთ სიტყვათშეხამებებში, რომლებშიც გაბატონებული წევრი არსებითი სახელია, რომელიც ნაშინარი არაა ან თავისი სემანტიკით ზედსართავს არ უახლოვდება, უმრავლეს შემთხვევაში განისაზღვრება გაბატონებული წევრი არსებითი სახელის ლექსიკური მნიშვნელობით. ასეთი სიტყვათშეხამებანი გამოხატავენ, ძირითადად, ორგვარ სემანტიკურ დამოკიდებულებას: ა) კუთვნილებას და ბ) მასალას (რომელიც თავისი ზოგადი მნიშვნელობით შეიძლება კუთვნილებას დაუკავშირდეს);

ა) კუთვნილების გამომხატველი სიტყვათშეხამებანი

1) გაბატონებული წევრი აღნიშნავს საგანს, ხოლო დაქვემდებარებული — პიროვნებას, რომელსაც ეკუთვნის ეს საგანი; მაგ.:

ხატათისა ხელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია (ვტ).
ბაში-აჩუკის თავი ათას ოქროდ დაათასესო (ა. წ.).
წერთლის ქალს გამოუჩნდა ასმათი (ა. წ.) და სხვ.

2) გაბატონებული აღნიშნავს საგნის ნაწილს, დაქვემდებარებული — საგანს: აივნის მოაჯირი, ხის ფესვები, სახლის კედელი, ხმლის წვერი, ხანჯლის ქარქაში და სხვ.

3) გაბატონებული აღნიშნავს კონკრეტულ ან განყენებულ საგანს, დაქვემდებარებული — საქმიანობას, ემოციურ მდგომარეობას, განყენებულ შინაარსს და სხვ.: საქმის კაცი, აღტაცების ხმა, მოძრაობის სინარჩარე, ავბედობის სიმწარე, თბობის წლები, ბედნიერების წუთები და სხვ.

შენიშვნა: ამგვარ სიტყვათშეხამებებში შეიძლება ვივარაუდოთ შესიტყვების შუა სიტყვის „ჩაფარდნა“, რომელიც ზოგჯერ აშკარად იგულისხმება: საქმის (გამკეთებელი) კაცი, აღტაცების (-გან გამოწვეული) ხმა, ი. კავკავადის (დაწერილი) ლექსი და მისთ.

ბ) მასალის სემანტიკის გამომხატველი სიტყვათშეხამებანი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სიტყვათშეხამებას მეტ-ნაკლები კუთვნილების ელფერი აქვს, მაგრამ მაინც ცალკე გამოიყოფა თავისი სპეციფიკური ლოგიკურ-სემანტიკური შინაარსის გამო. ასეთი სიტყვათშეხამებებია: ხისკიბე, აგურის სახლი, ოქროს საათი, ბეტონის ღობე, რკინის ტიშქარი, აბრეშუმის მანდილი, ღაზლის წინდა და სხვ.

მასალის გამომხატველ სიტყვათშეხამებებთან თავიანთი შინა-
რსით ახლოა ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებუ-
ლი წევრი კრებულის აღმნიშვნელია, ხოლო დაქვემდებარებული
მისი შემადგენელი ნაწილისა: ნ ა დ ი რ თ ა ხ რ ო ვ ა, ც ხ ე ნ ი ს
ჯ ო გ ი (რემა), მ გ ა ლ ო ბ ე ლ თ ა გუნდი და სხვ.

გარდა კუთვნილებისა და მასალის აღნიშვნისა, ნათესაობითი
ბრუნვისფუძიანი არსებითი სახელი შეიძლება უფრო განზოგადე-
ბულ სემანტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავდეს, როგორცაა,
მაგალითად:

1) მოღვაწეობის სფერო (ფიზიკის მასწავლებელი, წიგნის რე-
დაქტორი, ოპერის დირექტორი, ცირკის მსახიობი და სხვ.);

3) შეფარდება (მოცულობითი დროის მომენტი): შესვენების
წუთი, ყვავილობის დრო, პასუხის პროცესი და სხვ.:

4) დანიშნულება (წიგნების თარო, კარის ანჯამა, მაგიდის ლამ-
პა, ფანჯრის საკეტი და სხვ.) და ა. შ.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ამგვარი შეხამებანი ქმნიან არა
სუბსტანტიურ, არამედ ატრიბუტულ დამოკიდებულებას, თუმ-
ცა განსხვავდებიან წმინდა ატრიბუტული დამოკიდებულებისაგან,
რის გამოც მათ მიმართებით-ატრიბუტულს უწოდებენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაბატონებული წევრი ნაზმნარი
არსებითი სახელია (მასდარი), სიტყვათშეხამებას, ჩვეულებრივ-
სუბიექტური და ობიექტური დამოკიდებულების ელფერი აქვს,
რაც გადმოყოლილია წინა ვითარებიდან. ამგვარ დაქვემდებარებულ
წევრს წინადადებაში უბრალო დამატებას უწოდებენ და აღნიშნავენ
მის ქვემდებარისებრ, ირიბისებრსა და პირდაპირისებრ სახეებს.
(აღ. ლ ლ ო ნ ტ ი. ქართული წინადადება, გვ. 47-48; ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე-
თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 116-120).

მართლაც აღნიშნული დამატებანი წინა ვითარების მიხედვით
იყვნენ ქვემდებარენი, პირდაპირი თუ ირიბი დამატებანი, ე. ი. კოო-
რდინატებად გვევლინებოდნენ მაშინ, როდესაც მათი ამჟამინდელი
გაბატონებული წევრი არსებითი სახელი ზმნა-შემასმენელი (ძი-
რითადი კოორდინატი) იყო; შდრ.:

ს ტ უ მ ა რ ი წ ა ვ ი დ ა — ს ტ უ მ რ ი ს წ ა ს ვ ლ ა,

მ ა ნ ქ ა ნ ა გ ა ა ჩ რ ა — მ ა ნ ქ ა ნ ი ს გ ა ჩ რ ე ბ ა,

ძ მ ა ს შ ე ხ ვ დ ა — ძ მ ი ს შ ე ხ ვ ე დ რ ა და სხვ.

აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი გრამატიკულად არ გან-
სხვავდებიან ზემოაღნიშნული ტიპებისაგან. სხვაობა მათ შორის მხო-
ლოდ ლოგიკურ-სემანტიკურია. სინტაქსური დაქვემდებარების თვა-
ლსაზრისით, ისინი ნათესაობითი ბრუნვისფუძიანი მსაზღვრელების
ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ. (ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ქართული

ენის გრამატიკის სადავო საკითხები. კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, № 3, გვ. 8).

ამგვარ დამატებათა ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ისინი არა ატრიბუტულ, არამედ ობიექტურ დამოკიდებულებას ავლენენ გაბატონებული წევრის პირთან მიმართების გარეშე. ატრიბუტულ მეხანკებათაგან მათი გამოიჭვნა შეიძლება, ერთი მხრივ, გაბატონებული წევრის სემანტიკის მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, უკუტრანსფორმაციით; მაგ., თუ ნათესაობითის ფორმიანი დაქვემდებარებული წევრი მიემართება მასდართ (ან, საერთოდ, სახელწმინთ) გამოხატულ გაბატონებულ წევრს, რომელსაც დაკარგული არა აქვს ზმნური (მოქმედების, პროცესის) სემანტიკა, მაშინ იგი ობიექტურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს, ხოლო, თუ საგნობრივი სემანტიკა გაუჩნდა, მაშინ გადადის ატრიბუტულ დამოკიდებულებაში და ჩვეულებრივი ნათესაობითის „ფორმიანი“ მსაზღვრელის იდენტური ხდება.

უკუტრანსფორმაციის შედეგად ამგვარ სიტყვათმეხამებაში აღდება კოორდინაციული ურთიერთობა.

მ. 4. ა. § 4. გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული ნაცვალსახელი (შეთანხმებული)

ნაცვალსახელი, როგორც ცნობილია, სუბსტიტუციურ ფუნქციას ასრულებს არსებითი სახელით გამოხატულ გაბატონებულ წევრთან. იგი ზოგადი სემანტიკის მქონე ეკვივალენტია ზედსართავის, რიცხვითისა და ნათესაობითი ბრუნვისფუძიანი არსებითი სახელებისა. არსებითისა და ნაცვალსახელის სიტყვათმეხამებაში, გარდა სუბსტიტუციური ფუნქციის შესრულებისა, ნაცვალსახელი ინარჩუნებს თავის ლექსიკურ თავისებურებებს და სიტყვათმეხამებებს სხვადასხვაგვარ ლექსიკურ-სემანტიკურ ელფერს აძლევს. ეს ელფერი, ჩვეულებრივ, კი არ უპირისპირდება სუბსტიტუციურად გამოსაცემ ზოგად ლექსიკურ მნიშვნელობას, არამედ უფრო დამატებითი ელფერის გამოხატველია; მაგალითად, ზედსართავი სახელის ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობის (ნიშან-თვისების) გადმოცემასთან ერთად მისი შემცველი ჩვენებითი ნაცვალსახელები დამატებით მითითებითს შინაარსსაც აძლევენ სიტყვათმეხამებას; მაგ.: კ რ ე ლ ი კ ა ბ ა — ა ს ე თ ი კ ა ბ ა (მღრ. ი ს ე თ ი კ ა ბ ა), შ ა ვ ი მ ა ნ დ ი ლ ი — ა მ გ ვ ა რ ი მ ა ნ დ ი ლ ი (მღრ. ი მ გ ვ ა რ ი მ ა ნ დ ი ლ ი) და სხვ.

ასევე კითხვითი ნაცვალსახელები ინარჩუნებენ კითხვის ელფერს; მაგ.: ა ს ი წ ი გ ნ ი — რ ა მ დ ე ნ ი წ ი გ ნ ი?

პ ე ტ რ ე ს ხ მ ა — ვ ი ს ი ხ მ ა? და სხვ.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ სიტყვას ენაცვლებიან წინადადე-

ბაში, დაქვემდებარებული წევრი ნაცვალსახელები, ძირითადად, ისეთ-
ოსავე სემანტიკურ მიმართებას ამყარებენ, როგორსაც მათი შესწავ-
ვლებელი წევრი, როგორცაა, მაგალითად:

1) ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი

მითითებითი ელფერით (ადგილის ან დროის განზოგადებული
ლოკალიზაციით):

შენ ეს საქმე მე მომანდვე (ა. წ.).

იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გამხმაურა (ი. ჯ.).

იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი (ი. ჯ.).

გიორგის მოეწონა ამ ის თ ა ნ ა სითამამე მოჯამაგირისა (ი. ჯ.)

და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელისადმი შენაცვლებისას ნაც-
ვალსახელი იძენს მის თვისებას. ზღუდავს გაბატონებული წევრის
რიცხვის წარმოებას. ამ თვისებას ავლენენ რიცხვითი, კითხვითი
(რიცხვითი სახელის კითხვები) და მათგან ნაწარმოები მიმართებითი
და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: ბ ე ვ რ ი მარცვალი,
ც ო ტ ა საქმე, რ ა მ დ ე ნ ი მ ე დღე და სხვ.

შენი შენა: ც ო ტ ა-ს შეიძლება ატრიბუტული შინაარსი
ჰქონდეს: ც ო ტ ა (პატარა) კაცია ამირან, ც ო ტ ა სმა-ქამა
ეყოფა (ხალხ.); შღრ. აგრეთვე ერისთავი დიდი და ერისთავი
ც ო ტ ა მ.

ასეთსავე თვისებას იძენენ განსაზღვრებითი ნაცვალსახელები.
რომლებიც საგანს განზოგადებული რაოდენობის ან განყენებული
ტიპურობის მხრივ ახასიათებენ; მაგ.:

ყ ო ვ ე ლ ი კაცი, ყ ვ ე ლ ა ამხანაგი, ზ ო გ ი (||ზოგიერთი) სა-
კითხი და სხვ.

3) კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი

ჩ ე მ ი ძმა, ჩ ვ ე ნ ი ერი, შე ნ ი ხმა, თ ქ ვ ე ნ ი ოთახი, თ ა-
ე ის ი კალამი, თ ა ვ ი ა ნ თ ი შვილები, მ ი ს ი გარემო, მ ა თ ი
ეზო და სხვ.

(ასრე გითხრა:) სამსახური ჩ ე მ ი გმართებს ამად ორად (ვტ).

(თქვა: მზეო.) ვარდსა სიშორე შე ნ ი დამაჩნდეს ეს აღრე (ვტ).

მართლაც-და ჩ ვ ე ნ ი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?

(ი. ჯ.)

* * *

საინტერესოა ისეთი ატრიბუტულ სიტყვათშეხამებანი, რომ-
ლებშიც შეთანხმება მხოლოდ იგულისხმება, გარეგნულად გაბატონ-
ებულსა და დაქვემდებარებულ წევრს ერთნაირი ფორმა არა აქვთ-
როგორც წესი, ასეთ შეხამებებში, ერთი მხრივ, გვაქვს გაბატონე-

ბული წევრი მოქმედებითში და მისი დაქვემდებარებული წევრი ნათესაობითში (დიდის ამბით, კარგის სიტყვით და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, გაბატონებული წევრი ვითარებითშია, მისი დაქვემდებარებული კი — მიცემითში (მაღალს სახლად, კარგს საქმედ და სხვ.).

დაქვემდებარებული წევრი რომ მხოლოდ ნათესაობითში ყოფილიყო, შეიძლებოდა გარეგნული მსგავსების მიხედვით ნათესაობითის ფუძე გვევარაუდნა (ამხანაგის სახლი ტიპისა), მაგრამ ამგვარ სიტყვათშეხამებებში ნათესაობითის ფუძის ატრიბუტული მსაზღვრელი საერთოდ გამოირიცხულია, რადგანაც ჩვეულებრივ, ამგვარ „პარადოქსულ“ შეხამებას ზედსართავი ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახელი ქმნის, რომელთაც ატრიბუტული დამოკიდებულების შესაქმნელად ფუძის შეცვლა (წარმოქმნა ფლექსიით) არც სჭირდებათ; მაგ.:

ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით (ი. ქ.).

შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია (ი. ქ.).

აქ ხშირად უჭეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით ნებიერს ღორებსა (ი. ქ.).

კარგა ხანი იყო, რაც მზე ჩავიდა და მთვარემ მოჰფინა ნაზის სხივით მთის წვერები (ა. ყაზბ.).

შუა წელიდამ თხემამდე მთა თეთრის თოვლით იყო გადალესილი (ვაჟა).

შავის მანდილით შეკრულა ხევ-ხუვი, მთისა ყელები (ვაჟა) და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ ენაში ბრუნვათა წარმოშობა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. უფრო ახალია ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები (არნ. ჩიქობავა. ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. წგნ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 267-268). უფრო ადრე კი იყო საზიარო ნათესაობით-მოქმედებითი, მიცემით-ვითარებითი ბრუნვები, ე. ი. ენა არ განარჩევდა ერთურთისაგან, ერთი მხრივ, ნათესაობითსა და მოქმედებითს, ხოლო, მეორე მხრივ, მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებს (იხ. ვ. თოფურიძე. ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. სმამ, V, № 3, 1944, გვ. 347). არსებობს რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც „ს ბგერის ხმარებას მსაზღვრელის დაბოლოებად მიცემითსა და ნათესაობითში ისტორიული საფუძველი აქვს. ამ საფუძველზე შემუშავდა ანალოგიური წარმოება ორი სხვა ბრუნვისათვის.

მოქმედებითისა და ვითარებითისათვის. ამ შემთხვევაში მოქმედებითი დაეყრდნო ნათესაობითს, ვითარებითი კი მიცემითს“ (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 85).

ისტორიული თვალსაზრისით, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაში ნორმა ცვალებადია: ძველ ქართულში ნორმა იყო სრული ნიშნით შეთანხმება როგორც პრე-, ისე პოსტპოზიციურ წყობაში, ახალ ქართულში ნორმაა შეკვეცილი ნიშნით შეთანხმება. ნორმის აღნიშნულ ცვალებას აუცილებლად უნდა ჰქონოდა შუალედური გარდამავალ პერიოდი. როდესაც ორივე ფორმა პარალელურად იმარებოდა. წინასწარი ვარაუდის სახით შეიძლება აღინიშნოს (საკითხს სპეციალური კვლევა სჭირდება), რომ ზემოაღნიშნული ტიპის შეხამებანი გარდამავალ პერიოდში უნდა შექმნილიყო, რისთვისაც ზელი უნდა შეეწყო სრული ნიშნით შეთანხმების ნორმის შერყევას. შეთანხმების შერყევა ქრონოლოგიურად უნდა დამთხვეოდა პოსტპოზიციური წყობიდან პრეპოზიციულზე გადასვლას, რამაც გამოიწვია მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანთა ცვალებადობა და რამაც შექმნა ანალოგიური გაფორმების შესაძლებლობა. საკითხის დასაზუსტებლად საგულდაგულო შესწავლა დასჭირდება დიალექტების, განსაკუთრებით მთის დიალექტების, მონაცემებსაც, რადგან არ არის გამორიცხული დიალექტური ფენის ზეგავლენა. ყოველ შემთხვევაში დიალექტების შესწავლა უხვ მასალას მოგვაწვდის.

6. 4. ბ. სიტყვათშეხამებანი, როგორცაა გაბატონებული
წვერი ზმნაა

სიტყვათშეხამებებში, სადაც გაბატონებული წვერი ზმნაა, დაქვემდებარებულ წვერად, როგორც ზემოთაცაა აღნიშნული, შეიძლება მოგვევლინოს არსებითი სახელი (უთანდებულო და თანდებულიანი) და ზმნიზედა. ამავე ჯგუფში შედის სიტყვათშეხამებანი, რომელთაც გაბატონებული წვერი ნაზმნარი არსებითი ან ზედსართავი (მასდარი, მიმღობა) აქვთ, რომელნიც ინარჩუნებენ წინა ვითარებას და დაქვემდებარებული წვერის ფორმის შეუცვლელად დამოკიდებულებას უცვლელად ინახავენ; მაგალითად, სიტყვათშეხამებაში ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გ ა დ ა მ ა ქ ც ი ა (ნ ე ტ ა ვ ი რ ა დ მ ე მ ა ქ ც ი ა , ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გ ა დ ა მ ა ქ ც ი ა ; ხალხ.) გვაქვს სემანტიკის მხრივ გარდაქცევითი დამოკიდებულება. ეგევე დამოკიდებულება უცვლელად რჩება, თუ ზმნა-შემასმენელი ნაზმნარ სახელად (მასდარად ან მიმღობად) გარდაიქცევა; მაგ.: ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გ ა რ დ ა ქ ც ე ვ ა , ბ უ ლ ბ უ ლ ა დ გ ა რ დ ა ქ ც ე უ ლ ი და სხვ. აღსანიშნავია, რომ სინტაქსური დამოკიდებულება (მართვა ბრუნვაში) ფორმის შეუცვლელად ხდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვაგ-

ვარი მდგომარეობა, როდესაც კოორდინაციული რიგის ელემენტები სუბორდინაციულ რიგში ჩამოქვეითდება (საქმეს აკეთებს საქმის გაკეთება, საქმის გამკეთებელი და სხვ.) ამ შემთხვევაში იცვლება დამოკიდებულების ფორმა, თუმცა სიტყვათშეხამება ინარჩუნებს (ლოგიკურ-სემანტიკურად) ადრინდელ შინაარსს.

სიტყვათშეხამებანი გაბატონებული წევრი ზმნით ზოგადად ორგვარ სემანტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავენ: დამატებითს (ობიექტურსა) და გარემოებითს (ადვერბიალურს). პირველი გვაქვს მაშინ, როდესაც ზმნას ეხამება არსებითი სახელი ან მისი ეკვივალენტი ნაცვალსახელი, ხოლო მეორე — მაშინ, როდესაც ეხამება ზმნიზედა ან მისი მნიშვნელობით გამოყენებული (სინონიმური პარალელი) თანდებულიანი ან უთანდებულო სახელი (უკანასკნელი ან გაზმნიზედებულია, ან გაზმნიზედების გზას ადგას).

6. 4. ბ. § 1. გაბატონებული წევრი ზმნა, დაქვემდებარებული არსებითი (არაპირიელი ობიექტური მიმართება)

ამ სახის სიტყვათშეხამებაში განსახილველია არსებითის ორგვარი მდგომარეობა: ა) როცა არსებითი უთანდებულოა და ბ) როცა იგი თანდებულიანია. თანდებულიანი არსებითი სახელი შეიძლება ან დამატების შინაარსს გამოხატავდეს, ან გარემოებისას (ამ ფუნქციას ზოგიერთი უთანდებულო სახელიც ასრულებს). მეორე შემთხვევაში ეს სახელები ზმნიზედათა სინონიმურ პარალელებად გვევლინებიან და ისეთსავე დამოკიდებულებას ამყარებენ თავიანთ გაბატონებულ წევრ ზმნასთან, როგორსაც ზმნიზედები (მიერთვიან მას). თანდებულის ქართულში უფრო გვიანდელი წარმოქმნილია, ვიდრე ზმნიზედა და, მით უმეტეს, სახელი: რიგ თანდებულიან ბრუნვათა გარემოებითს ფუნქციას ძველ ქართულში სახელი უთანდებულოდაც ასრულებდა (ქალაქად წარემართა — ქალაქში წავიდა და სხვ.). მაგრამ თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელდა თანდებულის ფორმები, ხოლო უთანდებულოს უპირატესად არაპირმიმართი დამატების ფუნქციის შესრულება დარჩა.

დაამატებათა შინაარსის მქონე სიტყვათშეხამებათა არსებითი ნიშანი ის არის, რომ დაქვემდებარებული წევრი ინახავს სახელის სემანტიკას, არ იძენს დამატებით ელფერს (მაგალითად, ადგილისა და დროის ლოკალიზებისას), ფორმობრივი დამოკიდებულების მხრივ მართულია (ფუნქციის შესაბამისად) სხვადასხვა ბრუნვაში; მართვა, როგორც წესი, სტატიკურია, ე. ი. დაქვემდებარებული წევრი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს ერთი ბრუნვის ფორმით.

ა) დამატების შინაარსის გამომხატველი სიტყვათშეხამებანი დაქვემდებარებული წევრი უთანდებულო არსებითი სახელით:

1) მიცემითი ბრუნვა

მიცემითი ბრუნვის ფორმა სუბორდინაციულ წევრად ძალიან იშვიათია, რადგანაც მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფუნქცია კორდინატის გამომხატვაა, ამიტომაც, რომ იმ შემთხვევებშიც კი, რომლებიც ენას შემორჩა, სუბორდინაციულ წევრად გამოყენებული მიცემითი ბრუნვის ფორმის უთანდებულო სახელთა პარალელურად თანდებულებიანი იხმარება (თმას ხელი იტაცა||თ მ ა ზ ე ხელი იტაცა: ქ უ დ ს მიიკერა||ქ უ დ ზ ე მიიკერა და სხვ.). ამავე მიზეზით ზოგიერთი მიცემითი ბრუნვის ფორმის უთანდებულო სახელი ზმნის „მოჩვენებითს პირად“ გვევლინება (მ ი მ ი კ ე რ ა მ ა ნ, მე, ი გ ი, მ ა ს || მ ა ნ, მე, ი გ ი. მ ა ს ზ ე და ს ხ ვ.).

2) ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უთანდებულოდ თანამედროვე ქართულში დამატების ფუნქციით გაბატონებულ წევრ ზმნასთან თითქმის სულ არ იხმარება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ სიტყვათშეხამებებს, როგორცაა: ე შ ი ნ ი ა და თ ვ ი ს ა, რ ც ხ ვ ე ნ ი ა ძმისა, მოერიდა ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა და ს ხ ვ. ასეთ სიტყვათშეხამებებს ძველ ქართულშივე მოეპოვებოდათ თანდებულებიანი პარალელები (ა რ ა შე შ ი ნ და შ ი ნ ე ბ ი ს ა გა ნ მ ა თ ი ს ა), თუმცა თანამედროვე ქართულში უთანდებულო ფორმები იხმარება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ სიტყვათშეხამებებში დაქვემდებარებულ წევრს მოკვეცილი აქვს თანდებულო (იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 715).

ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დამატების შინაარსს გამოხატავს გაბატონებულ წევრ ნაზმნარ სახელებთან — მასდარსა და მიმღობებთან; მაგ.:

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ შ ო ვ ნ ე ლ ი ა მ ქ ვ ე ყ ნ ა ლ მ ა რ ტ ო თ ო ფ ი ა (ი. ჯ.). და სხვ.

3) მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებითი ბრუნვის ფორმიანი უთანდებულო დაქვემდებარებული წევრი სიტყვათშეხამებაში აღნიშნავს იარაღს, საჭურველს, მასალას, საშუალებას, რომლითაც სრულდება მოქმედება; მაგ.:

მ ი ს ი ყ ი ნ უ ლ ი თ ნ ა კ ვ ე თ ი თ ა ვ ი მ ო ი რ თ ო მ შ ი ს ა ო ქ რ ო ს ს ხ ი ვ ე ბ ი თ (ი. ჯ.).

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა

(ი. ჭ.).

ასეთ დროს ტყე მწუხარებით ივსება (მ. ჯავ.) და სხვ.
შესაძლებელია სიტყვათშეხამებას შენარჩუნებული ჰქონდეს
ძველი ქართულის ვითარება — გამოსვლითი ბრუნვის ფუნქცია;
მაგ.:

გაზაფხულს მოაქვს ცით სიხარული (ი. ჭ.).

ნუთუ ბედით ხარ მოვლინებული? (ა. წ.) და სხვ.

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის მეორე ძირითადი ფუნ-
ქცია სიტყვათშეხამებაში გარემოებათა აღნიშვნაა. ჩვეულებრივ,
ასეთი გარემოებანი თავიანთი სინტაქსური ფუნქციის გამყარების
გამო ზმნიზედებად იქცევიან ხოლმე, მაგრამ ზოგიერთს ჯერ კიდევ
შენარჩუნებული აქვს სახელის თვისება; მაგ.:

მასპინძელმა ღიმილით დაუმოწმა (მ. ჯავ.).

მის სხივი კრძალვით ფოთლებსა აშრობს (ი. ჭ.) და სხვ.

რიგ შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორ-
მით გამოხატული დაქვემდებარებული წევრი თანაობის შინაარსსაც
აძლევს სიტყვათშეხამებას; მაგ.:

წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და
სიზმრებითა! (ი. ჭ.).

4) ვითარებითი ბრუნვა

ვითარებითი ბრუნვის ფორმიანი დაქვემდებარებული წევრი
სიტყვათშეხამებაში ძირითადად გამოხატავს გარდაქცევას ან თანაო-
ბას.

გარდაქცევის შინაარსის გამოსახატავად გაბატონებული წევრი
ზმნა თვით უნდა აღნიშნავდეს ასეთ მოქმედებას, ე. ი. გარდაქცევის,
დანიშვნის, მოჩვენების შინაარსი უნდა ჰქონდეს (ა. შანიძე ქარ-
თული ენის გრამატიკა, ნაწ. II, VII-VIII კლასის სახელმძღვანელო,
1958, გვ. 45). დანიშვნის შინაარსთან ახლოა საქმიანობის, პროფე-
სიის შინაარსი, რომელთანაც აგრეთვე ხშირად გვხვდება აღნიშნული
ტიპის დაქვემდებარებული წევრი; მაგ.:

წიწილა მალე ყვინჩილად იქცა.

ყოველი ჯირკი მგლად ეჩვენებოდა.

გიორგი გამგედ დანიშნეს.

ვანო მასწავლებლად მუშაობს.

თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა (ი. ჭ.) და სხვ.

ბ) დამატებათა შინაარსის გამომხატველი სიტყვათშეხამებანი
დაქვემდებარებული წევრი თანდებულებიანი არსებითი სახელით.

1) სახელობითი ბრუნვა

სახელობითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმა ზმნასთან, ჩვეულებრივ, შედარების შინაარსს გამოხატავს. დაქვემდებარებულ წევრს სახელს დაერთვის თანდებული ვით; მაგალითად:

ყველანი თ რ ი თ ი ნ ე ბ ი ვ ი თ გასხლტნენ (მ. ჯავ.).

ზურა შიშველი ხ ა ნ ჯ ა ლ ი ვ ი თ ერქო (მ. ჯავ.).

მთვარის შუქზე ხუთი ცხენი გიშრის მ ძ ი ვ ე ბ ი ვ ი თ გაიჭიმა (მ. ჯავ.).

ვით თანდებული შეიძლება სახელის წინაც შეგვხვდეს, თანამედროვე ქართულში — იშვიათად (ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი. თანდებული ქართულში, იკე, I, გვ. 236). მაგ., და მყინვარიდან ვ ი თ ა ვ ე - შ ა პ ი შავი ღრუბელი დაიძრა მიძიმედ (ი. ჯ.).

2) მიცემითი ბრუნვა

თანდებულიანი მიცემითის ფუნქცია (დამატებისა) სიტყვათშეხამებაში მრავალფეროვანია. იგი შეიძლება გამოხატავდეს კუთვნილება-დანიშნულების, თანაობის, სამოქმედო საგნის, შესადარებელი საგნისა და სხვა შინაარსს. ამასთან ცალკეული სემანტიკის გამოხატვა არ არის დამოკიდებული არც მარტო თანდებულზე, არც თანდებულიან სახელზე და არც მის გაბატონებულ წევრზე. მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებულები:

ა)-ვით, რომელიც შედარების შინაარსს ანიჭებს დაქვემდებარებულ წევრს: ლ ე ვ ა ნ ს ა ვ ი თ უ რ მებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი? (ი. ჯ.).

ბ)-თან, რომელიც ჩვეულებრივ, თანაობას გადმოგვცემს: მ ა ს - თ ა ნ დარჩი! (ი. ჯ.).

ნაზმნარ სახელებთან თან თანდებულიანმა დაქვემდებარებულმა წევრმა შეიძლება სამოქმედო საგანიც გამოხატოს: სადღაა... მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა? (ი. ჯ.).

თანაობის გამოსახატაედ-თან თანდებულიან წევრს ხშირად გასაძლიერებლად დაერთვის ერთად. ეს გამოწვეული უნდა იყოს ლოკალური (მიმართულების) შინაარსისაგან თანაობის გასამიჯნავად; შდრ. ძ მ ა ს თ ა ნ წ ა ვ ი დ ა — ძ მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ წ ა ვ ი დ ა.

გ)-ში და-ზე თანდებულები ერთნაირ დამატებითს (ობიექტურ) შინაარსს აძლევენ სახელებს. მართალია, მათ შორის ელფერის მიხედვით სხვაობაა: „ში შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შეზღუდულ რასმე), ზე კი — ზედაპირს“ (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 620), მაგრამ ეს სხვაობა უფრო გამოკვეთილად გარემოებათა ფუნქციის შესრულებისას ჩანს; მაგ.:



შენ ში კაცისას გრძნობას არ ჰხედვენ (ი. ჯ.).

შენ ზე ამბობენ, რომ ხარ მამაცი (ი. ჯ.).

ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი ქართველის ძილ ში ა კვნესა ისმოდა (ი. ჯ.).

შენი მტერი ჩავარდეს იმ ყოფა ში... (ვაჟა) და სხვ.

ღ) შორის თანდებულისანი სიტყვა ან მრავლობითის ფორმითაა (ამხანაგებს შორის), ან სემანტიკურად გამოხატავს მრავლობითს (მაგ., ნაცვალსახელები: ჩვენ შორის, მათ შორის), ან კიდევ რამდენიმე (აუცილებლად ერთზე მეტი) წევრი სიტყვათშეკავშირების სახითაა წარმოდგენილი (ვახტანგსა და პეტრეს შორის).

შორის თანდებულს სინონიმური პარალელიც აქვს — შუა, რომელიც უფრო ხშირად გარემოებითი ფუნქციის შესრულებისას იხმარება (მთასა და ბარს შუა), მაგრამ ეს თანდებულები ზოგჯერ ერთმანეთს მონაცვლედაც გვხვდებიან.

3) ნათესაობითი ბრუნვა

დამატებითი (ობიექტური) ფუნქცია თანდებულისანი ნათესაობითისა, ისევე როგორც მიცემითისა, მეტად მრავალფეროვანია. იგი გამოხატავს გაბატონებულ წევრთან მოქმედ საგანს, სამოქმედოს, საგნის დანიშნულებას, მასალას და სხვ.

ნათესაობით ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებულები: -გან, მიერ, -კენ, -თვის, -ებრ, გამო; მიმართ, მომართ, შესახებ და სხვ. ამათგან ნაწილი მხოლოდ გარემოებითი დამოკიდებულების შინაარსს გადმოგვცემს (გამო: ავადმყოფობის გამო არ მოვიდა — მიზეზობრივი დამოკიდებულება), ნაწილი — დამატებითს (მიმართ, მომართ, შესახებ და სხვ.), ნაწილი — ორივეს ერთად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სემანტიკური ქვეკლასისაა სახელი, რომელსაც თანდებული დაერთვის (ჩემკენ, სოფლისკენ, სადამოსკენ და სხვ.).

გან თანდებულისანი წევრი სიტყვათშეხამებაში შეიძლება ლოგიკურად მოქმედ საგანს აღნიშნავდეს (მზისაგან გაშავებული). ამ მნიშვნელობით გან თანდებულის შინაარსს მიერ თანდებულები გადმოგვცემს (ამხანაგის მიერ წარმოითქვა, პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა და სხვ.).

გარკვეულ ზმნებთან -გან თანდებულისანი დაქვემდებარებული წევრი აღნიშნავს მასალას (ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ჯვარიცო; ხალხ.).

-ებრ თანდებულისანი სახელი,-ვით თანდებულისანის მსგავსად, მსგავსებას ან შედარებას აღნიშნავს: ამხანაგისებრ მოიქცა.

ხშირად -ებრ სახელის ფუძეს დაერთვის, განსაკუთრებით ნაც-

ვალსახელებს: მეც შენებრ მიწას დავეყრებ თვალით (ი. ჯ.). შესაძლებელია, -ებრ თანდებულიანი სახელი გადავიდეს ზედსართავთა კლასში და შექმნას ახალი (ატრიბუტული) დამოკიდებულება უკვე არსებით სახელთან: იმას კაცებრი გული არ ჰქონდა (ი. ჯ.).

-თვის თანდებულიანი წევრის ფუნქციაა კუთვნილება-დანისუნულების აღნიშვნა. იგი ხშირად გვხვდება ზმნის III სერიის ფორმებთან. ასეთი დაქვემდებარებული წევრი კოორდინაციული რიგიდან არის ჩამონაცვლებული: I და II სერიის ფორმებთან იგი ირიბი დამატება (ე. ი. კოორდინატი) იყო; შდრ. ამხანაგისათვის მიუწერიან — ამხანაგს მისწერა. ნაირბაღი (ნაკოორდინატალი) წევრია აგრეთვე ქცევის ფორმათა დაპირისპირებისას მიღებული-თვის თანდებულიანი სახელი: ამხანაგს შეუკერა — ამხანაგისთვის შეკერა; ძმას გაუწყო — ძმისათვის გააწყო და სხვ.

-თვის თანდებულიან დაქვემდებარებულ წევრთა ანალოგიურ დამოკიდებულებას ქმნიდნენ ძველ ქართულში და თანდებულიანი სახელები (მმისადა ილუაწა — ძმისთვის ილწოდა). ეს თანდებული თანამედროვე ქართულში შემოგვრჩა ნაცვალსახელებთან (ამის და მიხედვით, იმის და მიუხედავად, ჩემ და თავად და სხვ.).

მიმართ (მომართ) თანდებულიანი წევრები მოქმედების ობიექტის ლოკალიზაციას ახდენენ. ძველ ქართულში მიმართ II და III პირისაქენ ლოკალიზაციისათვის იყო გამოყენებული (შენ მიმართ, მეზობლის მიმართ), ხოლო I პირისაქენ ლოკალიზაციისათვის მომართ გამოიყენებოდა (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 622), ე. ი. ეს თანდებულები გვაძლევდნენ ორიენტაციის გაგებას. ორიენტაციის უნარს ამ თანდებულებს მი და მო ზმნისწინები ანიჭებდა (ი. ვეშაპიძე. მიმართ, -მი, მომართ, -მო თანდებულები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 105, 1965, გვ. 57; მისივე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967, გვ. 76 და შმდ.). ამჟამად სამივე პირისათვის მიმართ იხმარება (ჩემს მიმართ, შენ მიმართ და სხვ.).

გარდა თანდებულიანი წევრი სიტყვათშეხამებას გამოორიციების შინაარსს ანიჭებს (შენს გარდა სხვადა მყავს სანახავი). უფრო ხშირია ამ დაქვემდებარებული წევრის განკერძოება, რის გამოც გამოორიციების შინაარსი ძლიერდება და ამ გაძლიერების შედეგად თვით ეს წევრი გამოორიციება წინადადების სტრუქტურიდან (ჩართულად იქცევა): თერთმეტივე, გარდა სმა-ჰამეთლების მეფისა, იმ სარჩობელაზე დაჰკიდეს (ვაჟა.).

შესახებ თანდებულიანი დაქვემდებარებული წევრი, -ზე თან-

დებულიანის მსგავსად, საუბრის ობიექტზე მიუთითებს (ამხანაგის
შესახებ ვსაუბრობდითმა მხანაგზე ვსაუბრობდით).

4) მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებითი ბრუნვის ფორმას მხოლოდ ორი თანდებული და-
ერთვის: -ურთ და -გან. პირველი თანამედროვე ქართულში თით-
ქმის გამჭრალია, საერთოდ კი თანაობის შინაარსს აძლევს სიტყვათ-
შეხამებაში დაქვემდებარებულ წევრს (ჯალაბითურთ წავიდა).
-გან თანდებული თანამედროვე ქართულში გამოსვლითის შინაარსს
აძლიერებს.

5) ვითარებითი ბრუნვა

ვითარებითის ფორმასთან მხოლოდ -მდე||-მდის თანდებული იხ-
მარება, რომელიც დაქვემდებარებულ წევრს, ჩვეულებრივ, ადგი-
ლის ან დროის ლოკალიზაციის (ზღვრული წერტილის) შინაარსს
აძლევს, ე. ი. გარემოებითს დამოკიდებულებას გამოხატავს, მაგრამ
შეიძლება ზოგ დაქვემდებარებულ წევრს რამდენადმე შენარჩუნე-
ბული ჰქონდეს ობიექტური დამოკიდებულების ელფერი: სიკვ-
დილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა? (ვტ).

6. 4. ბ. § 2. გაბატონებული წევრი ზმნა, დაქვემდებარებული ზმნიზედა||„სახელი“ (გარემოებითი სემანტიკური მიმართება)

გარემოება ხუთია: ადგილის, დროის, ვითარების,
მიზეზისა და მიზნისა; მაგრამ ზმნიზედათა ჯგუფები მე-
ტია: 1) ადგილისა, 2) დროისა, 3) ვითარებისა, 4) ზომა-წონისა და
ოდენობისა, 5) ჯერობისა, 6) მიზეზისა, 7) მიზნისა, 8) კითხვითი,
9) მიმართებითი, 10) უარყოფითი, 11) განუსაზღვრლობითი.

აქ შეინიშნება ერთი კანონზომიერება: ფუნქციის მიხედვით
(სიტყვათშეხამებაში) მსგავსი ჯგუფები ერთგვარ შინაარსს გამოხა-
ტავენ; სახელდობრ:

1) ადგილის მიხედვით მოქმედების ლოკალიზაციის მნიშვნე-
ლობას გამოხატავენ დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედები: ადგი-
ლისა, (აქ, იქ, მანდ...), მისი შესაბამისი კითხვები (კითხვითი
ზმნიზედები: სად? საიდან? საით? სადამდე?), ამ კითხვითი
ზმნიზედებისაგან ნაწარმოები მიმართებითი (სადაც, საიდან-
აც, საითაც, სადამდეც), უარყოფითი (არსად, არ-
საიდან, არსაით; ვერსად, ვერსაიდან, ვერსაით;
ნურსად, ნურსაიდან, ნურსაით) და განუსაზღვრელო-



ბითი (სადმე||სადლაც, საითმე, საიდანმე||სადლაც) ზმნიზედები.

2) ანალოგიურად დროის მიხედვით ლოკალიზაციის მნიშვნელობას გამოხატავენ დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედები: ცროისა (წელან, გუშინ, ხვალ, შარშან...), მისი შესაბამისი კითხვები (კითხვითი ზმნიზედები): როდის? რადროს? რადროდინა? რადრომდე?, ამ კითხვითი ზმნიზედებისაგან ნაწარმოები მიმართებითი (როდესაც || როცა, ოდეს, რადროსაც, რადროდინაც, რადრომდეც); უარყოფითი (არას(ს)დროს, ვერას(ს)დროს, ნურას(ს)დროს და განუსაზღვრელობითი (როდესმე||ოდესმე, ოდესღაც).

3) ვითარებითს (მოქმედების ინტენსიობის, ოდენობისა და სხვ.) მნიშვნელობას გამოხატავენ დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედები: ვითარებისა (კარგად, მშვიდად, უკეთ, მაგრა(დ) და სხვ.), ზომა-წონისა და ოდენობისა (იმდენად, ამდენად, ეგზომ, მეტად, ნაკლებ(ად) და სხვ.), ჯერობისა (ერთხელ, შვიდჯერ, ასჯერ და სხვ.), აგრეთვე მათი კითხვები (კითხვითი ზმნიზედები: როგორ?, რაგვარად? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ? რაზომით? და სხვ.), ამ კითხვითი ზმნიზედებისაგან ნაწარმოები მიმართებითი (როგორც, რანაირადაც, რამდენადაც, რამდენჯერაც, რაზომითაც, რაოდენობითაც) და განუსაზღვრელობითი (როგორმე, როგორღაც, რამენაირადმე, რამდენადმე, რამდენჯერმე||რამდენჯერღაც).

4) მიზეზის მნიშვნელობას გამოხატავენ დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედები: მიზეზისა (ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ), მისი კითხვა (კითხვითი ზმნიზედა — რატომ?), ამ კითხვითი ზმნიზედისაგან ნაწარმოები მიმართებითი (რატომაც თავისი სინონიმური ეკვივალენტებითურთ: ვინაიდან, რადგან||რადგანაც) და განუსაზღვრელობითი (რატომღაც).

5) მიზნის მნიშვნელობას გამოხატავენ დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედები: მიზნისა (ამის(ა)თვის, იმის(ა)თვის, მაგის(ა)თვის, ამად), მისი კითხვები (კითხვითი ზმნიზედები: რად? რისთვის?), ამ კითხვითი ზმნიზედებისაგან ნაწარმოები მიმართებითი (რადაც, რისთვისაც) და განუსაზღვრელობითი (რისთვისღაც, რადმე):

შენიშვნა: ვითარების, მიზეზისა და მიზნის ზმნიზედათა კითხვებისაგან (კითხვითი ზმნიზედებისაგან) უარყოფითი ზმნიზედები არ იწარმოება. იშვიათად გვხვდება ნაწილაკიანი ფორმები: არც როგორ, არც რატომ, არც რისთვის და მისთ.

გარდა ზმნიზედებისა, გარემოებითს დამოკიდებულებას ქმნიან სახელები სხვადასხვა ბრუნვის (თანდებულიანი ან უთანდებულო) ფორმით, რომლებიც დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედის ფუნქციას ასრულებენ სიტყვათშეხამებაში. თუ სახელდობრ როგორ გარემოებითს მიმართებას შექმნიან ეს სახელები, ეს დამოკიდებულია მათს სემანტიკაზე: მაგ., დროის სემანტიკის მქონე სახელები დროის გარემოების ფუნქციას ასრულებენ (დილა → დილა ს, სადამო. → სადამოთი და მისთ.), ადგილის სემანტიკის მქონენი — ადგილის გარემოებისას (სოფელი → სოფლა დ, მთა → მთაზე და მისთ.) და ა. შ. სახელები თუ ნასახელარი გარემოებანი უფრო კონკრეტულად გამოხატავენ ადვერბიალური (ზმნიზედურ-გარემოებითი) დამოკიდებულების სემანტიკას, ვიდრე ზმნიზედები, რომელთაც თავიანთი სემანტიკური თვისება — ზოგადი მნიშვნელობა — წინადადებაშიც აქვთ შენარჩუნებული; მაგ., სივრცობრივი შინაარსის გამოსახატავად უფრო ეფექტურია სახელები, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ სივრცეში საგნის ლოკალიზებას. ადგილის ზმნიზედებს სემანტიკის ზოგადობის გამო ეს თვისება არა აქვთ, თუმცა მათი ძირითადი ფუნქცია სწორედ ადვერბიალური (ამ შემთხვევაში სივრცობრივი ლოკალიზების) დამოკიდებულების გამოხატვაა. ამით აიხსნება გარემოებათა ფუნქციით სახელებისა და ნასახელარი ზმნიზედების ჰარბად გამოყენება. თავისთავადი ზმნიზედები მეტყველების პროცესში ან სუბსტიტუციურ ფუნქციას ასრულებენ (კინოში წავიდა, იქ ამხანაგს შეხვდა...) ან ფარდობითი კავშირის საფუძველზე მოითხოვენ უფრო ზუსტ ლოკალიზებას: აქ, ამ პატარა . ახმეტაში... (ა. წ.).

მოქმედებისა და მისი ადგილის გამოხატველი (ადგილის გარემოებითი) სიტყვათშეხამებანი მიუთითებენ მოქმედებასა და მის ადგილზე, მიმართულებაზე, მოქმედების საწყის ტერიტორიულ პუნქტზე, მოქმედების დასასრულ ტერიტორიულ წერტილზე (პუნქტზე) ან ერთდროულად ორივეზე — მოქმედების საწყისსა და დასასრულ ტერიტორიულ წერტილებზე (პუნქტებზე). დაქვემდებარებული წევრი გამოხატულია ზმნიზედით ან სახელით (ჩვეულებრივ, თანდებულისანი): მაგ.:

წინა მიუსხედს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინართა (ვტ).

მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე მიჰრიალებდა (ი. კ.).

იქვე გრძელი სუფრა ედგათ (ა. წ.).

დათუნა განზე დარჩა (მ. ჯავ.).

ამ საბძლის გარშემო ადამიანის კვალი არ ჩანდა (ი. კ.).

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით (ქვეყნიდან) ყოვლი სულიერნი (ვტ.).

დღეს უღუშბოს აქვს სავანე (ა. წ.).

გომურებიდან პატიმრები ზაალის საჯინბოში გადმოიყვანეს (მ. ჯავ.) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში ადგილის: გამოსვლის, სადაობისა და მიმართულებით-მიწვევით შინაარსს ბრუნვის ფორმები უთანდებულოდაც გამოხატავდნენ, მაგრამ ამ შინაარსს გამოხატავდა არა ყველა სახელი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც სემანტიკურად ტერიტორიული შინაარსი ან რაიმე კავშირი ჰქონდათ ტერიტორიის სემანტიკასთან. ეს მდგომარეობა თანამედროვე ქართულშიც გვაქვს, მხოლოდ ახლა უფრო მეტად თანდებულიანი ფორმებია გავრცელებული. ადგილის მიხედვით მოქმედების ლოკალიზაციის ელფერს იძენენ აგრეთვე პიროვნების სახელებიც, რომლებიც შეიძლება როგორც თანდებულიანი, ისე უთანდებულო ფორმით შეგვხვდეს; მაგალითად, თანაობის დამატების შინაარსის სიტყვათშეხამებები შეიძლება გამოხატავდნენ ადგილის შინაარსსაც, რადგანაც რიგ შემთხვევაში მათ მიღებული აქვთ დამატებითი ელფერი — თანაობის პიროვნებასთან ერთად ყოფნის ადგილზე მითითება. სწორედ ამიტომაც, რომ წმინდა თანაობის გამოსახატავად ასეთი სიტყვათშეხამებანი ძლიერდება „ახალი თანდებულოთ“ — ერთად (დედასთან ვიყავი, ძმასთან ვისაიღე... ს ა დ?). ადგილის შინაარსს გამოხატავს რთული ბრუნვისნიშნისანი (-ის-ა-ს) ფორმა პიროვნების სახელებთან, რადგანაც დამატებითი ელფერის მიხედვით ის ერთად ყოფნის ადგილზეც მიუთითებს (ხ ა რ ა ნ ა უ ლ ე ბ ი ს ა ს დ ა რ ჩ ა, ბ უ კ ა ძ ე ბ ი ს ა ს მ ო ხ დ ა და სხვ.).

მოქმედებისა და მისი დროის გამომხატველი (დროის გარემოებითი) სიტყვათშეხამებანი გამოხატავენ მოქმედებასა და მის დროს, მოქმედების პროცესის ხანგრძლიობას, მოქმედების დასაწყისს ან მის დასასრულს მომენტს, ან ორივეს ერთად.

სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარებული წევრი გამოხატულია ზმნიზედით ან სახელით როგორც უთანდებულოდ (ადგილის გარემოებათა შინაარსის სიტყვათშეხამებებთან შედარებით, უთანდებულო სახელები ამ შემთხვევაში უფრო ხშირია), ისე თანდებულიანი ფორმებით; მაგ.:

ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია (ვტ).

ოდეს ტურფა გაიადფეს... (ვტ).

საქართველოს დღეს გარდაუწყდება თავისი ბედი...

(ნ. ბარ.).

ოთხი ძმათნაფიცი კარგა ხანს დაძრწოდა მიყრუებულ ქუჩებში (მ. ჯავ).

დღემდე თვით ეამი არარა იყო (ი. ჭ.).

ან შენ მაშინ რა იცოდი? (ი. ჰ.).

როცა საწყალ მეფემ დაგვიყენა ლეკნი მცველად (ი. ჰ.)
მშვიდობის დროს ჩვენ მეფეებს ჰქონიათ ეს ჩვეულება

(ა. წ.). და სხვ.

ისევე, როგორც ადგილის გარემოებითი დამოკიდებულების შინაარსის გადმოცემისას მნიშვნელობა ჰქონდა დაქვემდებარებული წევრის (სახელის) სემანტიკას, აქაც, დროის გარემოებითი დამოკიდებულებისათვისაც, აქვს მას მნიშვნელობა. სახელს მხოლოდ მაშინ შეუძლია შექმნას ზმნასთან დროის გარემოებითი დამოკიდებულება, თუ იგი შინაარსობრივად დროს ან მის მონაკვეთს გამოხატავს როგორც უშუალო სემანტიკის, ისე დამატებითი ელფერის მიხედვით და ეს დამატებითი ელფერი უმთავრესად გაბატონებულ წევრზეა დამოკიდებული; შდრ.:

ამ დროს ველოდი (ა. წ.) — ვ ა ნ შ მ ო ბ ი ს დ რ ო ს მოვიდა.

ნეტა იმ დროს! (ი. ჰ.) — ნ ე ტ ა ი მ დ რ ო ს მოსულიყავ!

წასვლის დროს ვუცდიდით — წ ა ს ვ ლ ი ს დ რ ო ს მოავიდა და სხვ.

როგორც ვხედავთ, თუ წინადადების მოდელში კოორდინატის ადგილი (ზემოაღნიშნულ შემთხვევებში დამატებისა — მიცემითი ბრუნვისფორმიანისა) თავისუფალია და შესაბამისი ბრუნვის ფორმა მოიპოვება, ამა თუ იმ ბრუნვისფორმიანი სახელი ავსებს მას, მაკრამ. თუ კოორდინატის ადგილი დაკავებულია (რეგულარულად ან ფაქულტატიურად), მაშინ შეუძლია სახელს შეასრულოს სხვადასხვა გარემოების ფუნქცია.

მოქმედებისა და მისი ვითარების გამოხატველი (ვითარების გარემოებითი) სიტყვათშეხამებანი ყველაზე მრავალფეროვანია, რადგანაც მათში გამოხატულია, თუ ზოგადად რა ვითარებაში ხდებოდა მოქმედება. ზოგადი ვითარება კი მეტად ნაირგვარია, იგი შეიძლება გამოხატავდეს საკუთრივ ვითარებას, ჯერობას, ზომა-ოდენობას, შედარებას და პირობასაც კი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა, უფრო დაზუსტდეს გარემოებათა შინაარსი. გამოყოფილია, გარდა ტრადიციულისა (ადგილის, დროის, ვითარების და მისთ.), შესაბამისობის, მდგომარეობის, თანხლების, დაზუსტება-შეზღუდვის, კონტაქტის, შედეგობის, კვალიფიკაციისა და მრ. სხვა (სულ 14)

ტიპი (იხ. В. М. Никитин. Обстоятельство как грамматическая категория в русском языке и его место в системе членов предложения. Изд. Саратовского ГУ, 1959, გვ. 44-45). ქართულ სპეციალურ ლიტერატურაშიც არის ცდა პირობით და დათმობით გარემოებათა ცალკე ტიპებად გა-

მოყოფისა (ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 155-156).

დაქვემდებარებული წევრი გამოხატულია ზმნიზედით ან სახელით; მაგ.:

ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჟვარი (ი. ჯ.). ამ დროს ზედიზედ დაიქექა სადღაც შორს (ა. წ.). დარჩენენ თათრები კახეთში უსარდლოდ (ა. წ.). თითქოს ოთხჯერ დავითვალეო?! (ი. ჯ.)
ზოგჯერ მოულოდნელად ქარი დაჰქროლავს (მ. ჯავ.). ტახტზე დაბრძანდა მეფურად მეფე სვიანი (ა. წ.). მარაბდელთა ნახირი შემკრთალი ბღავილით შემოვიდა სოფელში (მ. ჯავ.).

არჩილმა გაოცებით შეხედა გიორგის (ი. ჯ.) და სხვ.

ვითარების გარემოებითი დამოკიდებულებიდან ცალკე გამოიყოფა პარონომაზიის (ანომიაციის) შემთხვევები. საერთოდ, პარონომაზიას უწოდებენ სინტაქსურ-სტილურ ფიგურას, რომელშიც პოზიციურად ერთმანეთთან ახლოსაა რამდენადმე ერთმანეთის მსგავსი წარმოთქმისა, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული სიტყვები. საკმაოდ ხშირია არა მარტო წარმოთქმით, არამედ სემანტიკურადაც ანალოგიური, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული პარონიმების გამოყენება. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია პარონომაზიის ისეთი შემთხვევები, როდესაც გვაქვს წყვილი ფორმა, რომელთაგან ერთი საწყისია, ხოლო მეორე იმავე ფუძის ზმნა (ხედვით ჰხედვიდეს, მისვლით მივიდეს და სხვ.). ძველ ქართულში პარონომაზიული გამოთქმა (აღნიშნული ტიპისა) საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა.

მიჩნეულია, რომ პარონომაზია ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული (ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 241-242), ყოველ შემთხვევისათვის მას სხვა ენიდან გადმოტანისას ნოყიერი ნიადაგი (ქართული) დახვდა.

პარონომაზია საკმაოდ გავრცელებულია როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში.

პარონომაზიულ გამოთქმებს, ჩვეულებრივ, გარემოებითი ფუნქცია აქვს. სიტყვათშეხამებებში ისინი შეიძლება გამოხატავდნენ მოქმედების ინტენსიობის გაძლიერებას: სირცხვილით რცხვენოდა, სიკვდილით მოკვდა და სხვ.; მოქმედების გამორიცხვას (ამ შემთხვევაში ზმნას, საზოგადოდ, უარყოფითი ნაწილაკი ახლავს): ჭამით არ შეუჭამია, ცხოვრებით არ უცხოვრია, სიკვდილით არ მომკვდარა და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე მოქმედების აუცილებლობისა (აღებით აიღეს) და განმეორებანაგრძლიობის (სვლით ვიდოდა) შინაარსიც.

როგორც აღინიშნა, პარონომაზიული წყვილისათვის დამახასია-

თებელია ვითარების გარემოებითი დამოკიდებულება (ე. ი. პარონომაზიული სიტყვათშეხამება აღნიშნავს მოქმედებას და მის ვითარებას, ინტენსიობას, გამორიცხვასა და სხვ.); მაგ.:

ცემით კი ვცემე (ი. ჯ.).

შიშით კი ყველას ეშინოდა (ი. ჯ.).

ხმელი წიფელი ამოიკვნიესებს ღრმა კვნიესით (ვაჟა).

შენიშვნა: პარონომაზიის აღნიშნულ სახელთაგან განსხვავდება წმინდა სტილური (ტროპული) პარონომები: ქმნა მართლისა სსამართლისა (ვტ); ტყუილსა ტყუებს; ძილში არსძინავს (ი. ჯ.); მეფე მეფურად მზირალი (ვაჟა) და სხვ.

მოქმედებისა და მისი მიზეზის გამომხატველ (მიზეზის გარემოებით) სიტყვათშეხამებებში მხოლოდ მოქმედება და მისი მიზეზია გამოხატული.

დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედაა ან სახელი. მიზეზის ზმნიზედა ქართულში ცოტაა (ამიტომ, იმიტომ, მაგიტომ) და ამიტომ იგი უფრო ხშირად თანდებულიანი სახელებით არის გამოხატული. მიზეზის შინაარსს, ჩვეულებრივ, სახელს გამოთანდებულიანი (უპირატესად აბსტრაქტული არსებითი სახელები),-თვის თანდებულიანი და, შედარებით იშვიათად, მოქმედებითი ბრუნვის უთანდებულო სახელები გამოხატავენ; მაგ.:

ამიტომ ხდება რევოლუცია (გ. ტაბ.).

ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა (ლხენის გამო) სტირის (ი. ჯ.).

და იმ მნათობთა სხივის ალერსით (შალერსის გამო) ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა (ი. ჯ.).

ზოგიერთი უთანდებულო მოქმედებითი კარგავს თავისთავად სახეს, დაერთვის თავის დაქვემდებარებულ წევრყოფილ ნათესაობითის ფორმას და თანდებულის როლს ასრულებს მასთან; ასეთია: წყალობით, გამოისობით, მიზეზით, მეოხებით; მაგ.: ამ მიზეზით ფრთაშესხმული ჩვენი გული სიამით ძგერს (ა. წ.); აგრეთვე ამ ხანაგის წყალობით, მეგობრის მეოხებით და სხვ.

მოქმედებისა და მისი მიზნის გამომხატველ (მიზნის გარემოებით) სიტყვათშეხამებებში მოქმედება და მისი მიზანია გადმოცემული. მიზნის ზმნიზედები, ისევე როგორც მიზეზისა, ძალიან ცოტაა (წარმოშობით, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ორივე ნაცვალსახელურია): ამისთვის, მისთვის მაგისთვის, იმისთვის, ამად, იმად და სხვ.; მაგ.:

მე ჩანეური მისთვის მინდა (ა. წ.).

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო... (ი. ჯ.) და სხვ.

უფრო მეტად გავრცელებულია მიზნის გარემოებითი დამოკიდებულების გამოხატვა სახელებით, როგორც თანდებულიანით, ისე უთანდებულოთი.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებულება ძალიან ჰგავს დანიშნულებითს. სწორედ ამიტომაც, რომ დაქვემდებარებულ წევრად ამგვარ სიტყვათშეხამებაში ძალიან ხშირად გვევლინება მომავალი დროის მიმღეობანი და რიგ შემთხვევაში დანიშნულების სახელები (როგორც ჩანს, სა- თავსართს დამატებით აღნიშნული ფუნქციაც ეკისრება); მაგ.:

ორმოში ფეტვი ჩაყვარე შესანახადაო (ხალხ.) და მისთ.

* * *

გაბატონებული წევრი ზმნისა და დაქვემდებარებული წევრი სახელის ან დაქვემდებარებული წევრი ზმნიზედის ურთიერთობის განხილვისას არ აღგვინიშნავს ზმნის პარალელური (მასდარული ან მიმღეობური) მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, მათ შორის სხვაობა არაა. გარდაქცევა (ზმნათა წყების გადასვლა სახელთა კლასში), ჩვეულებრივ, გავლენას არ ახდენს წევრთა ურთიერთობაზე, გარდა რამდენიმე შემთხვევისა. ერთი მათგანი — კოორდინაციული ელემენტის ჩამონაცვლება სუბორდინაციულში და მის შედეგად სიტყვათშეხამებაში არსებული ცვლილებები — ჩვენ უკვე განვიხილეთ. მეორე შეიძლება გარემოებით დამოკიდებულებაში, როდესაც სიტყვათშეხამება სრულიად კარგავს გარემოებითს შინაარსს და ატრიბუტულ დამოკიდებულებას გამოხატავს. აქ განსაზღვრელია ორი შემთხვევა (თუმცა ორივე ერთი რიგისაა): ა) ნაშმნარი სახელი მყარად გადადის არსებითთა კლასში და ამიტომ გარემოებითი დამოკიდებულება მასში იშლება და მყარ (სტაბილურ) ატრიბუტული შინაარსის სიტყვათშეხამებას გვაძლევს; შდრ:

კარგად მასწავლებლობს — (კარგად მასწავლებელი) —
კარგი მასწავლებელი.

ჩინებულად ფრენს — (ჩინებულად მფრინავი) — ჩინებული მფრინავი.

საინტერესოდ საუბრობს — (საინტერესოდ საუბარი) —
საინტერესო საუბარი.

გვაქვს აგრეთვე ლაბილური ვარიანტი (მეტყველებაში გამოყენების თვალსაზრისით), როდესაც ნაშმნარ სახელთან, რომელიც ჭერ კიდევ მყარად არ გაარსებითებულა, პარალელურად დასაშვებია როგორც გარემოებითი, ისე ატრიბუტული დამოკიდებულება. შე-

საბამისად პირველ შემთხვევაში ინტაქსური დამოკიდებულების ფორმა იქნება მირთვა, ხოლო მეორეში — შეთანხმება.

ამგვარ ვითარებას გამოხატავენ ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც ზმნისადმი დაქვემდებარებულ წევრად გამოყენებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან მიღებული ზმნიზედა (ან გაზმნიზედების გზაზე მდგარი სახელი): **კ ა რ გ ა დ ი ყ ო ს, ფ ა რ თ ო დ გ ა ვ რ ც ე ლ და, ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო დ წ ა ი კ ი თ ხ ა და მ რ. ს ხ გ ა მ ზ მ ნ ა თ ა გ ა ნ ნ ა ზ მ ნ ა რ ი სა ხ ე ლ ბ ი ს წ ა რ მ ო კ მ ნ ი ს შე დ ე გ ა დ ვ ი ლ ე ბ თ უ ც ვ ლ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა თ შ ე ხ ა მ ე ბ ე ბ ს;** მაგრამ მოდელისმიერი ვითარების გამო, რადგანაც გაბატონებული წევრი ნაზმნარი სახელი წინადადებაში სახელის ფუნქციას ასრულებს, ის გავლენას ახდენს დაქვემდებარებულ წევრზე და შეითანხმებს მას ისევე, როგორც ჩვეულებრივი გაბატონებული წევრი არსებითი სახელი; შდრ.:

კ ა რ გ ა დ ც ო დ ნ ა — კ ა რ გ ი ც ო დ ნ ა,

კ ა რ გ ა დ მ ც ო დ ნ ე — კ ა რ გ ი მ ც ო დ ნ ე,

ფ ა რ თ ო დ გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა — ფ ა რ თ ო გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა,

ფ ა რ თ ო დ გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი — (ფ ა რ თ ო გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი),

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო დ წ ა კ ი თ ხ ე ა — ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო წ ა კ ი თ ხ ე ა და ს ხ გ.

შენიშვნა: მიმღობად ზმნის გარდაქვევისას ენა ერიდება დაქვემდებარებული წევრის ატრიბუტულ შეხამებას მიმღობასთან. ამით არის გამოწვეული, რომ შეხამება წევრებისა (ატრიბუტული — ატრიბუტული) ქართულში არაპროდუქტიულია.

შეინიშნება ერთი გარემოება: მასდარი უფრო მეტ გავლენას ახდენს დაქვემდებარებულ წევრზე, ვიდრე მიმღობა, ეს ბუნებრივია, რადგან წინადადების სტრუქტურაში არსებით სახელს უფრო მეტი ზვედრითი წონა აქვს, ვიდრე ზედსართავს; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმღობას უფრო მეტი კავშირი აქვს ზმნასთან, მეტი კატეგორია აქვს შენარჩუნებულს, ვიდრე მასდარს.

* * *

როგორც ზემოთაა აღნიშნული, უპირატესად გაბატონებული წევრი ნაზმნარი სახელიც ისეთსავე გარემოებითს (რიგ შემთხვევაში ობიექტურსაც) დამოკიდებულებას ქმნის, როგორსაც თვით ზმნა. ეს მისი წინა ვითარებიდანაა გადმოყოლილი და სრულიად ბუნებრივი ჩანს; მაგ.: **რ უ მ ბ ს ა ვ ი თ გ ა ბ ე რ ი ლ ი** (← რუმბსავით გაიბერა) **ლუარსაბი გორაედა** (ი. ჯ.).

უწინ ქართველს უხაროდა **მ ა მ უ ლ ი ს თ ვ ი ს მ ტ ე რ თ ა ნ ო მ ი** (ი. ჯ.) ← **მამულისთვის ომობს**).

ჩვენი ჯაფით მონაცვანი (← ჯაფით მოვიყვანეთ) სხვა-
გან მიდის საზრდო პური (ა. წ.).

ფრილოსაებრ ჩამოთლილი (← ფრილოსაებრ
ჩამოათალა) აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე (ი. ჭ.)
და სხვ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. სინტაქსური ანალოგია), შე-
საძლებელია ნაზმნარი სახელის ანალოგიით გარემოებითი ან და-
მატებითი დამოკიდებულება ჩვეულებრივ ზედსართავთან მივი-
ლოთ; მაგ.:

მალა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითე-
ლი (ა. წ.): შდრ.: სისხლივით გაწითლდა — სისხლივით
გაწითლებული = (ანალოგიით) სისხლივით წითელი.

კუპრივით შავი ლეკი გამზათ ედინიც გამოჰყვა (მ. ჯავ.);
შდრ.: კუპრივით გაშავდა — კუპრივით გაშავებული =
(ანალოგიით) კუპრივით შავი. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს
სიტყვათშეხამებებში: უაღრესად სამართლიანი, საში-
ნლად ბოროტი, ასე ძნელი, უსასრულოდ გრძე-
ლი, აუწერლად ღამაზი, გამოუთქმელად ბედ-
ნიერი, არაჩვეულებრივად ფართო და სხვ.

საყურადღებოა, რომ შეიძლება ზმნიზედით გამოხატული წევრი
სხვა მიზეზითაც, შუალედი წევრის „ჩავარდნის“ (შესიტყვების შე-
კუმშვის) გამო, დაექვემდებაროს უშუალოდ არსებით სახელს; მაგ.:
ჩემი მოხევე ძალიან (კარგი) კაცი გამოდგა (ი. ჭ.).
ამის შესაბამისად მოდელისმიერი ადგილის მიხედვით შეხამება ძა-
ლიან კაცი ატრიბუტულ სემანტიკას იძენს.

* * *

თავისებურ სიტყვათშეხამებებს ქმნის ზედსართავ სახელთა უფ-
რობობითი ხარისხის ფორმები, რომლებიც, როგორც სპეციალურ
ლიტერატურაშია აღნიშნული, წარმოშობით ზმნები უნდა იყოს;
მაგ.: მ-ი მ ჯ. ბ ჭ ს, გ-ი მ ჯ. ბ ჭ ს, ხ-უ მ ჯ. ბ ჭ ს და სხვ. (ა. შა-
ნიძე „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში,
თსუ შრომები, ტ. I, 1936, გვ. 333-334; მისივე, ქართული გრამა-
ტიკის საფუძვლები, გვ. 144-145). ისინი თავიანთ დაქვემდებარე-
ბულ წევრებთან ისეთსავე დამოკიდებულებას ქმნიან, როგორსაც
ზმნები. თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია მათთან დაქვემ-
დებარებული წევრი მიცემით ბრუნვაში (-ზე თანდებულიანი): ამ-
ხანა გზე უკეთესი, მ გელზე უბოროტესი, ნახშირზე უშა-
ვესი და სხვ. ძველ ქართულში იგი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით
გვხვდებოდა, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია უთანდებუ-

ლო მიცემითის ფორმებიც: უფროსს გ უ ლ ი ს-წ ყ რ ო მ ა ს ა, უფროსს ს ი ბ ო რ ო ტ ე ს ა და მისთ. (ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 445).

ამგვარ დამოკიდებულებას უფრო ნაწილაკიანი ფორმებიც ქმნიან, რადგანაც უფრო თვით არის ზმნური წარმოშობისა (უფროსს უფროსს); კ ა რ გ ზ ე უ ფ რ ო კ ა რ გ ი. გვხვდება შემთხვევები, როდესაც დამოკიდებულების შემქმნელი უფრო ნაწილაკი ამოვარდნილია და -ზე თანდებულებიანი სახელი უშაულოდ ზედსათავს უკავშირდება: კ ა ც ზ ე (უფრო) მ ა ლ ა ლ ი — ლ ო რ ზ ე (უფრო) დ ა ბ ა ლ ი (ხალხ.).

6. 4. 3. სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზედსართავი სახელია

სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც გაბატონებული წევრი ზედსართავი სახელითაა გამოხატული, საკმაოდ მრავალფეროვანია. ზედსართავთან შეიძლება დაქვემდებარებულ წევრად შეგვხვდეს არსებითი სახელი (ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ნ ა ჩ უ ქ ა რ ი), რიცხვითი (ს ა მ ი გ უ რ ჯ ა ნ ე ლ ი), ზმნიზედა (ძ ა ლ ი ა ნ ლ ა მ ა ზ ი) და სხვ., ნაცვალსახელი (შ ე ნ გ ა ნ მ ო წ ე რ ი ლ ი), თვით ზედსართავიც კი (კ ა რ გ ი მ ო ხ ა რ შ უ ლ ი); მაგრამ ეს მდგომარეობა თითქმის ყოველთვის მეორეულია: ან კონსტრუქციული ვითარებითაა გამოწვეული (მაგალითად, სიტყვათშეხამებაში ო თ ხ ი ძ მ ა თ ნ ა ფ ი ც ი გაბატონებული წევრი გარსებითებულია და ამიტომ არსებითი სახელის ვითარებას გვიჩვენებს; იხ. 1. 5), ან წინა ვითარების გადმონაშთია (ძიმლეობებთან: ძ მ ი ს მ ო წ ე რ ი ლ ი, თ ო ვ ლ ი ს ა გ ა ნ გადათეთრებული, ქ ა ლ ა ქ შ ი ჩ ა მ ო ვ ი დ ა), ან კიდევ ანალოგიითაა მიღებული (მ ე ტ ა დ ლ ა მ ა ზ ი ≈ მ ე ტ ა დ გ ა ლ ა მ ა ზ ე ბ უ ლ ი — მ ე ტ ა დ გ ა ლ ა მ ა ზ დ ა); ასე რომ საკუთრივ („წმინდა“) ზედსართავი გაბატონებულ წევრად არც კი გვხვდება (ზემოაღნიშნული შემთხვევები, როდესაც ნაზმნარი ან გარსებითებული ზედსართავი გაბატონებულ წევრად გვევლინება, განხილულია წინა ვითარების შესაბამის სიტყვათშეხამებებთან).

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით გაბატონებულ წევრ ზედსართავ სახელთან დაქვემდებარებულმა წევრმა შეიძლება შექმნას, ძირითადად, შემდეგი დამოკიდებულებანი:

1) ატრიბუტული:

ბ ა ც ი წ ი თ ე ლ ი, მ უ ქ ი ლ უ რ ჯ ი...

2) დამატებითი (ობიექტური):

ო ს ტ ა ტ ი ს გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი, ძ მ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი, შ ე ნ (შ ე ნ გ ა ნ) გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ი და სხვ.

3) გარემოებითი:



6. 4. დ. სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული
წივრი რიცხვითი სახელია

სიტყვათშეხამებებში, რომელთაც გაბატონებულ წევრად რიცხვითი სახელი აქვთ, გასათვალისწინებელია სამგვარი ვითარება, რომლებიც სავსებით შეესაბამება რიცხვითი სახელის დაყოფას სემანტიკურ ჯგუფებად (ქვეკლასებად):

1) სიტყვათშეხამებანი, რომელთაც „გაბატონებულ“ წევრად აქვთ რაოდენობითი რიცხვითი სახელი;

2) სიტყვათშეხამებანი, რომელთაც გაბატონებულ წევრად აქვთ რიგობითი რიცხვითი სახელი;

3) სიტყვათშეხამებანი, რომელთაც გაბატონებულ წევრად აქვთ წილობითი რიცხვითი სახელი.

სიტყვათშეხამებანი, რომელთა „გაბატონებული“ წევრი რაოდენობითი რიცხვითი სახელია, როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში არ გვხვდება. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, რაოდენობითს რიცხვითს სახელს უაღრესად კონკრეტული მნიშვნელობა აქვს და მისი შემდგომი დაზუსტება (დაკონკრეტება) აღარ არის საჭირო. ამ მხრივ ქართველური ენები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც რიცხვითი სახელი გაარსებითებულია, მაშინ სიტყვათა კლასის შენაცვლების კანონზომიერებათა საფუძველზე იგი ისეთსავე ვითარებას წარმოადგენს, როგორსაც — არსებითი სახელი, და შეუძლია დაიქვემდებაროს როგორც ზედსართავი, ისე ნაცვალსახელი და თვით რიცხვითიც კი; მაგ.:

ასი ათასსა აჯობებს (თუ გამორჩევით მქნელია) (ვტ)

როგორც ჩანს, ეს კარგი ასი (ეს ასი, კარგი ასი) დაფიქრებულად მოქმედებს.

ცოტა ხნის შემდეგ მეორე ხუთი გაუდგა გზას და სხვ.

სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი რიგობითი რიცხვითი სახელია, ან რაოდენობითის მსგავსად კონსტრუქციულ ვითარებას წარმოადგენენ (ამ მესამე მთქვა), ან შესიტყვების ელემენტთა შეკვეცის შედეგად იქნენ გაბატონებული წევრის ფუნქციას: მარცხნიდან მეორე (რიგში), შუიდან მესამე (ადგილზე) და სხვ.

ჩვეულებრივ, ამგვარ სიტყვათშეხამებაში დაქვემდებარებულ წევრად გვევლინება არსებითი სახელი, მისი ეკვივალენტი ნაცვალ-

სახელი, ნასახელარი ზმნიზედა, ან მეტყველების სხვა ნაწილი, რომელიც გაარსებითებულია. სიტყვათშეხამებებს რამდენადმე განმსაზღვრელი (შემზღუდავი), უფრო ხშირად კი გამოყოფის, გამოწვევების შინაარსი აქვს.

სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი წილობითი რიცხვითი სახელია, ორგვარი ვითარებით წარმოგვიდგება:

1) გაბატონებული წევრი აღნიშნავს ნაწილს, ხოლო დაქვემდებარებული — საგანს ან რაოდენობას, რომლის ნაწილიცაა გამოსახატავი (ჩ უ რ ჩ ხ ე ლ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი, ე ქ ვ ს ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი და სხვ.);

2) გაბატონებული წევრი აღნიშნავს ნაწილს, ხოლო დაქვემდებარებული ამ ნაწილთა რაოდენობას (ს ა მ ი მ ე ო თ ხ ე დ ი, ც ხ რ ა მ ე ა თ ე დ ი და სხვ.).

ცალკეა განსახილველი სიტყვა ნ ა ხ ე ვ ა რ ი, რომელიც სიტყვათშეხამებებში სხვადასხვაგვარად გვხვდება: ა) სიტყვათა შეკავშირების სახით (ს ა მ ი და ნ ა ხ ე ვ ა რ ი, ო რ ი და ნ ა ხ ე ვ ა რ ი და სხვ.), ბ) გაბატონებული წევრის სახით (ც ხ რ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი, ა ს ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი და სხვ.), გ) კომპოზიტის სახით (ს ა მ - ნ ა ხ ე ვ ა რ ი, შ ვ ი დ - ნ ა ხ ე ვ ა რ ი და სხვ.).

პირველი (ა) შემთხვევა სტრუქტურულად შერწყმული წინადადებისათვისაა დამახასიათებელი (თუმცა იგი ერთ სინტაქსურ ერთეულადაც — ერთ წევრადაც მიაჩნიათ, რაც არაა კემპარიტებას მოკლებული), მესამე (გ) თავისთავად ერთ წევრს წარმოადგენს: მაშასადამე, ნ ა ხ ე ვ ა რ ი ცალკე წევრად გვხვდება მხოლოდ მეორე (ბ) შემთხვევაში, რაც ჩვეულებრივი წილობითი რიცხვითი სახელის ანალოგიურ ვითარებას ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადმე დასაშვებია ამგვარ სიტყვათშეხამებათა ერთ წევრად ჩათვლა (სახელგვარული სინტაგმის ანალოგიურად), რადგანაც ისინი ერთ ლოგიკურ-სემანტიკურ ერთიანობას (ერთ ცნებას) ქმნიან, ხოლო ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებას სიტყვათშეხამებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

6. 4. 0. სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ნაცვალსახელია

ნაცვალსახელის სემანტიკური თავისებურება (სხვა სიტყვის მნიშვნელობის ზოგადად გამოხატვა) ზღუდავს მის გამოყენებას სიტყვათშეხამების გაბატონებულ წევრად, რადგანაც ზოგადობის დაკარგვას ნაცვალსახელი ვერ ითმენს (მაშინ ის ნაცვალსახელი აღარ იქნება), მაგრამ თავისი სუბსტიტუციური ფუნქციის შესრულების დროს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის სხვადასხვა მიზეზის გა-

მო არსებითის ფუნქციას ასრულებს) გვხვდება შემთხვევები, როდესაც ნაცვალსახელი გაბატონებული წევრის როლს ასრულებს.

როგორც წესი, პირის ნაცვალსახელებს არ ახასიათებთ სუბსტიტუციურობა, ამიტომ ისინი არ გვევლინებიან სიტყვათშეხამების გაბატონებულ წევრად, მათი დაზუსტება მხოლოდ და მხოლოდ დანართითა და განკერძოებული განსაზღვრებით შეიძლება (იხ. 3. 8).

გამონაკლისის სახით გვხვდება ასეთი ფორმა: ყველა ისინი მეგობრები იყვნენ, რომლებშიც იმდენად ახლოა გაბატონებულ და დაქვემდებარებულ წევრთა სემანტიკა, რომ ზოგჯერ ისინი ერთ წევრადაც მიაჩნიათ.

იშვიათია კითხვითი ნაცვალსახელები სიტყვათშეხამების გაბატონებულ წევრად (ეს ვინ მოსულა? ეს რა გიქნია? ასეთი რა დავაშავე? და სხვ.). როგორც წესი, ამ ნაცვალსახელთა დაქვემდებარებულ წევრად ისევ ნაცვალსახელი გვევლინება, თუმცა შეიძლება ზედსართავი ან რიცხვითი სახელებიც გვქონდეს: თავადიშვილი კარგი რა არის, ავირა იყოს (ი. 3.).

იშვიათია აგრეთვე უარყოფითი ნაცვალსახელების ხმარება სიტყვათშეხამებების გაბატონებულ წევრად: არაფერი აღამიანური ჩემთვის უცხო არ არის; არავინ უცხო არ მინახავს და სხვ. სიტყვათშეხამება ატრიბუტულ დამოკიდებულებას გამოხატავს, მაგრამ შეიძლება დამატებითიც (ობიექტურაც) გამოხატოს: მგზავრთაგან არავის სურდა უკან დაბრუნება, ჩვენგან არავინ წავა და სხვ. გვხვდება მათი პარალელური ფორმებიც: არავინ ჩვენგანი, არავინ მოგზაურთაგანი და სხვ., რომლებშიც ნათლად ჩანს ატრიბუტული დამოკიდებულების განვითარება.

შეიძლება ნაცვალსახელი კვლავ ნაცვალსახელით განისაზღვროს (მითითებითი შინაარსისათ):

ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა (ი. 3.).

ზოგჯერ გაბატონებული წევრი ნაცვალსახელის შთაბეჭდილებას ქმნის სიტყვათშეხამების წევრთა პოზიცია, მაგალითად — განსაზღვრებითი ნაცვალსახელებისა:

ციხისამცველი ყველა იღვა მართვითა სნეული (ვტ.).

გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა (ა. წ.), მაგრამ აქ უფრო მეტად პოსტპოზიციური ატრიბუტული სიტყვათშეხამება გვაქვს, პრეპოზიციულ წყობაში ნაცვალსახელი აშკარად დაქვემდებარებული წევრია: ყველა მცველი, ყოველი გულგატეხილი და სხვ. საინტერესოა, რომ ეს წევრები სხვა

წევრისადმი თანადაქვემდებარებული უნდა ყოფილიყვნენ წინა ვითარების მიხედვით:



ყველა მცველი | — კაცი ყოველი გულგატეხილი | — ადამიანი

განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ყველაფერი, რომელიც ხშირად არსებით სახელთა მაგიერობას ეწევა (მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის ორფუძიანობასაც, რადგან ცალფუძიანი ვარიანტი ყველა, ჩვეულებრივ, სტაბილურად ნულოვანი ვალენტობისაა, ე. ი. ნულოვან სიტყვათშეხამებას გვაძლევს): ეს ყველაფერი მოგონილია. შენი ყველაფერი ღირსეული იყო.

იქ, სადაც წინა ვითარება გასათვალისწინებელი, შესაძლებელია ნაცვალსახელის დომინანტობა უფრო პროდუქტიული იყოს; მაგალითად, თავი არსებითი სახელია, მაგრამ რიგ შემთხვევაში იგი ნაცვალსახელადაც გვევლინება (თავი ისახელა, თავი მოიკლა...), ამ ნაცვალსახელს შეიძლება დაქვემდებარებულ წევრად ახლდეს კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ჩემი თავი გაახლათ, თავისი თავი და სხვ.). შეიძლება (იშვიათად) არსებითი სახელიც შეგვხვდეს ნათესაობით ბრუნვაში, ე. ი. კუთვნილების შინაარსით (ამხნაგის თავი გაახლათ), თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ფორმები არასწორია (უ. ი. ამხანაგი გაახლათ).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სემანტიკურ ფუნქციას ხშირად ასრულებს არსებითი სახელი კაცი (კაცმა რომ თქვას), მაგრამ, გადადის რა ნაცვალსახელთა კლასში, იგი ნულოვან სიტყვათშეხამებას ქმნის (კვიანმა კაცმა რომ თქვას... უკვე აღარ გვაძლევს ნაცვალსახელურ გაგებას).

ერთი რიცხვითი სახელია, მაგრამ ნაცვალსახელადაც გვევლინება (განუსაზღვრელობითის მნიშვნელობით). ეს სიტყვა ადრეც ნულოვანი ვალენტობისა იყო (როგორც რიცხვითი სახელი) და აქაც შეინარჩუნა თავისი თვისება.

საყურადღებოა, რომ ნაცვალსახელი ზოგი ნახევრის მნიშვნელობითაც იხმარება: „განზოგება განახევრების შინაარსისაა“ (არნ. ჩიქობავა. სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის. ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 51), ამიტომ, თუ ზოგს ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ახლავს, იგი ყოველთვის ნიშნავს ნახევარს (ზოგი იგი სისხლისაა...)

თავისებური მდგომარეობა შეიქმნა ზოგიერთი ნაცვალსახელის წარმოქმნის დროს (ზოგი+ერთი).

საინტერესოა აგრეთვე ერთი დავინმეორამე, ეს ნაცვალ-

სახელები როქელიმეს მნიშვნელობით იხმარება, რომელიც თავის მხრივ ზოგი-ს სინონიმურია. ერთი და ვინმე, ერთმანეთს პარალელურად ხმარების გარდა, ერთადაც იხმარება, ე. ი. შეიძლება მათ შორის გარკვეული დამოკიდებულება ვიგულისხმოთ (ვინმე ერთი, ერთი ვინმე). ამათგან სპეციალურ ლიტერატურაში განუსაზღვრელობითობის ფუნქციას (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 44.) ან ერთს აკისრებენ, ან ორივეს — თანაბრად. რადგანაც ერთი და ვინმე სრულიად მსგავს ერთეულებს წარმოადგენენ და, გარდა ამისა, ძველ ქართულში დასტურდება როგორც ვინმე ერთი, ისე ერთი ვინმე, ვინმეს ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ნაცვალსახელთან რამე (ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია).

ამრიგად, ნაცვალსახელთა სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ხშირად გაბატონებულ წევრად განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი გვევლინება:

სასაცოლო რამ იყო ეს ლამაზისეული (ი. ჯ.).

ქარგი რამ იყო თავად თათქარძის სახლ-კარი (ი. ჯ.).

იქვე ბოლოში უცხო რამ ფრინველთა გუნდი გალობს (მ. ჯავ.)

რალაცა მგლის მსგავსი მოეჩვენა და სხვ.

6. 4. 3. სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზმნიზეაა

სიტყვათშეხამებაში ზმნიზედა გაბატონებულ წევრად ისევე, როგორც ზედსართავი, თითქმის არ გვხვდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გაბატონებულ წევრად წარმოდგენილია ნასახელარი ზმნიზედა, რომელსაც წინა ვითარების თავისებურებანი აქვს შენარჩუნებულნი. ამ მხრივ დამოკიდებულება ანალოგიურია იმისა, თუ როგორი ექნებოდა ნასახელარ ზმნიზედას წინა ვითარების მიხედვით, როგორიცაა მაგალითად:

1) ატრიბუტული: მეორე დღე — მეორე დღეს, ბნელი ღამე — ბნელ ღამეს და მისთ.

2) დამატებითი: ჩემგან ნათქვამი — ჩემგან ნათქვამად, შენკენ გამოხედვა — შენკენ გამოხედვით და მისთ.

3) გარემოებითი: მეტად მტკიცე — მეტად მტკიცედ (მკითხავემა მეტად მტკიცედ დააჭერა ცოლ-ქმარი; ი. ჯ.); მეფურად მძლავრი — მეფურად მძლავრად (მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა; ი. ჯ.); იქ წასვლით, სანადიროდ წასასვლელად და სხვ.

დამოკიდებულება გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრებს შორის ისეთივე რჩება, როგორც მათ წინა ვითარებისას. მაგრამ რიგ შემთხვევაში გაბატონებული წევრი ზმნიზდება კარგავს თავისთავადობას და თავის დაქვემდებარებულ წევრთან თანდებულის როლს ასრულებს (ყველაზე ხშირია თანდებულის როლში ზმნიზედის გამოყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან). ასეთია, მაგალითად: დროს (წასვლის დროს), მიზეზით (დაგვიანების მიზეზით), წყალობით (სიმამაცის წყალობით), მეოხებით (ძალის მეოხებით), მეშვეობით, საშუალებით და სხვ. ეს სიტყვები უკვე აღარ ასრულებენ სიტყვათშეხამებებში დამოუკიდებელი წევრის ფუნქციას, ამდენად სიტყვათშეხამებებსაც დამოუკიდებლად ვეღარ ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად კარგად აქვთ შენახული ლექსიკურ-მორფოლოგიური სახე. ასევე თავისთავადი სახე ეკარგება ზოგიერთ ზმნიზედას, რომლებიც ნასახელარ ზმნიზედებთან დაქვემდებარებულ წევრად გვევლინებიან, როგორცაა, მაგალითად, ძალიან ნელა — ძალიან ნელი ≈ ძალიან შენელებული ← — ძალიან შეანელებს; მეტად სასიამოვნოდ — მეტად სასიამოვნო ← — მეტად სიამოვნებს და სხვ. ისინი უკვე უფრო მეტად ნაწილაკთა როლს ასრულებენ (აძლიერებენ გარემოებითს დამოკიდებულებას), ვიდრე ზმნიზედებისა.

დასასრულ კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვათშეხამებანი სინტაქსურ ერთეულთა შორის ყველაზე მრავალფეროვანია როგორც თავიანთი წევრების ურთიერთდამოკიდებულების, ისე, განსაკუთრებით, ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებით. როგორც დავინახეთ, მათი ფორმები ხშირად არაა ნათლად გამოკვეთილი, სიტყვათშეხამების ამორფულობა გამოწვეულია იმითაც, რომ სინტაქსურ ერთეულთაგან მას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს სიტყვასთან, მის ლექსიკურ მნიშვნელობასთან.

* * *

თავისთავად ცხადია, სიტყვათშეხამების ყველა თავისებურების განხილვა, განსაკუთრებით მის გაბატონებულ და დაქვემდებარებულ წევრთა ლექსიკურ-სემანტიკური მიმართების დადგენა, ერთ ნაშრომში შეუძლებელია (თუნდაც იგი მიძღვნილი იყოს მხოლოდ სიტყვათშეხამებისადმი). ეს არც შეადგენდა ჩვენს მიზანს. ჩვენ მხოლოდ ვცადეთ, დაგვედგინა სიტყვათშეხამებათა ადგილი სინტაქსურ ერთეულთა შორის და ზოგადად გაგვერკვია (ისიც არასრულად) სიტყვათშეხამებათა ძირითადი თავისებურებანი.

შ ე ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
ტერმინოლოგიის	11

ნაწილი I. სინტაქსის ზოგადი საკითხები

თავი I. ენა, მისი მხარეები, ენათმეცნიერების დარგები.
სინტაქსის ადგილი ენათმეცნიერების დარგთა
შორის

1. 1. ენის რაობა, მისი სისტემურობა, სტრუქტურის ცნება	14
1. 2. ენის ძირითადი ერთეულები	24
1. 3. ენობრივი მოვლენები (გრამატიკული მოვლენის ზოგადი დახასიათება)	30
1. 4. მორფოლოგია და სინტაქსი, როგორც გრამატიკის დარგები, მათი ურთიერთკავშირი	35
1. 5. კატეგორია და ფორმა, გრამატიკული მნიშვნელობა	39
1. 6. მოვლენის ორობითობა	43
1. 7. „ძირითადი“ და „შექნილი“ კატეგორიები	50
1. 8. გრამატიკული მოდელი და ინტერპრეტაცია	55
1. 8. ა. ორიგინალი, მოდელი, ინტერპრეტაცია	55
1. 9. სინტაქსური ანალიზის მეთოდები (მოკლე დახასიათება)	65
1. 9. ა. წინადადების ანალიზი წვერთა მიხედვით	65
1. 9. ბ. დისტრიბუციული ანალიზი	68
1. 9. გ. უშუალო შემადგენელთა მეთოდი	70
1. 9. დ. ტრანსფორმაციული მეთოდი	76
1. 9. ე. სინტაგმატური ანალიზი	80
1. 9. ვ. წინადადების ანალიზი მიმართებათა მიხედვით (რელაციური მეთოდი)	81
1. 9. ზ. ლ. ტენიერის სტემები	83

თავი II. ძირითადი სინტაქსური ცნებები

2. 1. სინტაქსის საგანი, წინადადება და სტრუქტურა	85
2. 2. წინადადება, როგორც მრავალასპექტიანი ენობრივი ერთეული	89
2. 2. ა. წინადადების ძირითადი მხარეები	91
2. 3. წინადადება, როგორც მსკვლეობა	92
2. 3. ა. წინადადების ლოგიკური სახეები (სახეები მტკიცების მიხედვით)	96
2. 3. ა. § 1. წართქმითი და უკუთქმითი წინადადებანი	97
2. 3. ა. § 2. კითხვითი წინადადება	100



2. 4.	წინადადება, როგორც გრამატიკული სტრუქტურა	
2. 4. ა.	სიტყვა, როგორც პერიფერული სინტაქსური ერთეული: სიტყვის ძირითადი ნიშნები	
2. 4. ბ.	სიტყვათშეხამება, როგორც წინადადების ძირითადი სტრუქტურული ერთეული	122
2. 4. გ.	შესიტყვება, როგორც წინადადების შუალედური სტრუქტურული ერთეული	124
2. 4. დ.	წინადადების კონსტრუქცია, როგორც წინადადების შალალი რიგის სტრუქტურული ერთეული	126
— 2. 4. ე.	წინადადების სტრუქტურული სახეები	129
	2. 4. ე. ე. § 1. გაუერცობელი და გაერცობილი წინადადებანი	129
	2. 4. ე. § 2. სრული და უსრული წინადადებანი	131
	2. 4. ე. § 3. წევრნაკლი წინადადებანი	139
2. 5.	წინადადება, როგორც გამონათქვამი	141
2. 5. ა.	წინადადების აქტუალიზება და მისი მიმართება ლოგიკურსა და სინტაქსურ სტრუქტურასთან	142
	2. 5. ა. § 1. ინტონაცია	152
	2. 5. ა. § 2. პაუზა	156
	2. 5. ა. § 3. მახვილი	157
	2. 5. ა. § 4. წინადადების აქტუალიზების არაინტონაციური საშუალებანი	158
2. 5. ბ.	წინადადების ემოციურ-ნებელობითი სახეები	159
	2. 5. ბ. § 1. თხრობითი წინადადება	161
	2. 5. ბ. § 2. ძახილის წინადადება	162
	2. 5. ბ. § 3. ბრძანებითი წინადადება	163
2. 6.	წინადადების ეკვივალენტები	166
2. 7.	წინადადების სახეები ავტულებების მიხედვით	170

თავი III. სინტაქსური მოვლენები

3. 1.	სინტაქსური მოვლენის ძირითადი ნიშნები	172
3. 2.	სინტაქსურ მოვლენათა ორი რიგი	174
3. 3.	წინადადების დონის სინტაქსური მოვლენები	177
3. 3. ა.	შესიტყვების შეკუმშვა	177
3. 3. ბ.	სინტაქსური სინონიმია	182
3. 3. გ.	სინტაქსური ანალოგია	184
3. 3. დ.	პოლიფუნქცია (სინტაქსური ომონიმია)	188
3. 3. ე.	დეფექტაცია (დეფექტური კონსტრუქციები)	190
3. 3. ვ.	გარდაქცევა (ტრანსფორმაცია)	197
3. 3. ზ.	სინტაქსური ასიმილაცია (სიტყვათა კლასის შენაცვლება)	199
3. 4.	სინტაქსური მიმართება	208
— 3. 4. ა.	სიტყვათა შეხამება, როგორც გრამატიკული და სემანტიკური მიმართება	210
— 3. 4. ბ.	ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია	214
3. 4. გ.	სინტაქსური მიმართების ელემენტები	223
— 3. 4. დ.	სინტაქსური მიმართების სახეები	224
— 3. 5.	დაქვემდებარება და მისი კანონზომიერებანი	224
— 3. 5. ა.	ცალმხრივი და ორმხრივი დაქვემდებარება (კოორდინაცია და სუბორდინაცია)	231

- 3. 5. ბ. დაქვემდებარების სახეები 234
- 3. 5. გ. სიტყვათა პოზიციური განლაგების თავისებურებანი და მათი გავლენა დაქვემდებარების გაფორმებაზე 238
 - 3. 5. გ. § 1. სიტყვათგანლაგება 238
 - 3. 5. გ. § 2. სინტაქსურ ერთეულთა პოზიციური განლაგების შემთხვევები 242
- 3. 5. დ. წინადადების წევრთა დეტერმინაციის საკითხი 247
- 3. 6. სინტაქსური დაქვემდებარების ფორმები (სინტაქსური დამოკიდებულების სახეები) 251
- 3. 6. ა. სინტაქსური დამოკიდებულების სახეთა ზოგადი დახასიათება 251
- 3. 6. ბ. შეთანხმება 254
 - 3. 6. ბ. § 1. შეთანხმების რაობა და მისი ძირითადი ნიშნები 254
 - 3. 6. ბ. § 2. რიცხვში შეთანხმება 256
 - 3. 6. ბ. § 3. სინეზისი 257
 - 3. 6. ბ. § 4. რიცხვში შეთანხმება კონსტრუქციაში (კოორდინაციულ დონეზე) 258
 - 3. 6. ბ. § 5. რიცხვში შეთანხმება სიტყვათ შეხამებაში (სუბორდინაციულ დონეზე) 262
 - 3. 6. ბ. § 6. პირში შეთანხმება 263
 - 3. 6. ბ. § 7. ბრუნვაში შეთანხმება 269
- 3. 6. გ. მართვა 284
 - 3. 6. გ. § 1. მართვის რაობა და მისი ძირითადი ნიშნები 284
 - 3. 6. გ. § 2. კოორდინაციულ დონეზე მართვა 285
 - 3. 6. გ. § 3. სუბორდინაციულ დონეზე მართვა 287
 - 3. 6. გ. § 4. შინაგანი და შუალომბითი მართვის საკითხი 288
- 3. 6. დ. მირთვა 293
- 3. 6. ე. სინტაქსური დაქვემდებარების სახეთა კომპინაცია 295
- 3. 7. სიტყვათა შეკავშირება (თანადაქვემდებარებითი მიმართება) 296
- 3. 8. ფარდობა (ფარდობითი კავშირი) 301

ნაწილი II. მარტივი წინადადების სტრუქტურა

თავი IV. წინადადების კონსტრუქცია

- 4. 1. წინადადების კონსტრუქცია და მისი შექმნის საშუალებანი 311
- 4. 1. კონსტრუქციის სახეები 316
- 4. 3. კონსტრუქციის ფორმები 318
- 4. 3. ა. კონსტრუქციის ფორმები სუბსტანტიურ ერთეულთა მიხედვით 318
 - 4. 3. ა. § 1. აქტიური და პასიური კონსტრუქციები 324
 - 4. 3. ა. § 2. გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთა კოორდინაციული მიმართება ქვემდებარესთან 333
 - 4. 3. ა. § 3. ნეიტრალური (ინდიფერენტული) კონსტრუქციის საკითხი 338
 - 4. 3. ა. § 4. ბირთვული კონსტრუქციები, კონსტრუქციათა ტრანსფორმაცია 341
 - 4. 3. ა. § 5. მასდარულ-მიმდევობური შეხამებანი 348
- 4. 3. ბ. კონსტრუქციის ფორმები ზმნა-შემასმენლის მიხედვით 351

თავი V. შესიტყვება

5. 1.	შესიტყვების რაობა და მისი ძირითადი ნიშნები	360
5. 1. ა.	ლექსიკალიზებული შესიტყვებანი	365
5. 2.	შესიტყვების აგებულება (სტრუქტურული ტიპები)	369

თავი VI. სიტყვათშეხამებანი

6. 1.	სიტყვათშეხამების რაობა და მისი თავისებურებანი	374
6. 2.	სიტყვათშეხამება და სიტყვათწარმოქმნა	379
6. 3.	სიტყვათშეხამების სახეები	380
6. 3. ა.	ნულოვანი სიტყვათშეხამებანი	385
6. 4.	სიტყვათშეხამების ტიპები	386
6. 4. ა.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი არსებითი სახელია	386
6. 4. ა. § 1.	გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული ზედსართავი (შეთანხმებული)	386
6. 4. ა. § 2.	გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული რიცხვითი (შეთანხმებული)	390
6. 4. ა. § 3.	გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული არსებითი (შეთანხმებული)	391
6. 4. ა. § 4.	გაბატონებული წევრი არსებითი, დაქვემდებარებული ნაცვალსახელი (შეთანხმებული)	395
6. 4. ბ.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზმნაა	398
6. 4. ბ. § 1.	გაბატონებული წევრი ზმნა, დაქვემდებარებული არსებითი (არაპირიელი ობიექტური მიმართება)	399
6. 4. ბ. § 2.	გაბატონებული წევრი ზმნა, დაქვემდებარებული ზმნიზედა სახელი“ (გარემოებითი სემანტიკური მიმართება)	405
6. 4. გ.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზედსართავი სახელია	416
6. 4. დ.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი რიცხვითი სახელია	416
6. 4. ე.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ნაცვალსახელია	417
6. 4. ვ.	სიტყვათშეხამებანი, რომელთა გაბატონებული წევრი ზმნიზედაა	420

Давитиани Акакий Алексеевич
СИНТАКСИС ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА
(На грузинском языке)

რეცენზენტები: პროფ. ალ. ლლონტი
დოც. ი. მაისურაძე

რედაქტორი ეთ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჯოხაძე
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი
კორექტორი ნ. დგებუაძე

გადაეცა წარმოებას 25/VII-73, ხელმოწერილია დასაბუქდად 6/IX-73,
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆, საბუქედი ქალაქის № 2, ნაბუქედი თაბახი 26,75,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,05.

უე 00527. ტირაჟი 2.000 შუქვ. № 4186

ფასი 1 მან. 25 კპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს კვ ეკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14
Типография издательства ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.

